

030002


ISSN 0134-9848

780
1985/09

1985/3

სეზენი

საქართველოს
საზოგადოებრივი მედიის ცენტრი





მიხეილ სერეტელი. კანი, ლიპტალი.

საუნჯე

1985/3

შპსი
მწიბრი
ერეკლე (65)
სიბუჩქის ქ.



შინაარსი

პროზა და პოეზია

ალექსეი ტოლსტოი, მშობრანთები, მოთხრობა, დასასრული, თარგმნა აკაკი ბრეგვაძემ	8
მიხაილ ლერმონტოვი, კომედი, ლექსი, თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ	90
თადეოზ რუშვიძე, ლექსები, თარგმნა ვახტანგ ჭავჭავაძემ	92
ივან ბუნინი, მოთხრობები, თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა	97
კინესლი მონი, ის რაც სანტემარსოა, ინგლისურიდან თარგმნა ვანო იმერლიშვილმა	148
მრგინ შტრიტმატი, მინიატურები, გერმანულიდან თარგმნა სულხან ჯორჯანელი	159
† კონალდ დუნკანი, რომა გავლენის გველვიძება, ინგლისურიდან თარგმნა ზურდანი გემაზაშვილმა	168
ფრანც ბრილკარცერი, ოპროს საფშინი, გაგრძელება, გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახიანიშვილმა	187
† გეორგ ბიუნენერი, ლინა და ლეონი, კომედია, გერმანულიდან თარგმნა ზურაბ ჯ. აბაშიძემ	198
კუბლიუს ოვიდიუს ნაჟონი, „ტროგანი“, ლათინურიდან თარგმნა მანანა ლარიბაშვილმა	217
ვადიმ ბოიკო, სიტყვა სიკვდილით დასჯის შემდეგ, უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ	224
იანის მანკლისი, იუდა, თარგმნა დურმიზიან გრიგოლაშვილმა	255
ბიულ კლარები, Boum-Boum, ფრანგულიდან თარგმნა რუსუდან ხუციშვილმა	260
იური რიტხეუ, ცეცხლისმცველი, თარგმნა მიხეილ ბეროშვილმა	271

წერილები

ალექსანდრ ბლოკი, რომანტიზმის როლის შესახებ, თარგმნა ეკა ხუციშვილმა	276
თამაზ ჩხენკელი, „დამ დე ძინის“ ქართული თარგმანი	283
რაჟო უარალაშვილი, „შეფლილოვის“ აკოლოგია	280
ისააკ ვენეტოვი, ეპიგრაფიკი მსინისის ცხოვრებიდან, თარგმნა გრიგოლ რუხიაიამ	290
მ. შურავლიშვილი, ვრუბელი, თარგმნა მადონა ცქიტიშვილმა	216
მცირე ინფორმაციები	210

18734

ქაფ. მს. ვ. მ. მ. მ.
სახ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ.
გამომცემი

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური აღმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეგია

ქართული
ლიტერატურა

მთავარი რედაქტორი:

მუხრან მაჭავარიანი

პ. შვ. მდივანი:

ნანა ღარჩია

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი

ჯემალ აჯიაშვილი

გიორგი ბაქანიძე

მზია ბაქრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

გურამ გოგიაშვილი

მაგალი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

ზურაბ კიკნაძე

ვასუბი კობახიშვილი

რომან მიმინოშვილი

გიორგი ნიშნიანიძე

ოთარ ნოდია

დალი ზანჯიქია

რუსუდან ქეზულაძე

იორამ ქვერტულიძე

ნიკო ყიასაშვილი

გივი შანაზარი

გივი ქნელაძე

დავით წერეთელი

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წიფჩივაძე

რაზო ჭიჭიანი

გარეკანზე: მიხეილ ვრუბელი, მარჩიელი, დეტალი.

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი.
გამომშვები ნანა ბართია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 22. 3. 85 წ., ხელმოწ. დასაბუქდად 13. 6. 85 წ., ქაღალდის ზომა 70×108¹/₃₂.
საადრ. თ. 23,53. სასტ. თ. 26. საღებავის გატ. 28,7. ტირ. 10.000, შეკვ. № 727.

შპსი 1 შპს. 80 კპპ.

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, დენინის 14.

კლასიკური ტოლსტოი

ემიგრანტები



მოთხრობა

თარგმნა აკაკი ბრეჯაძემ

44

ლიგის შტაბში ყოველდღე ცხადდებოდნენ ახალ-ახალი წევრები, გერმანიაში, შვეიცარია და ფინეთში მოკრებილნი; ისინი დღიურ გასამრჯელოს, საკმლის, გზისა და ბინის ფულს ითხოვდნენ... გენერალი გისერი თითოეულს ათ-ათ კრონს სთავაზობდა და წინადადებას აძლევდა, მოეცადათ — სადაცაა დიდი კრედიტები შემოვაო. სიებს ამერიკის ატაშეს და გრაფ დე მერსის უგზავნიდა. ასე ყალიბდებოდა „რკინის ბატალიონი“ (რომელიც შემდგომ პეტროგრადის მისადგომებთან გაიგზავნა).

ლიგის გული — დაზვერვა — იზვოლსკი, ბიტენბინდერი და ეტინგერი „გრანდ-ოტელში“ ლოთობდნენ, ბოლშევიკობაში ექვმიტანილ პირთა შესახებ ცნობებს კრებდნენ და მათი სიების შედგენისათვის გენერალ გისერს მცირეოდენ თანხებს ართმევდნენ. სხვებზე უკეთ მუშაობდა „პარიზის ჯგუფი“ — მაღამ მარი და მაღამ ლილი. რესტორანში მიპატიუებისას მაგიდებთან ზანტა, მაგრამ ცნობისმოყვარე და ყურმახვილი მარი საინტერესო ფრაზების ნაწყვეტებს იჭერდა. ასე მოახერხა დაედგინა, რომ ვიღაცები სტოკჰოლმში ორი ბოლშევიკი კომისარის ჩამოსვლას ელოდებოდნენ. ერთის გვარი — კრასინი — ნათლად გაიგონა. ამ ცნობასთან დაკავშირებით ლიგაში საგანგებო სხდომა მოეწყო. მარის დაავალეს შემდგომი ცნობები გაეგო. მას კვლავ გაუშართლა: დაადგინა, რომ კომისარ კრასინის ოჯახი ამას წინათ სტოკჰოლმში ჩამოვიდა. ამ ამბავმა ისე ააღელვა ლიგის წევრები, ბიტენბინდერმა მარი შუალამით გისერთან მიიყვანა. ვენერალმა მოუსმინა მარის, გადაეხვია და პირჯვარი გადასწერა:

— თქვენ ჩვენი ფასდაუდებელი თანამშრომელი ხართ, ძვირფასო, განაგრძეთ თქვენი თავდადებული მოღვაწეობა. რუსეთი არ დაგივიწყებთ.

მარის საგანგებო დავალება მისცეს. — უნდა დაახლოებოდა ბოლშევიკების საელჩოს კურიერს მეზღვაურ ვარფოლომეევს. მაგრამ კურიერი რესტორანში მარტო თითქმის არასდროს მოდიოდა. ეტყობა, სხვადასხვა ჩამოსული საიდუმლო პირის მცველად იყო დანიშნული. მასთან გამოლაპარაკება არ ხერხდებოდა. მარის ლურჯი თვალების მომხმობ მიბნედილ მზერას „ბაიბუადაც არ აგდებდა...“ კურიერი შავგვრემანი და პირქუში, ერთიანად თმაგდანოტრილი კაცი გახლდათ, ხარის ქედი ჰქონდა; ახალი ლურჯი პიჯაკის ქვეშ ჩა-

კირული კუნთები ემჩნეოდა. მარის, თავისი სიზანტის მიუხედავად, ცოტა არ იყო სწყინდა, რომ ასეთი წმინდაწყლის „მხეცი“ არ ეპასუხებოდა.

ლილიმ კიდევ უფრო მეტი გააკეთა ამ დღეებში. ერთობ ეშხიანმა და ენების მასწავლებლის უბრალო კაბაში გამოწყობილმა, სასტუმროს ვესტიბიულში მიუდამ რომ ჟურნალს ფურცლავდა, ბოლოს, როგორც იქნა, ორი კომივოიაჟერი, უკიდურესად უტიფარი და თავქარიანი ფრანგები მიიტყუა. „მადმუაზელი ენების გარდა კიდევ სხვა რამეს ხომ არ ასწავლის?“ — იკითხეს მათ. ლილი შეცნა. კომივოიაჟერებმა აღტაცებით შესთავაზეს, თქვენს სრულ განკარგულებაში ვართო. იმავე დღეს, ფრანგების წასვლის შემდეგ, ლილის ერთმა ინგლისელმა სთხოვა ფრანგულის გაკვეთილის ჩატარება. ინგლისელი შესახედავად მორცხვი ჩანდა, მაგრამ თავის ნომერში ისეთი უხეში და ცინიკოსი აღმოჩნდა, ლილი ატირდა და უარი თქვა გაკვეთილის ჩატარებაზე. ბოლოს მის ანკესზე წამოეგო ის, ვისი გულისთვისაც იჭდა „გრანდ-ოტელში“ — ლევი ლევიცი.

— ერთი კვირით ამყავხართ, დღეში ორი საათით, მაქციეთ ევროპელად. — მხიარულად და თავდაჯერებულად უთხრა ლილის. ლევი ლევიცის გადმოკარკლული, ოფლიანი თვალები ჰქონდა, ბრწყინვალე ხაოიანი კოსტიუმი ეცვა, ჟილეტის გარდიგარდმო პლატინის ძეწკვი უჩანდა, მუცლის წინ ჟილეტის ჯიბეებში ისე ჩაეწყო ცერები, მთელი ვესტიბიული ხედავდა მის ბრილიანტის ბეჭდებს.

ლილი ლევიცის ნომერში ავიდა ალექსანდრ ბორისოვიჩ ლევიციმ განჯინიდან ტკბილეულობიანი პაკეტი, ერთი ბოთლი ტკბილი ღვინო გამოიღო და ქალიშვილს სთხოვა, ნუ მოირიდებო. თვითონ დივანზე წამოგორდა. ნასაუბმევზე იგი ხალისიანი და ალგზნებული იყო.

— არ შემიძლია ვდუმდე, ეს ჩემი ნიშნეული თვისებაა, — უთხრა ლევიციმ ლილის. — იცით, რას შემოგთავაზებთ: მე ვილაპარაკებ გერმანულად, თქვენ გამისწორეთ, შემდეგ იმასვე გავიმეორებ ინგლისურად, კარგი? რაიმე საინტერესოს მოგიყვებით, ვთქვათ, მთავალითად, ჩემს ბიოგრაფიას... მხირთვით კანფეტი... მაშ ასე, რით დავიწყოთ? მამაჩემი ღარიბი უმანელი თერძი იყო. იცით, რას ნიშნავდა ბინადრობის საზღვარი? თუ არ იცით? საუკეთესო რუსი ადამიანები ვიშვიშებდნენ, ოხრავდნენ, ყვიროდნენ: ეს სირცხვილიაო! საზღვრის შესახებ კი მთავარს ბოლომდე არ ამბობდნენ. საზღვარი იყო რთული და ძნელი გზა რუსული თვითმკვლელობისა... საზღვრის გადაღმა გახლდათ ევროპული კულტურა. მე თქვენ მალე შემეჩვევით, იცით, მიყვარს პარადოქსებით ლაპარაკი... რუსეთმა ის კი არ ისურვა. ევროპულ კულტურას მიჰყოლოდა, ღორულად ყოფნა ინება, როგორც უნსოვარ დროს იყო. ებრაელი მრეწველი უახლესი ევროპული ნიმუშის მიხედვით აგებდა ფაბრიკას, საზღვარგარეთიდან იწერდა უახლეს მანქანებს, ებრაელი ვაჭარი ჯობნიდა რუსს — იგი უფრო იაფად ვაჭრობდა, კაპიტალზე ექვს პროცენტს იღებდა, ვიდრე რუსი თავს მოიფხანდა: უკვე ექვსჯერ ასწრებდა კაპიტალის ბრუნვას... რა ექნათ რუსებს? ევროპულ ყაიდაზე გარდაეჭნათ მრეწველობა და ვაჭრობა? თქვენ არ იცნობთ რუს ვაჭრებს... მათ გადაწყვიტეს, მეფე ებრაელებს მივუქსიანოთ, ეს უფრო იაფი დაგვიჯდებაო... დაპკრეს ზარებს, ააჯანყეს სამღვდელეობა მამა იოანე კრონშტანდტელის მეთაურობით, ებრაელები წმინდა სულისანი არ არიან, მაცას ქრისტიანულ სისხლს ურევენო; მეფემაც ბრძანა, ებრაელები ცხვრებით გადაერეკათ საზღვრის იქით. რუსეთში ჩამოდგა მყუდროება და სიწყნა-

რე — იძინე, ბატონო, მიირთვი ღვეზლები, იქურდე და ძარცვე, რამდენიც გინდა, ილიტანიე. აი, აზია!.. ეს ამბავი ისევე ჰკვიანური გახლდათ, როგორც საკუთარი საწოლის ქვეშ დინამიტის უთის შედეგია!.. ნეტავ იცოდეთ, ქალიშვილო, რა ხასიათები გამოიქვედა ბინადრობის საზღვარში! იქ სულს სულს შეტეხი სუფევდა, ვიდრე პური... ჩვენ შორის იყვნენ წმინდა ადამიანები, რომლებიც რევოლუციურ საქმიანობას პეიღებდნენ ზელს, იატაკქვეშეთში, სახრჩობელებზე მიდიოდნენ: ჩვენ მათთვის ვლოცულობდით... როცა წამოვიჩიტე, იქიდან მახსოვს, ოპ, მახსოვს, რა ფიცხი ვიყავი!.. მამაჩემმა თავისი სათითესავით იცოდა თალმუდი, იღებდა ხის არშინს და ზურგზე ბღღვირის ადენით უნდოდა გავეხადე ბეჭითი: მე კი ვეჭვობდი — ნუთუ ასე სჭირდება ღმერთს თალმუდზე მოლოლიალე ჩემი გამხმარი ცხვირი-მეთქი? მამაჩემი ჰკვიანი ებრაელი იყო, გამიგო და მითხრა: „ყველას თავისი გზა აქვს, შეგიძლია ექსტერნად ისწავლო. შეგიძლია ესერების ან ესდეკების პარტიაში შეხვიდე, მაგრამ არ მოვიტმენ ოდესმე რომ მითხრან: თქვენი შვილი უპატოსნო კაციანო“. როცა მამაჩემი ამას მიქადაგებდა, სათვალის ზემოდან ხის არშინს უცქეროდა და უკვე მინდოდა, პატოსანი კაცი ვყოფილიყავი.

ლევი ლევიცი ტკბილ ღვინოს წრუპავდა და მოშაქრულ თხილს აზრამუნებდა. იგი სიამოვნებით უსმენდა თავისივე თავს.

— ფაბრიკაში წავსულიყავი, იქ მომუშავე გოგო შემერთო, რომელსაც ისეთი მოხრილი ზურგი ექნებოდა, თითქოს ებრაელების მთელი მწუხარება ზედ აწევსო, გამეჩინა ნახევარი ღუეინი მშიერი და წვინტლიანი ბავშვი? — ეს ჩემს ტემპერამენტს არ ეგუებოდა... რევოლუციურ მუშაობაში ჩავბმულიყავი? სულ ერთია, — ვუთხარი თავს, — შენ წმინდანად არ მიგიჩნევენ, ზნეობრივ სიმალღეს ვერ გაუძლებ-მეთქი... მეც სიმდიდრე და დიდება ავირჩიე, მაგრამ ამის შესახებ მამაჩემისთვის არაფერი მითქვამს... გამგელებით დავიწყე სწავლა, მეცნიერებებს წყალივით ვითვალვებდი, უმანში უკვე ვაოცებდი ხალხს. გამოცდები ექსტერნად ჩავაბარე და პროცენტული ნორმის წყალობით იურიდიულ ფაკულტეტზე გავძვერი. როგორ ვცხოვრობდი ამ დროს? შუამდგომლობით, კერძო გაკვეთილებით, პაპიროსების დატენით; თვიურად ოცდახუთი მანეთის შოვნას ვახერხებდი. ოდესაში, კიევში, ხარკოვში პატარ-პატარა საგაზეთო შენიშვნებს ვგზავნიდი... შემამჩნიეს. ესეც თხუთმეტ მანეთს მაძლევდა თვეში. მე მწამდა გამარჯვების. ველოდი შემთხვევას. დაიწყო ომი! მობილიზაციის შემდეგ ერთი კვირა გავიდა და უკვე პეტერბურგში ვიყავი... თავი ხომ არ მოგაწყინეთ: ქალიშვილო?

ლევი ლევიცის თვალები უელავდა, თითქოს ალტაცებით გასცქეროდა განვლილ გზას. პეტერბურგში იგი მიზანში მოხვედრილი ტყვიასავით მოხვდა „სადამოს ბირჟის“ რედაქციაში. აქ არ დაწვრილმანებულა და არც ყვირილი დაუწყია რუსების გამარჯვებებზე, ანტანტის „პუმანურობისა“ და გერმანელთა ბარბაროსობის ღრმავროვან შედარებებზე. ლევი ლევიცი პეტიტით აწყობილ ორ-სამ შენიშვნას ათავსებდა მეოთხე გვერდის ბოლოში, საბირჟო კურსების სვეტების წინ, მაგრამ ეს შენიშვნები ძალზე ძვირფასი იყო და ერთი დღით ადრე იბეჭდებოდა, ვიდრე სხვა გაზეთებში... მათ მისაკვლევად საჭირო გახლდათ დაუშრეტელი ტემპერამენტი კაცისა, ოცდაშვიდი წელი რომ ფუთფუთებდა მივარდნილ უმანში. რედაქციაში დასცინოდნენ მის სოფლურ ენას, საკვირველ სიმარჯვეს, სიძუნწეს და განსაკუთრებით პეტერბურგის მიტროპოლიტ

პიტირიმთან მოულოდნელ მეგობრობას. როცა რედაქციაში გამოჩნდებოდა (მას შავი ვიზიტურა ეცვა ხოლმე, ხელები ჭიბეებში ეწყო, ტუჩები მაგრად მჭონდა მოკუმული), მექრონიკენი და უსპეტაკესი ჟურნალისტები — სულ „სალამოს ბირჟის“ რედაქტორის, მეგაზვთეთა მეფის პაკებუშის ბარტყები — მსუ უყვიროდნენ ხოლმე: „საშკა, როგორაა საქმე? ისაუზმე მის უსამღვდელოესობასთან ერთად? რასპუტინი ეს-ესაა გირეკავდა, მოგიკითხა, რა არის ახალი სასახლეში?“

რედაქციაში ისმოდა ხმაური, ტელეფონების ზარი, მემანქანეების ლაქლაქი, ლაზღანდარობა, ანეკდოტები, ხარხარი... ლევი ლევიცკი მშვიდად მიდიოდა მაგიდის ტელეფონთან (თუ ვინმე ლაპარაკობდა, ყურმილს გლეჯდა ხელიდან) და აპარატიურთ ვეება სარედაქციო მაგიდის ქვეშ, ქალღღებთან კალათის იჭით მიძვრებოდა. იჭიდან მხოლოდ ეს ისმოდა: „ქალიშვილო, ნომერს გაგიმეორებ, ალო!.. ეს თქვენ ბრძანდებით, თქვენო უსამღვდელოესობავ!.. მე ლევიცკი ვარ, გამარჯობათ, როგორა ხართ? მადლობა ღმერთს? ძალიან მიხარია, მეც ასევე ვარ. არა მიშავს რა არის საინტერესო ცნობები. გნილია ლიპაზე ბრძოლა... ცნობები პირველწყაროდანაა. ხვალ უკვე გაზეთებში იქნება, მაგრამ ბირჟაზე ჯერ არ იცინა“.

ლევი ლევიცკის მაგიდის ქვეშ წიგნებს ესროდნენ, ზოგჯერ ფეხში ხელს ჩაავლებდნენ და იჭიდან ისე მოათრევდნენ ტელეფონიანად, მაგრამ მაინც ასწრებდა იმის შეტყობინებას, რაც ჯერ კიდევ არც ბირჟაზე იცოდნენ და არც სამხედრო სამინისტროში. კავშირის არე მაგიდისქვემოდან თანდათან გაფართოვდა. ლევი ლევიცკი ხან ბანკირ ედანოვს იძახებდა, ხან თვით მიტკა რუბინშტეინს, ხან ანონიმურად რეკავდა: „აპარატთან სთხოვეთ, გრაფს...“ სამხედრო და პოლიტიკური ახალი ამბებისთვის გასამრჯელოს აქციებით უხდიდნენ. თექვსმეტ წელს უკვე დამოუკიდებლად თამაშობდა. რასპუტინის სიკვდილის შემდეგ რედაქციაში თქვა: ნახავთ, ბატონებო, თუ ამ გლეხის სისხლმა მთელი რუსეთი არ წალეკოსო... ჩვიდმეტი წლის მარტში სამი თვით გაქრა. თურმე უმანში წასულიყო. რევოლუციამ ვაეიშვილის ვალისა და პატივმოყვარეობის თავისებური გრძნობა გაუღვიძა. იგი საუკეთესო კოსტიუმებში გამოწყობილი დასეირნობდა უმანში, სიტყვებს წარმოთქვამდა სახელდახელო მიტინგებზე, მაზრის ბექდვითი სიტყვის საქმეთა კომისრადაც კი დანიშნეს, ბოლოს ხელსაყრელ ფასად იყიდა რამდენიმე ხის სახლი და კვლავ გამოჩნდა პეტერბურგში დაღლილი და ვულგატეხილი. აქ გაშმაგებით ჩაერთო სპეკულაციასა და კარტის თამაშში, ქალებთან დაკავშირებულ თავგადასავლებში. ამ დროს მოახერხა, სტოკჰოლმში მნიშვნელოვანი ოდენობის თანხა გაეტანა. როცა ოქტომბრის გადატრიალება მოხდა, რედაქციაში თქვა: „მოეშვით სიცილს, გაცილებით უარესად იქნება საქმე, საშინლად ცუდად იქნება. ვერც წარმოიდგენთ, რა არის რუსული დემობილიზაცია. ღმერთმა ხელი მოუმართოს ბოლშევიკებს, თუ რამეს გადაარჩენენ ამ დომხალში“.

ლევი ლევიცკი სმოლნში წავიდა და ბოლშევიკებს თავისი სამსახური შესთავაზა. ფაცაფუცში დაუჯერეს. იგი კეთილსინდისიერად ასრულებდა წვრილმან და უმნიშვნელო სამუშაოებს, მაგრამ მარჯვედ არიდებდა თავს საპასუხისმგებლო ადგილებზე დანიშვნას. გახდა, მოიღუშა, ეცვა ნახევრად სამხედრო სამოსი, წელში მოხრილი გადადიოდა ქუჩის მეორე მხარეს, როცა რედაქციაში მომუშავე ძველ ამხანაგებს ხვდებოდა...

— ქალიშვილო, თქვენ მკითხეთ, რა გაჩერებდათ პეტროგრადში? გერმანელებმა უკრაინა დაიკავეს, აჯანყდნენ ჩეხოსლოვაკები, ჩამოგვცილდა ტიბური, სამხრეთში მოხალისეები და ყაჩაღთა ბანდები პარპაშებდნენ. ჩინებულად ვხედავდი, რომ ბოლშევიკები ერთ წელიწადსაც ვერ გაძლებდნენ. მაგრამ ვინ შეცვლიდათ? ბატკო მახნო? ჩემს სულში წყვილიადს დაესადგურებინა, არაფერი მჯეროდა. ცნობა მივიღე, რომ უმანი პეტლიურელთა ატამანმა ამოყლიტა და მამაჩემი დაიღუპა. მან ატამანს თვალეში შეაფურთხა თურმე და ხმლებით აკეპეს... მაშ, ველარც რევოლუციამ გვიხსნა რბევისგან?

მთელი თვრამეტი წელი ლევი ლევიცი უკიდურესად დაბნეული იყო: მან სალოცავს საბურველი ჩამოგლიჯა და მისმა ნახვამ შეაძრწუნა. ლევიციის სულში ცოცხლობდა მამებისა და ბაბუების მიერ გეტოს სარდაფებში ჩაგონებული სიყვარული რევოლუციის წმინდა აქტისადმი: რევოლუციის საყვირის ხმაზე გოდების კედლები ჩამოინგრევა და დაჩაგრულნი და დამცირებულნი თავისუფლებასა და სიმდიდრეს მოიპოვებენო. მაგრამ რევოლუციამ გოდების კედლები რომ დაანგრია, მკაცრად ბრძანა, ლევი ლევიციის კეთილდღეობისთვის გვერდი აეხვია და ევლოთ ისტორიის იღუმალ ბურუსში, სადაც ოქრო საზოგადოებრივი ვატერკლოზეტებისთვის იყო განკუთვნილი. რალა უნდა ერწმუნა ლევი ლევიციის, როცა თვით რევოლუციამ მოატყუა?

ცხრამეტ წელს ლევი ლევიციმ საზღვარგარეთ წასვლა მოახერხა, იყო რევლში, რიგაში და უკანვე დაბრუნდა. შემდეგ მას უფრო საპასუხისმგებლო დავალება მისცეს — სტოკჰოლმში გაგზავნეს და იქ სახელმწიფო პაკეტებთან ერთად მთელი თავისი ვალუტა და ძვირფასეულობა გაიტანა.

— აი, რა არის უცნაური, ქალიშვილო, მე მართლა ჩამოვიფერებო მტვერი ფერხთაგან... მაგრამ აქ, სწორი გითხრათ, გული საბჭოთა ადამიანებისკენ მიმიწევს... არ შემიძლია ემიგრანტებს დავუახლოვდე. ემიგრანტებს რევოლუციის მოსპობა უნდათ, მზად არიან დიდ მთავარ კირილეზეც კი ილოცონ და მას კვერთხის მაგიერ ზუმბა მისცენ, ხოლო სამეფო სფეროს ნაცვლად ებრაელის თავის ქალა დააჭერინონ... ჭკუა ხომ უნდა ისწავლო კაცმა... რაც შეეხება ქალებს, მათთან თავს ცოტა ვიგიჟიანებ. თქვენ ღმერთმა დაგიფაროთ, ნუ თრთით, ჩემო ოქრო, მე მინდოდა თქვენს ნაცნობ ქალზე მესაუბრა, მალალ-მალალი, მოხდენილი რომაა... გახსოვთ ვახშამი „გრანდ-ოტელში“? რალა დაგიმალოთ და გულში ჩამივარდა...

ლილის პაჭეტ ლაშეს ინსტრუქცია ახსოვდა და მიუგო:

— დარწმუნებული ვარ, თავადის ცოლი ძალზე დაინტერესებული იქნება თქვენი გაცნობით.

— როგორ შეიძლება შევხვდე?

ლილიმ ინსტრუქციის თანახმად უპასუხა:

— შეიძლება აქ, რესტორანში, შეიძლება ჩვენთან, აგარაკზე...

— სად ცხოვრობს?

— ბალ სტანესში... თუ გნებავთ, აგარაკზე მობრძანდით.

ლილი ჩქარობდა ლევი ლევიციისთვის სიტყვა ბანზე აეგდო, ეშინოდა, რაიმეს არევ-დარევისა და შემდეგ ლაშეს წინაშე ანგარიშგებისა... მაგრამ ლევი ლევიციი ისევ აგზნებულად ეკითხებოდა, ლილიც ენის ბორძიკით ტყუილებს ეუბნებოდა ვერა იურიევნასა და პაჭეტ ლაშეს (ვერას მხურვალე თაყვანისმცემლის, მდიდარი კაცისა და მწერლის) შესახებ, მომხიბვლელი აგარაკის შე-

სახეზე, ჰაჭეტ ლაშემ რომ სრულ განკარგულებაში გადასცა პარიზის სეზონით დაქანცულ ქალებს. ლევი ლევიციმ გადაწყვიტა. ხვალვე სწვეოდა აგარაკს. მაგრამ ლილის ინსტრუქცია გაახსენდა და აჩქარებით მიუგო:

— არა, არა. ვერა ახლა ცოტათი შეუძლოდა... ერთი წელიწადი... მე გაცნობებთ...

ლილის არეულ-დარეული და აშკარად აბდაუბდა ლაპარაკის მიუხედავად, ყოველთვის ფრთხილმა და ეჭვიანმა ლევი ლევიციმ ვერავითარი საფრთხე ვერ იგრძნო. თვით ეშმაკი ვერ მიხვდებოდა, რომ ეს ენის ბორძიკით მოლაპარაკე ლამაზი ქალიშვილი ხაფანგში იტყუებდა, რათა იქ ტანჯვით ამოხლომოდა სული. ლევი ლევიცი ლილისკენ მიიწია და ოდნავ ცივ ხელზე დაუწყობო მოფერება, გოგონის ეძახდა, ავხორცული თვალების ძარღვებში სისხლი აწვებოდა.

— როცა ქალი სულს აგიფორიაქებს, თანაც თქვენი თავადის ცოლისთანავე ევროპელი ლამაზმანი, მზადა ვარ ყველაფერი დავთმო... გესმით ჩემი? გოგონი. მე ომმა და რევოლუციამ აღმზარდა... მე მშიერი ვარ. მინდა გავძლე ცხოვრებით.

ნაგვიანევი სადილობის შემდეგ, დაბინდებულზე ვერა იურიევნა ტბის ნაპირზე შეზღონგში იჯდა. აგარაკს მოულოდნელად ავტომობილი მოადგა — რეველიდან დაბრუნდა ჰაჭეტ ლაშე. მოისმა რამდენიმე კაცის ხმა. ჰაჭეტ ლაშეს თან ახლდა ეტინგერი, ბიტენბინდერი და იზვოლსკი... რომელიღაც მათგანმა დაიყვირა:

— ვერა იურიევნა! თავადის ცოლო! თქვენო ბრწყინვალეზავ! თქვენო სიძვის დიაცობავ!.. ჰეი, ვასილი ალექსეევიჩ, პოლკოვნიკო! (ვერა იურიევნას თავი არ აუწევია, სავარძელში არ შერხეულა, მშვიდად გაიფიქრა: „ხულიგნები, ბანდიტები, რატომ ტიფი ან ტყვია არ დაეტაკება ამათ?..“).

ავტომობილი წავიდა. სახლში ოთხივე შევიდა. ღია ფანჯრიდან გამოსული შუქი მოთიბულ მინდორს დაეფინა. სასადილოში ჭურჭელი წკარუნებდა. იფეთქა საცობმოსხნილმა ბოთლმა, და შემდეგ გაისმა ჰაჭეტ ლაშეს გაღიზიანებული ხმა:

— ეს გომბიოები უჩემოდ სკდებიან ლორებივით. ბატონებო, ბატონებო, კონიაკით ნუ იწყებთ, ჩვენ მთელი რიგი სერიოზული საკითხები გვაქვს...

ამ დროს ვერა იურიევნა ადგა და ნელა მივიდა სახლთან. მან ბოლომდე მოუსმინა სასადილოში შემდგარ სხდომას.

— წინასწარი მზადება დამთავრებულია... — ამბობდა ლაშე. — ღიგა ურთიერთთავდებობით დაუკავშირდა პარიზს, ლონდონს, ვაშინგტონს, კოლჩაკს, დენიკინს...

იზვოლსკი თავაზიანად:

— უკაცრავად, კოლჩაკს და დენიკინს თავისი მეშვეობით დაუკავშირდით?

— კოლჩაკს დენიკინის მეშვეობით, დენიკინს — გენერალ იანოვის მეშვეობით, შემდეგ დავუკავშირდით ემიგრანტულ ცენტრს და ნავთობის უდიდეს ჯგუფს. ახლა მე ეს შემძლია გავამხილო, ბატონებო: ჩვენ ძალიან ვაინ-

ტერესები დეტერდინგს... ლიგას ვერავენ ავენებს... უკვე მოქმედებას უნდა შევუდგეთ...

(პაუზა. იზვოლსკი: „დიდი ხანია დროა“; ბიტენბინდერი: „ვაშააა“; ეტინგერი: „სინდისს ვფიცავარ, ჩვენ უკვე მთლად უფულოდ ვარფუტუნებო...“).

— აი, გენერალ ვისერის მიერ ჩემს აქ არყოფნაში შეცხებულს... — განაგრძო ლაშემ. — ჩვენ მას განვიხილავთ და დავადგენთ რიგს. პირველი ნომერი: მეზღვაური ვარფოლომეევი...

იზვოლსკი:

— გავისტუმროთ საიქიოში.

ეტინგერი, სხვათა შორის:

— ეს მაგრად გაგვაწვალებს...

— მეორე ნომერი — სახალხო კომისარ კრასინის ოჯახი.

იზვოლსკი:

— კი მაგრამ, ეს რას მოგვცემს?

— ეს თვით კრასინს მოგვცემს...

— აჰა... არ ვდაობ...

— მესამე — სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენელი ვოროვსკი... ის ჯერ კიდევ სტოკპოლმშია. მაგრამ მის ამბავს, ისევე როგორც კრასინისას, მე ცოტათი გადავწევდი, ბატონებო, უფრო სწორად, საქმეს მათგან არ დავიწყებდი. მეოთხე — ესეც პოლიტიკური ხაზითაა... მე ვლაპარაკობ რუსეთიდან ამას წინათ ჩამოსულ იდუმალ პიროვნებაზე. ჩვენი დაზვერვა მას მეტსახელით იცნობს, „ცისფერსათვალისანი“ ჰქვია... ნამდვილი სახელის დადგენა ვერ მოხერხდა. დღეს გრაფმა დე მერსიმ მითხრა, რომ პარიზში შეკითხვა გაგზავნა, ხოლო სიურტემ უპასუხა: მოსკოველმა აგენტმა გეაცნობა, ევროპაში შეიძლება გამოჩნდეს ცისფერსათვალისანი, უკიდურესად საშიში პიროვნებაო...

— მე მაგას ვიცნობ... — იყვირა ბიტენბინდერმა, — ცისფერსათვალისანი ხარკოველი ჩეკისტია... ამ ვაჟბატონს ნემსები უნდა შეურჭო ფრჩხილებქვეშ!

— დეტალებს შემდეგ განვიხილავთ... სიაში მეხუთე ლევი ლევიცკია (თანამოსაუბრეთა კმაყოფილი ღრიალი...), და ბოლოს მეექვსე — არდაშევი... (კვლავ მოწონების შეძახილები.) ეს სამეული — ლევიცკი, არდაშევი და ვარფოლომეევი — არავითარ პოლიტიკურ უსიამოვნებას არ გამოიწვევს, აქ შეიძლება უკანმოუხედავად იმოქმედო; ამას გარდა, ბატონებო, თვითონ გესმით, რომ აქ მატერიალური ამბავია... ამიტომაც წინადადებას ვიძლევი ამ სამეულით დავიწყოთ... ნაღდ პოლიტიკას კი მეორე რიგში მოვკიდოთ ხელი...

ბიტენბინდერი:

— ყოჩაღ!

ეტინგერი:

— წინადადებას მხარს ვუჭერ...

შემდეგ იზვოლსკი ცივი ხმით:

— არა ვარ თანახმა.. ბატონებო, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავამართლოთ ჩვენი სახე... ჩვენ ვიბრძვით შეგინებული და ჯვარცმული მონარქიისათვის... ჩვენ — თეთრი ორდენის ძმები — ვებრძვით ბოლშევიკებს, ესე იგი: სიონის ბრძენკაცების აგენტებს, ებრაელობას მთლიანად და მის კუდებს — რუს ლიბერალებს და ინტელიგენტებს. ჩვენი ამოცანაა რუსეთს და-

ცუბრუნოთ ძველისძველი სალოცავი და ავადორძინოთ ოქროს ხანა, როცა სახელმწიფო წყობილება ზეციურ იერარქიას ჰგავდა: ხალხი მშვიდი და სულიერად სპეტაკი გახლდათ, უზენაესი ძალები ზრუნავდნენ და იღვწოდნენ/მისთვის. გლეხი მაძლარი, ჯანმრთელი და მხიარული იყო. მამობრივი მზრუნველობით გარემოსილი ბეჯითად შრომობდა და ჰქონდა ხილული მიზანბრუნვის ბატონი—თავისი მამა. თავის მხრივ, ბატონის მაღლა იდგნენ უზენაესი ძალები და მთელ ურყევ სისტემას იფარავდა მირონცხებულის ყარყუმის მოსასხამის დიდება. ადვილად სუნთქავდა. ადვილად ცხოვრობდა კაცი... ჰოდა, ბატონებო, ვფიქრობ, ჩვენი პირველი აქტი წმინდა პოლიტიკური უნდა იყოს. ესაა ჩვენი პირველი ვალი, ამით თავს ზნეობრივად ავიმაღლებთ და თამამად შევხედავთ სახეში მეგობრებს... სხვანაირად ლიგა წვრილმან ოპერაციებზე დახურდავდება...

იზვოლსკის სიტყვა ბიტენბინდერის ბლავილმა შეაწყვეტინა:

— კარგი წვრილმანი ოპერაციებია! ლევი ლევიცკის ნახევარი მილიარდი კრონი აქვს მიმდინარე ანგარიშზე...

— თქვენ მე ვერ გამიგეთ, პორუჩიკო ბიტენბინდერ, წვრილმანს ვამბობ ზნეობრივი მნიშვნელობით...

— ო, ეს უკვე სათუთი რამაა!...

ლაშემ რბილად მიმართა იზვოლსკის:

— ნუ დაივიწყებთ, რომ დიდი პოლიტიკური პიროვნების სიკვდილით დასჯის ორგანიზაცია უზარმაზარ წინასწარ ხარჯებს მოითხოვს. ჩვენთვის გამყოფოლი თანხები ზღვაში წვეთია. თანაც წვეთი ზღვაში და არა ჩვენთან... ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, სალარო უნდა შევივსოთ... ამროგად, ლევი ლევიცკის, არდაშევიტა და ვარფოლომეევის საკითხი გადაწყვეტილად მიმაჩნია... ამ პირების ხელში ჩაგდება ჩემეული გეგმა ასეთია...

ნალიმოვმა გაიღვიძა, ელნათურა აანთო და ვერა იურიევნას დაელოდა.

ქვემოთ სასადილოში ბურტყუნი ისმოდა. სახლის ხის კედლებს მშფოთვარე რეზონანსი ჰქონდა, თითქოს ბობოქარი აზრების ტალღები სხვენამდე აღწევდა, მიქროდა ლამეში, აგვისტოს ვარსკვლავები რომ მიექარგ-მოექარგა სახლის ზემოთ.

ნალიმოვმა ზახტად გაიფიქრა: „თათბირობენ..“ კი მაგრამ, ვერა იურიევნა სადაა? უცებ ისე შეეცოდა იგი, შეიჭმუნა და მკერდი მოისრისა იქ, სადაც ურუ ტკივილით ეკუმშებოდა ლოთობას გადაგებული გული. „დიახ, ძმაო ჩემო... დრო, დროა... კმარა, საკმარისია. დროა, ძმაო ჩემო...“

ნალიმოვის საწოლქვეშ ჩემოდანში ჩალაგებულ დაჭმუჭნილ თეთრეულსა, საპნის კოლოფსა, საპარს მოწყობილობასა, ჭუჭყიან საყელოებსა და სხვა რაღაც-რაღაცებს შორის პატარა ბრაუნინგი იდო... ეს ნალიმოვის სიკვდილი იყო დამალული ისევე შორს, როგორც უკვდავი კოშჩეის.

„დროა, დროა!“ — გაიმეორა ნალიმოვმა, მაგრამ არც განძრეულა. მაშასადამე, ჯერ კიდევ არ იყო „დრო“. არ იყო, ვინაიდან ნალიმოვის გარდა არსებობდა ვერა... „ო, ქალიც ავიკიდე... ისე, ვთქვათ და არ ამეკიდა? ამ ამბავს თავს მაინც ვერ აარიდებდი, ძმაო ჩემო, სულ ერთია ვერ აარიდებდი, ვერა არ იქნებოდა, სხვა იქნებოდა, სწორედ ამგვარი ქალი იქნებოდა. დიახ, ძმაო, ადამიანი მაინც სიცოცხლისუნარიანია...“

ფრთხილად გაიჭრიალა კარმა. შემოვიდა ვერა იურიევნა.

— ჩამოვიდნენ, — ჩურჩულით თქვა და ნალიმოვის ფეხებთან დივნებზე ჩამოჯდა, შესაბრალისი სახე ჰქონდა, გუგები თვლების ოდენა გახდომლდა. — ამასაც მოვესწარიტ...

ვასილი ალექსევევიჩმა რაც შეიძლება მშვიდად ჰკითხა: *კიქნენში ბიზნიქსიქა*

— მაინც რა მოხდა?

— ხვალდან იწყებენ... როგორც ყასბები... გესმის, როგორც ყასბები!.. რა არის ეს?! — ვერა იურიევნამ უხმოდ გადაიმტვრია ხელები.

— გინდა პოლიციას შევატყობინოთ?

— აჰ, მათ ყველაფერი გასაიდუმლოებული აქვთ... ყველგან მხარს უჭერენ. ყველაფერი გათვალისწინებული აქვთ. დამშვიდებულნი ბრძანდებიან! გაიგე, რალაც ფანტასტიკური ბოროტმოქმედნი არიან!

ვასილი ალექსევევიჩს სადღაც ნაწლავებში გააკანკალა. ფროთხილად ჩამოსწია ფეხები დივნიდან. ვერა იურიევნას თვალის გუგები დაუფიწროვდა. იგი თვალმოუშორებლად აკვირდებოდა ნალიმოვს. დიახ, ნალიმოვს გადაწყვეტილება უნდა მიეღო... მოდუნებული ნებისყოფა, დიდი ხანია ბრძანების გაცემას რომ გადაჩვეოდა, სადღაც ნაწლავებში უთრთოდა.. მაგრამ ესმოდა: „კედელთან ფიწლით მიგიმწყვდიეს და თავი დაიძვრინე...“

— ვერა, თუ შეგიძლია გავიქცეთ...

ვერა იურიევნამ სწრაფად ჰკითხა:

— სად?

— ჯერ კიდევ არ ვიცი... შემდეგ ვნახავთ... ყოველ შემთხვევაში რალაც იმედი გვექნება... (ვერა იურიევნას თვალის გუგები აუთამაშდა.) აქ კი გამოგიყენებენ და მოგსპობენ, როგორც არასაიმედო მოწმეს... შენც, ლილკასაც და მაშასაც...

— ვიცი... დიდი ხანია ველოდი... ეს ხომ საყასბოა! ახლავე უნდა გავიქცეთ, — ისინი, მგონი დათვრნენ. გავიქცეთ ფინეთში და ჰეტროგრაღში! საზღვარზე დაგვიჭერენ და მათ ყველაფერს ვუამბობთ... მე ვეტყვი... (ვერა იურიევნა გაიჭიმა, თვალის გუგები წერტილებად ექცა.) ბატონო კომისარო!.. თქვენთან მოვრბოდით, რათა გავგვეფროთხილებინეთ საშინელი დანაშაულის შესახებ... ჩვენ მკვლელების ბანდას ვეკუთვნით. თუ საჭიროდ მიიჩნევთ, დაგვხვრიტეთ... აკი სულ ერთია, ვასია!

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... მე ასეც კი ვეტყვი: სასიამოვნოა, იყო მაყურებელი, მაგრამ დგება უამი, როცა არ შეიძლება იყო მაყურებელი... აქ, რა თქმა უნდა, საფრთხეზე არაა საქმე... მაგრამ საზღვარი აქვს სიბინძურეს, სისაძაგლეს...

— ჰო, ჰო, ჰო...

— ახლა პრაქტიკულად: რა თქმა უნდა, გავიქცეთ დღესვე, ახლავე... თან წავიღოთ ფული და დრაფის პალტო... როცა მივალწევთ, იქ უკვე წვიმები იქნება, პიტერში კი თბილ ტანსაცმელს ვერ იშოვი. დიახ! წაღები ჩაიცივი... მე კი სასადილოში წავალ და მათ კარგად დავათრობ...

— თვითონ არ დათვრე, ვასია...

— კარგი ერთი!.. გზატკეცილზე დამელოდე... ჯერ კიდევ მივუსწრებთ სტოკჰოლმში მიმავალ მატარებელს...

ვერა იურიევნა მდუმარედ მოეხვია, შუბლით, ცხვირით, ტუჩებით მიეკრა ნალიმოვის ქილეტს. ნალიმოვმა ვერას თავი გადაუწია, თმა აუჩეჩა, ქალის

აღელვებულ სახეს თითით დაემუქრა:

— არ წახდე!

— არა... წადი...

ამ დროს კარს ხელი ჰკრეს. ოთახში შემოვარდა ჰაჯეტ ლაშე, მის ქვალდა-კვალ: იზვოლსკი და ბიტენბინდერი. ჰაჯეტ ლაშეს ჩოფურა ახლავდა სახე იმანჭებდა, თრთოდა, ცდილობდა ნიღაბი ჩამოეგლიჯა. ლაშეს ყელში სიბრაზე მოსწოლოდა, სისინებდა, ენა ებმებოდა და დორბლებს ჰყრიდა. ვერა იურიევნამ ძრწოლით დაიხია უკან.

ბიტენბინდერი ნალიმოვთან მივიდა და რევოლვერის ტარი ცხვირის ფუტეში ჩაართვა. ვასილი ალექსეევიჩმა თავზე იტაცა ხელი, დივნისკენ შებრუნდა, მის თითებს შორის სისხლმა გამოეონა. ვერა იურიევნამ იკვილა. იზვოლსკის ცალყბად ჩაეცინა:

— ბატონებო, ჩვენ ყველფერი გავიგონეთ... გთხოვთ, ოთახიდან არ გახვიდეთ... მოვითათბირებთ და განაჩენს გამოვიტანთ...

სტოკპოლმის ერთ-ერთი გაზეთის შემთხვევების განყოფილებაში ასეთი შენიშვნა გამოქვეყნდა:

„იდუმალ ვითარებაში გაქრა რუსეთის საელჩოს კურიერი ვინმე კალვე-ლაპარაკია საბჭოების საელჩოზე, რომელმაც ხელთ იგდო მეფის საელჩოს შენობა, მეფის საელჩო კი ახლა იძულებულია ქალაქის გარეუბანს შეაფაროს თავი. კალვეს ნამდვილი გვარია კალვე-ვარფოლომეევი. ეს გახლავთ რუმინეთში წასული მეფის ჯავშნოსან „პოტიომკინის“ ერთ-ერთი მეზღვაური. როგორც ცნობილია, აჯანყებულებს საერთაშორისო სამართალი იცავდა და თავისუფლად ცხოვრობდნენ ევროპაში თავთავიანთი სახელით. ვარფოლომეევის მიერ გვარის შეცვლა გვაფიქრებინებს — ბომ არ ჰქონია მას განზრახვა სისხლის სამართლის პოლიციას დამალვოდა?“

„...სტოკპოლმის პოლიციამ აქამდე ვერ მოახერხა კალვე-ვარფოლომეევის გაჭრობის მიზეზის ახსნა, აგრეთვე ისიც — დანაშაული მოხდა თუ კალვე-ვარფოლომეევის რაღაც საიდუმლო ამოცანები უნდა შეესრულებინა და ამიტომ გაჭრა...“

ამ შენიშვნას გამოეხმაურა რეველის (რუსული) გაზეთი. მან გამოაქვეყნა ცნობილი რუსი ემიგრანტი მწერლის ნ. ნ.-ს წერილი, რომელიც ანტანტის ხალხებს უდიდესი ტემპერამენტით კიცხავდა:

„...თქვენ, თქვენი ცივილიზაციით, სიძლიერითა და სიმდიდრით მოამაყენო, თქვენ, გამარჯვებისა და მშვიდობის ნაყოფით კმაყოფილნი, თქვენ, უახლოეს მაღაზიაში რომ გულარხეინად უშვებთ თქვენს მსახურთ პურისტვის, ხორცისტვის, შაქრისა და პაპიროსისათვის, თქვენ, გამძლე წაღებსა და ძვირფას სამოსში გამოწყობილნი, უშიშრად რომ დასეირნობთ ბრწყინვალე ქალაქების ქუჩებში, თქვენ, დამღამობით რომ ძრწოლით არ იღვიძებთ მოახლოებული ავტომობილის ხმაურზე... თქვენი კეთილდღეობის სიმძლიდრედ მშვიდად დასცქერით გასისხლიანებულ რუსეთს, სადაც თქვენს ძმებს, — ვაქვათ, უმცროს ძმებს, — არაფერი არა აქვთ, გესმით, არა აქვთ ადამიანისა და მოქალაქის ელე-

მენტარული უფლებები!... ჩვენ ანტიქრისტეს ფორმულით არ გვაქვს პური! თქვენ კი გესმით ჩვენი განწირული ქვითინი და არ მოიჩქარით დასახმარებლად... უფრო მეტიც... თავშესაფარს აძლევთ ბოლშევიკებს და მათ დამქაშებს, ნაცვლად იმისა, რომ რკინის გალიებში ჩასვით მხეცებივით. მერე და იცით, რას გიმზადებენ ბოლშევიკები თქვენ, რას უმზადებენ თქვენს ცივილიზაციას, თქვენს სიმშვიდეს? ო, ჩვენ, რუსებს. შეგვეძლო გვეამბნა იმ საშინელებათა შესახებ, რომელთა წინაშე ყველაზე ავადმყოფური ფანტაზიაც კი გახუნდება!“

შემდეგ სამ სვეტში ჩამოთვლილი იყო ბოლშევიკების საშინელებანი. მერე ავტორი გადადიოდა კალგე-ვარფოლომეევის — ამ „გორილას მაგვარი მხეცი ბოლშევიკის“ ბიოგრაფიაზე. ავტორს არ ეეჭვებოდა, რომ გორილას მაგვარმა კურიერმა პოლიცია ცრუ კვალზე დააყენა დ სინამდვილეში უნგრეთში გაემგზავრა დანაშაულებრივი რევოლუციის ცეცხლის გასაჩაღებლად.

წერილის ამონაწერები სტოკჰოლმის გაზეთმა გადაბეჭდა. რის შემდეგ საბჭოთა სუელჩოს წინ ჭრელი ბრბო შეიყარა და ცდილობდა სადარბაზოში შეჭრილიყო. მაგრამ როცა მარცხი განიცადა, ანდრიას დროშა აათრიალა და ქვებით ხალეწა პირველი სართულის ფანჯრები.

„გრანდ-ოტელის“ მსახიობთა საპირფარეშოში მარი მხრებს იპუდრავდა. გვერდითა სარკესთან შიშველ, მქრქალ ლიმონისფერ სულ ახალგაზრდა მულატ გოგოს ბარძაყებზე გამხდარი ხელები მიებჯინა, წამწამები ნახევრად დაეხარა და ჟიგას ნელა ცეკვავდა. გახდილი საცვლების, მუყაოს კოლოფებისა და ხელოვნური ყვავილების ქაოსში ექვსი „გიორღის“ სპორტულ ქვედაკაბებს იცაამდა.

ასსანთლიანი ნათურების მძაფრ შუქზე ქალების სახეები თოჯინას სახეებივით ჩანდა, ხოლო თვალები — უსიცოცხლონი, გამჭვირვალენი; ლაპარაკობდნენ ცოტას, ხმადაბლა. პროფესიული შეურვებულობით. სულს უბერავდნენ პუდრის წასასმელ ბუმბულას, საქმიანად იმოწმებდნენ მიმოხრას, სახის გამომეტყველებას, სხეულის მობრუნ-მიბრუნებას — იმავე დიდი ჯაფით მოცუნებულ და ზუსტად გაანგარიშებულ მოძრაობებს, რომელნიც ყოველ საღამოს ესტრადაზე აღმგზნებ ქალურობად იქცეოდა. იქიდან, ფიცარნაგიდან ქალები ამჩნევდნენ ნომრის წარმატებისთვის ნორმის შესაბამის რაოდენობას მათკენ მოპყრობილ მამაკაცთა სახეებისას, ნორმის შესაბამის ავხორცულ გულისთქმას. ისინი სავაბშმოდ დამსხდარ მაძრებს ამ ნორმაზე მეტად არ აღაგზნებდნენ. ყოველი ზედმეტი მოძრაობა ბიფშტექსგამოტენილ წითელი სიფათის მხარეს მოსაბეზრებელი, არაპროფესიული და ბინძური იქნებოდა. მარი პირველი დღეებიდანვე მიხვდა, სად იყო ეს ზღვარი. მომღერლების, მოცეკვავეების, „გიორღების“, ჯამბაზებისა და ფოკუსების ოსტატთა წრეში მან მივიწყებას მიცემული ისეთი მოთხოვნილება იგრძნო პატივისცემისა, ამხანაგური ალერსისა, მეგობრობისა, რომ ოფლისა და პუდრის სუნით გაუღენთილი ეს ვიწრო საპირფარეშო გახდა ხსნის კუნძული, საითაც ყურებამდე ჭუჭყითა და სისხლით მოსვრილს ისე მიუწევდა გული. როგორც სუფთა ჰაერზე. აქ არასდროს არაფერზე არ ეკითხებოდნენ, მეგობრულად და ყურადღებით ექცეოდნენ, პროფესიული

პატრივისცემით ეკიდებოდნენ ლოთობისგან ჩახრინწულ მის ხმასაც და იმ უბადრუკ სიმღერებსაც, რომელთაც ესტრადაზე მღეროდა.

მარიმ მხრები გაიპუდრა და თავზე კილიტებიანი კაბა გადმოიცვია. კაბას შესაბნევი ზურგზე პქონდა და მარი შიშველ მულატ ქალიშვილთან მივიდა, წყნარად რომ ცეკვავდა ჯიგას.

— უნდა გახდეთ, მაშა, — უთხრა მულატმა კაბის შებნევისას და გვერდზე მოდებულ ქონზე უჩქმიტა. — აქ ეს არაფერია, პარიზში კი ფონს ვერ გახვალთ ამ გვერდების პატრონი, ნულარ ჭამთ ტკბილეულს და ცომეულს.

— ვახშმები მღუპავს, — გულისტკივილით მიუგო მარიმ. — უნდა ავიკრძალო.

ქალიშვილმა მარის კაბა შეუბნია და ალერსით უჩქმიტა უკანალზე. მარიმ დიდპირა და თითქმის ბრტყელცხვირა მულატს პატარა სახეზე აკოცა. მულატმა ალერსიანად გაუღიმა კოცნაზე. მარი სარკესთან დაბრუნდა: „პო, მსუქანი ვარ...“ — გაივლო გულში.

— მარი, შეიძლება?

ნახევრად ღია კარში თავი შემოყო ფერმიხდილმა ლილიმ. თვალები ჩიტისა პქონდა, მრგვალი, საძაგელი. მარი აჩქარებით გავიდა გარეთ:

— რატომ მოდი? ხომ იცი, არ მიყვარს.

— მარი... (აკანკალებული ხმით აჩურჩულდა ლილი.) ისევ დავალება მაქვს...

— მერედა, მე რა შუაში ვარ?

— შენ ყოველთვის არაფერ შუაში ხარ, მარტო მე უნდა ვიმტვიროთ თავი... მისმინე, ის კალვე თურმე, მე რომ აგარაკზე მივიყვანე, გაქრა... გაზეთშია დაბეჭდილი — პოლიცია ეძებსო...

— ჩუმად! — მარიმ კარი მიხურა. — მერედა გაიგე რამე?

— ვერაფერი გაიგე. გესმის, როცა იგი ბალ სტანესში წავიყვანე, მიბრძანეს „გრანდ-ოტელში“ დაბრუნდი და დილაამდე ელოდე მარისო... სწორედ ამ დროს, დარწმუნებული ვარ — მათ იგი... (ლილი ასლუკუნდა.) მეშინია, მაშა... ახლა ლევი ლევიცკის მიყვანა მიბრძანეს.

— ვერას ელაპარაკე?

— რას ამბობ!.. მასთან მისვლა საშიშია...

ერთხანს იყუჩეს. კულისების ხავერდის ფარდის იქით ესტრადაზე ორკესტრს სწყობდნენ. ჩაიარა ოთხმა კაცმა. მათ კუბოკრული, საყელოებაწეული ხალვათი პალტოები ეცვათ, ხაოიანი კეპები ეხურათ. ხელში პატარა ერთნაირი ჩემოდნები ეჭირათ. ესენი იყვნენ ძმები პიპსპოპსები — საპაერო ექსცენტრიკოსები. უკანამ მარის ალერსიანად დაუქნია თავი. მარი ზიზღისაგან აკანკალდა და ლილკას წყნარად უთხრა:

— ჯანდაბას თქვენი თავი... მომწყდი თავიდან!

ლილკამ მხრები აიჩეჩა და წავიდა, უკან არ მოუხედავს. თავზე, ისევე როგორც მანეკენს, უაზროდ, მასხარას ჩაჩივით აფშეკოდა პატარა ქუდი.

ლილი ვესტიბიულში ჩვეულებრივ ადგილას, ბუხართან იჯდა.

განუწყვეტლივ იღებოდა და იხურებოდა მინის სადარბაზო კარი. შემოდინდნენ და გადიოდნენ ადამიანები, დარწმუნებულნი, რომ ამქვეყნად ნებივრად ცხოვრების უფლება პქონდათ, მოცურავდნენ და მიცურავდნენ მსახურთა ზურგზე შედგმული ბარგის ვეება გორები. უხმაუროდ გაჩერებული ლიფტებიდან

ზღაპრული ქონდრისკაცებივით გამოხტოდნენ ლივრეიანი ბიჭები, რომელთაც ქურთუკებზე უამრავი პატარა ბრჭყვიალა ღილი ეკერათ. ლივრეების კოლოფებში შედიოდნენ დარწმუნებულნი და ამ დარწმუნებულთა ქალები; და მათთვის, მხოლოდ ამ მიწიერი ღვთაებებისთვის ახვევდნენ აბრეშუმს აბრეშუმის ქიები, ვეებერთელა კაშალოტები ამბრს აგროვებდნენ საშარდუ ბუშტეში, მიწაში ქვანახშირი აღმასად იქცეოდა, ჩრდილოეთის ციალის ქვეშ ვერცხლისფერი ედებოდა სიასამურს და კაცობრიობის ოთხმოცი პროცენტი მათთვის მოიპოვებდა ამ თუ სხვა მშვენიერ ნივთებს, სამაგიეროდ კი წილად ხვდებოდათ ნოკრძალებული ბედნიერება — მიწიერ ღვთაებათა ლამაზი ცხოვრებისთვის ეცქირათ, ღვთაებებისა, რომელნიც ასე მარჯვედ და ცივილიზებულად სარგებლობდნენ ბუნებისა და ადამიანის ხელების საბოძვარით.

დარწმუნებულთა შორის უცხო მარტო როსკიპი ლილკა იჯდა, შეშინებულ ღიტი მრგვალი, სულელური თვალების პატრონი. წინა კვირას მან ჰაჯეტ ლაშეს დავალება შეასრულა — ბალ სტანესში ვარფოლომეევი მიიყვანა. ეს ამბავი ასე მოხდა: წინასწარი თვალთვალთ დადგინდა, რომ ვარფოლომეევი ანტიკვარულ მალაზიაში დადიოდა და აღმოსავლური ხალიჩების ფასებს კითხულობდა. ლილი ვესტიბულში ვარფოლომეევეთან უნდა მისულიყო და ეთხოვა, როგორც თანამემამულე მწუხარების ეამს მხარში ამოდგომოდა: ვითომ მოხუცი დედა სიკვდილის პირას ჰყავდა, ყველაფერი გაყიდული და დაგირავებული ჰქონდათ, მხოლოდ სადღაც ერთი ნივთი — სპარსული ხალიჩა შემორჩენოდათ და მას თუნდაც ორმოცდაათ კრონად გაყიდდა... თუ ვარფოლომეევი ჰკითხავდა, ხალიჩა საიდან გაქვსო, აუხსნიდა — განსვენებული მამა — წარმოშობით შვედი — რუსეთში მუშაობდა, მაგრამ ჯანმრთელობა ხელს არ უწყობდა, რის გამოც სამსახური დატოვა და ჯერ კიდევ ომამდე ოჯახითურთ სტოკჰოლმში გადმოვიდა. ხალიჩა კი მისმა ყოფილმა უფროსმა აჩუქაო.

როცა ლილი ვესტიბულში ვარფოლომეევეთან მივიდა და გამოელაპარაკა, ჰაჯეტ ლაშე და ბიტენბინდერი ორ ნაბიჯზე იდგნენ. ლილის თითქოს ჰიპნოზი ჰქონდა გაკეთებული. ვარფოლომეევი თავდაპირველად ეჭვით უსმენდა, მაგრამ ლილის მღელვარებისგან ცრემლი მოადგა და ისე უთავბოლოდ და საცოდავად ლულულულებდა, ვარფოლომეევს ფართო სახე უცებ მრუღბა, თვალებთან საფეთქლები დაუნაოჭდა. მოულოდნელად ლამის ყველაფერი ჩაიშალა: ვარფოლომეევემა ლილის უბრალოდ სესხად შესთავაზა ორმოცდაათი კრონი. ლილი დაიბნა. მას ჰაჯეტ ლაშეს შავი თვალები ჩააშტერდა. ლილიმ თავის ქნევა დიწყო. ვარფოლომეევემა ფული ამოიჭო. ამ დროს ჰაჯეტ ლაშე მტკიცედ ჩაერია საქმეში.

— უკაცრავად, ქალბატონო, — უთხრა ლილის. — მე შემთხვევით მოვკარი ყური, თუ რა შესთავაზეთ ბატონ... (ჰაჯეტ ლაშემ ჭედმალლოურად დაუკრა თავი მოღუშულ ვარფოლომეევს.) სპარსულ ხალიჩაში შემეძლო უფრო მეტი გადამეხადა.

ლილიმ მის სუსხიან მზერაზე მიუგო, მე უკვე მოველაპარაკე ამ ბატონსო... ლაშე ბუზღუნით გაშორდა... ვარფოლომეევემა ისურვა ახლავე ენახა ხალიჩა. ლილიმ სთხოვა სადამომდე მოეცადა. სალამო ხანს ისინი სასტუმროს შესასვლელთან შეხვდნენ ერთმანეთს და მომლოდინე ტაქსში ჩასხდნენ. საჭეს გენერალ გისერის შვილი ჟორჟიკი, თავზებელალებული ავტომობილისტი უჭდა. ქა-

ლაქის ხალხმრავალ ნაწილს რომ თავი დააღწიეს, ელვის სისწრაფით გააქანა მანქანა ბალ სტანესისკენ.

მთელი საქმე ისე გაიჩარხა, უკეთესი არ იქნებოდა. ვარფოლომეევი მაშინაც კი არ დავკვებულა. როცა ლილიმ ბნელ შენობაში შევიყვანე, სთხოვა ზემოთ სასტუმროში აპკოლოდა და, სინათლე არ აუნთია, იქვე დავტყუდი იქ მარტო.

ლილი მაშინვე სტოკჰოლმში წაიყვანეს. დილით ის და მარი უკან რომ დაბრუნდნენ, აგარაკზე აღარავინ დახვედრიათ. ვერა იურიევნას კი თავისი ოთახი ჩაეკეტა და ხმას არ იღებდა. მოულოდნელად ლილიმ შეამჩნია, რომ მისი კუთვნილი ოთახი არეულ-დარეული იყო — საწოლიდან საბანი აეგლიჯათ, ზეწრები გამჭრალიყო. ლილიმ და მარიმ ორივე სართული მოიარეს: ყველაფერი ადგილზე იდგა წინანდებურად, ოღონდ სასტუმროში პარკეტის იატაკი თითქოს ცოტა ხნის წინათ მოეწმინდათ. კვლავ ვერა იურიევნას მიაკითხეს. ვერა იურიევნამ ისინი ოთახში არ შეუშვა, გველივით სისინებდა კარს უკან... თუმცა მისი ასეთი განწყობილება შეიძლებოდა ადვილად აგეხსნათ პარიზში ნალიმოვის მოულოდნელად გამგზავრების შემდეგ.

ლილი მოვლენებში ჩაღრმავების ნიჭით არ გამოირჩეოდა. ამჯერადაც თავი მოარიდა გაუგებარ ამბავს, მაგრამ გუშინდელ საღამოს გაზეთში წაიკითხა: პოლიცია „საიდუმლო დანაშაულის კვალს მიჰყვება“... „ვარფოლომეევი გაქრა თუ მოკლეს?..“ „ვინაა ის — მსხვერპლი თუ დამნაშავე?..“ და შიშისგან კუქ-ნაწლავი აეშალა. მთელი ღამე ყოველ ფაჩუნს აყურადებდა, მაგრამ პოლიცია ბალ სტანესში არ გამოჩენილა. დაიწყო კატასტროფის გულის გამაწვრილებელი ლოდინი. მთელი სხეული თითქოს უხილავი ხელკეტებით დაუჩიჩქვებს: ახლა ლილი ვესტიბიულში იჯდა და ძარღვებაწეწილი ელოდა მჭეჭარე ხმას: „ქალბატონო, გამომყევით...“

ამჯერად პაჩეტ ლაშემ უბრძანა ლევი ლევიცი მოეყვანა აგარაკზე. ლევი ლევიციის ისევ დაანახეს ვერა იურიევნა. ლილიმ მას წინა დღით გაკვეთილზე აცნობა, თავადის ცოლი ხვალ იუველირთან იქნება სტოკჰოლმში. ლევი ლევიციმ ლილის სთხოვა, წამომყევით... ისინი დიდხანს იდგნენ ტროტუარზე ოქროულობის მაღაზიის წინ. ვერა იურიევნა მანქანით მოვიდა, გადმოვიდა, შეჩერდა ვიტრინასთან, სადაც შავ ხავერდზე სხივებს აბზინებდნენ ძვირფასი ქვები. ეცვა ვერცხლისფერი სიასამურის ბეწვის ქურქი, ფერმიზდილი და გასაოცრად მშვენიერი იყო. ვიტრინის წინ, ქუჩის ზემზიმში მდგარმა მაღალ-მაღალმა და მიუწვდომელმა ვერა იურიევნამ ლევი ლევიციის კეთილგონიერების ნატამალი არ შეარჩინა. ლევი ლევიციმ გამოლაპარაკება დააპირა, მაგრამ ვერა იურიევნას იგი არც შეუმჩნევია, მანქანაში ჩაჯდა და დაღმართზე მიმტროლავ მანქანებსა, ავტობუსებსა და ტრამვაებს შორის გაქრა...

ლილის გვერდით დივანზე მძიმედ დაებერტყა ლევი ლევიცი. ლილი გაშეშდა. ლევი ლევიციმ ცხელი ხელი მუხლზე დაადო:

— როდისღა, როდისღა ენახავ, ელიზავეტა ნიკოლაევნა? ალბათ ხვალ?

— დიახ... (ოდნავ გასაგონად მიუგო ლილიმ.) ხვალ... საღამოს...

— რამემ გუნება გაგი უუქათ, ჩემო თვალისჩინო? აბა, აბა, აბა... (ლევი ლევიციმ მუხლზე ხელი აოუთათუნა ლილის.) მას მხოლოდ ჩემ შესახებ უჩურობდნენ და თქვენთვის არაფერს დავიშურებ...

ლილიმ ნერწყვი გადაუღება — მაგრამ ამან არ უშველა: უცებ ღვარავით

წასკდა ცრემლი და სახე ცხვირსახოცში ჩარგო. ლევი ლევიცკიმ ხელები მხურვალე გულსხმიერებით მოუჭირა ზელებზე, მისკენ დაიხარა:

— ჩემო გოგონი, ასე ვინ გაგიფუჭათ გუნება? რით შემოძლია დაგეხმაროთ? ვაი-ვაი-ვაი... — ფული ხომ არ გინდათ, ჰა? ეჰ, კარგი თქვენ მამა ლევი ლევიცკი რის მაქნისია? აბა, ჩემო თვალისჩინო, ნომერში წაგვადგინე და გვუღახდილად მითხარით ყველაფერი, როგორც ლევილ ძმას...

ლილიმ ხელისგულები მოიჭირა აკანკალებულ პირზე, რომ მთელი ვესტიბიულის გასაგონად არ აღრიალებულიყო. დარწმუნებულთაგან ზოგი უკვე აღშფოთებით იყურებოდა მათკენ... მაღალი მაგიდის იქით მეკარემ შუბლი შეიკრა. მაშინ ლილიმ ქუდი მოიძრო და სახეში მიიფარა. კიდევ წამი და მკერდში ჩაეკვრებოდა ამ კეთილ ლევი ლევიცკის, ქვითინით გადმოუშლიდა მთელ თავის დატანჯულ გულს. მაგრამ ამ უგუნური ნაბიჯის გადადგმა დროულად გადააფიქრებინა ბიტენბინდერის დაყინებულმა მზერამ. პორუჩიკს სმოკინგი ეცვა, ცილინდრი ეხურა, ხელზე შავი ლაბადა ჰქონდა გადაკიდებული.

— არა, ეს იმის ბრალია, რომ ჩემი დედიკო სიკვდილის პირასაა, — წაილულულა ლილიმ.

ლევი ლევიცკის პეტლიურელების მიერ აჩეხილი მამა გაახსენდა. ქალიწვილი გულწრფელად და გულმხურვალედ შეეცოდა და დაუყინა, სავახშმოდ წაჰყოლოდა. ბიტენბინდერმა ლილის ნიშანი მისცა და ისიც დათანხმდა.

მაშინ, იმ ღამეს ბალ სტანესში ლიგის პრეზიდენტმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ნალიმოვს და ვერა იურიევნას. ერთმაც და მეორემაც ერთგვარი შვეებითაც კი მოისმინეს განაჩენი — როგორც იქნა, დამთავრდა ეს გაჭიანურებული ამბავიო! განაჩენი იზვოლსკიმ წაიკითხა, შემდეგ ქალაქი დახია და ასანთით დაწვა.

ვერა იურიევნა და ნალიმოვი დივანზე ისხდნენ. პრეზიდენტში მათ პირდაპირ დაჯდა, ჰაჯეტ ლაშე — სხვებზე ცოტათი წინ. ის უკვე დამშვიდებული იყო, მაგიდის ქვეშ ცალი ფეხი შეეკეტა, ხელი ბარძაყზე დაებჯინა, კავკასიური ქამრის ბოლოს ათამაშებდა და მხიარულად უცქეროდა ვერა იურიევნას. მან წუთით შეიცადა, რომ მსჯავრდებულებს სრულად განეცადათ სიკვდილის შიში და პრეზიდენტის გადაწყვეტილება ასე დაამთავრა:

— ჩვენ ანგარიშს ვუწევთ ლიგის საჭიროებებს და სხვა დროისთვის ვდებთ განაჩენის აღსრულებას, ორივე სახელმწიფო დამნაშავეს საშუალებასაც კი ვაძლევთ ერთგული მუშაობით გამოისყიდონ თავიანთი დანიშნულება. პოლკოვნიკი ნალიმოვი დაუყოვნებლივ გაემგზავრება პარიზში თავის მოვალეობათა აღსასრულებლად, თავადის ცოლი ჩუვაშევა კი აქ დარჩება და პირადად ვუმეთვალყურებ...

ნალიმოვი დილასვე წაიყვანეს ავტომობილით, უფლებაც არ მისცეს ვერა იურიევნას გამომშვიდობებოდა. ვერა იურიევნამ მეორე დღეს მისგან ორსიტყვიანი ღია ბარათი მიიღო. ღამით ჰაჯეტ ლაშემ ვერა იურიევნას უთხრა:

— ჩემო ლამაზო, თქვენს ქცევაზეა დამოკიდებული პოლკოვნიკ ნალიმოვის სიცოცხლე: როგორც კი, თუნდაც წვრილმანებზე, ურჩობას დამიწყებთ,

18734

17
ქაქ. სსრ კ. პარტიის
სახ. სახ. ცენტრ.
ბიბლიოთეკა

პირობას გაძლევთ, გოგრას გავეუხვრეტ. გასაგებია? ნალიძოვაც ^{გავეუხვრეტ} გავეუხვრეტ, რომ თქვენ ტომარაში ჩაგდებულს ჩაგიშვებთ ტბაში, თუ იგი პარიზში მელაკულობას შეეცდება. გაიგეთ? და თუ სისულელეს ჩაიდენს — ^{პარიზში} ენას წიბტანს, პირველ რიგში მე გამაგებინებენ ყოველივეს, ხოლო ^{ამას} რა შედეგები მოჰყვება, ახსნა არ უნდა. თქვენი ვარაუდი კი, რომ, როცა საქირო აღარ იქნებით, ლიგა ყველას „მოგვიშორებსო“, როგორც მაშინ თქვენ თუ ვასილი ალექსევიჩმა ბრძანეთ, ჩემო ქვირფასო, ისტერიული სისულელეა. ფულის წილს უხვად მოგცემთ და თუნდაც სოლომონის კუნძულებზე ეფერეთ ერთმანეთს, ღმერთმა შეგარგოთ. დროა გაიგოთ: როცა საქმე პოლიტიკას ეხება, სასტიკი ვარ, როცა არ ეხება, — კეთილმოსურნე. შესაძლოა უკანასკნელი რომანტიკოსიც ვარ; იქნებ მაინც წაგეკითხათ ჩემი წიგნები. განსაკუთრებით გირჩევთ რომანს — „მკვლელი ტახტზე“. იქ დიდი ერთდროითაა აღწერილი თურქული წამებანი... მელანდრება აგრეთვე ქალის სულის ღრმა ცოდნა... (ლაშემ მხიარულად დაკრიჭა კბილები). ამრიგად, შევთანხმდით?

რალა უნდა ექნა ვერა იურიევნას? ჰაჯეტ ლაშე მას ძრწოლას ჰგვრიდა. ლაშე არც მალავდა, რომ განზრახ უფრო აახლოვებდა ვერას და ნალიძოვს. „თუ სიკვდილის არ გეშინიათ, ერთ ანკესზე თუ არა, მეორეზე მაინც წამოგაგებთ“, — ამბობდა ლაშე. მართლაც, თუკი ვერა იურიევნას რაიმე კიდევ აცოცხლებდა, ეს ვასენკას გამო შიში იყო!

ვერა იურიევნა აგარაკზე მარტო რომ რჩებოდა, ჩუმად ღმუთდა ბალიშში სახეჩარგული. ჰაჯეტ ლაშეს ბრძანებებსაც ზუსტად ასრულებდა. მხოლოდ ერთ ღამეს გაუწყდა მოთმინების ძაფი... იმ ღამეს ყურებს იცობდა, თავს ბალიშქვეშ ყოფდა, ველარ ისმენდა ტკივილით გამოწვეულ გაბმულ ყვირილს, რომელიც სასტუმროდან გამოდიოდა. ყვირილი შიგადაშიგ წყდებოდა და ვერა იურიევნა არჩევდა კაცის სლუკუნს. იწყებოდა ამაზრზენი ქიდილი... ბურტყუნი. დარტყმა. ისევ სიწყნარე დგებოდა. შემდეგ ყურთასმენის წამლები ყვირილი ამობდა ღამის სიჩუმეს. (ყველაზე უარესი ის იყო, რომ ვერა იურიევნამ ფანჯრიდან ღილის მანქანაში ვარფოლომეევი დაინახა). ყვიროდა სისხლსავსე ღონიერი კაცი...

ვერა იურიევნა საწოლს მოსწყდა, პატარა აივანზე გავარდა, დაქანებული სახურავით მინდორზე ჩაცოცდა, გაიქცა ტბისკენ, შემდეგ არყნარისკენ და იქ რიბირაბომდე ძაგდაგებდა პერანგის ამარა.

ამ ღამეშიც გაიარა. ოღონდაც იმ ღამიდან ყელში დარჩა რალაც ბურთი, რომელსაც ვერანაირი ღვინით ვერ ჩაწმინდავდი. ვერა იურიევნა ორჯერ წაიყვანეს სტოკჰოლმში — სალამოს რესტორანში, დღისით ოქროულობის მაღაზიასთან, რათა ლევი ლევიცკის შეხვედროდა.

ბოლოს ლაშემ უთხრა:

— ხვალ მას მოიყვანენ. შეიძლება ყველაფერმა სრულიად წესიერად ჩაიაროს, ჯერ კიდევ ვერ გადამიწყვეტია... მაშინ ცოტა წაარშიყება მოგიწევთ, ნება არ მისცეთ ამკარად გებოლარძუნოთ, მაგრამ ნურც მაინცდამაინც დააფრთხობთ.

ლევი ლევიცკი სარკიანი კარადის წინ იდგა და პირს იპარსავდა. რა შეედრება ცხოვრების მგზნებარე ფრთონვის შეგრძნებას! დასწყევლოს ეშმაკმა.

რაოდენ სიმსუბუქეს გრძნობს! სისხლი ეგრევე ჩქედს ძარღვებში, ლოყებზე საბონი ქაფქაფებს — რარიგ ჯანსაღი ლოყები აქვს. კარგია, რომ გუშინ არაყი არ დალია (როცა ლილი ვახშამზე ჰყავდა), მხოლოდ ერთი ჭიქა მამპანტო გადაჰკრა. აქ სმა უნდა მიატოვოს, ცხოვრება ღვინოზე უფრო უფასოა. არაყი, სპირტი, სავტომობილო ნარევი, — ვსვამდით ჩვენ, ძმობილო, ცხოვრება ფეხებზე დაგვეკიდა... „ეხ, იაბლოჩკო...“.. ლევი ლევიცკიმ მხარი შეარხია და ფეხები თავისთავად აუბაკუნდა ხალიჩაზე. ეს ხომ ბედნიერებაა, მჩქეფარე ცხოვრებაა! და უცებ შიშმა გაკრა — სახეზე მუწუკი ხომ არა მაქვსო? — სარკესთან მიიწია. თავი შეათვალიერა... აჰ, ლევი ლევიცკი, ნუთუ ეს შენა ხარ?

სამართებელი ტუალეტის მაგიდაზე, მინის დაფაზე დადო, პირსახოცი ოდესკოლონით დაასველა, ფრთხილად გაიწმინდა ლოყები და კისერი. ჭრელი თუნუქის კოლოფში ჩაყრილი ტალკი წაისვა. პატარა მაგიდებსა და სავარძლებზე მიმოფანტული ეს მაღალი კულტურის საგნები მჩქეფარე ცხოვრების შეგრძნებას უძლიერებდა. გახსოვს კი, ძმობილო, პიტერის ოფლით გაქლენთილი ფრენჩი, დანესტიანებული წაღების ტყაპუნნი, სხეულზე მიკრული საცვლები? დაილოცოს აბრეშუმის ნიფხვები, ობობას ქსელივით წინდები, ნატამოდებული ლაქის წაღები, რომელთაც შიგნით ტალკი აქვს მოყრილი, რათა ფეხი ისე ნებივრობდეს, როგორც ღედის საშოში.

ლევი ლევიცკიმ სააბაზანოს კარი შეაღო — შორენკეციები ფანჯრების ჭრელ ვიტრაჟს გაეშუქებინა. მოატრიალა მონიკელებული ონკანი, თეთრ აბაზანაში მოლურჯო ცხელმა წყალმა იჩქეფა და ორთქლის ღრუბელი დააყენა; უცებ შიშმა გაჰკრა: ყველაფერი მეტისმეტად კარგადაა.. მაგრამ ვაითუ ეს ყოველივე ძაფზე ჰკიდია? იგი აბაზანის კიდეზე ჩამოჯდა, თავში ქუში ფიქრები გაუქრთა. ლევი ლევიცკიმ ჯერ კიდევ ლოგინში გადაათვალიერა დილის გაზეთები. განსაკუთრებით გერმანია იწვევდა ყველაზე სერიოზულ შიშს. მდგომარეობა ერთობ არასაიმედო ჩანდა. „ეშმაკმა არ იცის მაგათი თავი, ბოლშევიკებს რალაცის იმედი აქვთ, ჭიქურ უტევენ მტერს, თანაც აბუჩადაც იგდებენ.. რალაც მიზეზები უნდა ჰქონდეთ, ასე რწმენით რომ არიან აღსავსენი... თჰ-თჰ-თჰ!.. ვერსალის ზავი! ევროპის რევოლუციისათვის უკეთეს პროპაგანდას ვერც მოიგონებ“.

ლევი ლევიცკიმ წყალი გადაკეტა, პიჯამა გაიხადა და მოზავთებული სიამონენებისგან აკანკალებული ჩაწვა აბაზანაში. შემდეგ ვიტრაჟის ჭრელ რაინდებს მიაცქერდა.

„კი მაგრამ, თუ ყველაფერი სისულელეა? რუსეთის რევოლუცია ვითომ გაქიანურებული დემობილიზაციაა? ბოლშევიკები ჭკუაშერყეული მედავითნენი არიან?! როგორ გეკადრებათ! მაშინ ვერსალელები არც ისეთი ვირები ყოფილან. გერმანია და რუსეთი ერთი სხეულის ორი ნაწილია, ინდუსტრია და ნედლეულია. ვერსალის ზავი მთლიანად აღმოსავლეთის წინააღმდეგაა მიმართული რაინიდან მოყოლებული წყნარ ოკეანემდე. ხოლო თუ ასეა, ანტატა ისეთ პაზარს მიიღებს, როგორც კაცობრიობას სიზმრადაც არ მოლანდებია. გერმანიის ქარხნები საფრანგეთისა და ინგლისის ხელში გადავა. აღმოსავლეთში დიდი დამსჯელი ექსპედიცია მოეწყობა. რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკების აჭაბაჭა ხალხები ნაგავივით მიმოიფანტებიან. ანტანტის არმიებს უკან მიჰყვება ევროპის მოსახლეობის ნამეტი და უმშვენიერეს ბურჟუაზიულ კულ-

ტურას რკინის ლურსმნით საუკუნოდ მიაჭედებენ თვით დედამიწის უბემდე — დიდი ბრიტანეთიდან წყნარ ოკეანემდე“.

ლევო ლევიცი სიამოვნებას იზანგრძლივებდა, აბაზანაში გვერდს იცვლიდა. არა, მომავალი სხივმოსილია. ლევო ლევიციის მომავალზე არაფერი უცებ მისი აზრები ბალ სტანესის ამალელებელ ქალს გადასწვდა. — ანაწილად გაახსენდა: „დასწყევლოს ეშმაკმა, ყვავილები დამავიწყდა!“ საჩქაროდ ამოვიდა წყლიდან, ტანი შეიმშრალა, სუნამო დაიპყრა, გაიბუდრა, ყველაზე საუკეთესო კოსტიუმი ამოირჩია და ჩაცმა დაიწყო.

ლევო ლევიცი კობწია პეპელასავით გამალებით მიფრინავდა ცეცხლისკენ. ტელეფონით თეთრი ვარდების თაიგული შეუკვეთა. მსუბუქად, უღვინოდ ისაუზმა, მხოლოდ ერთი სირჩა ლიჭიორი გადაჰკრა და შავი ყავა დალია. ექვს კრონად ჰავანური სიგარო მოითხოვა. შლაპისა და ხელჯოხისთვის თავდაჯერებულად, აუჩქარებლად გამოვიდა ვესტიბიულში, თან სურნელოვან ბოლს მოაბოლქვებდა (ასე აბოლებს მხოლოდ ამქვეყნად ყველაზე მდიდარი ადამიანები). ტყავის დივნიდან მის შესაგებებლად წამოდგა ლილი, წაიბუტბუტა, ავტომობილი უკვე დაქირავებულია და იცდისო.

— ჩინებულია, — უთხრა ლევო ლევიციმ და ლივრეიან ბიჭს ქუდი და ზელჯოხი გამოართვა. არც იმას გაუკვირვებია, რომ ლილის სახეზე მიწისფერი ედო, თვალები ჩასცვენოდა, არც იმას, რომ დაქირავებული ავტომობილი სადარბაზოსთან კი არა, სასტუმროდან საკმაოდ მოშორებით, კუთხეში იდგა.

ლილი და ლევო ლევიცი მანქანის უკანა სავარძელში ჩასხდნენ. ლევო ლევიციმ ყვავილების მაღაზიის მისამართი უთხრა შოფერს. შოფერმა (ჟორჟიკ გისერმა) ნათქვამი თითქოს ვერ გაიგო და მანქანა სწრაფად გააქანა სანაპიროსკენ და არა ბირგელიარლს-გატანისკენ (სადაც ყვავილების მაღაზია იყო). ლევო ლევიციმ მხარზე სტაცა ხელი (ჟორჟი არ შემობრუნებულა, ისე დაკრიჭა კბილები) და გაღიზიანებით იყვირა:

— ელიზავეტა ნიკოლაევნა, ამ რეგვენს შვედურად უთხარით, რომ თაიგულისთვის უნდა შევიარო...

მანქანამ ბირგელიარლს-გატანზე გაუხვია. იმ დროს, როცა ლევო ლევიცი მაღაზიაში ყვავილების ფულს იხდიდა, შოფერმა ჟორჟმა ქუჩის ტელეფონის ჯიხურში შევარდნა და ბალ სტანესში დარეკვა მოასწრო:

— სტუმარს კვალი დარჩა. რა ვქნა?

ჰაჯეტ ლაშემ მძვინვარედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიუგო:

— რა მოხდა? უფრო ზუსტად...

— ბირგელიარლს-გატანზე ვეება თაიგულს ყიდულობს. ათობით მოწმეა...

— შეუძლებელია!... (ლაშეს ხმა შეუგუბდა და თათრულ ლანძღვა-გინებას მოჰყვა.) ყველაფერი უხეიროდ კეთდება! ტელეფონთან მოიყვანეთ ელიზავეტა სტეპანოვა (ჟორჟმა მიუგო. „არ შეიძლება, ქუჩის ავტომატიდან გელაპარაკებით“). ო, დასწყევლოს ეშმაკმა (ლაშემ ისევ თათრულად მოაყოლა:) ანანასანა... ბაბასანა! წამოიყვანეთ, სულ ერთია...

თაიგული აბრეშუმის უთხელეს ქაღალდში იყო შეხვეული. ლევო ლევიციის ისე ედო მუხლებზე, როგორც საკუთარი ბედნიერება.

ლევო ლევიცი ბედნიერი იყო სტოკჰოლმიდან ბალ სტანესამდე ბრწყინვა-

ლე გზატკეცილზე ოცდახუთწუთიანი რბოლის ეამს. ლილის უთხრა, ევროპა ჩემთვის არსებითად ვიწროა, ფრთების გაშლა მხოლოდ ამერიკაში შეიძლება, სადაც „ჩემო სულო, აი, სიტყვას გაძლევთ, ეს წალები არ გავცვიტო, თუ საკუთარი ბანკი და ერთი-ორი ცათამბჯენი არ მექნეს...“

გზატკეცილის მოსახვევში ავტომობილი ლამის ფრთით შეეხო მოპირდაპირე მხრიდან ჩაჭროლილ მანქანას, რომელიც ბალ სტანესიდან სტოკჰოლმში მიდიოდა. ლევი ლევიციის ძინის მიღმიდან ორი წყვილი მძვინვარე თვალი ეპგერა, მაგრამ ეს მხოლოდ ლილიმ შეამჩნია. მან ბიტენბინდერი და ეტინგერი იცნო. შემდეგ — მოსახვევის მრღმა — სიყვითლეშეპარულ ფოთლებში ჩამჯდარი მუქი ლურჯი გრძელი ტბა გადაიშალა. ლილიმ განმარტოებული სახლის კრამიტის სახურავზე მიუთითა ლევი ლევიციის. ტყის გასწვრივ მიმავალი გზა მალე გალიეს. აგარაკის შესასვლელთან ბალის მერხზე პაჯეტ ლაშე იჯდა და უწყინრად ეწეოდა გრძელ მუნდშტუკში გარჯობილ პაპიროსს.

— აა, გთხოვთ, მობრძანდეთ, გთხოვთ... დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, მაგრამ არ გავცნობილვართ, მიხარია, ძალზე მიხარია, — უთხრა პაჯეტ ლაშემ ლევი ლევიციის და მისი ხელი თავისაში შეაყოვნა. — თანაც ყვავილებით! ევროპულად. თავადის ცოლი თქვენ გელოდებათ... არ მომწონს მისი ჯანმრთელობა, — განწყობილება, ნერვები... დიახ, დიახ, აქ ჩვენ ყველანი ნელ-ნელა ვტკნებით მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილნი... — პაჯეტ ლაშემ თავა ფანჯრისკენ ასწია, ფეხები გაჩაჩხა და დაიძახა: — ვერა იურიევნა! სტუმარია პეტროგრადიდან... ო, ის თქვენ გელოდებათ და მერე როგორ გელოდებათ... ელიზავეტა ნიკოლაევნა, რუსული ჩვეულებისამებრ სტუმარს ჩაით უნდა გავუმასპინძლდეთ (ლილი მაშინვე შევიდა სახლში.)

— დაბრძანდით, ალექსანდრ ბორისოვიჩ, დგომას და ჯდომას ერთი ფასი აქვს... დიდი ხანია, რაც პეტროგრადიდან ჩამოხვედით? ზოგჯერ ყველაფერი რაღაც სიზმარი მგონია... მახსოვს, — განა დიდი ხნის წინათ იყო, — ნევის პროსპექტი: წესიერება, თავდაჭერილობა, სიმყარე. მუსიკის ხმაზე მიდიან გარები... იჩქარიან მოხელეები, მიქრიან ეტლები, იუნკრები ბედაურებშებმულ ეკიპაჟებში სხედან. გახსოვთ დედოფლის წყვილი შავრა ცხენი, ლურჯი აბრეშუმის ბადე რომ ეფარა? მიყვარდა იმის ცქერა, როგორ მიაბიჯებდა ხოლმე გენერალი, რომელსაც სპილენძისქუსლებიანი ტყავის კალოშები ეცვა. გახსოვთ? შეიძლება თვითონ თავისთავად არც ღვინო იყო, არც წყალი, მაგრამ სახეზე შეგნება ეხატა, რომ იმპერიის უმაღლესი წარმომადგენელი გახლდათ. ესეც შთამაგონებელი იყო. ჯარისკაცები — ერთი-ორი და გაიჭიმებიან, იუნკრები — ძინ, ძინ, — მეოთხედი ბრუნნი, იდაყვი — წინაფრის სიმაღლეზე. ლამაზია! ამის მაგივრად კი ცარიელ პროსპექტზე ჩამსხვრეული ფანჯრები და ცხენის ლეში ჩანს. დიახ, დიახ, აი ვზივარ აქ და ყოველივე მიწიერის სწრაფ-წარმავლობაზე ვფიქრობ...

ამ დროს მყისიერი და ამოუხსნელი რაღაც მოხდა... სახლის კარში ვერა იურიევნა გამოჩნდა. ლევი ლევიციმ იგი მხოლოდ სიმაღლით და მხრებზე მოსხმული ბეწვით იცნო — ქალის გაფითრებული, სქლად პუდრწასმული სახე დაღმეჭილ პირს დაემახინჯებინა. ვერა იურიევნა სიასამურის მოსასხამს ყელთან ბეჭდებიან გამხდარ ხელს, ბეწვში ღრმად შეჭრილ ფრჩხილებს უჭერდა. ზღურბლზე მან წაიბორძიკა და ხელი რაღაც სასოწარკვეთილებით გაიშვი-

რა წინ. პაჭეტ ლაშე მივარდა, სახლში შეაგდო და კარი მოიჯახურა. ყველაფერი ეს წამის რაღაც ნაწილში მოხდა. ლევი ლევიცკი შეტყუებული იჯდა პერხზე.

პაჭეტ ლაშემ ვერა იურიევნა შიდა კიბემდე მიათრია და კიბეებისგან ვასიებულის სახე მიუახლოვა და უხმოდ უთხრა:

— ეს რა არის... ანიშნებ? ანანასანა! ანიშნებ?... გასწი აქედან! ლოგინში!.. დაწეჭი!.. უკანასკნელად გაფრთხილებ...

პაჭეტ ლაშე ბეწვჭვეშ მის ხელს ეძებდა, რომ თითები გადაემტვრია. ვერა იურიევნა ცოცხალ-მკვდარი აპყვა კიბეს. ლაშე ლევი ლევიცკისთან დაბრუნდა. ზელი ბარძაყზე დაირტყა. დაჯდა:

— ნახეთ? აბა რას უზამ! ისევ ისტერიამ მოუარა. ზედმეტად ილევა თქვენს მოლოდინში, თუ რა არის... ვუბრძანე, პირდაპირ ვაიძულე დაწოლილიყო... (ლაშე პაპიროსს გრძელ მუნდშტუკში არჭობდა). ეჭიმები, ოპ, ეჭიმები! ვინ არ მოფუყვანე. უეჭიმოდაც გასაგებია, ქმარი, საყვარელი, უხეშად რომ ვთქვათ, კარგი მამალი თუ ეყოლებოდა, აი, მისი წამალი ეს იქნებოდა. დიახ, მიმძიმს, ალექსანდრ ბორისოვიჩ, მართალი გითხრათ, მრცხვენია თქვენ წინაშე... თავადის ცოლიც სასოწარკვეთილებაში იქნება ჩავარდნილი... ნოდით ხოლმე ჩვენთან, ძვირფასო, შინაურულად, სავახშმოდ... სასიამოვნო ხალხი გვეყოლება... თუ დიდხანს ვისხდებით, ლამის გასათევად დარჩებით... შევთანხმდით, პა? ხვალ სალამოს, კარგი? იგივე მოფერი მოგიყვანთ მანქანით... ოღონდ არავითარი თაიგული.. და თხოვნა მაქვს... არავის უთხრათ... იცით, მშვიერი ემიგრანტები ისეთი მოურიღებელი ხალხია, როგორც კი იყნოსავენ, სადმე ვახშამიან, მაშინვე მოცვივდებიან.

ლევი ლევიცკი დღის დანარჩენი ნაწილი ვაზა-გატანზე დასეირნობდა. იყიდა ანტილოპის ტყავის საუცხოო ხელთათმანები და სამართებლის ასალესი მანქანა. შემდეგ კინოში შევიდა, სადაც ახალი ფილმი „სამი მუშეკეტერი“ გადიოდა. სამი ფრანგი აზნაური და მათი მეგობარი სიმამაცის სასწაულებს ახდენდნენ პატიოსნების, საფრანგეთისა და მეფის გულისთვის. ლევი ლევიცკი მოწყენილი იყო — ვის სჭირდება ეს დაუჭერებელი სისულელეო?

სავახშმოდ ცნობილ სამიკიტნო „სამ სირჩაში“ წავიდა, მაგრამ აქაც მოწყენილობა, უხალისო გარემო დახვდა. ბალ სტანესში დღევანდელი სტუმრობით მტკივნეული და ასევე რაღაც უცნაური შთაბეჭდილება დარჩა... „ხომ არ მოხეშვა ამ დედაკაცთან გაბმულ გაჭიანურებულ ამბავს? უთუოდ თვალთმაქცია. ამას დამიხედეთ, არისტოკრატი!..“ დასაძინებლად გალიზიანებული, გულნაკლული დაწვა.

დღით აბაზანაში ჩაწოლილმა საბოლოოდ გადაწყვიტა: კმარა ნებივრობა, კმარა ავზორცობა, ფულის ფლანგვა, უპირველესად — შორს ამ მიყრუებულის ადგილიდან, სტოკჰოლმიდან, თავისუფალ სივრცეს, ამერიკას მივაშურებო. ცხრა საათზე არდაშევს დაურეკა და თორმეტ საათზე სასაუზმოდ წავიდა მასთან. ლევი ლევიცკის ამოცანა იყო: არდაშევის მეშვეობით ამერიკის ვიზა გაეჩერებინა.

ნიკოლაი პეტროვიჩი ერთიანად მარკებით დაფარული დიდი კონვერტის ქნევით შეხვდა. მარკები კონვერტის საგანგებო მინაწებზე კულდით ჩამოგრძელებულიყო. ლევი ლევიციკიმ გაიცინა:

- ვცნობ საბჭოთა ფოსტას. ვისი წერილია?
- წარმოიდგინეთ, მოვიდა! ბისტრემისაა.
- აბა, აბა მაჩვენეთ.
- ყავაზე წავიკითხოთ.

ქვიზი
ნიკოლაი პეტროვიჩი

დასხდნენ სასაუბროდ. არაყის შემდეგ, როცა არდაშეეს თვალები აუცუფუნდა, ლევი ლევიციკიმ სთხოვა, ამერიკის ვიზა გამიხერხეო. ნიკოლაი პეტროვიჩი ამ ამბავს მეტისმეტად სერიოზულად მოეკიდა.

— ძვირფასო, გინდათ საბოლოოდ დარჩეთ ემიგრაციაში?

— ამ კითხვის არსი არ მესმის, ნიკოლაი პეტროვიჩ. მე ემიგრანტი არ ცოფილვარ და არც ვიქნები... მინდა ბედნიერება ვიგემო, რაკი საზღვარგარეთ გამოვალწიე... მე იმდენი ტემპერამენტი, იმდენი ენერჯია, ისეთი ბედი მაქვს, მართალი ვითხრათ, მენანება საბჭოთა რუსეთს ასეთი ლუკმა დავანებო! საბჭოთა რუსეთს ბუდიონი სჭირდება, მე კი ბასრი საგნებისა მეშინია. ცხენზე ისე ვზივარ, როგორც ძალი ლობეზე. სამ წელიწადში ან მილიონებს ვიშოვი, ან საპნის ბუშტივით გავსკდები... მაშინ კი დაებრუნდები საბჭოთა რუსეთში, შეცოდებებს მოვინანიებ (ლევი ლევიციკიმ გაიცინა.) და რევოლუციას შევწირავ თავს. გესმით, მე მეტისმეტად მე ვარ... ეს არ მაძლევს მოსვენებას. მშრომელებისთვის, ავის გაკთებას არ ვაბირებ, მხოლოდ ერთ-ორ ათეულ სპეკულანტს გამოვუყვან წირვას...

არდაშეემა ორთქლადენილ ლანგარს ვერცხლის სახურავი ახადა. ბეცივით მოქუტა თვალები.

— ჩემთვის ძალიან სასაცილოა მორალისტი ვიყო, ალექსანდრ ბორისოვიჩ... ემიგრანტებს ბოლშევიკად მივაჩნივარ, ბოლშევიკებს — ბურჟუალებ. ერთნიც მართალნი არიან და მეორენიც. მე მჯერა რევოლუციის სიმართლე, მაგრამ არ მჯერა ჩემი თავისა და ისევ ვერცხლის თეფშით მივირთმევ საჭმელს... თქვენიც მესმის. თქვენ მტკიცე კაცი ხართ... მაგრამ გული მეტკინებოდა, რომ საბჭოთა რუსეთის მტრებს შორის მენახეთ.

— ღმერთმა დამიფაროს! ნიკოლაი პეტროვიჩ, რუსეთი ჩემთვის ავიდენინაცვალს იყო... მაგრამ არ მინდა სიხვე მახსოვდეს. გეფიცებით ღმერთს, ან რაც გნებავთ იმას, ასი მილიონის პატრონი რომ ვიყო, სულიერად მაინც პროლეტარს ვიქნები!

ლევი ლევიციკიმ ეს მგზნებარედ, თავის თავში და ასი მილიონის შივნაში დარწმუნებულმა თქვა. ლანგრიდან ადენილ ორთქლში არაყი შესვეს. არდაშეემა ლევი ლევიციკის ალუთქვა ხვალვე წასულიყო ამერიკის მისიაში.

— მე მაინც გული უნდა გატკინოთ, ალექსანდრ ბორისოვიჩ: ამერიკა ახლა არცთუ ხელსაყრელი ასპარეზია სათამაშოდ. ამერიკულ ქაღალდებზე უფრო ნყარი არაფერია. თამაში ახლა აქ, ევროპაში მიმდინარეობს. ომის დროს ამერიკამ ათ მილიარდ დოლარზე მეტი საღირალი საქონელი შემოიტანა ევროპაში. მაგრამ ამის ნახევრის დახარჯვაც ვერ მოასწრეს. იანგარიშეთ, რომ ევროპაში სხვადასხვა საწყობში, საშხედრო სამინისტროებში, სხვადასხვა სპეკულანტთან ხუთი მილიარდი დოლარის ფეხსაცმელი, საცვლები, საბნები, კონსერვები, ნამცხვრები, მურაბები, ფქვილი, თამბაქო, გაყინული ხორცი და

სხვა ყრია. ჰოდა, ჩაიდევით ჯიბეში ეს თანხა, ალექსანდრ ბორისოვიჩ... შემდეგ შევიყაროთ ჩემთან საუზმეზე და ვიცინოთ იმ ორი ავგურად, რომელთაც ფულის, ადამიანთა სიმდაბლისა და იუმორის ფასი იციან.

— მისმინეთ, თქვენ სერიოზულად მირჩევთ, ევროპას მივაქციო ყურადღება? კეთილი, ვიფიქრებ... წაიკითხეთ ბისტრემის წერილი.

წერილის დასაწყისში ბისტრემი დედაზე იწერებოდა. არდაშევს სთხოვდა, შეეველო მასთან და, თუ საჭირო იყო, ფულით დახმარებოდა. „დედაჩემს გადაეცით, რომ აქა ვარ, ყოველ შემთხვევაში არავითარი საფრთხე არ მეღის, როგორც სტოკჰოლმში ცხოვრებისას მელოდა“. შემდეგ თავის ამბავს იტყობინებოდა. თავდაპირველად თურმე განსახკომში მუშაობდა. „რევოლუცია მეცნიერებისა და ხელოვნებისაგან მოუთმენლად მოითხოვს დასტოვონ მთის მწვერვალები და თავიანთი საუნჯე მასებს მისცენ. ყოფილი დაწესებულებების და სასახლეების ვეებერთელა შენობებს აკადემიებს აძლევენ. იქ იზიდავენ ყველას, ვისაც კი რაიმეს სწავლება შეუძლია: მეცნიერებს, აკადემიკოსებს, სპეციალისტებს, პოეტებს, ფილოსოფოსებს, ბალეტის მოცეკვავეებს, მუსიკოსებს, რეჟისორებს... უამრავ ფაკულტეტსა და აუდიტორიას მუშა კაცებისა და ქალების, წითელარმიელების, მოზარდებისა და მოხუცების გუნდები ავსებენ. ამ ხალხის ნახევარი წერა-კითხვის უცოდინარია, მაგრამ როგორც მცენარე გვალვისას, ისე ისრუტავს ცოდნის ტენს. ერთ დარბაზში ცნობილი ასტრონომი, ზურგზე ულუფისთვის ჩანთა რომ მოუკიდია და შიშველ ფეხებზე კალოშები აცვია, ლექციას კითხულობს სამყაროს შესახებ. ათასი მასავით მშიერი კაცი მოჩადობული უსმენს ამბავს ციურ ნისლეულებზე, სინათლის სხივებზე, რომელნიც მილიონობით სინათლის წელი მოიწევენ ოთხგანზომილებიან სფერულ სივრცეში. ათასი მსმენელი გრძნობს, რომ ეთერი, ნისლეულები და სინათლე მათ მოიპოვეს, ისინი ახლა მათია, საბჭოთაა, როგორც ეს სასახლე, როგორც ეს დიადი და მკაცრი ქალაქი. მეორე აუდიტორიაში ფერმკრთალი პოეტი იამბებსა და ქორეებზე, სამმარცვლიან პაუზებზე, რიტმზე, ალიტერაციებზე ლაპარაკობს, კითხულობს პუშკინის პოემებს, და ეს ყველას მოსწონს, გააფთრებით ესხმის თავს სიმბოლისტებს და მსმენელებს ულოცავს კოსმიური გენიოსის ხლებნიკოვის გამოჩენას. მესამე აუდიტორიაში სოფლელ ჭაბუკებს ხატყვიარი მაზარები გაუხდიათ და კლასიკური ბალეტის მოძრაობებს სწავლობენ; მაგრამ ეს სასაცილო არ არის, იმიტომ, რომ რევოლუცია მეშჩანური მატერიალური კეთილდღეობის ნაცვლად ხელგაშლილად არიგებს ათასწლოვანი ცივილიზაციის უბრწყინვალეს საუნჯეებს.

ცხოვრება ყოველკვირა უფრო და უფრო მშფოთვარე ხდება: იზრდება შიმშილი, თეთრი არმიები სულ უფრო მჭიდროდ ერტყმიან რესპუბლიკის საზღვრებს.

განსახკომიდან სასურსათო გაწერის რაზმში გადამისრძლეს. ძალით უნდა წაგვეგლიჯა პური სულ უფრო გამძვინვარებული კულაკებისთვის. ო, მე ვისწავლე მაძლარი ხალხის სიძულვილი... მე გადავხედე საქმლისადმი ჩემს ფილოსოფიურ დამოკიდებულებას. ამ წერტილში შორდება ერთმანეთს ორი მსოფლაღქმა: გრძნობადი, იდეური, ინდივიდუალისტური თავისი „დღესდღეობით“ და სოციალისტური თავისი „ხვალით“... ვხედავ, რომ ამ წერილს საუზმეზე კითხულობთ და გვღიმებათ. ნიკოლაი პეტროვიჩ, მე ცოტათი ვგავარ მშიერ ოპტიმისტს, რომელსაც არაფერი გააჩნია კუჭის ამოსავსებად და მხნედ

ფილოსოფოსობს თემაზე — მარტო პურითა ერთითა როლი ცხოვრობს ადამიანი. დიახ, მე მინდა ჭამა და ეს მტანჯველია, მაგრამ ჩემი ტუჩი ნათელია, სწამს დიდ ჭეშმარიტებათა გამარჯვებისა და ჩემს მსჯელობებზე უფრო უფრო თქვენ ჭეშმარიტების ნაწილს.

ყველაზე ბურჟუაზიულმა ერმა, ფრანგებმა ჭამა ხელოვნებად აქციეს, რომელსაც უფრო მეტად სცემენ პატივს, ვიდრე ყველა დანარჩენს. მუზეუმის ფერხულში მათ შეიყვანეს მეათე მუზა — მოთუხთუხე ქვაბი. ამ დიაცს, მომხიბვლელად უგლიმი და მომნუსხველი თვალების პატრონს, ყველა რანტიეს, წვრილი ბურჟუას ქალღმერთს, პირქუში სიზარბის, ინდივიდუალიზმის, კაცთმოდულეობის ქალღმერთს, მყრალი ბოყინის ქალღმერთს, რომელსაც აგრეთვე ვერსალის ზავს უწოდებენ, ამ მსოფლიო უნამუსოს მთელი კლასობრივი სიძულვილით ვაგდებ მუზეუმის ფერხულიდან და მეათე მუზად შემყავს რევოლუციის ფრთოსანი მუზა, კაცობრიობა თავისი ცეცხლოვანი ფრთებით სოციალიზმის ცისფერი ქალაქებისკენ რომ მიჰყავს. იგი ჩემთანაა, დაყრდნობილია ჩემს მაგიდაზე (რომელზეც კონსერვის თუნუქის კოლოფში ჩადებული ახრჩოლებული პატრუქის შუქზე გწერთ წერილს) და ჩემს სინდისს ჩასცქერის მათემატიკურ ფორმულასავით გამჭვირვალე, დეკრეტივით შეუბრალებელი და ცისკარივით ნათელი თვალებით.

და მაინც ნუ იფიქრებთ, ნიკოლაი პეტროვიჩ, რომ აქ მარტო პოეზიას ვუკირკიტებ ჭრაქის შუქზე. ესაა ჩემი თავისუფალი დრო, სიტყვამ მოიტანა, და ძალზე მცირე. მე გუშინ დავბრუნდი, ორი კვირა სასურსათო რაზმს ვახლდი. ჩვენ თოთხმეტნი ვიყავით — თორმეტი მელითონე მუშა, კომისარი და მე — აგიტატორი. რაზმიდან ცოცხალი დავბრუნდით ორი კაცი — ორმოცდაათი წლის მუშა ჩურიკოვი და მე. პურით სავსე თორმეტი ვაგონი, რომელთა მოყვანაც სოვასწარით პეტროგრადაში, თორმეტ სიცოცხლედ დაგვიჩდა: წვიმიან და ქარიან ღამეს კომისარი და თერთმეტი ამხანაგი ნაჯახებით დაჩეხეს და იმ ფარდულში გამოწვეს, სადაც ღამეს ათევდნენ. მე და ჩურიკოვი მხოლოდ იმიტომ გადავრჩით, რომ ამ დროს რკინიგზის სადგურში ვიყავით.

ვშიშობ, რომ ამიერიდან დიდხანს ვერ მოგწერთ. ამბები ჩვენთვის, პეტროგრადადელთათვის, მეტისმეტად სახიფათოა. ჩვენი ცნობებით ახტანტან სერიოზულად დაიწყო იუდენიჩისა და ფინელების შეიარაღება. პეტროგრადი ფინეთის ნაპირზე მდგარ შორსმსროლულ ქვეყნებს ნიშანში აქვთ ამოდებული, კრონშტანდტისათვის პირი მოუშვერიათ ინგლისურ დრედნოუტებს. დღე-დღეზე ველოდებით შეტევას. მოსკოვი კი ისევ გვაცლის ძალებს სხვა ფრონტებისთვის. დადის ხმები (მაგრამ ალბათ პანიკური, შეიძლება პროვოკატორულიც), თითქოს გადაწყვეტილია პეტროგრადი უკიდურეს შემთხვევაში მსხვერპლად გაიღონ და მძიმე ინდუსტრიის ბაზა ურალში და კუზნეცკის აუზში გადაიტანონ. ხმებს აძლიერებს ბრძანებები ქარხნების ევაკუაციის შესახებ. მაგრამ მუშები ამაზე დაახლოებით ასე პასუხობენ:

იუორის ქარხნის მუშებმა დაადგინეს: „შეწყდეს ყოველგვარი ევაკუაცია, რათა დეზორგანიზაცია არ შევიტანოთ როგორც მუშათა წრეში, ასევე ავტომანქანების შეკავშირის სრულიად მოწესრიგებულ მუშაობაში ჩვენ, ბრძოლებში გამოწრთობილ იუორელებს, მტკიცედ გვწამს გამარჯვება, მკვიდრად ვდგავართ ჩვენს საგუშაგოებზე და ვიცით, რა და როდის ვაკეთოთ, როდის და რა სამუშაო შევასრულოთ და როდის შევღწავით ევაკუაციას“.

წერილმა ისე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლევი ლევიცკისა და არდაშევზე ისინი დიდხანს დუმდნენ. ერთი იდაყვებით დაყრდნობილნი მაგიდას და ჟანჯრის გამოცრიატებულ სილურჯეს გასცქეროდა, მეორეს კი ტუჩები მოუკუმბა და პურის ბურთულებს ასორსალებდა. შემდეგ ლაპარაკი გააჩნეს რევოლუციის ბედზე, რევოლუციისა, რომელიც ფეხებზე გამობმულ საზარელ ლოდებს წიათრევედა: მარცხენა ფეხით წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობის სამოცდათხუთმეტ პროცენტს, მარჯვენათი — ინტერვენციას (თეთრი გენერლებითურთ) და ზურგს უკან მოწყობილ შეთქმულებათა გველების გორგალს.

არდაშევმა კონიაკის ბოთლი გახსნა... ორივეს გული გაუფიცხდა და აუჩუყდა. ამ წუთში თითქოს მზად იყვნენ სამართლიანობისთვის თავი დაედოთ.

— სინდისს ვფიცავარ, დავბრუნდები, დავბრუნდები, უნდა დავბრუნდე, — გაიმეორა ლევი ლევიცკიმ. — აქ ჩემს თავს პატივს არა ვცემ! ადამიანმა შეიძლება სახე დაისვაროს, მაგრამ ჭუჭყში იცხოვროს? არა! არა!

ვახანიერებული საუზმიდან უკვე საღამო ხანს შინ გამობრუნებული ლევი ლევიცკი ვიტრინების წინ არ ჩერდებოდა, ნესტოებს არ ათრთოლებდა ლამაზი ქალების დანახვაზე. გერმანული და რუსული გაზეთები იყიდა, სასტუმროში დაბრუნდა, პიჯაკი გაიხადა და საკითხავად დაჯდა. უნგრეთში რევოლუციაა, გერმანიაში აგერ-აგერ აჯანყდებიან სპარტაკელები, ინგლისში გაფიცვებია, იტალიაში წარმოუდგენელი ქაოსია. ლევი ლევიცკის სული გაეპო. „ისინი მართალნი არიან, დალახვროს ეშმაკმა მაგათი თავი, მართალნი არიან, მართალნი, — ბუტბუტებდა და გაზეთებს ჭმუხნით ძირს ჰყრიდა. — ეს მსოფლიო რევოლუციის დასაწყისია...“ ჩახედა ბირჟის კურსს, გუშინდელს შეადარა და ცხვირი დაქშიტინა: „არდაშევი მართალია, ფული ევროპაში უნდა იშოვო, სწორედ იქ, სადაც ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია“. ბოლოს კუთხიდან კუთხეში ბოლთის ცემა დაიწყო, უკან თამბაქოს კვამლი მიჰყვებოდა. კარზე ნაზად, სუსტად დააკაკუნეს. ოთახში უფერული ჩრდილივით შემოვიდა ლილი:

— ვერა იურიევნამ მთხოვა გადმომეცა, დიდ ბოდიშს ვიხდი გუშინდელი ამბის გამო, დღეს უსათუოდ გელოდებათ სადილზე, შვიდი საათისათვის.

— იცით, მგონი, ვერ წამოვალ... ა? (ლილიმ თავი დახარა.) ჩემო ოქროვ, ბოდიში მოუხადეთ ჩემ მაგიერ... ან ბარათს დავუწერ. (ლილიმ ჩრდილივით დაიწყო კარის დრიტოში გასვლა.) იქნებ შეხვედრა გადაგვედო?

მაგრამ ლევი ლევიცკის უცებ ისეთმა სურვილმა წამოუარა, ისეთმა საგრძნობმა და მტანჯველმა, რომ კბილი კბილს დააჭირა, ლილის ხელზე ხელი სტაცა და ოთახში შემოათრია...

— მოიცადეთ... თავადის ცოლი გიცდისო, ამბობთ, არა?

— დიახ, გელოდებათ.

— ჰო, რაკი მელოდებთ... ვიქნები ევროპელი... რა არის საჭირო, სმოკინგი? ათ წუთში მზად ვიქნები.

— ავტომობილი უკვე შევუკვეთე... თქვენ მარტო წახვალთ, მე მოგვიანებით მოვალ...

ლევი ლევიცკიმ ლილის წასვლის შემდეგ კარი დახურა და საათს დახედა: შვიდის ოცი წუთი იყო. მან აჩქარებრით ამოიღო გახამებული პერანგი და ფრჩხილების მტვრევით დაუწყო საკინძების გაყრა. როგორც ბორბალი მოიქცევს გვეშ ნაკვალევში მოხვედრილ ბაყაყს, ისე მოიქცია იგი სურვილმა, ბოლოს საკინძებზე გაბრაზდა და განრისხებით დაკრიჭა კბილები. მაგრამ მახვილგონიე-

რება არასდროს არ ლაღობდა: სარკეში აღმაცერად გახედა თავს და წაიბუტბუტა:

— ევროპის დამპყრობი...

51



— მოდის, — თქვა ჰაჯეტ ლაშემ.

იგი პარმაღზე გამოვიდა. ბინდში სწრაფად მოახლოებული მანქანის ხმაური ისმოდა. ლაშე მოაჯირს ჩაეჭიდა, აყურადებდა, ბინდს აცქერდებოდა.

შორს სიბნელეში არყის ხეთა ზროები ილანდებოდა, ფარების შუქმა ზროებზე გადაირბინა. ლაშემ მოაჯირს ხელები მოაშორა და თმაზე გადაისვა, პარნალიდან ძირს ჩავიდა.

ავტომობილი სიჩქარის შეუწელებლად დამუხრუჭდა. ლაშე მივიდა და კარი მოსწია. ავტომობილიდან მოუქნელად — გვერდულად გადმოვიდა ლევი ლევიციკი, შლაპა გაისწორა და ჩაბნელებულ სახლს მიაცქერდა, რომლის არც ერთ ფანჯარაში სინათლე არ კრთოდა.

— მაინც მოხვედით... — ლაშემ ორივე ხელით ლოყები მოისრისა.

— კი მაგრამ, რა იყო? — თითქმის შიშნულად ჰკითხა ლევი ლევიციკიმ.

— ოპ, არაფერი, ყოველივე რიგზეა... გელოდებით... ვინმემ იცის, რომ აქ მოხვედით?

— არა... თქვენ ხომ მთხოვეთ...

— მაინც უთხარით ვინმეს?

— მისმინეთ.. ეს უცნაურიც კია...

— ისაუბრეთ არდაშევეთან?

— ვისაუბრე, მერე რა...

— მან იცის?

— რა? რა იცის?

ორივე ლაპარაკობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, აჩქარებით, ორივე თანდათან მზარდ მღელვარებას იკავებდა.

— არავინ არაფერი იცის, — მწყრალად უთხრა ლევი ლევიციკიმ. — რა იყო?

ჰაჯეტ ლაშე ახლოს მიიწია.

— აპ, გინდათ იცოდეთ?

ეს უკვე მუქარას ჰგავდა. ლევი ლევიციკიმ მიმოიხედა, ჟორჟმა მაშინვე ჩააქრო ფარები. ლევი ლევიციკის ხელში ხელჯობი აუკანკალდა, მაგრამ უფრო დაბნეული იყო, ვიდრე შეშინებული: მაინც რას უნდა ნიშნავდეს ეს ყველაფერი? ლაშე ან გიჟია, ან დამთხვეული ექვიანი...

— მე არც თქვენ შემოგჩენივართ და არც თქვენს ქალებს... განსაკუთრებული სურვილიც არ მქონია აქ წამოსვლისა... (ლევი ლევიციკი გათამამდა და ყოყლოწინობდა). თავადის ცოლს ჩემთან რაღაცაზე საუბარი უნდოდა... კი ბატონო... არ მოსწონს ჩემი აქ ყოფნა? კი ბატონო...

ლევი ლევიციკი მანქანისკენ შებრუნდა, მაგრამ ჟორჟმა საჩქაროდ დასძრა მანქანა და გაეცალა. ლევი ლევიციკის ხელჯობი აწეული დარჩა. ლაშემ რბილად, ყმუილით უთხრა:

— გთხოვთ, სახლში მობრძანდეთ, ძვირფასო ამხანაგო, გულახდილად ვი-საუბროთ.

ლაშემ ლევი ლევიცკის იდაყვს ზემოთ მტკივნეულად ჩაეკოცა ხელი. ლევი ლევიცკი ძალით დაუსხლტა. ბნელი სახლიდან პარმაღზე სამი კაცი გამოვიდა. ლევი ლევიცკის ფეხები მოეკვეთა. პარმალიდან სამივე კაცმა ჩამოიბინა, მათ ხელჯობი წაგლიჯეს, ქუდი გადააძვრეს, შემდეგ კარმაღის მხარეზე ხელებში ეცა, მესამე — უკან, შარვალში და ბნელ სახლში შეათრია. ეს ყველაფერი წამიერად და სიტყვის დაუძვრელად მოხდა. მხოლოდ პაჭეტ ლაშე ქშინავდა...

— ზემოთ აიყვანეთ, ზემოთ...

სმოკინგშემოხეული, საკინძეებამოყრილი ლევი ლევიცკი მალლა, ბუხრიან ოთახში იწვა კუთხეში მდგარ დივანზე. იგი ჯერ კიდევ სიბნელეში გაჩხრიკეს, წაართვეს საფულე, საბუთები, ოქროს პორტსიგარი, ბრილიანტებით მოოჭვილი საათი, თითიდან ბეჭედი წააძვრეს და ბოლოს ვილაცამ სინათლე აანთო. ლევი ლევიცკის წინ ოთხი აქოშინებული კაცი იდგა... პაჭეტ ლაშეს ჩოფურა სახე ისე უცახცახებდა, თითქოს რეზინისა იყო. წითურთმიანი ეტინგერი გულის ფრიალისგან იმ ზომამდე გაფითრებულიყო, ჭორფლი დამჩნეოდა. იგი ცხვირსახოცით იწმენდდა სახეს. ბიტენბინდერი მძვინვარედ ბზიკავდა ტუჩებს, იზვოლსკი ლევი ლევიცკის მოქუშული უცქეროდა სახეში. შემდეგ ვილაცამ პაპროსები ამოიღო და ოთხივემ ხარბად გააბოლა.

იზვოლსკი სიძულვილისგან ჩაშავებულ თვალებს არ აშორებდა ლევი ლევიცკის.

— არამზადავ! ამხანაგო ბოლშევიკო! — მიმართა წყნარად მას. — შენ რუსეთის იმპერიის აღდგენის ლიგამ... ვიგინდარავ, ურიავ! ჩამოხრჩობა მოვისაჯა... მე შენი დედა!

იზვოლსკი იაე შეირბა, თითქოს ეცემაო, და ლევი ლევიცკის სახეში მუშტი გაუქანა, მაგრამ მან თავი დასწია და მუშტი თავის ქალაზე მოხვდა. ბიტენბინდერმა იზვოლსკი განზე გასწია:

— ეს რაა მაგისტრის! უნდა ვაწამოთ...

იზვოლსკი მძიმედ სუნთქავდა, მხრები ხან აეწეოდა, ხან დაეშვებოდა.

— ზედმეტია... ჩამოვახრჩოთ და ტბაში გადავუძახოთ, — თქვა მან.

ლევი ლევიცკი პაჭეტ ლაშეს უყურებდა, რადგან გრძნობდა, რომ მთავარი ის იყო. ლაშე ლევი ლევიცკისთან მოვიდა; მას კავკასიური შინდისფერი პერანგი ეცვა, პერანგზე მაგრად შემოეჭირა ქამარი.

— შენ მრისხანე ორგანიზაციის ხელში ხარ, ძვირფასო... აქედან ვერ გააღწევ... მაგრამ შეგიძლია ხვედრი შეიმსუბუქო, გამიგე?

იზვოლსკიმ ფეხები დააბრაახუნა და მკვახედ თქვა:

— შეიმსუბუქოსო? არა ვარ თანახმა.

ლაშე მთელი სხეულით შებრუნდა მისკენ. იზვოლსკიმ თვალები დახარა... ლაშემ ისევ ლევი ლევიცკის მიმართა:

— გაიგე, ძვირფასო? მაშ ასე: სადაა შენი სეიფის გასაღები?

ლევი ლევიცკიმ ტუჩები მოილოკა.

— სადაა სეიფის გასაღები? — გაიმეორა ლაშემ. — თან დაწვრილებით მოგვახსენე, რამდენი ბრილიანტი, ვალუტა გამოიტანე... მოიტა ჩეკის წიგნაკი... აბა, რას დუმხარ?

ოთხივე ლევი ლევიცკის უცქეროდა, თითქოს პირიდან ახლავე ოქროს თუმნიანები გადმოუცვივდებოდა, მაგრამ მას ქუთუთოები ნახევრად მოეხუჭა,

ნესტოები უთრთოდა. ებრაელთა ათეულობით თაობის მიერ გეტოში გამოტარებულმა სიძულვილმა, უტენმა სიჯიუტემ, სიკვდილის შიშზე უფრო მწვავე სიძულვილმა და სიჯიუტემ ყელი გამოუშრო და პასუხად რაღაც გაუგებრად წაიბურღლუნა...

ეროვნული
განმათავისუფლებელი
ბრძოლისთვის

ბიტენბინდერმა ბორბოტად იღრიალა:

— რაოო? გაიმეორე, პირუტყვო!

ლაშე ისევ ყმუოდა:

— უარს ამბობ პასუხზე, გენაცვა? ლაპარაკზე უარს ამბობ? (ლაშე ხმას სულ უფრო იმაღლებდა, თვალები აუყვრივდა.) უკანასკნელად გეკითხები, გენაცვა: სადაა სეიფის გასაღები, სადაა ჩეკის წიგნაკი?

ლევო ლევიციმ ტუჩები მოილოკა და ბოლოს უპასუხა:

— მე ბოლშევიკი არა ვარ. ჩემი ფული — ეს ჩემი ფულია... საპასუხო არაფერი მაქვს... ბრილიანტები სისულელეა! თანაც აქ კონტრდაზვერვა არაა...

ამის თქმაზე პაჭეტ ლაშე მივარდა, ცერები პირში ჩაუდო, ტუჩებს უგლეჯდა, თავს უქანავებდა. იზვოლსკიმ მთელი ხმით იღრიალა. ყვიროდნენ ყველანი, დივანთან შექუჩებულნი. ლევო ლევიციის ვიღაც ხელებზე ეცა და მტევნები გადაუგრიხა. ჰიდლისგან ოთახში მტვერი დადგა, წკარუნებდა ჭალის მძივები.

იზვოლსკიმ პაპიროსები ისევ შესთავაზა ყველას. მათ პაპიროსს ხელი დასტაცეს, გააბოლეს. ლაშემ მძვინვარედ გადააფურთხა:

— ვინ ეშმაკმა მოიგონა მისთვის ხელების გადაგრეხა?

— მე მოვიგონე.

— იდიოტო!

— აბა, აბა, ცოტა წყნარად!

— ლოთბაზარავ, მან ხომ ხელი უნდა მოაწეროს ჩეკებს... როგორ მოაწერს გადაგრეხილი ხელით? წადი წყალი მოიტანე...

ბიტენბინდერმა ლილის ოთახიდან წყლიანი დოქი მოიტანა. ლაშემ დოქი ხელიდან გამოგლიჯა. წყალი ჭერ სახეზე დაასხურა ლევო ლევიციის, შემდეგ მთლიანად დაასხა. ლევო ლევიციმ დაიკვნესა. ნელ-ნელა გამოფხიზლდა. თავდაპირველად უაზროდ მომზირალი თვალები ძრწოლით აევსო. დამახინჯებული მარჯვენა ხელი ასწია, შეხედა, სველი სახე უხმო ტირილისგან დაემანჭა. როცა პკითხეს, ახლა გვიპასუხებ თუ არაო, თავი ასწია და (პირიდან სისხლიანი ბუშტები გადმოსდიოდა) ოთხივეს წყევლა-კრულვა დაუწყო იმ ძველ ენაზე, რომელიც მამისგან ესმოდა, როცა ის თალმუდს კითხულობდა. მაშინ ისევ მისცვივდა ყველა.

— ცეცხლი გააჩაღე! ცეცხლი! ასანთი!.. ანანასანა!.. ცეცხლი! — ყვიროდა პაჭეტ ლაშე და საკეცეს იქნევდა...

ვერა იურიევნას წელან უბრძანეს, სასადილოში ყოფილიყო, და იქვე დარჩა კიდევ სიბნელეში — ფაციფუცში იგი დაავიწყდათ. ისე ამას მნიშვნელობა არც ჰქონდა — ვერა იურიევნა საშინლად იყო გაღეშილი. ხელები მაგიდაზე გაეშალა, ხან წამის რაღაც ნაწილით წაიძინებდა, ხან, გულის ძგერით შემხტარი, ჩურჩულებდა და ბუტბუტებდა.

ჭერიდან ბათქაში ცვიოდა — ზემოთ ბრაგუნი და ყვირილი ისმოდა, შემდეგ ისევ ის ჰიდლი მეორდებოდა. ვერა იურიევნას დაბინდულ ტვინში აკვირებული აზრი უკრთოდა: სამზარეულოში ნავთიანი ბიდონი დგას... ნავთი კიბეზე უნდა დაიდვაროს... ასანთს გაკრას... მალლა აიჭრება ცეცხლი... კო-

ცონი ღრუბლებს მისწვდება.. ყველა — ცოცხლად შეიწვება, ვით კავკასიური მწვადი... ღმერთო, რა გენიალურია: პაჭეტ ლაშესგან გაკეთებული მწვადი!.. „ჩვენთვის ყოველი სტუმარი ღვთისაა...“

ვერა იურიევნა ჩუმად წკმუტუნებდა, იცინოდა, სუფრას^{სუფრა} მსწრეობდა, მაგრამ ალკოჰოლი არეტიანებდა, ხელები ძირს უცვივდებოდა, თავი მაგიდაზე უვარდებოდა.

ზემოთ კვლავ გაისმა ყვირილი. ვერა იურიევნა ისევ შეხტა. ამგვარი ყვირილი ჯერ არ გაეგონა. ეს იყო ტკივილით, აუტანელი წამებით გამოწვეული თანდათან მზარდი საზარელი ყვირილი. აბღავლებული პირი მთელი სახლის ოდენად იყო დაბჩენილი. როგორ შეეძლო ადამიანს ასე ყვირილი?

ვერა იურიევნა წამოდგა. თავზე იტაცა ხელები, გაიქცა, სიბნელეში რალაცას დაეჯახა და მოწყვეტით დაეცა, ძირს გაგორდა...

ეტყობა, ერთი წუთით გვიან ლევი ლევიციკიმ, რომლისთვისაც გავარვარებული მაშები შეერჭოთ, თვალი ამოეგდოთ, ხოლო ყელზე ჯუთის ბაწარი წაეჭირათ, უეცრად, ლიგის დაქანცულ წევრთათვის მოულოდნელად ორი მოძალადე გადააყირავა, მესამეს ხელი პკრა, ფანჯრისკენ გაიჭრა, ჩარჩოვ გაამტვრია და მეორე სართულიდან გადახტა. როცა ლიგის წევრები სახლიდან ნოტიო სიბნელეში გამოცვივდნენ, ხრეშმოყრილ ბილიკზე დამხობილი ლევი ლევიციკი უკვე მკვდარი იყო. მიუხედავად ამისა კვლავ დიდხანს ბეკნიდნენ ფეხებით.

თერთმეტ ოქტომბერს იუდენიჩის ჩრდილო-დასავლეთის არმიამ წითელი არმიის ფრონტი ორ ნაწილად გააპო და პეტროგრადს კრასნაია გორკას (მარცხენა ფლანგი), ცარსკოე სელოს (ცენტრი) და ოქტომბრის გზის სადგურ ტოსნოს (მარჯვენა ფლანგი) მიმართულებით შეუტია. ჩრდილო-დასავლეთის არმია, რომელიც თვრამეტი ათასი ქვეითისა და მხედრისგან შედგებოდა, ტანკები და ოთხი ჯავშნოსანი მატარებელი პკონდა, ინგლისური ფორმა ეცვა და ჩინებულად იყო მომარაგებული სურსათითა თუ საომარი მასალებით, წინ ისე მიიწევდა, თითქოს მისეირნობდა, და წითელ ნაწილებს უკუაგდებდა.

ზღვიდან პეტროგრადს ადმირალ კოუენის ინგლისური ფლოტი ემუქრებოდა. ჩრდილოეთით დასასჯელად გამზადებული ფინელთა სამოცდაათასიანი არმია იდგა. თვით პეტროგრადში ინგლისელი აგენტის პოლ დიუკსის მიერ ჩამოყალიბებული საიდუმლო მთავრობა იჯდა (პოლ დიუკსი თავს სოციალისტად და რუსეთის მეგობრად ასაღებდა). „ცივილიზებულმა სამყარომ ყურად იღო იუდენიჩის განცხადება, რომ პეტროგრადი ალების შემდეგ ასი დღით იქნებოდა იზოლირებული დამნაშავე ელემენტებისგან ქალაქის გეგმაზომიერი გაწმენდის მიზნით და მხოლოდ ასი დღის შემდეგ დაიშვებოდა იქ სამოქალაქო ხელისუფლება.“

პეტროგრადში არმიისა და ფლოტის ყველა სასიცოცხლო ცენტრში დიდი შეთქმულებანი მზადდებოდა. ლიუნდეკვისტი (მეშვიდე არმიის შტაბის უფროსი) და მედიოკრიტსკი (ბალტიის ფლოტის ოპერატიული განყოფილების გამგე) იუდენიჩს სამხედრო გეგმებს უგზავნიდნენ. ბერგმა — ბალტიის ფლოტის საპაერო ძალების უფროსმა — ფინეთს კრონშტადტის დანალმული ხაზის

გვგმა მიაწოდა. რეიტერი — პეტროგრადის რადიოსადგურის უფროსი — თეთრებისთვის გასაგები შიფრებით რადიოცნობებს გადასცემდა. შეთქმულება აღწევდა საბრძოლო ნაწილებში. შეთქმულნი საექვო საუბრებს მზრუნველდნენ წითელარმიელთა ჭამის კოცონებთან. შეთქმულება კალმებს აწვდიდა ქვე-ებერთელა საბჭოთა დაწესებულებებში. შეთქმულება ფერმკრთალ, გაძგიბულ ცხვირს ყოფდა პიტერის გაუმთბარ ბინებში გამტკვერილი ფარდებიდან.

წითელი ნაწილები უკან იხევდნენ. თეთრებს ყოველი აღებული სოფელი შურის საძიებლად აგულიანებდა. თოთხმეტ ოქტომბერს თეთრების მწკრივებში ქუდებს მაღლა ისროდნენ და „ვაშას“ ყვიროდნენ... სალამის მთელი მსოფლიო-სათვის გახდა ცნობილი, რომ დენიკინის არმიამ ხელთ იგდო ქალაქი ორიოლი-ბოლოდან მეორე ციტადელი მოსკოვისა.

ეორე კლემანსომ მდივანს ტელეფონის ყურმილი გამოართვა და პარიზის კრების თავმჯდომარეს თავად ლვოვს თვითონ უთხრა ყმულია ხმით:

— ალბათ მალე შექნება სიამოვნება რუსეთის კანონიერი მთავრობა მოგილოცოთ, არა?

თავადმა ლვოვმა აკანკალებული ხელი გაბრწყინებულ თვალებზე მიიფარა (ეს მოხდა სხდომის დროს, ჩამომდგარ დაძაბულ სიჩუმეში) და წყნარი ხმით მიუგო:

— ყველა საფუძველია ასე ვიფიქროთ, ბატონო მინისტრო...

ნიკოლაი ზრისანფოვიჩ დენისოვი ბანკირთა ჯგუფთან ერთად პარიზიდან საჩქაროდ გაემგზავრა ლონდონს, რათა განთავისუფლებული რუსეთის დასაკრედიტებლად ინგლის-რუსეთის ბანკი დაეარსებინა. შავ ბირჟებზე აფრიალდა რუსული ქალაქები, მეტწილად ნავთობის აქციები. ჩრდილოეთის დევგმირმა მიტკა რუბინშტეინმა ფინეთის მარკა სამ დღეში დაასამარა და იუდენიჩის მანეთის აწევა დაიწყო!

ვლადიმირ ლვოვიჩ ბურცევმა დენისოვის დოტაციის უკანასკნელი ფულით გამოუშვა „საერთო საქმის“ ცნობილი ნომერი, რომელსაც მთელ გვერდზე ასეთი სათაური ჰქონდა: „წირვა გამოგვიდათ, ბოლშევიკებო“. იგი გაზეთის ახალი ამონაბეჭდით შევარდა პარიზის კრების სხდომაზე (გამოცხადებული იყო, რომ კრება განუწყვეტლივ იმუშავებდა) და ორმოცდაათი ათასი ფრანკი მოითხოვა ლენინი და K^o-ის საბოლოო დისკრედიტაციისთვის...

რუსი ემიგრანტები სამშობლოში დაბრუნების ბედნიერმა ალიაქოთმა მოიცვა. მოულოდნელად ალექსანდრე ფიოდოროვიჩ კერენსკიმ არარსობიდან ამოჰყვინთა და ორი საჯარო ლექცია გამოაცხადა თემაზე: „ვარ თუ არა დამნაშავე!..“ უფრენჩოდ, უხელთათმანოდ იყო, — ასე როდი იცნობდნენ მას, სრულიად რუსეთის დიქტატორს, — გაცვეთილი პიჯაკი ეცვა, ყელი ჭუჭყიანი ჰალსტუხით წაეყრონჭა, დაბერებული ბიჭის შესიებული, ავადმყოფური სახე ჰქონდა — ასეთნაირად გამოვიდა აუდიტორიის წინაშე და მას უკიდურესი ქედმაღლობით დაუმტკიცა, ჩემთვის რომ თავის დროზე დაეჯერებინათ, არც ბოლშევიკები გაჭაჭანდებოდნენ, არც სამოქალაქო ომი იქნებოდა, არც ემიგრაცია და ყველაფერი კარგად და ჩინებულად წარიმართებოდაო.

ეჟურნალისტი ლისოვსკი ბრწყინვალე საქმეზე გაუშვეს — სამხედრო კორესპონდენტად დანიშნეს რეველში. მის მიერ რეველიდან გამოგზავნილი დეპეშების მხატვრულობამ პარიზის ყველაზე გაქნილი ეჟურნალისტებიც კი განაცვიფრა. რეველს ევროპის ყოველი კუნჭულიდან ასობით სპეკულანტი მიაწყდა.

ასინი უაღრესად ხელსაყრელ წინადადებებს იძლეოდნენ, რათა განთავისუფლებული პეტროგრადი მომარაგებულიყო ყოველივე აუცილებლით: ავსტრალიური დამარილებული ხორცი და გათავებული ვენური პრეზერვატივებით. პეტროგრადისკენ მიიწევდა მყრალი და ~~ქაღალდი~~ სპონლის მთები. ჩრდილო-დასავლეთის არმია კი არ მიდიოდა, პირდაპირ მიფრინავდა წინ. თვრამეტ ოქტომბერს აიღეს კრასნოე სელო და გატჩინა. ცხრამეტ ოქტომბერს გენერალი იუდენიჩი ცარსკოე სელოში შევიდა.

გენერალმა იცოდა, რომ მას მსოფლიო უცქეროდა. იგი ცარსკოე სელოში მიძიმედ ჩამოვიდა სალონ-ვაგონის ბაქნიდან და პეტროგრადისკენ გაიხედა; პეტროგრადი მოლურჯო ზოლად ილანდებოდა ჭაობიანი დაბლობის მიღმა. ისმოდა ქვემეხთა გრიალი. ელოდნენ, რომ გენერალი გაშლილი ხელით გადაისახავდა პირჯვარს, მაგრამ რატომღაც არ გადაისახა. მისი მაზარის შინდისფერი გადანაკეცები, ჩამოფხატული დიდი წინაფრა და ჭალარა უღვაშები ჩამწკრივებული იუნკრების ყარაულის წინ გაცურდა. ცივი ქარი უბერავდა და ვაგზლის მოედანზე ჩამოცვენილ ფოთლებს მიერეკებოდა. ქალაქი ცარიელი იყო, მხოლოდ მალალი ლარიქსები და ფოთლებშემოძარცული ცაცხვები ირხეოდნენ და შრიალებდნენ. ცაცხვებზე ყვავების მიტოვებული ბუდეები ჩანდა.

გენერალი ეტლში ჩაჯდა და ალექსანდრეს სასახლისკენ გაემართა გულად მცველთა რაზმის თანხლებით.

ზღვის მხრიდან პეტროგრადს ქექა-ქუხილივით უვლიდა თავზე სროლის ხმა: — სახაზო გემი „სევასტოპოლი“ ქვემეხებს უშენდა ცარსკოე სელოს. ზღვიდან, ჩრდილო-დასავლეთიდან ღრუბლები მოიწევდა, ცარიელი ქუჩების გაყოლებაზე ნატყვიარ სახურავებს და ფანჯრებჩაღეწილ, ჩამოცრცნილ ფასადებს წვიმა უშხაბუნებდა.

ტროიციის ხიდთან, ტომრების გროვებთან გუშაგები აბუზულიყვნენ. ხიმტებს ავდარი დაზუზუნებდა. ჩანდა გამხდარი, წვერმოშვებული სახეები, შიმშილისა და სიძულვილისგან მოღუშული თვალები. ქარს ბათქაბუთქის ხმა მოჰქონდა. დაბლა ჩამოწოლილი ღრუბელი ქალაქისკენ მოცოცავდა, მის შესახვედრად ნევა ყინულოვან გორებად იბურცებოდა და ნახევრად ჩაძირულ კარჭაპებს და გრანიტის სანაპიროს ეხეთქებოდა.

კარლ ბისტრემს დასველებული კეპი ჩამოეფხატა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, საყელო აეწია. მან ქარი დასძალა, ტროიციის ხიდი გადაიარა, გუშაგს საშვი გაუწოდა და მხნედ უთხრა:

— ჯოჯობეთური ამინდია, ამხანაგო...

გუშაგმა საშვი შეატრიალ-შემოატრიალა და პასუხად უხალისოდ წაიბურტყუნა:

— გაიარე.

გავლა აღვილი როდი იყო გადათხრილ და წვიმის წყლით დაფარული ტროიციის მოედანზე. გათოვდა. ხის ცირკის მრგვალ სახურავს ქარი ტოლის ნაჭრებს აგლეჯდა. იმ მხარეს რამდენიმე კაცი მიემართებოდა, როგორც მთელი ეს დღეები, ახლაც ისევე აღფრთოვანებული ბისტრემი სველ წალებს

მზნედ მიათხლაშუნებდა ტალახში. გაუსწრო მიმავლებს. ციოკის შესასვლელის წინ, ტყვიამფრქვევითან წითელარმიელები იდგნენ. კვლავ საშვი მოსთხოვეს. სინოტივისგან მონისლული კესტიბიული ხალხა გაეჭედა. ბისტრუმმა ბოლოს გააღწია წინ. ციოკი სავსე იყო. ორკესტრის მაღალ ადგილზე ორი იდგა — ჯმუხი, ჭალარაულვაშიანი კაცი და შეუხედავი ჯარისკაცი, რომელმაც სველი გაზარის ჯიბეებიდან ხელებს არ იღებდა. ჭალარაულვაშიანმა თითი ასწია:

— ამხანაგებო... მსოფლიო იმპერიალისტებისა და მათი სისხლიამსმელი ბაღლების — მართლმადიდებელი გენერლების პასუხად... თეთრგვარდიელთა ცბენოსანი პატრულის პასუხად, ჩვენ რომ ნარვის კარიბჭესთან ვნახეთ... პასუხად ჩვენ, პუტილოვის მუშებმა დღეს პარტიაში ორას ორმოცდაათი კაცი გავგზავნეთ... ხოლო სულ ამ დღეებში პეტროგრადის ქარხნებმა ხუთი ათასი კაცი გაგზავნეს... გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!..

ხანგრძლივი ტაში... ორატორის უღვაში კიდევ მოძრაობდა რამდენიმე ხანს და უცებ სახე ღიმილით გაებადრა. ტაშმა იმძლავრა. როცა ბოლოს ტაში შეწყდა, ორატორმა შეუხედავ ჯარისკაცზე მიათითა:

— აი, ამხანაგი დელეგატი მწვანე ფრონტიდან... სორმოვის ქარხნის დეზერტირთა წარმოგზავნილი... (უცბად სიჩუმე ჩამოვარდა. სველი სახურავის თავზე ყრუდ ისმოდა — ბუპ! ბუპ! — ოხრავდა პაერი).

ვილაცამ უხეში ხმით იკითხა:

— რა შუაშია აქ დეზერტირები?

ჯარისკაცმა შიშნეულად მოხედა პუტილოველს და დამნაშავის იერით უთაუბოლოდ ალაპარაკდა:

— ჩვენ, ესე იგი, სორმოვოს ქარხნების დეზერტირები... ისე ეი არა, რომ დიდი რაოდენობით, მაგრამ საკმარისად... მაშასადამე, ვალიარებთ — თავკერძები ვართ... რაც გინდა, ის ჰქენი... ჩვენ, მაშასადამე, გავიგეთ, რომ თქვენ — პიტერის მუშებს — გიტევენ თეთრი გენერლები. განვსაჯეთ: უნდა გიხსნათ. ჩვენ სამნი, დელეგატები, თქვენთან გამოგვგზავნეს, რომ ნება დაგვართოთ ჩვენ, დეზერტირებს, ეშელონში ჩაგვსხან, მოგვცენ იარაღი, თუნდაც აქ, ადგილზე სულ ერთია.. არ ვიყინებთ... ერთხმად დავადგინეთ, რომ გიხსნათ!..

— მივილოთ!.. მადლობა ვუთხრათ!.. — დაიყვირეს ადგილებიდან.

ორკესტრში აშავალი კიბე მარდად აირბინა ბუშლატგაღელილმა მეზღვაურმა და ჯარისკაცი იდაყვით ცინდალივით მიაგდო გვერდზე:

— ამხანაგებო, რევოლუციის მრისხანე საათს, მეთორმეტე საათს წითელი ბალტიის მეზღვაურები ჩვენს საბრძოლო ადგილებზე დავდექით... (მუშტები შემართა.) ჩვენ პეტროგრადის მისადგომებზე არაერთხელ გვირტყია თეთრი ბანდებისთვის... მეზღვაურები მშრომელი ხალხის მტრების რიგებში შიშსა და ძრწოლას თესავდნენ. (მხარი წინ წამოსწია, თვალები მოჭუტა და დამარცვლით თქვა:) ჩვენთან ბრძოლაში ჩაბმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმას ნიშნავს... მერყეებმა ეჭვები უკუაგდეთ... წითელი ბალტიის მეზღვაურები მოუწოდებენ ყველა მშრომელს, ყველას, ვისაც ჩვენსავით (მუშტი მკერდზე დაიბრაგუნა), ჩვენსავით სძულს ოქროსსამხრეებიანები ბატონკაცი არამზადები, მოგიწოდებენ თქვენ უკანასკნელი ბრძოლისთვის, გამარჯვების ბრძოლისათვის... (ბუშლატიანმა სულგაკმენდილ ცირკს ძალის მოზღვავეებისგან რალაცნაირი სისათუთითაც კი დაუქნია ხელი.) უკანასკნელ ვაზნამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე... ყველამ იარაღს მოჰკიდეთ ხელი!.. ყველანი საბრძოლო

ნაზზე დადექით!.. ჩვენ, ბალტიელი მეზღვაურები, ვდებთ სამკვდრო-სასიცოცხლო ფიცს — გავიმარჯვოთ პიტერის კედლებთან...

ხალხის ქედვაში ესტრადისკენ მიმავალმა კარლ ბისტრემმა იყვირა. ყველა სახე — გამხდარი თუ უფერული, მოხუცისა თუ ახალგაზრდისა — ერთიანად ცახცახებდა, ყველა ყვიროდა, თითქოს მოწითალო-გავარჯვრებულ ქუჩების ნაცვლად ქერიდან მხურვალე შუქის ნაკადი ჩამოიქცა. შემოდგომის წვიმის მიერ შელახულ სახეებზე, თვალებში გააღმასებული გადაწყვეტილება გამოსჭვიოდა.. გაწვდილი ხელებით აძაგრული მთელი ამფითეატრი ირხეოდა და ამ ნაპოვნ სიტყვას გაჰყვიროდა:

— ვფიცავთ!.. ვფიცავთ!..

კარლ ბისტრემმა ვერ მოასწრო ყოველივე იმის თქმა, რაც სულს უვსებდა. თითქოს კარგიც იყო, რომ ვერ ილაპარაკა — ამ უკიდურესად აგზნებულ დღეებში მისი აზრები სულ უფრო განკენებულ მიჯნებში იჭრებოდა. ისე თვითონაც ხედავდა, რომ ახლა საჭირო იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ფიცებით უბრალო და ნაღდი სიტყვები... ბისტრემმა ბარათი მიიღო და პრეზიდენტის მაგიდასთან გააღწია. თავმჯდომარემ, ძველმა ნაცნობმა (რომელმაც სესტრორეცკში დაკითხა) ხველა შეიკავა და უჩურჩულა:

— წადი პუტილოვის ქარხანაში... ჩემი მანქანა წაიყვანე. იქ არც ერთი ავიტატორი არაა. შეუნაცვლებლად იყავი... ტელეფონით კავშირი გქონდეს ჩემთან. დაიფიცე?

ბისტრემი გაორთქლილი სათვალით ჩააჩერდა ანთებულ თვალებში:

— პროლეტარია დიადი ფიცით...

თავმჯდომარემ თავი დაუქნია:

— წადი.

ქუჩაში თოვლნარევი წვიმა უეაპუნებდა. დაბალი ღრუბლების მიღმა გრგვინვა ისმოდა. თითქოს სასოწარკვეთილება ჩამოსწოლოდა დაბალ სახლებს, ტლაპოიან ქვაფენილებს. მანქანა ბისტრემს ხიდებზე, უკაცრიელ სანაპიროებზე უდრიალით მიაქროლებდა. თვლებიდან ატყორცნილი ტალახი ჩამომტირალ ფანჯრებს ულაწუნებდა.

სახლები სულ უფრო ცარიელია და დაბალი. კრთება უშენი ადგილები, უკარფანჯრო ქოხმახების ნანგრევები. ბუჰ! ბუჰ! — უფრო მკაფიოდ აღწევს ქვემღიხთა გრიალი. კა-კა-კა, — ისმის კაკუნი ძლივს მჩინარი ტორფიანი დაბლობიდან. მარჯვნივ, აფოფრილი ღელის გაღმა, სოფელი ვოლინკის ხის სახურავებია, პირდაპირ გისოსიანი ლანდივით გადმოდგა პუტილოვის ვერფის დიდი ამწე. ჩანს ზღვის რუხი საბურველი. მძაფრი ქარი უბერავს. ავტომობილი ქანავ-ქანავით წყალში მიიწევს. სამხრეთ-დასავლეთიდან, ბურუსიდან პეტერგოფის გზატკეცილზე ალალები, საბარგო მანქანები, ქვეითები მოემართებიან.

ავტომობილი ლობეებისკენ უხვევს. ლობეების იქით აგურის კორპუსებია, კიბური სახურავები. პირქუშად ბოლავენ მილები, შავ კვამლს აფენენ მიწას. ქარხნის ჭიშკართან ოთხთვალეები შეჯგუფებულა: მოფერი მანქანას აჩერებს და ბისტრემს ღვარძლიანად ეუბნება:

— გადმოდით.

— რა ხდება აქ?

— ვერ ხედავთ განა?

ბისტრემი მანქანიდან გადმოვიდა და კოჭებამდე ტალახში გაემართა ჭიშკრისკენ. სამხედრო ოთხთვალათა დაზვინულ ბარგზე ჯარისკაცის მანქანიანი ადამიანები ისხდნენ. მათ უფერული, ჯაგარმოდებული, პირქუში სახეები ჰქონდათ. გლეხების ფორნებზე ბოხჩებს შორის ძველმანით და ნეჭის მწკრივით არული ქალები და ბავშვები ჩანდნენ. ერთიანად ტალახს მოეწვარა ნაღობი, საბარგო მანქანები, ცხენები, ფორნების მწკრივები, უკანდახეული არმიის ალალები. ჭიშკარში ყვირილი, ღერძების ჭრიალი ისმოდა. მძვინვარე კაცი, რომელსაც შავი ტყავის ქურთუკი ეცვა, რევოლვერის ტრიალით მიიწევდა ცხენებისკენ.

ფორნები და ოთხთვალეები ფაბრიკის ვეება ეზოში შედიოდა. ეზოში რკინის ჯართის გროვები, ხე-ტყის ნაკრაულები, გემის დაქანგული ქვაბები და ავდრისგან შეფარებული ლტოლვილების ჯგუფები ჩანდნენ. ვიწროლიანდაგიან რკინიგზაზე ორთქლის ბოლქვებში გახვეული პატარა ორთქლმავლები გაჰკიოდნენ. მუშებს ლანძღვა-ყვირლით მიჰქონდათ რკინის კოჭები. ფოლადის ფურცლები, ქვიშიანი ტომრები, შპალები. ყველგან გადასატანი ქურები ენთო. ჯავშნოსანი მატარებლის ვაგონებს ხალხი შემოხვეოდა და ჩაქუჩებს ურახუნ-უკაკუნებდა. ავტოგენის სანთურები ნაპერწკლებს აფრქვევდნენ და თვალს აბრმავებდნენ. ქარხნის მაღალი, გაჭვარტლული ფანჯრების მიღმა მძიმედ გახუნებდნენ უროები, მაღლა იჭრებოდა ცეცხლის ალი, გრიალებდა და ღრჭიალებდა ფოლადი.

ბისტრემმა ჯიკავ-ჯიკავით გაიარა ფაბრიკის ეზო და ძლივს მიაღწია ქარხნის კომიტეტის ადგილსამყოფელს. კანტორის ნახევრად ბნელ ღერეფანში ბოხჩებზე ისხდნენ ქალები, ტიროდნენ ბავშვები. ერთ-ერთ კარზე ცარცით ეწერა: „ქარხკომი“. მუშამ ბისტრემს ხიშტით გადაუღობა გზა. ბისტრემმა საშვი უჩვენა. წეკოს კვამლით გაბურულ ოთახში ვილაცები ჩახრინწული ხმით ჩასძახოდნენ ტელეფონის ყურმილებს. მაგიდეებზე ხმელი პურისა და შაშხანების გროვები ეყარა. იქვე, ერთ-ერთ მაგიდაზე ვილაცას ეძინა, სახე ინჟინრის ქუდით დაეფარა.

აქ იყო პეტროგრადის დაცვის გული. პუტილოვის ქარხანა გამალებით — სამ ცვლაში — აგებდა და არემონტებდა ჯავშნოსან მატარებლებს, ქვემეხებს, ორთქლმავლებს, ავტომობილებს, მობილიზაციას უკეთებდა რაზმებს, ადგილს უჩენდა უკანდახეულ სამხედრო ნაწილებს, აგვარებდა ლტოლვილების ლამის-თევის საქმეს, ქალაქის მისადგომებთან დგამდა ჯავშანგამტან ქვემეხებს, საბრძოლო ხაზებამდე გაჰყავდა ელექტროგანათება. ტელეფონზე ხმაჩახლეჩილი საუბრის ნაწყვეტებით ბისტრემი მიხვდა, რომ მთელი ეს სამუშაო აქ, ქარხკომში იყო თავმოყრილი.

ბისტრემმა კეპიდან წყლის წვეთები დაფერთხა, სათვალე გაიწმინდა და ერთ-ერთ მაგიდასთან მივიდა. ობმოკიდებული პურების და ვაზნებიანი თუთიის ყუთების იქიდან ბისტრემს ქუთუთოებანთებული ნათელი თვალეები ჩაებეჭდა...

— რა გინდა?

ბისტრემმა მანდატი გაუწოდა, რომელიც წელან ცირკში მეღნის ფანქრით სახელდახელოდ დაუწერა თავმჯდომარემ, ეტყობა, პრეზიდენტში შემოსულ ერთ-ერთ ბარათზე. კაცმა ფრჩხილებმომტვრეული ხელი პურების ზემოთ გადმოყო და ქალაქის ნაგლეჯი აიღო, დაწითლებულ ქუთუთოებთან მიიტანა... მაგიდაზე დადგმულ ტელეფონთან ერთმა დარეკა. კაცი ყურმილს დასწვდა:

— დიახ... მე... რაო? როგორ თუ არ შეგიძლიათ? გაქცეულია? აჰა. — იგი თან ყურმილს უსმენდა, თან კითხულობდა ბისტრემის მანდატს, რომლის მეორე მხარეს ეწერა:

„მოქ. თავმჯდომ... ეს ბუნდოვანი დაპირებებია კომუნისტურ სამოთხეზე, პრაქტიკულად კი გვაქვს აყროლებული ნაფოტა თევზი... თქვენს მართლადარწმუნებულ ხართ, რომ შეგიძლიათ მოსახლეობას შესთავაზოთ თუნდაც სამას-სამასი გრამი პური? ჰა?... იუდენიჩის არმიას უკან თეთრი ფუნთუშებით და კონსერვებით დატვირთული მატარებლები მოჰყვება... გირჩევ: სიტყვების რანარუხს მოეშვა, შემოგვთავაზე არსებითი...“

— სისულელეა!... (ყურმილში). არაფრით არ შეიძლება, ამხანაგო... ჯავშნოსანი დღეს უნდა იყოს ხაზზე, მტერს პულკოვოსთან ვუმაგრდებით... ღამით დავუშენთ პულკოვოს... ა? რაო? — წითელი ქუთუთოები დაძაბულად აუხამ-ქამდა, თან ყურმილში ბურტყუნს უსმენდა. არც გამოუხედავს ბისტრემის მხარეს ისე გადმოაგდო ბარათი, — სისულელეა! არაფერი მესმის, ამხანაგო...

— მანდატი მეორე მხარესაა, ამხანაგო, — უთხრა ბისტრემმა.

წითელქუთუთოებიანმა ქალაღი გადააბრუნა: „ამხანაგი ბისტრემი სასწრაფოდ იგზავნება პუტილოვის ქარხანაში“... (ყურმილში). ექვსი საათი უკანასკნელი ვადაა... დაიცა, ჯავშნოსანი მატარებელი ხაზზე გავა ექვს საათზე... (მუქარით.) ამხანაგო, ერთი წუთით დაგვიანებას კონტრეგოლუციურ აქტად ჩაგითვლით... კეთილი. აბა გარეკე! (ყურმილი დადო და ბისტრემს). წადი სავაგონო საამქროში... აამაღლე განწყობილება, ბიჭებს მესამე ღამეა არ უძინიათ..

წითელქუთუთოებიანი მძიმედ წამოდგა, მივიდა მაგიდასთან, სადაც მძინარე კაცს ინჟინრის ქუდი ეფარა. იმ კაცს ხელი კეფის ქვეშ შეუყო, შეანჯღრია:

— პეი, გაიღვიძე!

ინჟინერი, თითქოს ზამბარამ წამოისროლაო, იმწამსვე წამოჯდა: სახე მკვდრისფერი ჰქონდა, მოჭუტული თვალების ქვეშ უბეები შესიებოდა, ცალი ულვაში პირში ჩაედო.

— გესმის შენ, ამხანაგო, გაიქეცი საამქროში. იქ ინჟინერი გაიჭყლიტა. ექვსი საათისთვის ჯავშნოსანი მატარებელი ხაზზე უნდა იყოს.

ინჟინერი მაგიდიდან ჩამოცურდა, ბორძიკით ეტაკა კარს და გავიდა. ბისტრემმა პურის ნატეხი მიიღო და ინჟინერს ეზოში დაეწია. მძაფრ ქარსა და წვიმაში ინჟინერს გაწებილი თვალები გაეხსნა და გეზად გახედა ბისტრემის ჯიბეს.

— აი, ეს უსამართლობაა, — თქვა მან, — ორმაგი ულუფა... მოიტა ნახევარი... (ბისტრემმა პური გატეხა. ინჟინერმა აჩქარებით დაიწყო ჭამა). ისე მომბეზრდა, იცით, ისე მომბეზრდა.. ჩვენ მათ ახლა ექვსდიუმიაზედან ვლენწავთ. ოცდაოთხი საათი ეძინებათ. თქვენ უცხოელი ხართ? იცით, რა მენატრება? ლუდი მინდა. აამაღლეთ, აამაღლეთ განწყობილება, ეს ხელს არ უშლის...

სავაგონო საამქროს ვეება ჭიშკრიდან მოქლონვის ისეთი ყურთასმენის წამლები ჭახატუხი გამოიჭრა, ბისტრემს ყურები ეტკინა და შეიჭმუნა. ზუმფარას რგოლების ნაპერწკლების შადრევნები ჭერს წვდებოდა, სადაც ხიდურა ამწეები დაცოცავდნენ. ვეება სახელოსნოს ბინდში ძლივს გაარჩევდით გამურულ, გამტვერილ ადამიანებს. ისინი ხან სცილდებოდნენ, ხან ისევ ერთვოდ-

ნენ ამ რკინის, ნაპერწკლებისა და ბგერების ქაოსს. ბისტრემი პირველად იყო ლითონის ქარხანაში. უცნაურად ეჩვენა საოცარი ფორმის ვეება ლითონების, შეჯავშნული ვაგონების, მოძრავი, მოტრიალე, მცოცავი ჩარხებისა და ესოდენ სუსტი ადამიანების თანაფარდობა. და მაინც ისინი კვამლში, ცეცხლში, ნაპერწკლების ბუქში აკეთებდნენ რალაცას, რის გამოც ათასგვარად დასრულები ღრჭიალებდნენ, იხრებოდნენ, ერთდებოდნენ და ლაგამამოდებულნი ემორჩილებოდნენ დაღლილობისგან მობარბაცე ადამიანებს.

გამწარებით რეკავდა ზარი. ვილაციის ტყავის ხელჯაგთანმა ხელმა ბისტრემი უცებ განზე გაათრია: მისკენ პაერში ვაგონის ღერძი მოცურავდა. ღერძზე იდგა და ხიდურა ამწის ბაგირისთვის ხელი ჩაეჭიდა სუსტ კაცს; ღერძზე მდგომს იღლებგამოგლეჯილი პალტო ეცვა, თექის ჩექმებზე ბაწრები შემოეხვია. იგი ღერძთან ერთად დაეშვა ძირს. რკინასავით ნაცრისფერ, გათხუპნულ სახეზე უცებ ცხვირი მისალმების ღიმილით შეეჭმუნა, ოდნავ გამოუჩნდა კბილები. ბისტრემმა იცნო ივანოვი, რომელმაც სერტრორეცკთან საზღვარზე დაიჭირა.

ბისტრემმა პირველად იგრძნო, რომ რევოლუციამ ორას გრამ პურთან ერთად სასიკვდილოდ მიმავალი ადამიანის მკაცრი წუთიერი სალამიც აჩუქა. მას ძრწოლისმომგვრელი სიცხადით წარმოუდგა, ხვალ, შეიძლება ამ ღამით, გენერალ როძიანკოს ცხენოსნები ტლაპოში როგორ ჩამოქვეითდებოდნენ, გრძელ მაზარებს წინიდან აიკეცდნენ, მხრებზე შაშხანის კონდახებს მიიბჯენდნენ, შაშხანებიდან მძვინვარე ქარში მოყვითალო პატარ-პატარა კვამლს გამოისროდნენ და ტყვიებით დახლეჩილ ღობესთან მიახვრეტდნენ — ერთმანეთზე მიაწყობდნენ — აი იმათ, ახლა ვაგონის ქვეშ რომ ფუთფუთებდნენ, იმათ, ფეხებგაჩაჩხულნი ნიჩბებს რომ ატრიალებდნენ, ოფლად იღვრებოდნენ და უროს სცემდნენ ხენჯის მფრქვეველ ზოდს, იმათ, დალეწილ მკერდზე რომ პნევმატური ურო მიეკრათ და საჩქაროდ ამოქლონებდნენ ფოლადის ჯავშანს.

ბისტრემი ჩარხის წინ და უკან მოძრავ სადგარზე აძვრა, სათვალე გაისწორა და ლაპარაკი დაიწყო ევროპის პოლიტიკაზე (იგი მერყეობს — საბჭოთა კავშირის გასრესის სურვილიც აქვს და თან ეშინია იქაც რევოლუცია არ მოხდეს), ლაპარაკობდა იუდენიჩის სისუსტეზე (მას რეზერვები არ მოეძვეება, არაფერი აქვს გარდა ინგლისელთა მიერ აღჭურვილი ათიოდე გემისა და თვრამეტი ათასი ბანდიტისა, რომელნიც მხოლოდ იმათთვისაა საშიში, ვინც მათ გაურბის), ჰყვებოდა ცირკში დადებული ფიცის შესახებ, გაფარჩხულ თითებს იქნევდა და ყვიროდა:

— ამხანაგებო, რევოლუციის სული ყველა ინგლისურ დრედნოუტზე ძლიერია! ბურჟუაზიული სამყარო მხოლოდ თავს იცავს. დიახ, ის თავს იცავს, ჩვენ კი შეტევაზე მივდივართ... აქაა ჩვენი ძალა, ჩვენ მიზანი და რწმენა გვაქვს. იქ კი მხოლოდ თავიანთი ნაძარცვის დაცვა უნდათ. მათ მხოლოდ ეჩვენებათ, თითქოს პეტროგრადს უტევენ, ტყუილია, ისინი უკან იხევენ იმიტომ, რომ ჩვენი უფრო ეშინიათ, ვიდრე ჩვენ მათი... გაიმარჯვებს ის, ვინც უტევს, ვისაც გამარჯვება სწამს...

რამდენიმე ხნიერი მუშა მოვიდა და სათვალეან უცხოელს ყური დაუგდო, მაგრამ იმ სიტყვებზეც კი, რომლებზეც თვითონ ბისტრემს აღტაცების ცრემლი მოადგა, მათ მკაცრი და დაღლილი სახე არ შეტოვებიათ. როცა ბისტრემმა ლაპარაკი დაამთავრა, ივანოვმა სთხოვა, პაპიროსი ჩამოურიგე ამხანა-

გებს, გუშინდლიდან არ მოუწევიათო. შემდეგ ფრჩხილს ღილაკზე უკაკუნებდა და ეუბნებოდა:

— შენ ჩვენს საამქროში კი არა, ხის დამმუშავებელ საამქროში უნდა წახვიდე, იქ ბევრი ბრიყვია, ჩვენთან კი ბიჭების უმრავლესობა შეგნებულა.

ბისტრემმა საარტილერიო, სავაგონო, საავტომობილო, სასაბურთაო-საქარავნო საამქროში პირველ საბჭოთა ტანკებს ამთავრებდნენ. სანალმო-საამწყობოში ცხენებს ჭედავდნენ. წვიმაში ტვირთავდნენ სამხედრო ოთხთვალეებს. ფიცრებზე და წუმბეებში ქვანახშირიან ურიკებს მიაბენინებდნენ. ყურთამდე ღია კარში გავარვარებული საცეცხლეები ჩანდა — ცეცხლფარეშები მობაბანე ალში ნიჩბებით გაშმაგებულნი ჰყრიდნენ ქვანახშირს, თითქოს სინამდვილეში ეს მართლაც პროლეტარული რევოლუციის ცეცხლი იყო.

ბისტრემს უკვირდა, რომ ქარხნის მთელ ტერიტორიაზე დაცვა არ იყო — არც შეიარაღებული გუშაგები ჩანდნენ, არც ქვემეხები, არც სანგრები. ეს უდარდებლობა იყო? მოუცლელობა? თუ ამ ხალხმა მართლა გაწირა თავი? ზღვიდან, პულკოვოსა და ცარსკოე სელოს მისადგომებიდან ზანუწყვეტილ გრუხუნებდნენ ქვემეხები. თეთრები მარჯვენა ფრთიდან ოქტომბრის გზისკენ მიიწევდნენ, რათა ქალაქის ერთადერთი მკვებავი არტერია გადაეჭრათ.

დაფლეთილ ღრუბლებში მწუხარზე ბიბლანმა გადმოიქროლა და ქარხნის ეზოში დიდხანს ცვიოდა თეთრების პროკლამაციების სველი ფურცლები. ზოგი ამ ფურცლებს ალმაცერად უყურებდა. ბისტრემი ხედავდა, სამჭედლო საამქროში სამ-ოთხ ქურასთან როგორ მიატოვეს მუშაობა და ტანდაბალ მოხუც ოსტატს შემოეხვივნენ. ოსტატი პროკლამაციას კითხულობდა. მხარბეჭიანმა უროსმცემელმა, რომელიც ვედროდან წყალს სვამდა, ავად მიმოიხედა, ვედრო გადააგდო, ოსტატთან გაადწია, გამოსტაცა პროკლამაცია და ცეცხლში ჩააგდო.

ბისტრემი ისეთ პატარ-პატარა ჯგუფებსაც წააწყდა, რომლებიც ყურადღებით და შეშფოთებით უსმენდნენ ვილაცას. ის ვილაცა კი მის მიახლოებაზე ჩუმდებოდა. ამ ადამიანებს სახეზე უცნაური ჩაცინება უკრთოდათ და ბისტრემს სახეში არ უცქეროდნენ. დროდადრო კარლი კანტორაში შერბოდა, ცდილობდა ტელეფონით დაკავშირებოდა სმოლნს. საღამოს რვა საათზე, როგორც იქნა, დაუკავშირდა. დავალება მისცეს პულკოვოსთან ფრონტზე წითელარმიელთა ნაწილში წასულიყო, სადაც ახლახან ორი კომისარი გამოსულიყო მწყობრიდან.

ფარდულში ორმოცდაათამდე წითელარმიელს მოეყარა თავი, ერთო კოცონი, იდგა კვამლი. გარედან შემოსული დათოვლილი მეომრები სიამოვნებით ჯიყიყიებდნენ, მხრიდან შაშხანას იხსნიდნენ და ცეცხლისკენ მიძვრებოდნენ. ფარდული მოსკოვის გზატკეცილის მოშორებით, სოფელში, პულკოვოს ბორცვის სამხრეთ ფერდობზე იდგა. შუალამე გადასული იყო, ფიცრის სახურავქვეშ ავდარი ზუზუნებდა, ხამუშ-ხამუშ ისმოდა სროლის ხმა.

ბისტრემმა ხანშესული წითელარმიელის, ერმოლაი ტუზოვის რჩევით (იგი რატომღაც გულითადი თანაგრძნობით ეპყრობოდა) ფეხზე გაიხადა და წინდები და წალები ცეცხლს მიუფიცხა. ცეცხლთან ადგილი იმავე ტუზოვმა გამოუძებნა, „ძმებო, ხედავთ, კაცი რა დღეშია, უნდა შევიწროვდეთ — გაფიჩხ-

ხდება... — მიმართა მებრძოლებს. ისინიც შევიწროვდნენ, თუმცა ბისტრემის-
თვის კაციშვილს არ შეუხედავს.

ბისტრემს თითქმის მთელი დღე-ღამე არ უძინია და არ დამჯდარა. პუტი-
ლოვის ქარხნიდან სმოლნში წავიდა, იქიდან ფრონტზე გასწია სველ, თოვლიან,
შემზარავ სიბნელეში, სადაც მუქარით ეხმიანებოდნენ გუშაგებმა მხტლოდ
ახლა შეიძლება სულის მოთქმა. მთლად სველი, ტანზე საცქტებშიც კი, სა-
ხლოებში ხელებზეყოფილი მამაცურად ებრძოდა ძილს. ხმები თითქოს რბილი
კედლის იქიდან ესმოდა. ძრწოლით, შიშით ახელდა მიწებილ ქუთუთოებს:
ერთი წამით არ შეიძლება დაიმედებული იყო, რომ მებრძოლებს ბოლომდე
მტკიცე განწყობილება აქვთ, აქ ათასგვარი ხალხია. არ ეჭაზნიებოდა დაუ-
ზარებელი, თვალეზმოჭუტული, პატარაწვერიანი ერმოლაი ტუზოვიც — მე-
ტისმეტად ალერსიანიაო. ყოველთვის ყურს ცქვეტდა, როცა საუბრის ნაწყვე-
ტებში მისი დათაფლული ხმა ჩაერთვოდა. ერმოლაი იშვიათად, მაგრამ სწრა-
ფად გამოხედავდა მოჭუტული თვალებით — სძინავს თუ არა კომისარსო.

ისმის გაცივებული, ჩახრინწული ხმა:

— სულიან-ხორციანა გავიყინე, ბიჭებო, მიმიშვით ცეცხლთან, თუ ღმერ-
თი გწამთ.

ერმოლაი სხაპასხუბით პასუხობს:

— ახლა, ბიძია, ღმერთის ხსენება არ შეიძლება.

— მაშ, როგორ ვილაპარაკო?

— როგორ და „ლარიბი და მოჯამაგირე“... ახსენე.

ღრუბელივით ვეება კაცი ძლივს მოძვრება კოცონისკენ, ლამის ცეცხლში
ემხობა მუხლებით:

— შენ რა ბაზრის ქურდივით დაწრიალებ, ერმოლაი.

— როგორც სხვა, მეც ისე ვარ, ჩემი თავისუფლება მაწრიალებს: ახლა
არც მეფეა, არც ღმერთი...

კიდევ ვილაცის შეშფოთებული ხმა ისმის:

— ვასილი მოკროუსოვი არ არის აქ?

— ნუ ეძებ, — მიუგო ცეცხლის პირას ჩაცუცქულმა პირქუშმა, უუღვა-
შო წითელარმიელმა, რომელსაც თავზე მაზარა გადაეფარებინა.

ხმა უკნიდან:

— ო, რას ამბობ?

ვეება სველი კაცი:

— მოკროუსოვი მიასაკლავეს.

ბისტრემი თვალეზს აჭყეტს. ძილი რბილი სიცარიელესავით უტევს, არარ-
სობაში აყირავებს. ბისტრემი თავს აკანტურებს, თავი მკერდზე ეცემა, სათვა-
ლე უცურდება, ტუჩები ეფლაშება.

ერმოლაი ვილაცას:

— ჰო, რა, ლუგელი ვარ... რაო? გეყოფა ერთი — კულაკი, კულაკიო...
კულაკები ასეთები როდი არიან. კულაკებს სახლები რკინითა აქვთ გადახუ-
რული.

მაზარაგადაფარებული ახალგაზრდა წითელარმიელი:

— შენ რითღა გაქვს გადახურული?

ვეება კაცი (მას ცეცხლზე წვერი აუბუვდა):

— ომის დროს ერმოლაიმ ერთი ხუთჯერ მაინც გაუტია სახლში კარ-მიდამოს მისახედად. ვიცი, რითაა გადახურული მაგის ქოხი. ერმოლაიმ ნაღდად რომ შემონახული აქვს, ოღონდ მშვიდობას ვერ მოესწრება... (ერმოლაიმ პასუსად მხოლოდ ამას ამბობს: „აჰ, აჰ!“) ჩვენ ერთად ვმსახურდებით მეფის არმიისაში — მე რიგითი ვიყავი, ის კიდევ შიკრიკი. ცნობილი ვიყავი...

— აბა კიდევ რას იტყვი? — ბოლმით ჰკითხა ერმოლაიმ.

— მე რა შიშველ-ტიტველიც ვიყავი, ისეთივე დავრჩი... შენ კი, დახე, გამოქეჩილი კაცი ხარ, — წითელი ვარსკვლავი გაგიკეთებია!..

სახეგამხდარმა ახალგაზრდა წითელარმიელმა ჩაიციხა, ერმოლაიმ ვეება კაცს ავად გახედა, მაგრამ ყველაფერი ხუმრობაში ჩაატარა:

— ეჰ, შე ზღვის ურჩხულო, სწორედ რომ ყბედი ხარ... (და უკვე იმას კი არა, ვისაც ეკამათებოდა, ფარდულის კართან ცეცხლის ანაშუქში მდგომებს მიმართა, ეტყობოდა, რალაც დაწყებულ საუბარს აგრძელებდა). მაშასადამე, ეს ვაცი სახანძრო დეპოში ცხოვრობს. ლუგში ყველა იცნობს, ადამიანივით დადის ეზო-ეზო, ისეთი ჭკვიანი ვაცია... რევოლუციამდე სადგურში დაბაკუნებდა — მოაგარაკეებს ხვდებოდა... საუცხოო რამაც იყო!.. ჰოდა, ადგნენ და მთლად წიოული ფუქსინით გათხუპნეს.

ცეცხლის ანაშუქში ვილაცას ფართო სახე უცინის:

— ვინ გათხუპნა?

— აბა ვინ გათხუპნიდა... (ხმადაბლა) კომუნისტებმა გათხუპნეს.

— კი მაგრამ, ვაცი რალასთვის გათხუპნეს?

— აგიტაციისათვის...

რამდენიმე კაცმა პირი დააღო და ხმამაღალი ერთსულოვანი — ხა-ხა! — ატყდა. ერმოლაიმ კმაყოფილი ჭუტავდა თვალებს. ბისტრემი უმწეოდ ცდილობდა ფარფლების დაქნევას, შავი რბილი უფსკრულიდან ამოჭრას, ძილი ისევ უფლაშავდა ტუჩებს... ახალგაზრდა წითელარმიელმა (მაზარაგადაფარებულმა) მუქარით თქვა:

— ერმოლაიმ!..

— რა ერმოლაიმ, აგერა ვარ, ა...

— მაგ ხუმრობით ჩეკაში ამოყოფ შენ თავს.

— რისთვის? მე კომისრის თანდასწრებით ვლაპარაკობ...

ყველამ ბისტრემისკენ მიაბრუნა თავი. ბისტრემი ფშვინავდა. ერმოლაიმ ცოტათი გამხნევებულად თქვა:

— მეც ასეთივე ვარსკვლავი მაქვს შუბლზე... არა, ძმაო, შეცდი. შენ ვერ კიდევ ახალგაზრდა ხარ... მე შაშხანით ხუთი ათასი ვერსი გამივლია.. შენ კი სად იყავი, როცა ჩვენ ნიკოლაშკა ჩამოვაგდეთ? ბატებს მწყემსავდი?... საქმეც ეგაა. გინდ დამიჯერეთ, გინდ — არა, ძმებო, აი, ამ ხელით მთავარსარდალი დუხონინი, თვით ხალხის სისხლისმსმელი, ვაგონიდან საწამებლად გამოვათრიე... შენ კი ჩეკაშიო... მაშინ მთელ სახალხო არმიას ჩეკაში მიათრევდნენ... ჩვენ საბჭოებისთვის სასხლს ვღვრიდით... (ერმოლაიმ მოულოდნელი გააფთრებით მუშტი მუხლზე დაირტყა) და არც ახლა დავიხვევთ უკან...

— მართალია, მართალი, სწორია, — ხმადაბლა ახმიანდნენ ფარდულში. ახალგაზრდამ თავიდან მაზარა გადაიგდო:

— რომელი საბჭოებისთვის? უკომუნისტებო საბჭოებისთვის ხომ არა?

წვერაბუებული ვეება კაცი, რომელსაც ეტყობოდა, რომ კამათს აზრს ვე-

ღარ ატანდა, ხან ერმოლაისკენ შეტრიალდებოდა, ხან ახალგაზრდა წითელარმიელისკენ. მებრძოლთა შორის ვიღაცამ ხუჭუჭა ღიზლით დაფარული შესიებული, მოციხარი სახე გამოყო:

ერმოლაიმ

— ერმოლაი ისეთი საბჭოს მომხრეა, სადაც თავის ნათესავებს მჯდომარედ აირჩევენ.

ისევ გაისმა ცეცხლთან მდგომების უფრო ხმამაღალი და ერთსულოვანი: ხა! ხა! ხა! ბისტრემმა ამ ზათქზე თავი ასწია. გაიღვიძა და შიშნეულად მიმოიხედა. ერმოლაიმ უთხრა:

— ამხანაგო კომისარო, წინდები ვაშრა, შეგიძლია ჩაიცვა...

მძიმე არტილერიის გრიალმა ფარდული შეაზანზარა. — ცეცხლთან მსხდომნი ზეზე წამოხტნენ. მაშინვე გაისმა მეორე გრგვინვა და თითქოს ფარდულის სახურავი ჩამოჭყლიტა. მებრძოლთა სახეებზე მოლოდინი, დაძაბულობაა, პირი დაუღიათ, ხელები იარაღს ბლუჯავდნენ. სულ აბლოს ისვრიან შაშხანას. კიდეც და კიდეც აჩქარებით, გაორკეცებით გვრგვინავს. ახალგაზრდა წითელარმიელი (ცალი ხელი მაზარის სახელოში შეუყვია) ჩურჩულებს: „ჩვენებია!...“ სრედნაია როგატკასთან ისევ გრიალებს პუტილოვის ჯავშნოსან მატარებელზე დადგმული ექვსდიუმიანი ქვემეხი და უცებ რკინის ბგერებით სულშეგუბებული ღამე ჩაშავებული ზღვიდან იამ-იჟორამდე აღელდა, აკაკანდა.

მას შემდეგ, რაც სახურავქვეშ ნაღვლიანად უსტვენდა ქარი, არც ისე დიდი დრო გასულა. პირველმა ერმოლაიმ დაიყვირა: „თეთრები იერიშზე მოდიან!“ ახალგაზრდა წითელარმიელმა, რომელიც მაზარის ღუგმებს ვერა და ვერ იბნევდა, დაიძახა: „ამხანაგებო, არავითარი პანიკა!“ ვეება წვეროსანი შაშხანით გაიჭრა კარისკენ და იქუხა: „წესრიგი დაიცავით, ძმებო, ისე გადით!“

გარედან კარი ჭიჭურ გამოაღეს, მინავლებული მუგუზლების ანაშუქში სამხედრო გამოჩნდა და გაბმით დაიყვირა:

— მებრძოლებო! გუშინ ვორონეჟთან ამხანაგ ბუდიონის წითელმა კორპუსმა ერთიანად გაანადგურა გენერლები — მამონტოვი და შკურო... მებრძოლებო! ქალაქი ორიოლი უკანვე დაიბრუნა წითელმა არმიამ. მებრძოლებო! პეტროგრადის გამაგრებული რაიონის სამხედრო საბჭომ გასცა ბრძანება შეტევაზე გადავიდეთ ამ ღამით...

— ვაშა! — გაისმა ვიღაცის ხრინწიანი ხმა.

— ვაშა! ვაშა! — აჩქარებით, მჭექარედ იყვირეს მებრძოლებმა და გასასვლელს მიაწყდნენ. მათ შორის ერმოლაი არ აღმოჩნდა.

თეთრ დაბლობს ღამის უკუნ სილურჯეში ცივი მცხრალი მთვარე დაჰყურებდა. ცა მოიწმინდა, ქარი მიყუჩდა. იდგა ახალნათოვარის სუნი. გრგვინავდა ქარიშხლის მიერ დაწმენდილი ღამე. გრგვინვა ხან სუსტდებოდა, ხან ძლიერდებოდა. პულკოვოს ბორცვის ძირიდან ქვემეხთა გრძელი ამონახველი ჩანდა. ათინათები შორს, ცარსკოე სელოს ტაძრის გუმბათზე კვესავდნენ, ავის მომასწავებლად ისარკებოდნენ გლეხური ქოხის ორ ფანჯარაში; იმ ქოხში შტაბი იყო, მახლობლად ბისტრემი იდგა. (აქ პიტერიდან წამოსულ დაგვიანებულ მანქანას ელოდნენ, რომელსაც ლიტერატურა მოჰქონდა.) ბისტრემი გზისკენ იცქირებოდა. თოვლიან დაბლობზე აქა-იქ ხეები და შენობები შავად ილანდებოდა, მაგრამ კაციშვილი არ ჰაჭანებდა. ჩრდილო-აღმოსავლეთით ცას ანაშუქი

ედებოდა. ამჟამინდელი ბრძოლა წყვეტდა რევოლუციის ბედს — ასე ესახებოდა ბისტრემს. სულ ახლოს, დათოვლილი სახურავების ზემოთ, რაღაც ყვითელმა ცეცხლმა იელვა და ბისტრემის ურებთან თითქმის მჭიდროდ ჩაიჭუჭყუნეს. ბისტრემი შემობრუნდა — ბორცვის თავზე, მდინარის მარჯვენა ნაპირით მჭრქალად კრთოდა ობსერვატორიის გუმბათი. ბისტრემის მარცხნივ, ხის ახლოს, ისევ გასკდა ცეცხლოვანი ბურთი...

გუმბათის ქვეშ, სადაც მერიდიანული ღრიჭედან მთვარის შუქი გაკრიბლებულ კიბეს და საზღვაო ქვემეხივით ვეება რეფრაქტორის ოკულარის სპილენძის ნაწილებს ეცემოდა, სამოცდაათი წლის ცნობილი ასტრონომი იდგა. ასტრონომს აბრეშუმის შავი პატარა ქუდი ეხურა.

ასტრონომმა ვარსკვლავების ცქერით გამოღლილი ნაოჭებიანი სახე მერიდიანული ღრიჭესკენ ააღირა და ჩრდილში მდგომ უხილავ ვილაცას უთხრა: — ისინი გუმბათს უმიზნებენ. ეს უმაგალითო ამბავია... გენერალს როგორმე ვერ დავურეკავთ, რომ არ დაუმიზნონ! ისე, არ შეიძლება — თქვენ როგორც ფიქრობთ — რამდენიმე ბალიში ავიღოთ და რეფრაქტორის ზედა მინას დავაფაროთ? ყოველ შემთხვევაში, ცოტათი მაინც შევამცირობთ საშიშროების შესაძლებლობას.

მოსკოვის გზატკეცილი ჭვარტლივით შავ ზოლად გაწოლილიყო თოვლზე. თეთრები გზატკეცილს უშენდნენ. მათი ჭურვები ცეცხლის ბუჩქებად იბარჯლებოდნენ. პიტერის მხრიდან დიდი სიჩქარით ახლოვდებოდა მანქანა. ბისტრემი გზატკეცილისკენ დაეშვა. მანქანის წინ ცეცხლი და კვამლი ავარდა. მაგრამ ავტომობილი გასხლტა, ხიდი გადაიარა და ხევში ჩაიმალა... იმ ადგილას, დაბლა, თვალისმომჭრელად იფეთქა შრაპნელმა. ფარებჩამქრალმა მოელღარე რადიატორმა ხევიდან ამოყვინთა. ბისტრემი იქით გაიქცა. მანქანაში ლიტერატურა — ბრძანებისა და დაბეჭდილი სიტყვების ახალთახალი დასტები ეწყო...

მთვარისა და ასანთის ორმაგ შუქზე ბისტრემმა ბრძანების შემდეგი სიტყვები გაარჩია:

„წითელარმიელებო, მეთაურებო, კომისრებო! დღევანდელი დღე წყვეტს პეტროგრადის ბედს... უკან დახევა აღარ შეიძლება... პეტროგრადი უნდა დავიცვათ, რაღაც უნდა დაჯდეს... გახსოვდეთ, თქვენ წილად გხვდათ უდიდესი პატივი დაიცვათ ქალაქი — პროლეტარული რევოლუციის სამშობლო.. წინ, შეტევაზე!.. სიკვდილი ინგლისის კაპიტალის დაქირავებულ აგენტებს...“

ბისტრემმა ჭიბეები ლიტერატურით გამოიტენა და გზატკეცილს გაუყვა. მანქანიდან რაღაც მოაძახეს. ის არ შემობრუნებულა, ისე დაუქნია ხელი მანქანაში მყოფთ, ფურცლები სათვალესთან მიჰქონდა და გზა-გზა კითხულობდა, რომ ნაბეჭდი დაემახსოვრებინა. სანგრებისკენ დამწვარი ქოხის იქით უნდა ჩაეხვია. ჩვენი ბატარეის გამაყრუებელ გრგვინვასა და გრგვინვას შორის (გრგვინვა საიდანღაც ახლოდან, ხევიდან მოდიოდა) ტყვიების ზუზუნი ისმოდა.

სდექ — ქოხი იწვის... პირდაპირ სულში რაღაცამ გამგმირავად დაიღმუვლა. უცებ მთვარის შუქიდან ჩრდილი გამოცურდა (თუ ასე მოეჩვენა) და ცეცხლოვანმა ზათქმა ბისტრემი გზატკეცილის იქით მოისროლა.

როცა ბისტრემის სახეს, მკერდს, მუცელს, გაშლილ ხელებს თოვლს სიცივე გაუჭდა, იგი ნელ-ნელა გამოფხიზლდა. პირქვე დამხობილი ცდილობდა გაერკვია, რატომ იყო ასეთ უცნაურ მდგომარეობაში — თოვლში ცხვირწარგული და სად შეწყვიტა მოვალეობის აღსრულება. მის გრძნობათა შორის ყველაზე ძლიერი მოვალეობის გრძნობა გახლდათ.

ბისტრემი გაჭირვებით გადმობრუნდა, დაჯდომა მოახერხა. ჯიბეებში ჩადებული ლიტერატურა უვნებელი აღმოჩნდა. „უსიამოვნო ვითარებაა, — წაიბუტბუტა მან. — რამდენი ხანი ვეგდე აქ?..“ ცას რკინისფერი ედო, სახურავებზე დადებულ თოვლს განთიადი ავარდისფერებდა. ადგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. ფეხები მოისინჯა, მთელი ჰქონდა, ეტყობოდა, კონტუზირებული იყო. ყურები თითქოს რაღაცით ამოვსებოდა, სამყარო დაღუმებულიყო.

ბისტრემმა მხოლოდ ამ წუთს შეამჩნია, რომ დამწვარი ნივნივების და შემდეგ მთვარის დისკოს მოხაზულობანი ისე გაიტყლაპნა, როგორც გაორთქლილი მინის მიღმა. სახეზე ხელი მოისვა და ხელისგული გაუწებოვნდა — ზედსისხლი მოეცხო. ახლა კი დაჯავრიანდა, რადგან მიხვდა, სათვალე გასტეხოდა.

ათი ნაბიჯის დაშორებით, ცარსკოე სელოს მხარეს ნაცრისფერი ლანდები მირბოდნენ. ისინი ბევრნი იყვნენ, გზატკეცილი აევსოთ. ბისტრემმა თვალები მოქუტა და კურსანტების მაზარები და ქუდები, საბრძოლველად მომარჯვებული შაშხანები გააჩნია. კურსანტები გაშმაგებით გარბოდნენ. მათ უკან უფრო ნელა, მჭიდროდ მოქანავე კოლონად მიიწევდნენ ტყავის ქურთუკები... ბისტრემს კეფაზე თმა აეძაგრა, კეპი მოიგლიჯა, დაიქნია და იყვირა: „გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!..“ გზატკეცილიდან მისკენ ორმა სანიტარმა გადმოუხვია, რომელთაც ხელთ საკაცე ეჭირათ.

იმავე ღამეს ოთხი ესკადრის ნაღმოსანი — „გავრიილი“, „სვობოდა“, „კონსტანტინი“ და „აზარდი“ კრონშტადტიდან ზღვაში გავიდა კოპორიეს უბის მიმართულებით. ნაბრძანები ჰქონდათ უბეში შესასვლელი გზა ნაღმებით გადაედლობათ.

ქარიშხალი მძვინვარებდა. ცა ჭერ კიდევ არ მოწმენდილიყო. ესკადრის ნაღმოსნები, შუქჩაქრობილნი, ერთმანეთისგან ერთი კაბელტოვით დაშორებულნი მიდიოდნენ. ირგვლივ ჰორიზონტზე რაღაც სინათლეები ჩნდებოდა და ისევ ქრებოდა. „გავრიილმა“ რადიოთი გადმოსცა — წინ ინგლისელები არიანო. ყალყზე შემდგარ ზღვაში მიღებამდე ჩაყურყუმელავებული ნაღმოსნები მთელი სიჩქარით მიიწევდნენ.

ცაზე ღრუბლები იფანტებოდა და მთვარემ გამოაჭყიტა. დილის ექვს საათზე „გავრიილზე“ ცეცხლმა იელვა, რასაც აფეთქება მოჰყვა და გემი გაუჩინარდა. შვიდი წუთის შემდეგ ვეებერთელა ცეცხლმა ორად გააპო „კონსტანტინი“. იგი მყისვე ჩაიძირა. ერთი წუთიც და აფეთქების შედეგად ზეავარდნილი წყლის მთის მიღმა „სვობოდა“ გაქრა. „აზარდმა“ მანქანები გააჩერა. წინ ისევ გამოჩნდა „სვობოდას“ მბოლავი მიღები. ქარმა მოაქროლა სუსტი ძახილი: „ვაშა!“ „სვობოდამ“ შუქნიშნებით გადმოსცა: „ვიძირებით. ახალდანაღმულ ველს წავაწყდით. ჩვენ გაგვეცეს. „აზარდი“ მობრუნდეს და კრონშტადტში წავიდეს. გაუმარჯოს რევოლუციას!...“

ოცდაერთი ოქტომბრის დილას პულკოვოსთან გაჩაღებულ ბრძოლებს გარ-

დატეხა დაეტყო. წინა ხაზზე გადასროლილი კურსანტების, კომუნარებისა და ბალტიის მეზღვაურების რაზმები ხიშტებით გადადიოდნენ იერიშზე. ერთ-ერთი რაზმის მეზღვაურებმა ბუშლატები და პერანგები გაიძრეს და წელამდე შიშვლები ეცნენ ტანკებს. ოცდაერთ ოქტომბერს, დღისით იუდეუნიჩის შტაბმა ცარსკოე სელო დატოვა. ცარსკოე სელოდან, პავლოვსკიდან, გატჩინიდან რეველისკენ სასახლის ქონებით დატვირთული ალალები გაიწელა. სალამოს წითელი არმია ცარსკოე სელოში შეიჭრა — იბრძოდნენ ასწლოვანი ცაცხვების ქვეშ, ფრიდენტალისა და ორლოვის კარიბჭეებთან. თეთრებმა სამხრეთისკენ მოუსვეს, გზად კრასნოე სელოს, გატჩინასა და ლუგას ეჭიდებოდნენ. ეს იყო განადგურება, მოულოდნელი და საბედისწერო განადგურება ზედ პეტროგრადის მისასვლელთან.

საფრანგეთის გენერალური შტაბის აზრით ჯერ კიდევ შეიძლებოდა მდგომარეობის გამოსწორება: მან ფინეთის გენერალურ შტაბს შესთავაზა დაუყოვნებლივ დაეძრა ჯარები და პეტროგრადი დაეკავებინა. ფინელებმა უპასუხეს, ამას გავაკეთებთ, თუ საომრად ფულს მოგვცემთ და კოლჩაკს აიძულებთ ფინეთის დამოუკიდებლობა სცნოსო. ფრანგებმა ფული არ მისცეს. კოლჩაკმა ფინეთის დამოუკიდებლობაზე უარი თქვა. ფინელებიც თავიანთ სიტყვას არ გადავიდნენ. აღმირალ კოუენს კრონშტადტის ნაღმების ეშინოდა და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ რუსეთის ნაპირისკენ ახალთახალი მონიტორი გაგზავნა, რომელიც რამდენიმე დღე თხუთმეტდიუმთან ქვემეხებს უშენდა თეთრების მიერ დატოვებულ კრასნოე სელოს. ესტონეთის მთავრობას იმედი აღარ ჰქონდა, რომ რეველში ბალტიის ფლოტს მოიყვანდა. ამიტომ ბრძანება გასცა იუდეუნიჩი მისი ბანდებითურთ განეიარაღებინათ და დაეკავებინათ, თუკი ისინი ესტონეთის საზღვარზე გადავიდოდნენ.

ჩრდილო-დასავლეთის მთავრობის მინისტრმა მარგულიესმა დღიურში ჩაწერა:

„ყველა ისევ გატეხილ ვარცლთანაა... ყველა დამარცხებულია. მხოლოდ ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს. ეს რალაც საბედისწეროა. რუსეთის საზოგადოება გაყუჩდა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს. მორალურად სავსებით განადგურებული კედრინი პარიზში წავიდა...“

მიხაილ ალექსანდროვიჩ სტახოვიჩი მსხვილ მუნდშტუკში ჩადებულ პაპიროსს აბოლებდა და ჩვეულების წინააღმდეგ რუსულ გაზეთ „საერთო საქმეს“ კითხულობდა. საათმა პირველი დარეკა. სამხარეულოში ჭურჭელი წკარუნებდა, ლაქია ფეხაკრეფით დადიოდა. ბოლოს სადარბაზო შემოსასვლელთან მანქანის ხმაური გაისმა, გაჯახუნდა სადარბაზო კარი. წინა ოთახში ვილაცამ ამოიხენეშა, დაიწყო კალოშების გახდა... (პარიზში კალოშები!) სალონში შემოვიდა ლვოვი. იგი დაბნეული ისრესდა ხელებს, თითქოს გაყინული აქვსო. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ პოლიტიკურ კრებაზე, საიდანაც სასაუზმოდ მოვიდა, ფრიად სერიოზული უსიამოვნებანი სუფევდა...

— უკვე ორის შვიდი წუთია, — გაზეთი ხელიდან არ გაუშვია, ისე თქვა ოდნავ ხმადაბლა მიხაილ ალექსანდროვიჩმა.

ლვოვი გაჩერდა და ერთხანს ბრძასავით იყურებოდა. მოთეთრო თვალებში გაკვირვება გაუკრთა.

— მიშა, შენ „საერთო საქმეს“ კითხულობ?

— ამან აგრერიგად რად შეგაშფოთა? უკვე რამდენიმე დღეა რომელიღაც გაზეთებს ვკითხულობ, ეს მართობს.

— ჰმ... გართობს...

ლვოვმა სცადა სალონის წითელ საფენზე გაეკლ-გამოეკლო. მისი ყურადღება შემოდგომის ქარაშოტმა მიიპყრო. ქარაშოტი ეიფელის კოშკის ძირიდან მონტესკიეს ქუჩაზე ხმელ ფოთლებს მოაქროლებდა. უცებ ფოთლები დაატრიალა და ფანჯარას შემოაყარა.

— მე აქ გასართობს ვერაფერს ვხედავ, — თქვა ლვოვმა. — თუ ბურცევი ცოტა არ იყოს ცალმხრივ აშუქებს მოვლენებს, ანგარიში ხომ უნდა გავუწიოთ ფრანგებს... გუშინ ნიკოლაი ხრისანფოვიჩ დენისოვი ტუჩებაცახცახებული მეგედრებოდა, იუდენიჩის მარცხით გამოწვეული შთაბეჭდილება შემესუსტებინა — ზიანი არ მიმეყენებინა პარიზის ბირჟისთვის... პეტროგრადადთან დროებითი შეფერხებაა, შესაძლოა წმინდა ტაქტიკური... აი, ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით აქ ბოლოს და ბოლოს... ხოლო ის, რომ ნიკოლაი ხრისანფოვიჩს ტუჩები უცახცახებდა...

სტახოვიჩი გაზეთის უკნიდან:

— ნუთუ ტუჩები უცახცახებდა?

— ამრიგად... მან მიმახვედრა, იუდენიჩის მარცხი სულაც არაა ადგილობრივი მნიშვნელობის, არც საერთო რუსული, იგი ევროპული, მსოფლიო მნიშვნელობისაა... და ბირჟის ზიანი, უპირველეს ყოვლისა, ბოლშევიკებისთვისაა ხელსაყრელი... მაშასადამე, უნდა ვწეროთ ისე, როგორც ბურცევი წერს... შეიძლება იცრუო უფრო გონებამახვილურად. თანახმა ვარ, მაგრამ ჩვენ არა გვყავს ნიჭიერი ჟურნალისტები. წარმოგიდგენია, რა შორეული, უცხო და საზიზღარია ჩემთვის ყველაფერი: ცრუ პრესა, ბირჟა, სპეკულანტები, საფრანგეთის ინტერესები, ინგლისის ინტერესები, მაგრამ რა ვქნა, მიშა? სულ უფრო ვრწმუნდები, რომ შენ კი არ ხელმძღვანელობ მოვლენებს, თვით გისვრიან პატარა ბურთივით ხელიდან ხელში. იყო სუფთა, ძალიან, ძალიან სასიამოვნოა. და შენი ძალიან მშურს.

ლვოვი წითელ საფენზე დააბიჯებდა, ხელები უკან, პიჯაკქვეშ ეწყო, თვალები დაეხარა (ალუმინისფერი თმა უკან ჰქონდა გადაგლესილი) და რაღაც ამოუხსნელისათვის მიებჯინა.

— ცხრაას ჩვიდმეტში არ მინდოდა ძალაუფლება ამელო ხელში, მაგრამ მივიჩნიე, რომ არ შეიძლებოდა უარი მეთქვა მოვალეობაზე. მთელი დროებითი მთავრობიდან მართო მე ვიცნობდი გლებს... მე მწამდა და ახლაც არ ვიტყვი უარს ამ რწმენაზე; მის გარეშე კარგა ხანია ჭკუაზე შევიშლებოდი: უზენაესი სიმართლით გასხივოსნებული ჰარმონია დაამარცხებს გამძვინვარებულ მატერიას... გზა სიმართლისა ტანჯვისა და სისხლის გზაა და შეიძლება უზენაესმა გონებამ მოუვლინა რუსეთს ბოლშევიკები.

სტახოვიჩი — შემრიგებლურად:

— ეს ერთობ რუსული რამაა: მემამულის კარ-მიდამოში გადახარშული ჰეგელიანობა... ეს ერთობ ჩვენებურიცა...

ლვოვმა სტახოვიჩის მუხლებზე დადებულ „საერთო საქმეს“ შეხედა, მეც-
სეულად ჩაახველა, გაიარა.

— პეტროგრადთან წარუმატებლობას ჩვენთვის შეიძლება ვეცადოთ მძიმე
შედეგები მოჰყვეს, ვიდრე კოლჩაკის ასიათასიანი არმიის დამარცხებას ვიდრე
დენიკინის წარუმატებლობას ორიოლთან. პეტროგრადი უკვე ევროპაა, პეტ-
როგრადთან შეკრულია მსოფლიო პოლიტიკის კვანძი... იცი, რომ ესტონელებმა
ბოლშევიკებთან დაზავებაზე დაიწყეს მოლაპარაკება? დღეს მაუწყებს ეს ახალი
ამბავი (ლვოვმა ცხვირში წაიფრუტუნა). გენერალ იუდენიჩს პეტროგრადი ხელ-
დახელ უნდა აეღო: ინგლისის და საფრანგეთის ოპოზიცია უკვე არსებული
ფაქტის წინაშე დაეყენებიან... ის კი წარმოუდგენელ ხმაურს ტებს, მოკავში-
რეებს მკვებარა დაპეშებს უგზავნის და პეტროგრადს ვერ იღებს...

— იუდენიჩი ჭეშმარიტი დევგმირია, უცნაური იქნებოდა მისგან სხვა
რამის მოლოდინი, — მიხაილ ალექსანდროვიჩმა სპილენძისფერ სახეზე ხელის-
გული მოისვა. — სიტყვამ მოიტანა და ამ იუდენიჩს სადღაც შეეხვედრივარ.
უიშვიათესი რეგენი და თაღლითია. ინგლისური და ფრანგული ოპოზიცია აღ-
ფრთოვანებული იქნება, თუ ჩვენ საბოლოოდ მოგვეჭრება თავი პეტროგრად-
თან. ეს პროფესიული კავშირების ვაჟბატონები ჩვენი კისრით დაუფლებიან
ბალაუფლებას. მე იმასაც ვამტკიცებდი, და არა ერთხელ, რომ აუცილებლად
შევრცხვებოდით პეტროგრადთან...

— რატომ აუცილებლად? მომიტევე, მიშა... შენ კომფორტს იქმნი—ეს გა-
ზეთი, ეს პაპიროსიო... (გეორგი ევგენიევიჩს სიმწრისაგან ხმა აუკანკალდა.) მო-
ნიტევე.. შენ ისევ განუკითხავად ეტანები სპირტიან სასმელებს... (მიხაილ
ალექსანდროვიჩს სმა აკრძალული ჰქონდა. მან შეცბუნებით აიჩეჩა მხრები და
თვლები დაუმრგვალდა თითქოსდა აშკარა ცილისწამებაზე.) შენ უაპელაციოდ
გამოთქვამ აზრს მოვლენებზე, რომლებიც — მომიტევე — უკვე მოხდა... შენ
სხვების ხელით გინდა ნარის მოგლეჯა... არა, რატომ აუცილებლად? რატომ?
ადმირალი კოუენი რომ ოცდაერთ ოქტომბერს მთელი თავისი ფლოტი დაძ-
რულიყო... ფინელებს რომ არმიით მდინარე სესტრას გაღმა გაეტიათ... ესტო-
ნელებს რომ ჩვენთვის ნამდვილი დახმარება აღმოეჩინათ... რატომ აუცი-
ლებლად?...

— ჯერ ერთი, — თქვა მიხაილ ალექსანდროვიჩმა, თან ნიკაპიდან თით-
ქმის არშინი სიგრძის წვერი ჩამოიფარცხა და ლამაზად ჩამოიფინა ფერფლდაყ-
რილ ჟილეტზე; — ჯერ ერთი, რაც შეეხება კომფორტს.. მე ყოფილი მემამულე
და ყოფილი თავადი ვარ; ყოფილი იმიტომ, რომ საბჭოთა კონსტიტუციამ ჩვენი
პრივილეგიები გააუქმა, თქვენ კი ჯერჯერობით ვერ გააუქმეთ საბჭოთა კონს-
ტიტუცია. როგორც ყოფილ კაცს და უკვე ხანდაზმულს, ყველაზე უფრო პატი-
ოსნური მგონია, ვიცხოვრო იმ ერთადერთი პრივილეგიით, რომელიც არ შე-
იძლება წამართვან და არც უფლება აქვთ წამართვან: ესაა ჩემი თავისუფალი
აზროვნება... მე ვზივარ ფანჯარასთან, ვეწევი თამბაქოს, ვკითხულობ პოლი-
ტიკის ამბებს და ვმსჯელობ. ეს არაფერს არ მავალდებულებს, ეს უვნებელია,
და ეს მე მართობს... აი, ჩემი კომფორტი... კომფორტი ვიყიდე იმით, რომ
ვინმეზე გაუჩავრებლად, მშვიდად შევხვდი ფაქტს, რომ ყოფილი ვარ... მე
არასდროს ვყოფილვარ მეტისმეტად წითელი, მაგრამ მხარს ვუჭერდი ლიბერა-
ლურ აზრებს, როგორც ყველა წესიერი კაცი... ახლა, როცა პროლეტარი ვარ,
რატომღა უნდა ვაფრქვიო ცეცხლი ჩემს ყოფილ გლეხებს და საერ-

თოდ რუს ხალხს? მითხარი, მაქვს უფლება თუნდაც თავისუფალი აზროვნებისა?

ლვოვმა ხელები თავზე დაიწყო, თითქოს დარტყმებისგან ეცავსო, და ასე გაიარ-გამოიარა. შედგა ფანჯარასთან, სადაც ქარმა ისევ ჩაქრობდა ყველა ფოთლები, ისევე უსარგებლონი, როგორც აუხდენელი ოცნებები, როგორც უკვე ნათქვამი სიტყვები.

— ერთი თვის წინათ გეტყობდი: არა, არა გაქვს-მეთქი უფლება. იმ მსხვერპლთა სახელით, რომელნიც... (ლვოვმა კვლავ სცადა თავზე წაეველო ხელები, მაგრამ დაბეჭითებით ჩაიწყო ჯიბეებში და იქ გასაღებები და შავი ფული გააჩხარუნა.) დიახ, მიშა, შენ გაქვს თავისუფალი აზროვნების უფლება, ასევე აქვს ყველა ჩვენგანს.. მაგრამ როგორ განახორციელებ ამ უფლებას? ჩემ წინაშე, კაცია წინაშე, ვინც წინააღმდეგია ძალადობისა, წინააღმდეგია ყოველგვარი სისხლისა, დგას გადაუჭრელი საკითხი: განვაგრძო რუსების მიერ რუსების ზოცვა, განვაგრძო იმის შეგნებით, რომ ჩემს სინდისზეა სისხლი, საშინელი სისხლი.. თუ წავიდე, წავიდე, ვიდრე გვიან არაა, თუმცა ვიცი, რომ გვიანაა? ალბათ ბრძოლისთვის არ ვვარგევარ, არა მაქვს სიმართლის შეგნება... მიშა, დღეს თათბირზე გადასათვალისწინებლად მომცეს მოსკოვის გაზეთის ნომერი... იქ ჩემზე ეწერა... ახლავე მოვიტან... (ლვოვი კარისკენ გაემართა, მაგრამ მობრუნდა.) ისინი წერენ, რომ დიდი მემამულე ვარ, ომამდე სოფლის მეურნეობის ინტენსიურ ფორმებზე გადასვლა მაინტერესებდა. გესმის?.. აქედან გამომდინარე — დაინტერესებული ვარ ეროვნული კაპიტალის განვითარებით, აქედან გამომდინარე — სათავეში ვუდგავარ კადეტთა პარტიას.. ომის დროს მაინტერესებს არმიის საჭიროებათათვის უხვად გავასალო ჩემი ლატიფუნდიების პროდუქცია!.. (ლვოვმა მწარე ირონიით გაუსვა ხაზი სიტყვა „ლატიფუნდიებს“). აქედან გამომდინარე — სათავეში ვუდგები საერობო კავშირს, რათა დავრახმო ზურგი და შესაძლებლობისამებრ გავაჭიანურო ომი, რომელიც ჯიბეს უსქელებს მემამულეებს... ახლა სათავეში ვუდგავარ მიწის მსხვილ მესაკუთრეთა ყველაზე რეაქციულ ჯგუფს, მესაკუთრეთა, დენიკინის პოლიტიკას რომ განსაზღვრავენ. სათავეში ვუდგავარ ინტერვენციას, სხვა სიტყვებით, ვყიდი რუსეთს, მე გამყიდველი ვარ, მტერი ვარ...

ლვოვმა ხელები გაშალა და ისე დაირტყა ბარძაყებზე, მის ნაცრისფერ შარვალს მტვერი აუვიდა.

— ისინი ამას დიალექტიკას უწოდებენ, — უთხრა სტახოვიჩმა. — ძალიან ჭკვიანური რამაა... ესეც ჰეგელიდან მომდინარეობს...

— რაც უნდა ერქვას, წავიკითხე და ისეთი გრძნობა დამრჩა, თითქოს ნარეცხი წყალი მომასხვს სახეში... გაზეთს ახლავე მოვიტან... (ლვოვი წავიდა და ისევ დაბრუნდა.) კიდევ ერთხელ წავიკითხე ავტომობილში... მიშა, თმა ყალყზე დამიდგა: სინამდვილეში ეს ხომ მართლაც ასეა. მილიონობით რუსმა აღადამიანმა უდიდესი ზიზღით უნდა წარმოთქვას ჩემი სახელი... რით შემძლია დავამტკიცო, რომ ფულისადმი სიხარბე არ განაპირობებდა ჩემს საქციელს?.. პირადად მე მონასტრის სენაკი და პურის ნაჭერი მხვდა. იქნებ პატივმოყვარე ვარ? ვიყავი კადეტი, რადგან ჩემი უბედური ქვეყნისათვის ფართო პარლამენტარიზმი მინდოდა... სათავეში ჩავუდექი საერობო კავშირს იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა უბედური რუსეთის გამარჯვება არ მდომოდა. ვებრძვი ბოლშევიკებს იმიტომ, რომ... (ლვოვმა უცებ ხელი ჩაიქნია.) გამოდის, თითქოს რაღაც

ძალები მიბიძგებდნენ, ხოლო თავი ისე მეჭირა, ამ ძალებს ვერ გამჩნევდი და მათ ნაცვლად ჩემს გულარხეინობას ვავლენდი. ყველაზე საშინელი, მერა, ისაა, რომ, მგონი, სულის სიღრმეში საკუთარი თავისა არ მჯერა. ყველაზე უკეთეს მართლაც მატერიალური მოსაზრებები მამოძრავებდა? ჰა? აჩემს ხელსაფეხებზე გამობმულ ამ ძაფებს კი ვერ ვაგნებ, ვერ ვხედავ და „პეტრუსკასავით“ მთელი კვყყნის წინაშე თავზარდამცემად და თავმოსაჯაყად ვიგრიხები (ლვოვი მოდუნდა, მიწისფერი დაედო, თვალები ჩაენავლა. იგი კარისკენ გაემართა.). ჰო, ასეა... წავალ, ერთი საათით მივწვები.. არ ვისაუზმებ.

შუბლშეკრულმა მიხაილ ალექსანდროვიჩმა შევარდნის მზერა გააყოლა. მერე წვერი აიჩეჩა და სასადილოსკენ გასწია, რომ მარტოს ესაუზმა... მაგრამ სირჩა არაყი შესვა, თავი ხელებს დააყრდნო და ასე იჯდა, კერძებს არ მიჰკარებია...

მიხაილ ალექსანდროვიჩი კარგა ხანია ხედავდა დალუპვის მოახლოებას. განსაკუთრებით შეიგრძნო იგი ახლა, თავგზაარეულ მოხუც ლვოვთან საუბრისას... „ღიახ, ღიახ, წასვლაა საჭირო, — ამბობდა გუნებაში... — დიდი ხანია სამარცხვინოდ ვსხედვართ აქ. საკვირაო სკოლებსა და ინგლისურ პარკებს ვაწყობდით, ვხმაურობდით და წარმოვთქვამდით მშვენიერ სიტყვებს, განგაშს ვტეხდით პრესაში; თუ რომელიმე ურიადნიკი გლუხს სცემდა. ლიბერალური საერობოები, საკვირაო სკოლები, ვეგეტარიანობა, ბოროტებისადმი წინააღმდეგობა, ანგლომანია „რუსკიე ვედომოსტი“ და ლოგიკური ფინალი: რუსების, სწორედ ამ გლეხების მასობრივი ელექტა... სისხლში ცურვა და კეფაში დიალექტიკური სამსჯვალი. საჭიროა წასვლა...“

ორის ნახევარზე ტელეფონის ზარი აწკარუნდა. სტახოვიჩმა ხელსახოცით მოიწმინდა ულვაში და მიიმედ მივიდა ტელეფონთან. დენისოვი ყვიროდა:

— ...გეთაყვა, გადაეცით გეორგი ევგენიევიჩს, რომ დღეს ლონდონში მივდივარ ლამის მატარებლით... — ღიახ, მან იცის, დეტერდინგთან დაკავშირებით... კიდევ ერთხელ გევედრებით, არ გაახმაუროთ რეველიდან მოსული ცნობები... ნახვამდის, მიხაილ ალექსანდროვიჩ, მე თქვენ კარგ სიგარებს ჩამოგიტანთ...

ელისეს მინდვრებზე, ფუკიეცის კაფეში დახლთან მაღალ ტაბურეტებზე ნალიმოვი და ალექსანდრ ლევანტი ისხდნენ. ლევანტი გაშმაგებით ლეჭავდა სიგარას.

— ვასილი ალექსეევიჩ, ყოველი წუთი ძვირფასია...

გამხდარი, ერთობ კარგი შესახედავი, ფხიზელი ნალიმოვი მდუმარედ ათვალიერებდა ბოთლების იარლიყებს... მას შავი პიჯაკი, შავი ხელთათმანები ეცვა (ხელებზე ნერვიული ეგზემა სჭირდა) და შავი ყელსახვევი ეკეთა...

— მისმინეთ, მოდით ეგ ამბავი საღამომდე გადავდოთ... საქმეები, ჯერ საქმეები... ორი სიტყვით აგიხსნით, ჩემო კარგო...

— მოკლედ და თავგდობის გარეშე, — უთხრა ნალიმოვმა.

— კარგი.. ჩემი ცნობები ფრიად სარწმუნოა, სრულიად ახალია. იუდე-ნიხს საბოლოოდ გამოუვიდა წირვა. მისი არმია ესტონეთის საზღვარზე დააკავეს და განაიარაღეს. ამ დღებში ინგლისის პალატაში განიხილება იუდენი-

ჩის კრედიტების საკითხი და ჩერჩილი იუდენიჩს თხასავით გავიდა. ფინელები ფრანგების ფულის გარეშე პეტროგრადისკენ ნაბიჯს არ გადადგამენ. ფრანგები მათ ფულს არ მისცემენ. ფრანკმა სულ დაკარგა ფასი და იხსოვს, ეს დღევანდელი ცნობებია... დენიკინის მონაღლისეები შავი ზღვასკენ მიმდებარეობენ... დენიკინის ზურგში საყოველთაო აჯანყებანია. ციმბირში უარესი ამბავი ტრიალებს. წლეულს ინტერვენცია ჩაიშალა. კიდევ ორი-სამი დღე და ამაზე ყველა გაზეთი ალაპარაკდება. წარმოგიდგენიათ, რა ოქროს დროს ვკარგავთ?

— მერე რა?

— უნდა გავყიდოთ, გავყიდოთ! (ლევანტი ნალიმოვს ყურში ცხელ ჰაერს ასუნთქებდა) გავყიდოთ დეკემბრის, იანვრის, თებერვლის...

— რა გავყიდოთ?

— პირველ რიგში ნავთობის აქციები... რატომ, მეკითხებით? იმიტომ, რომ ეს ყველაზე იდუმალი ფასეულობაა. მათ დეტერმინების ხიბლი მოსავს. ურალის რაღაც ქარხნების აქციები? რკინიგზების აქციები? ამეებით ვერავის აღუძრავ ინტერესს: ქარხნები დანგრეულია, რუსეთის რკინიგზები მარსის არხებს ჰგავს — ისინი შეიძლება არსებობდეს, შეიძლება არა... ბაქოს და გროზნოს ნავთობის უკან კი ინგლისის დიდი სამხედრო ფლოტი, ჩერჩილის პოლიტიკა, პოლონეთისა და რუმინეთის არმიებია. ეს შთაბეჭდილებას მოახდენს! სხვა საქმეა, როდის მოხვდება რუსეთის ნავთობი ინგლისელთა ხელში. ჩვენ შორის დარჩეს და ეგ იქნება არა უადრეს გაის შემოდგომაზე... ჯერჯერობით კი, მთელი ეს ზამთარი, ნავთობის ქალაქების ფასი იმერყევებს და თანდათან ძირს დაეცემა. ჩვენ ვთამაშობთ აქციების ფასების კურსის დაწვევაზე. წარმოგიდგენიათ, რა შეიძლება მოგვცეს სხვაობამ?!

— თქვენ ხომ ნავთობის აქციები არა გაქვთ?..

— გულუბრყვილო ბავშვი ხართ! მე მხოლოდ ბირჟის კრედიტუნარიანობა მჭირდება. მას კი იმავე მანთაშევის მეშვეობით ჩავავლებ ხელს. ჯანდაბას მაგისი თავი, გაუშვი ვირმა ლომის წილი მიიღოს. მე და თქვენ ლუკმაძურის ფულს მაინც ვიშოვით.. (ლევანტს ნიკოტინისგან ჩაყვითლებული კბილები ისტერიულად აუკაწკაწდა). გაიგეთ ჩემი აზრი? დაურეკეთ მანთაშევს. ახლავე მივდივართ მასთან.

— არსად არ წამოვალ, ვიდრე წერილს არ მომცემთ.

— ღმერთს გეფიცებით, წერილი ჩემოდანშია, ქალაქებში...

— ტყუით, წერილი თან გაქვთ...

ლევანტმა ხელი სტაცა სირჩას და ყინულივით ცივი კოქტეილი გამომშრალ პირში ჩაისხა. ნალიმოვი აღმაცერად ადევნებდა თვალს. ლევანტი ახალი დაბრუნებული იყო სტოკჰოლმ-რეველში მოგზაურობიდან. ამ მოგზაურობისას ვერა იურიევნასთვის ნალიმოვის წერილი უნდა გადაეცა და, რაც უნდა დაჯდომოდა, პასუხი მოეტანა. აგერ უკვე მთელი თვე ვერა იურიევნა ნალიმოვს არ პასუხობდა არც წერილებზე, არც დეპეშებზე. ზოგიერთი ნიშნის მიხედვით ნალიმოვს თითქმის სჯეროდა, რომ ლევანტმა პასუხი მოიტანა, ეს კი ნიშნავდა, რომ ვერა იურიევნა ცოცხალი იყო... მაგრამ ლევანტი ჩვეულებისამებრ ტყუოდა, თავს იძვრენდა და რაღაც საზიზღარი მოუთმენლობისგან კანკალებდა...

— მისმინეთ, ლევანტ, მე თქვენი ბანდა აქამდე მხოლოდ ვერა იურიევნას გულისთვის არ გავგზავნე ჯანდაბაში...

— ეს ყველაფერი გათვალისწინებული მაქვს.

— მარტო ერთი რამ შემიძლია ვივარაუდო: ვერა იურიევნას წერილი ეტინგერის მიერაა შეთითხნილი და გეშინიათ, რომ ამას მივხვდები... ვერა იურიევნა კი იქ ერთი თვის წინათ მოკალით...

— იცით, ხუმრობას რაღაც საზღვარი აქვს და გთხვდება?

ბარმენი ახალ კოქტეილს ამზადებდა და ცნობისმოყვარეობით უცქეროდა მოსაუბრეებს. ნალიმოვმა ხმამაღლა თქვა ფრანგულად:

— ძალიან კარგი, მე პროკურორობა მივდივარ...

ნალიმოვმა დახლზე ხურდა დატოვა, ქუდი გაისწორა, მაღალი ტაბურეტისგან ჩამოხტა და ქუჩაში გავიდა გამართული, მხრებაწეული. ბარმენმა მოჩვენებითი გულსტკივილით მიმართა ლევანტს:

— მოსიე მარტო სვამს?

— სუფრა გაშალეთ, ჩვენ ვსაუზმობთ.

ლევანტი ტროტუარზე გავარდა. გარეთ ცივი ქარი ფოთლებს მოაქროლებდა, ქუდებს აცლიდა ხალხს, ქვედა კაბებს უფრიალებდა. ნალიმოვს კუთხეში ხელჯობი აეწია და ტაქსი ეძახდა. ლევანტი ხელში ეცა:

— ვასილი ალექსეევიჩ, ნუ სულელობთ... დავბრუნდეთ... ყველაფერს გაამბობთ ვერა იურიევნას შესახებ...

— წერილი...

— დამშვიდდით, თან მაქვს, ჯიბეში მიდევს... ხომ არ შემიძლია, დასწყევლოს ღმერთმა, ამ ქარში...

ნალიმოვი მდუმარედ გამობრუნდა ფუკიეცისკენ. მიუსხდნენ იმავე მაგიდას, რომელსაც პირველი შეხვედრისას (ზაფხულის დამდევს) უსხდნენ. ლევანტმა გეზად გახედა კედლის საათს:

— აბა, ჩქარა... მინდოდა წერილი ზვალ მომეცა, ვთქვათ, ამ საღამოს... მე ხომ ვიცი, რა გეცა ხართ, მაგრამ საქმეები, საქმეები, ერთი საათი დაუოვნება არ შეიძლება. პო, კარგი. (დაჭმუჭნილი კონვერტი ამოიღო და ხელისგული დააფარა.) ოღონდ რამდენიმე სიტყვა... მე, ვასილი ალექსეევიჩ, თქვენზე არანაკლებ მინდა ლაშქეს თავი დავაღწიო, ის ყველა ჩვენგანს ეშადოტზე აიყვანს! უკვე დაკარგა პოლიტიკური აღღო, აღარა აქვს სწრაფი გარდასახვის უნარი... დღეს მისი უბადაღებელი ლიგა უბრალოდ ბინძური ავანტიურისტების ხროვანა. გესმით ჩემი? თუ ინგლისელებმა იუდენიჩი წარბშეუხრელად გაყიდეს მთელი არმიითურთ, ლიგა რაღაა? ჭიკუცილასავით გასრესენ... ლაშქეს პირში ვუთხარი მე ეს. სულელი, ატეხა ერთი ვაი-უშველებელი, ჩაითრია გენერალური შტაბები, კონტრაზვერვა და მხოლოდ ერთი პატარა ბინძური საქმე გაახერხა, რასაც რომელიმე პროვინციელი ბანდიტი გაცილებით უკეთ გააკეთებდა. ამ ვირეშმაკას უნდა მსოფლიო ბოროტმოქმედის როლი ითამაშოს, თვითონ კი ერთი უბასპორტო მაწანწალაა, ქერქეტა, საროსკიპოს მფლობელი ათენში, მარსელელი სუტენერი, სკუტარელი სარკმლიდან მოთვალთვალე, გალატის აყროლებული შესახვევის შვეიცარი.

ლევანტს სიტყვები ნამცეცებთან ერთად სცვიოდა პირიდან. ნალიმოვმა ხმადაბლა და მუქარით უთხრა:

— წერილი...

— ახლავე... როგორც ვფიქრობდი, მთელი მისი სამეფო განძეული წმინდაწყლის სიყალბეა... საწყენია, ვასილი ალექსეევიჩ. დაუფარავი, პატიო-

სწორი, კანონიერი თამაშით, რასაც მე გთავაზობთ, ჩვენ კარგა ხნის წინათ მსუყვე ლუკმაპურის ფულს ვიშოვიდით... ახლა წერილის შესახებ... ერთი წუთით... ლაშე გახლავთ აბდულ-ჰამიდის საიდუმლო პოლიციის, თანაც — გამოუცნობ მკვლელობათა, საიდუმლო გაქრობათა, სტამბოლის კლუბების წამების, ფულის გამოძალვისა და სხვა ძველთურქული რომანტიკის განსაკუთრებული განყოფილების ყოფილი აგენტი. აი... (ლევანტმა ფრჩხილი კბილზე მიიკაკუნა.) აი, როგორ ვიცნობ მას... ლაშე საშინელია, როცა ზურგს უკან ძალას გრძნობს, პიროვნულად კი მშიშარა და სულმდაბალი ისტერიკია. ჯერ კიდევ ვერ გაიგო, რომ მისი ბედი პეტროგრადათან გადაწყდა... დიახ, დიახ, თქვენ ნახავთ: მალე აორთქლდებიან ჩერჩილიცა და კლემანსოც... კმარა იარაღის ელარენი. ევროპას ეს მობეზრდა. ლიბერალიზმი, ჰუმანურობა, კანონიერება — აი, რას ლაპარაკობენ დღეს ბირჟაზე. სამხედრო მარაგი სულ განიავებულია. სპეკულანტებმა სამხედრო ნაკრებით კარგად მოიტბეს ხელი. კმარა კუსტარულობა! მოდის სერიოზული მრეწველი და სერიოზული ვაჭარი... დიახ, დიახ! ახლავე, წუთიც მოითმინეთ და სწორედ წერილზე მოგახსენებთ. ვასილი ალექსეევიჩი, წინადადებას გაძლევთ, გაბედულად და რაც შეიძლება ჩქარა ჩამოშორდეთ ლაშეს... იგი გააფთრებულ წინააღმდეგობას გაგვიწევს და ჩვენი ბრძოლა ვერა იურიევნასათვის ბრძოლას გადაენასკება. ნუ გაგიკვირდებათ... ლაშეს შესანიშნავად ესმის, რომ სწორედ ეს ქალი გამოუყვანს წირვას. საკუთარი თვალისჩინებით უფრთხილდება ვერა იურიევნას. დიდი ხანია მიხვდა, რომ სასტიკად შეცდა, როცა თქვენ პარიზში გამოგზავნათ. თქვენ რომ არა, ახლა ვერა იურიევნას ძვლებიც კი გამქრალი იქნებოდა. მაგრამ თქვენ ფიზიკადა ხართ და დასაკარგი არაფერი გაქვთ. ლაშე ამასაც მიხვდა. სამის თამაშში ლაშეს ბედმა უმტყუნა... იცით, რისთვის გამომიძახა ბალ სტანესში? წინადადება მომცა ძველთურქული წესით მომეკალით, ღმერთს გეფიცებით...

ნალიმოვი სუსტი ღიმილით:

— ეგ რა წესია?

— ისე, ფხვნილია ერთი, უბრალო რამაა... ლაშემ თანამედროვეობის გრძნობა დაკარგა. თქვენთვის გასაგებია, რომ უკამათოდ დავეთანხმე... (ლევანტმა სულსწრაფად ჩაიხითხითა, ყვითელი კბილები აარაკუნა.) და მაშინ წაიყვანა ვერა იურიევნასთან...

ნალიმოვმა ლევანტის აცაბაცა წასულ თვალებს ამღვრეული მხერა ჩააბეჭდა.

— ვერა იურიევნა ავადაა, დიდი ხანია უკვე, თითქმის თვეა... ნერვიული აშლილობა აქვს, ეტყობა, თეთრი ცხელების ნიადაგზე... რაც შეეხება კომფორტს, ყველაფერი რიგზეა. საწოლთან ხილით სავსე ვაზა უდგას. ნახულობს ხოლმე ექიმი... ის, რასაც ლაშე მასზე გწერდათ და გიდებეშებდათ, ყველაფერი სინამდვილეს შეეფერება... ვერა იურიევნას თქვენი წერილი წავუკითხე...

— გონზეა?

— დროდადრო... ვფიქრობ, თრმოცდაათი პროცენტით თავი უფრო ავადმყოფად მოაქვს, მაგრამ ლაშესთვის, რა თქმა უნდა, ეს არ მითქვამს... ლაშემ შესთავაზა თქვენთვის ეპასუხა; ვერა იურიევნაც დიდხანს წერდა რალაცას, მაგრამ წერილი ლაშემ შეინახა და, როგორც სწორად გამოიცანით, ეტინგერმა მისი კარნახით სახელდახელოდ მოგწერათ ვერა იურიევნას პასუხი...

ლევანტმა ზიზღით გადაუგდო წერილი. ნალიმოვს ხელი არ მიუკარებია

წერილისთვის. ლევანტმა ბირჯის ბიულეტენების ციფრებითა და ნიშნებით სავსე სქელი ჰუჭყიანი უბის წიგნაკი ამოიღო, გადაფურცლა და ნალიმოვს გაუწოდა:

— თქვენ გესმით, რომ უამისოდ ლაპარაკს არც დაგიწყებდით. მე მაინც მოვახერხე ლაშესთვის ეშმაკობაში მეჯობნა. ვიდრე ის და ეტინგერი ვერა იურიევნას პასუხს გწერდნენ, მე ვერა იურიევნასთან შევევარდი და ვუჩურჩულე: ამ გზას არ გადაუხვიოთ, მალე ყველაფერი დასრულდება-მეთქი... მას თვალეები გაუბრწყინდა, გესმით, — ვითომ გიჟს? და საკუთარი ხელით დაგიჯლაბნათ რამდენიმე სიტყვა... წაიკითხეთ, ამას ყალბად ვერ დაწერ...

ნალიმოვმა ძლივს გაარჩია დიდი მიღებული ასოები უბის წიგნაკის ფურცლის გარდღარდმო...

„...ველოსიპედისტს თვალეებდახუჭული ქალიშვილი მიჰყავდა, გახსოვს სენ-კლუს პარკი? მე მაშინ ვითხარი... ყველაფერი წინანდებურადაა... მხოლოდ შენით... მადლობა ყველაფრისთვის...“

— მაგრამ, ვასილი ალექსევიჩი, — მიმართა ნალიმოვს ლევანტმა, — თუ ღმერთი გწამთ, ვერა იურიევნას ამბავი გადავდოთ... წავიდეთ მანთაშევთან...

— კარგი. მე თქვენი მჯერა, — უთხრა ნალიმოვმა და უბის წიგნაკიდან ფრთხილად ამოხია ფურცელი. — რა უნდა გავაკეთოთ?

— უპირველეს ყოვლისა, ფული, ფული, ფული...

ცმუკია ლევანტს თავი მხრებშიც კი ჩაემალა, როცა ტაქსი სენის სანაპიროზე სამსართულიანი პირქუში სასახლის შესასვლელთან გაჩერდა.

— მისი საკუთარი სახლია!

ლეონ მანთაშევი, ლარიბი ემიგრანტი, ისე სწრაფად და უჩვეულოდ გახდა მილიონერი, პარიზის პრესა რამდენიმე დღე სულ ამ სენსაციასზე წერდა. მანთაშევიმა დეტერდინგისთვის მიყიდულ ბაქოს ნავთობიან მიწებში „როიალ დეტჩ შელიდან“ ცხრამეტი მილიონი ფრანკი მიიღო, თანაც მთლიანად ხელზე და მიწისძვრასავით მოულოდნელად. ერთ დილას კი სასტუმრო „კარლტონის“ შეფი ლონდონიდან ახლახან დაბრუნებულ მანთაშევთან გამოიძახეს. შეფს ეგონა, მანთაშევი თითო ბოთლ კონიაკსა და შამპანურს თხოულობს ნისიადო, და თავის მაგივრად ლაქია გაგზავნა საქმის გასარკვევად.

ლაქიამ როგორც კი კარი შეაღო, პირდაპირ უკან, დერეფანში გამოისროლა ბრაზიანი რუსი კლიენტის დასაკლავი ხარივით ბლავილმა. ლაქიამ გაფითრებულმა, ტუჩებაცაცახებულმა აცნობა შეფს ეს ამბავი. შეფი სახეგაქვავებული, გაშეთებული დაუკაკუნებლად (ეს აშკარა გამოწვევა იყო) შევიდა მანთაშევის ნომერში. აქ, მიუხედავად იმისა, რომ დილა კარგა ხნის დამდგარი გახლდათ, ფარდები ჩამოეშვათ, ყველა ელნათურა ენთო და ვისკისა და სიგარის სუნი დიოდა.

ლეონ მანთაშევი ფეხებგაჩაჩხული იდგა ჭალის ქვეშ. უჩვეულოდ ჰყეტილა ყვითელი ფერის პიჯამის ჯიბეები გამობეროდა, ულვაში აბზეკოდა, თვალეებს გაშმაგებით აყვრიალეებდა.

— ანგარიში! — იღრიალა და პაერში ჯვრისმაგვარი რაღაც მოხაზვა გაშლილი ხელით.

— კარგი, მოსიე, მთელ ანგარიშს მოგართმევთ. — ნამწყდარი ხმით მიუგო შეფმა და ხაზი გაუსვა სიტყვა „მთელს“, რაც ოთხმოცდაათს ეტყობოდა, ან პოლიციის კომისართან ნაცნობობას ნიშნავდა, ან კიდევ ცალი წვერით ყელზე, ხოლო მეორე წვერით კარის სახელურზე გამობმულ აჭიმებზე ჩამოკიდებას. შეფი გავიდა და მანთაშევს მაშინვე გამოუგზავნა ანგარიში. კარს უკან კი თვითონ შეფი, მეკარე და ორი კუნთმაგარი მსახური დადგნენ იმ შემთხვევისთვის, თუ კლიენტი შეტევაზე გადმოვიდოდა. მათ კარის ჭუჭრუტანიდან დაინახეს, ლაქიამ მანთაშევს როგორ მიართვა ანგარიში: რუსმა არც დახედა ანგარიშს, თვალიც არ დაუხამზამებია, პიუჟამის ჯიბეებიდან ფულის დასტები ამოიღო და ერთიმეორის მიყოლებით ისროლა ვერცხლის ლანგარზე, ლაქიას ხელში რომ უძაგდაგებდა, და იქვე — ხალიჩაზე...

— ოთხმოცი ათასი! — იღრიალა ლეონ მანთაშევმა. — ეს რვა ათასიც ფეხის ქირად მიიღე, პირუტყვო! გასწი! — დააყოლა და გაშტერებულ ლაქიას ფეხებში ესროლა უკანასკნელი დასტა.

ერთობ აღელვებული შეფი, მეკარე და მსახური კარს მოსცილდნენ.

იმავე დილას მანთაშევი სასტუმრო „მაჟესტიკში“ გადავიდა, იმ აპარტამენტებში, რომელთაც ჩვეულებრივ გვირგვინოსნებს და მეხუთე ავენიუს ამერიკელებს უთმობდნენ. მისი ტემპერამენტი გამოსავალს ეძებდა. მანთაშევს ერთბაშად ევიწროვა ეს ქალაქი. (პარიზი მაშინ ის-ის იყო ეჩვეოდა ძვირფასი სტუმრების მიღებას.) მაგალითად: როლს-როისის მანქანები ვერც ერთ მალაზიაში ვერ იშოვა, შესთავაზეს, ფაბრიკას შევუკვეთავთო, — მერედა ნახევარი წელი ეცადა?.. ახლა მკერავეებს არ იკითხავდით? პარიზის მკერავეები მხოლოდ მკვდრებისთვის კერავდნენ. ეს ქალები დასწყევლოს ეშმაკმა! ყველაზე მოხდენილი ქალების ფანტაზია დე პარის კაფეს კაბინეტში გამართულ ვახშამსა და ჩანთაში ჩადებულ ათას ფრანკს არ სცილდებოდა. „მერსი, ჩემო კაზაკო“, — ეს იყო მთელი მათი სიგიჟე...

მონმარტრზე აურზაურის ატეხვის ცდებმაც მანთაშევს სული ვერ გაულაღა. ყველაზე ძვირი კატლეტი ოცი ფრანკი ღირდა, შამპანური — ორმოცდაათი ფრანკი. მართალია, „ბედის ნებიერს“ ყველა კაფეში (მისმა ამბავმა მონმარტრი უკვე მოირბინა) ჯაზ-ბანდები ესალმებოდნენ, ქონვეთიები ეყარა, სერპანტინშემოხვეული იჭდა, გოგოების შიშველი ხელები ეჭდო, ამ დომხალიდან ამოჩხორილ მის განთქმულ ულვაშს კარიკატურისტები იხატავდნენ და ეს ნახატები გაზეთებშიც კი დაბეჭდეს, მაგრამ ამაა მაინც ფრთების გაშლა არ ერქვა. პოლიციამ ნება არ მისცა განეხორციელებინა ლამაზი იდეა — მთელი ღამით ეყიდა ქუჩის გართობანი კლიშის ბულვარზე. დროს ვერც საყვარელი სადოლე ცხენების თავლა უვსებდა. ოთხი წმინდა სისხლის კვიცი და ორი სამწლიანი სადოლე ცხენი შეიძინა, მაგრამ ამასაც გაზაფხულამდე სჭირდებოდა ლოდინი. მანთაშევს სილატაკის ნაცვლად მოწყენილობა ემუქრებოდა.

პირველივე დღეებში მანთაშევს სიცოცხლით სავსე ემიგრანტი მოსიე სიპინი (ალბათ უბრალოდ სიპკინი) მიეტმასნა, რომელიც პარიზს ისე იცნობდა, როგორც საკუთარი ქისის ძირს. ბედნიერი მილიონერის დილის პირველი დახველებისთანავე სიპინი მის საწოლ ოთახში შეძვრებოდა და ცხელ-ცხელი ამბები და სამხიარულო წინადადებები მიჰქონდა. უჯდებოდა პიანინოს, მღეროდა

ახალ ბულეარულ სიმაღლებს, ბაძავედა ცნობილ პიროვნებებს, მარტო განასახიერებდა ორკესტრს, საუცხოოდ ყეფდა ძალღვივით, ისე გადმოსცემდა ავტომობილის პიპინს, ურუანტელი დაგივლიდათ, შეეძლო ექვემდებარებოდა გინდოდან და რაც გინდოდან, დამპალდუმპალიც კი, ამას გარდა დაეძინებდა თვალს ურიცხვ მთხოვნელს, რომლებიც თავმომაბეზრებლად უტრიალებდნენ სასტუმრო „მაყესტიკს“.

სიპინია რჩევით მანთაშევმა სენის სანაპიროზე პირქუში სასახლე იყიდა (სასახლის ეზოში ბრწყინვალე საჯინბოები იდგა), ბელეტაჟის სასადილო გააფართოვა და კოლონადით დაამშვენა. მეორე სასადილო კავკასიური დუქანივით გამართა თავისი სამწვადითურთ. სასახლეში მოაწყო საცურაო აუზი, ტანვარჯიშისა და სპორტული დარბაზები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საწოლ ოთახებს. ზედა სართულზე სამი საწოლი ოთახი ჰქონდა: ერთი — ინგლისურ ყაიდაზე გაწყობილი, მარტოხელა კაცისა იყო, მეორე, სადაც მარია ანტუანეტას ნამდვილი საწოლი იდგა, ლამაზი შეხვედრებისთვის გახლდათ განკუთვნილი, მესამე შადრევნიანი და სარკეებიანი ოთახი — მსუბუქი მასობრივი გართობისათვის. ქვედა სართული კანტორას და მსახურთა საცხოვრებლებს დაეთმო.

ახალსახლობის აღსანიშნავ ზეიმზე მოსაწვევად მანთაშევმა სამასი ბილეთი დაამზადა. ისინი გაზეთების რედაქციებს და ზოგიერთ რუსს გაუგზავნა, უმეტესობა კი ქალებს აახლა სიპინის სიის მიხედვით. ზეიმი სწორედ ლევანტის და ნალიმოვის სტუმრობის წინა დღეს ჰქონდა და სახლი ჯერ კიდევ მიულაგმოულაგებელი იყო.

— ბედი არ მიმართლებს, უბედურებაა, ვშიშობ, რომ არ მიგვიღებენ, — ჩურჩულებდა ვესტიბიულში მდგარი ლევანტი და მარმარილოს კიბისკენ იყურებოდა. მალლიდან კიბის მოაჯირზე ერთობ ლამაზი, მაგრამ მოთენთილი, ზურგმოშიშვლებული ქალიშვილი მოსრიალეებდა. ქალიშვილს დიდებული პატარა ქვედა კაბა ეცვა, ხელები წვრილი ჰქონდა, პაპიროსი ეჭირა. როცა ძირს ჩამოვიდა, განზე გამდგარ ლევანტს სახეში მანჭვით შეაბოლა და მეკარეს ჩახლექილი ხმით ქურქი და ტაქსი მოსთხოვა.

კიბიდან ნალიმოვთან მოსიე სიპინი ჩამოვიდა. სიპინს ტანჯულივით გადმოეკარკლა თვალები, სახე მოჩვენებას უგავდა, სმოკინგი გაბუმბვლოდა. იგი შეტორტმანდა და ნალიმოვს უთხრა:

— მოსიე, თქვენ ზუსტად ოცდაოთხი საათი დაგაგვიანდათ.

როცა ნალიმოვმა აუწყა, ვინც იყო და აუხსნა, ნავთობის გადაუღებელ საქმეზე მოვედიო, სიპინმა დონდლო ლოყები გამობერა...

— არა მგონია, ლეონს დღეს საქმეების თავი ჰქონდეს... მართალია, ივარჯიშა და აუზიდან ახლახან ამოვიდა, მაგრამ... ცოტა არ იყოს გულდამძიმებულია... თუმცა შეიძლება თქვენმა სტუმრობამ გაართოს. წამობრძანდით.

ლეონ მანთაშევი საპირფარეშო ოთახში იჯდა და ვეება დახრილ სარკეს უცქეროდა. ჭრელი ხალათი ეცვა, თმა სველი და დაუვარცხნელი ჰქონდა, დაღლილად დაყრდნობოდა ტუალეტის მაგიდას. მაგიდის კიდეზე პაპიროსი ბოლავდა. მანთაშევი დუნედ წამოდგა. ერთობ გრძელი ჩანდა ხალათში, ულვაში ძირს ჩამოშვებოდა, აღმოსავლურ თვალებში ტანჯვა ეხატა. მან ორივე ხელი გაუწოდა ნალიმოვს, ლევანტს კი თავი დაუკრა. (ლევანტს უმეტეს შემთხვევაში

მხოლოდ თავს უკრავდნენ და ვერ ხვდებოდნენ, რა მტკივნეული იყო ეს თუნ-
დაც თაღლითისთვის.)

— ბატონებო, დასხედით სადმე, გუშინდელი დღის შემდეგ ჩვენი არეულ-
დარეულობა... სიბინკა, თუ კაცი ხარ, უთხარი რომელიმე მტკიცეებს, ყავა მოგვართვან, ოთხი ფინჯანი ძალიან მაგარი... და რაიმე სპირტიანი სასმე-
ლი... — დაადევნა სიბინს. — ოთახებში არ გეპატიუებით, ღმერთმა დაგიფა-
როთ, იქ გოგოები ისევ ყრიან დივნებზე... ერთი აუზში ვნახე, ნახევრად წყალ-
ში იყო, ეძინა, წყალი თბილია, მაგრამ როგორ არ დაიხრჩო? ფრანგებისგან
მაინც არ მოველოდი: საშინელი გარყვნილები, წამბდრები არიან. ე-ე-ე, ეშმაკ-
მა არ იცის, რა ამბავია. ომის შემდეგ გახდნენ ვითომ ასეთები? აღმოსავლურ
ოთახში დილით კაცის რამდენიმე ნიფხავი ნახეს. არა, ბატონებო, ღრეობა უნდა
იყო. კი, მეფობდეს ეროსი, მაგრამ ლამაზად, რომაულად... ყველა
ნობზე არწყიეს! ძალიან დასანანია, რომ თქვენ აქ არ იყავით! ვასილი ალექ-
სევიჩი, ახრად მომივიდა მაგიდის თავზე დაყრდნობილი შინდისფერი ხავერ-
დის ბალდახინი გამეკეთებინა და აი, რისთვის: შემოაქვთ დესერტი და ბალდა-
ხინიდან ცვივა ვარდის ფურცლები... ცვიოდნენ ვარდები, ცვიოდნენ, დაფა-
რეს მაგიდა, სტუმრები... ლამაზია... დილის პრესაში, მგონი, ჯერ არაა, მაგრამ
საღამოსაში სრული ანგარიში იქნება.. ამ დარბაზობამ სამასი ათასი ფრანკი
შეიწირა... (მანთაშევმა მაგიდის კიდიდან პაპიროსი აიღო და მაგრად მოქაჩა.)
ყოველ შემთხვევაში ეს სახლი იაფი არ მიჯდება... ასი ათასები ეგრევე მიფ-
რინავს... ბატონებო, (გაოცებული თვალები მოავლო თანამოსაუბრეებს.) თავი
მდიდრად არ მიმაჩნია!..

— პოლკოვნიკმა ნალიმოვმა და მე, — აჩქარდა ლევანტი, — თავს ნება
მივეციტ სწორედ ამ საკითხზე...

მანთაშევს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია:

— ფული ხელში მიდნება, ბატონებო.. საჭიროა რაღაც წამოვიწყო. ასე
ფული წლის დამლევაზე არ გამყვება.

— ჩვენ კვლავ წინადადებით მოვედით, — უთხრა ნალიმოვმა. — უფრო
სწორად: იდეა ამისია. გარანტია — ჩემი.

— თქვენი ღმერთივით მწამს... ვასილი ალექსევიჩი... რა არის ეს, ისევ
დეტერდინგი?

სკამზე მჯდომი ლევანტი წინ გადაიწია და ტურასავით დაკრიჭა კბილები:

— დეტერდინგის იმედით ყოფნა აღარ მოგიწევთ... პოლიტიკური ვითა-
რება მკვეთრად გაუარესდა. (მანთაშევმა თვალები დაახამხამა, თითქოს სილა
შეაყარესო.) რეველიდან და დონის როსტოვიდან ფრიად შემაშფოთებელი ცნო-
ბები მოვიდა. დეტერდინგს მალე ევროპის ჯარების ჩარევა დასჭირდება, რათა
გაიგოს, რა სუნი ასდის კავკასიის ნავთობს.

მანთაშევმა ნალიმოვს შეხედა. ნალიმოვმა დაუდასტურა, უკანასკნელ კვი-
რას რუსეთში ნამდვილად შემაშფოთებელი გარდატეხა მოხდაო. ცხვირმოძრე-
ცილ ლევანტს ზეთისხილისფერ, წმინდად გაპარსულ სახეზე მრავალმნიშვნე-
ლოვანი ღიმილი აესახა.

— ბატონო მანთაშევო, თქვენ გვარიან თანხას გამოჰკარით ხელი დენი-
კინისა და იუდენიჩის შეტევის მეშვეობით. დღეს შეგიძლიათ უფრო მეტი
იშოვოთ დენიკინისა და იუდენიჩის უკან დახევით.. გარანტიას გაძლევთ, რომ

კაპიტალი, სულ მცირე, გაგიორკეცდებათ. თუ ეს ხელს გაძლევთ, ჩვენ საკურ-
ტაეოს თხუთმეტ პროცენტს გადაგვიხდით...

მანთაშევმა მღელვარება დაფარა და წაიბურტყუნა ^{ქრქინეშა} ^{ნიგაშა} ^{ნიქოსეკა}

— ოჰო, თხუთმეტი პროცენტი. არა, ეს მეტისმეტია!..

— თორმეტს გვთავაზობს ჩერმოევი.

მანთაშევი ცოცხლად წამოდგა, მაგრამ საპირფარეშო ოთახი ვიწრო იყო
საიმიწოდ, რომ ხალვათად გაეარ-გამოეარა, და ტახტზე დავარდა.

— მე ხელგაშლილი კაცი ვარ, ბატონებო, მაგრამ სინდისი უნდა გქონ-
დეთ. (ღუმილი; ლევანტის სახე აშკარად გამოხატავდა, რომ სინდისი არ ჰქონ-
და.) თქვენ ჩემი თავის ტკივილით სარგებლობთ... ვთქვათ, დაგეთანხმეთ...
მოჰყევით ყველაფერი..

— გუშინდელი დარბაზობა აქტივში ჩაიწერეთ, — დაიწყო ლევანტმა. —
როცა კაცი ასეთი დარბაზობის შემდეგ ბირჟაზე ჩნდება, მას ქალაქებს ხე-
ლიდან გლეჯენ.

შემდეგ ლევანტი დაწვრილებით შეუდგა იმავე მოსაზრებების გადმოცემას,
რომლებიც ნალიშოვს გააცნო ფუკიეცის კაფეში.

— ...პარიზის პრესა ჯერჯერობით ხმას არ ამოიღებს. გუშინ დენისოვი
ლონდონში წავიდა, რომ ლონდონის პრესა შეაჩეროს. ეს ყველაფერი სისუ-
ლელეა: დენიკინს და იუდენიჩს არაფერი უშველის. ესენი მკვდრები არიან...
ინტერვენცია უნდა მოეწყოს ევროპის ჯარების მეშვეობით, თანაც დაუფარა-
ვად, ფართოდ, საქმიან წრეებთან სრული თანხმობით... მაგრამ ამას მოვეშვათ.
ჩვენს ხელთაა სამი-ოთხი დღე. საჭიროა აქციები გაყიდოთ მანამ, სანამ სიმხ-
ნევე გექნებათ... შემდეგ ფრანგული პრესა რუს გენერლებს ასი ათას ფრანკად
დაასამარებს. აქ უკვე თვით დეტერდინგიც ველარ შეაკავენს ბირჟას...

ლევანტმა თავისი აზრი დაამთავრა. მანთაშევმა უღვაში პირში ჩაიდო
და კენეტა დაუწყო. ლევანტმა ნელა ამოიღო აბრეშუმის ცხვირისახოცი და
შუბლის წმენდისას ცხვირსახოციდან დამამშვიდებლად ჩაუკრა თვალი ნალი-
შოვს, რომელიც სრულიად გულგრილად იჯდა.

ხანგრძლივი ღუმილის შემდეგ მანთაშევმა თქვა:

— ამრიგად, თქვენ გინდათ დეტერდინგის წინააღმდეგ ვიმოქმედო?

— ეს ლოგიკაა, — მიუგო ლევანტმა.

— ვიმოქმედო ჩერჩილის, საფრანგეთის პოლიტიკის, ყველა წესიერი
კაცის წინააღმდეგ, რომელნიც სალი კლდეებივით აღმართულან სიბინძურის,
გამცემლობის, სპეკულაციის შუა?.. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! (მანთაშევი
წამოხტა, შიშველი ფეხით ალაღბედზე მოიძია ფეხსაცმელი ტახტის ქვეშ.) სა-
კუთარ სინდისს ვუღალატო?! დასწყევლოს ეშმაკმა, თქვენ ჩემს ხელს წმინდა
თეთრ საქმეს ზურგში უღერებთ!..

— ბირჟა მხოლოდ ლოგიკაზე რეაგირებს.

— ეშმაკებშიც წასულა ლოგიკა! თქვენ ჩემგან სისაძაგლის ჩადენას მოით-
ხოვთ! თანაც ამისთვის თხუთმეტი პროცენტი საკურტაეო გინდათ!

— კარგი, — მშვიდად უთხრა ლევანტმა. — მე უკვე ვხედავ, რომ თხუთ-
მეტი პროცენტის გაღება გიჭირთ... თორმეტი პროცენტი გადაგვიხადეთ და
საქმე გავათავოთ...

ბუხრის წინ დაბალ მაგიდაზე პორტვინის ბოთლი, ბისკვიტები და სიგარის კოლოფია. ნახშირი ახლახან შეამატეს ბუხარში და ბოლავს, სუსტად გაწათებულ ოთახში ძველი ინგლისის სუნს ავრცელებს. თბილ სუნსა და სუნსა შორის კრთის პორტვინი, რომელმაც, კასრში ჩასხმულმა, სუნსა და სუნსა შორის მოუარა დედამიწას იალქნიანი კლიპერით. პორტვინის მძაფრი კრომატი ნახშირის სუნს ერევა.

დიდი ომის მიერ დატრიალებული საშინელებანი — ადამიანთა ოკეანის ფსკერიდან ამომტუტებული სიბინძურე — ამაოდ ეხეთქება ამ ოთახის მკაცრ მყუდროებას. ჭეშმარიტად!

მოღუშულ საღამოს ბუხართან მსხდომებმა, რა თქმა უნდა, იციან, რომ ამოღებული ნახშირის ნატეხები ციდან კი არაა ჩამოცვენილი, სასოწარკვეთილებითა და წყევლა-კრულვით ამოიღეს ღრმა შახტებიდან. კაცობრიობას არსებითად ჯერ კიდევ უზღვავე ნაკლი აქვს. დიახ. ბევრი სამწუხარო და შემაშფოთებელი ნაკლი აქვს ინგლისის სოციალურ წყობასაც, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ღარიბი კაცისთვის კვირაში ერთი ზედმეტი შილინგის წამატების მიზნით კულტურის ათასწლოვანი ციხე-სიმაგრე დაიმსხვრეს, ამ ოთახში ჭლექიანი ბავშვებითურთ მუშა შემოვიდეს, ერთი ბოთლი ძვირფასი პორტვინი მისცე უელსის მეშახტეს. რომელსაც მხოლოდ გრადუსების რაოდენობა გაეგება, და აქაურობის დამამშვენებელი შესანიშნავი სურათები ბარდის გასახმობად გაიმეტო.

ცეცხლის პირას მსხდომი ორივე კაცი ჯენტლმენია. ორივე მშვენიერ ინგლისურ ენაზე ლაპარაკობს, ხაზს არ უსვამენ თავიანთ აზრებს, მაგრამ მათ დახვეწილი იუმორით გამოხატავენ. ისინი ხედებიან ერთმანეთის იდუმალ ზრახვებს და გულკეთილად აღიარებენ ამას. ერთი მათგანის — სერ ჰენრი დეტერდინგის მიზანია ნათელყოფა, რომ თანამოსაუბროს ზოგიერთი თვალსაზრისი მოჩვენებითია, ხოლო მეორის — მიატერ ლოიდ-ჯორჯის მიზანი ისაა, თავი არ გააცურებინოს დეტერდინგს და მოხდენილად გამოუვიდეს.

თანამოსაუბრენი ერთმანეთს ეპასუხებიან, პატარა ბისკვიტებს პორტვინში აწებენ და ერთობლივი ძალით ცდილობენ ჭადრაკის ძნელი პარტია გაითამაშონ. ეტყობა, ეს ართობთ და ერთმანეთისადმი დაუფარავი გულითაღობის გრძნობით არიან გამსჭვალულნი.

— იმთავითვე იყო შეცდომები დაშვებული, სერ ჰენრი... შეცდომები, რომელნიც ძვირად გვიღირს...

— თქვენ ლაპარაკობთ საჭირო სიმტკიცის უქონლობაზე?

სასარგებლო მოქნილობი უქონლობაზე, ინგლისში, სამწუხაროდ, ძალზე ბევრი ადამიანია, რომლებიც ერთ ქვაბში ურევენ ჩვენს თანამედროვეობას და სამარადეამოდ გარდასულ დედოფალ ვიქტორიას დროინდელ ურყევ პოლიტიკას... გასული საუკუნის ნახევარში ინგლისური კაპიტალის განვითარების შედეგად შობილი წინააღმდეგობანი თითქოსდა აღმოფხვრა ცხვირში უბრალო. მაგრამ ინგლისურმა დარტყმამ, უკიდურეს შემთხვევაში, კერძო ქველმოქმედებამ. მაგრამ დღეს კეთილსინდისიერმა პოლიტიკოსმა ეს წინააღმდეგობანი შეუძლებელია რეალურ მონაცემებად არ მიიჩნიოს ძალთა აღრიცხვის

ქამს. აი, სწორედ ამ მოქნილობაზე მიხედობა მეთქვა. სერ ჰენრი. ინებეთ სიგარა.



— გმადლობთ. ნება მომეცით ჩემი შემოგთავაზოთ.

— გმადლობთ. მე წინააღმდეგი გახლდით ბაქოს ოცნებებს... თვრამეტ წელს, ჩვენი ჯარების გაგზავნისა ჩრდილოეთ რუსეთში და მართლაც ვიყავი. ჩვენ ვერაფერს მივალწიეთ, ჩვენ გავალიზიანეთ ბოლშევიკები და გემრიელი ძვალი გადავუგდეთ ჩვენს შინაურ მყვირალებს.

— მაგრამ პარლამენტისა და ინგლისის პროფკავშირების ლიბერალი ყბედების შიში ჯერ კიდევ არაა ძალთა აღრიცხვა, მისტერ ლოიდ-ჯორჯ... ლიბერალიზმი თავისთავად ლამაზია, როცა ის ოჯახის კერასთან ჰყვავის. დავტოვოთ იგი იქ და ჩვენს მტკიცე პოლიტიკას ბოლოს და ბოლოს მოვაშოროთ. ვიყოთ ინგლისის დრედნოუტთა ქვემეხებით პირდაპირნი და მკაცრნი.

— სერ ჰენრი. კარგი ჰქენით, როცა თქვენი ბედი ინგლისის ბედს დაუკავშირეთ და მსოფლიო ნავთობის მარაგის ნახევარს ინგლისური ქვემეხები დაუყენეთ მცველად, მაგრამ ცოტა არ იყოს გულს მაკლია, რადგან ისევ და ისევ არ გჯერათ, რომ ინგლისური ქვემეხები შორ მანძილზე ახვედრებენ მიზანს.

— ნებას მომცემთ, დაგისხათ?

— გმადლობთ.

— მე არაფერს არ ვიყინებ. მისტერ ლოიდ-ჯორჯ. აღმოსავლეთის უკანასკნელმა ამბებმა ისევე შემაშფოთეს, როგორც ნებისმიერი ინგლისელი, რომელიც თავის ოჯახს, თავის სახლს და თავის ქისას ღამის სტუმრისგან იცავს. მე ცოტათი დაბნეული ვარ. აქამდე მეჩვენებოდა, რომ ძლიერ სახელმწიფოში ძლიერი პოლიტიკა ძალას ეყრდნობოდა.

— სერ ჰენრი, ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვათ უარი ზოგიერთ ტერმინოლოგიაზე, რომელნიც ჩვენმა პროფკავშირელმა მეგობრებმა მოგვახვედრეს თავს. მაგალითად, ავიღოთ იმპერიალიზმი! ბავშვი რომ ვიყო, ამ სიტყვის გაგონებაზე ალბათ ჩემს პატარა საწოლში ავტირდებოდი... ინტერვენცია! ეს სილის გაწნას ჰგავს. კოლონიური პოლიტიკა! — უშნო, უსარგებლო, გამალიზიანებელი სიტყვებია.. ყოველ დილით რისთვის გამოვყო თავი ფანჯრებიდან და მოქალაქეებს უხამსად რისთვის დავემანჭო?... ისინი მართალნი იქნებიან, ქვეების სროლა რომ დაუწყონ ჩემს ფანჯარას...

სერ ჰენრი ტარსიკონის კვადრატულ სავარძელში გადაწვა. გაპარსული ვეება სახე და პირქუში ყბა ალბათ პორტვეინის გამო აჭარხლებოდა, ქუთუთოები ნახევრად გადმოხროდა უბეებზე, ლოყა უთრთოდა. მისტერ ლოიდ-ჯორჯი, რომელსაც ჭაღარა ფაფარი, ლომვეშაპის ჭაღარა უღვაში ჰქონდა და პროვინციიდან ჩამოსული ძიაკაცივით ვარდისფერი იყო, უდარდელად იღიმებოდა.

— ცეცხლთან თამაში ყოველთვის ხანძრით მთავრდება, — კბილებში გამოსცრა სერ ჰენრიმ.

— ერთადერთი რამ, რაზეც ვერ ვთანხმდებით, მე ასე მგონია, გახლავთ ხანძრის ჩაქრობის ხერხები. სცენაზე მეხანძრეთა ეფექტური გამოჩენა — ბევრი ყვირილი და ხმაური — სადავიდარაბოა, შედეგი კი ამას მაინცდამაინც დიდი არ მოჰყვება.

— სხვა ხერხები როგორიღაა?

— სწორად მოწყობილი ალყა: როცა ალყაშემორტყმულნი ვირთხების ჭა-

მას და აშშ-ში მყოფი წყლის სმას იწყებენ, ფარ-ხმალს ჰყრიან... პუნქტური ომების ისტორიიდან ვიცით, რომ რომაელები კაპიტულაციის დასაჩქარებლად ალ-ყაშემორტყმულ კართაგენში ჰირიან გვამებს ისროდნენ. ეს კლასიკაა...

— ეს ყველაფერი ჩინებულია, რომ ბაზარს მოთმინებით უზრუნველყოფენ... „როიალ დეტჩ შელმა“ კავკასიის მიწებში უზღვაავიზიტისას დასაჩქარებლად ამერიკელებს კი ერთი ცენტრიც არ დაუბანდებიათ. ჩვენ დასუსტებულნი ვართ, ისინი არა. თუ გაისად ბაქოსა და გროზნოში მკვიდრად არ მოვიკიდებთ ფეხს, ინგლისი პირველ ადგილს დაკარგავს...

საუბარი ისე წარიმართა, მისტერ ლოიდ-ჯორჯმა ბოლოს იგრძნო, რომ ცხვირში თითქოს მაგრად წაავლეს ხელი. იგი ბუხრისკენ დაიხარა და ერთხანს ნახშირს უჩხიკინებდა.

— დიახ, დიახ, თქვენ, როგორც ყოველთვის, მართალი ბრძანდებით, სერ ჰენრი, — ბუტბუტებდა ბუხრის ცეცხლით განათებული ლოიდ-ჯორჯი. მას ფუშფუშა თმაც კი შეუვარდისფერდა. — გული დავიიმედოთ, რომ ღმერთი შეეწევა ძველ ინგლისს... ღმერთი ხედავს, — მისტერ ლოიდ-ჯორჯი გაიმართა, ხელში საკეცე ეჭირა. — ჩვენ მხოლოდ მშვიდობა და ბედნიერება გვინდა! უფრო მეტი ბედნიერება! მისკენ მიმავალი გზა ხსნილია. მაგრამ მშვიდობის-მოყვარეობის მიუხედავად (ლოიდ-ჯორჯმა საკეცე დადო) არ შეგვიძლია, ძალა არ შეგვწევს შევაჩეროთ ევროპის აღმოსავლეთით ახალშობილი რესპუბლიკების კრისტალიზაციის პროცესი, თვითგამორკვევა წმიდათაწმიდა პროცესია. პოლონეთმა და რუმინეთმა თავიანთი ისტორიული განვითარების გზაზე ომი უნდა გამოიარონ... და მე მგონია, არა უგვიანეს ამ ზაფხულისა...

სერ ჰენრი დაფიქრდა და მოუგო:

— ეს იდეაა.

ამის შემდეგ ორივე დუმდა ერთხანს. საუბრის არსებითი ნაწილი დამთავრებული იყო. სერ ჰენრი წამოდგა. მისტერ ლოიდ-ჯორჯმა სერ ჰენრი კარამდე მიაცილა. ამ დროს ის შიშნულად უცქეროდა ინგლისისთვის ესოდენ საჭირო, ესოდენ მნიშვნელოვანი კაცის აპოპლექსიურ კისერს.

სერ ჰენრიმ მანქანა გაუშვა, სადარბაზო კარი გააღო, ვესტიბიულში სინათლე გააჩახჩახა, ქუდი და პალტო სავარძელში ჩაყარა და წამით შეჩერდა სოლომონის კუნძულებიდან მოტანილ ხის აჭრელებული კერპის წინ.

ამ კაციჭამია ღმერთს ჰქონდა ყურებამდე გახსნილი პირი, სამკუთხა კბილები, რომლებსაც ადამიანის ხორცი ეწადათ, ნისკარტის მაგვარი ცხვირი, ეკეთა ნიუარებისა და მძივების ყელსაბამი (ამერიკული წარმოშობისა) და დეტერდინგს იდუმალად მზირალი ელაში თვალებით უცქეროდა. ერთხელ სერ ჰენრიმ შეგობრებს მასზე მიუთითა და იხუმრა:

— ბოლშევიკია...

ახლა ეს გაახსენდა და ბოროტად ჩაიციინა.

ლონდონის გაჭედებულ ქუჩებში მგზავრობისას აკვირებული აზრი ისევ გამოეკვეთა:

„პოლონეთი, ეს იდეაა“.

კიბეზე ღიმილით ჩამოდრიოდა მისი მდივანი — საფეთქლებშეჭადარავებული მოხდენილი მისტერ ჰოვარდი. მისტერ ჰოვარდი ბილოდან მგორე საფეთქურზე შეჩერდა და ელოდა, როდის მიაქცევდა ყურადღებას სერ ჰენრი.

— ვინმე მიცდის მისაღებში? — ჰკითხა მდივანს სერ ჰენრიმ.

— პარიზიდან ჩამოსული მისტერ კონსტანტინ ნაბოკოვი და მისტერ დენისოვი.

სერ ჰენრის უბეები დაბერილი მრისხანებისგან შეუტოვდა.

— გადაეცით ამ რუსებს... ჰმ... (მან არწივის ყაპყაპივით ბურცევი გამოსცა...) გადაეცით, რომ უკიდურესად დაღლილი ვარ და ვწეები. ხვალ მოვიდნენ... სახვალიოდ მოამზადეთ ამ წყეულ რუსეთში სამხედრო მოქმედებათა ზუსტი კრებსი... ჰმ... აგრეთვე.. მითხარით, ჰოვარდ, იცით, რამდენი მოსახლეა პოლონეთში? ეს ციფრიც მოამზადეთ და დაწვრილებით მომახსენეთ პოლონეთის შესახებ. თუ ეს სიამოვნებას მოგანიჭებთ, რუსებს გადაეცით, რომ მათი თეთრი გენერლები არაფრად არ ვარგა... ნებისმიერ კუნძს... (თავის დაქნევით კერპზე ანიშნა) უფრო მეტი ესმის პოლიტიკაში, ვიდრე მათ...

ვალოდია ლისოვსკიმ ხუთ დღეში სამი ათას ხუთასი ფრანკი იშოვა, მაგრამ დიდი ჯათა კი დაადგა. განსაკუთრებით გაუჭირა საქმე ბურცევმა, თუმცა მისგან ერთი სანტიმი არ მიუღია.

ვლადიმერ ლვოვიჩ ბურცევი უკანასკნელ ხანს მთლად აუტანელი გახდა. მისი განწყობილებანი მეტრონომივით ირბეოდა პოლიტიკურ მრწამსთან ერთად მარჯვნივ, მარცხნივ და სადღაც შუაში. ტკაც! — გაისმოდა მშრალი ტკაცანი — იბზარებოდა ბოლშევიკებთან ბრძოლით ილაჯგაწყვეტილი გული ვლადიმერ ლვოვიჩისა.

რატომაც არა! ბურცევს დავთრები ერეოდა, როცა იმავე ჩალის ქუდი-თურთ (მიუხედავად იმისა, რომ ნოემბერი იდგა და რედაქცია არ თბებოდა) გამტვერილ მაგიდას უჯდა, ფრჩხილებით დაფხაჭნილ საშრობზე გადახრილი, და მისი შინაგანი მზერა, თავის დროზე რომ ისეთი დემონი განგმირა, როგორც აზეფი იყო, უმწეოდ უკირკიტებდა ამოუხსნელ ამოცანებს. ვლადიმერ ლვოვიჩი ჰგავდა პროვინციელს, მოხვედრილს პანოპტიკუმის თექვსმეტკუთხიან ჯადოსნურ ოთახში, რომელშიც, საითაც არ უნდა მიაწყდე, გასასვლელის ნაცვლად სარკის კედელი დაგხვდება და იქიდან შენივე დაბნეული სახე შემოგაცქერდება.

ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ, რომელთაც ყველა ისტორიული პროცესი კლასობრივ ბრძოლაში დაჰყავდათ, ვლადიმერ ლვოვიჩი ახლა წინ სწევდა პიროვნებას — გმირს, ზეკაცს, ეროვნული, სახელმწიფოებრივი, მსოფლიო იდეით გამსჭვალულს. ეს პიროვნება გახლდათ კოლჩაკი. ბურცევი კოლჩაკზე თვითმგვემლის გატაცებით წერდა. მისი სახელობის დღეს გამოაქვეყნა „წერილი ციმბირელი ვაჭრისა“, რომელსაც თითქოს საკუთარი თვალით ენახა უმაღლესი მმართველი.

„...ვდგავარ მისაღებში, — ჰყვებოდა ვაჭარი, — გულს კი ეგრევე დაგადუგი გააქვს... ვფიქრობ, ღმერთო, მთელი ჩვენი იმედი და სასოება ის არისმეთქი. და გულმა მიგრძნო, რომ მოდის იგი, მამილო, წყნარად, ნარნარად... თითქოს რღაც ნიავექარმა ჩამოიქროლაო. კაზაკები აღებენ კარს და, სწოჩედ რომ დროულად, როგორც მაცხოვრის წინაშე, მიწას შუბლით დავემხვე. შენოდის — ნათელი სახე აქვს, თვალები — ბრძნული, თეთრ ხელს მიწოდებს:

„გამარჯობა, — მეუბნება, — ციმბირელო ვაჭარო, ბევრი უბედურება გადაიტანე, მაგრამ ბევრიც მოგეზღვევა სანაცვლოდ...“

ამ ფელეტონთან დაკავშირებით ლისოვსკიმ ბურცევს უთხრა:

— ვლადიმირ ლვოვიჩი, ვინ დაგიწერათ თავგამოდებულნი წერილი?

— რაო? როგორ თუ ვინ?

— თქვენ თვითონ ხომ არ დაწერეთ?... ნეტავ ლიტერატურულ მასალას მაინც მაჩვენებდეთ ხოლმე. ქალაქში ფელეტონზე იცინიან.

— ვინ იცინის?

— სავინკოვს შევხვდი, იცინის: მალე უმალლეს მმართველს თქვენ წყალთა მათ ზედა ატარებთო...

— გაეთრიეთ! — ჩამწყდარი ფალცეტით იყვირა ბურცევმა. — გაეთრიეთ! თქვენ „საერთო საქმის“ თანამშრომელი აღარა ხართ.

და აი, რამდენიმე დღის შემდეგ იგივე ლისოვსკი კვლავ მოვიდა, კონიაკის სუნით აყროლებული თავხედურად დაჯდა სარედაქციო მაგიდასთან და განაცხადა — კოლჩაკი ისტერიით დაავადებული პოლიტიკური ბრიყვი, უნიჭო სამხედრო და თოჯინაა, რომელსაც მოკავშირეები სულ მალე პანლურს ამოკრავენ, რადგან საჭირო აღარ იქნებაო. შემდეგ მრისხანებისგან სულშეგუბებულ ბურცევს ფრანგული გაზეთების დასტა უჩვენა, სადაც დაბეჭდილი იყო ეს ყველაფერი.


ვლადიმირ ლვოვიჩი გრენელის ქუჩაზე გავარდა. იქ პოლიტიკურ თათბირზე, მაგიდასთან, რომელსაც ოქროსფერფოჩიანი მწვანე მაუდი ეფარა, გაქერქლილ სავარძლებში ისხდნენ: საშინლად დაღლილი თავადი ლვოვი, მის მარცხნივ — თეთრწვერა, კობტად ჩაცმული ჩაიკოვსკი — „რუსეთის რევოლუციის პაპა“, მარჯვნივ — მეფის ელჩი საფრანგეთში მოხუცი იზვოლსკი, წინ — დროებითი მთავრობის ელჩი საფრანგეთში ვასილი მაკლაკოვი, წარბშეკრული სავინკოვი (იგი რაღაცით — ფართო შუბლზე გადმოფენილი მეჩხერი კულუღით — ნაპოლეონის ერთ-ერთ პორტრეტს მოგაგონებდათ), მოსკოველი ვაჭარი, რბილსახიანი, ქერა ტრეტიაკოვი და მეფის ელჩი იტალიაში გირსი.

ამ ადამიანებს, ეტყობა, ეგონათ, რომ მაგიდაზე მიმოფანტულ სუფთა ქალღლებზე უნდა მოეხაზათ და, როგორც ჰკვირნი და განათლებული ხალხი, აუცილებლად მოხაზავდნენ კიდევაც რუსეთის ბედს. ისინი უსმენდნენ რეველიდან ჩამოსულ კედრინს, უსმენდნენ პეტროგრადთან მომხდარი ამბების მწუხარე ანალიზს. სახეზე ყველას (ლვოვის გამოკლებით) თავაზიანი მოწყენილობა ეხატა: ეკვობდნენ, რომ კედრინი მემარცხენე — „წითელუკანალიანი“ იყო, ვინაიდან ჩრდილო-დასავლეთის მთავრობის სხვა მინისტრებთან ერთად ხელი მოაწერა ესტონეთის დამოუკიდებლობის აქტს.

თათბირს მოახსენეს, ბურცევი მოვიდაო. ბურცევთან მოხუცი დიპლომატი იზვოლსკი გავიდა, რომელსაც ყოველთვის სიამოვნებას ჰგვრიდა საწუხარი ამბების ლაპარაკი. ბურცევი ერთობ გამტვერილი ჩანდა, ღილები აწყვეტილი ჰქონდა, ტანსაცმელზე თამბაქო ეყარა, ჩალის ქუდიდან ჭაღარა გაწეწილი ბუწუწები გამოსჩროდა, ჯიბეები გაზეთებით გამოეტენა. იგი იზვოლსკის ეცა და გამშრალი ტუჩების თითქმის მარტო მოძრაობით ჰკითხა:

— რა მოხდა?

იზვოლსკიმ თითი გამოსწია, რომ ბურცევი ახლოს არ მიეშვა.



ქააყრქუნუშუნი
ბიბლიოთეკა

— ბრძოლის ცენტრი აღმოსავლეთ რუსეთიდან სამხრეთში გადადის, ესაა და ეს.

— კი მაგრამ, უმაღლესი მთავრობა?

— ომსკი ევაკუირებულია.. მთავრობა სადღაც იქააყრქუნუშუნი

— აღმირალი?

— მართალი ვითხრათ, არ ვიცი... სადღაც მატარებლით მიდის...

მოხუცი ბურცევის კეფას, ოცნებას, იდეალიზმს თითქოს ურო ჩასცხეს, ვლადიმირ ლვოვიჩს სრული შარვალი აუთამთამდა. რედაქციაში დაბრუნებული დიდხანს მარტო, თვალებზე ქუდჩამოფხატული უჯდა მაგიდას. შემდეგ ლისოვსკი გამოიძახა და გენერალ დენიკინის ბიოგრაფიის ვრცელი მონაცემები მოსთხოვა (ამ დროს ცდილობდა მისი თავხედურად მოლიმარი სიფათისთვის არ ეცქირა). ბურცევს ფარ-ხმლის დაყრა არ უნდოდა, კიდევ ერთხელ დაატანა თავს ძალა, რომ კალმით განედიდებინა ნათელი პიროვნება.

სინამდვილეში პოლიტიკურ თათბირს ბურცევზე ნაკლებ როდი აურია დაერთები იმან, რომ რუსული საქმეების მიმართ ფრანგული პრესის დამოკიდებულება მოულოდნელად შეიცვალა — თუ აქამდე თავშეკავებულ კეთილმოსურნეობას იჩენდა, ახლა ერთობ მტრული გახდა. რაღაც მოხდა, რაღაც ახალი ძალა ჩაება თამაშში, ვილაკის ძლიერმა ხელმა დარტყმა აგემა რუსულ საქმეებს.

ბირჯა, ეს არსებითად პანიკური დაწესებულება, ყოველივე ამაზე პანიკით რეაგირებდა. რუსული ფასეულობანი სწრაფად უფასურდებოდა. ვილაკ მუჭა-მუჭა ისროდა გასაყიდად რუსეთის ნავთობის აქციებს. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე. ამასთანავე თითქოს განგებ ციმბირიდან ერთი მეორეზე უსასოო დეპეშები მოდიოდა.

ტაპა ჩერმოვეს ლვოვთან საუბრეზე დაუძახეს, შეათვრეს და ათქმევინეს, საგაზეთო კამპანიაში ლეონ მანთაშევის ხელი ურევიანო, იგი აქციების ფასის დაწვევაზე თამაშობსო. ეს ყველაფერი გასაგები იქნებოდა, ერთი უცნაური მოვლენა რომ არ ყოფილიყო: გაზეთების მიერ ცეცხლის შენთების მიუხედავად, პირველი დღეების პანიკის შემდეგ ნავთობის აქციები თითქოს წინააღმდეგობას იჩენდა და მალლა აწევის ტენდენციასაც ამჟღავნებდა: ვილაკის კიდევ უფრო ძლიერი ხელი თამამად და უშურველად ისევ უჭერდა მათ მხარს.

— არა, ეს ბნელი თამაშია, — ამბობდა ტაპა საუბრეზე. — ღმერთმა დამიფაროს, რომ მასში ჩავერიო... ლეონი მაფიქრებს, იგი ფიცხი კაცია, პოლიტიკა კი სადოღე ცხენების თავლა როდია. ისე, დღეს თუ თამაშობ, მხოლოდ აწევვაზე უნდა ითამაშო. რატომ? ნიშნები არის, ბატონებო, ბედნიერი ნიშნები.

ემმაკმა თათარმა კიდევ უფრო შავბნელად დახატა ვითარება. სადღაც ვილაკ რუსეთის წინააღმდეგ საიდუმლო დივერსიას ამზადებდა. ყველაზე საგანგაშო ის იყო, რომ პოლიტიკურმა თათბირმა — რუსეთის მომავალი ხელისუფლების ბრძოლის კერამ და ბირთვმა — სხვებზე ნაკლებად იცოდა საქმის ვითარება. მას აშკარად უგულვებელყოფდნენ. შემდეგ ლონდონიდან კონსტანტინ ნაბოკოვის დეპეშა მოვიდა:

„აუცილებელია ოპტიმიზმი, აუცილებელია დენიკინს შთავაგონოთ, რომ მოვლენები ფასდება, როგორც დროებითი წარუმატებლობანი. საქმეში ებმება ახალი ფაქტორი. ლონდონი საგუშაგოზეა“.

პოლიტიკურ თათბირში ორმოცდაათი სუფთა ფურცელი სიფათებითა და

კაუჭებით მოხატეს, მაგრამ დეპეშა ვერ გაიგეს. ჯერჯერობით გადაწყვიტეს ბურცევისთვის შეეთავაზებინათ დაუყოვნებლივ წასულიყო ნოვოროსისკში ოპტიმიზმის გასაღვივებლად და ადგილობრივი პრესის დასარაზმად. ლონდონიდან ჩამოვიდა დენისოვი. მაგრამ ტელეფონით მისი დაჭერა არ ხერხდებოდა.

ნოემბრის წვიმები შპახუნებდა. პარიზი მხიარულობდა. ვალოდია ლისოვსკი დილის თერთმეტ საათზე ისევ თბილი ბუმბულის საბნის ქვეშ ნებივრობდა, სიამოვნებით უგდებდა ყურს წვიმის ხმაურს. კარზე აჩქარებით დააკაკუნეს. შემოვიდა ალექსანდრ ლევანტი. ქოლგა, შარვლის ტოტები და წალები დასველებიდა. თვალები ორ დამპალ ზეთისხილს უგავდა. შლაპა არ მოუხდია, ისე თქვა:

— შეიძლება მთელი არმია უცბად გაანადგურო, ალყა შემოარტყა და დიხოცო ან მდინარეში ჩაახრჩო? არმიაც და გენერლებიც?

— კერძოდ ვინ? — ჰკითხა ლისოვსკიმ.

— ამ შემთხვევაში თეთრები დენიკინითურთ,

— რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ არ დაიჯერებენ...

— ჭირი თეთრ არმიაში? რას იტყვიან? საყოველთაო ჭირი...

— ჭირი ცუდი არაა. თქვენ კი როდისთვის გჭირდებათ ეს?

— ხვალ.

— ჭირზე ერთი კვირა დაგვჭირდება ჯახირი, სხვანაირად ვერ იმოქმედებს.

— საშინელებაა!..

ალექსანდრ ლევანტი ლისოვსკის საწოლზე ფეხებთან ჩამოუჯდა და ერთ-ერთს გრძელ კბილებს კრეჭდა. აბურძგნილი თავი ფანჯრისკენ მოებრუნებინა და ნისლს და წვიმას გასცქეროდა. გარეთ შავად ილანდებოდა ასპიდის სახურავები და თუნის საკვამურები.

— მანთაშევს შეუძლია კიდევ დაიძვრინოს თავი. იგი თებერვლის აქციებს ყიდდა. ამ დროისათვის წყეული ნავთობის ფასი ისევ დაიწევს... მე მოკლე-მოკლე ვადით ვყიდდი...

— ოი, ოი, ოი!..

— ვინ რა იცოდა? მე მინდოდა რაც შეიძლება ჩქარა ამელო ფული. დღეს განსხვავება — ას ოცი ათასი ფრანკი — გადავიხადე. ზეგ ამდენივე უნდა გადავიხადო... გავკოტრდი... (ლისოვსკიმ თანაგრძნობით გააწყლაპუნა ენა.) თუ ხვალ რუსეთის შესახებ რაღაც ზებუნებრივი რამ არ გამოქვეყნდა! მისმინეთ, ამერიკას არ შეეძლო ბოლშევიკები ეცნო?...

— ასეთი აბლაუბდის დაბეჭდვას ვერც ერთი ვაზეთი ვერ გაბედავს.

— ორი ღამე არ მიძინია... თავი აღარ მუშაობს... მისმინეთ, ლისოვსკი, რა მოხდა? ვინ ეხმარება? ვინ ყიდულობს ნავთობის ამ ქეციან აქციებს? ღამის გაგიჟდე კაცი! შეგიძლიათ რამე მოიფიქროთ?

— არა.

ლევანტმა წყნარად გაიმეორა: „არა!“ თვითონაც იცოდა, რომ არაფრის მოფიქრება არ შეიძლებოდა... ფანჯარასთან მივიდა. ერთხანს იდგა, შემდეგ ლისოვსკის არ გამომშვიდობებია, ისე გავიდა... ტრამვაის გაჰყვა ბირუამდე, იქ დაბნეული იდგა სვეტებთან, ხელები ქოლგითურთ უკან ეწყო. შემდეგ სასტუმროში დაბრუნდა და დაბინდებამდე გამოვიდა გარეთ. ხელში სქელი პაკეტი

ეჭირა. მეკარეს უთხრა, მკერავთან მივდივარო. ლამის გასათევად არ მოსულა. დილით მეკარემ მისი ნომრის ბუხარში დამწვარი ქაღალდების ნაკვალევი შენიშნა, იატაკზე გახსნილი ჩემოდანი იდო, ჩემოდანში ერთი წყვილი ნახმარი წინდა და სასტუმროს გადაუხდელი ანგარიში იყო. აი, ეს დარჩა სულ ლევანტის ცხოვრების ზედაპირზე. ეტყობა, იგი მთლად გაქრა პარტიზანულმა ნალიმოს მარტოს უნდა დაეხსნა თავი უამრავი უსიამოვნებებისგან!

მანთაშევმა ლევანტის გაქცევის ამბავი რომ გაიგო, თავის საპირფარეოში რამდენიმე ძვირფასი ნივთი მიაშხვრია და პოლიციაში მის შესახებ განაცხადა. ნალიმოს გაათრეებული წერილი მისწერა. მაგრამ ვასილი ალექსევიჩი უკვე სტოკჰოლმისკენ მიემგზავრებოდა. პოლიციის პრეფექტურაში ლევანტი ჩაინიშნეს, როგორც არასასურველი უცხოელი.

არც პარიზში, არც მსოფლიო ისტორიაში ლევანტის მოღვაწეობას, გამოჩენას და გაქრობას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ჭაობიდან ბაყაყის თავი ამოყურყუმელავდა, დაიყიყინა, ოციოდე ქინკლა დააფეთიანა და გაქრა. მაინც უცნაურია იმის გაფიქრება, თუ რამდენი უსიხარულო შრომა, რამდენი ენერგია და პროდუქტი დაიხარჯა, რათა ამ ბაყაყის თავს მომსახურებოდნენ და ეკვებათ. მსოფლიო კონფერენციებზე, პარლამენტებში და მინისტრთა კაბინეტებში რამდენი გონებრივი მოღვაწეობა გახდა საჭირო, რამდენი იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერება დამზადდა, რომ ასეთ ბაყაყის თავს სიამით და მშვიდად ეარსება. მხოლოდ ამიტომ, ამ უცნაურობის გამო ღირდა მართლაც ლევანტის გახსენება. თავისთავად იგი ლამეული ჩრდილივით უფერული წვრილი ლევანტიელი თაღლითია. ჰაჯეტ ლაშე კი ბოროტმოქმედი მაინცაა, ძველ დროს მის სანთლის ბიუსტს პროვინციულ პანოპტიკუმში ჭეკთან — მუცლების გამომფატვრელთან ერთად გამოფენდნენ. ამას გარდა ჰაჯეტ ლაშემ სხვებზე ადრე მოიფიქრა რამდენიმე ხერხი, რომელთაც უეჭველად ფართოდ გამოიყენებენ ევროპის პოლიტიკურ არენაზე. ან ავილოთ დენისოვი! მართალია, იგი ჭერჭერობით მკრთალ ჩრდილშია, ბრწყინვალე ყბედი პოლიტიკოსები და საოცარი გენგრლები ეფარებიან, მაგრამ მისი თავი თავის დროზე უთუოდ ამოიყურყუმელავეებს და მტრისას, ისე დაიყიყინებს: „ფართო ვზა შავ ინტერნაციონალს!“

ნალიმოვი მოღრუბლულ, ცივ დილას ჩავიდა სტოკჰოლმში, როცა ბალტიის ზღვაზე ნისლში მოხეტიალე გემების საგანგაშო სიგნალები დაქროდა. გემის რკინის ქიმზე თქორი დიოდა. აწეული საყელო სიცივეს ვერაფერს აკლებდა.

გათოშილმა შოფერმა გაბრაზებით მოიჯახუნა მანქანის კარი და ნალიმოვი ერთ-ერთ მეორე კლასის სასტუმროში წაიყვანა. ნალიმოვმა ცოტა უფრო იაფფასიანი ნომერი აიღო. ჩემოდნები რომ შეუტანეს, მაშინვე კარი ჩაკეტა და ბოლთისცემას მოჰყვა, დადიოდა და დადიოდა, ხან ჩერდებოდა ფანჯარასთან, რომლის მიღმა თვალშეუვალი წყვილიადის კედელივით იდგა ნისლი. ირგვლივ სევდა, მოწყენილობა, სისაძაგლე სუფევდა...

საზიზღარი განწყობილების მიზეზი ის გახლდათ, რომ ვერა იურიევნასადში გრძნობა გაუცივდა, თუმცა ძალიან კი ცდილობდა გაეთბო იგი. გრძნობის

გაცივება დაეწყო მაშინ, როცა ერთგვარი კეთილდღეობა დაუდგა (საკურტაქო ასი ათასი ფრანკი იყო). ნალიმოვი მაწანწალა და ნალიმოვი რანტივე სხვადასხვა პიროვნება იყო... კიდევ ერთი-ორი თვე და საერთოდ არ წავიდოდა სტოკჰოლმში... გალანძღავდა თავს, იღარღებდა და თავისი მარტოველი ცივის ბინის მშვიდ საწოლს ძნელად თუ გაეცლებოდა. გრძნობის გაცეცხვასთან ერთად მას ფანჯარას მომდგარი ამ ყვითელი ნისლივით ცივი, საზიზღარი სიცარიელე ეწვია.

ბოლოს ვასილი ალექსეევიჩი ტელეფონთან დაჯდა. კაცმა რომ თქვას, არავითარი გეგმა არ ჰქონდა. ლევანტის გაქრობამ ყველა გეგმა აურიო. საჭირო იყო მარის ან ლილის დალაპარაკებოდა... ნალიმოვმა „გრანდ-ოტელში“ დარეკა.

მადამ მარი თურმე წინა თვეში ჰიპს-ჰოპსის დასს ვარშავაში გაპყოლოდა. დაწვრილებით მისი ამბავი მეკარეს არ უთქვამს. როცა ნალიმოვმა სთხოვა, ლილის დაუძახეთო, მცირე ხნის დუმილის შემდეგ უხალისოდ უპასუხა, ვნახავ, აქ არის თუ არა მადემუაზელიო. შემდეგ შესთავაზა, თქვენი ტელეფონის ნომერი დატოვეთო. ვასილი ალექსეევიჩს სიფრთხილის გამო თავისი გვარი არ დაუსახელებია.

ნალიმოვი დიდხანს ელოდა ტელეფონის ზარს. მიჯაკი გაიხადა და ბოლოს სცემდა კარიდან ფანჯრამდე. ყვითელი ბინდბუნდი უფრო და უფრო ითალხებოდა. რაც უნდა მომხდარიყო, ვასილი ალექსეევიჩი ვერა იურიევნას ასე თუ ისე გამოიხსნიდა, ხოლო შემდეგ რა იქნებოდა, ამაზე ფიქრი არ ღირდა. ნალიმოვმა დარეკა და სასტუმროს მსახურს უბრძანა, ადგილობრივი გაზეთების უკანასკნელი თვის კომპლექტი მოეტანა.

იგი გაზეთების გადათვალიერებისთანავე წააწყდა კალვეს ამბავს. ათი ნომრის შემდეგ დაბეჭდილი იყო ახალი სენსაცია: „ლევო ლევიცკის საიდუმლო გაქრობა...“ გაზეთებს ამჯერად სერიოზულად აეტეხათ ალიაქოთი. „რუსეთის ექოში“ (ეს ლიგის მიერ სპეციალურად გამოშვებული ნომერი გახლდათ) გამოქვეყნებულ შენიშვნას სამეფო განძეულობასთან ლევი ლევიცკის დამოკიდებულების შესახებ ნალიმოვზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ლევი ლევიცკი სტოკჰოლმის ბანკირებთან იყო დაკავშირებული და მასზე ყველა ამბობდა, დარბაისელი და წესიერი კაციაო. ლევი ლევიცკის გაქრობიდან ერთი დღის შემდეგ მისი მიმდინარე ანგარიშიდან ოცდაათი ათასი კრონი წაიღეს. ჩეკის ხელმოწერა ყალბი აღმოჩნდა. ამის შესახებ გაზეთებს რომ არ დაეწერათ, დამნაშავეები უსათუოდ მეორე ჩეკის წარდგენისას ჩაცვივდებოდნენ. შემდეგ ლევი ლევიცკის გარშემო ატეხილი ხმაური უცებ შეწყდა, ეტყობოდა, მაღლიდან ზეგავლენის გამო.

ლიგისთვის ლევი ლევიცკის ამბავს მშვიდობიანად არ ჩაუვლია. ახლა ნალიმოვისთვის გასაგები გახდა ლევანტის აღშფოთება და გამცემლობა. ლევანტი მართალი იყო: პაჭეტ ლაშემ ნამდვილად დაკარგა პოლიტიკური აღღო. პეტროგრადთან მომხდარი ამბების შემდეგ ლიგა უზარმაზარ კუსტარულობად იქცა.

დარეკა ტელეფონმა. გაისმა გაბზარული, მთხოვარა ხმა:

— ტელეფონთანაა ლილი... ჩემი ნახვა გნებავდათ, მოსიე?

ნალიმოვმა სთხოვა დაუყოვნებლივ მოსულიყო სასტუმროში. ვინ ელაპარაკებოდა, არ უთქვამს.

— კარგი, მოვალ... ავტომობილის ფულს თქვენ გადაიხდით ქალიშვილი მთლად წასულაყო ხელიდან... ნალიმოვმა გაზეთს თავი მიანება და დარეკა, საუბრე შემომიტანეთ ორი კაცისთვისო. რამდენიმე წუთის შემდეგ კარზე ფხაკუნნი გაისმა და შემოვიდა ლილი. მოკლე მუხლებამდე წვდებოდა, ფეხები გაწლიკული ჰქონდა. იაფფასიანი ღია ფერის შლაპის ქვეშ მშფოთვარე თვალები, წაწვეტებული, პუდრწასმული ცხვირი უჩანდა. ვასილი ალექსეევიჩის დანახვაზე პირი დააღო, შემდეგ ყურებამდე გაეხა:

— არა, არა!..

— ლილკა, ძვირფასო, გამარჯობა. გაიხადე, დაჯექი! ვისაუბროთ.

ნალიმოვმა ლილის ცივ ლოყაზე აკოცა. ქალს პუდრქვეშ ნაოჭები აჩნდა. მან ხელები დაუშვა და ასე, ფეხზე მდგარი ატირდა.

— აბა რა მოგდის, სულელო, შეწყვიტე...

ნალიმოვმა პალტო გააძრო, შლაპა მოხადა. უსიყვარულოდ და უზრუნველად ჩაცმულ შალის კაბაში ლილის ეტყობოდა, რა გამხდარი იყო. ნალიმოვმა სავარძელში ჩასვა, კეფაზე აკოცა:

— მოჰყევი, რა ხდება.

— ვასია, შენ აქ მოგკლავენ... აჰ, შენ არაფერი არ იცი: ეს ჯოჯოხეთური საშინელებაა...

— მოიცა, რას შვრება ვერა, სადაა?

— იქვეა, აგარაკზე... მე ბალ სტანესში აღარ ვცხოვრობ. აქ ვქირაობ ოთახს და თვითონ ვიხდი ქირას, მე ამას მივალწიე... აი, მარის კი, გესმის, ბედნიერება ხვდა! ჰიპს-ჰოპსის ერთ-ერთ წევრს, რიჩარდს შეუყვარდა და პოლონეთში წაიყვანა. მარიმ ჩინებულად იცის პოლონური ენა, ძალიან მუსიკალურია და მათ საგველზე დაკვრა ასწავლეს... მაგრამ რა ამბები დატრიალდა! ლაშეს გაშვება არ უნდოდა. ჰიპს-ჰოპსელებმა ინგლისელთა მისიაში იჩივლეს. მხოლოდ ასე დააღწია მარიმ თავი... მე კი, ვასია, მთლად... (თავი მუხლებში ჩარგო, ბავშვივით გააბა ტირილი.) ახლავე შეეწყვეტ. (თვალები სუფრის წვერით ამოიწმინდა.) ვერა ძალიან ავად იყო. ტვინის რაღაც სჭირდა, რომ ვითხრან, თეთრი ცხელება აქვსო, სიცრუე იქნება... მას, რა თქმა უნდა, სიკვდილი ერჩია... (ლილიმ კარს გახედა, მთელი სახე აუცახცახდა.) ხალხს მისი თანდასწრებით კლავდნენ, გესმის?..

— ჩვენ პირდაპირ პოლიციის უფროსთან წავალთ.

— ღმერთო ჩემო! (ლილიმ ლოყებზე იტაცა ხელები.) გაგიყდი! იმისთვის წავიდე, რომ ბალ სტანესში წამიყვანონ, მაწამონ და ყელი გამომჭრან! პოლიცია მაშინვე აცნობებს ლაშეს. ლაშე კი მათ დაუმტკიცებს, თითქოს ჩვენ ბოლშევიკები ვართ... და დავიღუპებით... პოლიცია კიდევაც უკმაყოფილოა, რომ ლიგა ცუდად მუშაობს. მე ერთი საყვარელი მყავს, რა თქმა უნდა, ვიცი, ჯამუშია, ლიგამ მომიგზავნა თვალყურის სადევნებლად... ის მიამბობდა: პოლიციის უფროსი ლაშეს და გენერალ გისერს უყვიროდა, თქვენ უფრო თქვენს ჯიბეზე ფიქრობთ, ვიდრე ბოლშევიკებზე, პირდაპირ თაღლითები ხართ და არა პოლიტიკური მებრძოლნი, სტოკჰოლმში აუარებელი ბოლშევიკიაო. ამიტომ ლიგა ახლა თურმე დიდ მკვლელობას ამზადებს... პოლიციაში ლიგის შესახებ განცხადება ფიქრადაც არ გაივლო! მე ხომ შენი თანდასწრებით დავდევი ფიცი, მერედა იცი, რა მოჰყვება ფიცის დარღვევას?

— კარგი. მარტო წავალ. მაგრამ შენ მოწმედ უნდა დაგასახულო...
 — არა, არა, არა... მე არაფერი ვიცი.
 ლილიმ შლაპას სტაცა ხელი. ნალიმოვმა ძლივს დაიყოლია, სასაუბროდ დარჩენილიყო, მაგრამ როგორც კი დაუეინებდა, პოლიციაში წაგვიდნენო, ლილი-
 კა ჩანგალს ხელს უშვებდა და ტირილს იწყებდა.

ბისტრემმა დარეკა. კარი არდაშევმა გაუღო, ხელები ასწია:
 — ჯმერთო! რა ქარმა გადმოგაგდო! გამხდარი, საშინელი, ჩამოტყაული!
 ნუთუ პეტროგრადიდან მოდიხარ?
 ბისტრემი პატარა წინა ოთახში შემოძვრა, სახე ღიმილით ჰქონდა გაბად-
 რული. მან ტალახისგან დამძიმებული დაკერებული პალტო გაიხადა, დაახვია
 და კეპთან ერთად კუთხეში დადო გაპრიალეზულ იატაკზე.
 — ნიკოლაი პეტროვიჩ, თქვენთან პირდაპირ მატარებლიდან მოვედი.
 გესმით, აუცილებლად წესიერად უნდა ჩავიცვა... თვით საზღვრიდან მადევ-
 ნებენ თვალს. ნიკოლაი პეტროვიჩ, რას შვრება დედა?
 — კარგადაა, ყველაფერი შესანიშნავადაა...
 — ასეთნაირად შინ მისვლას ვერ გავბედავ... მთავარია პალტო, წაღები
 და ქუდი...
 — ეს სულ უბრალო რამაა, მალაზიები ჯერ კიდევ არაა დაკეტილი... წამ-
 ში მოვირბენ... ჭამა გინდათ?
 — საშინლად.
 — ერთ საათში სადილი იქნება. ეს ჩვრები ხომ არ დაეწვიათ?
 — დიახ, მგონი... პირობას ვერ მოგცემთ, რომ მწერები...
 — კოსტიუმსაც ვიყიდი და საცვლებსაც. ზომა, რა თქმა უნდა, ყველაზე
 დიდი, არა?..
 — დიახ, დიახ, ყველაზე დიდი... (ბისტრემმა უეცრად მაგრად მოჰკიდა ხე-
 ლები ხელებზე.) ასეც ვფიქრობდი, თქვენ კარგი ადამიანი ხართ.
 — სისულელეა, სისულელე... თქვენ ის მომიყვებით, რა ხდება რუსეთში?
 ვუყაყუნებთ თუ არა ინტერვენტებს ცხვირ-პირში? მე ყოველთვის ვამბობდი:
 გაიღვიძებს, ეშმაკმა დალახვროს, რუსი დევგმირი-მეთქი... რუსეთი ავსტრია-
 უნგრეთი როდია! ის ქვეყანა თიხის ქოთანით დაიფშვნა, ჩვენ კი, დალახვ-
 როს ღმერთმა მაგათი თავი, ევროპას ვუჩვენებთ, ევრაზიელები რანიცა ვართ!
 — პროცესი გაცილებით რთულია, ნიკოლაი პეტროვიჩ. მე ვერ ვიტყო-
 დი, რომ ნაციონალიზმი...
 — კეთილი... შემდეგ მომიყვებით... გავრბივარ...
 არდაშევმა სწრაფად ჩაიცვა, კარი გაიჭახუნა და ხალისიანი ბაკუნით და-
 ეშვა კიბეზე. ბისტრემს გაუპარსავ ქარდაკრულ სახეზე ღიმილი მოსცილდა,
 ზომით მისთვის შეუფერებელი პატარა სათვალე გაისწორა, მკაცრად მიმოიხე-
 და, შევიდა კაბინეტში და ცეცხლშენთებულ ლუმელთან დაჯდა, ფეხი ფეხზე
 გადაიდო, იდაყვი მუხლზე დაიყრდნო, ხოლო გაძვალტყავებული ნიკაპი —
 ხელისგულზე.
 ბისტრემი კურიერად გამოგზავნეს პეტროგრადიდან და სამი დღის წინათ
 გადმოვიდა ფინეთის საზღვარზე. სამი დამე არ უძინია. ეშინოდა კონტრმზვერ-

აღიბს არ დაეჭირათ, რომლებიც მთელ ფინეთში დასუნსულუბდნენ. მას ჯერ პეტროგრადიდან პულკოვოსთან მიღებული კონტუზიის ავადმყოფური შეგრძნებები და და შიმშილისაგან თავი უბრუნოდ დასვენებულ არაფერი. ბისტრემი ახლა სხვა თვალთ უცქეროდა მის მიერ სექტემბერში დატოვებულ ამ სამყაროს. შვეციამ სისუფთავით, წესრიგით, კმაყოფილებით განაცვიფრა. ქვეყანას ჯერ კიდევ არ დაეხარჯა მსოფლიო ომის დროს ნარგუნევი სიმდიდრე. ბისტრემი აცქერდებოდა კობტად ჩაცმულ ლოყაწითელ მოქალაქეთა სახეებს, ვაგონ-რესტორნის ფანჯარაში ხედავდა, როგორ ჭამდნენ, სვამდნენ, აბოლუბდნენ ისინი, უღარდელნი და თავაზიანნი, და თავი ვერაფრით ვერ დააღწია იმის შეგრძნებას, რომ ეს ბრწყინვალე სამყარო მისგან თითქოსდა უხილავი ცხაურით იყო გამოთიშული.

პეტროგრადიდან წამოსვლის წინ დაავალეს, ევროპულ პრესაში წერილები დაებეჭდა, რათა ყვითელი პრესისთვის შესაძლებლობისამებრ ფრთები შეეკვეცა. მაშინ მთელი მგზნებარებით იტვირთა დავალება, ახლა კი გახურებულ ღუმელთან გულდამძიმებული ფიქრობდა, ამხანაგების ნდობის მთლიანად გამართლება გამიჭირდებაო; საჭირო იყო უზღვავე ენერჯია, ყოველი ძალის განახლება, მას კი თვალები ებლიტებოდა და ხარბად ფიქრობდა არდაშევის სადილზე. ნერვები უეჭველად ძლიერ ჰქონდა აწეწილი...

წინა ოთახში ზარი რაწყუნებდა. ბისტრემმა სახეზე ხელისგული გადაისვა, გამოცოცხლდა, სადარბაზო კარი გააღო. შემოვიდა ტანმორჩილი, ლამაზი, არასასიამოვნო კაცი. მუქი პატარა უღვაში და პატარა წამახული წვერი ჰქონდა. მან მელოტი თავიდან ქვაბქუდა მოიძრო და იკითხა:

- ნიკოლაი პეტროვიჩი შინაა?
- არა, — პირქუშად მიუგო ბისტრემმა.
- შემიძლია აქ დავუცადო?
- არ ვიცი, მე აქაური არა ვარ.

კაცმა სწრაფად და ყურადღებით შეათვალიერა ბისტრემი და უსიამოდ, ნახევრად გამოაჩინა მეჩხერი კბილები:

— მომიტევეთ, თქვენ, მგონი, ბისტრემი ხართ, არა? ჩვენ ერთხელ შევხვდით ერთმანეთს. (ბისტრემმა არ უპასუხა.) კარგი. მე დავურეკავ ნიკოლაი პეტროვიჩს. თუ შეიძლება გადაეცით, იზვოლსკიმ შემოიარა-თქო...

კაცმა ნიკაპი ქედმაღლურად ასწია და გავიდა. ბისტრემი ერთხანს მოჯახუნებულ კარს უცქეროდა, თითქოს შხამიან უნასს შეეხლო... „ჩანდაბამდისაც გზა ჰქონია“, — გაიფიქრა, კაბინეტში დაბრუნდა და ისევ ბუხართან დაჯდა. ძილმა გაუარა, მაგრამ ზიზღის გრძნობა არ განშორებია. ცეცხლის პირას ვეება წითელ ხელებს ისრესდა... „სისულელეა, სისულელე, ნერვიულობა საჭირო არაა...“

დაბრუნდა არდაშევი, მხიარული და აქოშინებული, შეხვეულებით და მუყაოს კოლოფებით დატვირთული.

— ბისტრემ, შედით სააბაზანეში, ცხელი შხაპი მიიღეთ, გაიპარსეთ... უელსის უფლისწულივით გამოეწყობით... გესმით, აქ შესანიშნავი პირობებია — გაიხსნა ახალი ამერიკული მაღაზია, სულო და გულო, რა გინდა, ყველაფერია მაშაკაცებისთვის, საკინძებით დაწყებული ავტომობილით გათავებული... ჩიბუხი და თამბაქოც კი გიყიდეთ... დიახ, ძვირფასო, ცუდია, ცუდი ბურჟუაზი-

ული კულტურა, სამაგიეროდ მათ პირობების შექმნა შეუძლიათ... ფლანელი...
პერანგები ვიყიდე, სწორად მოვიქეცი?

დაბანილი, გაპარსული, სულ ახლებით შემოსილი ბისტრემი, სასადლო
მაგიდას მიუჯდა. არდაშევი ისევ ფუსფუსებდა, სახურავებს ხდიდა რბივარ-
აღენილ ლანგრებს: ბისტრემი

— ჭამეთ, ჭამეთ, ძვირფასო! ყველა-ყველა და, საქმელი ჩვენთან, შევციაში
კარგია. აი, ეს სოსისია! ხოლო ეს ლაბარდანია, რომელ არს ახალი ვირთევ-
ზა, — თევზის უნახავს გაგზდის. გამდნარი ერბო უხდება...

არდაშევი მეგობარს კერძებს უღებდა, მასპინძლობდა გულწრფელად,
მხურვალედ და იმავე დროს თითქოს რალაციის გამო უბოდიშებდა.

— აი, ახლა კი მომიყევით პლანეტა მარსზე თქვენი მოგზაურობის ამ-
ბავი...

ბისტრემს წელან, როცა ღუმელთან ხელისგულებს ისრესდა, პეტროგრა-
დის შესახებ სიტყვას ვერ ამოგლეჯდი პირიდან, ახლა კი, გულაჩუყებულმა და
მაძღარმა, ნდობით დაიწყო თავისი მოგზაურობის ამბის მოყოლა. არდაშევი
მაშინვე შეუდგა სუფრაზე პურის ნამცეცების დასორსოლებას. თავს უქნევდა
ბისტრემს, კვერს უკრავდა, მაგრამ სახეში არ უცქეროდა.

— გესმით, არდაშევი, მე იქ გავიგე ერთი რამ, მთავარი, ძირითადი, რომ
დუიზიკური გაჭირვება მეორე პლანზე გადადის... რომელ მეორე პლანზე...
'მიმშილს და სიცივეს, სუფთა ტანსაცმლის და საპონის უქონლობას...
მიანი სხვანაირად იტანს იმ შემთხვევაში, თუ მისი სული დიადი იდეებით
ფრთაშესხმული... ამ იდეებისათვის ბრძოლით... დიახ, დიახ, ისინი, მხოლოდ
ისინი წარმართავენ ჩვენს ცხოვრებას. და მაშინ ცხოვრება სისხლსავსეა, მი-
ზანშეწონილი, მშვენიერი.. აქ ნაკლებ იციან და ნაკლებ ესმით, რას ნიშნავს
ადამიანისათვის ზნეობრივი სიმაღლე.

— და თქვენ ეს იქ ნახეთ და გაიგეთ? — წყნარად ჰკითხა არდაშევმა.

— დიახ... თქვენ რომ.. მე პირადად თქვენზე როდი ვლაპარაკობ, მაგრამ
ამ თქვენი სამყაროს კაცი ძრწოლით გახტებოდა განზე რევოლუციის გარე-
განი სახის ხილვაზე. მისი გარეგანი სახე მიმზიდველი არაა... ბაწრებშემოკ-
რული დასველებული თექის ჩექმები, გაცვეთილი უბადრუკი პალტო, ჭამარშე-
მოჭერილი ცარიელი მუცელი, თვალები კი ადამიანური! (უცებ ბისტრემს თვა-
ლები დაენამა და მოჭუტა, რომ ეს დაემალა...) როცა იქითა მხარეს გადააბი-
ჯებ, როცა შენ, როგორც ამხანაგს, ისე გავრევენ იმ დიდ საქმეში, მაშინ გაი-
გებ, რა არის ადამიანი... ო, ეს შესანიშნავი ცხოველია... ეს დიდი არსებაა...
ადამიანი იბრძვის და კვდება სხვისი ბედნიერებისათვის! ამ ბრძოლაში კი
თავისთვის ითხოვს მხოლოდ ორას გრამ პურს... და უნდა გითხრათ, არდაშევი,
რომ ძალიან შემოიყვარდა რუსები... ესენი არიან ადამიანები, რომელთაც შე-
უძლიათ უდიდესი საქმეები აკეთონ, ესენი ძალიან ამტანები არიან...

არდაშევი პურის სორსლებს უყურებდა, მოულოდნელად ქსიტინი აუ-
ვარდა:

— მაშ, მაშ, მაშ, უზომოდ მინდა თქვენი მჯეროდეს, ბისტრემ... თქვენ
ამაზე უნდა დაწეროთ...

— ნიკოლაი პეტროვიჩ, სწორედ ამის შესახებ მინდა თქვენთან საუ-
ბარი...

— ჩინებულია, ჩინებული... ზვალ ერთ კაცთან, აჭაური უნივერსიტეტის

სლავურ ენათა პროფესორთან წავიდეთ... პუშკინის მთარგმნელრა... იგი განსაკუთრებით გაგიგებთ, ასე მგონია... ხვალ ასევე სასაუზმოდ მოდით და წავიდეთ...

ბისტრემს საუბარში სულ დაავიწყდა ეთქვა, არასასიამოვნო პეტრუნი გესტუმრა, გვარად იზვოლსკიო. არდაშევს სთხოვა, ტელეფონით გაეფრთხილებინა დედა, ახალი პალტო ჩაიცვა, დაიხურა ქუდი, მოულოდნელად მხურვალედ ჩამოართვა არდაშევს ხელი და შინ წავიდა დარწმუნებული, რომ არავის ყურადღებას არ მიიქცევდა.

დილით ბისტრემი დანიშნულ დროს მოვიდა არდაშევთან. კარი ალერსიანმა ხანდაზმულმა ქალმა გაუღო და უთხრა, ნიკოლაი პეტროვიჩი სადღაც წავიდა და სადაცაა უნდა დაბრუნდეს, საუზმე უკვე მზადააო.

ბისტრემი, გუშინდელის არ იყო, კაბინეტში ღუმელთან დაჯდა. ოთახის პარკეტი გასანთლული იყო, კარადებში ჩაწყობილ წიგნებს ყუაზე ნათელი, ლურჯი და მწვანე ტვიფრები ჰქონდა. კედლებზე ძვირფასი ესტამპები ეკიდა, გაკრიალებული ფანჯრების მიღმა ნისლი იდგა, ჩამოჰკრა პირველმა საათმა. ალერსიანმა ქალმა კარი გამოაღო, კედლის საათს შეხედა:

— ო, ღმერთო ჩემო, ორის ორი წუთია! ალბათ რაღაც საგანგებო ამბავმა შეაყოვნა ბატონი არდაშევი. იგი ერთობ პუნქტუალური გახლავთ.

ბისტრემს საკმაოდ ჰქონდა საფიქრალი. იგი მშვიდად იჯდა, როცა საათმა ორის ნახევარი და ორი დარეკა. მნე ქალი საათის ყოველ ჩამორეკვაზე ხელისგულებს მლოცველივით იწყობდა და ბოდის იხდიდა. მას ყველაზე უფრო ის აკვირებდა, რომ არდაშევი ტელეფონით არ რეკავდა. როცა საათმა სამი ჩამორეკა, ბისტრემსაც ეს ყველაფერი უკვე საკმაოდ უცნაურად ეჩვენა. შინ დარეკა და დედას ჰკითხა, ჩემს სახელზე წერილი ხომ არაა ან ვინმეს ხომ არ დაურეკავსო.

თურმე შიკრიკი მოსულიყო, არდაშევის წერილი დაეტოვებინა, მაგრამ წერილი რუსულად ყოფილიყო ნაწერი და დედას ვერ წაეკითხა. წერილის გარდა, არდაშევს ორჯერ დაერეკა...

ნუთუ ნიკოლაი პეტროვიჩს საუზმე დაავიწყდა? მნე ქალმა აღშფოთებით გააქნია თავი: „ბატონმა არდაშევმა ჯერ კიდევ დილით შემახსენა, ორი კაცი-თვის გააწყვე საუზმეო, და შამპანურის ყიდვა მიბრძანა...“ — „უცნაურია!“ ბისტრემი შინ წავიდა, წერილი მართლაც არდაშევისა იყო:

„პატივცემულო ბისტრემ, დაუყოვნებლივ მოდით რესტორან „კაჭკაჭში“. ცენტრიდან ცოტათი შორსაა, მაგრამ აქ ბრწყინვალე საკმელები აქვთ. წამოდით თერთმეტი ნომერი ტრამვაით. მე მარტო ვარ, მოწყენილი. წავიმასლაათოთ. გელოდებით. თქვენი ნიკოლაი არდაშევი“. არდაშევი ორივე ტელეფონოგრამაში ასევე „კაჭკაჭში“ მისვლას სთხოვდა ბისტრემს...

ბისტრემი მაგიდას მიუჯდა, წერილი წინ დაიდო, წაიკითხა. სათვალე მოიხსნა, ახლა უსათვალოდ წაიკითხა... ისე გაუგებარი იყო ყველაფერი, ზიზღს ჰგვრიდა... წამოხტა, ტელეფონების წიგნში რესტორანის „კაჭკაჭი“ მოძებნა. დარეკა და ვილაც ნასვამს დაწვრილებით აუწერა არდაშევის გარეგნობა. იმან

მიუგო: დიდ ბოდიშს გიხდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ბატონი ჩვენთან დღეს არ ყოფილა...

ბისტრემმა არდაშევის სახლში დარეკა. აღელვებულმა მწე ქალმა უპასუხა:



— არა, არა, ჯერ არ დაბრუნებულა.

რა უნდა ეფიქრა? განსაკუთრებით უცნაური ჩანდა წერილის ერთი წინადადება: „მარტო ვარ, მოწყენილი, წავიმასლაათოთ“.. თითქოს გუშინ არ ესაუბროთ. გუშინდელის შემდეგ ამის დაწერა შეუძლებელია. თანაც: „პატივცემულო“!... გაუგებარია...

ბისტრემმა მაგიდაში არდაშევის ერთ-ერთი პატარა ბარათი იპოვა, ახლანდელ წერილს შეუდარა: ასობი ორივეგან მრგვალი იყო, სუფთად გამოყვანილი, წერილში უფრო მტკიცედ ნაწერი, ვიდრე ბარათში... იქნებ მისტიფიკაციაა, დაცინვა? თავმოყვარეობაშელახულმა ბისტრემმა ისევ დარეკა არდაშევიდან. მწე ქალმა თითქოსდა აღშფოთებითაც კი უპასუხა: „არაა, შინ არაა“. ბისტრემი გაბრაზდა: „ეს მდიდარი უსაქმურის უზრდელობაა!“ მაგიდას მიუჯდა, რათა „მკვახე პასუხი“ დაეწერა: მაგრამ კალამი დააგდო: „ჩანდაბას მაგის თავი, მიმიფურთხებია, საქმე ბოლოს და ბოლოს თავმოყვარეობაზე უფრო მნიშვნელოვანია“.

ბისტრემმა გადაწყვიტა, ეს დღე დედასთან ყოფილიყო. დედა ძალიან რომ არ დაეფრთხო, შერბილებულად მოუყვა პეტროგრადში მოგზაურობის ამბავი. ფრუ ბისტრემი ნაკლებ ერკვეოდა პოლიტიკაში, შვილის ნაამბობიდან ის გაიგო, რომ მან წერილებისთვის დიდი მასალა ჩამოიტანა და შეიძლებოდა ცოტაოდენ გამოესწორებინათ მატერიალური მდგომარეობა. რვა საათზე ბისტრემმა დედა კინემატოგრაფში წაიყვანა. შინ თერთმეტის ნახევარზე დაბრუნდნენ. შემოსასვლელში ბისტრემმა გეზად გახედა ტელეფონს და კიდევ ერთხელ დაურეკა არდაშევს. ამჯერად ტელეფონთან არავინ მოსულა. ეს ყველაფერი მაინც უაღრესად გაუგებარი იყო. დედა-შვილმა უბრალოდ ივანშმა პატარა სამზარეულოში. ბისტრემმა ჩიბუხი გააბოლა, კინემატოგრაფით გულაჩუყებულმა დედამ თავზე აკოცა და უთხრა:

— შენ თავმდაბალი, პატიოსანი ბიჭი მყავხარ. ყოველ საღამოს მამაზე-ციერს მადლობას ვწირავ, რომ ღვინო არ შეგიყვარდა. ღმერთი დაგეხმარება, ოდესმე ფეხზე დადგე.

— ნუ წუხხარ, დედა, მე მაგრად ვდგავარ ფეხზე.

ბისტრემი თავის ოთახში — ოდესღაც საბავშვო ოთახში, ახლა კი წიგნის ააროებით გაჭედნილ სამუშაო კაბინეტში — შევიდა და ტყავის დივანზე ლოგინის გაშლას შეუდგა. დივანი ერთობ მოკლე იყო და იძულებული გახდა მისთვის სავარძელი მიედგა ფეხების დასაწყობად. აჭიმები უკვე მოიძრო, როცა საწერი მაგიდის ქვეშ პატარა ნოხზე თავისი ხელნაწერებიანი საქალაქე დაინახა. ჩინებულად ახსოვდა, რომ წელან საქალაქე მაგიდის უჯრაში ჩადო. ახლა მისი ზონრები გახსნილი იყო და თვალდათვალ ჩანდა, რომ ხელნაწერების ნახევარი აკლდა. ბისტრემმა აჩქარებით გამოსწია მაგიდის შუა უჯრა, სადაც პეტროგრადის შენიშვნები და მასალები ეწყო: შენიშვნები და მასალები იქ არ აღმოჩნდა, უჯრაში ყველაფერი არეულ-დარეული იყო. მაგიდაზე საშრობის ქვეშ აღარც არდაშევის წერილი იდო.

ბისტრემმა სათვალე გაისწორა. ის იყო კარისკენ დაიძრა, მაგრამ მობ-

რუნდა... რისთვის შეეშინებია დედა?... ცხადია, პოლიციამ გაჩნობა ბონა, სწორედ მაშინ, როცა კინოში იყვნენ... ჰო, რა თქმა უნდა. ბისტრემს ის ქვაბქუდიანი, საყულოაწეული კაციც გაახსენდა, რომელიც მათი სადარბაზოდან ქუჩის მეორე მხარეს სწრაფად გადავიდა.. მაგრამ — საშინელება! — წერილების ყველა მასალა დაიკარგა... ბისტრემმა მთელი არსებით იგრძნო ულმობელი სიძულვილი, მის მწვანელამპიან პატარა ოთახს რომ გარს შემოსდგომოდა. მაგიდის წინ მჯდომმა ხელები დამუშტა, ყბები დაძაგრა.

მოტაცებულ მასალებში ალბათ დაპატიმრების ვერავითარ საბაბს ვერ გამონახავდნენ, მაგრამ სტოკჰოლმიდან გასახლება არ ასცდებოდა. მით უკეთესი... გერმანიაში გასწევდა!! ხვალ არდაშევს დაუყოვნებლივ გამოართმევდა საჭირო წერილებს და ბერლინში წავიდოდა. ბისტრემმა კედლის საათს შეხედა — პირველის ნახევარი იყო. ფეხაკრეფით გაიარა შემოსასვლელი და არდაშევს დაურეკა, დიდხანს არ პასუხობდნენ. შემდეგ გაისმა მნეს ქალის მიკნავეზული, ლამის ტირილგარეული ხმა.

— აჰ, ეს თქვენა ხართ, ბატონო ბისტრემ... გეთაყვა, არ შეგიძლიათ მოხვიდეთ, ძალიან მეშინია...

— რა მოხდა?

— აჰ, მართალი გითხრათ, ძალიან მეშინია ტელეფონით..

მნე ქალი ქათქათა წინსაფრით თვალებს იწმენდდა და ბისტრემს თავის ამბავს უყვებოდა: ზუსტად ათ საათზე ტელეფონზე დარეკეს. უცნობის ხმა იყო; უცნობმა სახელით მომმართა და მითხრა: ფრუ ვენდლია, არდაშევმა ცოტა დალია, ლამის გასათევად სასტუმრო ჰასელბაკენში დარჩა (გარეუბან ჰასელბაკენში) და გთხოვთ, ახლავე მოუტანოთ ლამის პერანგი, ფეხსაცმელი და კბილის ჯაგრისიო. მაშინვე მოვკრიბე ნივთები და ტრამვით წავედი ჰასელბაკენში...

— ო, ბატონო ბისტრემ, ბატონო ბისტრემ, — ფრუ ვენდლიას ტირილმა მთელი სახე მოუქცია. — ბატონი არდაშევი იქ არ დამხვდა. სასტუმროს ჰასელბაკენში არასდროს სმენიათ ბატონი არდაშევის სახელი.

— აჰა. როდისღა დაბრუნდით შინ?..

— დიახ, ბატონო ბისტრემ, როცა შინ დავბრუნდი, მაშინვე მეცა თვალში რომ ეს პატარა ნოხი კართან არასწორად ეგო. ვიფიქრე, ბატონი არდაშევი მოსულა-მეთქი, და დავუძახე... კაბინეტში ორივე ფარდა ჩამომშვებული იყო. მე კი დღეს ისინი არ ჩამომიშვია...

— გასაგებია. საწერი მაგიდის უჯრაც...

შინ მოსულ მნე ქალს მაგიდისა და ბიუროს ყველა უჯრა (არდაშევი ბიუროში ოქროს და ძვირფასეულობას ინახავდა) გატეხილი დახვედრია. იატაკზე ფრუ ვენდლიას ოქროს მონეტა და ბრილიანტის საკინძი ეპოვა. მძარცველებს აგრეთვე ფერად გრავიურებიანი საქალაქი და რამდენიმე წიგნი გაეტაცათ. სამაგიეროდ სასადილოსა და საწოლ ოთახში ხელი არაფრისთვის ეხლოთ, ბუფეტი, სადაც სასადილო ვერცხლეული ეწყო, არც კი გაეღოთ, არც შემოსასვლელში დაკიდებული ძვირფასი თახვის ბეწვის ქურჭი წაეღოთ...

— აქ ფრიად სერიოზული ამბავია, ფრიად სერიოზული, ფრუ ვენდლია... აბა ერთი გაიხსენეთ, ნიკოლაი პეტროვიჩი რა საქმეზე შეიძლებოდა გარეთ გასულიყო ამ დღით?

ფრუ ვენდლია უცებ გამოცოცხლდა:

— ბატონი არდაშევი გუსტავის სასახლეში წავიდა. იქ რუსი ბავშვებისთვის სკოლაა გახსნილი. ო, ახლა გამახსენდა... როცა დილით ტელეფონით საუბრობდა, რუსულად ლაპარაკობდა... და შემდეგ დამიძახა, ^{მე ვენდლია, დღეს ორი კაცისთვის მოამზადე საუზმე}. აჰა, ჩემი თავი, ჩემი საბრალე თავი!... მის გარდა ორი კაცი იქნებოდა საუზმეზე და ორი ბოთლი შამპანური უნდა მომეტანა...

— მაშასადამე, მესამესაც ელოდნენ?

— ასეა, ბატონო ბისტრემ..

— ვის?

— მე მგონი, იმ ბატონს, გუშინ რომ იყო... ვიცანი მისი ხმა, როცა დილით დარეკა, ბატონ არდაშევს ტელეფონთან თხოვეთ.

— ტანმორჩილს, მუქულვაშიანს, იზვოლსკის?

— დიახ, დიახ.

— რაზე ლაპარაკობდნენ მაშინ?

— ბატონმა არდაშევმა კაბინეტში დამიძახა და მითხრა:

„ფრუ ვენდლია, ბატონ იზვოლსკის რუსეთიდან ნათესავი ქალიშვილი ჩამოუვიდა. ჩვენ მას რუსულ სკოლაში ვაწყობთ და კარგად უნდა ჩავაცვათ. სად შეიძლება ვიყიდოთ ბავშვის იაფფასიანი პირველხარისხოვანი ნივთები?“ ვუბასუხე: დიდი სიამოვნებით შევივლი გოგონასთან ერთად ერთ მაღაზიაში-მეთქი. ბატონმა იზვოლსკიმ მითხრა: სამწუხაროდ, გოგონა აუადაა და ქალაქის მოშორებით ცხოვრობს ბალ სტანესში, ნივთების ყიდვა მის გარეშე მოგიწევთო...

— რომელი გზით მივა კაცი ბალ სტანესში?

— ჩრდილოეთის გზით. ავტომობილით ოცი წუთის სავალია.

— ნიკოლაი პეტროვიჩს შეეძლო ევარაუდა, რომ შინიდან ათ საათზე გასული ბალ სტანესში მივიდოდა და საუზმისთვის მობრუნდებოდა?

— ო, სავსებით.

ბისტრემმა პალტოს ჩაცმა დაიწყო.

— ფრუ ვენდლია, — უთხრა მნე ქალს, — ახლავე დაურეკეთ პოლიციას და განუცხადეთ, სახლი გაძარცვეს-თქო. როცა აქ მოვლენ, ყველაფერი გაუმეორეთ, რაც მე მითხარიო...

— შეიძლება დამაბატიმრონ?

— ვფიქრობ, საქმეს სწორედ ამით დაიწყებენ... მაგრამ ნუ გეშინიათ, უთხარიო, აქ ახლახან ჟურნალისტი კარლ ბისტრემი იყო და ძალზე დაინტერესდა ამ საქმემ-თქო. ჩემი ტელეფონის ნომერს დაგიტოვებთ და, თუ რამ ახალი იქნა, უსათუოდ დამირეკეთ.

უეჭველად რაღაც კავშირი არსებობდა ბისტრემის სახლის გაჩხრეკასა და არდაშევის სახლის გაძარცვას შორის. ასე დაასკვნა ბისტრემმა თავდაპირველად, როცა ღამეულ ნისლში მიაბიჯებდა. თავის სახლს რომ მიატანა, შეჩერდა,

ვიღაცას დააცქერდა: სადარბაზოს წინ ფარნის ქვეშ საყელოაწეული კაცი იდგა და ისიც აცქერდებოდა. ბისტრემმა სწრაფად მოიხსნა სათვალე, ცხვირსახოცი აიფარა სახეზე და უცნობს ჩაუარა, ქვევით დაუყვა უკაცრიელ ქუჩას.

ფარნებთან ნისლი იბოლქვებოდა. ბისტრემს მოყინულ ასფალტზე ლან-

ჩები უცურდებოდა. უცნობი ერთხანს უკან მიჰყვებოდა, შემდეგ ჩამორჩა. კოშკზე ვეება მთვარესავით ეკიდა საათის მანათობელი ღიხვი, ბისტრემმა გაარჩია, რომ სამის თხუთმეტი წუთი იყო. ღამე სადღაც უნდა გაეთია... გაახსენდა ნავსადგურის პატარა სამიკიტნო, რომელიც მთელი ღამე იკეთებოდა, და ძველი კუნძულისკენ გაუხვია.

ბისტრემი სამიკიტნო „ღამის ცვლის“ წინა ოთახში, სადაც თუთიის დახლი იდგა, დანებით დასერილ მაგიდას მიუჯდა და შავი ყავა მოითხოვა. მაგიდის მეორე ბოლოში შავპალტოიანი და პლუშისშლაპიანი კაცი თვლემდა, ლოყით ხელს დაყრდნობოდა. სიღრმეში დაბალ თაღსა და ქვის რამდენიმე საფეხურს გაივლიდი და იმ ადგილას მოხვდებოდი, სადაც შეხედვა პოლიციას მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა. იქ მეზღვაურული სიმღერები, კამათლების ჩხაკუნი, მთვრალეების ლაპარაკი ისმოდა. დროდადრო ლაპარაკი ნოემბრის ქარიშხალივით ძლიერდებოდა; ამ დროს თუთიის დახლის მიღმა მყოფი მხარბეჭიანი მიკიტანი თაღისკენ შეაბრუნებდა დაბღვერილ სახეს, რომელსაც დედამიწის ყველა განედზე ათასგვარი თავგადასავალი ენახა. იქით, სამიკიტნოს სიღრმეში, და იქიდან, დახლისკენ, ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე მიდი-მოდიოდნენ მძიმე-მძიმედ მიმავალი მეზღვაურები, ელეგანტური ქურდები, მიტკალივით გაფითრებული ოპიუმის მწვევლები, ბინძური მორფინისტები, მოთენთილი ეროტომანები, ეთერს რომ ყნოსავენ, სახეშეშუპებული ლოთები, გუგებგაყინული და უცნაურ ხილვებს მოწყურებული მომხმარებელნი პაშიშისა. გარეთ, გასასვლელი კარის მახლობლად, პატარა მაგიდასთან პოლიციელი თვლემდა. პოლიციელს მხოლოდ მაშინ ახსენდებოდა თავისი მოვალეობა, როცა დანით გაკეთებულ პატარა ხვრელიდან ამოფრინდებოდა ვინმეს სასოწარკვეთილი სული, რომელსაც ჯერ კიდევ არ ეგემნა ყველა სიამოვნება.

ბისტრემი ფიქრობდა. ყველაზე ჰკვიანური იქნებოდა ხვალვე დილის მატარებლით ბერლინში გაქცეულიყო, მაგრამ კეთილგონიერება მისი ყველაზე ნაკლებად განვითარებული რეფლექსი გახლდათ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ ამბავმა პროფესიული თვალსაზრისითაც შეაკავა — იგი აქ ეურნალისტის ალლოთი საბეირო ამბავს გრძნობდა. თუ პოლიტიკურ პროცესსაც შექმნიდა, მთელ ევროპაში უკეთეს რუპორს ვერ ინატრებდა.

სამიკიტნოს სიღრმიდან შავპალტოიან მთვლემარე კაცთან ქალი მივიდა და მათ ჩურჩულით დაიწყეს ლაპარაკი. ქალი მთვრალი იყო, ტიროდა. კაცს ამღვრეული თვალები და შელახული სახე ჰქონდა, ცდილობდა რაღაც ეთქმევინებინა ქალისთვის; ქალი წითელ შლაპას არხევდა და მაგიდაზე ცარიელ ჭიქას ამოძრავებდა. ბისტრემის ყურამდე რამდენიმე ფრაზამ მოაღწია და გაყურადდა. ქალი და კაცი რუსულად ლაპარაკობდნენ:

— მოეშვი სისულელეებს, თქვი, რა მოხდა?

ქალი უარზე იყო. კაცი რაღაცას უყინებდა. ქალმა ცხვირში დაიქსიტინა და უთხრა:

— მესამე მოიყვანეს.

— როდის?

— თერთმეტ საათზე, ამ დილით...

— ვინ?

— იგი ისე მომწონდა, ისე ვოცნებობდი გამეცნო... განა შენთვის სულ ერთი არ არის, ვინაა?... მე დილის ცხრა საათზე აგარაკზე წავედი ჩემი კაბების

წამოსაღებად... ვაგზლიდან მივდივარ... ისინი კი ავტომობილით მიქრიან. მე ტყეში შევვარდი და უკან სადგურისკენ გამოვქანდი.. მას რომ გზაზე დავენახე, დილამდე არ მაცოცხლებდა...

— ვის, პაჭეტ ლაშეს?

ბისტრემს თითქოსდა ბისტი მოსცილდა თვალთაგან — გამწამსვე ვაიხსენა, სესტრორეცკთან ღამით დაკითხვის დროს რომ განსაკუთრებულად ეკითხებოდნენ პაჭეტ ლაშეს შესახებ.

ქალი აცაბაცა წასულ თვალის გუგებს არ აშორებდა კაცს. უცებ ხელზე ზელი სტაცა მას:

— წყნარად! სულელი ხარ, სულელი!.. (ქალი შეიხრა და შიგ ყურში უთხრა:) ავტომობილში ორნი იყვნენ: ეს სიმპათიური კაცი და არამზადა იზვოლსკი... იქ, ეშმაკმა არ იცის, რას უშვრებიან...

კაცმა ქალი შეანჯღრია:

— ლილკა, მისმინე, კიდევ ერთხელ გიმეორებ, გვარი მითხარი.

— დამეხსენი! მართლა რომ სულელი ხარ... ვთქვი, მეშინია-მეთქი, მაშასადამე, მეშინია... სულ ერთია, ახლა უკვე ოპიუმს ვეწევი... ჯანდაბას თქვენი თავი, თუნდაც ყველას ერთმანეთისთვის ყელი გამოგიღადრავთ. ჩემი თავიც ჯანდაბას იყოს. აი, რა..

ქალი ტორტმანით წამოდგა. კაცი ცდილობდა შეეჩერებინა. ქალმა მთელი ძალით გამოგლიჯა ხელი (მიკიტანმა დახლს იქით მუქარით ჩაახველა). ქალი შიშნეულად მიაჩერდა მას და კვლავ თანამოსაუბრეს მიმართა:

— პო, კარგი, მალე მოვალ, დამელოდე.

ქალი თალის ქვემოთ ჩავიდა, პლუშის შლაპიანი კაცი დაბნეულად სრესდა მოუწეველ პაპიროსს. ბისტრემი კაცს მანამდე უცქეროდა, სანამ მან თვალეები არ ასწია.

— შეიძლება რამდენიმე კითხვა დაგისვათ? — ჰკითხა ბისტრემმა კაცს და მაშინვე გვერდით მიუჯდა. — მე ჟურნალისტი ვარ. უნებლიეთ მოვისმინე თქვენი საუბარი და, როგორც მივხვდი, ამ ქალიშვილმა დილის თერთმეტ საათზე სადღაც ქალაქგარეთ ავტომობილში ჩემი მეგობარი არდაშევი ნახა, ვინმე იზვოლსკისთან ერთად. არდაშევი აქამდე შინ არ დაბრუნებულა. ათსა და თორმეტ საათს შუა ბინა გაუძარცვეს და ვშიშობ, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. იქნებ რაიმე გამაგებინოთ ყოველივე ამის შესახებ?

ნალიმოვმა პლუშის შლაპა გაისწორა, შემდეგ მთელი სხეულით შემობრუნდა ბისტრემისკენ. მისი სახე (ოდნავ რბილი ცხვირითა და პირთან გაჩენილი ღრმა ნაოჭებითურთ), შორიდან რომ მრავალმეტყველიც კი ჩანდა, ახლოდან პირდაპირ უბადრუკი იყო. ეტყობოდა, თვითონ ნალიმოვსაც არ ჰქონდა სურვილი ეს გარემოება დაემალა. ნალიმოვი წამოდგა, პალტო გადაიკალთა და ბისტრემს უთხრა:

— წავიდეთ...

ისინი უკაცრიელ სანაპიროს გაჰყვნენ. ქვემოთ ნელა ტყლაშუნებდა შავი წყალი... შუქურათა სინათლეები ნისლს ებრძოდნენ. ტივტივებზე ხარივით ქშინავდნენ სირენები. ნალიმოვი ბაგირების ხვეულაზე ჩამოჯდა და ხელები სახელოებში შეიყო.

— თუ ძალა შეგწევთ, პოლიციას პრესაში აურზაურის ატეხვით დაემუქროთ,

ჯერ კიდევ შეიძლება თქვენი მეგობრის გადარჩენა. ვცადოთ, არა მგონია, იგი ამ ღამითვე მოქეკლათ, „რუსეთის იმპერიის ხსნის ლიგის“ და ჰაჯეტ ლაშეს შესახებ ვსმენიათ რამე? ლიგა და ჰაჯეტ ლაშე დაქირავებულ მკვლელთა ხროვაა, მაგრამ ბრძოლა მოგვიწევს მათ დაქირავებულებთან, ეს კი ნაკლებად სერიოზული ამბავია. თქვენ შეგიძლიათ მათ მხოლოდ დიდი ევროპული აურზაურით ამოსდოთ ლაგამი. აპირებთ ჩხუბში ჩაბმას?

— დიახ, ახლა შეტადრე.

ნალიმოვმა თითქოსდა შვებით ამოიოხრა. მან ხელები უფრო ღრმად შეიყო სახელოებში და ჰაჯეტ ლაშეს, ლიგის შექმნის, პოლიტიკურ მკვლელობათა ორგანიზაციის ამბების მოყოლა დაიწყო; თქვა, ლევი ლევიცკის ყალბი ჩეკის საქმე მათი ყველაზე მტკივნეული ადგილია, განსაკუთრებით ახლა, როცა ლონდონსა და პარიზში უმადლესი პრლიტიკა დემოკრატიის გეზს იღებს იმ იმედით, რომ მუშათა პარტიისა და სოციალ-დემოკრატების ბელადები უფრო თანამედროვე ხერხებს გამოიხატავენ ბოლშევიკების კისრის მოსაგრებადო...

ბისტრემს ყელში ნისლი გაეხიდა და ჩაახველა, შემდგ იკითხა:

— მაგალითად, რა ხერხებს?

— თუნდაც პოლონეთის ომს... მიუხედავად ამისა, მაინც შეეცდებიან ლაშე იხსნან, რომ ჭუჭყი მზის სინათლეზე არ გამოიტანონ. მაგრამ დიდ აურზაურს კი მოერიდებიან და გასწირავენ.

ბისტრემმა მცირე ხანს იყუჩა და ნალიმოვს უთხრა:

— თქვენ გესმით, ახლა რა დიდ სამსახურს უწევთ ბოლშევიკებს?

— რა ბრძანებაა, — ნალიმოვმა მხრები აიჩეჩა.

— ამ სამსახურისთვის შეიძლება სასტიკად დაისაჯოთ, წინასწარ გაფრთხილებთ.

ნალიმოვმა არაფერი უპასუხა. მისი მჭრქალი ლაქასავით სახე თითქოსდა სიცილმა ააცახცახა.

— მე მინდა მხოლოდ ერთი ადამიანი ვიხსნა, ისევე ზედმეტი, როგორც თავად ვარ, — თქვა ნალიმოვმა. — მაგრამ არ გამომაჩინოთ. ამას თავმდაბლობით კი არა, წმინდა სანიტარული მოსაზრებებით ვამბობ. ისე კი სიამოვნებით, დიდი სიამოვნებითაც კი გავწევ ამ სამსახურს. ეს იქნებოდა მშვენიერი დაგვირგვინება...

ამის შემდეგ ნალიმოვმა უკვე რაღაც სულ უშინაარსო ფრაზების ბურტყუნი დაიწყო. ბისტრემი ბაგირების ხვეულის წინ ჩაცუცქდა და ჩურჩულით თქვა:

— მისმინეთ, მოქმედების გეგმა ასეთი უნდა იყოს, ჩემი აზრით...

ისინი „ღამის ცვლაში“ დაბრუნდნენ და ძლივს გათბნენ არყითა და შავი ყავით: როცა დილაბინდის ბურში პირველი ტრამვაის ზარის რეკვა გაისმა, ბისტრემი და ნალიმოვი პოლიციის მთავარ სამმართველოში წავიდნენ. იძულებულნი გახდნენ დაეცადათ და რვის ნახევარზე პოლიციის უფროსის კაბინეტში შევიდნენ. პოლიციის უფროსი გაზის ბუხრისკენ ზურგმექცეული იჯდა. მის ირგვლივ სულ გაპრიანებული ხე ბრწყინავდა. შემოსულნი თვალემაპრიანებული, სისხლსავსე სახის უღვაშაბზინებული პოლიციის უფროსის წინ დასხდნენ. პოლიციის უფროსი უჩვეულოდ თავაზიანი გახლდათ. ბისტრემმა მოკლედ და ენერგიულად აუხსნა აქ მოსვლის მიზეზი. ჩვენი მეგობარი არდაშევი

მკვლელთა ბრბოს ხელშია, ყოველი წუთი ძვირფასია, ახლავე უნდა გაიგზავნოს პოლიციის რაზმი აგარაკ ბალ სტანესშიო.

პოლიციის უფროსს სახეზე არაფერი გამოუხატავს, ბარდისფერი წარბების ღერიც არ შეხრია, თვალებიც კი არ მობინდვია, როცა ბისტრემმა პაჭეტ ლაშე, ლიგა, კალვესა და ლევი ლევიცკის იდუმალი მკვლელობა განსწავლეს. საკვადოს სახელურებისთვის ხელები ჩაეელო და ილიმებოდა.

— ბატონებო, — პოლიციის უფროსს რიხიანი, ძალუმი ხმა ჰქონდა. — ბატონებო, გულით და სულით მჯერა, რომ ორივენი სრულიად ჯანსაღი და გონებადამჯდარი ხალხი ხართ. თუ აქ რომელიღაც ფარული ლიგებისა და იდუმალი მკვლელობების შესახებ ზღაპრების სათქმელად მობრძანდით, სიამოვნებით გავერთობი თქვენთან ერთად, ოღონდ არასამსახურებრივ დროს...

პოლიციის უფროსმა ოდნავ გადმოხარა ტანი. ბისტრემმა ნალიმოვს შეხედა, ნალიმოვმა მხრები აიჩეჩა. ბისტრემი შეიჭმუხნა.

— თქვენ იცით, რომ სახლი გამიჩხრიკეს და საეურნალო მასალები წაიღეს?

— ოჰო, არა, არ ვიცი...

— ვთქვათ, მაგრამ ია იცით, რომ საბჭოთა კავშირიდან დავბრუნდი, სადაც ევროპის დიდი გაზეთების კორესპონდენტად ვიყავი? არ მეეჭვება, რომ ჩემს დაპატიმრებას ეცდებით (პოლიციის უფროსს სახე უბრწყინავდა.) ამიტომ გაუწყობთ: უკვე დავიწყე საგაზეთო კამპანია, რაღა თქმა უნდა, აქ კი არა, ლონდონსა და პარიზში, ოპოზიციურ პრესაში. მასალები ლიგისა და პაჭეტ ლაშეს შესახებ, აგრეთვე ყველაფერი, რაც სტოკჰოლმში პაჭეტ ლაშეს მოღვაწეობას ეხება, დანიშნულებისამებრათაა გადაცემული. თქვენ, რასაკვირველია, შეტყობილი გაქვთ საერთო პოლიტიკური კურსის ცვლილება ევროპაში. ჩემი დაპატიმრება და ის, რომ ლიგისა და პაჭეტ ლაშეს საქმეები არ უწყით, იმ სასურველ პოლიტიკურ აურზაურად იქცევა, რომელსაც ახლა ოპოზიციური პრესა ეძებს...

— მემუქრებით? — წყნარად დაიძღერა პოლიციის უფროსის ხმამ.

— დიახ, გემუქრებით, და უფრო სერიოზული უსიამოვნებებით, ვიდრე თქვენ — მე...

პოლიციის უფროსმა პირველად შეაბრუნა სახე და ერთხანს ფანჯარაში იყურებოდა. შემდეგ აღერსიანად, ლმობიერად თქვა:

— მომიტევეთ, ბატონებო, მე ცნობებს მოვიძევ.

იგი წამოდგა, — ახოვანი, მუნდირშემოტმასნილი, — და გარეთ გავიდა. ბისტრემმა გაიცინა, სათვალე მოიხსნა და წმენდა დაუწყა. პოლიციის უფროსი ოცი წუთი არ გამოჩენილა. შემდეგ სახეგაციისკროვნებული შემოვიდა, ისევ მკვიდრად დაჯდა.

— მოვიძიე ცნობები. ბატონებო, ეს საქმე მე მომანდეთ. როცა ჩვენს მუშაობაში მოყვარული დეტექტივები ერევიან (ტანი ნალიმოვისკენ გადახარა), ან პრესა მეტიმეტ გულმხურვალეობას იჩენს, წარმოუდგენელი დომხალი იწყება: ქალაქი ბევრი იხარჯება, ხმაური დიდი დგება, საქმე კი ნაკლები კეთდება. შვეციის პოლიციას, ისევე, როგორც ყველა ცივილიზებული ქვეყნის პოლიციას, პოლიტიკა არ აინტერესებს, ჩვენ ხელისუფლების ბრმა იარაღი ვართ. ჩვენ ერთნაირ სტუმართმოყვარეობას ვიჩენთ რუსი მონარქისტების მიმართაც და ბოლშევიკების მიმართაც. მაგრამ თქვენ რომ ჩვენს ტერიტორიაზე

შინაური ანგარიშები უსწოროთ ერთმანეთს, ბატონებო, ამას ვერ შევურიგდებით. ამ ამბებს შინ მოუარეთ... ამბობთ, ლიგამ პოლიტიკას მოგვიდა ხელიო? თუნდაც შავი მაგია იყოს, ეს ლიგის ნებაა, მაგრამ თუ ლიგის რამდენიმე წევრმა კანონი დაარღვია, არხეინად ბრძანდებოდეთ, კანონს მიხედვით არ ასცდებთ... ბატონებო, ენდეთ ჩემს გულწრფელობას, დამიტოვეთ თქვენი ტელეფონები და ორ-სამ საათში ამომწურავ ცნობებს მოგაწვდით არდაშევის შესახებ.

პოლიციის უფროსს ლაპარაკის საღერღელი აშლოდა. პატიოსანმა ბისტრემმა განცვიფრებისგან პირიც კი დააღო.

— იგი თვალთმაქცობს. უფრო ენერგიულად იმოქმედეთ, — რუსულად უთხრა ნალიმოვმა.

ბისტრემმა ბლოკნოტში სწრაფად ჩაწერა რამდენიმე წინადადება, ფურცელი ამოხია და პოლიციის უფროსს გაუწოდა. ეს იყო დებეშა. დებეშა ასე იწყებოდა: „პარიზი, იუმანიტე, რედაქცია. სტოკპოლმში აღმოვაჩინე ტერორისტული ორგანიზაცია...“ და ასე შემდეგ.

პოლიციის უფროსმა დებეშა რომ წაიკითხა, ცხვირი ნეკით ფრთხილად მოიფხანა გვერდიდან.

— რა არის ეს?

— ბრძოლის დასაწყისი, — სათვალე დაკვესა ბისტრემმა. — დებეშა რამდენიმე წუთში პარიზს გაიგზავნება.

— ბატონებო, ვერ გამიგია, კერძოდ რა გინდათ ჩემგან.

— დაუყოვნებლივ გამოგვაყოლეთ აგენტების რაზმი ბალ სტანესის აგარაკის გასაჩხრეკად.

ნალიმოვმა თავაზიანად დაურთო:

— კარგად შეიარაღებული, ბატონო პოლიციის უფროსო.

— იცით, ბატონებო, — პოლიციის უფროსს საყელო ევიწროვა, — ეს მაინც უმაგალითო ამბავია. არ მენდობით. ცდილობთ ჩემი ქმედება წარმართოთ, მემუქრებით...

ბისტრემმა შეაწყვეტინა:

— საბჭოთა საელჩოს შიკრიკი კალვე და ჟურნალისტი ლევი ლევიცი სტოკპოლმის პოლიციის ცხვირწინ აწამეს და მოკლეს. ამ საქმესთან დაკავშირებით გვაქვს საბუთები და გვყავს მოწმეები.

პოლიციის უფროსი პატენტირებული სავარძლის საზურგეზე გადაწვა. სახიდან ლაქი სცილდებოდა. ჩამოდგა სიჩუმე. შემდეგ პოლიციის უფროსი წამოხტა, სავარძელი მიაგდო და გააფთრებით თქვა:

— პოლიტიკას ვუჩვენებ მე წყეულ რუს ემიგრანტებს! (დარეკა.) ბატონებო, მოემზადეთ. მე თქვენ გაგაყოლებთ ექვს პოლიციელს და დეტექტივს.

შემოდგომის დაბოლოებული ღრუბლების ქვეშ ბალ სტანესის აგარაკი მიტოვებული გეგონებოდათ — მაღალ სახურავზე აწვდილი საკვამურებიდან კვამლი არ ამოდებოდა, ფანჯრების დარაბები დაეხურათ, ბილიკებზე შემპალი ფოთლები ჩანდა, ყვავილნარებში — გადაჭედილი ყვავილები. ერთ-ერთმა პოლიცი-

ელმა ზარის ღილაკს თავი მიანება და პარმალის კარზე ატეხა კაკუნი. დიდხანს აკაკუნებდა.

ბეც დეტექტივს სახეზე უკიდურესი მოწყენილობა ეხატა: „ფუჭი საქმეა, უკვე კვირაა, რაც აქ არავინ ცხოვრობს...“ კარის შესამტვრევი იარაღები არ წამოღლოთ და სერჟანტმა წინადადება წამოაყენა, სადგურში წავედეთ პოლიციის უფროსს მოველაპარაკოთ... ბისტრემი და ნალიმოვი იძულებულნი გახდნენ საქმეში ჩარეულიყვნენ, კარზე ხელები და ფეხები ააბრაბუნეს, მათი თხოვნით სერჟანტმა რევოლვერი ისროლა.

სახლში ფეხსაცმელების ფლატუნი გაისმა. კარი გაიღო და თავი გამოყო ჰაჭეტ ლაშემ. გაუპარსავი იყო, სახეშეშუპებული და ნამძინარევი, ფეხსაცმელები შიშველ ფეხებზე წამოეცვა, სალამურ პერანგზე პალტო მოესხა.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

— ახლავე გაიგებთ, — მწყრალად მიუგო სერჟანტმა და უკან დაახევინა. — დალახვროს ეშმაკმა, აქ მაგრად სძინავთ. — სერჟანტმა მუნდირის გულჯიბიდან სახლის გაჩხრეკის მოწერილობა ამოიღო. — თქვენი სახელი?

ლაშე სათვალის მოსატანად წავიდა.

— კარი დაკეტეთ, სახლს გამოაცივებთ! — დაიყვირა მან სასადილოდან.

ლაშე დაბრუნდა. გზად მსუქან ცხვირზე უწყინარი კაცივით ისწორებდა კუს ბაკნის პენსნეს.

— აბა ერთი მიჩვენეთ ეს სასაცილო რამ... — უთხრა სერჟანტს, წაიკითხა მოწერილობა, მოიხსნა პენსნე. — მობრძანდით, ბატონებო, — თქვა და მხოლოდ ახლა დააკვესა თვალის გუგები ნალიმოვს, — პატივი დაგვდეთ, აქ დაფარული არაფერია.

პოლიციელები ოთახებში მიმოიფანტნენ.

— ამ სახლში ავადმყოფი ქალია. გთხოვთ, მის კართან აგენტი დააყენოთ, თორემ იგი მკვდარი დაგვხვდება, — უთხრა ნალიმოვმა სერჟანტს.

თუმცა ძნელი იყო იმის გაფიქრება, რომ პოლიციის უფროსმა ჰაჭეტ ლაშეს წინასწარ შეატყობინა სახლის გაჩხრეკის ამბავი, ის მაინც თითქოსდა მომზადებული იყო. არ ღელავდა. ჩოხა და ჩექმები ჩაიცვა, გრძელი მუნდ-შტუკი გაირჭო. აგენტებს ღიმილით დაჰყვებოდა უკან, თვითონ უღებდა კარადებს, უჭრებს, კარებს. პირველ სართულზე და ლაშეს ოთახში ჩხრეკას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ბისტრემი წარბებს კმუხნიდა. ნალიმოვი გულგრილად იჯდა სასადილოში და ელოდა, როდის ავიდოდნენ მეორე სართულზე.

სასადილოში წამით შემოიხედა ჰაჭეტ ლაშემ და ნალიმოვს ოდნავ ჩაბრინწული ხმით რუსულად უთხრა:

— ამაოდ წამოიწყეთ ეგ ამბავი. შენც ის მოგელის, რაც ლევანტს დაემართა.

— კი მაგრამ, ლევანტს რა დაემართა? — ცალყბად ჩაიციხა ნალიმოვმა.

— ყელგამოჭრილი ნახეს მარსელში.

— ვერა იურიევნას რა უყავით?

— ზემოთაა. ცუდად გრძნობს თავს. — ლაშე გაიქცა და აგენტებს მხიარულად დაუძახა: — ახლა სამზარეულოდა დარჩა. თუ სამზარეულო შემდეგ ენახოთ? ავიდეთ ზემოთ.

ნალიმოვი ყველაზე ბოლოს ავიდა კიბეზე. შლაპა თვალებზე ჩამოეფხატა,

ზურგს უკან პატარა ხელჯობი ეჭირა. გრძნობდა, რომ ვერა იურიევნასთან შეხვედრა აშინებდა. იგი საოცრად ადვილად ეგუებოდა ნებისმიერ, ერთობ წარმოუდგენელ მდგომარეობას, მაგრამ ასევე ადვილად აღწევდა თავს ამჯერად თავის დაღწევა ვერ მოახერხა: ამ ღირსსახსოვარ სახლში ^{თქვენ შინა} ნაწილი რჩებოდა.

კიბეზე სულ წინ ლაშე ადიოდა და მოსწრებულად ხუმრობდა თავის თავზე. ზოგი პოლიციელი შიგადაშიგ იცინოდა. უეცრად ბისტრემმა ხმამაღლა თქვა: — გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ კიბეს, ახალი გარეცხილია.

ყველა შეჩერდა. ბეცმა დეტექტივმა მწყრალოდ შეხედა ბისტრემს და დაიხარა, პაპიროსის გასრესილ ნამწვს დააცქერდა. ლაშემ გადაიხარხარა:

— ყოჩაღ! კიბე მართლაც გარეცხილია და არა უადრეს გუშინდელისა. (სერჯანტს) ვერ შევეჩვიე თქვენს ჩრდილოურ ჩვეულებას, წაღების შემოსასვლელში გახდას და სახლში შალის წინდებით სიარულს... ქუჩიდან ტალახი შემოგვაქვს.

ზემოთ რომ ავიდნენ, ლაშე ახსნა-განმარტებას შეუდგა:

— აქ მუსიკალური სალონია, როგორც ხედავთ, იატაკი ასევე მორეცხილია... აქ ორი საწოლი ოთახია მომსვლელთათვის. აი, აქ ავადმყოფის ოთახია. დავიწყეთ სალონიდან?

ნალიმოვი ვერა იურიევნას დაკეტილ ოთახთან დარჩა. იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ლაშე ნალიმოვს შორიდან დამცინავად უცქეროდა შიგადაშიგ. ბისტრემი აგენტს დაჰყვებოდა და მკაცრად კუმავდა სწორ პირს. ვერც ზემოთ აღმოაჩინეს არსებითი რამ, ოღონდ მუსიკალურ სალონში სავარძლის გადასაკრავზე შავი ლაქა შეამჩნიეს, მაგრამ რისი იყო, ვერ გაიგეს, იატაკის ერთ ადგილას განაფხაჭნი შენიშნეს, ხოლო ბუხარში, ნაცარში, საყელურის აბზინდა... ყველა ვერა იურიევნას კართან დაბრუნდა.

— ო-ლა-ლა! — ჰაჯეტ ლაშემ გასაღებების ასხმულაზე ერთი გასაღები მოძებნა. — აქ ფრიად მძიმე მდგომარეობაა, ბატონებო... მე გთხოვდით, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, ყველა არ შევსულიყავით. ქალი სულიერად ავადმყოფია, ფრიად, ფრიად მძიმე მდგომარეობაა.

— ქალს იქნებ ავადმყოფობის ის სახეობა სჭირს, როცა სხეული საჭმელზე უარს ამბობს? — ჰკითხა ნალიმოვმა.

— დიახ. გამოიცანით, გადაჭრით ამბობს უარს საჭმელსა და სასმელზე. (ხმადაბლა.) გთხოვთ, ბატონებო...

ნალიმოვი ისევ სხვების უკან მოექცა.

— წაიყვანეთ აგენტი და სამზარეულოში წადით... სამზარეულო და სხვენი გაჩხრიკეთ. — უთხრა ჩუმად ბისტრემს.

ოთახში ფეხაკრეფით შევიდნენ: ოთახი ცარიელი იყო, დარაბები — დახურული, ჰაერი — შეხუთული, ციოდა. „ოი-ოი-ოი!“ — წაიბუტბუტა სერჯანტმა. კედელთან, საწოლზე ჭუჭყიანი ზეწრით მთლიანად დაფარული სხეულის მოხაზულობა ჩანდა.

— სიშმაგე უვლის ხოლმე, ჩვენ აქედან ყველაფერი გავიტანეთ. — წაიჩურჩულა ლაშემ.

ნალიმოვმა ცალი ხელთათმანი წაიძრო და საწოლთან მივიდა (მარცხენა

ხელი ისევ ზურგს უკან ჰქონდა და ხელჯოხი ეჭირა), ვერა იურიევნას ფრთხილად გადაადრო ზეწარი.

— წყნარად, სუ, — თქვა ლაშემ.

ვერა იურიევნა მარჯვენა გვერდზე იწვა. თავი გადაპარსული ჰქონდა, ნახევრად ჭალარა თმა ერთ სანტიმეტრზე წამოზრდოდა. ნალიმოვმა ხელისგული შუბლზე დაადო და იგრძნო, ვერა იურიევნას ნელ-ნელა როგორ გაეხსნა და დაეხურა წამწამები. ნალიმოვი დაიხარა:

— ვერა, ეს მე ვარ.

ვერა იურიევნას წამწამები აუთრთოლდა. შუბლი ცივი ჰქონდა. ნალიმოვმა სახეზე ფრთხილად გადაუსვა ხელი და მისი ცხვირის წაწვრილებული წვერი შეიგრძნო, შემდეგ ხელისგული გამომშრალ, თითქოსდა შალის ტუჩებზე დააჭირა. ტუჩები ამოძრავდა, ნალიმოვმა იგრძნო, ვერა იურიევნას კბილებმა რომ ოდნავ უკბინეს ხელისგულზე. მან ხელი მოაცილა ჭალს და სერჟანტს მიუბრუნდა:

— უბრძანეთ წყალი მოიტანონ... ამ ჭალს წყურვილით კლავენ...

— რა თქვი? — ლაშეს მსუქანი ნილაბი აუმოძრავდა, თითქოს სახეს სცილდებო. — ვინა ხარ შენ? შანტაჟისტი! ავარა!

ნალიმოვმა, თითქოს ბურანშიაო, ხელჯოხი მარჯვენა ხელში გადაინაცვლა და ლაშეს მთელი ძალით დაჰკრა სახეზე, თავზე, აქნეული ხელების თითებზე. ლაშემ იღრიალა და ნალიმოვს ეძგერა. ორივე იატაკზე გაგორდა. ისინი მაშინვე გააშველეს. ლაშე ერთიანად კანკალებდა აგენტების ხელში... „ანანასანა, ანანასანა“, — ბუტბუტებდა იგი. ნალიმოვმა შლაპა და ხელჯოხი აიღო, ერთხანს მდაბლად თავდახრილი იდგა, ბოლოქს ძლივს ამოთქვა:

— ბატონო სერჟანტო, მე ყველა ჩვენებას მოგცემთ ოქმში შესატანად. გთხოვთ, დაურეკოთ პოლიციის უფროსს, რომ ჭალთან დარჩენის ნება დამართოს, მიუხედავად იმისა, დააპატიმრებენ თუ არა ჰაჯეტ ლაშეს.

ნალიმოვმა ხელჯოხი კედელს მიაყუდა და მეორე ხელთათმანიც წაიძრო.

სახეზე ხელჯოხის რამდენჯერმე დარტყმამ ერთბაშად გააუარესა ჰაჯეტ ლაშეს საქმეები. მას თავდაპირველობამ უმტყუნა. აგენტებმა ჯიკავ-ჯიკავის დროს ჯიბიდან რევოლვერი ამოაცალეს. ახლა ლაშე მუსიკალურ სალონში ბუხართან იდგა და ნალიმოვს თვალს არ აშორებდა. ნალიმოვი მაგიდასთან მიდგმულ სავარძელში მისკენ გვერდულად იჯდა. სერჟანტს სათვალე გაეკეთებინა, მაგიდაზე იდაყვები გაეჩაჩხა და ოქმს წერდა.

ლაშე ისე იყო გაშმაგებული, ვერც კი შენიშნა, რომ ოთახში ბისტრემი და ერთ-ერთი აგენტი არ ჩანდნენ. ნალიმოვი მთელი ლოყით გრძნობდა მის დაყინებულ მზერას და ფხიზლობდა. როცა სერჟანტმა ჰკითხა, რა იცი ჰაჯეტ ლაშეს ცხოვრების შესახებო, და მან ლაპარაკი დაიწყო, ლაშეს კანკალი აუვარდა. რომ თქვა: „როცა ესენი ქვემოთ სასადილოში დათბირობდნენ და მსხვერპლს ელოდნენ, სწორედ ამ ოთახში...“ — ლაშე მარდად დაიხარა საკეცეს ასაღებად. მაგრამ ერთ-ერთმა აგენტმა ხელზე ხელი სტაცა და საკეცე წაართვა. საკეცე მაგიდაზე დადეს. ისე, თუ ნალიმოვმა ლაშეს სახეში ხელჯოხი დაჰკრა, ლაშეს თავის მხრივ რატომ არ უნდა დაერთყა მისთვის საკეცე? ეს, ასე ვთქვათ, რუსების პირადი საქმე იყო. მოულოდნელად ყველაფერი გართულდა, ბეცმა დეტექტივმა საკეცეს ყურადღება მიაქცია და ლუპით მის ერთ ფეხზე გამხმარ

სისხლთან ერთად მიკრული ადამიანის თმის ბეწვები აღმოაჩინა. „ოპო!“ — თქვა სერჟანტმა და სათვალის ზემოდან მკაცრად შეხედა ლაშეს. თქმი მძიმდებოდა. ლაშე ყველაფერს გადაჭრით უარყოფდა და იყინებდა. თქმში აღნიშნეთ უბრალოდ „თმის ბეწვები“ და არა „ადამიანის თმის ბეწვები“. ვინაიდან ეს ბეწვები ძალისაა, რასაც ექსპერტიზა დაადასტურებს.

შემდეგ ოთახში გამოჩნდნენ ბისტრემი და აგენტი, თან შემოიტანეს ტომრების, ბაწრების გროვა და ორი ხუთკილოგრამიანი საწონი. ეს ნივთები სამზარეულოს საიდუმლო განჯინაში ეპოვათ. განჯინაზე, ეტყობოდა, ახლახან აეკრათ შპალერი. ტომრები ჯუთისა იყო და დიდრონები, სულ ცხრა ცალი. სამზე ზეთის საღებავებით ეწერა: ერთზე — „რუსეთის იმპერიის ხსნის ლიგის დადგენილებით — ბოლშევიკების კომისარი კრასინი“, მეორეზე — „ლიგის დადგენილებით — ბოლშევიკების კომისარი ვოროვისკი“, მესამეზე — ლიგის დადგენილებით — ყურნალისტი კარლ ბისტრემი, ჩეკას აგენტი“. ეს ბოლო წარწერა ახალი იყო — საღებავი თითებს ეწებებოდა.

კითხვაზე — რას ნიშნავს ტომრები და მათი წარწერებიო, ლაშეს ქლოშინი აუვარდა. როცა კითხვა გაუმეორეს, ხელები გაიწოდა, თითქოს იფიცებოდა, და ხმამაღლა თქვა, რომ ძალას ატანენ უსინდისოდ მოიქცეს, რომ არ ძალუძს თავისი სიცოცხლის გადასარჩენადაც კი ვაახმაუროს საიდუმლოებანი, რომლებშიაც ევროპის ამჟამინდელი პოლიტიკის წარმართველი პირებია გარეული...

ეს ყველაფერი უაღრესად საკვირველი რამ იყო. ბისტრემის პირდაპირ კითხვაზე — სადაა არდაშევი ან მისი ნეშტი, ერთ-ერთ ასეთ ტომარაში ხომ არაო? — ლაშემ თავხედური ჩაცინებით უპასუხა — ამის შესახებ შეგიძლიათ ჰკითხოთ გუშაგ პოლიციელს, ნებისმიერი ღამის ბუნავის პატრონს ან, ეს უფრო სწორი იქნება, ბოლშევიკების საელჩოს და უტყუარ პასუხს მიიღებთო.

თქმის დაწერის შემდეგ სერჟანტი ბისტრემთან ერთად ქვევით ჩავიდა, რათა ტელეფონით მოლაპარაკებოდა პოლიციის უფროსს, რა ექნა ლაშესთვის. უკან საშინლად მოლუშული დაბრუნდა:

— ბატონო ჰაჯეტ ლაშე, თქმის მონაცემების საფუძველზე პოლიციის უფროსმა საჭიროდ სცნო დაგაპატიმროთ და ციხეში წაგიყვანოთ, ხელბორკილების გარეშე.

— შემძლია ჩავიცვა მაინც? — გამომწვევად იკითხა ლაშემ, შემდეგ მთელი ნილაბი აუცახცახდა და ნალიშოვს და ბისტრემს დაუყვირა: — ციხიდან ერთ კვირაში გამოვალ, გაითვალისწინეთ ეს!

ლაშე წაიყვანეს. ბისტრემი და ნალიშოვი აგარაკზე დარჩნენ. ლილის ყოფილ საწოლ ოთახში ღუმელი დაანთეს და ვერა იურიევნა იქ გადაიყვანეს: ვერა იურიევნა ისე დასუსტებული იყო, ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. ბისტრემმა და ნალიშოვმა ითათბირეს და გადაწყვიტეს იგი სააბაზანოში დაებანათ და დღესვე გადაეყვანათ სასტუმრო ოთახში. ბისტრემმა ამის შესახებ პოლიციის უფროსს დაურეკა. პოლიციის უფროსმა მიუგო: „მაგ ამბავზე პასუხისმგებელი თქვენ იყავით“.

ბისტრემმა ზეწარში გახვეული, ბავშვივით მსუბუქი ვერა იურიევნა აიტატა და სააბაზანოში გადაიყვანა. უმჯობესად მიიჩნიეს ზეწარი და პერანგი აქვე დაეწვათ. ვერა იურიევნას გაყვითლებული, ნეკნებად ჩნეული გრძელი სხე-

ული მთლად დალილავებული ჰქონდა. ცხელ აბაზანაში მან ნეტარებით დახუჭა თვალები. გაკრეჭილი თმა რომ დაბანეს, მისი თავი თავის მეჩხერ ბეწვს დაემსგავსა. ვერა იურიევნა სუფთა ლოგინში ჩააწვინეს და ფინჯანი ძალიან მაგარი ყავა დააღვინეს. იგი გაიჭიმა, თავი გადასწია, ეტყობოდა, ჩაბნელებულია. ბისტრემი და ნალიმოვი სასადილოში ჩავიდნენ.

გამოტეხილად უნდა ითქვას, რომ ბისტრემი და ნალიმოვი ჩხრეკამ დააბნია. ტომრების წარწერებისა და საკეცის გარდა ვერავითარი უცილობელი სამხილი ვერ იპოვეს. დანაშაული ვერ დადგინდა. ვერა იურიევნა რომც გამოკეთებულყო და ჩვენება მიეცა, ჰაჯეტ ლაშე ძლიერი მხარდაჭერის წყალობით მაინც სუფთად დაიძვრენდა თავს. უეჭველად საექიმო მოწმობა ექნებოდა და ვერა იურიევნას ჩვენებას გიჟის ბოდვად მონათლავდა.

— თუ კალვეს, ლევიცკის და არდაშევის გვამები ვერ ვიპოვეთ, ჩვენი საქმე წასულია. ჯერჯერობით ჩვენ კრაზანების ბუდე ავაფორიაქეთ მხოლოდ, — დაასკვნა ბისტრემმა.

ბისტრემმა და ნალიმოვმა კიდევ ერთხელ გადააქოთეს მთელი სახლი, სარდაფი, სხვენი. ბისტრემი ერთხანს აგარაკის გარშემო დაეხეტებოდა. უეცრად ცხენივით თქარათქურით ამოიბრანა კიბე:

— მისმინეთ, ჩვენ იდიოტები ვართ! ტომრები და საწონები, მიხვდით? გვამები ტბაშია... და, რაღა თქმა უნდა, ტომრების წარწერებითურთ. მაგრამ ეს ლაშეს ვერ უშველის. უფრო პიკანტური ამბავი იქნება ინგლისისა და საფრანგეთის კონტრდაზვერვასთან ამ ბანდიტის დაკავშირება...

მეორე დღეს, დილით ბისტრემმა არდაშევის ბინაში შეიარა და უჩვეულო რამ აღმოაჩინა: არდაშევის კაბინეტში ხელთ მოხვდა პატარა წიგნი „მკვლელი ტახტზე“, რომელზეც ავტორს ასე წაეწერა: „1919 წლის აგვისტო, ჰაჯეტ ლაშე“. ბისტრემმა პირველივე გვერდებიდან იგრძნო, რომ ნამდვილ კვალს წააწყდა. წიგნი გახლდათ სისხლის სამართლის პრაქტიკაში კარგად ცნობილი ფსიქიური მოვლენა, როცა დამნაშავე თავსაც კი იმეტებს და დანაშაულის აღგილას ბრუნდება (ეს, ეტყობა, გარდაუვალია და საფუძველად უდევს იდუმალი სურვილი — დანაშაულის დაძაბულ ორომტრიალში ავადმყოფურად აგზნებული „რეფლექსების დამუხრუჭება“).

თავის წიგნში ჰაჯეტ ლაშე ნახევრად ბელეტრისტულად ჰყვებოდა აბდულ-ჰამიდის საიდუმლო პოლიციის მიერ ჩადენილ საქმეთა შესახებ: როგორ არჩევდნენ მსხვერპლს, როგორ იტყუებდნენ უკაცურ პატარა ქუჩაზე მდებარე სახლში, სადაც მუქართა და წამებით აიძულებდნენ ავაზაკისთვის მიეცა ჩეკი, ან ფულის ბარათი, ან სეიფის გასაღები. ლაშე საოცრად ზედმიწევნით, დაწვრილებით აღწერდა წამებას — ადამიანს უკეთებდნენ ცხოველის ვიწრო საყელოს, უსერავდნენ სახეს, გლეჯდნენ თმას, უწვავდნენ თვალებს, ფრჩხილებქვეშ უყრიდნენ ნემსებს. მსხვერპლს ტომარაში ტენიდნენ და ბოსფორში აგდებ-

¹ წიგნი რუსულად თავით ჰაჯეტ ლაშემ თარგმნა და გამოსცა 1917 წელს პეტროგრადში, უიშვიათესი გამოცემა.

დნენ. ბალ სტანესის აგარაკზე იგივე ამბავი გაიმეორეს, რასაც თხუთმეტი წლის წინათ თვითონ პაჭეტ ლაშე აკეთებდა კონსტანტინოპოლში, — ასე სჯეროდა დაბეჭითებით ბისტრემს.

მაგრამ რა ჯანდაბად აჩუქა ლაშემ ეს წიგნი, თანაც წარწერა ერთ-ერთ თავის ნიშანში ამოღებულ მსხვერპლს? აქ იყო უნაღვესი სწავლა, მაგრამ რა ანგარიში? ბისტრემის ტვინი ამას ვერ სწვდებოდა. ისე კი ესმოდა, რომ თუ სასამართლოზე ამ წიგნს ერთ-ერთ სამხილად წარმოადგენდა, უპირველეს ყოვლისა უნდა ეპასუხა კითხვაზე: რისთვის მოუტანა ლაშემ წიგნი არდაშევს?

ბისტრემი კაბინეტში დადიოდა, ბუტბუტებდა, აბრუნებდა ტუჩებს, ისე მანჭავდა სახეს, როგორი სიფათიც, მისი მოსაზრებით, გამოუსწორებელ მკვლელს უნდა ჰქონოდა, ცდილობდა, ამ ბნელ ფსიქიკას ჩასწვდომოდა. არაფერი გამოსდიოდა. და მხოლოდ მაშინ, როცა წყენით ჩაიქნია ხელი („რომელიმე დრამატურგი ან რომანისტი ხელადვე ფლტაცებით ჩასწვდებოდა ლაშეს სულს“), თავისთავად შთაესახა უჩვეულოდ მარტივი ახსნა-განმარტება: ლაშემ არდაშევს სწორედ იმიტომ აჩუქა წიგნი, რომ ამ საქციელს ვერ ჩასწვდენოდნენ, თუ მკვლელობაში ეჭვს მასზე მიიტანდნენ...

— ოჰ, ეშმაკის მოციქული, ოჰ, ჰკუის კოლოფი ვარ პირდაპირ! — ბუტბუტებდა ბისტრემი და აღტაცებული ისრესდა ხელებს.

წინასწარი გამოძიებისას პაჭეტ ლაშემ განაცხადა: ჩემი დაპატიმრება ბოლშევიკების ხრიკია და მეტი არაფერი. კალვე, ლევი ლევიცი და არდაშევი ჩეკას საზღვარგარეთელმა აგენტებმა გააქრეს, რომ პოლიტიკური პროცესი შექმნან და სახელი გაუტეხონ ლიგას, რომელიც თეთრი არმიებისთვის მოხალისეთა მოგროვების მიზნით დაარსდაო. ეს სამი პიროვნება ჩეკისტებმა მოიტაცეს და რუსეთში გაგზავნეს, თანაც ლევიცი და არდაშევი უკვე დახვრეტილნი არიან, ხოლო კალვე, როგორც ყოფილი მეამბოხე, თავისუფალიაო. ლაშემ პირობა დადო დოკუმენტური ცნობები მეორე დღისთვის მოეტანა ლიგის არქივიდან.

ტომრების წარწერების ამბავი პაჭეტ ლაშემ ასე ახსნა: ლიგის ერთ-ერთი წევრი პროვოკატორი აღმოჩნდა, ბისტრემი და ნალიმოვი მოისყიდა და გაჩხრეკის წინ ტომრებს წარწერები გაუკეთა. ამის შესახებ მე მხოლოდ გაჩხრეკისას გავიგე, საშინლად ავღელდი და არც კი მახსოვს, რას ვლაპარაკობდი. ტომრები საოჯახო საქმეებისთვის მქონდა ნაყიდი. საკეცით კი მართლა დავიცავი თავი, როცა აგარაკზე ცოფიანი ძაღლი შემოვარდაო.

გამოძიებისადმი საგანგებო ინტერესი გამოიჩინა გრაფმა დე მერსიმ. იგი დიდხანს და მრავალმნიშვნელოვნად ელაპარა გამომძიებელს მის საკანში. სხვათა შორის დაადასტურა ის ვარაუდი, რომ სამი ზემოხსენებული პიროვნება ჩეკამ პროვოკაციულად წაიყვანა საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე. შემდეგ, ლაშეს დაპირებისამებრ, რუსმა ოფიცერმა ბიტენბინდერმა გამომძიებელს გადასცა გენერალ სმეტანიკოვის მიერ გენერალ ბისერისადმი მიწერილი წერილი: წერილში მოთხრობილი იყო პეტროგრადში შეთევვებულ იალქნიანი გემით ჩამოყვანილი კალვეს, ლევიციისა და არდაშევის დაწვრილებითი ამბები. გამომძიებელს ისღა დარჩენოდა ფაქტები ელიარებინა და ლაშე გაეთავისუფლებინა, მაგრამ ყოყმანობდა. ბისტრემმა გადასცა წიგნი „მკვლელი ტახტზე“ და მიუთითა პარალელურ წვრილმანებზე, ხოლო სმეტანიკოვის წერილთან დაკავშირებით

მტკიცედ განაცხადა, ასეთი გენერალი არ არსებობს რუსეთის ყოფილი არმიის ნუსხებში, წერილი ლაშეს ხროვის მიერაა შეთხზული.

ბისტრემმა შეძლო აგრეთვე იზვოლსკის ბინის გაჩხრეკის მოწყობა. მაგრამ იზვოლსკი სტოკჰოლმიდან გაქრა. ატყდა ერთგულნი-ტემ“ დაბეჭდა ბისტრემის დებეშა პროცესის შესახებ. პოლიციას სახელი შეელახა. იზვოლსკი გაქრობის მეოთხე დღეს ალანდის კუნძულების მახლობლად იახტაზე დაიჭირეს და სტოკჰოლმში ჩამოიყვანეს.

თავდაპირველად იზვოლსკი ყველაფერს უარყოფდა, გაქცევისაკ კი: ზღვა თავდავიწყებით მიყვარს, შემთხვევა მომეცა გამესეირნებინაო, და ასე შემდეგ...

ბისტრემმა მოითხოვა ერთმანეთისთვის პირში წაეყენებინათ იზვოლსკი და არდაშევის მნე — ფრუ ვენდლია. ფრუ ვენდლია თვითონ მოიყვანა გამომძიებელთან. ქალი ტირილით მოჰყვა გამოგონილი გოგონას ამბავს, ვისთვისაც არდაშევს „იაფფასიანი პირველი ხარისხის საბავშვო კაბების“ ყიდვა უნდოდა. მნე ქალი მლოცველივით იკრეფდა ხელებს: „ის ერთობ კეთილად ექცეოდა ბავშვებს, ბატონო გამომძიებელო!“ იზვოლსკის, ეტყობოდა, სუსტი ნერვები ჰქონდა, გამოტყდა, რომ ნათესავი გოგონას ამბავი გამოგონილი იყო. როცა ბისტრემმა ჭიქურ უთხრა: „ახლა მოჰყევით, რა უქენით ჩემს მეგობარ არდაშევს?“ — წყლიანი სურისკენ გაიწია, მაგრამ სასოწარკვეთილს ხელები ბირს ჩამოუცვივდა.

— ყველაფერს მოვყვები... ბატონო გამომძიებელო, მე დამნაშავეთა ხროვაში ჩამითრიეს. თვითონ საზღვაო ოფიცერი ვარ, ვოცნებობდი იმათთან ბრძოლაზე, ვინც ჩემს სამშობლოს დასცინის, სპობს ყველა სალოცავს... სისუსტემ დამლუპა, ვალიარებ... შაშხანისთვის უნდა მომეკიდა ხელი.. ჩემი ადგილი იქაა, სადაც იბრძვიან... გულწრფელად მინდოდა. ოღონდ თანდათანობით ჩამითრიეს სიბინძურეში!.. — იზვოლსკი ასლუკუნდა, მაგრამ არ გამოუვიდა. მან იდაყვები მაგიდაზე ჩამოდო: — ეჰ! — თქვა და გაბედულად ასწია თავი. — თქვენს მეგობარს წამებით მოუღეს ბოლო, — უთხრა ბისტრემს. — ხუთასი ათასი კრონის ჩეკი გასცა... შემდეგ მოკლეს და ტბაში ჩააგდეს... მისი ყვირილი ახლაც მიდგას ყურებში... ხუთი დღე-ღამე არ მიძინია... ახლავე წავიდეთ, გაჩვენებთ ადგილს, სადაც ჩააგდეს...

პირველ ნავზე იყვირეს: „არის! მოედო!“ ნავში მდგომი თანამოწმენი ბარჯს მალლა სწევდნენ, სხვები მეორე ბარჯს ქვეშ უდებდნენ იმას, რასაც პირველი ბარჯი იყო მოდებული. პირველ ნავთან სასწრაფოდ მიცურდა მეორე ნავი, რომელშიც გამომძიებელი, ექიმი, ბისტრემი და იზვოლსკი ისხდნენ. ტბის სიღრმიდან წყალმცენარეებშიკრული ნაცრისფერი უფორმო რაღაც მოცურავდა. ეს იყო გვამიანი ტომარა. მისი ნავზე ატანა გაუჭირდებოდათ. ამიტომ ნაპირისკენ გააცურეს და გათელილ ბალახზე აათრიეს. ეს მესამე ნაპოვნი გახლდათ. გუშინ და გუშინწინ ტბიდან რკინის ჩანგლებით ამოიღეს კალვეს და ლევი ლევიცკის ნახევრად ვახრწნილი გვამები. ხალხი დაიღალა და გაიყინა. ახლა, ნავებიდან ნიჩბები და ბარჯები რომ ამოყარეს, ნაპირზე დასხდნენ და გააბოლეს.

როცა გამომძიებელმა ტომრის გარედან დათვალიერება მოათავა (ტომარაზე იგივე წარწერა იყო: „ლიგის დადგენილებით“ და ასე შემდეგ), ბრძანა იგი გაეხსნათ, მაგრამ ვერ გახსნეს. ამიტომ ფრთხილად გაჭრეს და გამოჩნდა გასიებული სახე. გვამს თვლებით გასრესილი ძაღლივით დაეჭრებოდა. ლოყებზე ქრილობები აჩნდა, თვალების ადგილას — სისხლბინძურ მუცლები, თავის ქალა ჩატეხილი ჰქონდა. „ეს არდაშევია“, — თქვა იზვოლსკიმ ჩამწყდარი ხმით. გვამი აგარაკისკენ წაიღეს. იზვოლსკი დაფაცურდა, რომ იქ მყოფთ გვამის წაღებაში დახმარებოდა, მაგრამ ბისტრემმა დაუყვირა:

— რაო, სიცოცხლეს ეპოტინებით?.. ისე გვარიანი საუზმობა გყვარებიან... მაშინ ნიკოლაი პეტროვიჩი კარგი საუზმით, შამპანურით გელოდათ. არამზადავ!

იზვოლსკიმ, თითქოს ასთმური ხუთვისგან სული მოიბრუნაო, უთხრა:

— ეს უბრალო რამ აუტანლად მტანჯავს... უკანასკნელ წუთს, როცა იგი აქ მომყავდა, მივხვდი, რა მომზიბვლელი კაცი იყო...

ასე დაიწყო დიდი პროცესი ბალ სტანესში მომხდარ მკვლელობათა შესახებ. იზვოლსკიმ ყველა გასცა. დაიჭირეს და პასუხისმგებებაში მისცეს აგრეთვე ბიტენბინდერი, ეტინგერი, გისერი, მისი შვილი და ვერა იურიევნა. გრაფ დე მერსის, ამერიკელი ატაშეს და სტოკჰოლმში მოულოდნელად გამოჩენილი ინგლისის დაზვერვის მაიორის მეცადინეობის წყალობით ლიგის დანარჩენი წევრები მხოლოდ მოწმეებად გამოვიდნენ. მაღამ მარი ვარშავაში დააპატიმრეს საციროკო წარმოდგენის დროს, როცა საგველზე სოლოს შესასრულებლად ემზადებოდა. დიდხანს ვერ მიაგნეს ლილის კვალს, ვიდრე სამიკიტნო „ლამის ცვლაში“ ერთმა შექეიფიანებულმა მეზღვაურმა არ თქვა: გოგო! პორტსაიდზე ახლოს არ უნდა ეძებოთ, მაგრამ რომელ გემს გაჰყვა, არ ვიციო...

ჯერ კიდევ ძიების დროს გახდა საჩინო პროცესისთვის პოლიტიკური ელფერის მისაცემად გაჩაღებული ბრძოლა. პოლიტიკურ ცეცხლს ერთის მხრივ აღვივებდა ბისტრემი, რომელიც ვერა იურიევნას სამოქალაქო მოსარჩელედ გამოდიოდა (ვერა იურიევნა საპატიმროს საავადმყოფოში იწვა), მეორე მხრივ ჰაჯეტ ლაშეს ჯგუფის დამცველები — ორი გამოჩენილი შვედი ადვოკატი და საქვეყნოდ ცნობილი ადვოკატი ეჟილ როშფორი (როშფორი ამ „იდუმალმა“ საქმემ დააინტერესა და პარიზიდან ჩამოვიდა, რათა გასამრჯელოს გარეშე დაეცვა ჰაჯეტ ლაშე). ეს სამი მოაზროვნე მთელ პროცესს წმინდა ფსიქოლოგიურ მიმართულებას აძლევდა... ფროიდი, შპენგლერი — აი, ის ნიშანსვეტები, რომელთა მეოხებითაც შეიძლებოდა მისდგომოდი „ბალ სტანესის შემზარავ გამოცანას“. ბისტრემი შეუპოვრად ებრძოდა ფსიქოლოგიზმს, მაგრამ ძალა არ შესწევდა სხვადასხვა მხრიდან ჩამოსულ ათეულ ბრწყინვალე ეურნალისტს გამკლავებოდა. მას თავაზიანად უსმენდნენ, ოღონდ, როცა მოშორდებოდნენ, იცინოდნენ:

— სანტიმენტალურმა გერმანელმა რუსეთიდან ტილებთან ერთად კარლ მარქსიც ჩამოიყოლა და უნდა გვაიძულოს იგი სასწაულმოქმედად მივიჩნიოთ.

ბისტრემი სრულიად ევროპის რუპორზე ოცნებობდა. ამის მაგივრად საგა-

ხეთო შენიშვნა არ არსებობდა, სადაც მას ამა თუ იმ სახით არ დასცინოდნენ. გაზეთებში ხატავდნენ ბისტრემის კარიკატურებს, ასხვაფერებდნენ მის სიტყვებს, იდიოტურ საქციელს აწერდნენ. როცა სასამართლოს პირველ დღეს ჟურნალისტთა ლოჯიაში გამოჩნდა, ხალხმა კარიკატურებით იცნო და სიცილილი ატეხა.

დარბაზში მთელი დიპლომატიური კორპუსი იმყოფებოდა. პირველ რიგში ისხდნენ კობტად გამოწყობილი ქალები. გამოჩენილ რუსთაგან სასამართლოს ესწრებოდა მედიდური დიდულვაშა, სამოქალაქო ტანსაცმლით მოსილი იუდე-ნიჩი, რომელსაც სულ არ ეტყობოდა ამასწინანდელი განადგურების კვალი. მან გამომძიებელს ასეთი ჩვენება მისცა: ერთხელ მართლა მეწვია ვინმე ჰაჯეტ ლაშე, მაგრამ რაზე ლაპარაკობდა, ვერ ვიგონებო. მეტი არაფერი დაუმატებია თავისი ჩვენებისთვის.

ბრალდებულნი ისე იქცეოდნენ, როგორც ყველა სხვა ბრალდებული. — სახეზე ხელს იფარებდნენ, რომ ფოტოგრაფებს მათთვის სურათი არ გადაეღოთ, თითქოს არაფერი აღელვებდათ, ისე ისწორებდნენ ყელსახვევებს, ფურცლავდნენ საბრალმდებლო აქტს. — არ უცქეროდნენ ხალხს, განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდნენ ლაპარაკს. მართლ ჰაჯეტ ლაშე იჯდა ისე, თითქოს სცენაზე იყო რამპის წინ (თეთრი ჩოხა ეცვა და გულამოჭრილი შინდისფერი ანა-ლუხი). მოელვარე თვალებს ავლებდა დარბაზს და, როცა ქალების სახეზე შთაბეჭდილებას შეამჩნევდა, თავმომწონედ ჩაილიმებდა.

ხალხი განსაკუთრებული ინტერესით ელოდა მოწმე ნალიმოვის ჩვენებას. მაგრამ ის თითქოს ქინძისთავნაკრავი რეზინის ბურთივით დაიჩუტა: კითხვებზე მოსაწყენად, ცივად, ერთგვარი სიფრთხილითაც კი პასუხობდა. ბრალდებულ ვერა იურიევნასთან თავის დამოკიდებულებაზე მხოლოდ ზოგადად ილაპარაკა:

— ჩვენ, ორივენი, ოდესღაც მაღალ საზოგადოებას ვეკუთვნოდით, ორივემ დავამტკიცეთ, რომ ცხოვრებაში სრულიად უმწეონი ვიყავით, ორივე დავეშვიტ ფსკერზე. არაფერს ველით და არც არაფრის იმედი გვაქვს. სწორედ ამან ან, თუ გნებავთ, ერთგვარმა ეპიკურეებლობამ დაგვაკავშირა და გვაკავშირებს... (ბრალდებულის სკამზე მჯდომმა ვერა იურიევნამ, რომელიც გამხდარი სახის და შეკრეჭილი თმის გამო შიშის ზარისგან გაჭალარავებულ მოზარდს ჰგავდა, ხელის აწევა დააპირა, წამოიწია კიდევ, მაგრამ ნალიმოვი მისკენ არც შებრუნებულა.) თუ სასამართლოს ნებავეს გაიგოს, ვაცნობებ, რომ ძიების პერიოდში ჩვენ იურიდიულად დავაკანონეთ ჩვენი ცოლქმრული დამოკიდებულება...

ნალიმოვის ამ განცხადებას ხალხის დრტვინვა მოჰყვა, ზოგმა ტაში დაუკრა. მოსამართლის კითხვაზე — რას შეიძლებოდა ვერა იურიევნა ჰაჯეტ ლაშესთან დაეკავშირებინაო — ნალიმოვა იგივე მშვიდი, მოსაწყენი ხმით მიუგო:

— კონსტანტინოპოლის პოლიციის დევნას იმ სისხლის სამართლის დანაშაულის გამო, რომელიც სინამდვილეში ჰაჯეტ ლაშემ ჩაიდინა, მაგრამ ჩემს ცოლს დააბრალა... („ტყუის! — გააფთრებით იყვირა ჰაჯეტ ლაშემ. — არამზადაე! დაამტკიცე!“.. მოსამართლემ იგი შეაჩერა.) საქმე ეხებოდა ჰაჯეტ ლაშეს კუთვნილ საროსკიპოში მომხდარ მკვლელობას... საქმე ის გახლავთ, რომ ჩემი ცოლი ემიგრაციის პირველ წელს... (ნალიმოვა თავი დახარა, თითქოს ყოყმანობსო, შემდეგ უსიციოცბლო ხმით განაგრძო) ჩემი ცოლი საროსკიპოში მიიტყუეს... აი, არსებითად ყველაფერი...

პროტკესის მესამე დღეს სიტყვით გამოვიდა ბისტრემი. მან რობესპიერით დაიწყო (ლაპარაკისას ხელს უჭერდა დახვეულ ქალაქს):

— ბატონო მოსამართლენო, მე გამოვდივარ, როგორც ბრალდებულ ჩუვაშევას სამოქალაქო მოსარჩელე... მას ბრალს სდებენ, რომ დაფარა დანაშაულობანი, რომ მათ შესახებ არ აცნობა პოლიციას... რატომ დუმდა ბრალდებული ჩუვაშევა? ესაა ქარიშხლის მიერ ხეს მოგლეჯილი და ლანჩებით გაქვლილი ფოთოლი. ესაა ემიგრანტი, ბატონო მოსამართლენო... (ისმის ხალხის ერთი ნაწილის გაბრაზებული დრტვინვა.) მას სიცოცხლე შეაყვარა მხოლოდ ერთმა რამემ — ქალურმა გრძნობამ, ისევე ავადმყოფურმა, დაუოკებელმა და უიმედომ, როგორცაა მთელი მისი ემიგრანტული ბედ-იღბალი. ამ გრძნობის გამო დუმდა იგი, საშინელებისგან გონდაკარგული, ცარიელ ოთახში გამოკეტილი, უჭმელ-უსმელი, დუმდა, ვინაიდან ჰაჯეტ ლაშემ უთხრა: თუ პოლიციაში დამაბეზლებ, ნალიშოვს იგივე დაემართება, რაც კალვეს, ლევი ლევიცკის, არდაშევს ან იმ ბერძენს საროსკიპოში, ან იმ ჩემს ამასწინანდელ კომპანიონს, დეტერდინგის ერთ-ერთ აგენტს, ბინძურ სპეკულიანტ ლევანტს, რომელსაც ყელი გამოჭრეს ჩემი ბრძანებითო. მაგრამ, ბატონო მოსამართლენო, ჩვენ აქ უფრო მეტად გვაინტერესებს არა ბრალდებულის დუმულის მიზეზი, არამედ პოლიტიკურ სარბიელზე ჰაჯეტ ლაშესთან პიროვნებებისა და მისი ბანდიტთა ზროვის გამოჩენის მიზეზი, ზროვისა, რომელსაც ლიგა ეწოდება და ესოდენ საპატიო პოლიტიკურ პირთა რწმუნებითაა აღჭურვილი. ჰაჯეტ ლაშეს გამოჩენის მიზეზი მრავალია. მე დავასახელებ მხოლოდ მთავარს — მიზეზთა მიზეზს. ეს გახლავთ შიში პროლეტარული რევოლუციის წინაშე (დარბაზში ისმის ყურთასმენის წამლები სტვენა). აქ უკვე ერთსულოვნად, მე ვიტყოდი, აჩქარებით მოქმედებენ მძლეთა მძლე ძალები, რომელნიც დენიკინს მოსკოვის ასაღებად გზავნიან, იუდენიჩს — პეტროგრადის ასაღებად და ჰაჯეტ ლაშეს ხელში ჩრიან საკეცეს, რათა მან თავში ჩასცხოს იმ პირებს, ვისი გვარებიც აღმოაჩინა გამოძიებამ ბალ სტანესში გამოუყენებელ ტომრებზე. ჰაჯეტ ლაშე დაქირავებული მკვლელია, მაგრამ როგორი დამქირავებელნიც ჰყავს, თვითონაც ისეთია. მათ ერთი და იგივე იდეოლოგია აქვთ. განსხვავდებიან მხოლოდ მასშტაბებით. ჰაჯეტ ლაშე გავარვარებული საკეციტ აწამებს თავის მსხვერპლს, რათა ოცდაათი ათასი კრონის ჩეკი გამოსძალოს, მისმა დამქირავებლებმა ვერსალის ზავის შემწეობით ასობით მილიონი მშრომელი შიმშილის, დაძაბუნების, სასოწარკვეთილების შედეგად გამოწვეული ტანჯვა-წამებისთვის გაიმეტეს და კიდევ უფრო საშინელი წამებისთვის ამზადებენ უკვე არა საკეცეს, არამედ ახალ მსოფლიო ომს, რათა ერთხელ და სამუდამოდ სისხლში ჩაახრჩონ მშრომელთა იმედი განთავისუფლებისა, რათა დატოვონ კაპიტალიზმის ფოლადის დოლაბს მიჯაჭვული მხოლოდ საჭირო რაოდენობის მეობას მოკლებული მონები. ამზადებენ ომს ბაზრების, ნავთობის, ქვანახშირის, მადნის გულისთვის! ო, აქ დამქირავებელნი ერთმანეთს შეუთანხმდებიან გაყოფის საკითხზე. მაგრამ ვერსალის ზავის უღრმესი დედაარსი მთელი ნესტრით რევოლუციის განადგურებისკენაა ნიშნავი.

თავმჯდომარემ დამსწრეთა აღშფოთებულ შეძახილებში ბისტრემი გააჩერა და წინადადება მისცა არსებითზე ელაპარაკა. ბისტრემმა ცხვირსახოცით შუბლი მოიწმინდა და ვერა იურიევნაზე განაგრძო ლაპარაკი, თავისი სიტყვა ბო-

ლოში შეკვეცა, რის თქმაც უნდოდა, იმის ნახევარიც არ უთქვამს. იგი დუბლით, დამცინავი ბოროტი მზერით გამოაცილეს.

სასამართლოს დარბაზიდან გამოსვლისას ბისტრემთან ლუკაჩი მკლამე პი-
ჯაკებით მოსილი ორი ახოვანი, მზრებგანიერი, მძიმე-მძიმედ მღვავდნენ მძიმე-
ლით სახედანაოჭებული კაცი მივიდა და უთხრეს:

— კარგად ილაპარაკე ძმობილო.

— გულთან არ მიიკარო, რომ მეტისმეტად აღერსიანად არ შეგხვდნენ. გამგებმა გაგიგო...

თმააბურძგნილი ბისტრემისთვის ეს წამიერი შეხვედრა წარუმატებლობის სანაცვლო ჯილდო იყო.

სასამართლოს განაჩენი ასეთი გახლდათ: პაჯეტ ლაშეს ათი წელი მიუ-
საჯეს, დანარჩენებს რეიდან სამ წლამდე. მარი უდანაშაულოდ სცნეს. ვერა იურიევნა წლინახევრით ჩასვეს ციხეში.

ნალიმოვი სტოკჰოლმში დარჩა. კვირაში ერთხელ ვერა იურიევნას აკითხავდა საპატიმროში. სასტუმროდან იაფფასიან პანსიონში გადავიდა. ფულს თავშე-
კავებულად ხარჯავდა. ცოტათი ძუნწობდა კიდეც. დღევამოშვებით დადიოდა კინემატოგრაფში, სვამდა ზომიერად, ძლიერ შეუყვარდა ხვირთქლის მუნდ-
შტუკებით წევა, ერთი სიტყვით, ცხოვრობდა წყნარად. ეშმაკმა არ იცის, რის-
თვის ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე?.. — ეკითხებოდა ხანდახან თავს.

ბისტრემი... თუ ზოგიერთი პერსონაჟის ცხოვრებისეული ამბები ნაწი-
ლობრივ მაინც ერთგვარად დასრულდა, ბისტრემის ცხოვრება ეს-ესაა იწ-
ყებდა მოწესრიგებას... მან რამდენიმე სტატია დაწერა და გაემგზავრა გერმანია-
ში, რომელსაც ვერსალის ზავის წყალობით ყელში ხელი ჰქონდა წაჭერილი. გერმანიაში ბისტრემის კვალი რამდენიმე ხნით იკარგება.

საბჭოთა რუსეთში რევოლუცია კვლავინდებურად ძლევამოსილად შლიდა ფრთებს და ვერსალის ბრძენკაცებისა და ემიგრანტთა კომიტეტების იმედებს ამსხვრევდა. ლონდონსა და პარიზში ოქროს კალმებს შხამიანი წვეთები სწყდებოდა და ისტორიული მოვლენების ახალ ტალღებს იწვევდა. ერთ-ერთი ტალღის თხემზე საბჭოთა რუსეთის საზღვარზე ის იყო პოლონურკონფედერაციის მხედარი წამოყვლელავდა და ხმალი დასარტყმელად შემართა, მაგრამ საპასუხო ტალღამ მრისხანედ უკუაგდო მეომრის ეს უბადრუკი მინამსგავსი.

თარგმნა ანდრო ბუანიძემ

●
ოქროს ვარაყში ჩაჭედილი მახვილი ელავს,
სატევარია დაუძრახველი,
აღმოსავლეთში გამოკვერეს ჯადოთი ძველად
და მტერს ატყვია მისი ნახმლევი.

ის ემსახურა თავგანწირვით მორკინალ მხედარს
და არ ყოფილა წილის მხვეწარი,
ბევრი მხედარი აჩეხა და აქცია ცხედრად,
ჯავშანი გაჭრა, როგორც ზეწარი.

მონაზე უფრო უმორჩილესს, მონურად მორჩილს,
სიტყვებს უზღავდნენ შეურაცხყოფელს,
ის გაკვესავდა და მის მიერ გზადგა მოჭრილ
მომხვდურთა თავებს ერთურთს აწყობდნენ.

თერგის ნაპირას მოთარეშე ერთმა კაზაკმა
აართვა იგი ბატონის ცხედარს,
მას აქეთ უკვე ველარავინ ველარ დასაქმა,
სომხის ფარდულში ის ეგდო ერთხანს.

სასტიკ ომებში დაილეწა მისი ქარქაში,
და ძველ ომებში თავების მკვეთელს,
აწ უსახელოს და უვნებელს გააქვს კაშკაში,
და სატევარი ამშვენებს კედელს.

აწ აღარავინ აღარ ეძებს — არ მიარწევენ
წვეულებებზე — არც არავინ აღარ მოძებნის,
აწ აღარავინ არ კითხულობს მის ძველ წარწერებს,
განთიადის წინ ცხარედ მლოცველი.

და შენც, პოეტო, ამ გულაზიზ საუკუნეში
დაკარგე შენი დანიშნულება,
ღირსებას ოქრო ანაცვალე, დაგმე ნუგეში
ხალხისა, შენთვის სიკეთეს რომ არ იშურებდა.



შენმა მხნე სიტყვამ ვაჟკაცს, უდრეკს და არმოშიშარს,
მამულის სარგოდ სისხლი აღინა,
შენ ხალხს სჭირდები, ვით გუნდრუჟი მლოცველს ლოცვის
ყამს,
ხოლო მეღვინეს — თასი ნადიმად.

შენი მხნე სიტყვა, ვით ღვთის სული მოკვდავთა ზედა,
ქროდა და ამგვარ სიყვარულის წილ,
კაცთა გულეებში ვეჩეს კოშკის ზარივით მედგრად
ხმა სიკეთისა რეკდა ურიცხვი.

აწ კი მოგვწყინდა შენი ტლუ და ზვიადი ენა,
ცრუ ღალადისი და ცრუ ქადილი,
და თუკი მჭევრობ და ირთვები, ელავ და ლელავ,
ეგ სამშვენისი ყალბია და არანამდვილი.

წინასწარმთქმელო, შერისხულო, ვაითუ არ ქნა,
აღარ ჩასჭიდო მახვილს მტევანი,
და არ გააძრო შურისგებით შეძრულმა ქარქაშს
ჩაუანგებული ეგ სატევარი?



თარგმნა ვახტანგ ჯაფარიძემ

ც ღ ა

პოეზია ხანდახან
ბაღის ხელსა ჰგავს პაწაწინას
რომელიც ყველაფერს ეტანება

ბრძასავით დაფათურობს
სამყაროში პაწაწინა ხელი
კანკალებს და უჭერს

ვაშლისკენ იწევს
სურს ჩაავლოს
ვაშლის უმანკო ფორმებს
მაგრამ
იხსნებიან სუსტი თითები
და უსხლტებათ ვაშლი
დიდი
მძიმე

ჯადოქრის შვირდი

რატომ გავახილე თვალები
მომაწყდა სახეებისა და ფერების
სამყარო

ტალღა და ტალღა
ნაზე და სახე
ფერი და ფერი
ფეხქვეშ ჩამიგდეს
შხამიანმა მწვანემ
ყინულოვანმა სილურჯემ
მყვირალა-ყვითელმა მზემ
გესლიანმა-წითელმა ასთაკვებმა
და მაინც მშია

რატომ დავუგდე ყური
პირთამდე მავსებენ ცოცხალი
ჰარმონიები

გარდაცვლილთა მოჩვენებითი ხმები
ცრემლიც კი კრაჭუნობს და ისე
მიღარავს სახეს!
როგორც შუშაზე გატარებული ალმასი*
და დანაღმული სიჩუმე
გუგუნებს როგორც დაფდაფის ტყავი
მესმის უბედურს როგორ
აღმოცენდებიან ბალახები

რატომ ამოვიდგი ენა
და დავკარგე ღუმილი — ოქრო
ახალს რას მეტყვის ყბედი
ამ მზის ქვეშ
შელოცვა მაინც ვიცოდე
ყურთამდე მოღებულმა
ჩემშივე გამოვიკეტებოდი

რატოცა ცუდი შემემთხვევა?
არ შემემთხვევა არაფერი
ამასაც ავიტან

რამდენჯერ უნდა მიაყენონ
შეურაცხყოფა
თანამედროვე ადამიანს

მაშასადამე
როგორც კი დასრულდება
პატარა ასო-ნიშნის
მთელი ეს ისტორია
მაშინვე საქმეს შევუდგები
რა? დიან
ერთხელ კიდევ შევუდგები საქმეს
ვა! დავიწყებ ჩინურის შესწავლას
ღირს კია
რა თქმა უნდა
დიდი პატრიოტი
პოეტი ლუ იუ

ცხოვრობდა
1125 და 1210 წლებს შორის
როდესაც მონღოლები იპყრობდნენ
ჩინეთს
მან დაწერა
9300 ლექსი
ჩინეთში იმ დროს
ლექსებს წერდნენ
ქვევიდან ზევით
და მარჯვნიდან მარცხნივ
ყოველგვარი სასვენი ნიშნების გარეშე



აქრონი უხადლისას

A

სალ-სალამათად ვიყავი და
მოვიხილე ნაპირები აქრონისა

მთელი ნახევარი საათი მივაბიჯებდი
რკინიგზის ვაგზლისაკენ
ჩავუარე ფურნეს
საფოსტო განყოფილებას
სალუდესთან
კაცები იდგნენ
ჭუჭყიანი პერანგები ეცვათ

მიიღია შარშანდელი თოვლი
ქათქათებდნენ გაზეთები
უსათაურო და უშრიფტო გაზეთები
გიყვართ თუ არა ქუჩის სიმღერა
— მომიბრუნდა ანაზღად
რომელიღაცა უცნობი —
მიყვარს
როცა არღანზე ამღერებენ
შემოდგომის ცივსა და
ბნელსა და ნესტიან საღამოს

არღანი?
შემოდგომის საღამო?
რომელიღაცა სტუდენტი იყო
ღიახმან პშონიაკი იქნებ რასკოლნიკოვი
დეიკა ვლადეკ კარბოვიჩი

იქით კინოთეატრი ზღაპარი
და დამკრძალავი კანტორაა
ოცი წელიწადი
ამ ქუჩებში დავეხეტები
რძისფერი შუშები სწორი ასოები
გვირგვინები კატაფალკები
კუბოები პატარა კუბოები
პატარა კუბოები?
ეტყობა ხუმრობს
რომელიღაცა ოპტიმისტი

ამ კედლებს შორის მივაბიჯებდი და
ასე დავასრულე
ორმოცდამეხუთე წელიწადი
ცხოვრებისა

გული მშვიდად მიცემდა
საათის თორმეტი იყო
როდესაც თავი ამოვყავი
არხის ნაპირას

წვიმის სიმებში
შავ ტალახზე
ფრთებს აწყობდნენ
ფარვანები და მეგლოვიები
შავსა და ცხიმოვან წყალში
ცეკვავდნენ და ცეკვავდნენ ფერიები

თამაშობდნენ მარტორქები
ირწეოდნენ თეთრი ვეშაპები
სუნთქავდნენ ვარდისფერი ღრუბლები
ფილტვებისა

ილანდებოდა გული
სტომაქი
საშო

III კატეგორიის რესტორანში
მუწუკებიანი უმწიფარა
ფრჩხილებს იკვნეტდა
შუშაზე აქყლეტდა ბუხებს
ისმოდა ტკაცანი

მკვდარ
დამაზუთიანებულ წყალზე
საზიარებლად მიაბიჯებდნენ
მწვანეგვირგვინებიანი
გოგონები

წინ მივცურავდი
პირდაპირ სწრაფად
პირლია
შემოვტრიალდი
თავზარი დამცა სანახაობამ
ღი რომ მიმელოდა და,
აზრდებოდა

ვუბრუნდებოდი სათავეს
პირდამუწული
წყალი იყო ანკარა ცოცხალი
ყელივით ვიწრო კალაპოტით

ჩარი არხევდა ტოტებს ჩვენ არ
ვიყავით ოდეს
ჩარი შეარხევს ტოტებს ჩვენ არ
ვიქნებით ოდეს

„ამერიკაში გამგზავრების“ წინ
სვიდრიგაილოვი
მიირთმევდა თბილსა და ტბილ/ჩაის
გვახლებოდათ ცივ ხბოს ხორცს
წარბებს ქვემოდან უთვალთვალვდა
უცოდველ არსებებს
და
შემპარავი ღიმილი
ნელ-ნელა უგრძელვდა
ვარდისფერ
პატარა ტუჩებს

იმ ქვეყნიდან
აღწევდა სუნი
კომბოსტოიანი დომხალისა
შიგნეულისა ლობიოს წვნიანისა

მოფრინავდნენ
შარშანდელი თოვლის ფიფქები

B

მივცურავდი
ჩემში
სათავეც ვიყავი
და მინდოდა
გამომეცურა ჩემს მაგიერ
დავბრუნებულყავ უფრო შორს უფრო
ღრმად
უფრო ადრე


მძინარეთა წინარე
მიდიოდა მდინარე
ქათქათებდა ქაფქაფებდა
წალეკა წალეკა

C

მიემგზავრებოდნენ ავტობუსით
შემდეგ ცხენებით
დაწნული ურმებით
შარა-შარა ჩქარა-ჩქარა

ტყე ტყეს ჰგავდა
 ღმერთი ღმერთს
 ეშმაკი ეშმაკს
 ვაშლი ვაშლს
 მდელო მდელოს
 მთა მთას
 ხეობა ხეობას
 სიმაღლეს სიმაღლეს
 ხე ხეს
 სიცრუეს სიცრუეს
 ცხენი ცხენს
 ღამე ღამეს
 მშობლები მშობლებს
 მდინარე მდინარეს
 დუმილი დუმილს

სიკვდილი სიკვდილს
 სიცოცხლეს სიცოცხლეს



ქართული
 ენის ენა

ქურას ახურებდნენ
 გირჩებით და ფიჩხით
 განთიადისას აგროვებდნენ
 ზეთიანას არყას
 ნარინჯისფერ მელისყურას
 ტაფაზე აცხობდნენ
 კარტოფილის ალაღებს

იადვიგა ამზადებდა ჭკავის გუფთას
 რძიან „ბოჩანებს“
 ვარტის წყალი იყო წმინდა
 ცოცხალი



წისქვილი რაკუნობდა ქათქათა
 მთვარის შუქზე ბებერი მარჩაკი
 ბარჯს არტობდა
 თევზების უძრავ
 შავ ზურგებში
 კარაპანში ეძინათ თივაზე
 ანდა ნამჯით გატენილ
 მალალ ლეიბებზე
 ღამით ერთმანეთს უამბობდნენ
 ჯვრ ტეხასის და პარი პილის
 ტომ შიქსისა პატისა და პატაშონის
 არსენ ლუპენის თავგადასავლებს

ზანგი ქალის გამოსასყიდად
 ქარი არხევდა ტოტებს ჩვენ არ
 ვიყავით ოღეს

აქ არვის გაეგონა
 ჰიტლერის სახელი
 ძია ანტონი იგონებდა
 რუსეთ-იაპონიისას
 კომოდებში ზანდუკებში
 შემორჩენილი მანეთიანები ეწყო
 კაპიკიანებით
 ღილობანას თამაშობდნენ
 ორთავეიანი არწივით
 ქვეყანას მართავდა ბაბუღია
 საკუთარი საბურველით მფარველობდა
 დედოფალი პოლონეთის გვირგვინისა
 სოფელს სული ეხუთებოდა
 ხელების სიჭარბისაგან
 ბოღმა
 აღრჩობდა

ერთი საათის შემდეგ
 „გამოცხადდებოდა“ მამა
 პანაშითა და ხელჯობით
 გაპარსული კეთილსურნელოვანი
 მოჭქონდა გაზეთები
 მუხუ იკაცა ექსპრესი
 ფშევოდნიკ კატოლიცკი
 პიტნის კამფეტები
 და ვაფლი

ჩენსტოხოვში კიცხავდნენ
 უღმერთო კომუნისტს
 და ათეისტს
 ჩვენს დღეში არ გვენახა
 კომუნისტი
 ბოშებითა და ებრაელებით

ვერცხლს ოქროს
 გულმოდგინედ აგროვებდნენ
 ურჯულთა მონობისაგან

აშინებდნენ ბავშვებს
 მამა გვიამბობდა ამბავს
 მაცოხისა და მისი საყვარლისა
 რომელიც ვიოლინოზე უკრავდა
 და რომელსაც ნაწნავეები ქუსლებზე
 სცემდა
 დისკოს სტუორცნიდა კონოპაცკაია
 ქუსოჩინსკი დაფნის გვირგვინს
 ეცილებოდა ნურმს
 მერე გავიგონეთ
 ჰიტლერის
 გვარი
 გარდაიცვალა ბაბულია

გენერალ ფრანკოს ლეგიონერები
 იბრძოდნენ
 ქრისტე მეფის დროშით
 შემდეგ დაიწყო ბიზუნიციუნი
 შემდეგ იზრდებოდა განუწყვეტლივ
 ეთერში ეკრანებზე
 გაზეთების სათაურებში
 ფიქრებში
 თვლებში
 ბავშვობა
 მძიმდებოდა

დიდხანს მივცურავდი
 პირდამუწული
 შემოვტრიალდი
 არავინ მელოდებოდა
 სათავესთან და შესართავთან
 არავინ
 მელოდებოდა ორივე ნაპირზე
 მივიწეე სიღრმეში
 წრეებს ვარტყამ
 ვუახლოვდები ზედაპირს
 აქ მეტია სითბო
 ამოვხტი ენადაფლეთილი
 ეს ანკესი ხუმრობა არ გეგონოთ
 ან სიტყვებისაგან გამოჭედილი
 წვრილმანი

ღ
 ვლამობ შევჩერდე
 ამოვანთხო სატყუარა
 შემიძლია
 ოლონდ შიგნეულთან ერთად
 მაშინ ვრწმუნდები
 ისევ
 რომ
 უნდა დავთანხმდე
 მოვიპოვე თავისუფლება
 სიმსუბუქე
 ძუა
 ანკესისა გრძელდება
 მივცურავ უსასრულობაში
 ჩემი დროის მხარდამხარ

□



თარგმანა ლილი გაბაძლიანიძე

დიდგარხვის პირველი ორზაბათი

მოსკოვეური ზამთრის ნაცრისფერ დღეს თანდათან ბინდი შეეპარებოდა, გაზი ცივად, ულიმლამოდ აბუტდებოდა ფარნებში, აბელვრიალდებოდნენ მაღაზიის ვიტრინები — მთელი დღის გარჯაფაცაფუცით დაღლილ ქალაქს თანდათან ღამის ცხოვრება დაეუფლებოდა, ქუჩები მეეტლიანი მარხილებით აივსებოდა, ხალხით გაჭედილი ტრამვაი ნელა, დამძიმებული არახრახდებოდა ღიანდაგებზე, მავთულებიდან ბლუჯა-ბლუჯა დაიბნეოდა პაწაწა, მწვანე ვარსკვლავები. საღამოს ბინდ-ბუნდში სწრაფად, ლანდებივით აირეოდნენ გამვლელ-გამომვლელნი... დადგებოდა თუ არა ეს დრო, იორღაშებმული მარხილით ჩემი მეეტლე წითელი კარიბჭეებიდან იესო მაცხოვრის ტაძრისაკენ მიმაქროლებდა, ვინაიდან იმ პერიოდში ისიც სწორედ იმ ტაძრის პირდაპირ ცხოვრობდა — მოვკიდებდი ყოველ საღამო ხელს და სასადილოდ „პრადასა“, „ერმიტაჟსა“ ან მეტროპოლში“ მიმყავდა, იქედან უსათუოდ თეატრსა ან კონცერტზე მივდიოდით. ჩვენს მომავალზე თითქმის არ ვფიქრობდი, უფრო სწორად, არასოდეს ვულრმავდებოდი ამ საკითხს — აბა, რა აზრი ჰქონდა, იგი თავს მუდამ ჯიუტად არიდებდა ამაზე საუბარს... სიმართლე რომ ითქვას, ჩემთვის იგი ნამდვილი გამოცანა იყო, უცნაური და გაუგებარი იყო ჩვენი ურთიერთობაც — იმის გამო, რომ ახლოს არ მიკარებდა, ერთთავად აუტანელ მოლოდინში ვიყავი, თუმცა მის გვერდით გატარებული ყოველი წუთი ენით უთქმელი სიხარულითა და ბედნიერებით მავსებდა.

იმ პერიოდში, მახსოვს, რაღაც კურსებზე სწავლობდა, თუმცაღა საკმაოდ იშვიათად ესწრებოდა გაკვეთილებს. ერთხელ როგორღაც ვკითხე: რად გინდა, ნეტავი ეს კურსები რაღაში გჭირდება-მეთქი? მხრები აიჩეჩა და — ეჰ, იცის კი ვინმემ, ვის რა ან რისათვის სჭირდება, ზოგჯერ შენი საქციელისათვის თვითონვე არაფერი გაგეგება, უბრალოდ, ისტორია მაინტერესებსო... დედა კარგა ხნის გარდაცვლილი ჰყავდა, მამა კი, ვაჭართა ერთ-ერთი განთქმული გვარის წარმომადგენელი, დიდად განათლებული კაცი, ცხოვრობდა ტვერში თავისთვის არხეინად და სხვა მისი ჯურის ვაჭრების კვალობაზე ცოტ-ცოტა ქონებას ისიც აგროვებდა. თვითონ მარტოდმარტო იყო მოსკოვში, ბინა მაცხოვრის ტაძრის წინ, ხუთსართულიანი სახლის მეხუთე სართულზე ჰქონდა დაქირავებული — კუთხის ბინა იყო მთელი, მოსკოვი ხე-

ლისგულივით ჩანდა. მართალია, ოროთახიანი, მაგრამ, საკმაოდ ფართო, საუკეთესოდ მოწყობილი ბინა გახლდათ. შესასვლელში უშველებელი დივანი და ძვირფასი პიანინო ედგა. დაჯდებოდა და უკრავდა „ქვეყნის-სტრატის“ მშვენიერ, სომნამბულურ შესავალს. როდესაც არ უნდა მუხუჭიყვიყვიებინოსა და სარკეების წინ, ბროლის ლარნაკებში, დიდებული, ახალთახალი ყვავილები იდგა (ყვავილებს ჩემი ბრძანებით უგზავნიდნენ ყოველ შაბათს). საღამოს ოთახში რომ შევიდოდი, დივანზე წამოწოლილი (რომლის თავზედაც რატომღაც ფეხშიშველი ტოლსტოის სურათი იყო ჩამოკიდებული), საკოცნელად ხელს ნელა გამომიწოდებდა და — ამ ყვავილებისათვის დიდი მადლობელი ვარო, — დაბნეული მეტყობდა. ისე არ მივიდოდი, შოკოლადი, პოფ-მასტალის, შნიცლერის, ტოტმაიერისა ან პშიბიშევსკის ახალი წიგნები არ მიმეტანა. ზოგჯერ მიბრძანებდა, პალტოგაუხდელად დივანთან ახლოს დავჯდომოდი — ასე მგონია, არაფერი შეედრება ზამთრის სუსხიანი პაერის იმ სურნელს, ყინვიდან შემოსული კაცის სამოსს რომ შემოჰყვება ხოლმეო, — ამბობდა და თან ჩემი პალტოს საყელოზე მოვლებულ თახვის ბეწვს თვალს არ აცილებდა. ერთი შეხედვით მისთვის თითქოს ყველაფერი სულერთი იყო, თითქოს არც ეს ყვავილები აინტერესებდა, არც წიგნები, არც თეატრი, არც მდიდრული სადილ-ვახშმები, მიუხედავად ამისა, ზოგი ყვავილი უყვარდა. ზოგი არ უყვარდა, მიტანილ ყველა წიგნს თავიდან ბოლომდე კითხულობდა, მთელ კოლოფ შოკოლადს სიამოვნებით ათავებდა ერთ დღეში, სადილსაცა და ვახშამსაც ისევე მადიანად მიირთმევდა, როგორც მე; ღლაბუტას წვნიანს ღვეზელს ისე გულიანად მიატანდა, მაძლარსაც კი ჭამას მოგანდობებდა; უყვარდა არაქანში ჩადებული, კარგად შემწვარ-შებრაწული გნოლქათამა. ხშირად იტყობდა ხოლმე, ნეტავი არ ბეზრდება ამ ხალხს, შუადღისას სადილი, საღამოს ვახშამი, მერე ისევ სადილი, მერე ისევ ვახშამიო... თვითონ კი, კიდევაც სადილობდა, კიდევაც ვახშამობდა, თანაც რომ იტყვიან, ამ საქმის ნამდვილი მოსკოვური გემოთი და გაგებით, თუმცა კარგ ჩაცმა-დახურვას მაინც არაფერი ერჩია, ძვირფასი ბეწვეული, ხავერდი, აბრეშუმი...

ორივენი მდიდრები, ჯანმრთელები, ახალგაზრდანი, შესახედავდაც ორივენი ისეთი მშვენიერები ვიყავით, თეატრი იქნებოდა თუ რესტორანი, საითაც არ უნდა გაგვევლო, არ შეიძლებოდა თვალი არ გამოეყოლებინათ. მართალია, წარმოშობით პენზის გუბერნიის მკვიდრი გახლდით, მაგრამ იმ დროს რატომღაც სამხრეთული ეშხი და მოხდენილობა უფრო მქონდა, ის კი არა, „უხამსად ლამაზიც“ კი მეტქმობდა. ეშმაკმა უწყის, ვინმე სიცილიელი ხართ თუ ვინა ხართო, — მითხრა ერთხელ ერთმა ცნობილმა მსახიობმა, თვითონ საოცრად ტლანქმა და მოუქნელმა. თუმცა დიდად განათლებულმა და გონიერმა კაცმა. ხასიათიც უფრო სამხრეთელს მიგავდა — სიცოცხლით სავსე, მუდამ სახეგახსნილი, მხიარული და ხალისიანი; ის კი სპარსი ან ინდოელი ასული გეგონებოდათ — შავგვრემანი სახე, ხშირი, არაჩვეულებრივად შავი, საუცხოო თმა, შავი, სიასამურის ბეწვივით ნაზი, მბზინვარე წარბები, შავი, ხავერდოვანი თვალები, ჭიაფერის პრიალა ტუჩები, ტუჩზემთი ნაზი, შავი ღინღლი. სადმე ისეთ ადგილას თუ წავიდოდით, ყველაზე უფრო ბროწეულის ყვავილისფერი ხავერდის კაბის ჩაცმა უყვარდა. კურსებზე კი სადად, მოწაფესავით უბრალოდ ჩაცმული დადიოდა, ჭამითაც არბატზე, ვეგეტარიანულ სასადილოში სულ რაღაც ოცდაათიოდე კაპიკად სადილობდა. რამდენადაც მე გულღია, ალალი,

ლაპარაკის მოყვარული და მხიარული ხასიათისა გახლდით. იმდენად იგი უსიტყვო და გულჩახვეული იყო, თითქოს სულ რაღაცის ფურცლია, რომელიც უნდა ამოხსნას, გონებით რაღაცას უნდა ჩასწვდესო. იწვა დივანზე წიგნით ხელში და წინ გაშტერებული იყურებოდა. ვინ იცის, რამდენჯერ წაიკითხა ეს წიგნი და რამდენჯერ დაეწინაურა. ზოგჯერ სამი-ოთხი დღე ისე გაივლიდა, გაივლიდა, არ გამოადგამდა, ეჭირა წიგნი და კითხულობდა. ის კი არა, ხშირად მეც მაიძულებდა, ვმჯდარიყავი დივანის გვერდით სავარძელში და ჩუმად შეკითხა — რა ლაქლაქა და მოუსვენარი ხართ, ის მაინც მაცალეთ, ეს თავი ბოლომდე ჩავიკითხო.

ლაქლაქა და მოუსვენარი რომ არ ვყოფილიყავი, ვერასოდეს გაგიცნობდით-მეთქი, — ვეტყვოდი და უსათუოდ ჩვენი გაცნობის ამ პირველ დღეს გავახსენებდი, დეკემბრის ერთ სუსხიან საღამოს თავი ანდრეი ბელის ლექციაზე როგორ ამოვყავი. ბელის მთელი ლექცია სიმღერით როგორ ჩამოაჭიკჭიკა, ესტრადაზე როგორ დაბტოდა და როგორ ცეკვაოდა, მე ამის შემხედვარე ხმამაღლა როგორ ვხარხარებდი, რა წრიალსა და ხორხოცში ვიყავი, თვითონ კი, გვერდითა სავარძელში შემთხვევით მოხვედრილმა ჯერ გაოცებულმა როგორ შემომხედა, მერე იმასაც სიცილი როგორ აუტყდა, მეც მაშინვე დრო როგორ ვიხელთე და როგორ გამოველაპარაკე.

— კი, ბატონო, ყველაფერი ასეა, მაგრამ, ხომ შეგიძლიათ, ცოტა ხანს გაჩუმდეთ, ან წაიკითხოთ, ან მოწიოთ...

— არა, არ შემიძლია-მეთქი, — ვეტყვოდი და ავწუწუნდებოდი: — არა, თქვენ მე არ გიყვარვართ, არა, არ გიყვარვართ... მე კი... ეჰ, რომ იცოდეთ...

— ვიცი... რაც შეეხება ჩემს სიყვარულს, მე მგონი, ბევრჯერ მითქვამს, მამასა და თქვენს მეტი ამქვეყნიად არავინ გამაჩნია, ყოველ შემთხვევაში, თქვენ ჩემთვის პირველიც ხართ და უკანასკნელიც. გამოდის, რომ თქვენთვის ეს საკმარისი არ არის... — და ბოლოს დასძენდა: — ეჰ, რაც არის, არის, სულ ერთია, ახლა ვედარაფერს წავიკითხავ, მოდი ისევ ჩაი დავლიოთ.

მეც მაშინვე წამოვდგებოდი, დივანის გვერდით, პატარა მაგიდაზე დადგმულ ელექტროჩაიდანში წყალს ავადულებდი, კაკლის ხას კარადიდან ფინჯნებსა და ლამბაქებს გადმოვალაგებდი და რაც ენაზე მომადგებოდა, ვლაქლაქებდი.

- „ცეცხლოვანი ანგელოზი“ თუ დაამთავრეთ?
- ჩავათვალიერე... ისეთი მალაღფარდოვანია, ვკითხულობდი და მრცხვენოდა.
- გუშინ შალიაპინის კონცერტიდან რატომ გამოიქვეცი?
- მეტისმეტად ჩაუჭი ბრძანდებოდა... ესეც რომ არა, არ მიყვარს ყვითელ-თმიახი მამაკაცები.
- სულ რაღაც არ გიყვართ, რაღაც არ მოგწონთ.
- ჰო, ბევრი რამ მართლაც არ მომწონს.

„აბა, ეს რა სიყვარულია!“ — ვფიქრობდი გუნებაში და ვიდრე წყალი ადუღდებოდა, ფახჩარაში ვიყურებოდი. ოთახში ყვავილების საამო სურნელი ტრიალებდა და ჩემთვის ისიც სწორედ იმ ყვავილების სურნელივით იყო. ქვემოთ, მდინარის გაღმა, თეთრად გადათოვლილი მოსკოვი უზარმაზარი მტრედისფერი სურათით იყო გაშლილი, მარცხნივ კრემლის კუთხე ჩანდა, წინ ახლადაგებული მაცხოვრის ტაძარი ქათქათებდა, ოქროს გუმბათის თავზე უაპრავი ქილყავი ირეოდა და მათი ჩრდილები გუმბათს მოლურჯო ლაქე-

ბად ეფინებოდა... ვფიქრობდი ოხოტნი რიადზე, ივერის ხატის საყურდარზე, ვასილი ნეტარხსენებულის ტაძარზე და გუნებაში ვამბობდი, რა უცნაური ქალაქია, სად ეს „ვასილი ნეტარხსენებული“, სად იტალიური ტექნიკური მუშაობის ეკლესია და ეს რაღაც ყირგიზულის მსგავსი კრემლის კედლის მსგავსი მეთქი.

ხანდახან მივალ შებინდებულზე და ვხედავ, დივანზეა წამოწოლილი, ტანზე სიასამურის ბეწვმოვლებული ახალუხი აცვია — ეს ჩემი ასტრახანელი ბებიის მემკვიდრეობაო... დავუჯდები გვერდით, სინათლესაც არ ავანთებ, ვზივარ ასე ნახევრად სიბნელეში და გაშმაგებული ვუკოცნი ხელებს, ფეხებს, აბრეშუმივით სრიალა ტანს... თითქმის არ მეწინააღმდეგება, ოღონდ გაჩუმებულია, ზმას არ იღებს. აი, მის გახურებულ ბაგეებს ხარბად ვეწაფები, ისიც მომყვება, ზმას კი მაინც არ იღებს. იგრძნობს თუ არა, თავს ველარ დაიმორჩილებსო, წყნარად მომიშორებს, ლოგინზე წამოჯდება, სინათლე აანთებო, — ერთი კი მეტყვის და თვითონ საძინებელ ოთახში გადის. მეც ავანთებ სინათლეს, პიანინოს წინ, მბრუნავ სკამზე ჩამოვჯდები და გონებაზე ძლივს მოვდივარ. თხუთმეტობდე წუთის შემდეგ საძინებელი ოთახიდან ის უკვე ჩაცმულ-დახურული, წასასვლელად გამზადებული გამოდის და ვითომც არაფერი მშვიდად მეუბნება: — „მეტროპოლიტენში ხომ არ წავსულიყავით?“ მერე კი მთელ იმ საღამოს კვლავ განყენებულ საუბარში გავატარებთ. მახსოვს, პირველად ქორწილზე საუბარი რომ ჩამოვუგდე — აბა, რა საცოლეც მე ვარო, — მაშინვე ცივად მომიჭრა, მე კი იმედს მაინც არ ვკარგავდი — ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს-მეთქი, დარწმუნებული ვიყავი, დროთა განმავლობაში გადაწყვეტილებას შეიცვლიდა. ჩვენი ეს სანახევრო სიახლოვე ჩემთვის ხანდახან აუტანელიც კი ხდებოდა, მაგრამ, რა უნდა მექნა, ისევ დროის იმედზე ვიყავი. ერთხელაც ვუზივარ ასე გვერდით საღამოს ბინდსა და სიჩუმეში, რომ უცბად ველარ მოვითმინე და თავზე ხელი ვიტაცე:

— არა, მეტი აღარ შემიძლია!... არა, ის მაინც ვიცოდე, ვისთვისაა საჭირო ან ჩემი და ან საკუთარი თავის ასეთი წამება?

ის კი წევს ისევ ისე გაჩუმებული და ზმას არ იღებს.

— არა, არა, აბა ეს რა სიყვარულია!..

— მერედა, იცის კი ვინმემ, სიყვარული რა არის? — მპასუხობს ბოლოს სადღაც წყვდიადიდან.

— ვიცი!.. ვიცი და მანამდე მოვიცდი, ვიდრე თქვენც არ გაგაგებინებთ, ან სიყვარული რა არის, ან ბედნიერება.

— „ბედნიერება, მეგობარო, წყალში ჩაგდებულ ბადეს ჰგავს, ცოტას ამოსწევ, გაიბერება, ამოიღებ და ბურთივით დაიჩუტება“.

ეგ რომელმა ბრძენმალა ბრძანა-მეთქი?

რომელმა და პლატონ კარატაევმა, არ გახსოვთ, პიერს რომ ეუბნებო?

მე ხელი ჩავიქნიე:

— ეშმაკსაც წაუღია ეგ შენი აღმოსავლური სიბრძნე!

და აი, მთელი ის საღამო ისევ განყენებული საუბარი: სამხატვრო თეატრის ახალი დადგმა, ანდრეევის ახალი მოთბრობა... რას იზამ, იმითაც ბედნიერი ვარ, გაფრენილ მარხილში მის გვერდით რომ ვზივარ, ან „აიღას“ მარხის ხმაზე ხალხით გაყვდილი რესტორნის დარბაზში შევდივარ, ვსვამ და ვჭამ მის გვერდით, ვისმენ მის წყნარ ზმას, შევყურებ მის ბაგეებს, რომელთაც სულ რაღაც ერთი საათის წინ ასე გახელებული ვკოცნიდი — დიახ, დიახ.

ვკოცნიდი-მეთქი, — ვეუბნები ჩემ თავს და ალტაცებული შევყურებ ზაგეებს ზემოთ წამოსულ მუქ ღინღლს. ძოწისფერი ხავერდის კაბას, მის ნატიფ, ძრგვალ მხრებს, მის მკერდს, ვიყნოსავ მისი უმშვენიერესი თმის ნაზ სურხელს და გონებიდან არ მცილდება: „მოსკოვი, ასტრახანი, სპარსეთი, ენდოეთი...“ ზოგჯერ ვსხედვართ რომელიმე ქალაქგარეთა რესტორანში, ვახშამი თანდათან ეშხში რომ შევა, დარბაზში ხმაური რომ იმატებს, ისიც მოწვეას იწყებს, სვამს და თვრება, მერე ცალკე კაბინაში გამოყვანს და მთხოვა, ბოშებს დავუძახო. მალე ხორხოციტა და ხმაურით ბოშები კაბინაში შემოლაგდებიან, წინ ჩაფარიშიან კაზაკურაში გამოწყობილი, თუჯის ბურთულასავით თავმოკრიალელებული ბებერი ბოშა მოუძღვით, წყალში დამბრჩვალავით ნაცრისფრად სახეჩატეტკილს მხარზე ცისფერბაფთაშებმული გიტარა აქვს გადაკიდებული. უკან შუბლზე შავთმაჩამოყრილი ბოშა ქალი მოსდევს... ის კი ზის და საოცრად მიბნედილი, უცნაური ღიმილით სახეგანათებული უსმენს, აი, უკვე ღამის სამი საათია, შინ კი მხოლოდ მერეღა ვბრუნდებით. სადარბაზოს წინ ბედნიერებისაგან გულაფანცქალებული თვალებს ვხუჭავ, ქურქის სველ საყელოს ერთხელ კიდევ ვუკოცნი და სასოწარკვეთილი აღფრთოვანებით სავსე წითელი კარიბჭეებისაკენ მივქრივარ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, არც ხვალ შეიცვლება არაფერი, არც ზეგ და არც მაზეგ, ეს ტანჯვა და ბედნიერება ხვალაც ასე გაგრძელდება, ზეგაც და მაზეგაც. მაგრამ, რას იზამ, ჩემთვის ეაეც დიდი ბედნიერებაა-მეთქი, — გულს არ ვიტებ, ასე გავიდა იანვარი და თებერვალი, მოვიდა და წავიდა ყველიერი, ერთხელაც არის, მთხოვა, მიტევების კვირას საღამოს ხუთი საათისათვის მივსულიყავი, ოთახში რომ შევედი, იგი უკვე კრაველის მოკლე ქურქსა, კრაველის შლაპასა და შავი ფეტრის ბოტებში დამიხვდა გამოწყობილი.

— რა სულ შავები გაცვიანთ? — როგორც ყოველთვის, ახლაც მხიარულად მივაძახე კარებიდანვე.

მშვიდად, ალერსიანად შემომხედა:

— ზვალ ხომ დიდმარხვის პირველი ორშაბათია!

მერე კრაველის მუფტიდან ლაიკის ხელთათმნიანი ხელი ამოიღო და გამომიწოდა — „ღმერთო, მეუფეო ჩემი ცხოვრებისაო...“ არ გინდათ, ნოვოდევჩიხის მონასტერში წავიდეთ?

ცოტა არ იყოს, შევეცბი, მაგრამ, მაშინვე ვუპასუხე:

— მინდა!

— ხომ არ შეიძლება, კაცი დღედაღამ სამიკიტნოში იჯდეს, — თქვა და წყნარად განაგრძო: — აი, გუშინ დილას როგოჯის სასაფლაოზე ვიყავი...

ამ სიტყვებზე მე კიდევ უფრო გაოცებულმა შევხედე:

— სასაფლაოზე? ის ხომ ცნობილი სტაროვერული სასაფლაოა? რა გინდოდათ?

— ჰო, სტაროვერული სასაფლაო... პეტრესდროინდელი რუსეთი... ვილაც თავიანთ არქიეპისკოპოსს მარხავდნენ. აბა, წარმოიდგინე, ძველებურად გულამოდებული მუხის მორის კუბო, ოქრომკედით ნაქარგი სტავრა ისეთია, ნაბეჭი გეგონება; მიცვალებულის სახეზე გადაფარებულ თეთრ დაფარნაზე შავი, გრეხილი ორნამენტია ამოქარგული — საოცრად მშვენიერი და თან არაჩვეულებრივად საშინელი; კუბოს სამწერობლიანი და ჯვრის სასანთლიანი დიაკვნები დასტრიალებენ.

მართლაც, წავედით ორდინკაზე. დიდხანს, დიდხანს დაგვატარებდა მეეტლე რომელიღაც ბაღებსა და შესახვევებში... და აი, როგორც იქნა, გავვედით გრიბოედოვის შესახვევში, მაგრამ, ვის რას ჰკითხავ, ქუჩაში ადამიანის ჰაჭანება არ არის, ესეც რომ არა, ვითომ ვის რაში ეკითხება ის! შენაწი გრიბოედოვი! კარგა ხანია უკვე ბნელა, შეჭირბულულ ხეებსა და ხეებში შორის კარდისფრად განათებული ფანჯრები იმზირებდნენ.

— აქ კიდევ ერთი მონასტერიცაა — მართა-მარიას მონასტერი.

ამ სიტყვებზე მე ხმამაღლა გავიცინე:

— ისევ მონასტერი?

— არა, ისე...

„ოხოტნი რიადზე“ ეგოროვის სამიკიტნოს ქვედა სართული უშნოდ აჭაჭული მეეტლეებით არის სავსე, სხედან და არაყანმოსხმულ, ერბოთი გაყიყინებულ ბლინებს დასტა-დასტა ნთქავენ. ირგვლივ ისეთი ობზივარია, თავი აბანოში გეგონება. ზედა სართულის დაბალჭერიან, ასეთსავე უჰაერო, ჩამთბარჩაგუბებულ ოთახებში თავი ძველი ყაიდის ვაჭრებს მოუყრიათ, ცხელ-ცხელ ბლინებს ხიზილალასა და შამპანურს აყოლებენ. ჩვენ თავისუფალ ოთახში შევედივართ და გრძელი მაგიდის წინ ტყავგადაკრულ დივანზე ვსხდებით. კუთხეში, ღვთისმშობლის ხატის წინ კანდელი ანთია... ზის, ბაგეზე ამოსულ ღინღლზე ჭირხლი მოსდებია, ქარვისფერი ლაწვები ოდნავ შეჰფაკვლია, შავად ანთებული თვალის გუგები გაჰფართოებულია. მეც ვზივარ ასე მოჩადობებულივით და აღტაცებულ მზერას ვერ ვაცილებ. ბოლოს იმ თავისი სურნელოვანი მუფტიდან ცხვირსახოცს იღებს და მეუბნება:

— ძალიან კარგი! აი, ქვევით ის ხეპრე გლეხები ღრეობენ, აქ კი აგერ, შამპანური და სამხელა ღვთისმშობლის ხატია, წარმოგიდგენია, სამხელა ღვთისმშობელი! ინდოეთია თუ რა! არა, თავადო, შეუძლებელია მოსკოვს თქვენ ჩემსავით იცნობდეთ!

— ვითონ რატომ არის შეუძლებელი! — ვამბობ და თან დავძენ: — მოდით, შევუკვეთოთ „ხორაგი ძალუმი!“

— როგორ თუ „ძალუმი“?

— ესე იგი, მსუყე, ხევიანი... როგორ მოხდა, რომ თქვენ ეს არ იცით, ესე იგი, არ იცით, „წიგნი გიურგისა“?!

— გიურგი? რა მშვენიერია!

— ჰო, თავადი იური დოლგორუკი... „წიგნი, მიწერილი ჩრდილოეთის თავადს სვიატოსლავსა თანა“... მობრძანდი, ძმაო ჩემო, მოსკოვ ქალაქს, და გბრძანო, გაგვიწყონ ხორაგი ძალუმი...

— რა მშვენიერებაა... და აი, ახლა ჩრდილოეთის რომელიმე მივარდნილ მონასტერსა და საეკლესიო გალობებს თუ შემორჩა ასეთი რუსული. ამას წინათ ზაჩატიევსკის მონასტერში ვიყავი, ვერ წარმოიდგენთ, რა საუცხოოდ გალობენ სტიქირონები! ჩუდოვოში ხომ კიდევ უკეთესად... შარშან იქ ყოველდღე დავდიოდი ვნების კვირას. ღმერთო, რა შესანიშნავი იყო! ირგვლივ კრიალა, გამჭვირვალე გუბეებია, ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებს, გულში საოცარ სინაზეს გრძნობ, უცნაური სევდა გეუფლება, თანაც ეს მუდმივი, ენით აუწერელი განცდა სამშობლოსი, მისი სიძველისა... როცა არ უნდა მიხვიდე, ტაძრის ყველა კარი მუდამ ღიაა, მოდის და მოდის ხალხი, წირვა-

ლოცვა მთელ დღეს არა წყდება... ეჰ, წავალ რომელიმე მიყრუებულ მონასტერში, ვოლოგდასა ან ვიატკაში...

მინდა ვუთხრა, მაშინ მეც სადმე გადავიხვეწები, ან ვილატას ყელს გამოვჭრი და სახალინზე გადამასახლებენ-მეთქი, მაგრამ, მღელვარებასთან გაოგნებული მხოლოდ პაპიროსს და ვუკიდებ. ამ დროს წელზე მისდის ფერწონარშემორტყმული, თეთრ შარვალხალათიანი მსახური გვიახლოვდება და შორიდებით გვეუბნება:

— უკაცრავად, ბატონო, აქ მოწვევა არ შეიძლება, — და სხაპასუხით დასძენს: — რა მოგართვით? ბლინებს რას დააყოლებთ — წითელფეხა კოველს, ორაგულს თუ ხიზილალას? თევზის წვნიანთან შეგიძლიათ ხერესი მიირთვათ, შესანიშნავი ხერესი გვაქვს, აი, ნავაგას კი...

— ნავაგასაც ხერესი... — ამბობს იგი და მთელი საღამო ისეთი ხალისიანია, გული სიამით მეფსება. ისე ვარ გახარებული, აღარც კი ვუსმენ, რას ამბობს, ის კი ლაპარაკობს და თვალეში როგორიღაც წყნარი ნათელი ჩასდგომია.

— განა რაიმე შეედრება რუსულ მატთანებსა და თქმულებებს? იმას, რომელიც ყველაზე მეტად მომწონს, იმდენჯერ ვიმეორებ, ვიდრე ზეპირად არ დავიმახსოვრებ: „...რუსეთის მიწასა ზედა იყო ქალაქი მურომი, რომლისა სამეფოებასა შინა მფლობელობდა ვინმე თავადი, რომელსა ერქუა სახელი პავლე. და მიუვლინა ეშმაკ ცოლსა მისსა გუელი მფრინვალი, რაათა ემრუშა, და გუელი იგი გამოეცხადის ქალსა მას ხატითა კაცისა, ფრიად შუენიერთა“.

მე ვითომ შიშისაგან თვალეში დავაჭყიტე:

— ვაიმე...

მაგრამ ჩემს ხუმრობას აინუნშიაც არ აგდებს და კვლავ განაგრძობს:

— ასე გამოსცადა ღმერთმა... ხოლო „ოდეს მოაწია ყამი ქალისა მის სიკეთით აღსრულებისა თავადი იგი და მეუღლე მისი ღმერთს შესთხოვდნენ და ილოცვიდნენ, რაათა ერთად მიეღო სული მათი. და შეერთხმავდა თავადი ცოლისა თანა, რამეთუ შთაიმარხებოდნენ სამარესა შინა ერთსა. და ბრძანეს გამოეცლა ერთისა საფლავისა ქვისა დიდისა, ხატითა მიცვალებულისა ორისათა. და შეიმოსნეს ესრეთვე დღესა ერთსა სამოსითა მონაზონისათა...“

მე ჯერ დაბნეულმა შევხედე, მაგრამ მალე რაღაც საოცარი შიში და მღელვარება დამეუფლა — „ნეტავი დღეს რა მოხდა, რა სჭირს?“...

იმ საღამოს ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ თერთმეტ საათზე უკვე შინ მიმყავდა. სადარბაზოს წინ, ის არის, გამოვემშვიდობე და მარხილში ჩასაჯდომად გამოვტრიალდი, რომ უცბად შემაჩერა:

— იცით რა, ზვალ საღამოს ათზე ადრე ნუ შემოივლით, სამხატვრო თეატრში „კაპუსტნიკია“.

— ესე იგი, „კაპუსტნიკზე“ გინდათ წასვლა?

— კი.

— კი მაგრამ, თქვენ არ ამბობდით, უფრო დიდი უხამსობა არაფერი მინახავსო?

— რა თქმა უნდა! მიუხედავად ამისა, უნდა წავიდე.

მე გუნებაში თავს ვაქნევ — „ახირებაა, ნამდვილი მოსკოვეური ახირება“. ხმამაღლა კი რიხიანად ვეუბნები:

— ოლ რაით!

მეორე დღეს ზუსტად საღამოს ათ საათზე ლიფტში შევდივარ, მისი ბინის კარს ჩემი ვასალებით ვადრე და კარწინ ერთხანს ვჩერდები. ჩამწვლებულ-

ლი დერეფნის იქით მთელი ბინა გაბეჭდვრილებულია — ქალები, მალალი, ლამაზაბაყურიანი ლამპა, სარკის აქეთ-იქით ჩადგმული კანდელაბრები — მოკლედ, თუ რამ ისეთია, ყველაფერი ანთია, ოთახიდან კი ჩვეულებრივზე ხმამალლა, უფრო გამომწვევად, კიდევ უფრო სევდიანად ელერს მთვარის სონატის“ დასაწყისი.

კარის ხმაურზე მუსიკა უმაღლ მიწყდა და ყურში კაბის კალთების შარი-შური ჩამესმა. ოთახში რომ შევედი, ვხედავ, დგას პიანინოს გვერდით, წელში გამართული, ოდნავ თეატრალურ პოზაში, შავი ხავერდის კაბა კიდევ უფრო ნაზსა და ტანკენარს აჩენს, ღამესავით შავი, მბზინვარე თმა საგანგებოდა აქვს დავარცხნილი... შიშველი, ქარვისფერი მკლავები, ნატიფი მხრები, ოდნავ მოღიავეებული სავსე მკერდი, შავი, ხავერდოვანი თვალები, ნამიანი, ალისფერი ბაგეები... ოდნავ შეპუდრული დაწვების გასწვრივ ალმასის საყურეები უციმციმებს და თვითონაც ალმასივით ბრწყინავს; საფეთქლებთან ნახევარწრეებად მოხვეული, ღამესავით შავი, პრიალა ნაწნავები ბაზარში გასაყიდ სურათზე გამოხატულ მაშრიყელ მზეთუნახავს მიუგავს.

— მე რომ მომღერალი ვყოფილიყავი, ესტრადაზე რომ მემღერა, — ამბობს იგი ჩემი დაბნეული სახის შემხედვარე, — ტაშს რომ დამიკრავდნენ, ასეთი ნაზი ღიმილითა და მოხდენილი თავის დაკვირით ვუპასუხებდი — მარჯვნივ, მარცხნივ, ზევით, პარტერში, თან ფეხებში არ ამებლანდოს-მეთქი. ჩუმად, ყველასაგანა შეუმჩნეველად შლეიფს გვერდზე გავწევდი.

„კაპუსტნიკებზე“ იგი ჩვეულებრივზე მეტს ეწევა და ერთთავად შამპანურს წრუპავს, თან ვეება, ქერათმიან, შავწარბება სტანისლავსკისა და მუხასავით ჩაფსკვნილ, ჩოფურა სახეზე პენსნეწამოცმულ მოსკვინს თვალს არ აცილებს. ისინი კი ტანს ერთი უცნაურად გადაიქნევდნენ, ვითომ დიდის მონდომებითა და სერიოზულობით რაღაც უგვანო კანკანს ასრულებდნენ და, იყო ერთი სიცილი და ხარხარი. უცბათ კაჩალოვი მოგვიახლოვდა, ოფლის მსხვილი წვეთებით დაცვარულ შუბლზე თითქმის თეთრი, ბელორუსული თმა ბლუჯა-ბლუჯა ჩამოშლოდა, სიმთვრალისაგან ფერწასულს ხელში ჭიქა ეჭირა. ჭიქა ასწია, სახე გაიპირქუშა, თვალებში დაყინებით ჩააცქერდა და თავისი დაბალი, არტიტულიი ხმით უთხრა:

— შამახის დედოფალო, შენი სადღეგრძელო იყოს!

მან ოდნავ გაიღიმა, ჭიქა მიუჭახუნა, კაჩალოვმა ხელზე ხელი მოჰკიდა და საკოცნელად რომ დაიხარა, სიმთვრალისაგან წონასწორობადაკარგული ლამის ზედ დაეცა, მაგრამ თავი შეიმაგრა, ერთი შემომხედა და კბილებში გამოსცრა:

— ეს ლამაზი ვილაა?... მეჯავრება!

მალე არღანის ბროტინი, სტვენა, მოცეკვავეთა ფეხების ბაკაბუკი და მუსიკის გრიალი ერთმანეთში აირია და მუდამ სადღაც მოჩქარე, მუდამ სახემოცინარე სულერჟიციკი ცეკვა-ცეკვით მოგვიახლოვდა, სასახლის გალანტური კავალრის კვალობაზე მის წინ კისერი მოიდრიკა და აჩქარებით წაიბუტბუტა:

— ნება მიბოძეთ, „პოლკა ტრანბლანზე“ მიგიწვიოთ.

იგი ღიმილით წამოდგა, ფეხების მსუბუქი ბაკუნითა და ალმასის საყურეების ციმციმით მაგიდებს შორის მოხდენილად გასრიალდა და იქ მყოფთა

ატაცებული მზერა და ტაში გაიყოლია. სულერეიცკის კი თავი ვაცვივით აულერებია და თავმომწონედ გაჰკვივის:

სწრაფად, სწრაფად მომყვები,
პოლკა ერთად ვიცეკვოთ...



ქართული

წასასვლელად რომ წამოვდექით, უკვე ღამის სამი საბინის წყნარება-თან წუთით შეჩერდა, თახვის ქუდზე შემომხედა, თახვის საყელოზე ხელი გადამისვა და არ ვიცი, ხუმრობითა თუ სერიოზულად, მითხრა:

— კაჩალოვი მართალია, რა თქმა უნდა, ღამაში ხარ... „გუელი იგი ხატითა კაცისა, ფრიად შეენიერთა“...

მთელი გზა ხმა არ ამოუღია. მთვარის შუქით განათებული თოვლი და ქარბუქი სახეში გვცემდა. იგი ქარბუქს პირს არიდებდა და თავდახრილი მოაბიჯებდა. კრემლის თავზე გაწოლილ ღრუბლებში სავსე მთვარე დაცურავდა.

— შეხედე, თითქოს შიგნიდან განათებული თავის ქალაა! — ამბობს იგი.

სპასკის სამრეკლოზე საათმა სამჯერ რომ დარეკა, ახლა ეს თქვა:

— რა უცნაური ხმა აქვს — ძველთაძველი. ასე გგონია, აულერებული თუნუქისა და თუჯის ხმა ყურში ერთდროულად ჩაგესმის... ხომ წარმოგიდგენია, მეთხუთმეტე საუკუნეშიაც ასე რეკდა, აი, ასე, და ასევე ღამის სამ საათზე. მახსოვს, ფლორენციაშიც ზუსტად ასეთი ხმა ჰქონდა, ვუსმენდი და მოსკოვი მაგონდებოდა...

სადარბაზოს წინ ფეოდორმა მარხილი რომ გაგვიჩერა, როგორღაც სხვათაშორის მითხრა:

— გაუშვით, წავიდეს...

მე გაოცებულმა შევხედე — არ მახსოვს, როდისმე უფლება მოეცეს და ღამით ზევით ავეყვანე.

— შენ წადი, მე ფეხით დავბრუნდები, — ვუთხარი ფეოდორს დაბნეულმა.

ლიფტს ჩუმად ავყევით. ოთახის კარი რომ შევადეთ, შიგნიდან სითბო და ღამის სიმყუდროვე შემოგვეგება, სიჩუმეს მხოლოდ კალორიფერების პაწაწა ჩაქუჩების კაკუნი არღვევდა. თოვლისაგან გასრიალებული ქურქი რომ გავხადე, თივთიკის თავშალი თმიდან პირდაპირ ხელებში ჩამიგდო და აბრეშუმის ქვედა კაბის შარიშურით საძინებელი ოთახისაკენ სწრაფი ნაბიჯით გასწია. პალტო გავიხადე, წინა ოთახში შევედი და თურქულ დივანზე უძირო უფსკრულის პირას მდგარი კაცივით სუნთქვაშეკრული ჩამოვჯექი. ელექტრონით განათებული საძინებელი ოთახის ღია კარიდან მისი ნაბიჯების ხმა მომესმა. გავიგე, კაბა თავზე როგორ გადაიძრო და გახდისას კაბა თმის სარკს როგორ წამოედო... ავდექი და კართან მივედი — ვხედავ, დგას სამკარიანი სარკის წინ მთლად შიშველი და დაწვებზე ჩამოშვებულ გრძელ შავ თმას კუს ბაჯნის სავარცხლით ივარცხნის.

— სულ იმას ამბობდი, ამაზე არ ფიქრობო, — თქვა, სავარცხელი სარკის წინ დააგდო, თმა ზურგზე გადაიყარა და ჩემსკენ შემობრუნდა, — მე კი ვფიქრობდი, აი, სულ ვფიქრობდი...

უკვე გათენებული იყო, მისი სხეულისა და ლოგინის სითბოთი დაბანგულმა თვალი რომ გავახილე, ვხედავ, თავი წამოუწევია და სახეში ჩამცქერის. მერე ჩემსკენ დაიხარა და წყნარად მითხრა:

— დღეს საღამოს ტვერში მივდივარ...

ლოყით ლოყაზე რომ მომეკრა, ვიგრძენი, სველ წამწამებს როგორ აფახულვდა.

— არ ვიცი, რამდენ ხანს დავრჩები, ჩავალ თუ არა, ყველაფერს მოგწერ — რას ვიზამ, რას გადავწყვეტ... ახლა კი, გთხოვ, მარტონ მარტონე, ძალიან დავიღალე.

ცოტა ხანს თავი ისევ ბალიშზე მივდე, მერე ფრთხილად წამოვდექი, ჩავიცვი, თმაზე გაუბედავად ვაკოცე და ალიონის შუქით ოდნავ განათებულ კიბის ბაქანზე უხმაუროდ გავედი. ნელა, უხალისოდ მივაბიჯებდი ახალ ნათოვარზე — ქარი უკვე ჩამდგარიყო, ლარივით გაჭიმული ქუჩა თავიდან ბოლომდე ხელისგულივით მოჩანდა, იდგა თოვლისა და პურის საცხოვების სურნელი, აუარებელი სანთლით გაჩირალდნებულ ივერის ეკლესიასთან რომ მივედი, ქუდი მოვიხადე და გატყეპნილ თოვლზე ვიღაც დედაბრებსა და მათხოვრებს შორის მუხლი მოვიყარე... უცბად ვიღაცამ მხარზე ხელი შემახო, მივტრიალდი და ვხედავ, გაღეული, ცრემლით სახედაღარული, გაუბედურებული დედაბერი მომჩერებია:

— აჰ, თავს ნუ იკლავ, ცოდვია, ასე თავს ნუ იკლავ...

ორი კვირის შემდეგ ბარათი მივიღე, თბილი, ალერსიანი ბარათი იყო, მაგრამ გადაჭრით მთხოვდა, ნუ დამელოდები, ჩემს მოძებნასა და ნახვას ნუ შეეცდებიო: მოსკოვში ალბათ აღარ დავბრუნდები, ერთხან მოწესედ დავდგები, მერე შეიძლება გადავწყვიტო და მონაზვნადაც აღვიკვეცო... დაე, ღმერთმა მომცეს ძალა, რათა ძახილზე არასოდეს გამოგეპასუხო — რა აზრი აქვს, ტანჯვა რისთვის გავიხანგრძლივოთო...

თხოვნა შევუსრულე, მაგრამ, იმ დღიდან მოსკოვის ყველაზე უხეირო, ყველაზე ბინძურ სამიკიტნოებში ვათენ-ვალამებდი, სულ უფრო დაბლა-დაბლა ვეშვებოდი. ბოლოს, როგორც იქნა, საამქვეყნოს ვქენი პირი, მაგრამ ყველასა და ყველაფრის მიმართ გულგრილსა და იმედგაცრუებულს, არაფრის ხალისი და ინტერესი აღარ მქონდა... და აი, თითქმის უკვე ორმა წელიწადმა გაიარა დიდმარხვის იმ ორშაბათის შემდეგ...

ათას ცხრაას თოთხმეტი წლის პირველი იანვრის წინა დღეს სწორედ ისეთივე წყნარი და მზიანი საღამო იდგა, როგორც მაშინ, იმ მარადსახსოვარ, დაუვიწყარ დღეს. სახლიდან გამოვედი, მეეტლე ავიყვანე და კრემლისაკენ გავწიე. დიდხანს ვიდექი მთავარანგელოზის ტაძრის იდუმალეებით მოცულ მწუხარში, შევყურებდი კანკელის ძველთაძველი ოქროს მკრთალ ციალსა და მოსკოვის მეფეთა საფლავების წარწერებს, ვიდექი ცარიელი ეკლესიის საოცარ მდუმარებაში, როდესაც ყოველივე თითქოს რაღაც დიადის მოლოდინშია გარინდული და შენ ლამის ამოსუნთქვისაც კი გეშინია. ტაძრიდან რომ გამოვედი, მეეტლეს ორდინკაზე წასვლა ვუბრძანე. მაშინდელივით ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავდა ცხენები ბალის ბნელ შესახვევში, ვარდისფრად გამომზირალ ფანჯრებქვეშ. აი, გავიარეთ გრიბოედოვის შესახვევი, თან სულ ვტიროდი, ვტიროდი...

ბოლოს ეტლი ორდინკაზე — მართა-მარიას მონასტრის კარიბჭესთან გავჩერებინე. ეზოში აუარებელი კარეტა იდგა. პატარა, სანთლებით გაბუღვრი-ალეებული ეკლესიის ყველა კარი გაფრიალებული იყო, შიგნიდან ქალწულთა გუნდის მწუხარე, გულის ამაჩუყებელი გალობა ისმოდა. რატომღაც ეკლესია-

'ში შესვლის საოცარი სურვილი დამეუფლა, მაგრამ კართან რომ მივედი, მე-
ეზოვემ გზა გადამიღობა:

— არ შეიძლება, ბატონო, არ შეიძლება! — მთხოვა მორიდებით.

— როგორ თუ არ შეიძლება, ეკლესიაში შესვლა არ შეიძლება?

— შეიძლება, ბატონო, რა თქმა უნდა, შეიძლება, ოღონდ, სწორად, ეკლესია-
თვის, ცოტა ხანს მოითმინეთ, ახლა იქ მთავრის მეუღლე — დიდი ქალბატონი
ელიზავეტ ფედოროვნა და დიდი მთავარი მიტრი პალიჩი არიან, ბატონო, ცო-
ტა მოითმინეთ.

მე ხელში მანეთიანი ჩავუდე. მეეზოვემ ერთი მკმუნვარედ ამოიოხრა და
გამატარა. ეზოში შევედი თუ არა, ეკლესიის კარებში ხატის მსახურები გამო-
ჩნდნენ — ხატებსა და დროშებს მოასვენებდნენ, უკან თავით ფეხებამდე
თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი დიდი ქალბატონი მოაბიჯებდა — ნელა,
თვალეზდახრილი, ღირსებით აღსავსე, თეთრი, ოქრომკედით შუბლზე ჯვარ-
ამოქარგული მანდილი კოჭებამდე ჰქონდა დაშვებული, ხელში ანთებული კე-
ლაპტარი ეკავა, უკან ასევე თეთრებში გამოწყობილ ქალწულთა ამაღა მოა-
ცილებდა, მონაზვნები იყვნენ, მოწესეები იყვნენ, მოკლედ, ვინ იყვნენ ან
სად მიდიოდნენ, ვერ გეტყვით. არ ვიცი, რამ მაიძულა, თვალი უცბად შუა-
რიგისაკენ გამექცა. ამ დროს ერთ-ერთმა თეთრმანდილიანმა თავი ასწია, სან-
თელს ხელი მოურჩდილა და ზუსტად იმ ადგილას, სადაც მე ვიდექი, თავისი
შავი თვალებით სიბნელეს ჩააჩერდა... ნუთუ შეეძლო იმ სიბნელეში რაიმე გა-
ერჩია, ჩემი იქ ყოფნა ეგრძნო? მაშინვე ჩუმად გამოვტრიალდი და ქიშკარში
ფეხაკრეფით გამოვედი.

12 მაისი, 1944 წელი

ნ ა ტ ა ლ ი

I

იმ ზაფხულს პირველად დავიხურე სტუდენტური კარ-
ტუზი და იმ განსაკუთრებული ბედნიერებით ვიყავი აღსავ-
სე, რომელიც ახალგაზრდა კაცის გულს მხოლოდ მაშინ ეუფლება, დამოუკი-
დებელი ცხოვრების გემოს პირველად რომ იგემებს. გავიზარდე მკაცრი მემა-
მულის ოჯახში, სოფლად. ეს-ესაა სიჭაბუკეში შესული, დღედაღამ სიყვარულ-
ზე მეოცნებე, სულით ხორცამდე ჯერ ისევ სუფთა და უმანკო, გიმნაზიელი
ამხანაგების ერთ მოურიდებელ სიტყვაზედაც კი ბავშვივით ვწითლდებოდი,
რაზედაც — ეე, მემჩერსკი, ის დროა ბერად სდგებოდეო, — უშნოდ იღრიჯე-
ბოდნენ ჩემი ამხანაგები. იმ ზაფხულს კი ალბათ, აღარ გავწითლდებოდი: არდა-
დეგებზე შინ დაბრუნებულმა, გადავწყვიტე, დროა ჩემი უბიწობა დაეარღვიო.
სიყვარულზე მეც ყოველგვარი რომანტიკის გარეშე ვიფიქრო-მეთქი. და აი,
ამ გადაწყვეტილებითა და ჩემი სტუდენტური „კარტუზის“ ჩვენების სურვი-
ლით შებყრობილმა, სასიყვარულო თავგადასვლების საძიებლად ნაცნობ-ნათე-
სავეები და მეზობელ მემამულეთა ოჯახები მოვინახულე. ასე მოვხვდი დედაჩე-
ნის ბიძაშვილის, გადამდგარი, დიდი ხნის წინათ დაქვრივებული ულანის, ერ-
თადერთი ქალიშვილისა ანუ ჩემი ბიძაშვილის — სონიას მამის — ჩერკასოვის
ბამულში...

ეზოში რომ შევედი, უკვე გვიანი ღამე იყო, ამიტომაც სონიას გარდა არავინ გამოძებებია. ტარანტასიდან სწრაფად გადმოვხტი და პირდაპირ სახლს მივაშურე — ფლანელის საღამურ ხალათში გამოწყობილი სონია შესასვლელში დამიხვდა, მალლა აწეულ მარცხენა ხელში სანთელი ეჭირა და მინათებდა. შევედი თუ არა, ლოყა საკოცნელად მომიშვირა, თავი გადაქნჩნა და „ფიცისებურად“ წაიკვიმატა:

— აჰ, ეს თქვენ ბრძანდებით ის ყმაწვილი კაცი, ყველგან და ყოველთვის რომ აგვიანებს?

— მაგრამ ამჯერად დაიგვიანა არა ყმაწვილმა კაცმა, არამედ მატარებელმა, ისე რომ, თავად არაფერ შუაში გახლავართ.

— სსუუ, უკვე სძინავთ, მთელი საღამო ღამის სული დაგველია შენს ლოდინში, ბოლოს ყველამ ხელი ჩაიქნია, მამაჩემი სულ ბუზლუნ-ბუზლუნით დაწვა, შენ სულ ჩიტირეკია გეძახა, ეფრემს კი, რომელმაც ალბათ იფიქრა, ბარემ დავრჩები, დილის მატარებელსაც დავხვდებით — ტუტუცი და გამოჩურჩუტებული ბებერი. ნატალიც გულდაწყვეტილი წავიდა დასაძინებლად, მოსამსახურეც სადღაც გაქრა, ისე რომ, მხოლოდ მე აღმოვჩნდი ყველაზე მომთმენი და ერთგული... აბა, ახლა კი გაიხადე და სავახშმოდ წამოდი.

— გმადლობთ, ძვირფასო მეგობარო, — ვბასუხობდი და თან მისი ლურჯი თვალებისა და მალლა აწეული, მხრებამდე შიშველი მკლავის ცქერით ვტკბებოდი, — შენს ერთგულებაში დარწმუნება ჩემთვის ახლა განსაკუთრებით სასიამოვნოა; ნამდვილი მზეთუნახავი გამხდარხარ, რა მკლავები გაქვს, რა კისერი, ეგ შენი ფუმფულა ხალათიც, რომლის ქვეშ, დარწმუნებული ვარ, ახლა არც არაფერი გაცვია, დიდად მიმზიდველი და მაცდური რამ არის!

სონიამ გაიციხა:

— ჰო, თითქმის არაფერი... კაცმა რომ თქვას, შენც დიდებული ბიჭი დამდგარხარ — მკვირცხლი გამოხედვა, შავი, საძაგელი უღვაში, მოკლედ, მაგრამ დაეაყვაცებულხარ, ოღონდ, რა მოხდა, ასეთი რა დაგემართა, ვერ გავიგე... ამ ორ წელიწადში, რაც მე არ მინახიხარ, მორიდებული, სირცხვილისაგან მუდამ ლოყებაწითლებული ბიჭუნას მაგივრად, ერთიც ვნახოთ, მომხიბვლელი, თავზე ხელალებული მუსუსი გამომეცხადე! ეს კი, — ნატალი რომ არა, ვისზედაც დარწმუნებული ვარ, ხვალ დილიდან სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე თავდავიწყებით იქნები შეყვარებული, მრავალ სასიყვარულო თავგადასავალს გვპირდება როგორც ამას, ალბათ, ბებიაჩვენები იტყოდნენ.

— კი მაგრამ, ეგ ნატალი ვილაა? — ვკითხე სონიას, როცა იგი ჭერში ჩამოკიდებული ღამპით გაჩახჩახებულ სასადილოში შემძიძვა, რომლის ღია ფანჯრებიდანაც გაზაფხულის თბილი, წყნარი და ბნელი ღამე იმზირებოდა.

— ვინა და, ნატაშა სტანკევიჩი, ჩემი გიმნაზიელი მეგობარი და ჩემი სტუმარი... აი, ვინ არის ნამდვილი მზეთუნახავი! აბა, წარმოიდგინე, არაჩვეულებრივად ღამაში თავი, ოქროსფერი თმა, უფრო სწორად ნამდვილი „ოქროს დალალები“, შავი, ძალიან შავი თვალები, არა, თვალები კი არა, სპარსელებისა არ იყოს, ორი შავი მზე, რა თქმა უნდა, გრძელი, უშველებელი წამწამები და, ცხადია, ისიც არაჩვეულებრივად შავი, სახის კანი ოქროსფრად უბზინავს, ასევე მხრებიცა და სხვა დანარჩენიც.

— სხვა დანარჩენი? მაინც რა სხვა დანარჩენი? — ვკითხე ჩვენი საუბრის კილოთი ფრთებშესხმულმა.

— რაღა, მე და ნატალი ხვალ დილას საბანაოდ მივდივართ, ვორჩევ, იქვე სადმე ბუჩქებში დაიმალე — აი, მაშინ ნახავ, რა სხვა დანარჩენი სხეულით და აღნაგობითაც ხომ ნამდვილი წყლის ფერია გეგონება.

სასადილო ოთახში, მაგიდაზე, ცივი კოტლეტები, ყველზე დაკრთობილი წითელი ყირიმული ღვინო იდგა.

— ეს არის და ეს, გთხოვ, ნუ გამირისხდები, — სონია მაგიდასთან დაჯდა და ღვინო დაასხა, — შენ წარმოიდგინე, არაყიც კი არა მაქვს... რას იზამ, ღვინოთ უნდა დავილოცნეთ, ღმერთმა ქნას, რომ...

— მაინც რა უნდა ქნას ღმერთმა?

— რა უნდა ქნას და, ისეთი საქმრო მაშოვნინოს, ჩვენს ოჯახში ზესიძედ რომ შემოვა, თან რაც შეიძლება მალე, საცაა ოცდაერთი წლისა გავხდები, გათხოვება და სხვაგან წასვლა კი არ შემიძლია, აბა, მამაჩემი ვის უნდა დავუტოვო?

— მაშინ, ღმერთმაც ქნას, რომ...

ბოკლები მივუჭახუნეთ და ღვინო ბოლომდე ნებანება გამოვცალეთ. სონია იჯდა, ისევ იმ თავისი უცნაური, დამცინავი ღიმილით შემომყურებდა და თან თვალთ მზომავდა, ჩანგალი როგორ მეჭირა, როგორ ვჭამდი, როგორ ვიჩეჭი და, ბოლოს როგორღაც თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ისე, ცუდი ბიჭი არა ხარ, თან სულ ქართველს ჰგავხარ, საკმაოდ ლამაზიც ბრძანდები. ადრე საშინელი გამხდარი და გაღეული იყავი, სახეც უნდოლი და უმწიფარი გქონდა. მოკლედ, ძალიან შეიცვალე, თბილი, სასიამოვნო ყმაწვილი დადექი, ოღონდ, ეგ არის, თვალები გაგირბის აქეთ-იქით.

— მაშ რა იქნება, უხერხულობისაგან ეს თვალები სწორედაც რომ ველარსად წამილია. კაცმა რომ თქვას, ადრე არც შენ იყავი მთლად ასეთი...

კუთხარი და მხიარულად ავითვალაიერ-ჩავითვალაიერე. მაგიდის მეორე მხარეს იგი ოდნავ ჩემსკენ გადმოხრილი იჯდა, ფეხები სკამზე პქონდა აკეცილი და სავსე მუხლები ერთმანეთზე ელაგა. ლამპის შუქზე მზემოკიდებული ხელები ოქროსფრად უბზინავდა, ლურჯი თვალები ეშმაკურად უციმციმებდა, ძილის წინ ერთ მხსვილ ნაწნავად შეკონილ, ხშირსა და ბუმბულივით რბილ, წაბლისფერ თმაში წითელი სხივი უკრთოდა. ხალათის გაღედილი საყულოდან მრგვალი, მზემოკიდებული კისერი და ახლად ათქვირებული მკერდის სანახები მოუჩანდა, მარცხენა ლოყაზე პატარა, შავთმიანი ხალი წერტილივით აჯდა.

— მამაშენი როგორაა, რას შვრება?

სონია სკამზე შესწორდა, ჯიბიდან ვერცხლის პატარა პორტსიგარი და ვერცხლისავე ასანთის კოლოფი ამოიღო და პაპიროსს როგორღაც მეტიმეტად გაწაფულად მოუკიდა, თან ჩემთვის დამცინავი მზერა არ მოუცილებია.

— მამას რა უჭირს, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით ყოჩაღად არის, ისევ ისეთი უტეხია და პირდაპირი, დადის და დააკაკუნებს იმ თავის ყავარჯენს, ის კი არაა, ჩუმჩუმად უღვაშებსა და ბაკებსაც იღებავს რაღაც რუხი საღებავით, აიწოწოლიკებს თავის ჭადარა ქოჩორს და უბრაწავს და უბრაწავს თვალებს ამ ჩვენს ქრისტიანს... ეგ არის, თავის ცახცახს უმატა, თითქოს სულ რაღაცაზე გედავება, რაღაცაზე არ გეთანხმება, — თქვა სონიამ და გაიცინა, — პაპიროსი ხომ არ გინდა?

მართალია, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიწყოდი, მაგრამ, პაპიროსი მაინც გამოვართვი და დიდის ამბით გავაბოლე. სონიამ დაცარიელებული ბოკლები ისევ აავსო და ღია ფანჯრიდან სიბნელეს გახედა:

— ჰო, ჯერჯერობით, მართლაც, მადლობა ღმერთს... ეს ზაფხულიც მშვენიერი დაგვიდგა, ნახე, რა შესანიშნავი ღამეა! ოღონდ, ბუღბუღებები აღარ ვაღობენ. იცი, ძალიან გამიხარდა შენი ჩამოსვლა. ექვსი საათიც არ იყო, ეფრემი სადგურში რომ გავაგზავნე — ვაითუ ამ გამოჩურჩულებულ ბერიკაცს მატარებელზე დააგვიანდეს-მეთქი; ჯერ ხომ ისე მოუთმენდა, მერე კი, რომ არა და აღარ ჩამოხვედი, ყველანი აქეთ-იქით რომ მიიფანტ-მოიფანტნენ, მართალი ვითხრა, გამიხარდა კიდევაც, დავსხდებით ჩვენთვის არხეინად, ხელს არავინ შეგვიშლის-მეთქი, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ძალიან იქნებოდი შეცვლილი — შენი ტიპის ბიჭებს ხომ მუდამ ასე ემართებათ! რომ იცოდე, რა სიამოვნებაა, ზიხარ მარტოდმარტო მთელ ამხელა სახლში და მატარებლით ვიღაცის ჩამოსვლას ელოდები. უცდი, უცდი და აი, როგორც იქნა. ბოლოს ეყვანების ეღარუნს მოკრავ ყურს, მერე გაივლის ცოტა ხანიც და, ხედავ უკვე სახლის კარს მოგდგომია...

მე მაგიდის მეორე მხარეს ჩემს პირდაპირ მჯდომარე სონიას გადავწვდი და მისი ხელი ხელში მოვიმწყვდიე, უკვე საოცარ წადილსა და ლტოლვას ვგრძნობდი, ის კი იჯდა თავისთვის არხეინად, სახეში მხიარულად შემომყურებდა და პაპიროსის ბოლს პირიდან რგოლ-რგოლად უშვებდა. ბოლოს ხელზე ხელი გავუშვი და ვითომ ისე, ხუმრობით ვუთხარი:

— აი, ნატალიო, ამბობ. მაგრამ, სულ ერთია, შენ მაინც არავინ შეგედრება... ისე, სიტყვამ მოიტანა და, მაინც ვინ არის, სადაურია?

— ჩვენებურია, ვორონეჟელი, საუკეთესო ოჯახიდან არის... ერთ დროს დიდი ქონებისა და სიმდიდრის პატრონები ყოფილან, ახლა კი, რომ იტყვიან, საქმე სამათხოვროდა აქვთ გამხდარი... შინ სულ ფრანგულად და ინგლისურად ლაპარაკობენ, საჭმელი კი არაფერი გააჩნიათ. ძალიან მგრძნობიარე გოგოა, წერწეტა და ტანწვრილი, ჯერ ხეირიანად არც კი დაქალებულა, ისევ მოზარდით სუსტია და სიფრიფანა. არაჩვეულებრივად გონიერი კია, მაგრამ... ის შენი ძვირფასი კუზენი რომ არის — ალექსეი მეშჩერსკი, აი, იმ მეშჩერსკების მეზობლად ცხოვრობენ, მართალია, არც ისე ახლოს, მაგრამ... ნატალი ამბობს, ამ ბოლო დროს, რაღაც ნამეტანი მოუხშირა ჩვენთან სიარულს, თან სულ თავის მარტობაზე წუწუნებსო. ნატალის სულ არ მოსწონს, თან თურმე ძალიან მდიდარია. ასე ამბობს, იტყვიან, ფულის გამო გაპყვა, მშობლების გამო საკუთარი თავი გაყიდაო.

— კი ბატონო, ასე იყოს, — ვუთხარი სონიას, — მაგრამ, უმჯობესია, საქმეს დავუბრუნდეთ, სულ ნატალი და ნატალიო, რომ გაიძახი, ჩვენს მომავალ რომანზე რატომ აღარაფერს ამბობ?

— ნატალი ჩვენს მომავალ რომანს ხელს ვერ შეუშლის, მისი სიყვარულით ჭკუას დაკარგავ, კოცნას კი მე დამიწყებ, მისი სიმკაცრით შეძრწუნებული ცრემლს ჩემს მკერდზე რომ დაღვრი, მე მოგეფერები და დაგამშვიდებ.

— ვითომ არ იცი, რომ დიდი ხანია უკვე მიყვარხარ!

— ის, რასაც შენ სიყვარულს ეძახი, ჩვეულებრივი კუზენის სიყვარული იყო, ესეც რომ არა, მაშინ ჯერ ისევ სასაცილო, მოსაწყენი ბიჭი იყავი... ეჰ, ახლა კი ძილის დროა, დილაზე ადრე უნდა ავდგე, საქმეს უნდა მივხედო.

სონია წამოდგა, ხალათი გადაიკალთავა, თითქმის ჩამწვარი სანთელი ხელში აიღო და ჩემი ოთახისაკენ წამიძღვა. და აი, ჩერკასოვების ოჯახში ჩემი სასიყვარულო ოცნებების ასეთი ბედნიერი შემოტრიალებით გაოგნებული დიდ-

ხანს და ხარბად ვკოცნიდი კარის წირთხლთან მიმწყვდულ სონიას, იმას კი თანდათან თვალები ებინდებოდა, ხელი, რომელშიაც ანთებული სანთელი ეჭირა, თანდათან ძირს ეშვებოდა. წასვლისას სახეავარვარებულმა კეთილი დამიქნია და წყნარად მითხრა:

— ოღონდ, კარგად დაიხსომე, ხვალ ყველანი თავს რომ მოიყრიან, არ გაბედო და მაგ შენი „ვენებიანი თვალებით“ არ შემჟამო! ღმერთმა ნუ ქნას, მამამ რაიმე შეგვაძინოს, იმას ხომ ეშინია და ეშინია ჩემი, მე კიდევ ათჯერ უფრო მეტად მეშინია იმისი. არც ნატალიმ მინდა შეიტყოს რაიმე. შენთან რომ ასე ვიქცევი, არ გეგონოს სხვასთანაც ასეთი ვიყო. შენ წარმოიდგინე, ძალიან მორცხვი და მორიდებული ვარ. იცოდე, ყველაფერს თუ არ შემისრულებ, ხმას არ გაგცემ, ზედაც აღარ შემოგხედავ.

გავიხადე თუ არა, ლოგინზე დარეტიანებული დავეცი და ბედნიერებისა და დაღლილობისაგან არაქათგამოლეულს მაშინვე ტკბილად ჩამეძინა, აბა, რა აზრს მოვიდოდი, მეორე დღეს რა თავზარი მელოდა, ან სონიას ის ხუმრობით წათქვამი სიტყვები — სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე თავდავიწყებით იქნები შეყვარებულიო, რა საოცარი სიცხადით ამისრულდებოდა.

შემდეგში, ვინ იცის, რამდენჯერ გამხსენებია, როგორც რაღაც ავის მაცნე და მოციქული — ოთახში როგორ შევედი, სანთლის ასანთებად ასანთს როგორ მოვუკიდე და უშველებელი ღამურა სახეში როგორ შემომაფრთხილა. ისე ახლოს იყო, ასანთის შუქზედაც კი გარკვევით დავინახე, მისი ამაზრზენი, შავი, ხავერდოვანი სიგლუვე და დიდყურა, ცხვირპაჭუა, სიკვდილივით საზარელი, მტაცებლური ცხვირ-პირი. მერე საზიზღარი ფართხალითა და ფრთების კრუნჩხვა-კრუნჩხვით ღია ფანჯრის სიბნელეში ჩაყურყუმელავდა და გაუჩინარდა. მაშინ ეს ამბავი, რა თქმა უნდა, არაფრად ჩამიგდია.

2

ნატალი პირველად მეორე დილას ვნახე, ყველაფერი სულ რაღაც ერთ წუთში მოხდა — წინა ოთახიდან უცბად სასადილო ოთახში შემოფრთხილდა, ჯერ ისევ თმადაუვარცხნელს ტანზე სიფრიფანა, ნარინჯისფერი ჩახსნილი პერანგი ეცვა. მე და ულანი, ეს წუთია, ყავის სმას მოვრჩით, ულანმა ჩემზე ოდნავ ადრე მოათავა და ოთახიდან გავიდა, ისე რომ, სასადილოში იმ წუთას ჩემს მეტი არავინ იყო. ის არის, მეც მაგიდიდან წამოვდექი და შემთხვევით მოვტრიალდი, რომ ნატალიმ ერთი მიიხედ-მოიხედა, იმ თავისი ნარინჯისფერი პერანგით, ოქროსფერი თმითა და შავად მოელვარე თვალებით წუთით გაიბრწყინა და გაუჩინარდა.

იმ დღეს ისე დილაადრიანად გავიღვიძე, ირგვლივ ჯერ ჩამიჩუმიც არავისი ისმოდა. ჩერკასოვების ამ უზარმაზარ სახლში იმდენი ოთახი და იმდენი შესასვლელ-გამოსასვლელი იყო, ზოგჯერ ვიბნეოდი კიდევაც. მაშინაც თვალი რომელიღაც შორეულ ოთახში გავახილე, ფანჯრები ხეებით დაბურულ ბაღს გადაჰყურებდა. შესანიშნავად გამოძინებული ლოგინიდან ხალისიანად წამოვხტი, ხელ-პირი დავიბანე, ტანზე ყველაფერი გამოვიცვალე, ჩემი საყვარელი წითელი აბრეშუმის პერანგი ჩავიცვი, წინა საღამოს ვორონეჟში გაკრეჭილი, წყლით დაფიფიკებული თმა საგულდაგულოდ დავივარცხნე, ჩემი შავი, ლაზათიანი ქოჩორი ლამაზად დავიყენე, დერეფანში გამოვედი, გვერდით გავუხვიე

და ნაცვლად ულანის სამუშაო ოთახისა, ზუსტად მისი საძინებელი ოთახის წინ აღმოვიჩნდი. ვიცოდი, ზაფხულობით ხუთ საათზე გვიან არისოღეს დგებოდა, ამიტომაც კარზე გაბედულად მივეუკაცუნე. მაგრამ პასუხი რომ არავინ გამცა, კარი შევალე და შევიხედე. ვერ წარმოიდგენთ, გულში როგორღო სიამოვნება ვიგრძენი, როცა დავრწმუნდი. ამ მამაპაპეულ ფართო ოთახში, რომლის სამშავი იტალიური ფანჯრის წინ ასწლოვანი ვერცხლისფერი ჩინარი შრიალეებდა, არაფერი იყო შეცვლილი — მარცხნივ, მთელი კედლის ჩასწვრივ წიგნის კარადები იყო ჩარიგებული. მუხის ამ კარადებს შორის სპილენძის მრგვალქანქარიანი წითელი ხის გაჩერებული საათი ეკიდა, მეორე კედელთან გიშრისთავიანი ყალიონები ელაგა, ყალიონებს ზემოთ, კედელზე, ბაროქური იყო ჩამოკიდებული, მესამე კედლის ძირას ათაპაპისკამინდელი კაკლის ხის სახურავახდილი ბიურო იდგა — სპილენძის ღურბინდი, გაზები, ლურსმნები, ჩაქუჩები — ყველაფერი ეგრევე ზედ იყო მიბნეულ-მობნეული. კარის ჩაყოლებით, ხის ასფუთიანი დივნის ზემოთ, ოვალურ ჩარჩოებში, ძველი, ფერგადასული სურათების მთელი გალერეია იყო. ფანჯრის წინ უზარმაზარი სავარძელი იდგა, ოდნავ მარჯვნივ, მუხის უშველებელი საწოლის თავზე სურათი იყო ჩამოკიდებული, რომელიც თითქმის მთელ კედელს ფარავდა — შავი ლაქით დაფარული ფონი, კვამლისფერი ღრუბლები, ცაში ლანდებივით აზიდული, მომწვანო-მოციხფრო პოეტური ხეები, წინა პლანზე აქაფებული კვერცხის ცილასავით ქათქათა, თითქმის ნატურალური სიდიდის შიშველი, ტანმალალი მზეთუნახავი დგას და ამაყი სახით ოდნავ მაყურებლისკენაა შემობრუნებული. შეხედავ თუ არა, თვალში უმალვე მისი სავსე ზურგი, მკვრივი გავა და ღონიერი კანჭები შემოგანათებს. გრძელი, გაშლილი თითები ძუძუს თავზე მაცდურად აუფარებია, მეორე ხელი მსუქანი, ნაკეცებიანი მუცლის ქვემოთ უდევს. ამ თვალიერებაში რომ ვიყავი, წინა ოთახიდან ჩემსკენ ყავარჯნის კაკუნით მომავალი ულანის ომახიანი ხმა მომესმა:

— არა, ძმაო, შენ ამ დროს საძინებელ ოთახში ვერ მიპოვი, ეს მხოლოდ თქვენ გჩვევიათ სამ მუხამდე თბილ ლოგინში კოტრიალი.

ხეშეშ, ფართო ხელის ზურგზე ვაკოცე და ვკითხე:

— როგორ თუ სამ მუხამდე?

— ვლენებმა იციან, მზე აგერ სამ მუხას წამოადგა, შენ კი თავი ბალიშიდან არ აგიღიაო... აბა, ახლა კი წავედით, ყავა დაელიოთ.

— „შესანიშნავი მოხუცი, შესანიშნავი სახლი...“ — ვფიქრობდი, მასთან ერთად სასადილოში რომ შევდიოდი, რომლის ღია ფანჯრებიც დილის შუქით გაბრწყინებული ბალის სიმწვანეს გადასდგომოდა. ვახშამი სიბერისაგან გაღუულმა, მხრებში ამოკუზულმა გადიამ გავვიწყო. ულანი ვერცხლის საჭიქეში ჩადგმული სქელი ჭიქიდან მაგარ, რძიან ჩაის წრუპავდა და ჭიქაში ჩატოვებული ძველებური ოქროს კოვზის ნატიფი, გრეხილი ღერო საჩვენებელი თითით ეკავა. მე კი კარაქწასმული შავი პურის ნაჭერს ნაჭერზე ვნთქავდი და ვერცხლის ყავადანიდან ცხელ ყავას ვიმატებდი. ისე იყო ულანი თავის თავსა და თავის საქმეში გართული, ჩემსკენ არც კი გამოუხედავს, ჩაის სვამდა და თან მეზობელ შემამულეებს აბიაბრუებდა. აქაოდა, გისმენ-მეთქი, მის ბაკებს. ულვაშსა და ცხვირის წვერზე ჯაგარივით ამოსულ მსხვილ ბეწვებს თვალს არ ვაცილებდი, სინამდვილეში კი ნატალისა და სონიას გამოჩენას ისე მოუთმენლად ველოდი, ადგილზე ვეღარ ვისვენებდი. თავში მხოლოდ ის მიტრიალებდა, ნეტავი ეს ნატალი რას წარმოადგენს, ან წუხანდელი ამბების შემდეგ

მე და სონია ერთმანეთს როგორ შევხვდებით-მეთქი. სონიას მიმართ გული საოცარი მადლიერებით მქონდა სავსე, მისი და ნატალის საძინებელსა და ყველა იმაზე, რაც საერთოდ ქალების საძინებელში ხდება დილაობით, თავში უზნეო აზრები მიტრიალებდა... — ვინ იცის, სონიამ იქნებ უთქვამს თუ არა ჩვენი ახლად დაწყებული სიყვარულის შესახებ? — გავიფიქრე — გქნებდა ნატალის მიმართაც რაღაც სიყვარულის მაგვარი ვიგრძენი, თუმცა ამ წუთის არც მისი მზეთუნახაობა მხიბლავდა. არც იმისი ჭკუა და გონება, ჩემთვის ახლა ყველაზე მთავარი ის იყო, ნატალი ჩემი და სონიას საიდუმლოს თანამონაწილედ რომ დავიგულებო. ისე, ვითომ რატომ არ შეიძლება, ორი ქალი ერთდროულად მიყვარდეს, აი, შემოვლენ და შემოანათებენ გაზაფხულის ამ დილასავით ცინცხალნი, დილის ეშხით გასხივოსნებულები, შეხედავენ ჩემს ქართულ სილამაზეს, ჩემს წითელ ხალათს, შემომცინებენ, გამომელაპარაკებიან, მოუსხდებიან მერე მაგიდას და დაისხამენ ყავას კეკლუცად ამ ცხელი ყავადან დან. მოკლედ, რომელი ერთი ვთქვა — ახლად შეღებებული გოგონების ახალგაზრდული მადა ახალგამოდვიძებულზე, ყმაწვილური სიკისკასე, გამოძინებულ თვალთა ბრწყინვალეობა, ლოგინიდან ახლად წამომდგარი ქალიშვილების გასალუქებული, ოდნავ შეპუდრული დაწვები თუ ეს უმიზეზო სიცილი ყოველი სიტყვის შემდეგ. მართალია, არც თუ ისე ბუნებრივი, მაგრამ ამის გამო კიდევ უფრო მომხიბვლელი და მომაჯადოებელი... ისაუბრებენ და გაუყვებიან მერე ამ ბაღს მდინარისაკენ, მივლენ საბანაოში, გაიძრობენ ტანისამოსს და გამოაელვებენ ცის ლაევარდოვნებითა და ანკარა წყლის ანაშუქით განათებულ შიშველ სხეულს... გიყვარდეს, ისეთი ფანტაზია მქონდა, ყველაფერს ისე ცხოვლად და თვალნათლივ წარმოვიდგენდი... ახლაც ცხადლივ ვხედავდი, ნატალი და სონია როგორ აღგებოდნენ, საბანაოს პატარა კიბის მოაჯირს როგორ დაეყრდნობოდნენ, ფრთხილად, მოუხერხებლად როგორ ჩააბიჯებდნენ წყალში ჩაზვინული კიბის ხავსმოდებულ, ლორწოვანა სოკოთი საძაგლად მოსლიპინებულ საფეხურებზე, როგორ გადაადგებდა თავის ხშირთმიან თავს სონია, ათქვირებულ მკერდს წინ როგორ წამოსწევდა, მდინარის უჩინარ ტალღებს როგორ შეერეოდა, მისი მოციხფრო-ცარცისფერი სხეული წყალში როგორ ალივლივდებოდა და ბაყაყივით როგორ გაცურავდა...

— აბა, სადილობამდე... ხომ გახსოვს, სადილი თორმეტ საათზეა, — თქვა ულანმა თავის ქიციანით და წამოდგა, წაბლისფერ ულვაშ-ბაკიანი, ნიკაპგაპარსული, მაღალი, ბრგე. ჯერ ისევ ჭარმაგი, ჩესუჩის შილიფ კოსტიუმსა და ბრტყელცხვირიან ფეხსაცმელში გამოწყობილი... თავისი დიდი ტორით ყავარჯენი მოიმარჯვა, ბეჭებზე ხელი მომითათუნა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა. ის იყო, მეც წამოვდექი, აივანზე უნდა გავსულიყავი, რომ სასადილოში ნატალი ჩიტვივით შემოფრთხილდა, წუთით გაიელვა და გაქრა. თვალი მოვკარი თუ არა, საოცარმა აღფრთოვანებამ მომიცვა, მართლაც, ნამდვილი მზეთუნახავიამეთქი, გავიფიქრე და გაოგნებული გავედი აივანზე. დიდხანს ვიდექი ასე გაშტერებული, კარგა ხანს აზრზე ვერ მოვსულიყავი. მართალია, მათ გამოჩენას სასადილოში ასეთი გულისფანცქალით ველოდი, მაგრამ სასადილოდან მათი ხმა გავიგონე თუ არა, ბაღში გავიქეცი — საოცარმა შიშმა შემიბყრო, ოღონდ, ვერ გავრკვეულიყავი, ორივეს გამო ვიყავი ამ დღეში, რომელთაგან ერთერთთან კარგა ხანია უკვე დიდი და მომაჯადოებელი საიდუმლო მაკავშირებდა, თუ უფრო ნატალის, მისი იმ წამიერი გაელვების გამო, რითაც ამ ნახევარი

საათის წინ ასე თვალი მომჭრა და გამოვხა. დიდხანს ვიარე მდინარისპირა დაბლობზე გაჭიმულ ბაღში წინ და უკან. ბოლოს, როგორც იქნა, მთელი ჩემი გამბედაობა მოვიკრიბე და ვითომც არაფერია-მეთქი, სასადილოში არ-ხეინად შევედი. ჩემდა ბედად სონიამ თავისი მხიარული გაბმული მხარა-გება, ნატალიმ კი შავი წამწამებით მოჩრდილული, ოქროსფერი თმის ტრანზე კიდევ უფრო შავად მოელვარე განსაცვიფრებელი თვალები შემომანათა და ღიმილით მითხრა:

— ჩვენ უკვე შევხვდით ერთმანეთს!

მერე დიდხანს ვიდექით აიენის ქვედა მოაჯირს დაყრდნობილები და შიშ-ველ თავებზე ზაფხულის მხურვალე მზე გვაცხუნებდა. ნატალი იქვე, ჩემს გვერდით იდგა, სონიას მისთვის წელზე ხელი მოეხვია, ვითომ დაბნეული ააღდაც სივრცეს მისჩერებოდა და ეშმაკური ღიმილით თავისთვის ღილინებდა: „შუა მეჯლისში, თან სულ შემთხვევით...“ მერე წელში გაიმართა და — ახა; ახლა კი ჰაიდა, საბანაოდ წავიდეთ, ჯერ ჩვენ ვიბანავებთ, მერე შენ იბანავო...

ნატალი ზეწრების მოსატანად გაიქცა, სონიამ დრო იხელთა და ყურში ჩამჩურჩულა:

— კეთილი ინებე და დღეიდან ყველას თავი ისე მოაჩვენე, ვითომ ნა-ტალიზე ხარ შეყვარებული, მაგრამ თუ ერთ მშვენიერ დღესაც აღმოჩნდა, რომ ძალის დატანება და მოჩვენება აღარ დაგჭირდა, მაშინ კი, იცოდე, მე-რიდე...

განაოებულმა კინალამ ეგრევე პირში მივსახლე, ძალის დატანება და მო-ჩვენება უკვე საჭირო აღარ არის-მეთქი, რომ სონიამ თვალით კარზე მანიშნა და ჩუმად დასძინა:

— შენთან ნასადილევს მოვალ...

ისინი რომ დაბრუნდნენ, ახლა მე წავედი საბანაოდ — ჯერ არყის ხეივნის გრძელ დერეფანს დაუყუვეი, მერე სანაპიროზე ჩარიგებულ სხვადასხვა ჯიშის პეპერ ხეებს შორის ვიარე, ირგვლივ მდინარიდან მონაბერი თბილი სით-ქროდა, ხის კენწეროებიდან ჭილყვავეების ყრანტალი ისმოდა. მივდიოდი და სონიასა და ნატალის გამო გულს ორი სრულიად განსხვავებული განცდა მი-ფორიაქებდა, თან იმაზედაც ვფიქრობდი, აჰა, მივალ და მეც იმ წყალში ვიბა-ნავებ, რომელშიაც ეს-ეს არის ნატალი და სონია ბანაობდნენ-მეთქი.

და აი, იმ დიდებული სადილის შემდეგ, რომელიც ზაფხულის თაქარა მზით, ლაყვარლოვანი ცითა და ზურმუხტოვანი სიმწვანით გაჯერებული იმ ბედნიერი სილალით, სიმშვიდითა და უზრუნველობით იყო სავსე, ბაღში გა-მავალი ღია ფანჯრებიდან ოთახში რომ იღვრებოდა, „ოკროშკით“, არაყანიანი ყოლოთი, შემწვარი წიწილებით გულუხვი იმ გრძელი, გემრიელი სადილის შემდეგ, რომლის დროსაც ნატალის სიახლოვისა და იმ ნეტარი წუთების მო-ლოდინში, საცაა ნასადილევს მთელი სახლი მიყუჩდება, სონია (იგი ამ სადილ-ზე თმაში ჩაბნეული ხვერდივით წითელი ვარდით გამოგვეცხადა) ჩუმად, ფეხაკრეფით შემოიპარება ჩემს ოთახში-მეთქი, ზოგჯერ სუნთქვაც კი მეკვრო-და, მაგიდიდან სწრაფად წამოვდექი, ჩემი ოთახისაკენ გავწიე, დარაბები მივ-კეტე და სონიას მოლოდინში თურქულ ტახტზე გავიშოტე. გარედან ყვავი-ლებისა და ნაირ-ნაირი ბალახების მოტკბო სურნელი შემოდინდა, ბაღში ჩი-ტების მიქანცული, ნაშუადღევის უხალისო გალობა ისმოდა. ვიწექი იმ ჩემს განიერ თურქულ ტახტზე, ეზოში ჩამოწოლილ ხეატიან სიჩუმეს ვუსმენდი და

სასოწარკვეთილი ვფიქრობდი — ასეთი გაორებული როგორ უნდა ვიყო, თან ჩუმ-ჩუმად სონიასაც უნდა შევხვდე, თან ნატალიც აქვე უნდა იყოს, ის ნატალი, ვისი სახელის უბრალო გაფიქრებაზედაც კი ჩემს გულს ისეთი სითბო და სიყვარული ეუფლება, ისეთი მხურვალე სინაზე მიპყრობს, მიჩნდება, ისე ალტაცებულმა ვუცქირო, როგორც წელან ვუცქერდი დამკვიდრებული მის ნატიფ, მზით გახურებულ მოაჯირზე გადახრილ ტანსა და ახლად შეღერებული გოგონას წვეტიან ნიდაყვებს-მეთქი. ნატალის მხარზე ხელგადახვეული სონიაც იქვე იდგა და იმ თავის ფურჩლიან ბატისტის „პენუარში“ ეს-ეს არის ახლად გათხოვილ ქალს ჰგავდა. ნატალი კი, რომელსაც ტანთ ხამი ტილოს ქვედა კაბა და ნაქარგი მალორუსული პერანგი ემოსა და რომლის ქვეშაც ასე ილანდებოდა მისი ნორჩი, დიდებული სხეულის სრულყოფილება, მის გვერდით ჯერ ისევ ზრდადაუსრულებელი გოგონა გეგონებოდა. სწორედ ეს იყო ჩემი უდიდესი ბედნიერება და სიხარული — ფიქრშიაც ვერ წარმოვიდგენდი, შეიძლება ოდესმე ნატალისაც იმ გრძნობით ვაკოცო, როგორც გუშინ სონიას ვკოცნიდი-მეთქი. წითელი და ლურჯი ძაფით ამოქარგული პერანგის ფართო, ფარფარა სახელოდან პაწაწა მწითური ბუსუსით დაფარული, ოქროსფრად მზე-მოკიდებული ნაზი, გამხდარი, ნატიფი მკლავი მოუჩანდა. ვუყურებდი და ვფიქრობდი: „ნეტავი რა მოხდება, ვთქვათ, გავბედო და ტუჩებით შევეხო?“ ნატალიმ ეტყობა, იგრძნო ჩემი მზერა, ჯამბარასავით მსხვილნაწნავშემოხვეული პატარა, ოქროსფერთმიანი თავი ჩემსკენ მოაბრუნა და თვალთა ელვარე სიშავე შემომაფრქვია. მე ოდნავ გავიწიე და მზეზე გამკვირვალე ქვედა კაბის კალთებქვეშ მისი მაღალი კანჭებისა და ნაცრისფერ წინდებში გამოკვართული თხელი, ჯიშინი წვივების დანახვაზე თვალები ძირს დავხარე.

თმაში წითელვარდჩაბნეულმა სონიამ კარი სწრაფად გააღო, სწრაფადვე ჩაკეტა და ჩუმად წამოიძახა: „უკვე გძინავს?“ არა, რა დროს ძილია, რა დამაძინებს-მეთქი, ამ სიტყვებით სასწრაფოდ წამოვხტი და მისი ორივე ხელი ხელებში მოვიმწყვდიე. მერე ჩუმადვე მიბრძანა, კარი გასაღებით ჩაკეტეო და მეც მაშინვე კარს ვეცი. დივანზე ჩამომჯდარი სონია კი უკვე თვალებშილულული ჩურჩულებდა: „კარგი ახლა, მოდი, მალე მოდი“... მართლაც, გონება-არეულებს მალე უკვე აღარაფერი გვახსოვდა. მთელი იმ ხნის განმავლობაში არც მე და არც იმას ზმა არ ამოგვიღია, გაშმაგებული ვკოცნიდი მის მშვენიერ, შიშველ, მხურვალე სხეულს (ამის უფლებას სონია უკვე მაძლევდა, მაგრამ, ცხადია, მხოლოდ კოცნისას) და ისიც თანდათან ვნებით ივსებოდა, სახეზე ცეცხლი ეკიდებოდა. წასვლის წინ სონია თან ჩამოშლილ თმას ისწორებდა და თან ჩუმად მეჩურჩულებოდა:

— რაც შეეხება ნატალის, იცოდე, არაფერი შეგეშალოს, არც ისეთი მშვიდი და კარგი ხასიათისა ვარ, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოს!

ვარდი იატაკზე ეგდო, დიდის მოწიწებით ავიღე და მაგიდის უჯრაში შევინახე. საღამოს რომ მივედი, სადღა იყო მისი ზავერდოვნება და სიწითლე!..

გარეგნულად ჩემი ცხოვრება თითქმის არაფრით შეცვლილა, თუმცა კი შინაგანად ძალიან ვიყავი აფორიაქებული. დღითი დღე სულ უფრო მეტად

და მეტად ეჩვეოდი სონიას, მის გვერდით გატარებულ შმაგსა და ვნებიან ლაძეებს — ახლა იგი მხოლოდ გვიან ღამით მოდიოდა, ყველანი თავთავიანთ ოთახებში რომ გაიკრიფებოდნენ და მთელი სახლი ღრმა ძილს მიეცემოდა — თან ნატალისაც თვალს ვერ ვაკილებდი, სულ უფრო მეტი უფრთხილობითა და ტკივილით ვაკვირდებოდი მის თვითეულ სიტყვასა და თქმულებას. ისე კი სხვა ყველაფერი ზაფხულის ჩვეულებრივი წესითა და ყაიღით მიედინებოდა — დილას შევხვდებოდით ერთმანეთს, სადილის წინ ვიბანავენდით, მერე ვისადილებდით, მერე ყველანი დასასვენებლად ჩვენ-ჩვენ ოთახებში გავიკრიფებოდით. შუადღის დასვენების შემდეგ ახლა ბაღში ჩავიდოდით, ნატალი და სონია დასხდებოდნენ არყის ხეივანში და ქარგავდნენ. მეც დამისვამდნენ იქვე გვერდით და გონჩაროვის „ხრამს“ ხმამაღლა მაკითხებდნენ. ანდა, სახლის გვერდით მუხებით მოჩრდილულ მწვანე მდელოზე შემოდგამდნენ ცეცხლზე კენკრით სავსე ტაშტს და მურაბას ხარშავდნენ. ხუთ საათზე მზე რომ წამოადგებოდათ, ახლა სახლის მოპირდაპირე მხარეს გადაინაცვლებდნენ; ყველაფერ ამას მალე სამხარიც მოჰყვებოდა, ნასამხრევს კი გამოვიდოდით სახლის წინ გაჭიმულ უშველებელ ეზოში და კროკეტს გავაჩაღებდით (ხან მე და ნატალი ვიყავით ერთად, ხან ნატალი და სონია). შებინდებოდა თუ არა, ახლა ვახშამი გაიშლებოდა სასადილო ოთახში და ახლა სავახშამოდ შემოვუსხდებოდით მაგიდას... ვახშმის შემდეგ ულანი პირდაპირ დასაძინებლად მიდიოდა, ჩვენ კი ისევ დიდხანს, დიდხანს ვისხედით ჩაბნელებულ აივანზე — მე და სონია ერთთავად პაპიროსს ვეწეოდით და რაღაზე არ ვლაყობოდით. ნატალი კი იჯდა თავისთვის წყნარად და ხმას არ იღებდა... ახლა კი ძილის დროაო, — იტყოდა ბოლოს სონია, ამ სიტყვებზე მეც გამოვემშვიდობებოდი ორივეს, შევიკეტებოდი ჩემს ოთახში და ხელებგაყინული იმ წუთებს ველოდი, მთელი სახლი უკუნეთ სიბნელეში რომ ჩაინთქმებოდა და ირგვლივ ისეთი მღუმარება დაივანებდა, ჩემს თავთან ჩამწვარი სანთლის ძირას დადებული ჭიბის საათის ძაფივით გაბმულ წიკწიკსაც კი გარკვევით გაიგონებდი, თან სულ გაოცებული და შეძრწუნებული ვიყავი — ნეტავი ღმერთმა ასე რად დამსაჯა, ორი ქალი ერთად რატომ შემაყვარა, ორი ასეთი განსხვავებული, ასეთი ვნებიანი სიყვარული რატომ მომისაჯა — ერთის მხრივ ნატალისადმი ასეთი არნახული თაყვანისცემა, მეორეს მხრივ კი სონიას სხეულით ასეთი უსაშველო აღტაცება-მეთქი, ვგრძნობდი, ვერც მე და ვერც სონია თავს ველარ მოვერეოდით, ამ ჩვენს სანახევრო სიახლოვეს დიდხანს ველარ გავუძლებდით, მთავარი კი ის იყო, ვიცოდი, მას მერე კიდევ უფრო გადარეული დავუწყებდი ლოდინს ამ ჩვენს ღამეულ შეხვედრებს და რომ იმ განცდას ვერც მეორე დღეს მოვიცილებდი თავიდან, და ეს ყველაფერი ნატალის გვერდით, ნატალის სიახლოვეს უნდა მომხდარიყო! სონია უკვე აშკარად ეჭვიანობდა, ზოგჯერ თავს ველარ შეიკავებდა და იფეთქებდა, თან ამასაც ამბობდა — ნატალის თანდასწრებით მე და შენ თავი რაღაც ჩვეულებრივად ველარ გვიჭირავს, ის კი არა, მე მგონი, მამაცა და ნატალიც რაღაცას ხედებიან, გადიას ხომ ეჭვიც აღარ ეპარება ჩვენს რომანში, ვინ იცის, ის იქნებ მამაჩემსაც ეჭორავება ამაზე. შენ რაც შეიძლება ხშირად იყავი ბაღში ნატალისთან — იჯექი და უკითხე ის „ხრამია“ თუ ჯანდაბა, საღამოობით ხანდახან იქნებ სასეირნოდაც წაიყვანო... შენ გგონია, ვერ გატყობ, რა იდიოტურადაც მიაშტერებ ხოლმე თვალეებს! ზოგჯერ ისე მეზიზღები, მზად ვარ ყველას თვალწინ თმაში გწვდეთ!

მაგრამ ყველაზე საშინელება მაინც ის იყო, მე მგონი, ნატალი მაინც ხვდებოდა რალაცას. თან არ ვიცი, ბრაზობდა, არ ვიცი, იტანჯებოდა, ისედაც სიტყვაძვირი და უთქმელი, თანდათან სულ დამუნჯდა. ქარგავდა თუ /კროკეტს თამაშობდა, თამაშზე მთელი ყურადღება ისე გადაჰქონდა, ყბვლაფერს ისე დაჟინებით ჩაუკირკიტებდა, იტყოდი, ამის მეტი სხვა არც არაფერი ენაღვლებათ. მალე მე და ნატალი თითქოს შევეჩვიეთ და დავუახლოვდით კიდევაც ერთმანეთს. მაგრამ, აი, ერთხელაც არის, მარტონი დავრჩით ოთახში — ნატალი დივანზე იჯდა და ნოტებს ფურცლავდა.

— ასე მითხრეს, მე და შენ მალე შეიძლება თურმე დავნათესავდეთ კიდევაც, — ვუთხარი ვითომ ხუმრობით.

ნატალიმ უკმეხად შემომხედა:

— რა?

— რადა, ალექსეი ნიკოლაიჩ მეშჩერსკი ხომ...

ნატალიმ სიტყვის დამთავრება არ მაცალა:

— აჰ, აი თურმე რა! მაშ ის ფეხმოჩოროთილი გოლიათი, წითელტუჩება, შავი, პრიალა თმით შებანჯგლული მეშჩერსკი... არა, მაინც ვინ მოგცათ უფლება, ასე რომ მელაპარაკებით!

მე ცოტა არ იყოს, შევშინდი:

— ნატალი, რა იყო, ვითომ ასეთი რა მოხდა, ასე რატომ მიჯავრდებით? ნუთუ ხუმრობაც აღარ შეიძლება! ნატალი, მაპატიეთ, ბოდიშს ვიხდი!... — ვთქვი და ხელზე ხელი მოვკიდე.

ხელი არ გამოურთმევია, ისე მითხრა:

— ნუთუ აქამდე ვერაფერი გამიგეთ, სულ ვერ გამიცანით...

დივანზე ირიბად ავეცილ ფეხებზე მისი თეთრი, გულისწასვლამდე მომხიბვლელი ტენისის ფეხსაცმლისათვის რომ არ მეცქირა, წამოვდექი და აივანზე გავედი. ბალის მხრიდან ცას ღრუბელი მოსდგომოდა, ჰაერი თანდათან მქრქალდებოდა, იბინდებოდა, ბალიდან სულ უფრო ახლოსა და ახლოს მოიწევდა ზაფხულის ლბილი, საამო ჩქამი. ერთბაშად ისეთმა ნეტარმა, ისეთმა ჭაბუკურმა სითამამემ, ისეთმა უმიზეზო ბედნიერებამ შემიპყრო, თავი ველარ შევიკავე და ჩემდა უნებურად ვიყვირე:

— ნატალი, ნატალი, ერთი წუთით, ნატალი!

— რა იყო, რა მოხდა?

— ჩაისუნთქეთ, ნახეთ რა სასიამოვნო ჰაერია, როგორი ნიავი უბერავს! მან კი ერთხანს იყუჩა და როდის-როდის მიპასუხა:

— კი...

— ნატალი, ასე რატომ მიჯავრდებით, რას გიშავებთ?

ჩემს სიტყვებზე ნატალიმ მხრები ამაყად აიჩეჩა:

— რას ან რატომ უნდა გიშავებდეთ?

სადამოს სამივენი ჩაბნელებულ აივანზე, დაწნულ სავარძლებში ვისხედით და სამივენი ვდუმდით. შავად ჩამოწოლილ ღრუბლებს შორის აქა-იქ თითო-ორი ვარსკვლავი ციმციმებდა, მდინარის მხრიდან მდორე, უწადინო ნიავი უბერავდა, წყლიდან ბაყაყების მოსაწყენი, რულმორეული ყიყინი ისმოდა.

— ალბათ საცაა იწვიმებს, მეძინება, — თქვა სონიამ და დაამთქნარა, — გადია ამბობს, ახალი მთვარე გამოვიდა, მთელი კვირა ცა ჩამოიქცევას, — მე-

რე წუთით იყუჩა და დასძინა: — ნატალი, პირველ სიყვარულზე რა აზრისა ხართ?

— რა აზრისა ვარ? პირველი სიყვარული, მე მგონი, გოგოსათვის სულ სხვაა, ბიჭისათვის სულ სხვა, — სიბნელიდან გამოეპასუხა ნატალიმ.
სონია ჩაფიქრდა:

— გოგოც არის და გოგოც, ყველა ერთნაირი ხომ არაა, — თქვა და სავარძლიდან წამოდგა: ჯობია, წავალ, დავიძინებ.

— მე კი აქ დავრჩები, ცოტას წავუძინებ, ხედავ, რა შესანიშნავი ლამეა, — თქვა ნატალიმ.

სონიას ფეხის ხმა რომ მიწყდა, ჩუმად ჩავილაპარაკე:

— ნატალი, ამ საღამოს მე და თქვენ, მგონი, უსიამოვნო საუბარი გექონდა. ამაზე ნატალიმ ეგრევე მაჯახა:

— კი, ასე იყო...

მეორე დილას თითქოს მშვიდად, ჩვეულებრივად შევხვდით ერთმანეთს. იმ ღამეს წყნარი, ეუფუნა წვიმა წამოვიდა, მაგრამ დილით ისევ გამოიღარა, ნასადილევს კი მიწა უკვე აშრა და ჩამოცხა კიდევაც. ჩაის წინ, ხუთი საათისათვის, ვიდრე სონია ულანის კაბინეტში იჯდა და რალაცას ანგარიშობდა, ჩვენ არყის ხეივანში ვისხედით, ნატალი თავწახრილი იჯდა და რალაცას კერავდა, მე ისევ „ხრამის“ კითხვას განვაგრძობდი, დროდადრო ტკბილი სევდით გავხედავდი ნატალის მარცხენა ხელსა და კისრისა და ბუჭის გასაყართან ამოსულ პაწაწა მოწითალო ბუსუსებს და სულ უფრო მეტი ხალისით ვაჭიკჭიკებდი გონჩაროვს, თუმცა იმ ჩემი წაკითხულიდან მე თვითონ ერთი სიტყვაც არ მესმოდა.

— ნატალი, ახლა კი თქვენ წაიკითხეთ...

ნატალი წელში გაიძართა და სიფრიფანა ზედა კაბის ქვეშ მკერდის პაწაწა კელტები დააჩნდა, მერე საკერავი გვერდზე გადადო, წელში ისევ წაიხარა, თავისი საოცარი, მომხიბლავი თავი ძირს დახარა, წიგნი მუხლებზე დაიდო და კითხვას როგორღაც ხმააკანკალებულად შეუდგა. ვუყურებდი მის ხელებს, წიგნის ქვეშ მოქცეულ მის თხელ მუხლისთავეებს, ვუსმენდი მის ხმას და შმაგი სიყვარულით შეპყრობილს ლამის გული მეპარებოდა. ბაღში გვიანი მწუხრი იდგა, ბაღის ხან ერთსა და ხან მეორე კუთხეში აფრენილი მოლალურის ძახილი ისმოდა. ჩვენ პირდაპირ, არყის ხეებს შორის ამოზრდილ ნაძვის ზროს მოწითალო-მონაცრისფრო კოდალა მისჯდომოდა და აკაკუნებდა.

— ნატალი, რა გასაოცარი ფერის თმა გაქვთ, თან ნაწნავი თითქოს ცოტა უფრო მუქია, შემოსული სიშინდის ფერისა.

ნატალის თავი არ აუწევია, იჯდა და კითხვას განაგრძობდა.

— ნატალი, ხედავთ, კოდალა!

ნატალიმ ფიქვს ახედა:

— ვხედავ, დღესაც დავინახე და გუშინაც, ხელს ნუ მიშლით...

ცოტა ხანს გავჩუმდი, მაგრამ დიდხანს ვეღარ გავუძელი:

— შეხედეთ, სულ გამხმარ ჭიას არ გავს?

— სად, რა?

მე ჩვენ შუა სკამზე შემხმარ ჩიტის სკინტლზე მივუთითე:

— არა, ხომ ასეა?

მერე მისი ხელი ხელში ავიღე — ხელზე ხელს ვუჭერდი და უელს მომდგარი ბედნიერებისაგან ჩუმად ვლულულულებდი:

— ნატალი, ნატალი!

ნატალიმ წყნარად შემომხედა და თითქმის ჩურჩულს მარჯობა:

— კი მაგრამ, თქვენ ხომ სონია გიყვართ?!

მე დანაშაულზე წასწრებული ცრუპენტელა თაღლითივით გავწითლდი, მაგრამ ნატალის სიტყვები ისე ვიტკიცე, ისეთმა გაცხარებულმა განვაცხადე სონიას სიყვარულზე უარი, ნატალიმ გაოცებისაგან პირიც კი დაალო.

— ტყუილს ვამბობ?

— ტყუილია, აბა რა, მართალი ხომ არ არის! სონია, რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს, მაგრამ საკუთარ დასავით მიყვარს, ჩვენ ხომ ბავშვობიდან ვმეგობრობთ!

4

მეორე დღეს ნატალი არც დილას გამოჩენილა, არც სადილად.

— სონია, ნატალი სად არის? — იკითხა ულანმა.

სონიამ ეშმაკურად ჩაიღიმა:

— ზის თავის ოთახში პერანგის ამარა, სახე ისეთი ნამტირალევი აქვს, ეტყობა, მთელი ღამე იღრიალა. ასე ამბობს, თავი მტკივაო, ნეტავი შეყვარებული ხომ არ არის?

— რატომაც არა, — ჩაიროხრობა ულანმა და მოწონების ნიშნად მე გადმომხედა.

ნატალი მხოლოდ საღამოს ჩაიზე გამოჩნდა — მკვირცხლად, ხალისიანად გამოვიდა აივანზე, თბილად, როგორღაც დამნაშავესავით გამიღიმა. მისმა ღიმილმა, მისმა ხალისმა და სიმკვირცხლემ, მისმა ახალმა მორთულობამ, ცოტა არ იყოს, გამაოცა — თმა მჭიდროდ ჰქონდა შეკრული, შუბლზე ჩამოშლილი ქოჩორი თმის სახვევი მაშით ოდნავ დატალღული, ტანზე მწვანე, წელში გადაუჭრელი, ლამაზად მომდგარი, უბრალო, მაგრამ მეტად მოხერხებული კაბა ეცვა, ფეხთ შავი, ქუსლიანი ფეხსაცმელი ემოსა — შევხედე და ალტაცებისაგან ჩუმად ამოვიოხრე. აი, ვზივარ აივანზე, „ისტორიჩესკი ვესტნიკსა“ და ულანის მიერ ნაჩუქარ რაღაც წიგნებს ვათვალიერებ, რომ ნატალიმაც მკვირცხლად, ოდნავ დამორცხვებული ღიმილით შემოაბიჯა:

— საღამო მშვიდობისა... ჩაიზე მობრძანდით, დღეს საღამოს სამოვართან მე ვიტრიალებ, სონია ცოტა შეუძლოდაა.

— როგორ, ხან თქვენ ხართ შეუძლოდ და ხან სონია?

— მე, უბრალოდ, თავი მტკიოდა. მართალი გითხრათ, თქმისაც კი მერიდება — მხოლოდ ახლა ჩავიცვი, თმაც კი ახლა დავივარცხნე.

— როგორ საოცრად ეხამება მწვანე ფერი თქვენს თმასა და თვალებს!.. ჩემი დამიჯერეთ, გუშინ რაც გითხარი? — ვკითხე სრულიად მოულოდნელად და გავწითლდი.

ჩემს სიტყვებზე ნატალისაც სახეზე ვარდისფერმა გადაჰკრა:

— არა, უცბად ვერ დაგიჯერეთ, მაგრამ მერე რომ დავფიქრდი... კაცმა რომ თქვას, ვითომ მე რა მესაქმება თქვენი და სონიას სიყვარულთან?.. წავიდეთ, ვივახშმულთ.

ვახშამზე სონიაც გამოვიდა, წუთით დრო მაინც იხელთა და ამის თქმა მაინც მოახერხა:

— ამ დილას ავად გავხდი. აი, დღეს, როგორც იქნა, გამოვიდეთ — ჩვეალ ალბათ ვეღარ შევძლებ, აბა, შენ იცი, როგორ ჰკვიანადაც მგონია, ძალიან მიყვარხარ და ძალიან ვეჭვიანობ.

— ნუთუ ჩემთან ცოტა ხნით მაინც არ შემოივლით?

— სულელო...

სიმართლე რომ გითხრათ, ჩემთვის ეს ბედნიერებაც იყო და უბედურებაც — მთელი ხუთი დღე შემეძლო თავისუფლად ვყოფილიყავე ნატალისთან, ხელს არავინ შემიშლიდა, მაგრამ, მეორეს მხრივ, მთელი ეს ხუთი ღამე სონიას გარეშე უნდა გამეტარებინა.

და აი, იმ დღიდან მთელი კვირა ნატალი წარმართავდა საოჯახო საქმეებს — დადიოდა ეზოსა და სამზარეულოში თეთრწინსაფარაფარებული და ეტყობოდა, დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა სონიას მოადგილეობა თუ მზრუნველი დიასახლისის როლი. ასეთი საქმიანი მე იგი არასოდეს მენახა, თითქოს ისვენებს იმ დაძაბული, იმ საიდუმლო მეთვალყურეობისაგან, რომელსაც ჩემსა და სონიას შიმართ იჩენდა — რას ვამბობდით, როგორ გადავხედავდით, როგორ გადავულაპარაკებდით ერთმანეთს. მართალია, ყოველი სადილობა დიდ ღელვასა და ნერვიულობად უჯდებოდა, მაგრამ მოხუცი მზარეულიც, ქრისტიაცა და „ხოხლუშკა“ მოსამსახურეც ყველაფერს დროზე და რიგიანად ამზადებენ, მაგიდასთანაც დროზე მოაქვთ, ულანს არავინ არაფრით არ აღიზიანებსო, — ბოლოს მუდამ კმაყოფილი რჩებოდა. სადილის საქმეებს მოათავებდა თუ რა მაშინვე სონიასთან გარბოდა, ჩაიკეტებოდნენ ორივენი ოთახში და მე ახლოსაც არ მაჭაჭანებდნენ, ნავახშმევსაც მთელ საღამოს სონიას ოთახში იჭდა, როგორც ჩანს, ჩემთან განმარტოებას გაუბოდა. მე კი საშინელ საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი, საშინლად ვიტანჯებოდი, ჯერ ერთი, მართობისაგან აღარ ვიცოდი რა მექნა, სად წავსულიყავი, მეორეც, ვერა და ვერ გამეგო, ნატალი ასე რატომ იქცეოდა — თან თითქოს საოცრად აღერსიანი და თბილი ვახდა. თან სულ გამირბოდა, ახლოს არ მეკარებოდა. სულ იმის გარჩევვაში ვიყავი, ნეტავი საკუთარი თავისა და საკუთარი გრძნობებისა ეშინია თუ სონიას გამოა ასე-მეთქი... ვცდილობდი, როგორმე ჩემი თავი დამერწმუნებინა, რა თქმა უნდა, საკუთარი თავის შიში აქვს. აბა, სხვა რა უნდა იყოს, ესეც რომ არა, საუკუნოდ ხომ არა ვარ სონიასთან დაკავშირებული, ან მე და ან ნატალი აქ საუკუნოდ ხომ არ დავრჩებით, ერთი-ორი კვირაც და წავალთ, მერე კი, ნატალის სახლში დავიგულებ თუ არა, მოვიპიზებებ რაღაცას და სტანკევიჩებს ვესტუმრები, ცხადია, ასე უსინდისოდ სონიასაგან გაქცევაც არ არის დიდი ვაჟკაცობა, მაგრამ ადვილი ხომ არ არის, თან სონიასთან უნდა ვითვალთმაქცო, თან სულ იმის ოცნებაში უნდა ვიყო, ნატალის ხელსა და გულს როგორ დავეუფლო-მეთქი... ნუთუ მხოლოდ ვნების გამო ვკოცნიდი სონიას ასე გაგიყვებით, ნუთუ იოტისოდენადაც არ მიყვარდა, — ვფიქრობდი და თან საშინლად ვიტანჯებოდი, მაგრამ თან თავს თვითონვე ვიმშვიდებდი: — რას იზამ, სხვა რა გამოსავეალია, ადრე იქნება თუ გვიან, სულ ერთია, ამას ვერსად გავექცევით-მეთქი... ვიყავი ასე დაუსრულებლად ფიქრსა და სულიერ მღელვარებაში, სულ რაღაც ახლის მოლოდინში, ნატალისთან შეხვედრისას კი ვცდილობდი, რაც შეიძლება საყვარელი, რაც შეიძლება თავდასებებული ვიყო...

ფილიყავი და სანამ საჭიროება მოითხოვდა, პირუჩუმრად მეთმინა თითქოს ჩემს ჯინაზე, სამი დღე გადაუღებლად წვიმდა, გეგონება სახურავზე ათასობით პატარა თათი დაატყაბუნებსო, ცვიოდა და ცვიოდა ტაპატკუპით წვიმის მსხვილი წვეთები. მთელ სახლში ბინდი იწვა, ჭერსა და ლამპაზე ხუნები სთვლემდნენ, ისე მომეწყინა, აღარ ვიცოდი საით წავსულიყავი, რა მექნა, ხოგჯერ საათობით ვიჯექი ულანის კაბინეტში და მის მიერ მოყოლილ ნაირ-ნაირ ამბებს უსიტყვოდ ვუსმენდი...

ამასობაში სონიაც გამოკეთდა, ჭერ ხალათიანმა დაიწყო აივანზე გამოსვლა, მიწვებოდა სავარძელში მიმჭრალი და მისუსტებული, იმ თავისი ღიმილით და, ისე ჭირვეულად, ისე ნაზად, ისეთი დათაფლული მელაპარაკებოდა, ლამის გული გამხეთქვოდა, ნატალის ხომ აინუნშიაც არ აგდებდა:

— გვერდით დამიჯექი, ვიტყვ, გული მტკივა, რაიმე სასაცილო მომიყვი... გადიამ, ეტყობა, მართალი თქვა, მთვარე, ეტყობა, მართლა პირს იბანდა... ძლივს არ მოათავა ის თავისი პირის ბანა! ხედავ, როგორ გამოიღარა, ირგვლივ ყვავილების რა სასიამოვნო სურნელი დატრიალდა...

ისეთი გაღიზიანებული ვარ, ლამის გულს ვასკდები:

— მე მგონი, ისევ გაავდარდება.

სონიამ ხელზე ხელი დამკრა:

— არ გრცხვენია, ავადმყოფს რატომ ეწინააღმდეგები!

და აი, სონია უკვე სადილზედაც გამოდის და სამხარზედაც, თუმცა ჭერ ისევ უფერულად გამოიყურება, თან, ეტყობა, მაინცდამაინც ძალაზედაც ვერ არის, ჭერჯერობით ვერც აივანზე გამოსვლას ბედავს საღამოობით. ერთხელაც არის, ქრისტიამ მაგიდა აალაგა და სამოვარი სამხარეულოში გაიტანა, სონია თავის ოთახში გავიდა, ისე რომ აივანზე მე და ნატალილა დავრჩით.

— სონია ბრაზობს, სულ ასე გვერდიდან რომ არ ვშორდები და თქვენ ასე მარტოდმარტო დადიხართ... უიმისოდ, ვიცი, ძალიან მოწყენილი ხართ, მაგრამ...

— მოწყენილი მე მხოლოდ უთქვენოდ ვარ... — სიტყვა არ დავასრულე-ბინე ნატალის და თან დაბეჯითებით გავუმეორე: — მოწყენილი მაშინა ვარ, როდესაც თქვენ ვერ გხედავთ.

ჩემს სიტყვებზე ნატალის სახე შეეშალა, მაგრამ მალე ისევ თავს სძლია და ნაძალადევად გაიღიმა:

— აკი შევთანხმდით, აღარ ვიჩხუბებთო? იცით, რას გეტყვით, ეტყობა, ნამეტანი ჩაჯექით სახლში, წადით, ვახშამდე ცოტა გაიარ-გამოიარეთ, მერე მეც ჩამოვალ და ბაღში თქვენთან ერთად დავჯდები. მადლობა ღმერთს, ის თქვენი წინასწარმეტყველება, გაავდრდებაო, არ გამართლდა, ეტყობა, შესანიშნავი ღამე იქნება...

— სონია მეცოდება, თქვენ? ნუთუ თქვენ არ გეცოდებათ?

— ძალიან, — ამბობდა ნატალი და თან ჩაის ჭურჭელს სინზე ალაგებდა, — მალე სონიაც გამოკეთდება და თქვენც ასე მოწყენილი აღარ იქნებით...

მაგრამ, ამ წუთას — მერე მეც ჩამოვალ, ბაღში თქვენთან ერთად დავჯდებიო, — თავში მხოლოდ ნატალის ეს სიტყვები მიტრიალებდა და გული ტკბილად მეკუმშებოდა. მერე უცბად ექვმა გამკრა: — იქნებ მასიამოვნა, უბრალოდ, ტკბილი სიტყვა მითხრა? ამის გაფიქრებაზე მაშინვე ჩემს ოთახში

გავიქეცი — დიდხანს ვიწექი გარინდებული და ჭერს მივჩერებოდი. ბოლოს ავდექი, საკიდიდან ჩემი სტუდენტური „კარტუზი“ ჩამოვიღე, ვილატის ხელჯობი ავიღე, ეზოდან დაუფიქრებლად გამოვედი და ულანების „მამულსა“ და „ხოხლაკების“ სოფლის შუა სტეპის შიშველ ბეჭობზე მიმავსდი. შარაგზა მწუხრით მოცულ ტრიალ მინდვრებს მიუყვება. ირგვლივ ვრცელი, გაშლილი მინდვრები და უსასრულო თვალსაწიერია გაჭიმული... მარცხნივ, მდინარისპირა დაბლობს ზემოთ, ჰორიზონტისაკენ აცერებული ვრცელი, შიშველი მინდვრები მოჩანს, შორს, სადღაც ახლად ჩასული მზის შუქით წითლად განათებული დასალიერი ვარვარებს. ხელმარჯვნივ სწორ, ერთგვაროვან რიგებად ჩამწკრივებულ, ტყუპისცალებივით ერთნაირ თეთრ ხატებს დაფიონის წითელი ანაშუქი დასდგომია და ეს ვარდისფერ შუქში გახვეული სოფელი კაცთაგან მიტოვებული, ყრუ და უკაცრიელი გეგონება. ვდგავარ და სევდიანად გავყურებ მიმწუხრში გარინდულ თეთრ სახლებსა და წითლად გავარვარებულ დაფიონს... უკან რომ გამოვბრუნდი, თბილი, ალერსიანი ნიავი პქროდა, დროდადრო ცხელი, ხორშაკი ქარი წამოუბერავდა და პირდაპირ სახეში მირტყამდა, ცაზე უკვე ახალი მთვარე ანათებდა.

იმ საღამოს ჰაერი როგორღაც ჩამოიხუთა, საშინელი სიცხე დაიჭირა და გადავწყვიტეთ, ამჯერადაც ბაღში გვევახშმა.

— ბიძია, რას ფიქრობთ, როგორი ამინდი იქნება? მე მგონი, ხვალ იწვიმებს, — ვკითხე ულანს, ვახშამზე რომ ვისხედით.

— რატომ, ჩემო მეგობარო?

— ეს-ეს არის მინდორში ვიყავი, დიდხანს, დიდხანს ვიარე მოწყენილმა, დავდიოდი ჩემთვის და ვფიქრობდი, აი უკვე ჩემი წასვლის დროც დადგამეტქი, ალბათ მალე მიგატოვებთ.

— ვითომ რატომაო?

ნატალიმ თვალები შემომაფეთა:

— წასვლას აპირებთ?

მე თვალთმაქცურად გავიღიმე:

— ხომ არ შეიძლება...

ულანმა თავი კიდევ უფრო ენერგიულად გადააქნია:

— რა სისულელეა!.. დედაშენიცა და მამაშენიც მშვენივრად გასძლებენ უშენოდ, ორ კვირამდე აქედან ფეხსაც ვერ მოიცივლი, მარტო მე კი არა, აი, ნატალიც არ გაგიშვებს.

— ვიტალი პეტროვიჩთან მე რა მესაქმება, მე რა შუაში ვარ, — სასტიკად იუარა ნატალიმ.

მე საცოდავად დავიღრიჯე:


— ბიძია, აუკრძალეთ ნატალის, უთხარით, ასე ნუ მეძახის!

ულანმა მაგიდას ხელი დაჰკრა:

— ნატალი, იცოდე, გიკრძალავ! რაც შეეხება შენს წასვლას, კმარი, გეყოფა ლაილაი... აი, ამინდზე კი, მე მგონი, მართალი ხარ, ადვილი შესაძლებელია, ამინდი ისევ წახდეს.

— მინდორში ჰაერი ისეთი გამჭვირვალე იყო, მთვარეც ისე იყო მოკრიალეებული, თან სამხრეთის ისეთი თბილი ქარი უბერავდა... აი, ხედავთ, როგორი ღრუბლები წამოიშალა!

ულანმა ბაღს გახედა — ბაღი ხან მთვარის შუქში გაეხვეოდა, ხან ღრუბელი წამოდგებოდა და ბინდი ჩამოწვებოდა.

— არა, ძმაო, ნამდვილი მომავალი ბრიუსი ხარ... 

და აი, რა ხანია აივანზე ვდგავარ და ნატალის ველფენებიც კერა და ვერ დამიმშვიდებია — სისულელეა, ჩემდამი, ვთქვათ, რაიმე გრძნობა კიდევაც რომ გააჩნდეს, იგი ალბათ მეტისმეტად არამყარი და არასერიოზული იქნება-მეთქი, — ვფიქრობ საშინლად მოწყენილი. ახალი, პირმოკრიალებული მთვარე სულ უფრო ზევითა და ზევით მიიწევს, ცას მოჯარულ, მთასავით წამომართულ თეთრ-კვამლისფერ ღრუბლებს გაეთამაშება და ღრუბელსა და ღრუბელს შორის თვალს რომ გამოაჭყეტს, თავის ფერმკრთალ, ადამიანის პროფილის მსგავს სხივმოსილ სახეს რომ გამოაჩენს, ირგვლივ ყველაფერს ნათელი ეფინება და ფოსფორული შუქით ივსება. ასე, ათი საათი იქნებოდა, უცბად რალაც ვიგრძენი და უკან მივიხედე — ნატალი კარის ზღურბლზე იდგა, ხელები ზურგზე დაეწყო და ჩუმად შემომყურებდა. დავინახე თუ არა, მაშინვე ფეხზე წამოვდექი.

— კიდევ არა გძინავთ? — მკითხა ნატალიმ სხვათა შორის.

— კი მაგრამ, ხომ მითხარით...

— მაპატიეთ, დღეს ძალიან დაღლილი ვარ, აი, აქვე ხეივანში ცოტა გავიაროთ, მერე კი წავალ, დავიძინებ...

ნატალი წუთით აივნის კიბის საფეხურზე შედგა და ბაღში ხის კენწეროებს გახედა. ბაღის გადაღმა ცა უკვე შავი ღრუბლებით იყო დაფარული, ელავდა. მერე იგი არყის გრძელ ხეივანში შევიდა და ხეივნის ქრელ, მეჩხერ ჩრდილს შეერია. მე ჯერ კარგა ხანს უკან მივყვებოდი, როდესაც გავუსწორდი, მხოლოდ იმიტომ რომ გამოვლავლავებოდი, ჩუმად ვუთხარი:

— ნახე, რა ზღაპრულად ელავენ შორიდან ეს ალვები... არაფერია მთვარით განათებულ ტყის გულზე უფრო მშვენიერი. გახედავ ტყის სიღრმეს და სახეში თეთრად შემოგანათებს არყის აშოლტილი ზრო და ფოთლის აბრეშუმისებური ელვარება.

ნატალი შეჩერდა და ლამის სიბნელეში კიდევ უფრო შავად ჩამუქებული თვალებით სახეში დაეინებით ჩამაცქერდა:

— მართლა მიდიხართ?

— დიახ, უკვე დროა...

— კი მაგრამ, ასე უცბად რატომ გადაწყვიტეთ? არ დაგიმალავთ და, რომ თქვით, მივდივარო, ძალიან გავვოცდი.

— ნატალი, შინ რომ დაბრუნდებით, შეიძლება, ჩამოვიდე, თქვენს მშობლებს გავეცნო?

იგი ერთხანს გაჩუმებული იდგა.

მე მისი მარჯვენა ხელი ხელში ავიღე და სუნთქვაშეკრული დავეკონე:

— ნატალი...

— დიახ, დიახ, მიყვარხართ, — თქვა სახეგამშრალმა ნატალიმ თითქმის ჩურჩულით, მაშინვე მიტრიალდა და სახლისაკენ წავიდა, მეც უკან მთვარეულივით ავედევნე.

— წადით, ხვალვე წადით, — თქვა ისე, რომ უკან არ მოუხედავს, — აი, რამდენიმე დღე და მეც უკვე შინ ვიქნები...



ოთახში გაოგნებული შევედი, სანთელიც კი არ ამინთია, დივანზე / გაშტერებელი ჩამოვჯექი და გავშეშდი — ჩემს ცხოვრებაში მეხიფეთქვეწარმუნოებელი ამ საოცარი ამბით ისე ვიყავი დაბნეული, აღარაფერი მესმებოდა. — ცხინქიშახლად ჩამოწოლილმა ღრუბელმა მალე ირგვლივ ყველაფერი ჩააბნელა. ღია ფანჯრებიდან ფოთლების შრიალი ისმოდა — მთელი ბალი თრთოდა, ირწეოდა, მომწვანო-მოციხფრო ელვა წამი-წამს ცას გაჰკვეთდა. მთელ ოთახს კაშკაშა სინათლეში გახვევდა და ისევ ჩამობნელდებოდა. ელვამ თანდათან იმატა. უცბად ოთახი რაღაც არაბუნებრივი მომწვანო-მოციხფრო სინათლით აივსო. გრილმა სიომ დაჰბერა და ბალიდან ისეთი საშინელი ზრიალი წამოვიდა, თითქოს მთელი ბალი არნახულმა ძრწოლვამ აიტანა — ეგ არის, ცა და დედამიწა იწვისო. მე სასწრაფოდ წამოვხტი და ფანჯრები დიდი გაჭირვებით ჩავკეტე — ქარი ჩარჩოებს მტაცებდა, ლამის მაქცევდა... არ ვიცი, იმ წუთას სასადილოსა და სასტუმროს ღიად დარჩენილი ფანჯრები რატომ გამახსენდა, ჩაბნელებული დერეფანი ფეხაკრეფით გადავირბინე და სასადილო ოთახში შევევარდი, მაგრამ სასტუმროშიაც და სასადილოშიაც ფანჯრები დაკეტილი დამიხვდა — ისეც იმ რაღაც უცნაურ, არაამქვეყნიურ მომწვანო-მოციხფრო შუქზე დავინახე, შუქმა შლეგიან თვალთა ელვისებური სისწრაფით უცებ მთელი ოთახი გადააკაშკაშა, სინათლე უსაშველოდ გაზრდილსა და გაფართოებულ ფანჯრებს შეასკდა, მალე ყოველივე ისევ უკუნეთმა სიბნელემ შთანთქა და დაბრმავებულ თვალებში რაღაც თუნუქისებური სიწითლის კვალი ჩამიტოვა. მე მაშინვე უკან გამოვტრიალდი და ჩემს ოთახში ისე გიჟივით შევევარდი, თითქოს იქ რაღაც სასწაული მელოდა. ოთახში რომ შევედი, სიბნელიდან გაბრაზებული ჩურჩული მომესმა:

— სადა ხარ? სანთელი აანთე, ჩქარა, მეშინია!

ასანთს რომ გავკარი, დივანზე ღამისპერანგის ამარა, ტუფლებში შიშველფეხებწყაყოფილი სონია დავინახე.

— არა, არა, არ გინდა, არ აანთო... მეშინია, მოდი, მომეხვიე, ჩქარა, ჩქარა მოდი, — სხაპასხუპით მიაყოლა სონიამ.

მე მორჩილად ჩამოვჯექი მის გვერდით და გაყინულ ბეჭებზე ხელი მოვხვიე.

— მაკოცე, კარგი ახლა, მაკოცე, გულში ჩამიკარი, მე ხომ მთელი კვირაა არ ვყოფილვარ!

ჩამჩურჩულა სონიამ და დივანზე დაწყობილ ბალიშებზე ძალით გადამაწვინა.

სწორედ ამ დროს ღია კარის ზღურბლზე იმ თავისი ნარინჯისფერი პერანგითა და სანთლით ხელში ნატალიმ იელვა, ცხადია, მაშინვე მშვენივრად დავგინახა, მაგრამ ანგარიშმიუცემლად იკითხა:

— სონია, სადა ხარ, მეშინია...

თქვა და იმავე წუთს გაუჩინარდა. ამ სიტყვებზე სონიაც წამოხტა და უკან გაედევნა.

ამ ამბიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ნატალი მეშჩერსკის გაჰყვა ცოლად. ჯვარი ბლაგადატნოს თითქმის ცარიელ ეკლესიაში დაიწერეს —

არც ნატალისა და არც ძეშჩერსკების მხრიდან ჯვრისწერას არავინ დასწრებია, ქორწილზეც არავინ დაუბატრეებიათ, არც თვითონ სწვევიან ქორწილის შემდეგ. როგორც წესი და ადათია, ნათესავებსა და მახლობლებს — მაშინვე ყირიმში გაემგზავრნენ.

მომავალი წლის იანვარში, ტატიანობა დღეს ვორონეჟის უნივერსიტეტში საკრებულოში სტუდენტების მეჯლისი იყო დანიშნული. იმ დროისათვის მე უკვე მოსკოვის უნივერსიტეტში ვსწავლობდი და შობის დღეებს შინ, სოფელში ვატარებდი. სამეჯლისოდ ვორონეჟში რომ მივდიოდი, მთელი გზა საშინელი ქარბუქი უბერავდა, თეთრად შებობილილი მატარებელი ერთიანად თოვლის კარიანტელში იყო გახვეული. ვიდრე შეეტლეს სადგურიდან მარხილით ქალაქის სათავადაზნაურო სასტუმროში მიმიყვანდა, იმ თოვლსა და ბურუსში ქუჩის პირას ჩამწკრივებული ფარნების შუქიც კი არ აღწევდა, მიუხედავად ამისა, სოფლის იმ მოწყენილობისა და იმ მარტოობის შემდეგ, ქალაქის ეს ქარბუქიცა და თოვლში ძლივს აბეუტებული ეს სინათლეებიც ხალისიან გუნებაზე მაყენებდა. გულს ძველი, საგუბერნიო სასტუმროს თბილი, ჩალულუნებული ნომრის სასიამოვნო მოლოდინით მივსებდა — მივიდოდი, სამოვარს შემოვატანიებდი, ტანისამოსს გამოვიცვლიდი, სამეჯლისოდ გამოვეწყობოდი და ისე როგორც სტუდენტებს სჩვევიათ, მთელ ღამეს ლოთობაში გავატარებდი. ჩერკასოვების სახლში გატარებული იმ საშინელი ღამისა და ნატალიის გათხოვების შემდეგ, როგორც იქნა, გონს მოვეგე, ასე თუ ისე, მივეჩვიე იმ სულით ავადმყოფი ადამიანის მდგომარეობას, ვისი ცხოვრებაც მხოლოდ სხვათა დასახაზად არის სხვათა მსგავსი და ჩვეულებრივი.

კეთილშობილთა საკრებულოს შენობაში რომ შევედი, მეჯლისი ის-ისაა იწყებოდა, მაგრამ სადარბაზო კიბეცა და კიბის პატარა მოედანიც უკვე ხალხით იყო გაჭვდილი, თან სულ მოდიოდა და მოდიოდა ხალხი. მთავარი დარბაზის თაბუნიდან ხან ვალსის საზეიმო-სევდანარევი მუსიკა და ხან პოლკის ხმამალალი გრიალი ისმოდა. ჯერ ისევ ყინვისაგან სახეალეწილმა და ცინცხალმა, ახალთაილ მუნდირში გამოწყობილმა, რის გამოც კიდევ უფრო გადაქარბებული თავაზითა და განსაკუთრებული მოხდენილობით მივიკვლევდი გზას ხალხით სავსე, წითელი ფიანდაზით მოგებულ საფეხურებზე. როგორც იქნა, კიბის ბაქნამდე მივალწიე, დარბაზის წინ მჭიდროდ შეჩვეულულ, ხალხის კარგა მოზრდილ, შეფიცებულ ტალღას შევერიე და რატომღაც წინ ისე მონდომებით, ისეთი დაბეჭითებით გავწიე, ეტყობა, იფიქრეს, უთუოდ რიგის მიმცემია, დარბაზში რაღაც აუცილებელი საქმისათვის მიიჩქარისო. ბოლოს, როგორც იქნა, დარბაზის შესასვლელამდე მივალწიე და კართან გავჩერდი. მუსიკას იქვე, ჩემს ზემოთ გაქონდა გრიალი. ვიდეჭი და გაბეღვრიალებული ქალების ზიმზიმსა და ქალებქვეშ ვალსის ხმაზე მოსრიალე ათობით ქალ-ვაეს ჩუმად შევეყოებდი, რომ ერთბაშად ელდანაკრავივით უკან დავიხიე — მოტრიალე ბრბოში თვალი უცებ ერთ ყველასაგან გამორჩეულ, შესანიშნავად მოცეკვავე წყვილს მოვკარი, რომლებიც სხვა დანარჩენებთან ერთად არაჩვეულებრივად მოქნილი, მსუბუქი ცეკვა-ტრიალით პირდაპირ ჩემსკენ მოსრიალე-ბდნენ. დავანახე თუ არა, მხრებში ოდნავ მოხრილი, თავისი სიზორობავის მიუხედავად არაჩვეულებრივად მსუბუქად, მოხდენილად მოცეკვავე (რითაც ზოგიერთი ტანსრული ადამიანი მაყურებლის განსაკუთრებულ გაოცებას იწვევს). შავ ფრაკში გამოწყობილი შავთმიანი ზორზოხა მამაკაცი და მის გვერდით

საგანგებოდ თმადავარხნილი, ოქროსფერ ბრჭყვიალა ფეხსაცმელსა და გრძელ, სამეჯლისო თეთრ კაბაში შორთული ტანწერწეტა ახალგაზრდა ქალი, ისე შევტორტმანდი, კინალამ დავეცი. ნიდაყვამდე თეთრ ხელთათმანში გამოკვართული, გედის კისერივით გაღუნული, საოცრად ნატიფი მკლავი კაცის მხარზე ჩამოედო და თვალეზდახრილი, ოდნავ თავგადაღერილი ცეკვავდა. წუთით თავისი გრძელი, შავი წამწამები სახეზე შემომაფეთა და მისი თვალების საოცარმა სიშავემ სულ ახლოს ჩამიელვა, რომ ამ დროს მსუქანი მამაკაცისათვის ჩვეული გულმოდგინებით ლაქის ფეხსაცმლის წვერზე მსუბუქად გასრიალდა და ისე ერთბაშად შეატრიალა, მოულოდნელობისაგან შემკრთალი ქალის ოდნავ გაღებულ ბაგეს მსუბუქი ოხვრაც კი აღმოხდა, კაბის კალთამ წუთით ვერცხლისფრად გაიელვა და თავბრუდამხვევი ტრიალ-ტრიალით კვლავ შუა დარბაზისაკენ წაიყვანა. მე ისევ კიბის ბაქანზე მოდგანდგარე ხალხის ტალღაში გავძვერი, ხალხს გავერიდე და ცოტა ხანს იქვე, გვერდით გავჩერდი... ჩემს გასწვრივ, ჯერ ისევ ცარიელი, გრილი დარბაზის ღია კარიდან შამპანურების ბოთლებით სავსე ბუფეტი მოჩანდა, ბუფეტთან ორი მალაორთსიულ ტანისამოსში გამოწყობილი მოსწავლე გოგონა საქმის მოლოდინში მოწყენილი იდგა. ერთი ქერათმიანი, საკმაოდ მოხდენილი, მეორე კი გაცილებით მაღალი, თხელი, შავთვალწარბა, შავგვრემანი კაზაკი გოგონა იყო, რომ იტყვიან ნამდვილი მზეთუნახავი. დარბაზში შევედი, გოგონებს თავი დავეუქარი და ქალაღდის ასმანეთიანი გავუწოდე. გოგონებმა დახლქვეშ დადგმული ყინულით სავსე ვედროდან უშველებელი ბოთლი სიცილ-სიცილით ძლივს ამოიღეს და ალბათ შეეშინდათ, ეს ამხელა ბოთლი როგორ უნდა გავხსნათო, ერთმანეთს გაუბედავად გადახედეს. მე სასწრაფოდ დახლში შევედი, ბოთლს საცობი ხმაურით დავაძრე, თითო ბოკალი ღვინო ქალიშვილებს მზიარულად შევთავაზე — *Gaudeamus igitur!* — და დანარჩენი ჭიქა-ჭიქაობით სულ წვეთი-წვეთ გამოვცალე. გოგონები ჯერ გაოცებულები მომჩერებოდნენ, მერე კი თავი ველარ შეიკავეს და შეწუხებულებმა მითხრეს:

— იცით, ისეთი ცუდი ფერი გადევთ!

ღვინის სმას მოვრჩით თუ არა, მეჯლისი მაშინვე მივატოვე. სასტუმროში რომ მოვედი, ნომერში ერთი ბოთლი კავკასიური კონიაკი შემოვატანინე და იმის იმედით, იქნებ როგორმე გამისკდეს ეს გული-მეთქი, მთელი ბოთლი კონიაკი ჩაის ფინჯნით გამოვცალე...

უა აი, მას შემდეგ კიდევ ერთმა წელიწადმაც განვლო. იდგა მაისის ბოლო რიცხვები, მოსკოვიდან მაშინაც ის-ის არის ახალი ჩამოსული ვიყავი, რომ შეკრიკმა სადგურიდან ნატალის დებეშა მოიტანა: „ალექსეი ნიკოლაევიჩი დიღეს დიღას მოულოდნელად გარდაიცვალა სისხლის ჩაქცევით“...

— ღმერთმა აცხონოს, — თქვა მამამ დებეშის წაკითხვის შემდეგ და პირჯვარი გადაიწერა, — უფალო, შემინდე, მართალია, მაინცდამაინც გულზე არასოდეს მეხატა, მაგრამ, ძალიან მეცოდება, აბა, წარმოიდგინე, ჯერ ორმოცისაც არ იყო, ნატალიზეც ხომ სულ გული მიკვდება — ასე ახალგაზრდა ქალი და უკვე ქვრივი! რა უნდა ქნას, ან ამ ობლად დარჩენილ ბავშვს რა უნდა უყოს... მართალია, ნატალისათვის თვალისც არ მომიკრავს — წარმოგიდგენია, ერთხელაც არ ამოიყვანა და არ გვაჩვენა — მაგრამ, ამბობენ, არაჩვეულებრი-

¹ ხომ უნდა ვიმზიარულოთ! (ლათ).

ვად მომხიბვლელი ქალიაო... რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, ასორმოცდაათი ვერსის გავლა არც მე შემიძლია, არც დედაშენს, სხვა რა გზაა, უნდა ადგე და ისევ შენ წახვიდე.

უარის თქმა თითქმის შეუძლებელი იყო — ანდა რა მიზეზით უნდა მეთქვა? თან ეს ამბავი ისე მოულოდნელად დამაცხრა, ისე ^{ჭკნაჭკნა} ^{ნაშ} ^{შეშით} გაოგნებული... რაც მთავარია, ნატალის ვნახავ-მეთქი, — ^{მთელი ჩემი გონება} ახლა მხოლოდ ამ ერთი აზრით იყო შეპყრობილი.

მაშინვე საპასუხო დებეშა გავაგზავნეთ, მეორე დღეს კი მზე უკვე დასალიერს იყო მიმდგარი, რომ ბლაგადატნოდან გამოგზავნილმა ცხენებმა ნახევარ საათში სადგურიდან მეშჩერსკების მამულში მიმიყვანეს. სერზე რომ ავედით, სალგეი მდებლობის გასწვრივ მეშჩერსკების სახლს გავხედე — ჯერ ისევ ჩამავალი მზით განათებულ დასავლეთ კედელზე დარბაზის ყველა დარბაზი ჩაკეტილი იყო. აი, იმ კედელს იქით მისი ცხედარი ასვენია, ნატალიც ახლა იქ არის, იმ ცხედარს გვერდით უზის-მეთქი, — ამის გაფიქრებაზე ტანში გამცრა. ახლად წამოსული ლორთქო ბალახით მწვანედ გადაბიბინებულ ეზოში, საკარეტე ფარდულის გვერდით, ორი „სამცხენა“ იდგა და ევევების ელარუნი ისმოდა, მაგრამ კოფოზე მჯდარი მეეტლეების გარდა ირგვლივ ადამიანის ჭაჭანება არ იყო — მოსულებიცა და შინაურებიც, ჩანს, უკვე პანაშვიდზე იყვნენ შესულები. იდგა მაისის იღუმალებით მოცული სოფლის მშვიდი, უშფოთველი საღამო, ირგვლივ ყველაფერი განახლებული სიცოცხლით ფეთქავდა, ყველაფერი ზალასი და თავანკარა იყო — მინდვრებსა და მდინარიდან მონაბერი გაზაფხულის ეს ცინცხალი ჰაერიც, ეზოში მოხეთქილი ლორთქო ბალახიც, სახლის სამხრეთ კედლამდე მომდგარი, თეთრად აყვავებული ბალიც... დაბალ წიგარდში, დერეფნის ფართოდ გაღებული კარის წინ, კედელზე, კუბოს დიდი, ყვითელფარჩაგადაკრული სახურავი იყო მიყუდებული. საღამოს გრილსა და გამჭვირვალე ჰაერში რძისფრად აყვავებული მსხლების მოტკბო, მძაფრი სურნელი ტრიალებდა — იდგნენ ყვავილით დახუნძლულნი, თეთრად გადაპენტილნი, მათი რძისფერი სითეთრით გამკრთალებული, მოკრიალებული ცის ფონზე და თავს ერთადერთი ცდომილი, ერთადერთი შექუთვარსკვლავი — ვარდისფრად მოციმციმე მუშთარი დასდგომოდათ. ამ საგაზაფხულოდ განახლებული ბუნების სიტურფემა და სილამაზემ, ამ ფიქრმა ნატალის სილამაზესა და ახალგაზრდობაზე, იმან, რომ ნატალის ოდესღაც ასე ძლიერ ვუყვარდი, გული ისეთი მწუხარე ბედნიერებითა და სიყვარულის წადილით ამივსო, სახლის წინ ეტლიდან რომ გადმოვხტი, ასე მეგონა, კარებწინ კი არა, უძირო უფსკრულის წინ ვიდექი — ვერ წარმომედგინა, ამ სახლში როგორ უნდა შევსულიყავი, სამი წლის განშორების შემდეგ როგორ უნდა შემეხედა, როგორ შევხვედროდი უკვე შვილიანსა და უქმროდ დარჩენილ, უდროოდ დაქვრივებულ ნატალის... და აი, მაინც შევედი სიკვდილის საუფლოდ ქცეულ, სანთლის ალით გადაჭრელებულ, ბნელსა და ზარიან დარბაზში. კედლისაკენ ოდნავ თავაწეულ კუბოს ოქროქანდული ხატების წინ მოციმციმე, დიდი წითელი კანდელი ანათებდა, ფერხითთ სამი უშველებელი კელაპტრის ვერცხლისფრად მოლაპლაპე შექი ადგა, სანთლების ალზე დარბაზის წინა კუთხე კიდევ უფრო ჩაბნელებული და ჩაუკუნეთებული იყო, მიცვალებულის სასახლეს საკმევლის კმევითა და ჩუმი ლოცვა-გალობით საეკლესიო მსახურნი უვლიდნენ... დარბაზში ისე შევედი, თავი არ ამიწევია, გულში საოცარი, უსიამოვნო შიში მქონდა — ყვითელფარჩაგადაკრული კუბოსა და მიცვალებულისაკენ გახედვაც

არ მინდოდა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ნატალის შეხედვას ვერძებოდი. შევედი თუ არა, ვილაცამ კერეონი მომაჩეჩა. ვიდექი ანთებული სანთლით ხელში და ვგრძნობდი, მისი მოცახცახე ალი ჩემს ფერმკრთალ, შეწუხებულ სახეზე როგორ ლიცილიცებდა, ლაწვებზე თბილად როგორ შეღებებდა — კიდექი და მორჩილად ვუსმენდი საცეცხლურის ჩხაკუნსა და შეღებებდა — კვანთა სულთათანას, თავჩაბრილი შუბლქვევიდან აეყურებდი ჭერისაკენ მედიდურად აწვერილ სანთლების რუხ კვამლს, რომ უცბად კვამლის მსუყე-მოტკბო სურნელით გაბრუებულმა თავი ავწიე და პირდაპირ ნატალის შევე-ფეთე — იგი ყველაზე წინ იდგა, თავით ფეხებამდე შავ ძაძაში იყო გახვეული, ხელში ანთებული სანთელი ეჭირა, სანთლის მკრთალი შუქი ოქროსფერ თმა-სა და ჩამოქნილ ლაწვებს შელევკვოდა — შევხედე და თვალი ველარ მოვაცილე ზატივით. გალობა რომ მიწყნარდა, დარბაზში ჩამწვარი სანთლის სუნი რომ დატრიალდა, ხალხი ნელა რომ დაიძრა ნატალისაკენ, რათა მიესამძიმრებინათ და ხელზე ეკოცნათ, მე უკან მივდექი და შევიცადე. და აი, ბოლოს ჩემი მისვ-ლის რიგიც დადგა და როდესაც მის მონაზვნურ, გრძლად დაშვებულ დიდე-ბულ შავ კაბას შევხედე, რომელიც კიდევ უფრო უნაკლოდ აჩენდა მის მშვე-ნიერ ტანადობასა და ტანკენარობას, შევხედე მის ჩამოქნილ, ჯერ ისევ სალუქ-სახესა და ჩემს დანახვაზე ძირს დახრილ შავი წამწამებით მოჯარულ შავ თვა-ლებს, აღტაცებისაგან თავზარდაცემულმა თავი მდაბლად, მდაბლად დავუკარი, ხე-ლზე ვაკოცე და ისე, როგორც ნათესავსა და ზრდილ კაცს შეეფერება, ხმადაბლა, გულითადად მივუსამძიმრე... ნება მომეცით, ახლავე წავიდე, ღამე ბალის იმ ძველ როტონდაში გავათენო, სადაც ჯერ ისევ სტუდენტობის დროს ვათევდი-მეთქი (როტონდა მეშჩერსკების საზაფხულო საძინებელი იყო), — ვუთხარი ბოლოს ნატალის.

ნატალიმ ისევ თვალეზდახრილმა მიპასუხა:

— ახლავე ვუბრძანებ, როტონდამდე მიგაცილონ და ვახშამი მოგართვან. მეორე დღეს მიცვალებულს წესი აუგეს თუ არა, მაშინვე შინისაკენ გა-მოვემგზავრე.

წამოსვლისასაც სულ რაღაც ორიოდ სიტყვით გამოვემშვიდობეთ, ისე რომ სახეში არც ახლა შეგვიხედავს ერთმანეთისათვის.

კურსის დამთავრებიდან არ გაუვლია დიდ დროს, რომ თითქმის ერთ-დროულად დავკარგე ღედაცა და მამაც, რის შემდეგაც საბოლოოდ დავსახლდი სოფელში, ხელი მეურნეობას მივყავი, დავუახლოვდი ჩვენს ოჯახში გაზრდილ ხელზე მოსამსახურე, შესახედავად ჯერ ისევ მოზარდივით თხელსა და ტანმორ-ჩილ, ნახშირივით შავთვალეზა, საოცრად უსიტყვო, თითქმის ყველაფრის მი-მართ გულგრილ, გამოუცნობელი იდუმალეებით სავსე გლეხის ერთ ობოლ გო-გოს — გაშას. ისეთი შავთვალა და შავკვრემანი იყო, ისეთი შავი სრიალა კანი ჰქონდა, აგარი, ნამდვილად ალბათ ასეთი იქნებოდაო, ხშირად იტყოდა ხოლმე მისი შემხედვარე მამაჩემი. მეც სწორედ გაშა მემსახურებოდა, გაშა და ჩვენი ყოფილი შინაყმა, თოვლივით თმაგათეთრებული ივან ლუკიჩი — მხნე, მხარბე-ჭიანი, ჯერ ისევ ჭარმაგი მოხუცი. ისეთი მშვენიერი, ისეთი საყვარელი გოგო იყო, ავიყვანდი ხელში და ვკოცნიდი, ეს არის და ეს, ცხოვრებაში ამის მეტი

სხვა აღარაფერს დამოჩენია-მეთქი, ვფიქრობდი... მე მგონი, ისიც მშვენივრად
 ხვდებოდა ჩემს ფიქრებს. შვილი რომ გააჩინა, პატარა, შავთვალეზა, შავტუხა
 ზიჭუნა და ჩემს ყოფილ საბავშვო ოთახში დაბინავდა, გადაწვევით ცოლად
 შეშერთო, ჯვარი დამეწერა, მაგრამ გაშამ სასტიკად იუარა: ~~მე მშვენივრად~~

— არა, არა, აბა სადაური ქალბატონიც მე ვარ! სირცხვილით სახეში ველა-
 რავის შევხედავ... ან თქვენ ვითომ რალაში გჭირდებათ? ჯობია, მოსკოვში წახ-
 ვიდეთ, სულ ასე ჩემს გვერდით თუ იქნებით, ხელად მოგბეზრდებით, კიდევ
 უფრო მალე გადამიყვარებთ. წადით, გაიარ-გამოიარეთ, დრო გაატარეთ, თვალს
 წყალი დააღვინეთ, ოღონდ, როგორც კი გავიგებ, ვილაც შეგიყვარდით და
 ცოლად შერთვა გადაწვევით, იცოდეთ, ერთ დღესაც არ ვიცოცხლებ, მოვკი-
 დებ ხელს და ამასთან ერთად თავს დავიხრჩობ.

ეს სიტყვები ისე დაბეჭითებით წარმოთქვა, შეუძლებელი იყო, არ გერწმუ-
 ნა — გაშას შევხედუ და თავი ჩავლუნე: მე ხომ ჯერ ოცდაექვსი წლისა ვიყა-
 ვი, ოცდაექვსი წლის ახალგაზრდა კაცი! მართალია, ეილაცის შეყვარება და ცო-
 ლად შერთვა აზრადაც არ მომსვლია, მაგრამ გაშას სიტყვებმა ერთხელ კიდევ
 დამარწმუნა, რომ ჩემს ცხოვრებას სამუდამოდ ჰქონდა წერტილი დასმული.

იმ წელიწადს გამოზაფხულდა თუ არა, საზღვარგარეთ წავედი და მთელი
 ოთხი თვე იქ დავრჩი. უკვე ივლისის ბოლო იყო, მოსკოვის გავლით შინ რომ
 ვბრუნდებოდი. გადაწვეტილი მქონდა, ამ შემოდგომას მოსკოვში გავატარებ,
 ზამთრისათვის კი ავიკრავ გუდა-ნაბადს და ისევ სადმე საზღვარგარეთ წავალ-
 ნეთქი. ტულაში რომ მივდიოდი, მთელი გზა გულს როგორიღაც ჩუმი სევდა
 მიღრღნიდა, სულ იმას ვფიქრობდი, აი, უკვე სახლში ვარ, მაგრამ რა მინდა,
 აბა, რა დამოჩენია-მეთქი. უცბად ნატალი გამახსენდა და გული შემეკუმშა —
 დიახ, დიახ, „კუბოს კარამდეო“, ვითომ ხუმრობით რომ მიწინასწარმეტყველა
 სონიამ, ის სიყვარული ისევ ისე ცოცხლობს ჩემს გულში, ოღონდ, როგორც
 ჩანს, მეც ისევე მივეჩვიე ამ გრძნობას, როგორც ადამიანი ეჩვევა დროთა გან-
 მავლობაში, ვთქვათ, მოჭრილ ხელს ან ფეხს... დიდხანს ვიჭექი ტულის სად-
 გურში ასე ჩაფიქრებული და მეორე მატარებელში გადაჯდომას ვუცდიდი, რომ
 უცბად ავდექი და დეპეშა გავგზავნე: „მოვდივარ მოსკოვიდან, საღამოს ცხრა
 საათისთვის თქვენს სადგურზე ვიქნები, ნება მომეცით, შემოგიაროთ და გინა-
 ხულოთ“.

ბლაგადატნოში რომ მივედი, ნატალი კართანაზე შემომეგება, უკან მოსამ-
 სახურე ედგა, ხელში ლამპა ეჭირა და გვინათებდა.

— რომ იცოდეთ, როგორ გამახარეთ, — ნაზად შემომლიმა ნატალიმ და
 ორივე ხელი გამომიწოდა.

— იქნებ მეტისმეტად უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ, იცით, ცოტა გაზ-
 რდილხართ, — ხელებს ვუკოცნიდი და ვგრძნობდი, ახლაც კი როგორ მტკივნე-
 ულად განვიცდიდი მათ შეხებას. მოსამსახურეს ლამპა ისევ მალლა ეჭირა და
 გვინათებდა, ნაწვიმარ, ლბილსა და მყუდრო ჰაერში ლამპის ირგვლივ აუარებე-
 ლი ვარდისფერი ფარვანა ირეოდა. მე ნატალის ავხედ-დავხედე — თამამად,
 გაბედულად შემომყურებდნენ ახლა მისი შავი, მრუმე თვალები. ჩემ წინ ტან-
 წერწეტა, ქალობის სრულ ეშხში შესული ყმაწვილი ქალი იდგა, სადად, მაგრამ
 ლამაზად მორთული, მშვენიერ სამკაულებსა და იმ თავის მწვანე ჩესტუჩის კაბა-
 ში მოხდენილად გამოწყობილი.

— ასეა, ჯერ კიდევ ვიზრდები, — მიპასუხა ნატალიმ სევდიანი ღიმილით.

იმ დიდი, უშველებელი დარბაზის კუთხეში, ოქროს ძველებური ხატების წინ ასევ ის წითელი კანდელი ეკიდა. დარბაზის იმ კუთხეს მაშინვე თვალი ავა-
რიდევ და სასადილოსაკენ მიმავალ ნატალის გავყევი. სასადილო ოთახში, ქათქა-
თა სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე უნატიფესი ჩაის ჭურჭელი უჭერდნენ. იქვე,
იმ გახამხამებულ სუფრაზევე სპირტქურა იდგა და ზედ ჩაიდან წარმოიშობდა.
შევედით თუ არა, მოსამსახურემ ცივად მოხარშული ხბოს ხორცი, მკავე კიტ-
რი, არყით სავსე გრაფინი და ერთი ბოთლი ლაფიტი შემოიტანა. ნატალიმ ჩაი-
დანი აიღო:

— თქვენ ივანშმეთ, მე კი მხოლოდ ჩაის დაეღვე... იწერებოდით, მოსკოვი-
დან მოვდივარო, ამ შუა ზაფხულში მოსკოვში რა გინდოდათ?

— პარიზში ვიყავი, გზად გამოვიარე...

— აა... დიდი ხნით იყავით? ეჰ, მეც რომ შემეძლოს... მაგრამ, აბა, სად წა-
ვალ, ჩემი გოგონა ხომ ჯერ სულ პატარაა, რვა წლისაც არ არის... თქვენზე ამ-
ბობენ, სამაგალითო მეურნე დადგაო.

ერთი სირჩა არაყი დავლიე და ნატალის მოწვევის ნებართვა ვთხოვე.

— აჰ, კი ბატონო!

პაპიროსს მოვუკიდე და ნატალის მივუბრუნდი:

— ნატალი, ნუ იქნებით ასე მეტისმეტად თავაზიანი, ნურც მაინცდამაინც
დიდ ყურადღებას მომაქცევთ, მინდოდა ერთხელ კიდევ მენახეთ, თვალი ერთ-
ხელ კიდევ შემეველო და ჩუმადვე გავპარულიყავი, ნურც უხერხულობას იგრ-
ძნობთ ჩემს გამო — რას იზამ, რაც იყო, იყო, ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა...
შეუძლებელია, ვერ ამჩნევდეთ, როგორი მოხიბლული, როგორი დაბრმავებუ-
ლი ვარ თქვენით, მაგრამ, ისიც შეუძლებელია, ამ ჩემმა აღტაცებამ თუნდ
იოტისოდენად მაინც შეგაწუხოთ, იმდენად მშვიდია ახლა იგი და უანგარო.

ნატალიმ თავისი შავი წამწამები ძირს დახარა:

— კი, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს საოცარი წინააღმდეგობა ჩემთვის მუდამ
გაუგებარი იყო, ვერა და ვერ შევეჩვიე, — თქვა და სახე ვარდისფრად შეე-
ფაკლა.

— მართალი ხართ, — ვუბასუხე საშინლად ფერწასულმა, თუმცა კი საკ-
მაოდ ომახიანად, ვინაიდან ჩემს თავს თვითონვე ვარწმუნებდი, დიახ, დიახ, რა-
საც ვამბობ, ნამდვილად ასეა, ყველაფერი სრული ჭეშმარიტებაა-მეთქი, — მაგრამ
განა არის კი ამქვეყნად რაიმე მარადიული? განა ყველაფერს თავისი დრო არა
აქვს? რაც შეეხება ჩემს იმ საშინელ დანაშაულს, ეჭვიც არ მეპარება, თქვენ-
თვის იმას დიდი ხანია აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, დარწმუნებული
ვარ, დიდი ხანია უკვე დავიწყებასაც მიეცით. გარდა ამისა მთელი ის ამბავი
ახლა თქვენთვის გაცილებით გასაგები და მისატყვევებელი უნდა იყოს, თუმცა
იგი ჯერ კიდევ მაშინვე იმსახურებდა თქვენს დიდსულოვან შენდობასა და პა-
ტიებას, თუნდაც იმ ჩემი უკიდურესი ახალგაზრდობისა და იმ საოცარ გარემო-
ებათა გამო, რომელშიაც მიზეზითა სხვათა და სხვათა, ჩემგან დამოუკიდებლად
აღმოვჩნდი. სხვა რომ არა იყოს რა, ამისათვის მე უკვე საკმაოდაც დავისაჯე,
დიახ, დიახ, ამისი საწინდარი ჩემი ეს დაღუპული ცხოვრება გახლავთ.

— დაღუპული?

— რა თქმა უნდა, განა ასე არ არის? ნუთუ დღემდე ვერ გამიცანით და ვე-
რაფერი გამიგეთ? თქვენც ხომ ზუსტად ასევე მისაყვედურეთ ოდესღაც?

ნატალიმ ერთხანს იყუჩა.

— იცით, მეჯლისზე გნახეთ, ვორონეჟში... ღმერთო, როგორი ახალგაზრდა, რა საოცრად უბედური ვიყავი!.. მაგრამ განა არსებობს კი ქვეყანაზე უბედური სიყვარული? — ნატალიმ თავი ასწია და შეკითხვით სავსე, შავწამწამოჯარული ფართოდ გახელილი თვალები შემომანათა, — განა ამდენი ყველაზე მწუხარე მუსიკაც კი უდიდეს ბედნიერებას, უდიდეს ნეტარებას არ განაღებენ ადამიანს?.. ეჰ, რაც არის, არის, ჯობს ისევ თქვენი ამბავი მომიყვეთ, ნუთუ სანუდამოდ დასახლდით სოფელში?

თავს ძალა დავატანე და ხმა ძლივს ამოვიღე:

— ესე იგი, მაშინ ჯერ ისევ გიყვარდით?

— კი, მიყვარდით...

რა უნდა შეთქვა, გაჩუმებული ვიჯექი და ვგრძნობდი, მთელ სახეზე ხანძარი როგორ მეკიდა.

— ამბობენ, ძალიან შეყვარებულია, ბავშვიც ჰყავსო, მართალია?

— სიყვარულზე რა მოგახსენეთ, სინაზე და სიბრაღული კი ნამდვილად მაქვს, ეს არის და ეს...

— ყველაფერი, ყველაფერი მომიყევით...

მეც ავღექი და ყველაფერი მოვუყევი, ის კი არა, გაშას სიტყვებიც კი ვუთხარი — წადით, დრო გაატარეთ, თვალს წყალი დააღვინეთო, და ბოლოს ამით დავამთავრე:

— ახლა რას იტყვით, ხომ არის ჩემი ცხოვრება სამუდამოდ დაღუპული?

— რას ბრძანებთ...—თქვა ნატალიმ და ჩაფიქრდა, — რა თქმა უნდა, ცხოვრება ჯერ წინაა, თუმცა, ცხადია, ცოლის შერთვა და ქორწინება თქვენთვის გამორიცხებულია, ჩანს, ისეთი ქალია, თუ გაუჭირდა, თავს კი არა, ბავშვსაც არ დაინდობს.

— არა, მთავარი ცოლის შერთვა როდია, ღმერთო ჩემო, მე და ცოლის შერთვა?!
ნატალიმ დაფიქრებულმა შემომხედა:

— კი, რა თქმა უნდა... ისე კი, რა უცნაურია, აბა, რას წარმოვიდგენდი, ის თქვენი წინასწარმეტყველება — ნათესავეები გავხდებითო — ასე ამისრულდებოდა, თქვენ ხომ მე ახლა ბიძაშვილად მერგებით.

— თქვა და ხელზე ხელი დამადო:
— საჭმლისთვის ხელიც კი არ დაგიკარებიათ, გეტყობათ, გზამ დაგქანცათ. მეტიმეტად დაღლილი და ფერმკრთალი სახე გაქვთ, წადით, დაიძინეთ, ლოგინი უკვე დაგებულია.

მე ხელზე მორჩილად ვაკოცე. ნატალიმ მოსამსახურეს უხმო და, მიუხედავად იმისა, ბალის თავზე გადმომდგარი მთვარის შუქით ყველაფერი განათებული იყო, ლამპის ნათებ-ნათებით იგი ხისვეტებიანი ძველებური როტონდისაკენ გამიძღვა. ვიდრე ბავილიონში მივიდოდით, ჯერ გრძელი, მთავარი ხეივანი გავიარეთ, მერე გავუხვიეთ და გაშლილ მინდორში შედარებით მომცრო ხეივანს დავუყევით. მე საწოლის გვერდით, ღია ფანჯრის წინ სავარძელში ჩავჯექი და ბაპიროსს მოვუკიდე. ვიჯექი და ვფიქრობდი: — რა სისულელე ჩავიძინე, წავსულიყავი ჩემი გზით, რა მინდოდა, მეგონა, ყველაფერმა გაიარა, გული საგულესა მაქვს, დავცხრი, დავმშვიდდი, ძალა და ვაჟკაცობა მეყოფა-მეთქი... გარეთ კი მშვიდი, წყნარი ღამე იდგა, შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, ეტყობა, წამოეწვიმა კიდევაც — ჰაერი კიდევ უფრო ჩათბა, ჩაყურდა. ღამის ამ გასაოცარ

მდუმარებაში სოფლის ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში მამლების ფრთხილი, გაბ-
მული ყივილი ისმოდა. როტონდის გასწვრივ, ბაღს გაღმა სავსე მთვარე გარინ-
დულიყო და შორს გაბნეულ ხეებსა თუ იქვე, როტონდის წინ ტოტებგაშლილ ვაშ-
ლებს სინათლის შუქ-ჩრდილში ახვევდა. იქ, სადაც მთვარის სხივი თაფლისუფლად
ატანდა, სინათლე მიწას თეთრი მინანქარით დაჰფენოდა. სხივების ქვეშე
ჩრდილთა ლილოჭრელოში კი უსაზღვრო იდუმალებას დაევალებინა... და აი,
თანჯარას აბრეშუმივით პრიალა, გრძელსა და მუქი ფერის სამოსში გამოწყობი-
ლი ნატალი მოადგა, ისიც გაზაფხულის ამ ღამესავით ჩუმად და იდუმალად...

მალე მთვარე ბაღს თავზე წამოადგა და როტონდაში ჩამოიხედა, ნატალი
საწოლზე იწვა, მე საწოლის წინ მუხლებზე ვიდექი და ხელში მისი ხელი მე-
ჭირა:

— იმ პირქუშსა და მეხთატეხა ღამეს, მე მხოლოდ უკვე შენ მიყვარდი...
მხოლოდ შენ ერთადერთი მიყვარდი... არავითარი სხვა ვნება, არავითარი სხვა
გრძნობა — ჩემი გული მხოლოდ შენდამი უსაზღვრო აღფრთოვანებით, შენი დი-
დი, უწმინდესი სიყვარულით იყო სავსე.

მერე და მერე ყველაფერს მივხვდი, მიუხედავად ამისა, როცა კი ის საშინე-
ლი ღამე გამახსენდებოდა და იმასაც წარმოვიდგენდი. სულ ერთი საათის წინ
ხეივანში რას მეუბნებოდით და როგორ იქცეოდით...

— მთელს ამ დედამიწაზე შენი ტოლი და ბადალი არავინ მეგულება, წელან
იმ შენს მწვანე ჩესუჩის კაბასა და კაბის კალთით დამალულ შენს მუხლებს რომ
შევყურებდი, ვგრძნობდი, სიცოცხლესაც არ დავიშურებდი, ოღონდ ერთხელ მა-
ინც ვმთხვეოდი იმ მუხლებს.

— ნუთუ მთელი ამ წლების განმავლობაში არასოდეს დაგვიწყებია?

— კი, როგორ არა, ოღონდ ისევე, როგორც, ვთქვათ, გავიწყდება, რომ სუნ-
თქავ, ცოცხლობ, დადიხარ... ის, რაც წელან მითხარი, მართალია, უბედური სიყ-
ვარული არ არსებობს... ოო, ის შენი ნარინჯისფერი ჩახსნილი პერანგი და შენ,
მთელი შენი გარეგნობითა და მთელი შენი არსებით, ჯერ კიდევ სრულიად ახალ-
გაზრდა, თითქმის ჯერ ისევე მოზარდი... მახსოვს, იმ დილას, ჩემი სიყვარულის
იმ პირველ დილას წუთით როგორ ჩამივლევ და როგორ გაქრი... ახლაც თვალ-
წინ მიდგას, მალაოროსიული ზედა კაბის სახელოდან წამოწეული შენი ხელი,
წიგნის ფურცლებზე დახრილი შენი თავი და ჩემი გაოგნებული ბუტბუტი: „ნა-
ტალი, ნატალი!..“


— დიახ.. დიახ..

— მერე მექლისზე გნახე, მაღალი, ტანკენარი, უკვე დაქალებული, იმ შენი
ქალური სილამაზით თავზარდამცემი. იმ ღამეს ჩემი დაღუპული ცხოვრებისა და
შენდამი გაუხელებელი სიყვარულისაგან სასოწარკვეთილი სიკვდილს ვნატრობ-
დი... მერე ძაძით შემოსილს შეგხვდი — როგორი უზადო, როგორი უნაკლო
იყავი შავ სამოსში, ხელში ანთებული სანთელი გეჭირა და ასე მეგონა, შენს
სახეზე მოათინათე. იმ სანთელს სიწმინდე და სისპეტაკე ემატებოდა.

— აი, ჩვენ ისევე ერთადა ვართ და ალბათ უკვე სამუდამოდ, მიუხედავად
ამისა, ნახვითაც კი ალბათ იშვიათად ვნახავთ ერთმანეთს — განა შემიძლია მე,

შენს იდუმალ სატრფოსა და მეუღლეს, შენი სააშკარაო ზასა და საყვარელი გავ-
ხდე?

იგი დეკემბერში გარდაიცვალა, ენევის ტბის პირას, ნაადრევად მოხდა მის
გამო.



პარიზში

მეტროს ვაგონსა ან ქუჩაში მიმავალს ვინც დაინახავდა, განსაკუთრებით
როდესაც თავზე შლაპა ეხურა და მოკლედ შეკრეჭილ ქდალ თმაში გარეული ხში-
რი ჭადარა არ უჩანდა, მისი მუდამ სუფთად გაპარსული, ზმელი, ჯერ ისევ ახალ-
გაზრდული სახისა და მაღალი, გამხდარი, მხრებში გამართული ტანის შემხედ-
ვარე არამც და არამც ორმოც წელზე მეტს არავინ მისცემდა. მხოლოდ ღია
ცისფერი თვალები იმზირებოდნენ ცივი სევდით, თავდაჭერასა და საუბარზეც
ეტყობოდა, მრავლისმნახველი, ცხოვრებაგამოვლილი კაცი იყო. პროვანსში
ერთხანობას რაღაც ფერმა ჰქონდა არენდით აღებული, ბლომად ისმინა იქა-
ური მწარე-მწარე ოხუნჯობა და ანეკდოტი. მერე პარიზშიაც გამოურევდა
ხოლმე შიგადაშიგ თავის არცთუ ისე სიტყვამრავალ საუბარში პროვანსულ
მახვილ სიტყვასა თუ კვიმატ ანეკდოტს — იტყოდა და ჩუმად ჩაიცილებდა.
ცოლმა ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლშივე მიატოვა — თითქმის ყველამ იყო-
და ეს ამბავი. ცოლთან გაცილებას დღემდე საშინელი გულისტკივილით ვა-
ნიცდიდა, თუმცა ამ ტკივილის საიდუმლო არსად არავისთვის გაუმხელია, ხან-
დახან გადაკვრით თუ იტყოდა რაიმეს, ან ქაღალდზე საუბრისას თავისებურად
წაიჭილიყებდა:

- Rien e'est plus difficile que de reconnaitre un bon melon et une fem-
me bien.¹

ერთხელ, გვიანი შემოდგომის ერთ პარიზულ ნესტიან საღამოს, პასის
ქუჩის მახლობლად ერთ-ერთ ბნელ შესახვევში მდებარე პატარა რუსულ
სასადილოში შეიარა, სასადილოს რაღაც გასტრონომიული მაღაზია ეჭრა გვერ-
დით. იგი მაღაზიის წინ შეჩერდა და ფართო თანჯრის რაფაზე გამოლაგებულ
სასწულ-საჭმელს — ზუბოვკითა და ცირცელის ნაყენით სავსე ყვითელსა და
ვარდისფერ ბოთლებს, ლანგარზე გაწყობილ გაშავებულ ღვეზელს, სიძველისა-
გან გალურჯებულ კატლეტებს, შპროტისა და ძაღვის კოლოფებს თვალიერებდა
დაუწყობ იქვე დაბლზე საუზმე იყო გაშლილი, დაბლთან არცთუ ისე სასიამ-
ოვნო, რუსული გარეგნობის დიასახლისი ტრიალებდა. ჩაბნელებული ქუჩიდან
და ცივი, შავად გადასიპული ტროტუარიდან გულმა განათებული მაღაზიისა-
კენ გაუწია. მაღაზიაში შევიდა დიასახლისს თავი დაუგრა და გვერდითა, თითქმის
ცარიელი ოთახისაკენ გასწია, თეთრქალაღდაფარებულ მაგიდებს ჩაუარა, თა-
ვისი რუხი შლაპა და გრძელი, წვიმაგაუმტარი პალტო საკიდზე ჩამოკიდა და ოთა-
ხის მეორე კუთხეში მაგიდასთან დაჯდა. წითური ბუსუსით დაფარულ ბელებს
დაბნეული იფშენეტდა და გაქონილ ქაღალდზე ნახევრად დაბეჭდილ, ნახევრად
ლურჯი მელნით დაჩაპნილ ნაირ-ნაირი საჭმელების გრძელ ნუსხას უაზროდ
ათვალიერებდა, რომ უცებ იმ კუთხეში სინათლე აინთო და ამაყი, მაგრამ თა-

¹ არაფერია უფრო ძნელი, ვიდრე კარგი საჭამროსა და პატროსანი ქალის გამოცნობა
(ფრ.)

უაზიანი სახის, შავთვალა, შუაზე შავთმაგაყოფილი, შავ კაბაზე თეთრწინსაფარაფარებული ოცდაათიოდე წლის ქალი მისკენ წამოვიდა:

— **Bon soir, monsieur,**² — მიესალმა იგი სასიამოვნო ხმით.

ქალი ისეთი მომხიბვლელი ეჩვენა, მოულოდნელობისაგან შემცბარმა უხერხულად უპასუხა:

— **Bon soir...** რუსი არ ბრძანდებით?

— როგორ არა, რუსი ვარ... მაპატიეთ, რატომღაც ჩვეულებად მექცა, სტუმრებს უთუოდ ფრანგულად უნდა გამოველაპარაკო.

— მერედა, ასე ხშირად შემოდინან ფრანგები?

— საკმაოდ... თან ყველა ზუბოვკას, ბლინებსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბორშსაც კი თხოულობს. რა ქენით, ამოირჩიეთ?

— აქ იმდენი რამ არის... ხომ არ დამეხმარებოდით?

ქალმა სხაპასხუპით მიაყარა:

— ფლოტური შჩი, კაზაკური გუფთა, ხბოს კატლეტი... თუ გნებავთ, ყარსულ მწვადს მოგართმევთ.

— ძალიან კარგი... სიკეთეს თუ იზამთ და გუფთასა და შჩის მომიტანთ...

ქალმა ქამარზე ჩამოკიდებული ბლოკნოტი აიღო და ფანქრის ნატეხით შეკვეთა ჩაიწერა. არაჩვეულებრივად თეთრი, ნატიფი, ჭიშიანი ხელები ჰქონდა. კაბა, მართალია, საკმაოდ ნახმარი და შელახული ჩანდა, მაგრამ ეტყობოდა, რომელიღაც ცნობილსა და სახელგანთქმულ სახლში იყო შეკერილი.

— არაყი ხომ არ გნებავთ?

— სიამოვნებით, გარეთ საშინელი ნესტია...

— საუზმედ რა მოგართვათ? შესანიშნავი ღუნაის ქაშაყი და ახლახან მიღებული წითელი ხიზილალა გვაქვს. კორკუნული კიტრის მწნილს ხომ არ ინებებდით?

კაცმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა ქალი — ქალს საოცრად შვენოდა შავი კაბა და თეთრი, მოქარგული წინსაფარი, წინსაფარქვეშ ლამაზად ამოჭბურცვოდა ახალგაზრდა, ჯანსაღი ქალის სავსე მკერდი, ჯერ ისევ ქორფა ტუჩებზე არაფერი ესვა, შავი, მსხვილი ნაწნავი თავზე უბრალოდ ჰქონდა მოხვეული; მხოლოდ სათუთად მოვლილი თეთრი, ლამაზი ხელის ფრჩხილები უპრიალებდა ვარდისფრად, ეტყობოდა, დაფერილი ჰქონდა.

— საუზმედ რა მომართვათ? — გაიმეორა კაცმა ღიმილით, — თუ ნებას მომცემთ, მხოლოდ ქაშაყსა და ცხელ კარტოფილს გეახლებით.

— ღვინოს რომელს ინებებთ?

— წითელი ღვინო მომიტანეთ, ჩვეულებრივი, სუფრის...

ქალმა ესეც ბლოკნოტში ჩაინიშნა და მეზობელი მაგიდიდან წყლით სავსე ვრაფინი გადმოდგა. კაცმა თავი გააქნია:

— მერსი... არა, არც წყალსა და არც წყლიან ღვინოს არასოდეს გეახლებით.

L'eau gate le vin comme la charette le chemin et la femme-l'âme.³

— კარგი აზრისა კი ბრძანებულხართ ჩვენზე... — გულგრილად თქვა ქალმა და არყისა და ქაშაყის მოსატანად გატრიალდა. კაცმა თვალი გააყოლა — უყურებდა, როგორი გამარჯული მიაბიჯებდა, როგორ ერხეოდა შავი კაბის

² საღამო მშვიდობისა, ბატონო (ფრ.).

³ წყალი ისევე აფუჭებს ღვინოს, როგორც ოთხთვალა გზას და ქალი კაცის სულს. (ფრ.).

კალთები... „გულგრილობა და თავაზიანობა, დიახ, დიახ, ყველა ეს თვისება, რომელიც თავმდაბალ, ღირსებით აღსავსე მოსამსახურეს უნდა ახასიათებდეს, ამავე დროს კი აი, ეს საუცხოო ფეხსაცმელი.. ალბათ ჰყავს ვინმე ხანში შესული „ami“.⁴ კაი ხანია ასეთ ხალისიან გუნებაზე არ ვუფიქროვებო; ერთობა, ამ ქალის ბრალია“... ამ უკანასკნელმა აზრმა როგორღაც გააღიზიანა „აგერ რამდენი წელიწადია ერთი ფარული აზრი მასულდგმულებს — ყოველდღე იმ იმედით ვიღვიძებ, ვიღაცას შევხვდები, გულს სიყვარულით გამითბობს-მეთქი, სულ კი ამაოდ“

მეორე დღეს ისევ მოვიდა იმ სასადილოში და ისევ იმ მაგიდასთან დაჯდა. ქალმა ერთხანს ვერ მოიცილა — ვიღაც ორი ფრანგისაგან შეკვეთას იღებდა, მათ ნათქვამს ხმამაღლა იმეორებდა და ბლოკნოტში იწერდა:

— *Gaviar rouge, salade russe... Deux chachlyks...*⁵

მერე გავიდა, მალე უკანვე შემობრუნდა და გაღიმებული პირდაპირ მისკენ გამოეშურა:

— სალამო მშვიდობისა. სასიამოვნოა, რომ მოგეწონათ ჩვენი სასადილო. კაცმა სკამიდან მხიარულად წამოიწია:

— გამარჯობათ... რა თქმა უნდა, მომეწონა... რას მიბრძანებთ, როგორ მოგმართოთ?

— მე ოლგა ალექსანდროვნა მქვია, თქვენ?

— მე — ნიკოლაი პლატონიჩი.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ქალმა კვლავ ბლოკნოტი ამოიღო.

— დღეს შემიძლია შესანიშნავი „რასოლნიკი“ მოგართვათ. არაჩვეულებრივი მზარეული გყავს, დიდ მთავარ ალექსანდრ მიხაილოვიჩს ემსახურებოდა იახტაზე.

— რახან ასეა... დიდი ხანია, აქ მუშაობთ?

— მესამე თვეა.

— მანამდე სად იყავით?

— მანამდე *Printemps*-ში ვმუშაობდი გამყიდველად.

— ალბათ შემცირების გამო დაკარგეთ ის ადგილი?

— ჩემი ნებით, ცხადია, იქიდან არ წამოვიდოდი.

„ესე იგი, არავითარი „ami“ არ ყოფილა“, — გაიფიქრა კაცმა გუნებაში და კმაყოფილმა ჰკითხა:

— გათხოვილი ხართ?

— დიახ.

— მეუღლე რას აკეთებს?

— იუგოსლავიაში მუშაობს, თეთრი მოძრაობის ყოფილი მონაწილე გახლავთ. მე მგონი, თქვენც ასევე უნდა იყოთ?

— დიახ, ორივე ომში ვმონაწილეობდი, დიდშიაც და სამოქალაქოშიაც.

— შეგხედეთ თუ არა, მაშინვე მივხვდი. ალბათ, გენერალიც ბრძანდებით? — თქვა ქალმა და გაიღიმა.

— ოღონდ ყოფილი. ახლა სხვადასხვა საზღვარგარეთული გამომცემლობებისათვის იმ ომების ისტორიას ვწერ... როგორ მოხდა, მარტო რომ ხართ?

— რა ვიცი.

⁴ მეგობარი (ფრ.)

⁵ წითელი ხიზილია, რუსული სალათა... ორი მწკადა... (ფრ.)

შესურმული თვალები, მეოც მაგაზე ქოლგაჩამოკიდებული ხელი ქალური ეშხით გაუწოდა და სალამოს გრძელი კაბის კალთები ხელში მოხდენილად აკრიფა... კაცმა შეხედა და ვუნებაში ესიამოვნა — „სალამოს კაბა ჩაუცვამს, ეტყობა, ამანაც იფიქრა, სინემას შემდეგ სადმე შევივლითო“, მეორე ხელთათმანი გადაუწია და თეთრ ხელზე აკოცა.

— დიდხანს მელოდეთ?

— ეს-ეს არის მოვედი... ახლა კი სასწრაფოდ ტაქსში ჩავსხდეთ.

თქვა და დიდი ხნის განუცდელი მღელვარებით სავსე ნახევრად ბნელ, ნესტიანი მაუდის სუნით გაყვანილ მანქანაში ქალს გვერდით მიუჯდა. მოსახვევში მანქანა ძლიერად შეირყა, წუთით შიგ ფარხის შუქმა შემოანათა და თავისდა უნებურად კაცმა ქალს წელზე ხელი წააშველა. უცბად პუდრის სასიამოვნო სურნელი იგრძნო და თვალი სალამოს შავი კაბის კალთით დაფარული ქალის სავსე მუხლებისაკენ გაექცა — ამ წუთას მის გვერდით სულ სხვა ქალი იქნა.

ისხდნენ ჩაბნელებულ დარბაზში, შეპყურებდნენ თეთრად განათებულ ეკრანს, რომელზედაც ცას ირიბად გაკრული თვითმფრინავები ღრუბლებში გუგუნით დასრიალებდნენ აღმა-დაღმა და ჩუმად საუბრობდნენ:

— მარტო ხართ თუ ვინმე შეგობარ ქალთან ერთად ცხოვრობთ?

— მარტო ვცხოვრობ, თანაც, რომ იტყვიან, აუტანლად. პატარა ატელიეა, თბილი, სუფთა, მაგრამ ასეთი ატელიე მხოლოდ მაშინ არის კარგი, ერთ ღამეს თუ გაათევ, ან ვინმე ქალთან ერთად რამდენიმე საათით შეივლი. ვცხოვრობ მეექვსე სართულზე, ლიფტი, რა თქმა უნდა, არ არის. წითელი ფიანდაზი კიბეს მხოლოდ მეოთხე სართულამდე ამშვენებს... ღამლამობით, განსაკუთრებით კი წვიმიან ამინდში საშინელი სევდა მეუფლება, გამოალებ ფანჯარას და ირგვლივ ყველაფერი ჩამკვადრია, ახლომახლო კაცის ჭაჭანება არ არის, საღლაც, ქვემოთ, ერთადერთი ფარანი წვიმაში საცოდავად ბეუტავს... თქვენც, რა თქმა უნდა, უცოლშვილო ბრძანდებით და ალბათ ჩემსავით სასტუმროში ცხოვრობთ?

— არა, პატარა ბინა მაქვს პასიში, რა თქმა უნდა, მარტო ცხოვრობ. დიდი ხანია პარიზელი ვარ. ერთხანს ფერმა მქონდა პროვანსში არენდით აღებული, მინდოდა გავრიდებოდი ყველას და ყველაფერს, პური საკუთარი შრომით მეჭამა, მაგრამ გამიჭირდა, იმ შრომას ვერ გავუძელი... ბოლოს დამხმარედ ვიღაც კაზაკი ავიყვანე, მაგრამ, უსაშველოდ ლოთი, უცხვირპირო, პირქუში კაცი გამომადგა... მოვამრავლებ კურდღელსა და ქათამს, ვხედავ, იხოცება, კიდევ და კიდევ... ერთხელაც არის, ჯორმა კინალამ დამკბინა. მოკლედ, არაფერი გამომივიდა, რაც მთავარია, საშინელ მარტოობას ვგრძნობდი, ცოლმა ჯერ ისევ კონსტანტინეპოლში მიმატოვა.

— ხუმრობთ?

— არა, რატომ, ჩვეულებრივი ამბავია. *Qui se marie par amour a bonne nuits et mauvais jours.*⁸ ჩემთვის კი ერთიცა და მეორეც თითებზე ჩამოსათვლელი თუ იქნებოდა. ორი წლის დაქორწინებულებიც არ ვიყავით, რომ დაპკრა ფეხი და გაიქცა.

⁸ ვინც ცოლს სიყვარულით ირთავს, მას აწეს კარგი ღამეები და აუტანელი დღეები (ფრ.)

— ახლა სად არის?

— ვერაფერს ვეტყვი, არ ვიცი.



ქალი ერთხანს გაჩუმებული იჯდა. ეკრანზე ვილაც გვერდზე ქვაბქუდმოგ-
დებული ჩაბლინის მიმბაძველი ტერფებგაჩაჩხული გიჟივიტის მხრეზე...

— ალბათ ძალიან მართო ხართ... — თქვა ქალმა. *მისი მხრეებზე*

— რას იზამ, უნდა მოითმინო. *Patience—médecine des pauvres.*⁹

— შეტისმეტად სევდიანი *médicine* კია...

— იმდენად სევდიანი, ზოგჯერ ითულებული ვარ, „ილუსტრიროვანია როსიაშიც“ კი ვიქვექო, — თქვა ღიმილით ვაცმა, — იცით, არის იქ ერთი ასეთი განყოფილება. სადაც ხშირად შეხვდებით, ვთქვათ, რაღაც ამგვარ განცხადებას: „ლიტველი რუსი ქალიშვილი თავს მოწყენილად გრძნობს, სურვილი აქვს დაიწყოს მიმოწერა ვინმე გულსხმიერ ბარიზელ რუს მამაკაცთან, რომელიც ლეინოსს არ ეტანება, მუშაობს შოფრად ან სადმე ამგვარ სამუშაოზე, არის მატერიალურად უზრუნველყოფილი, უყვარს ოჯახური მყუდროება, ინტელიგენტურობა აუცილებელი არ არის...“ ვაცმა რომ თქვას, არც არის აუცილებელი, მშვენივრად მესმის იმ ქალისა.

— ნუთუ ნაცნობ-მეგობრები მაინც არ გყავთ?

— მეგობრები არა მყავს, ნაცნობები კი, მართალია გითხრათ, არც ისე დიდი ნუგეშია.

— თქვენს მეურნეობას ვინ უძღვება?

— მეურნეობა საკმაოდ მოკრძალებული მაქვს. ყავას თვითონ ვიდუღებ, საუზმესაც თვითონ ვიმზადებ, საღამოს *femm de menage*¹⁰ მოდის.

— საბრალო, — თქვა ქალმა და ხელი მოუჭირა.

ისხდნენ ხელიხელჩავლებულები, ბინდით, გვერდიგვერდ მიდგმული სკამებით დაახლოებულნი და თავი ისე ეჭირათ, ვითომ ეკრანს, რომლისკენაც უკანა კედელთან მოწყობილი კაბინიდან მათ ზემოთ შუქი მოთეთრო-კვამლისფერ ნაკადად მოედინებოდა, გაფაციცებულები შეპყურებდნენ. სამოვრის მილივით ახრჩოლებული ძველი, ადამისუამინდელი ავტომობილის კვამლში გახვეული, შიშისაგან თავხარდაცემული ჩაბლინის მიმბაძველი კი ტელეგრაფის ბოძზე კი არ მიეცოცავდა, მიფრინავდა, მიტყულებილ-მოტყულებილ ქვაბქუდი შიშისაგან ყალყზე დამდგარ თმაზე კი არ ეხურა, თავს ზემოთ ედგა. პაპიროსის კვამლში ჩანთქმული დარბაზიდან მუსიკის გრიალი თითქოს სადღაც ორმოდან ამოდისოდა — თვითონ ზევით, აივანზე ისხდნენ. მჭუხარე ტაშისა და მხიარული ხორხოცისაგან ყურთასმენა აღარ იყო.

იგი ქალისაკენ დაიხარა:

— იცით, მოდი, სადმე წავიდეთ, ვთქვათ, მონპარნასში — აქ აუტანელი უპაერობა და მოწყენილობაა...

ქალმა თავი დაუქნია და ხელთათმნის ჩაცმა დაიწყო.

მალე ისინი კვლავ ნახევრად ჩაბნელებული ტაქსის კარეტაში ჩასხდნენ. ფარების ყოველ შემოშუქებაზე აღმასივით კრთოდა და ციმციმებდა მინაზე ნაპერწკალივით დაყრილი წვიმის მსხვილი, პრიალა წვეთები, ზევით, ჩაბნელებულ პაერში ვერცხლისწყალივით იღვრებოდა რეკლამების მეწამულ შუქთა

⁹ მოთმინება ღარიბების მედიცინა (ფრ.)

¹⁰ დამლაგებელი ქალი (ფრ.)

ნიაღვარი. ისხდნენ ორივენი გაჩუმებულები და გზას გაპყურებდნენ. მერე კაცმა კვლავ ხელთათმანის კიდე გადაუწია და ხელზე ხანგრძლივად აკოცა. ქალმა ნახშირით შავი, გრძელწამწამიანი, უცნაურად გაციკროვნებული თვალები შეანათა, სევდითა და სიყვარულით განათებული სახე კაცს აკრძალავდა. მიუტანა და სავსე ბაგეებზე წასმული პომადის მოტკბო სურნელი მტკიცე ქვეყანაში

კაფე Coupole-ში ჯერ ხამანჯკა და ანჟუ მოითხოვეს. მერე მწყერი და წითელი ბორდო, ბოლოს ყავას ყვითელი შარტრეზიც დააყოლეს და ოდნავ შეთვრნენ, თან საოცრად ბერს ეწეოდნენ. საუბრის დროს კაცი შიგადაშიგ ქალის ანთებულ სახეს შეხედავდა და — არა, ნამდვილი მზეთუნახავიო, — ფიქრობდა.

— მართალი მითხარით, — თქვა ქალმა და ორი თითით ენის წვერიდან თამბაქოს ნამცეცი მოიცილა, — ამ წლების განმავლობაში ხომ ხვდებოდით ვიღაცას?

— რა თქმა უნდა, მაგრამ, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორც იქნებოდა ეს შეხვედრა... თქვენ?

ქალი შეყოყმანდა.

— კი, იყო ერთი გულსაკლავი ამბავი... გამოგიტყდებით, იმ ამბის გახსენებაც არ მინდა. პატარა ბიჭი იყო, თითქმის სუტენერი... ეპ, რაც არის, არის, ჯობია ის მიაშობოთ, მეუღლეს როგორ დასცილდით?

— სამარცხვინოდ... ისიც თითქმის ჯერ ისევ ბიჭი იყო, ბერძენი, არაჩვეულებრივად მდიდარი და არაჩვეულებრივად ლამაზი. გაიცნო თუ არა, კვალიც აღარ დარჩა იმ ფაქიზი, მგრძნობიარე გოგონასაგან, რომელიც, უბრალოდ, ლოცულობდა თეთრ გვარდიასა და თვითეულ ჩვენთაგანზე. დღე არ გაივლიდა, სავახშმოდ პერის ყველაზე ძვირად ღირებულ სამიკიტნოში არ წაეყვანა, ყვავილების უზარმაზარ კალათებს უგზავნიდა... ნუთუ მართლა შეგიძლია ამაზე იეჭვიანო, შენ მთელი დღე არ გცალია, მაგას კი შეუძლია გამართოს, ჩემთვის ეგ ერთი საყვარელი ბიჭუკელია, ეგ არის და ეგო, თვითონ კი იმ დროს ჯერ ოცი წლისაც არ იყო... მართალი გითხრათ, ძალიან გამიჭირდა მისი დავიწყება, ოღონდ მე მხოლოდ ისეთი მახსოვდა, როგორიც ადრე, ეკატერინოდარში იყო.

ანგარიში რომ მოიტანეს, ქალმა ნუსხა ყურადღებით ჩაათვალიერა და ურჩია, მსახურისათვის არამც და არამც ათ პროცენტზე მეტი არ მიეცა. ერთისათვისაცა და მეორისათვისაც ახლა უკვე სრულიად გაუგებარი იყო, ნახევარი საათის შემდეგ რატომ უნდა ამდგარიყვნენ და ერთმანეთს რატომ უნდა გამომშვიდობებოდნენ.

— მოდით ჩემთან წავიდეთ, — უთხრა კაცმა სევდიანად, — ცოტა ხანს დავსხდეთ, დავილაპარაკოთ.

და აი, ღამის ტაქსზე მომუშავე რუსმა მძღოლმა მანქანა ერთ ყრუ, მყუდრო შესახვევში რომელიღაც მაღალი სახლის სადარბაზოსთან გააჩერა. სახლის წინ გაზის ფარნის მეტალისებური შუქით განათებული ნაგვით სავსე რკინის როფი იდგა, წვიმას ზედ შხაპაშხუპი გაჰქონდა. განათებული ვესტიბიულიდან ისინი პატარა, ვიწრო ლიფტში შევიდნენ და ვიდრე ლიფტი ნელა, მძიმედ მიიწევდა მაღლა-მაღლა, ერთმანეთს ეხვეოდნენ და ჩუმად ჰკოცნიდნენ. ელექტროშუქის გამორთვამდე კაცმა კარს გასაღები მოარგო, ქალს ბინაში შეუძღვა, სასადილო ოთახში სინათლე ჩართო და ჭერში ჩამოკიდებული ქალიდან ერ-

თადერთმა ნათურამ სევდიანად გამოანათა. სახეზე ორივეს დაღლილობა ეტყობოდა. მერე კაცმა ქალს ცოტაოდენი ღვინის დაღვევა შესთავაზა.

— არა, ძვირფასო, მეტი აღარ შემიძლია, — უარი განაცხადა ქალმა.

კაცმა ისევ სთხოვა:

— იქნებ თითო მაინც დაგველია, აგერ, ფანჯარაზე შესანიშნავი მშრალი მინდვას.

— დალიეთ, საყვარელო, დალიეთ, მე კი მანამდე წავალ, დავიბან, მერე უნდა დავწვეთ და დავიძინოთ, ბავშვები ხომ აღარა ვართ, რახან დაგთანხმდით და წამოვედი, ესე იგი... ვფიქრობ, თქვენ ეს თავიდანვე შესანიშნავად იცოდით.. ისე, ან კი რატომ უნდა...

კაცმა მღელვარებისაგან ვერაფერი უპასუხა, საძინებელი ოთახისაკენ უსიტყვოდ გაუძღვა და საძინებელსა და სააბაზანოში შუქი აანთო. სასადილო ოთახისაგან განსხვავებით, ნათურებს აქ ჩახჩახი გაჰქონდა, შუაში კარი ღიად იყო დატოვებული. სახლის სახურავზე წვიმას კვლავ შხაპაშხუპი გაჰქონდა, თუმცა სახლში შესანიშნავი სითბო და მყუდროება სუფევდა. ქალმა კაბის გრძელი კალთები ხელში აიკრიფა და კაბა მხრებზე გადმოიძრო.

კაცი ოთახიდან სასადილოში გამოვიდა, ორი ჭიქა ყინულივით ცივი, მომწარო ღვინო ზედიზედ გადაჰკრა და უკვე თავს ველარ მოერია, იმავე წუთს ისევ საძინებელში შებრუნდა. მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებულ დიდ სარკეში სინათლით გაჩახჩახებული სააბაზანო ოთახი მოჩანდა. სრულიად შიშველი ქალი მისკენ ზურგშექცეული იდგა — ჩანსალი, მკვრივი, თოვლივით ქათქათა. იდგა პირსაბანისაკენ წაბრილი და კისერსა და მკერდს იბანდა.

— არა, არ შემოხვიდეთ, არ შეიძლება, — თქვა ქალმა, აბანოს ხალათი შილიფად მოიხურა (ისე რომ, სავსე მკერდი, თეთრი, მკვრივი მუცელი და ვიწრო თეძოები მოჭრანდა), კაცთან მივიდა და ნამდვილი ცოლივით მოეხვია. კაცმაც ცოლივით ჩაიკრა იგი გულში, ეხვეოდა მის გრილ სხეულს და ჯერ ისევ სველ, ტუალეტის საპნის სურნელით გაქლენთილ მკერდზე და ახლად საღებავგადაცილებულ თვალებსა და ტუჩებში ჰკოცნიდა.

ერთი დღის შემდეგ ქალმა სამუშაო მიატოვა და მასთან გადასახლდა.

ზამთარში, ერთხელაც, კაცმა, როგორც იქნა, ქალი დაითანხმა, ლიონის კრედიტის სეიფი თავის სახელზე გადაეტანა და ერთსაცა და მეორესაც სიცოცხლეში თუ რამ მოენაგრებინა, იმ სეიფში დაედოთ.

— სიფრთხილე საქმეს არ წაახდენს. — *L'amour fait danser les ânes.*¹¹ მართალია, ჯერჯერობით თავს ოცი წლის ჰაბუკივით ვგრძნობ, მაგრამ, რა იცი, ზვალ რა ხდება...

აღდგომის მესამე დღეს კაცი მეტროს ვაგონში იჯდა და გაზეთს კითხულობდა, რომ უცებ თავი სკამის ზურგზე გადააგდო, თვალები გადაატრიალა და გარდაიცვალა...

შავებით მოსილი ქალი სასაფლაოდან შინ რომ ბრუნდებოდა, გაზაფხულის თბილი, სასიამოვნო დღე იდგა, პარიზის გამჭვირვალე ცაზე თითო-ორილანისლისფერი ღრუბელი დაცურავდა და ირგვლივ ყოველივე განახლებული სიცოცხლის მარადიულობასა და ქალის დაღუპულ ცხოვრებაზე დაღაღებდა.

შინ რომ მივიდა, ქალმა სახლის დალაგება დაიწყო, დერეფანში თვალი

¹¹ სიყვარული ეირსაც კი ააყვავებსო (ფრ.)

კაცის დიდი ხნის წინანდელ რუხ, წითელსარჩულიან საზაფხულო ფარავს მოპკრა, საკიდრიდან ჩამოხსნა, სახეზე მიიხუტა და იქვე იატაკზე ჩაჯდა. ფარავას გულში იკრავდა ხმამაღლა, მოთქმით ტიროდა, ტირილისაგან მთელე სხეული უთრთოდა, ტირილის დროს ხანდახან ხმამაღლა წამოიკივლებოდა და ებრძოდას შებრალებას სთხოვდა.

1940 წელი, 26 ოქტომბერი

მუზა

ფერწერის შესწავლა რომ მოვინდომე, აღარც ისე ახალგაზრდა გახლდით, თუმცა, რაც თავი მახსოვს, მხატვრობით მუდამ გატაცებული ვიყავი. მივატოვე ტამბოვის გუბერნიაში ჩემი ადგილ-მამული და მთელი ის ზამთარი მოსკოვში გავატარე. გაკვეთილებს ვილაც უნიჭო, თუმცა საკმაოდ ცნობილი, ერთი დონდლო, სქელ-სქელი მამაკაცი მიტარებდა, რომელსაც, თუ რამ ჯერ არს, შესანიშნავად აეთვისებინა ყველაფერი — უკან გადაყრილი, ხშირი, გაქონილკულულებიანი თმა ჩამოეგრძელებინა, პირში ერთთავად ყალიონი ჰქონდა გაჩრილი, ტანზე ბროწეულისფერი ხავერდის ქურთუკი ემოსა, ფეხთ რუხი, ჭუჭყისფერი გეტრები ეცვა (მართალი ვითხრათ, ყველაზე უფრო იმ გეტრებს ვერ ვიტანდი), ადამიანებთან ურთიერთობაში მეტიმეტად უგულისყურო და დაუდევარი გახლდათ... მოწაფის ნამუშევარს თვალეზმოჭუტული ქედმაღლურად გადახედავდა და ვითომ ისე, სხვათა შორის ჩაილაპარაკებდა:

— საინტერესოა, ნამდვილად საინტერესოა..

ვცხოვრობდი არბატზე, რესტორან „პრადის“ გვერდით, სასტუმრო „სტოლიცაში“. თითქმის მთელი დღეების განმავლობაში ვხატავდი — ხან მხატვრის სახელოსნოში ვიყავი, ხან სახლში. საღამოებს უმეტესად იაფფასიან რესტორნებში, ახლადგაცნობილი ბოპემური ახალგაზრდების წრეში ვატარებდი, რომელთა შორისაც, მართალია, ზოგი სულ ახალგაზრდა და გამოსუცდელი, ზოგი გამოქექილი და შეფერთხილი იყო, მაგრამ ყველა ბილიარდისა და ლუდის კათხის დიდი ტრფიალი და ერთგული გახლდათ... კაცმა რომ თქვას, მართლაც რომ უგემურად და მოსაწყენად ვცხოვრობდი... ლოხი, დაბდურა მხატვარი, არტიტულად მირეულ-მორეული, მტვრით დაფარული, ნაირ-ნაირი ბუტაფორიებით სავსე სახელოსნო, პირქუში, მუდამ ბინდით მოცული „სტოლიცა“... მოკლედ, სამუდამოდ ჩამრჩა გონებაში: გარეთ გადაუღებლად თოვს და თოვს, არბატზე ყრუდ, ზარის წკრიალ-წკრიალით მირახრახებენ კონკები, საღამოობით ნახევრად ჩაბნელებული რესტორანი გაზისა და ლუდის მომყავო სუნით არის გაყენთილი... ახლაც არ ვიცი, რად ვეწეოდი ასეთ ბეჩავსა და უბადრუკ ცხოვრებას, მაშინ როცა საამისოდ არავითარი გასაჭირი არა მქონდა, არც სიმდიდრე მაკლდა და არც მდგომარეობა.

და აი, ერთხელაც არის, ვზივარ ჩემთვის სახლში და ფანქრით ვმუშაობ, გარეთ თოვლ-ჭყაპია, ორმაგი ფანჯრიდან გაზაფხულის ნესტიანი სიო უბერავს, უინულგამლხვალი ქვაფენილიდან ნალების ყრუ თქარათქური ისმის. ამ დროს კარზე ვილაც აკაკუნებს. „ვინ არის?“ — ვიკითხე ხმამაღლა, მაგრამ შეკითხვაზე არავინ მიპასუხა. მე ერთხანს შევიცადე და ისევ ვიკითხე. შეკითხვას პა-

სუხი არც ამჯერად მოპყოლია. ერთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ისევ დააკაკუნეს. მაშინვე წამოვდექი, კართან მივედი და გამოვადე: ვხედავ, ზღურბლთან მალაღი, ნაცრისფერ ზამთრის შლაპასა, ნაცრისფერ სწორ პალტოსა და ნაცრისფერ ბოტებში გამოწყობილი ქალიშვილი დგას და თავისი მოგონებების კოსტური თვალებით სახეში მომჩერებია, დაწვებსა, გრძელ წამწამებს და კმაზე თოვლისა და წვიმის წვეთები უბრწყინავს, მიყურებს და მეუბნება:

— მე კონსერვატორიელი ვარ — მუზა გრაფი. გავიგე, ძალიან საინტერესო ადამიანიო და გასაცნობად მოვედი. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ?

ცოტა არ იყოს, დაბნეულმა და კიდევ უფრო გაოცებულმა, ცხადია, თავაზიანად ვუპასუხე:

— პირიქით, დიდად ნასიამოვნები გახლავართ, მობრძანდით! ოღონდ, მინდა წინასწარ გაგაფრთხილოთ, ის, რაც თქვენ „გაიგეთ“, არა მგონია, მართალი იყოს, ჩემის აზრით, საინტერესო ჩემში სულაც არაფერი გახლავთ.

— ასე კარებთან რომ გამაჩერეთ, სახლში მაინც შემომიშვით, — მითხრა ისე, რომ თვალი არ მოუცილებია, — ნასიამოვნები ვარო, თუ ასეა, შინ რატომ არ შეპატივებით?

ამ სიტყვებით კარის ზღურბლს გადმოაბიჯა თითქოს საკუთარ სახლშიათ, ჩემი მორუხო-მოვერცხლისფრო, ალაგ-ალაგ ჩაშავებული სარკის წინ შლაპა მოიხადა, ყანგისფერი თმა შეისწორა, პალტო იქვე, სკამზე მიაგდო, ცხვირის სრუტუნ-სრუტუნით უჩრებიანი ფლანელის კაბაში გამოწყობილი დივანზე არხეინად ჩამოჯდა და მიბრძანა:

— ბოტები გამხადეთ, პალტოს ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღეთ და მომაწოდეთ.

ცხვირსახოცი მივეცი, ცხვირი მოიწმინდა, ბოტების გასახდელად ფეხები გამომიშვირა და სხვათა შორის მითხრა:

— წუხელ საღამოს შორის კონცერტზე გნახეთ.

„ეს რა უცნაური სტუმარი მყავს!“ — ბოტებს ვხდი და კმაყოფილებისა და გაოცებისაგან სახეზე სულელური ღიმილი არ მშორდება. გარედან შემოსულს ჯერ ისევ ჰაერის სურნელი ასდის, ეს სურნელი გულს მიფორიაქებს და მაღელვებს... მაღელვებს მისი ვაჟკაცური ხასიათის ეს უცნაური შერწყმაც ამ საოცარ ქალურობასა, სინორჩესა და ახალგაზრდობასთან, რომლითაც ასე სავსეა მისი სახე, მისი დიდრონი, მაგრამ ლამაზი ხელები, მისი გაბედული, პირდაპირი მზერა და ყველაფერი ის, რის შეხედვასა და აღქმასაც იმ მოკლე დროის განმავლობაში ვასწრებ, ვიდრე მრგვალსა და ჯიშთან მუხლებზე დაშვებულ კალთებქვეშ ფეხებზე ბოტებს ვხდი და ლაქის ნავისებურ ფეხსაცმელში გამოწყობილ მოგრძო ტერფებს შევყურებ.

ის კი ჯერჯერობით, ეტყობა, წასვლას სულაც არა ჩქარობს, დივანზე შესწორდა და კიდევ უფრო მოხერხებულად დაჯდა. იმის გამო, რომ არ ვიცი, რა ვთქვა და რა ვილაპარაკო, გამოკითხვას ვუწყებ—ჩემ შესახებ ვინ ან რა უთხრა, თვითონ ვინ არის და სად ცხოვრობს.

ვინ ან რა მითხრა, რა მნიშვნელობა აქვს, კონცერტზე რომ გნახეთ, უფრო იმის გამო მოვედი — თქვენ ხომ საკმაოდ ლამაზი ბრძანდებით! მე ექიმის ძალიშვილი ვარ, აქვე პრეჩისტენსკის ბულვარზე ვცხოვრობო.

როგორღაც უცნაურად და მოკლედ ლაპარაკობს, მე კი კვლავ რმის გამო, რომ არ ვიცი, რა ვთქვა და რაზე ველაპარაკო, ვეკითხები:

— ჩაი ხომ არ გნებავთ?

— ჩაი? სიამოვნებით. — ამბობს და თან დასძენს: — ^{ქრქინული} ~~ქრქინული~~ ^{ქრქინული} გაქვთ, სასტუმროს მსახური გააგზავნეთ, უბრძანეთ, აქვე, არბატზე ბელოვთან რენეტის ვაშლი იყიდოს, ოლონდ, რაც შეიძლება, დააჩქარეთ, იცოდეთ, ძალიან მოუთმენელი ვარ.

— ერთი შეხედვით მოუთმენლობისა თითქოს არაფერი გეტყობათ...

— მეტყობა თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს.

მალე სასტუმროს მსახურმა ნომერში ერთი პარკი ვაშლი და სამოვარი შემოიტანა. ჩემმა სტუმარმა კი ამასობაში ჩაის ფერი დააყენა, ფინჯნები დაწმინდა, მერე ვაშლი შეჭამა, ერთი ფინჯანი ჩაი დალია, კიდევ უფრო მოხერხებულად დაჯდა და დივანზე ხელი დამირტყა:

— ახლა კი მოდით, გვერდით დამიჯექით.

მართლაც, მივუჯექი გვერდით თუ არა, მკლავები მომხვია და ტუჩებში ნება-ნება კოცნა დამიწყო. მერე გვერდზე გაიწია, დაკვირვებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა და თითქოს დარწმუნდა, ნამდვილად კოცნის ღირსიაო, თვალები დახუჭა და ახლა უკვე ხანგრძლივად და დიდის მონდომებით მაკოცა.

— აი, ასე, — თქვა ბოლოს როგორღაც შევებით, — ჯერჯერობით ეს არის და ეს, ხვალზევით კი...

ნომერში უკვე ბნელა, იქაურობას მხოლოდ ქუჩიდან შემოსული ფანრების მბეჭეტავი, მჭრქალი სინათლე ანათებს. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ვარ... არა, მაინც საიდან მომევლინა ასე ანაზღეულად ეს ბედნიერება, ახალგაზრდა, ჯანითა და ღონით სავსე... ისეთი ლამაზი და გემრიელი ტუჩები აქვს, — ვამბობ გუნებაში და კონკების ერთფეროვანი რეკვა და ცხენის ფლოქვების თქარათქური თითქოს სიზმარში ჩამესმის.

— ხვალზევით მინდა, თქვენთან ერთად რესტორან „პრალაში“ ვისადილო... წარმოდგენილი მაქვს, რას ფიქრობთ და როგორი გგონივართ, მე კი ჯერ რესტორანშიაც არ ვყოფილვარ... ალბათ არც კი დაგეგვრებათ, რომ თქვენ ჩემი პირველი სიყვარული ბრძანდებით.

— სიყვარული?

— აბა, ამას რა ჰქვია?

გაკვეთილზე სიარულს, რა თქმა უნდა, მაშინვე თავი მივანებე, ისიც ჰა და ჰა, ძლივს მიაღლოდიალებს თავის სწავლას. ერთმანეთს წუთით არ ვცილდებით, ნამდვილი ახლად შეუღლებული ცოლ-ქმარივით ვცხოვრობთ, დავდივართ სურათების გალერეებსა და გამოფენებზე, ვუსმენთ კონცერტებს, ის კი არა, რატომღაც საჯარო ლექციებსაც კი ვესწრებით... მისი სურვილის თანახმად, მაისისათვის მოსკოვის გარეუბნის ერთ-ერთ ძველებურ მამულში მოწყობილ აგარაკზე გადავსახლდი, იმ მამულში კიდევ რამდენიმე გასაქირავებელი აგარაკიც არის. ისიც თითქმის ყოველდღე ჩამოდის და უკან შუალამის პირველ საათზე ბრუნდება. ჩემს სიცოცხლეში მოაგარაკედ არასოდეს მიცხოვრია, ასე უქმად და უსაქმოდ არასოდეს ვყოფილვარ, თანაც სადმე შორს კი არა, აქვე, მოსკოვის გარეუბანში...

ერთთავად წვიმს და წვიმს, იქაურობა ირგვლივ ფიჭვის უღრანი ტყეებით არის დაფარული. ტყის ზემოთ, ლაყვარდისფრად მოკრიალებულ ცაზე

წამდაუწუმ თეთრი ღრუბელი აიშლება, სადღაც ქექა-ქუხილი გადაიგრიანებს, მზის სხივებში აბრწყვიალებული წვიმის მსხვილი წვეთები შხაპაშხაპით წაიწოვანა და ხვატივით ჩამოწოლილ სიციხეში მიწიდან ფიჭვის სურნელოვან ფაფქვითილი ოხშივარი ავარდება. წვიმისაგან ყველაფერი სველი, კბილურად დაბზინებულია. პარკში ისეთი უშველებელი ხეები დგას, მათ ქვეშ აქა-იქ გაბნეული აგარაკები ტროპიკულ ტყეებში მიმობნეული პაწაწა ქობმახები გეგონება. უშველებელ, შავად გადასარკულ გუბურას მწვანე ლემნა მოსდებია... ჯერ ისევ დაუმთავრებელი, თითქმის სრულიად მოუწყობელი, უავეჯო ძელური აგარაკი ზუსტად პარკის განაპირას დგას — დაუგმანავი კედლები, გაურანდავი იატაკი, უსახურავო ლუმელი... გამუდმებული ნესტისაგან საწოლქვეშ შეყრილ ჩემს ჩექმებს ხავსი მწვანე ზავერდივითა აქვს მოდებული.

სალამობით მხოლოდ შუალამისას თუ ჩამობნელდება — დგას და დგას დასავლეთის მქრქალი სინათლე, ყრუ, უმოძრაოდ გარინდულ ტყეში. მთვარიან ღამეებში დღის ეს უღიმღამო სინათლე მთვარის ასეთივე მკრთალ, გრძნეულენით შეკრულ ნათელში ირევა და ირგვლივ გამეფებული იმ სიმშვიდისა და მყუდროების, იმ გამჭვირვალე პაერისა და კრიალა ზეცის შემხედვარეს ეჭვიც არ შეგეპარებოდა. მორჩა, ალბათ აღარასოდეს გაწვიმდებაო. მაგრამ აი, გაეაცილებდი მუზას სადგურში, მოვიდოდი, დავწვებოდი, ის იყო ჩავთვლემდი, რომ წვიმა უკვე თქაფათქუფით წამოვიდოდა სახურავზე. ისეთი ელვა და ქექა-ქუხილი ატყდებოდა, ლამის ქვეყანას აქცევდა, ირგვლივ ყოველივეს გაუვალი წყვდიადი მოიცავდა. მაგრამ, აი, გათენდებოდა და ნამიან ხეივანქვეშ სოსანისღერ მიწას მზის ბღღვრილა ლაქები გადააჭრელებდა. იდგა ერთი გნიასი და ხმაური, ბუზიჭერია ჩიტების ტკრციალსა და შაშვების ხრინწიანი ქახქახისაგან ყურთასმენა აღარ იყო. მერე დადგებოდა შუადღე და ისევ ჩამოწვებოდა ხვატი, ისევ გადაეფარებოდა ცას ღრუბელი და ისევ წამოვიდოდა შხაპუნა. დადგებოდა მზის ჩასვლის უამი და ისევ აიკრიფებოდა ღრუბელი, ისევ ალივლივდებოდა ფანჯრებიდან ფოთლებს შორის შემოპარული, პორიზონტისაგან დახრილ მზის სხივთაგან ნაქსოვი ოქროსფერი ბადე ძელური აგარაკის კედლებზე. ეს ის დრო იყო, როდესაც მის დასახვედრად სადგურზე უნდა წავსულიყავი. ჩამოდგებოდა მატარებელი და გამოეფინებოდა ბაქანზე ურიცხვი მოაგარაკე, ირგვლივ ორთქმავლიდან წამოსული ქვანახშირის სუნი დატრიალდებოდა, მაგრამ ახლად ნაწვიმარი ტყიდან მალე ისევ გრილი პაერი წამოუბერავდა, არ გაივლიდა ორიოდ წუთი, რომ ისიც გამოჩნდებოდა, პაკეტებში ჩაწყობილი საუზმით, ხილითა და მადერის ბოთლებით ხელებდატვირთული... მერე დავსხდებოდით ერთმანეთის პირისპირ, ტკბილად, გემრიელად ვისაუზმებდით და ვიდრე უკან წასვლის უამი მოაწევდა, კარგა ხანს პარკში დავეხეტებოდით. იგი თანდათან სულ უფრო სომნამბულური ხდებოდა — დამადებდა მხარზე თავს და მოაბიჯებდა მთვარეულივით... პარკში კი ამასობაში უკვე უსასრულოდ მდუმარე, ნათელი, მომაჯადოებელი ღამე ჩამოწვებოდა, იდგნენ ვარსკვლავებით მოჭედილი ცისაკენ წასული საუკუნოვანი ხეები, მათ ჩრდილებს შავად გადაეჭრელებინათ ტბებივით ვერცხლისფრად მოლაპლაპე მდელოები.

ივნისის თვე იყო. მოსკოვიდან ჩემს მამულში რომ დავბრუნდი, ცხადია, ისიც ჩემთან ერთად წამოვიდა. მართალია, ჯვარი დაწერილი არა გვქონდა, მაგრამ ცხოვრება ნამდვილი ჯვარწერილი ცოლ-ქმარივით დავიწყეთ. ჩავედით თუ არა, ხელი მაშინვე დიასახლისობას მიჰყო, მთელი ის შემოდგომა საქმიან-

ნობასა და კითხვაში გაატარა, ისე რომ წუთით არ მოუწყენია. ჩვენგან ორიოდუ ვერსზე ცხოვრობდა მარტოხელა ღარიბი მემამულე — ვინმე ზავისტოვსკი, ერთი უნიათო, მწითური, მფრთხალი და ჭკუამოკლე კაცი, თუმცა არცთუ ისე ურიგო მუსიკოსი. მეზობლებიდან ჩვენს ოჯახში ყველაზე ხშირად სწორედ ის ზავისტოვსკი დაიარებოდა. იმ ზამთარს დღე არ გავლდებოდა, მაგრამ ახლა ისე მივეჩვიე, საღამო რომ დადგებოდა, დროზე რომ არ გამოჩენილიყო, ერთ ადგილას ველარ ვისვენებდი. დავსხდებოდით და დავიწყებდით შაშის თამაშს, ანდა მიუსხდებოდნენ მუზა და ის როიალს და უკრავდნენ.

ერთხელაც არის, შობის წინა კვირას ქალაქში წავედი. ქალაქიდან დაბრუნებისას გზაზე უკვე პირბადრი მთვარე ანათებდა. შინ რომ თვალი ვერსად მოვკარი, ღუნისას ვკითხე:

— ღუნია, ქალბატონი სად არის, სასეირნოდ ხომ არ წავიდა?

— რა ვიცი, დილისაქეთია არ გამოჩენილა.

— გამოიპრანჭა და სადღაც წაბრძანდა, — წაიბუზღუნა ჩემმა მოხუცმა გადიამ და მთელი ის იმხელა სასადილო ოთახი ცხვირჩამოშვებულმა ისე გაიარა, თავი ზევით არ აუწყევია.

ალბათ ზავისტოვსკისთან თუ წავიდა, საცაა ორივენი ერთად დაბრუნდებიან, აგერ უკვე შვიდი საათია-მეთქი. — ამ ფიქრებში გართული კაბინეტში გავედი. დივანზე მივწექი და მთელი დღის ნამგზავრსა და გაყინულს იმავე წუთს მკვდარივით ჩამეძინა. ერთი საათის შემდეგ უცნაური აზრით შეპყრობილმა თვალები ასევე უცბად, ხელნაკრავივით გავახილე: „რა თქმა უნდა, მიმატოვა, დაიჭირავა სოფელში ვიღაც გლეხი და სადგურში წავიდა, იქიდან კი მოსკოვს გაემგზავრა, კაცი ხომ მისგან ყველაფერს უნდა მოელოდე-მეთქი, — გავიფიქრე, მაგრამ თავი თვითონვე დავიმშვიდე: ვინ იცის, იქნებ დაბრუნდა კიდევაც?“ — და ამით დაიმედებულმა მთელი სახლი სულ კუთხე-კუნჭულ შემოვიარე, ისე ვარ, მოსამსახურეებს სირცხვილისაგან თვალებში ვერ ვუყურებ...

კარგა ხანს დავბოდიხალე ასე დაბნეული: არ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე. ჭამის ათი საათი იქნებოდა, ჩავიცვი ჩემი მოკლე ქურჭი, რატომღაც ხელში თოფი ავიღე დ შარა-შარა ზავისტოვსკის სახლის გზას დავადექი. მივდივარ და თან გულს ვასკდები — რაღა ესეც დღეს აღარ მოვიდა, ამხელა ღამეს რა გაიყვანს, ნუთუ მართლა მიმატოვა მუზამ, მართლა წავიდა-მეთქი... მივდივარ და მივაჭრაჭუნებ შარაზე გაკვალულ თოფს. მარცხნივ მთვარის შუქით განათებული მინდორი ელავს... მალე შარა გზიდან გადავუხვიე და ზავისტოვსკის უბადრუკი სახლისაკენ გავწიე... აი, გავიარე მინდვრიდან სახლისაკენ მიმავალი ფოთოლშემოდრცვილი შიშველი ხეივანი და ეზოში შევედი — მარცხნივ ძველი, ულაზათო სახლი დგას, სახლში სიბნელეა.. ავდივარ ყინვისაგან გალიგველ პარმალზე და გადასაკრავშემოგლეჯილ კარს ძლივს ვაღებ — ღუმელში ჩანალვერდლებული ცეცხლი ღუდღუდებს, წინკარში სითბოა და სიბნელე, ასეთივე სიბნელეა დარბაზშიაც.

— ვიკენტი ვიკენტიევიჩ!

და აი, ჩემს ძახილზე იგი კაბინეტის კარის ზღურბლს ფეხაკრეფით მოადგა — კაბინეტიც სამშაგი ფანჯრიდან შემოსული მთვარის შუქით არის განათებული, ფეხზე თექის ჩექმები აცვია:

— აჰ, თქვენა ხართ? მობრძანდით!.. მე კი აი, როგორც ხედავთ, ^{შნელაში} ვზივარ, მთელი საღამო ისე გავატარე, სინათლე არ ამინთო...

ოთახში შევედი და ძველ, აბურცულ-დაბურცულ დივანზე დაბნეული ჩამოვჯექი:

— წარმოგიდგენიათ, მუზა სადღაც გაქრა...

ვიკენტი ვიკენტივევიჩმა წუთით იყუჩა და ბოლოს ძლივს გასაგონად მი-
თხრა:

— დიახ, დიახ, მესმის, ძალიან კარგად მესმის...

— კი მაგრამ, რა გესმით?

სწორედ ამ დროს კაბინეტის გვერდით მდებარე საძინებელი ოთახიდან მხრებზე შალმოხვეული, ასევე უხმაუროდ და ასევე თექის ჩექმებში გამოწყობილი მუზა გამოვიდა, ეტყობოდა, წამოწოლილი იყო.

— თქვენ რა, თოფით მოხვედით? თუ ვინმეს უნდა ესროლოთ, ისევე მე მესროლეთ და არა ამას, — თქვა და ჩემ პირდაპირ მეორე დივანზე დაჯდა.

მე მის თექის ჩექმებსა და რუხი ქვედა კაბის კალთით დაფარულ მუხლებს შევხედე (ფანჯრიდან შემოსული მთვარის შუქით ოთახი ისე იყო განათებული, ყველაფერი შესანიშნავად ჩანდა) და კინალამ ვიყვირე — არა, არა, მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, მარტო აი, ამ მუხლებისა, ამ ქვედა კაბისა, ამ თექის ჩექმებისათვისაც კი მზად ვარ სიცოცხლე გავწირო-მეთქი!

— რა აუტანლად მკაცრი ხართ! — სიტყვა ძლივს დავძარი.

— მოიტა, პაპიროსი მომაწოდე, — მიუბრუნდა მუზა აბლა ზავისტოვსკის. ზავისტოვსკი შეშინებული მიუახლოვდა მუზას, პორტსიგარი გაუწოდა და ჩიბეებში ასანთს ძებნა დაუწყო.

— უკვე თქვენობითაც მელაპარაკებით? — ვთქვი მე სუნთქვაშეკრულმა, — ხომ შეგეძლოთ, ჩემი თანდასწრებით მაინც არ მიგემართათ მისთვის შენობით!

— რატომ? — იკითხა გაოცებულმა მუზამ და წარბები აწკიპა, ხელში ანთებული პაპიროსი ეჭირა.

ყელში მოზჯენილ გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, სისხლი საფეთქლებში მცემდა. დივნიდან ძლივს წამოვდექი და ოთახიდან ბარბაცით გამოვედი.



ინგლისურიდან

თარგმნა ვანო იმერლიუხვილაძე

გლორია დევისმა ისე აცაბაცა გადაჭრა ქუჩა კინოთეატრ ოდენონისკენ, კაცი იფიქრებდა, ეს გოგო ან ნასვამია ან ძალზე მისუსტებულიო. სინამდვილეში კი არც ერთი იყო და არც მეორე; ყველაფერი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების ბრალი გახლდათ, დღეს პირველად რომ ჩაიცვა საგანგებოდ. მორკალული საყურეებიც ახალი ეკიდა, აქეთ-იქით რომ ქანაობდნენ და ლოყებზე სცემდნენ. არა, არა, სულაც არ უხდება გლორიას ეს საყურეები. თუმცა, საწოლი ოთახის სარკეში რომ ჩაიხედა, ლამაზად ეჩვენა, მაგრამ ახლა რატომღაც აღარ მოეწონა, უეცრად ჩამოიგლიჯა და ჩანთაში ჩააგდო. მოგვიანებით, სალამოს წვეულებაზე როცა იქნება, ეგებ ხელახლა მოისინჯოს და, ვინ იცის, ყველას ყურადღებაც მიიქციოს.

გლორიას სულ გადაავიწყდა საყურეები, როცა კინოში შესასვლელ კიბეზე მეგობრების მომლოდინე უამრავ ხალხში თვალი ვერ მოჰკრა მისტერ ჰიუს-ევანსს. ახალა მიხვდა, რომ მისტერ ჰიუს-ევანსს მაინცდამაინც დიდი თავგამოდებით არც დაუპატიებია. კაცმა რომ თქვას, რა უნდა მოსწონებოდა გადასახადთა ინსპექტორს (მისტერ ჰიუს-ევანსი ხომ დასაბეგრი ქონების შემფასებელ განყოფილებაში მუშაობდა) საანგარიშო მანქანის ოპერატორ თვრამეტი წლის გოგოსი? არადა, რა ცხვირაწეული დადიოდა და როგორ ულოცავდა თავის თავს, რომ მისტერ ჰიუს-ევანსმა მთელი დაწესებულების გოგოებიდან პირველად ის დაპატივა. ამ ფიქრებში იყო გართული, როცა მის გვერდით მდგომმა აწოწილმა კაცმა იდაყვი ჯარისკაცივით მარჯვედ მიიღო მკერდზე, ჩალისფერი საწვიმარი ქუდი მოიხადა და მიესალმა. ეს კაცი მისტერ ჰიუს-ევანსი იყო.

— გამარჯობათ, გლორია! — უთხრა და ერთხანს ღიმმორეული მისჩერებოდა; პირში ჩიბუხი გაეჩარა და მის მორკალულ ტარს კბილებით აწვალებდა. მერე დასძინა: — „განა ვერ მიცანით, გლორია?“.

— უკაცრავად, მისტერ ჰიუს-ევანს, მაგრამ ამდენ ხალხში უბრალოდ ვერ შეგამჩნიეთ.

მისტერ ჰიუს-ევანსის ქუდმა და ჩიბუხმა სულ დააბნია გლორია, იმანაც შეაცბუნა, კაცმა რომ მისი სახელი ორჯერ გაიმეორა.

მისტერ ჰიუს-ევანსმა ბოდიშისა და ახსნა-განმარტების პასუხად თავი დაუქნია. მერე ოდნავ წინ გადმოიხარა, ქუდი კვლავ დაიხურა და ჩიბუხნი პირიდან გამოიღო.

— შევიდეთ კინოში?! არ მინდა ახალი ამბები გამომრჩეს. ^{მისტერ ჰიუს-ევანსი} მისტერ ჰიუს-ევანსი ორ ბილეთს იყიდდა, ორ შილინგსა და ოთხ პენსად, ^{გლორია} გლორიაშ შეამჩნია, რომ ხელში სახრამუნო კარტოფილის პაკეტებით სავსე ბადურა ეჭირა. ნეტა რად უნდოდა ხრამუნა მისტერ ჰიუს-ევანსს კინოში?

დარბაზში ისე ბნელოდა, კაცი თითს თვალთან ვერ მიიტანდა. ვიდრე მებილეთე ქალი გამოჩნდებოდა, მისტერ ჰიუს-ევანსი კარგა ხანს ატკაცუნებდა თითებს მის მოსახმობად. მაშინ როცა ფეხბურთელთა გუნდს გასვლითი თამაში ჰქონდა, ოდენი შაბათობით ყოველთვის სავსე იყო ხოლმე, ასე რომ გლორიასა და მისტერ ჰიუს-ევანსს უამრავ ხალხში თავიანთ ადგილებამდის უნდა მიეღწიათ, სადაც მაყურებელთა ხმამაღალი ამოოხვრა და კამფეტებით სავსე პარკების ტკიცინი ისმოდა; ჩახუტებული წყვილები კი დროებით ერთმანეთს სწყდებოდნენ. როგორც იქნა, მოთავსდნენ თავიანთ ადგილებზე, საიდანაც შესანიშნავად ჩანდა, როგორ თამაშობდა ეკრანზე ედინბურგის პერცოგი ცხენბურთს. მისტერ ჰიუს-ევანსმა ხმამაღლა ჰკითხა გლორიას, კარგად თუ ხედავთო, ხოლო როცა გლორია მწასჩურჩულა, მშვენივრადო, შოკოლადი გაუწოდა.

— მიირთვით, ნახეთ, რა კარგი შოკოლადია.

ვიდრე ფილმებს უჩვენებდნენ, ამ გადალაპარაკ-გადმოლაპარაკების მეტი მათ შორის თითქმის არაფერი მომხდარა. ეკრანზე ჯერ მხატვრული სურათი გადიოდა. როგორც კი გლორია შეატყო, ეს ძველი ყაიდის ფილმიაო. მაშინვე შეხვდა, რომ არ მოეწონებოდა. იქ არავითარი მოქმედება არ ხდებოდა, მხოლოდ ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ. ზოგიერთ დიალოგზე მისტერ ჰიუს-ევანსი იმდენს იცინოდა, რომ ერთი-ორჯერ მისდაუნებლიეთ მუჯლუგუნიც კი წაპკრა გლორიას. გლორიაც შიგადაშიგ მხარს აუბამდა და გაიცინებდა, აბა უზრდელად ხომ არ მოიქცეოდა და ხომ არ ჩააშხამებდა მისტერ ჰიუს-ევანსს სიამოვნებას. ფილმი ერთი ქვივლ-ხივილით დამთავრდა, რადგან დაკარგული ტყავის საკვოიაჟი, როგორც იქნა, მოიბებნა და ხალხიც ყოვლად სულელურად და არაბუნებრივად ულოცავდა ერთმანეთს.

გლორია კი მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ იმაზე ფიქრობდა, მისტერ ჰიუს-ევანსი გადახვევდა თუ არა ბოლოს და ბოლოს მკლავს. აქამდე ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, გლორია ვისმე წაჰყოლოდა კინოში და ასე არ მოქცეოდნენ. ჩვეულებრივ მკლავის გადახვევაზე მეტიც უცდიათ ხოლმე, მაგრამ მისტერ ჰიუს-ევანსი სულაც არ ჩანდა ისეთი კაცი. ჯერ ერთი, გლორიას ჩვეულებრივ კავალრებზე უფროსი იყო და მეორეც, მისი საწვიმარი ქუდი და ბადურა ისეთნაირ შთაბეჭდილებას ქმნიდა, ძნელად თუ წარმოიდგენდი, ამ კაცს ოდესმე ვინმესთვის მკლავი მოეხვია. მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი გლორია მის ახლოს სკამის სახელურზე ჩამოკიდებულ მისტერ ჰიუს-ევანსის ხელს და თვითონაც ისეთნაირად წასწია ხელი ფრთხილად, რომ თუკი მისტერ ჰიუს-ევანსი მოისურვებდა, ადვილად შეძლებოდა ხელის მოჭერა, მაგრამ ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. მიჩოჩებითაც მისტერ ჰიუს-ევანსი მხოლოდ მაშინ მიჩოჩდებოდა ხოლმე ახლოს გლორიასაკენ, როცა გოგოს სიგარეტის მოკიდება უნდოდა, ეს იყო და ეს.

ეკრანზე თუნუქის ალაცადი ნელ-ნელა გაიხსნა და ნახევარსაათიანი რეკლამის ჩვენება დაიწყო, რომლის დროსაც მაყურებელთა უმრავლესობა იმ მელოდიებს უსტვენდა, რეკლამის ჩვენებისას რომ უკრავდნენ. რეკლამას კი მარცვლეულსა და ქიმიურ საწმენდ ხსნარებს უწევდნენ. მშვენიერად საკმაოდ ხანგრძლივი და დაწვრილებითი ეპიზოდი საპარსებზე. ამ დროს უეცრად მისტერ ჰიუს-ევანსმა წამოიძახა:

— ჩემი აზრით, საოცრად სამარცხვინო რამ არის ეს კომერციული საქმიანობა.

— არ მესმის რას გულისხმობთ?!

— აი, მთელი ამ საპარსი ხელსაწყოების ბიზნესს, ყოველივე ამ წყვეულ ტექნიკურ სიახლეებსა და მოხმარების საგნებს. უბრალოდ აიძულებენ ადამიანს ყოველდღე ახალი საპარსი იყიდოს და მეტი არაფერი.

— ო, ახლა კი მივხვდი. თქვენ ფიქრობთ, რომ...

— მიაქციეთ ყურადღება, საპარსები როგორსაც ზოგიერთი ეს ფირმა დღესდღეობით ამზადებს, იძულებულს ხდის მომხმარებელს ყოველდღე ახალი საპარსი იხმაროს. მერწმუნეთ, ამ საქმეში ფრიად გამოცდილები არიან. — მან დამცინავად ჩაიციხა და განაგრძო: — ცხადია, თუ არ უნდა წვერის პარსვისას კანი აიტყავოს. ისინი ხომ სულაც არ დაეძებენ, რამდენი ეხარჯებათ რეკლამაზე. ამაში ხომ გადასახადს არ იხდიან და ერთი გროშიც არ უღირთ.

გლორიამ ის იყო დააპირა ეკითხა, როგორ ხდება ეს ყველაფერიო, მაგრამ მოაგონდა, მისტერ ჰიუს-ევანსს მყისვე თითოეული შეკითხვის ყოველმხრივი და დაწვრილებითი გაშუქება რომ სჩვეოდა და თავი შეიკავა. მხოლოდ ესლა თქვა: — რასაკვირველია, ერთი გროშიც არ უღირთ.

მისტერ ჰიუს-ევანსმა დაფიქრებითა და ეჭვით შეხედა გლორიას და ბრაზ-მორეულმა დაასრულა საუბარი: — ოჰ, ამ ფირმებს რა ვუთხრა მე.

როცა სინათლე კვლავ ჩაქრა, გლორიამ მისტერ ჰიუს-ევანსთან მოკლე საუბარი გაიხსენა. ზუსტად ამდგვარი ლაპარაკი იცინ ხოლმე ხანში შესულმა მამაკაცებმა, ზუსტად ასეთ საუბარს მართავს ხოლმე გლორიას მამა ლუდხანაში, სადაც დაობენ მთავრობის, პენსიების, სამუშაოების, რუსების და კიდევ ისეთი რამეების თაობაზე, მოცეკვავე ყმაწვილები რომ არასოდეს ახსენებენ. მაგრამ გლორია იმასაც ხვდებოდა, რომ ამგვარი საუბარი მარტო ასაკის ბრალი არ იყო, რომ ასეთ ამბებზე ჩვეულებრივ ისეთი ადამიანები ბაასობენ, რომელთაც აქვთ ფული, ჰყავთ მანქანა და რომლებიც ლაპარაკობენ ისე, როგორც ეს მაღალი წრის ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე. ასე რომ, თუ გლორია ამ ხანშესულ მამაკაცს აფიქრებინებს, ამას უინტერესო ამბები არ აინტერესებსო, ისეთი ჩერჩეტი გოგოს შთაბეჭდილებას დატოვებს, ვისაც არც ქცევა უფარვა და არც ლაპარაკი. არა, თუკი მისტერ ჰიუს-ევანსი ისევ წამოიწყებს საუბარს, გლორიას უფრო მეტი დაკვირვება მართებს.

მეორე სურათი იმედს იძლეოდა, რომ უფრო საინტერესო იქნებოდა. ქალებს საუცხოოდ შეკერილი კაბები ეცვათ. ხოლო კინოვარსკვლავი სულ მთლად ისე გამოიყურებოდა, როგორც ერთი სახელგანთქმული მსახიობი, რომლის გარეგნობასაც გლორია ხშირად შენატროდა. ეკრანზე საუცხოო, ნახევრად ჩაბნელებული დამის რესტორანი მოჩანდა, მამაკაცებს ფრაკები ეცვათ და ორკესტრიც თანამედროვე იყო. კინოვარსკვლავ ქალს კილიტით გაწყობილი არაჩვეულებრივი საღამოს კაბა ემოსა და მხრებზე ძვირფასი თეთრი ბეწვი

ქონდა მოხმული. დახლთან მჯდარი მამაკაცი, ლამაზი პროფილი რომ ჰქონდა შემობრუნდა და ქალს შეხედა. მათ დიდხანს თვალი ვერ მოხწყვია ერთმანეთს. გლორიამ ნერწყვი გადაყლაპა და წინ გადაიხარა.

ამ დროს მისტერ ჰიუს-ევანსმა იდაყვი წაჰკრა გლორიას და მისწავლა: როგორც გატყობთ, სურათი არ მოგწონთ, რას იტყვით, ჩაი ხომ არ დაგველია?

— რა, უკვე დროა, რომ წავიდეთ?

— მგონი, ამ სურათის ბოლომდე ყურება არც ერთს არ გვინდა, ხომ მართალია?

გლორია უცბად გონს მოეგო და მიუგო: დიახ, დიახ, მართალი ბრძანდებით.

მათ ძლივ-ძლივობით გააღწიეს გასასვლელისკენ, ვინაიდან ჩახუტებული წყვილები ამჯერად აღარ ჩქარობდნენ ერთმანეთის მკლავებიდან თავის გათავისუფლებას. ფოიეში გლორიამ მისტერ ჰიუს-ევანსს უთხრა:

— დიდად გმადლობთ, მისტერ ჰიუს-ევანს, ფილმი ძალიან მომეწონა.

მაგრამ მისტერ ჰიუს-ევანსმა ვურიც არ ათხოვა, იგი დაფეთებული იხედებოდა აქეთ-იქით, თითქოს ქალების ტუალეტში მოხვდაო, და თან გაიძახოდა:

— ვაიმე, ჩემი კარტოფილის ხრამუნები, მგონი, დარბაზში დამრჩა.

— ნუ სწუხართ, მისტერ ჰიუს-ევანს, მათი უკანვე გამოტანა ერთ წუთსაც არ წაგართმევთ. ჩემი დარდი ნუ გექნებათ, მე აქ მოგიცდით.

მისტერ ჰიუს-ევანსი, რომელსაც ლაბადის ქუდი კაცმა არ იცის, წარბებზე რატომ ჩამოეფხატა, გლორიას მიაჩერდა.

— იქნებ თქვენც გამომყვეთ, გლორია, აღარ მახსოვს, სად ვისხედით.

დარბაზში თითების კარგა ხნის ტკაცუნის მერე, როგორც იქნა, მიაგნეს თავიანთ რიგს. მებილეთე ქალმა ჯიბის ელექტროფარანი გაანათა და გლორიამ დაინახა, რომ მათი ადგილები უკვე დაეკავებინათ. მისტერ ჰიუს-ევანსმა გლორია მიატოვა და წინანდელზე უფრო ნელა გვერდულად გაუყვა რიგს; უცებ რაღაც ჩოჩქოლი შეიქმნა. გლორია, რომელიც გასასვლელში იცდიდა, მიბრუნდა და ეკრანს მიაცქერდა. ლამაზპროფილიანი მამაკაცი ახლა კინოვარსკვლავთან ერთად ცეკვავდა, სხვები კი მაგიდებს უსხდნენ და მათ შეჰყურებდნენ. გლორია ისე გაერთო მოცეკვავე წყვილის ცქერით, გადაავიწყდა კიდევ, სად იმყოფებოდა, ვიდრე პატარა ხმაურმა, თანდათან საკმაოდ დიდ აურზაურში რომ გადაიხარდა, მის ყურამდისაც არ მიაღწია. ამის მიზეზი თურმე მისტერ ჰიუს-ევანსი გახლდათ თავისი პაკეტებით, რომლებსაც საშინელი ტკიცინი და შრიალი გაჰქონდა. მამაკაცები ილანძლებოდნენ, ზოგიერთი ხმამალა იგინებოდა კიდევ, ხოლო ერთი, რომელიც ყველაზე უფრო ხმამალა გაჰყვიროდა, ისეთნაირად ამკობდა და ერთი ისეთი სიტყვაც იხმარა, გლორია რომ ვერ იტანდა და „იმნაირ სიტყვას“ ეძახდა. გლორიას სირცხვილით ლოყები აეწვა. მისტერ ჰიუს-ევანსი კი აქეთ-იქით ატრიალებდა თავს და გაიძახოდა: „ძალიან ვწუხვარ, ძველო“, „მერწმუნეთ, ისევე ვწუხვარ, როგორც თქვენ“ და დროდადრო მხიარულად გაიცინებდა. ყოველი მხრიდან სუ-სუო! — ისმოდა. გლორიამ მოინდომა რაღაც ელონა, მაგრამ ვერაფერიც ვერ მოიფიქრა.

კარგა დიდი დრო დასჭირდათ, ვიდრე გარეთ გამოაღწევდნენ. წვიმას რამდენიმე საათის წინ გადაელო. მისტერ ჰიუს-ევანსმა გლორიას ხელმკლავი გამოსდო და უთხრა, ურიგო არ იქნება, თუ გავიქცევითო, და მართლაც კარგა დიდი მანძილი გაირბინეს, თან ისე ჩქარა, რომ გლორიას მაღალქუსლიანი ფეხ-

საცმელები წამდაუწუმ უცურდებოდა და უნივერსალური მალაზია/ ვულვორტის მოპირდაპირე მხარეს მიწაზე კიდევაც გაიშლართებოდა, მისტერ ჰიუს-ევანსს რომ არ ემარჯვა; მეორედ, როგორც ფეხბურთში ნახევარმცველებს ემართებათ ხოლმე, გლორიას ფეხი დაუსრიალდა და ის იყო მსაჩინოების ქალს, ორფოტუსიანი მინები რომ ჰქონდა ჩასმული და ხელში პატარა ბიჭი აყვავდა აყვანილი, უნდა შესკდომოდა, რომ აქაც მისტერ ჰიუს-ევანსმა გადაარჩინა. ეს სწორედ „ბევანი და ბევანის“ წინ მოხდა, თუმცა გლორიას დიდად არც მიუქცევია ამისთვის ყურადღება, რადგან უკვე მიხვდა, რომ ისინი დალესიოს იტალიური რესტორნისაკენ მიემართებოდნენ, რომელიც ერთ-ერთ ფეშენებელურ რესტორნად ითვლებოდა და რომლის მუდმივ მუშტრებსაც მეტწილად მანქანიანი ხალხი წარმოადგენდა; დიახ, სწორედ ამ რესტორნისაკენ მიდიოდნენ, თუ რასაკვირველია, გლორია არ ცდებოდა, არადა, მაშინ ფეხით მიუყვებოდნენ „კვმზვრლასა“ ან „პორტარდულაისაკენ“.

დალესიოსთან დიდი რიგი იდგა და გლორიამ წამოაყრანტალა, ქალების ტუალეტში წავალო; იქაც რიგი დახვდა, მაგრამ შედარებით უფრო პატარა. ვიდრე რიგი მოუწევდა, გლორიამ თმაზე ხელი გადაისვა, აწეწილი ხომ არა მაქვსო; ისიც აინტერესებდა, როგორ გამოვიყურებო, რადგან რაღაც ახალი ფერ-უმარული ეცხო, ყველა რომ აქებდა. ცოტა ხნის მერე, სარკეში როცა ჩაიხედა, გლორია კმაყოფილი დარჩა, იგი არც ისე ცუდად გამოიყურებოდა, თუმცა ფერ-უმარულს ის საუცხოო მქრქალი ფერი არ მიუცია, რეკლამა რომ ხოტბას ასხამდა; ის კი არადა, გლორიამ გაიფიქრა, ისეთი ფერი ხომ არ დამედო, ცვილის ქანდაკებებს რომ აქვთ კარდიფის პანოპტიკუმშიო, მაგრამ დრო უკვე აღარ იყო ზედმეტი ფერ-უმარული მოეშორებინა; იქნებ თავისთავადაც გადაშორებოდა. შემდეგ გულდაწყვეტით დააჯერდა ჩანთაში თავის საყურეებსა და წარბებისა და წამწამების ახალთახალ საღებავებს, რომელიც ახლა არადა, მერე კი აუცილებლად დასჭირდებოდა. გლორიამ უკანასკნელად შეავლო სარკეში თავის თავს თვალი და სიამოვნებით მოიგონა მამის სიტყვები, ხშირად რომ ეუბნებოდა, ბედნიერად უნდა თვლიდე თავს, ასეთი მომხიბვლელი რომ ხარ, თანაც ბუნებრივად ხვეული და ბუნებრივად ქერა თმა რომ დაგყვამ.

მისტერ ჰიუს-ევანსს უკვე დაეკავებინა ორი კაცისთვის გაწყობილი მაგიდა. გლორიას მიახლოვებისთანავე ხელი დასტაცა ქალის სკამზე დაწყობილ კარტოფილის ხრამუნებით სავსე ბადურას და დიდი სიფრთხილით თავის მხარეზე გადასდო. გლორიამ გაიფიქრა, ნეტა ასე რად დაფოფინებს თავის ბადურას ან ამდენი მაინც რისთვის უნდაო? ეს მართლა საკვირველი იყო. მისტერ ჰიუს-ევანსმა ალბათ ამოიკითხა გლორიას თვალებში ცნობისმოყვარეობა. რადგანაც თქვა:

— ეს კარტოფილის ხრამუნები სალამოს წვეულებაზე უნდა მივიტანო. მე დამავალეს მათი ყიდვა.

— ო, ახლა კი მივხვდი. მართლა, ვინ იქნება სალამოს წვეულებაზე? მახსოვს, როცა დამპატიყეთ, მაშინ კი მითხარით, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს.

— ბევრი მათგანი არც კი გეცოდინებათ. იქ უეჭველად იქნება მისტერ ჰიუს-ფულადი, დახმარების განყოფილებიდან — მეუღლითურთ, მის პარი, — სესხის გადამხდელი განყოფილებიდან და ჩემი ძმა. მგონი, თქვენ შეხვედრი-

ხართ ჩემს ძმას, არა?! კიდევ იქნება ჩემი კბილის ექიმი, მისი მეგობარი, და ჩემი ძმის ორი თუ სამი მეგობარი, დაახლოებით თორმეტი კაცი ვიქნებით.

— ჩინებულია. — თქვა გლორიამ და მღელვარებისაგან ტანში უფრო გააყრუოლა; მერე უცებ გაახსენდა, ვისთანაც იყო და თავშეკავებულად დაელოდა. მაგიდას ისეთნაირად მიუჯდა, მანეკენი ქალები რომ სხდებიან ხოლმე, როცა ცისფერ ეკრანზე სამკაულებს აჩვენებენ, ხოლო როცა ოფიციალური ქალი მათ მაგიდასთან მივიდა, განგებ დიდხანს მოუნდა იმის გადაწყვეტას, რას მიირთმევდა: თუმცა კი, როცა „ბევან და ბევანს“ ჩაუარეს, უკვე იცოდა, რომ სხვადასხვა შემწვარი ხორცისა და ფრანგული წესით წვრილად დაჭრილი შემწვარი კარტოფილის ჭამა ელოდა. მალე გლორია ისე გაერთო სალამოს წეულებზე ფიქრში, თანაც ისეთნაირი სიამოვნებით შეექცეოდა საჭმელს, როდესაც მისტერ ჰიუს-ევანსის ხმა მოესმა, თავი სიზმარ-ცხადში ეგონა.

— რასაკვირველია, ყველაზე ძნელი იმის გადაწყვეტაა თუ რომელია შემოსავალი და რომელი ძირითადი კაპიტალი.

გლორიამ თავი ასწია, თან შეეცადა გაკვირვება არ შეტყობოდა.

— დიახ, რა თქმა უნდა, — დაეთანხმა იგი მისტერ ჰიუს-ევანსს.

— მაგალითად, — განაგრძო მისტერ ჰიუს-ევანსმა და საკმაოდ მოზრდილი თევზის თხა პირიდან გამოიღო, — ავიღოთ ასეთი შემთხვევა, მავანმა და მავანმა იყიდა სახლი, ცოტა ხანს იცხოვრა და მერე გაყიდა. მოგება, რომელიც ამ სახლის გაყიდვით მიიღო, არ ექვემდებარება დაბეგვრას. ეს კაპიტალია და არა შემოსავალი.

— მაშასადამე, ამაზე, გადასახადს არ გადაიხდის, ასე არ არის?!

— ღვთის გულისათვის, მოდით ნუ ავურევთ ერთმანეთში ა განრიგის გადასახადსა და უძრავი ქონების გადასახადს.

— დიახ, დიახ, მეც გამიგია ამაზე, რალაც რიცხობრივ მონაცემებთან მჭონდა საქმე და მეც...

— მაგრამ მათი გადახდა მაინც აუცილებელია. — მერე გლორიასაკენ გადაიხარა და მრავლისმეტყველად დასძინა:

— რასაკვირველია, გარდა ერთი შემთხვევისა, როცა კაცი გადასახადებისგან თავისუფალია.

— დიახ, დიახ.

— თუ ცოტათი მაინც ერკვევით ამ საქმეში, არ გავიძნელებათ იმის გაგება, რომ კაცს უფრო იოლად გამოიჭერ, როცა სახლებით რამდენიმეჯერ ივაჭრებს. თუმცა ამ შემთხვევაშიც დამტკიცებაა საჭირო, რომ სპეკულაციას აქვს ადგილი. თუ პიროვნება სახლებს მხოლოდ იმიტომ ყიდულობს, რომ კაპიტალი დააბანდოს და შემოსავალი მიიღოს, მაშინ, ცხადია, მისი დაჭერა არ იქნება გამართლებული იმის გამო, რომ მან სახლები მოგვიანებით სარფიანად გაყიდა. ასეთ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ სპეკულაციას ჰქონდა ადგილი.

— დიახ, დიახ, ვერ ვიტყვით, რომ სპეკულაციას ჰქონდა ადგილი, — კვერი დაუკრა გლორიამ და სოკო ფეხიანად გადაყლაპა.

— სწორია, — თავი დააქნია კმაყოფილების ნიშნად მისტერ ჰიუს-ევანსმა და აულელვებელი, თუმცა მედიდური კილოთი განაგრძო: — არ დაგავიწყდეთ, რომ კერძო საქმიანი ოპერაციის დროსაც კი შეიძლება დიდი მოგება ნახოს კაცმა. მაგონდება სამი ახალგაზრდა კაცის სასამართლო, რომლებმაც სამხ-

რეთ აფრიკული ბრენდი იყიდეს და გემით ჩვენთან, ინგლისში შემოიტანეს. მერე ბრენდი ფრანგულ კონიაკს შეურიეს და მომგებიანად გაყიდეს. უმაღლეს-მა სასამართლომ კი დაადგინა, ეს სპეკულიაცია იყო, და ყურად არ ილო ის ამბავი, რომ მათ კანონით ნებადართული სავაჭრო ორგანიზაციის დასაწყისს.

— აჰა, მიეხვდი.

— თქვენ აღარასოდეს შეგეშლებათ, თუკი დაიმახსოვრებთ, რომ საშემოსავლო გადასახადი ეს შემოსავალზე გადასახადია.

გლორია სახტად დარჩა, როცა მისტერ ჰიუს-ევანსმა ამ უმარტივესი დასკვნით დაასრულა თავისი საუბარი. გლორიას ხომ თითქმის არ ულაპარაკნია და არც ინტერესი გამოუმეტლავნებია მისტერ ჰიუს-ევანსის საუბრისადმი. მისტერ ჰიუს-ევანსს კი, თუკი არავინ შეეშველებოდა, ცხადია, აღარ შეეძლო საუბრის გაგრძელება და არც მისი სათანადოდ წარმართვა. გლორიას კი რისი თქმა შეეძლო? საოცრად ძნელი იყო რაიმეს მოფიქრება.

მალე მისტერ ჰიუს-ევანსმა კვლავ განაახლა საუბარი და გლორიაც გამხიარულდა. იგი ეკითხებოდა ქალიშვილს მშობლებზე, მეგობრებზე, იმითაც დაინტერესდა, საერთოდ რას აკეთებდა ხოლმე საღამომობით. მისტერ ჰიუს-ევანსი თავისი დიდრონი, მუჭი თაფლისფერი თვალებით მისჩერებოდა და, როცა გლორია კითხვაზე პასუხს გასცემდა, წარბებს ნელ-ნელა მაღლა სწევდა. მერე, ვიდრე კვლავ რაიმეა შეეკითხებოდა, მისტერ ჰიუს-ევანსი ისეთი უაზრო თვალებით იცქირებოდა, ქვედა ყბას ისეთნაირად ჩამოაგდებდა, პირი მაინც მოკუმული რჩებოდა, თავს კი მღვლვარებისაგან ისე აკანტურებდა, იფიქრებდით, გლორიას თითოეული პასუხი მის მიერ ქალიშვილზე თავის გართობის მიზნით ადრევე შეთხზულ ფანტასტიურ თეორიას ემთხვევათ, — ანუ გლორია კომუნისტების ჯამში იყო, ან კიდევ ადამიანის სახით მოვლენილი ჯადოქარი. ამასობაში კი მისტერ ჰიუს-ევანსმა ჩიბუხი დაშალა, გაწმინდა, ხელახლა ააწყო, თუთუნით აავსო და აანთო; მერე ცერა თითი თუთუნს ზემოდან დააქირა და ცოტათი კანიც დაიწვა.

ბოლოს წასვლის დროც დადგა. ქუჩაში გლორია მისტერ ჰიუს-ევანსს მიუბრუნდა და უთხრა:

— უღრმესი მადლობა ასეთი გემრიელი საჭმელებით გამასპინძლები-სათვის: — მაგრამ მისტერ ჰიუს-ევანსი ყურს არ უგდებდა, ღონივრად ისრესდა ნიკაპს, და დროდადრო იმეორებდა:

— პირი მაქვს გასაპარსი. საღამოს წვეულებისთვის როგორმე უნდა მოვასწრო გაპარსვა. ოჰ, ის წყეული საპარსი, ამ დილით რომ ვიხმარე.

ისინი ავტობუსში ჩასხდნენ და კარგა მანძილი გაიარეს. მისტერ ჰიუს-ევანსი არითმეტიკის მოშველიებით უხსნიდა გლორიას, რატომაა არახელსაყრელი ტაქსით მგზავრობა:

— წყეულიმც ვიყო, თუ ოდესმე მანქანაში ფული დავხარჯო მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც სნობებს თავი მოვაწიანო.

მისტერ ჰიუს-ევანსმა კონდუქტორს ხურდა გაუწოდა, რომელიც ორსაეტიანი ტყავის საფულედან ამოიღო. გლორიამ მისდა უნებურად გაიფიქრა, რომ ეს საფულე რატომღაც იმ საწვიმარ ქუდსა და საჩრამუნო კარტოფილით სავსე ბადურას ძალზე უხდებოდა. საფულე რომ დაკეტა და საიმედო ადგილას ჩაიდო, მისტერ ჰიუს-ევანსმა გლორიას უთხრა, ჩემი „ბუნაგი“, სადაც წვერი უნდა ვავიპარსო, ძალიან ახლოს არის მისტერ ჰიუს სახლთან, ვისთანაც საღამოთი

ვართ დაპატივებული და იქვე დასძინა, ნუ ვიჩქარებთ, რადგანაც საჭმელს დრო კიდევ გვაქვსო.

ისინი ავტობუსიდან ჩამოვიდნენ და რამდენიმე წუთს ფეხით მისერიანობდნენ. წვიმას გადაელო და მზე ანათებდა. გლორია კვლავ მზისქიქანს გუნებაზე დადგა და პირველად ვერც კი შეამჩნია, როგორ შეჩერდა უცრად მისტერ ჰიუს-ევანსი შუა ქუჩაში, ტროტუარზე. თითქმის ისეთივე გამომეტყველება აქონდა, როგორც ამ რამდენიმე ხნის წინათ ოდევონის ფოიეში. უცრად, მისტერ ჰიუს-ევანსმა წამოიძახა:

— რა სასაცილოა, შემძლია დავიფიცო, რომ...

— აღარ იტყვი, რა მოხდა?

— მგონი, ვერ ვიხსენებ, რომელი სახლია. გინდაც, ტუტუცად ჩამთვალოთ, ვერ ვიხსენებ და რა ვქნა!

— თქვენს „ბუნაგზე“ ამბობთ, ვერ გამიხსენებია რომელიაო?

— დიახ, ჩემს „ბუნაგზე“. აი, ეს არის. თუმცა არა, შემეშალა, იქ ტელევიზორის ანტენა არ დგას.

— არაფერია, ნომერი ხომ გახსოვთ?

— სწორედაც ვგ არის ჩემი ყველაზე დიდი სიტუტუცე, რომ ნომერი არ ვიცი.

— ოპ, ეს კი წარმოუდგენელია. წერილებს ან კიდევ სხვა რაღაცებს როცა აგზავნით, მაშინ ხომ მაინც გკირდებათ თქვენი სახლის ნომრის ცოდნა? კარგით ერთი, ძალიან კარგადაც იცით. აბა თავს ცოტა ძალა დაატანეთ და გაგახსენდებათ.

— არაფერი არ გამოვა, საჭმე ისაა, რომ არც არასოდეს ვიცოდი ჩემი სახლის ნომერი.

— რა თქვით?

— იცით რა, ჩემს დიასახლისს თავისი ბეჭედი აქვს, რომლითაც საფოსტო ქაღალდს მისამართს არტყამს ხოლმე ზედა კუთხეში და მეც ყოველთვის იმას ვხმარობ. ხოლო როცა წერილს ვიღებ, ერთს დავხედავ ხოლმე, ჩემთვის არის განკუთვნილი თუ არა. აი, სულ ეს არის, რაზეც თავს ვიწუხებ, გამიგეთ?!

მისტერ ჰიუს-ევანსი ნახევარზე მეტად გლორიას ზურგშექცევით ელაპარაკებოდა, როცა მაქმანის ფარდებში ჭვრეტისაგან დაიღლებოდა და თავს ასწევდა ხოლმე. ბოლოს თავი გააქნ-გამოაქნია და წინ გადახრილმა, მუხლის თავებზე ხელებდაბჯენილმა გზა ისე გააგრძელა, თითქოს გადასახტომად მომზადებული მოცურავე იყო, სასტარტო რევოლვერის გასროლას რომ ელოდებოდა. შერე ფოქსტერიერის ფოტოსურათს მიაშტერდა, განზრახ შესაფერის ადგილზე რომ დაედოთ ფანჯრის რაფაზე გამვლელ-გამომვლელის ყურადღების მისაქცევად. უცებ მისტერ ჰიუს-ევანსმა თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი სახლის ნომერს სამიანი ურევია. ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია.

— ჩვეულებრივ, როგორ აგნებთ ხოლმე თქვენს სახლს?

— იცით, გარედან ვცნობ ხოლმე.

ამჯერად მისტერ ჰიუს-ევანსმა რომელიღაც სახლის წინ ვაშენებული პატარა ბაღის კარი შეაღო, სახლს მიუახლოვდა და ფანჯარაზე ჩამოფარებულ ფარდებს შორის ღიად დარჩენილ ადგილში შეიჭვრიტა. დიდხანს არ გაუვლია, რომ ფარდები გადაიწია და ვიღაც მამაკაცი, რომელიც უპიჯაკოდ იყო და ხელ-

ში გაზეთი ეჭირა, მისტერ ჰიუს-ევანსს მიაჩერდა. მამაკაცს ზორბა შესახედაობა და გაბანჯგვლული კისერი ჰქონდა. უმაღლესი მიხვდებოდი, რომ მისი სარტუშო დიდ ძალასა და ღონეს მოითხოვდა. მისტერ ჰიუს-ევანსი ბალიდან გამოვიდა, კარი გამოიკეტა და თქვა:

ერქონებში
ბიზნიუსში

— მგონი, ეს არ უნდა იყოს.

— იქნებ ვინმეს დაუკაცუნოთ და ჰკითხოთ?

— არ შემიძლია, ვაითუ იფიქრონ, ვილაც გამოთავყვანებულიაო.

ბოლოს, როგორც იქნა, მისტერ ჰიუს-ევანსმა კრიალა წითელი ფერის კარით იცნო თავის სახლი. „ოთხმოცდაშვიდი“, — ჩაიჩურჩულა და შესვლისას ისე დააშტერდა ნომერს, თითქოს გონებაში ღრმად უნდა ჩაიბეჭდოსო.

— ახლა მაინც უნდა დავიმახსოვრო, — თქვა მან.

გლორია სასტუმრო ოთახში მოკალათდა, რომელიც წიგნებით იყო გამოტენილი. აქამდე თავის დღეში არ უნახავს ამდენი წიგნი კერძო ბინაში. გლორიამ დახედა წიგნს, მისტერ ჰიუს-ევანსმა მუხლებში რომ ჩაუგდო, ვიდრე წვერის გასაპარსად გავიდოდა. წიგნის სათაური იყო — „საშემოსავლო გადასახადები ბრიტანეთის იმპერიაში“. მისტერ ჰიუს-ევანსს ალბათ ეგონა, რომ გლორიას ის უთუოდ დააინტერესებდა.

წიგნმა კი გლორია სულაც არ დააინტერესა, იგი წამოდგა, რომ ენახა თუ იყო რამე საინტერესო წიგნების კარადაში, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში მოხუცმა ქალმა შემოიხედა. ისინი დაახლოებით ნახევარი წუთის განმავლობაში მისჩერებოდნენ ერთმანეთს და გლორიას კვლავ შეეფაკლა სახე. მოხუცი ქალის ზედა ტუჩი შვეულ, ღრმა ლარებს დაესერა და ქალიშვილს რაღაც უნდობლად შეჰყურებდა. მერე ქშიტინით რაღაც უკმაყოფილოდ ჩაიდუღუნა და ოთახიდან გავიდა. გლორიას დაეკარგა წიგნების დათვალიერების სურვილი, მაგრამ თავი დაიმშვიდა, სალამოს წვეულების გულისთვის ყველაფერს უნდა გავუძლოო.

როდესაც მისტერ ჰიუს-ევანსი დაბრუნდა, გლორიამ კისერზე დიდი წითელი ლაქა შეამჩნია.

— ოჰ, ეს სამართებლის ფირმები, — ბრაზიანად თქვა მან, მაგრამ როცა გლორიამ ჰკითხა, ხელის დაბანა თუ შეიძლებაო, თავაზიანად დაუქნია თავი და კიბემდისაც კი მიჰყვა იმის საჩვენებლად, სად ასულიყო და რომელი კარი გამოეღო.

ფერ-უმარილი თურმე შვენოდა, დახატულ წარბებსა და წამწამებზე საღებავი ისე მკვეთრად აჩნდა, როგორც ტემპერა ატყვია კედლებს და საყურეები ახლა მართლა მოუხდებოდა.

ნეტა ეს თეთრი კოფთა და მოკლე ყანგისფერი ქვედაკაბა, მისი ერთადერთი საგარეო ტანსაცმელი თითქმის ყველა წვეულებაზე, თუ იყო შესაფერი ამ სალამოსთვის? როცა გლორია გამოვიდა, მოხუცი ქალი იქვე, უფრო დიდხანს დუღუნებდა უკმაყოფილების ნიშნად და თან მალი-მალ ქშიტინებდა. კიბეზე ჩასვლისას მოხუცი ქალის ქშიტინი და დუღუნე კვლავ ისევ ესმოდა გლორიას. მისტერ ჰიუს-ევანსი გლორიას დანახვაზე ფეხზე წამოხტა და უთხრა:

— თქვენ გადასარევად გამოიყურებით, გლორია.

„მაშ. ტყუილუბრალოდ არ გავრჯილვარ“, გაიფიქრა გლორიამ.

მერე კი, როცა ქუჩაში გამოვიდნენ, მოხდა ის, რასაც გლორია ნაწილობ-

რივ კიდევ მოელოდა, მაგრამ სულ მთლად ასე არა. წვეულებაზე მისვლა ჯერ ძალიან ადრე იყო; მისტერ ჰიუს-ევანსმა გლორია პარკში შეაყვანა და ცოტა ხნით მერხზე ჩამოსხდნენ. მალე მან სიჩუმე დაარღვია და გლორიას ეთხრა:

— თქვენ არ იცით, გლორია, რას ნიშნავს, დღეს რომ ჩემთან ხართ? ამაზე გლორიამ მხოლოდ თავი დაუქნია, სხვა რა უნდა ექნა!

— ჩემი აზრით, თქვენ ყველაზე უფრო მომხიბლავი გოგონა ხართ, ვისთანაც ოდესმე გამივლია.

— დიდი მადლობა, მისტერ ჰიუს-ევანს.

— რა მოხდება, ვალდო რომ დამიძახოთ? იცით, როგორ მინდა.

— ო, არა, არა, ვალდოს ნამდვილად ვერ დაგიძახებთ.

— რატომ ვერ დამიძახებთ?

— მე... მე არა მგონია რომ იმდენად ახლოს გიცნობდეთ.

მისტერ ჰიუს-ევანსი გაოგნებული მიაშტერდა ქალიშვილს თავისი დიდრონი, მუქი თაფლისფერი თვალებით, იმ თვალებით, გლორია რომ ხშირად მოხიბლულა დაწესებულებაში და ახლა მისი აზრით, სინაზით აღვსილიყვნენ. მერე სევდიანი ხმით ჩაილაპარაკა:

— ო, ნეტავ ჩემს გულში ჩაგახედათ, გლორია, რა გრძნობითა ვარ თქვენდამი გამსჭვალული და რაოდენ ძვირფასი ხართ ჩემთვის; სასაცილოა, არა?! როცა პირველად ვხახეთ ვერც ვიფიქრებდი, თუ ასეთ სულიერ ალტყინებას გამოიწვევდით და ამგვარი გრძნობით აღმავსებდით. — უეცრად იგი გლორიასკენ გადაიხარა, მაგრამ ბოლო წუთს ისევ დაიხია.

— თქვენ რომ იოტის ოდენადაც კი განიცდიდეთ იმას, რასაც მე, ვერც კი წარმოიდგენთ, რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამას ჩემთვის.

ასეთნაირი ლაპარაკი სრულიად უცხო იყო გლორიასათვის და ცოტათი კიდევაც ააფორიაქა. ამ ტუტუტური საუბრის ნაცვლად მისტერ ჰიუს-ევანსს კოცნა რომ მოენდომებინა გლორია ალბათ არ გაუძალიანდებოდა, თუმცაღა პარკში კი იყვნენ. მან იცოდა ასეთ დროს როგორ მოქცეულიყო. მაგრამ მისტერ ჰიუს-ევანსის მოქმედებამ სულელურ და უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა გლორია. უეცრად ქალიშვილი წამოდგა და თქვა:

— ვფიქრობ, დროა დავიძრათ.

— ცოტა ხანს კიდევ ვიყოთ რა, ძალიან გთხოვთ. და ნურც გამინაწყენდებით.

— მერწმუნეთ, არაფერიც არ მწყენია.

მისტერ ჰიუს-ევანსი წამოდგა, გლორიას წინ დაუდგა და განაგრძო:

— რას არ მივცემდი ამქვეყნად, ოღონდ კი ვიცოდე, რომ ჩემზე ცუდი არ გიფიქრიათ, თვითონ ვიცი რა საძაგელი პიროვნებაცა ვარ.

— კარგით ერთი, ნუ ლაპარაკობთ ასე სულელურად.

უკვე ძალიან ნაგვიანევად სცადა მისტერ ჰიუს-ევანსმა გლორიასათვის ეკოცნა, თან საალერსო სიტყვაც წასჩურჩულა:

— ო, ჩემო გვრიტო!

გლორიამ სახე აარიდა და მტკიცედ მიუგო:

— მე არა ვარ თქვენი გვრიტი.

ამ ამბის მერე ისე მივიდნენ სახლამდე, სადაც წვეულება მართებოდა, არც ერთს ხმა არ ამოუღია. გლორია ფიქრობდა, რომ ასეთი ტუტეცუო ლაპარაკი სულაც არ იყო გასაკვირი იმ კაცისაგან, ვისაც საწვიმარი ქუდი ეხურა.

როდესაც მისტერ ჰიუს-ევანსის ძმამ გლორია დაინახა, მისი თვალი ვერ მოსწყვიტეს ერთმანეთს. ქალიშვილს ერთი-ორჯერ წაწახსნი შეაქცა იგი, როცა სამსახურში ძმასთან მოვიდა, და სწორედ მის გამო არ უთხრა უარი მისტერ ჰიუს-ევანსს შეხვედრაზე.

თავიდან გლორიას გადაწყვეტილი ჰქონდა, მხოლოდ ოთახის რომელიმე კუთხიდან დამტკბარიყო მისტერ ჰიუს-ევანსის ძმის ცქერით, ვიდრე მისტერ ჰიუს-ევანსი მისთვის ჩვეულ ლაპარაკს გაუბამდა, მაგრამ იმის მერე, რაც მოხდა, გლორიამ მიატოვა მისტერ ჰიუს-ევანსი, ვისაც კარტოფილის ხრამუნას პაკეტები უნდა გაეხსნა და თასებზე დაეწყო, ძმამ კი (სასაცილო იყო, რომ იმასაც მისტერ ჰიუს-ევანსი ერჭვა) ხელი მოჰკიდა გლორიას, მეორე ოთახისკენ წაიყვანა, დივანზე დასვა და საუბარი საინტერესო ამბებზე გაუბა.



ქვემოთ მითითებული

მინიატურები



გერმანულიდან

თარგმნა სულხან ჯორჯანელი

მკვ.

ქნებ მეც ის ობობა ვარ, აგერ თავდაღმა რომ ისე ეშვება ხიდან, თითქოს ბოგირს მოუკვებო. იქნებ მეცა ვქსოვ აბლაბუდის თხელ ბადეს. ზოგიერთი ჩემი თანამედროვე შეჩერდება ამ ნახელავის წინ და განცვიფრდება; ზოგთათვის კი ეს ნახელავი იქნება მხოლოდ მოხაწყენი შეფერხება მათი ცხოვრისა და წამწამებისთვის.

ზოგჯერ თუ არ დავდუმდი, ვერ გავიგებ, რა უნდა და რას ელის ჩემგან ცხოვრება.

ბედნიერი ვარ, როცა შემძლია შევამჩნიო ჩემი ცხოვრების უშვენიერესი წუთები, სანამ ეს წუთები არსებობენ და არ გავიგო მათ შესახებ მოგონებებისა და შედარებების წყალობით.

ჩემი ბავშვობის ქვეყანა ცხრამთას იქით როდია, იგი ჩემს არსებაშია, არვის წარუტაცია იგი ჩემთვის, უბრალოდ, ძნელია მისკენ გზის გაგნება.

ნაციონალიზმი. ოდესმე ჩვენი შთამომავლები მხრებს აიჩეჩავენ ამ სიტყვის გაგონებაზე, ისევე როგორც დღეს ვიჩეჩავთ ხოლმე მხრებს, როდესაც ლაპარაკობენ სისხლის აღებაზე ან გვაროვნულ შუღლზე.

არასოდეს არაფერს არ უნდა გამოვიკიდო, ყველაფერი თავისით მოვა ჩემთან, თუ ადამიანურად მოვიქცევი.

მგლებთან ცხოვრობ — მგელივით იყმუფლე, მაგრამ ისიც არ დაივიწყო, შესაძლოა ერთ მშვენიერ დღეს მგლები მიხვდნენ მგლის ყალბ ყმუილს და შეგჭამონ.

თუკი საკუთარი თავის ერთგული ვრჩები, შემძლია არ ვიფიქრო ჩემს მტრებზე: ისინი ისე მცვივიან, როგორც სისხლით გამძღარი წურბელები.

სრული სიმშვიდის მოპოვება ხის ძირას თავის მოტყუებაა! ჩემ ფეხქვეშ იზრდება ბალახი, მიწაც იცვლება, და ყოველ ჩახუნთქვაზე მე ვიხუნთქავ ბაერს, რომელიც ჭერ არასოდეს ყოფილა ჩემს ფილტვებში.

იმდენ ხანს ვუყურებ ხოლმე საგნებს, სანამ არ დამელაპარაკებიან.

რაც ხანში შევდივარ, მით უფრო ვიწროვდება ჩემი წარმოდგენა ბედნიერებაზე. ახლა ერთადღა დამრჩა: წერა, „მინდა წერა“ კი არა, „უნდა ვწერო“. სხვა არჩევანი არა მაქვს.

მინდორი სავსეა ყვავილებით, ძროხები გამოდიან მინდორში და იქ მხოლოდ საკვებს კო-
ულობენ.

ოთხმოცდასამი წლის მოხუცის სახეს სახე აღარ ეთქმის: იგი ცხოვრების ლანდშაფტის
რელიეფური რუკაა.



მე ვეკითხები თავს: თუკი ადამიანები ცნობენ ლიტერატურული გმირების რეალობას
ჩვენს ცხოვრებაში და ზოგჯერ მოსაუბრეებადაც ირჩევენ მათ, მაშინ რაღადა უარყოფენ
სულების არსებობას?

გამოდის, რომ სულების დაშავება ქალაქზე არც ისე პატარა როლს ასრულებს ცხოვ-
რებაში, და ლიტერატურაც — რა მისტიკურადაც არ უნდა ყლერდეს ეს სიტყვები — თავისე-
ბური შელოცვაა სულების.

მე ვიხედები ირგვლივ, რათა ახალი სახლისათვის ადგილი შევარჩიო, ხომ ნათქვამია, ახალი
სახლი ახალი სიკაბუკეაო. მაგრამ ისიც ხომ ნათქვამია: შეხედე შენს თავს, ჩაიხედე სულში,
ხომ არ მოგედო სარეველა.

რაც არ უნდა ფარავდნენ ღრუბლები მიწას, მფრინავი მაინც ხედავს მზეს, მე მფრინავი
არა ვარ, მაგრამ მინდა ჩემი აზრები მიწაზე კი არ ფუსფუსებდნენ, არამედ ცაში ლივლივებდნენ.

მარტო ვარ, მარტო — მღერის სიჩუმე.

ვუყურებ მამებს და ვამბობ: „ცხოვრება თავდება“.

ვუყურებ შვილებს და ვამბობ: „ცხოვრება იწყება“.

ვიხედები საკუთარ სულში და ვერ ვგრძნობ ვერც დასასრულს და ვერც დასაწყისს.

რამდენი ადამიანიც არის, იმდენი ცხოვრების მიზანია, მაგრამ ჩემი მიზანი განსაკუთრე-
ბულია და მას ჩემს მეტი ვერაფერს მიაღწევს. ვცდილობ გავდო ამ მიზნისაკენ კარგ ჩვევათა
ხიდები.

ახე ტრიალებს ცხოვრების ჩარხი. ადამიანმა გადაქრა ქუჩა — ეს შეიძლება იყოს ამბის
დასაწყისიც და დასასრულიც.

ვიდრე იარაღად, კბილებისა და ბრტყალების ნაცვლად, რაკეტები და ბომბები გვაქვს
და ვიდრე ერთი შტკაველი მიწისთვის ისე ვებრძვით ერთმანეთს, როგორც ნადირები ერთი
ნაჭერი ხორცისათვის, — უფლება არა გვაქვს ვიწოდებოდეთ „ცივილიზებულ ადამიანებად“.

რა თქმა უნდა, ცივილიზაციას აქვს დადებითი მხარეები, მაგრამ ადამიანს არ შესწევს
მისი მართვის უნარი, თუმცა თვითვე შექმნა ეს ცივილიზაცია. ქვის ცულით გლავენ თუ
ატომური ბომბით — სულ ერთია, ორივე ბარბაროსობაა. მედიცინა და ბიოლოგია იღვწიან
ადამიანის საკეთილდღეოდ. მაგრამ ვერ აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებებს, რამეთუ ათასო-
ბით ადამიანი კვდება ცივილიზაციის ავადმყოფობისა და ქალაქის ქუჩების თავბრუდამხვევი
ხისწრაფისაგან.

რა უნდა გავაკეთო? — ვკითხულობ მე.

ის, რაც სასარგებლოა, — მპასუხობენ.

რა არის სასარგებლო? — ვკითხულობ მე.

ის, რაც სასარგებლოა საზოგადოებისათვის, — მპასუხობენ.


არა, სასარგებლოა ის, რისი უნარიც შემწევს, მაგრამ ისე კარგად და ხაფუძვლიანად უნდა
გავაკეთო, რომ იგი აუცილებელი გახდეს საზოგადოებისათვის, — ვპასუხობ მე.

როცა პატარა ვიყავი, ცხოველები ძმებად მიმაჩნდნენ. მათი უენობა არ მაცბუნებდა,
რადგან მეც უენო ვიყავი ბავშვებთან.

მაგრამ იზრდებოდა ჩემი ცნობიერება და მასთან ერთად იზრდებოდა მანძილიც ჩემსა და

ცხოველებს შორის. წლები რომ მომემატა და გადავლახე მედიდურობა, — საკუთარი ცხო-
ბიერებით ნაკვები, — მე კვლავ მოვიპოვე ის რაც მაკავშირებდა ცხოველებთან.

ჩქარი მატარებლით ისე სწრაფად ჩავუქროლე სადგურებს, რომ ვერც ერთი წარწერის
წაკითხვა ვერ მოვასწარი და თითქმის მთელ მანძილზე წარმოადგენა არ მქონდა რად ვიყავი.
ფრთხილად, ცხოვრებასაც ასე არ ჩაუქროლო, გავიფიქრე მე.



შუალამისას მოვარდა ქარი. ხან ერთი წუთით წყნარდებოდა, სახურავებზე ფაჩუნობდა,
ხან ისევ გაცხარებით ეხლებოდა ხეებს. ღამე რაღაცას ჩურჩულებდა. მივაუურადე, მაგრამ
ვერაფერი გავიგე. იმ ღამეს არ ძალმიძდა გამეგო, რა ხურდა ეუწყებინა ჩემთვის სტიქიას.

დედამიწა არა მარტო ბრუნავს, არამედ ყოველი შემობრუნებისას ის იკავებს ახალ ადგილს
სამყაროს სივრცეში, ყოველდღიურად იცვლება ვარსკვლავების განლაგებაც. მე კი, იპონელებ-
ბის მიერ გამოყვანილი ოქროს თევზივითა ვარ, ბილაბანდის კუდივით მივათრევ ჩემს ძველ
აზრებს.

წიგნები

ჩემს ოთახში თაროებზე ბევრი წიგნია. ზოგიერთი წიგნი არაფერს მეუბნება და მეც ვი-
ვიწყებ მათ. ზოგიერთ წიგნში კი აქა-იქ ვპოულობ ჭეშმარიტებას ან შესატყვისობას ჩემს აზ-
რებთან. ზოგჯერ ხდება, რომ მხოლოდ ერთი რომელიმე გვერდის შინაარსი ან ერთი-ორი
ზუსტად მიგნებული ნათქვამი მომწონს. ერთი წლის შემდეგ კვლავ ვფურცლავ ამ წიგნებს,
რათა ერთხელ კიდევ გადავიკითხო ის, რაც მომეწონა.

არის ისეთი წიგნებიც, რომლებიც პირველ ხანებში უცხოებით დგანან ჩემს ოთახში.
მერე კი უცებ მახსენებენ თავიანთ არსებობას. იქნებ სულიერი სიბნელოვანი იგრძნეს ჩემს მი-
მართ?

მეც ვიღებ ამ წიგნებს და ერთი სულისმოთქმით ვკითხულობ, რამდენიმე კვირის შემდეგ
კიდევ ვკითხულობ. ბევრი წიგნი კარგა დიდი ხნისაა, შორეული წარსულიდან არიან მოსულ-
ნი და მაინც მაახალგაზრდავებენ, მშველიან ჩემი დროის უკეთ გაგებაში. წიგნების ამ გამა-
ახალგაზრდავებელ ძალას პოეზია ჰქვია.

რხევა

ეძღვნება ლილია გერასიმოვას

ზოგჯერ ხდება, რომ ცოტა ხანს მშვიდად ცხოვრობ, თითქმის მცენარეული სიცოცხლით,
მაგრამ სრულყოფილი ადამიანისათვის დამახასიათებელი მოუდუნებელი ყურადღებით და სწო-
რედ ამ დროს არაჩვეულებრივი მოვლენების მოწმეც ხდები.

განთიადისას ვიდექი და ვუუურებდი ახლახან გაფურჩქვნილი ზამბახის ბუჩქს, უცებ მისი
წაწვეტებული წარმონაქმნიდან, რომელიც აქამდე კვირტი იყო, ფოთოლი გამოსხლტა. კვირ-
ტი ერთ წამში გადაიქცა ყვავილად. ის ფოთოლი თითქოსდა სთავაზობდა მწერებს მოედანსა
და დასაჯდომ ბაქანს. გაიღო ნექტარის ფარდულის კარი, მისი ელვარე ფირნიში იუწყებოდა:
გთავაზობთ თაფლს — დამტვერვის სანაცვლოდ.

რამ აიძულა კვირტები გაშლილიყვნენ; იქნებ სუსტმა ნივთმა, კოლონების ფრთების
მიერ ათრთოლებულმა პაერმა, ან იქნებ სხვა, ძლივს შესამჩნევმა რადიოტალღებისმაგვარმა
რხევებმა. ჩვენ ხომ ჭერ კიდევ ისე ცოტა ვიცით სხვადასხვა რხევებისა და ტალღების შესახებ
სამყაროში, არადა, სწორედ ისინი გვკარნახობენ სათქმელსა და საქციელსაც.

მათემატიკა და სასწაული

ტბის ნაპირას ფიქვი და წიფელი ისე ახლო-ახლო იზრდებოდნენ, რომ ტოტებით ქერქს აც-
ლიდნენ ერთმანეთს. ბოლოს და ბოლოს ორივე ხის წვენი, ეტყობა, შეეთვისა ერთმანეთს და
ხეებიც ერთმანეთს შეეზარდნენ იმ ადგილას, სადაც ქერქი მქონდათ გადაცლილი.

ეს ფიქვნიფელი თუ წიფელფიჭვი რომ ვნახეთ, ბუნების სასწაულად მივჩნით პირველად, მაგრამ ხშირად გაკვირვებას ვერ მოასწრებ, რომ მეორედ და მესამედ და წაწყდები ასეთ უცნაურობას ამრიგად, ორი წლის მანძილზე სხვადასხვა ტბის პირას ითი ერთმანეთს შეზრდილი ხე მოვიძიეთ, მართალია, მათი დანახვა აღარ გავკვირვებია, სამაგიეროდ, მივაკვლიეთ მათემატიკურ კანონს სასწაული მუდამ თან ახლავს ციფრ ერთს: საკმარისია შევუერთდეს ციფრ ორს, რომ იმწამსვე ჩვეულებრივ ყოველდღიურობად გადაიქცევა ხოლმე.

რატომ მახსენებენ შოშიები ბებიას

მე გავიგონე მათი სტვენა: ხუთი შოშია იქდა სატელევიზიო ანტენაზე და ზამთრის სამშობლოდან ხანგრძლივი ფრენის შემდეგ ოდნავ შელახულები ჩანდნენ.

კიდევ ერთხელ მოთოვა და თოვლი თითქმის ერთი კვირა იდო. შოშიები ტყეში მიფრინავდნენ, მაგრამ საკმარისი იყო ჩვენი ძალი მადიანად გამომძლარიყო, მაშინვე აქ გაჩნდებოდნენ და საგულდაგულოდ ასუფთავებდნენ მის ქამს. ზოგჯერ ნახადილევს გულადად დააპირებდნენ სტვენას, მაგრამ იმწამსვე ფრთებჩამოყრილი იბუზებოდნენ, თითქოს რცხვენოდათ, რა დროს მხიარულებათ.

ადამიანის აზრები სინათლის სიჩქარეზე სწრაფია. ისინი არა მარტო შორხა და მალლა მიფრინავენ, არამედ სიღრმეში, წარსულში და მომავალშიც. შოშიების საქციელმა ბებიაჩემი გამახსენა. იგი ორმოცი წლის წინ გარდაიცვალა. ხანდახან ბებია თავის ჩახლეჩილ ხმაზე წამოიწყებდა სიმღერას, რომელიც ბავშვებს ძალიან მოგვწონდა:

რა ჰქვია მეფე რინგაგას ასულს?
მშვენიერი როტრაუტი.
ნეტაე რაა აკეთებს,
თუ არც კერვა სურს და არც ქსოვა?
ნადირობს და თევზაობს...

სიმღერის სიტყვები ეყუთვნოდა ედუარდ მიორიყეს¹, მაგრამ მაშინ ჩვენ ეს ჭერ არ ვიცოდით.

დიღხანს ვეხვეწებოდით ხოლმე ბებიას, კიდევ ემღერა „ჩემი სიმღერის შერე აუცილებლად რაღაც უბედურება ხდება“, — გვარწმუნებდა ის, ერთხელ, ბებიას სიმღერის შემდეგ, დეიღამ ნიშნობის ოქროს ბეჭედი დაკარგა, მეორედ როცა იმღერა, სამი კვირის თავზე ძროხას მუცელი მოწყდა, ოცი წლის ოქტომბერში თავის დაბადების დღეზე რომ იმღერა, ერთი წლის შემდეგ, იანვარში, პაპა გარდაიცვალა. მაგრამ აბა რომელი ბებია ეტყვის უარს რაიმეზე შვილიშვილებს ერთ საღამოსაც თავისი დაბადების წმ წლის თავზე, შევძელით დაგვეყოლიებინა ბებია. აღბათ ჭიქა გროგმაც იმოქმედა და მან მთლად აქარბლებულმა, სიმღერა წამოიწყო მშვენიერ როტრაუტზე:

რას მიყურებ ასე ვნებიანად?
თუ გაქვს გული — კოცნა გაიმეტე.

ჩვენი შპიცო, როგორც კი სიმღერას ან მანდოლინის ხმას გაიგონებდა, თავისებურად აპყუებოდა ხოლმე. მის არხებაში კიდევ კოცხლობდა, მისი წინაპრების — ტურების ინსტინქტი. დაბადების დღეზე ძაღლმა მოიკალათა ძელურაზე, როგორც სასიმღეროდ ყველაზე მეტად გაროსადეგ „ბორცვზე“.

ბებია მღეროდა, შპიცო კი უმუოდა და დაბტოდა ძელურაზე. საუბედუროდ, ჭა არ იყო დახურული და ძაღლის სიმღერა წყლის ღვაფუნით დასრულდა.

როცა ჩემი და გავიდა გარეთ, კიდან წყლის ამოსაღებად, ჭაში შპიცო აღმოაჩინა, სტუმრები ეზოში გაცვივდნენ. მამაკაცებმა ჭაში კიბე ჩაუშვეს. ერთი ძია ჩავიდა ჭაში და იჭიდან მთლად გალუმპული შპიცო ამოიყვანა.

ოთახში იქდა ბებია და სლუკუნებდა:
ხომ გეუბნებოდით...

იმ დღიდან ბებიას სასიმღეროდ ვეღარ ვითანხმებდით. ცრურწმენამ მას უკანასკნელი სიმღერაც წაართვა.

¹ ედუარდ მიორიყე, (1804-1875) — გამოჩენილი გერმანელი პოეტი, ლირიკოსი.



რონალდ ღუნკანი

როცა მკვდრებს გველვნიძებ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა ზურაბნ ბემაზაშვილმა

რა მგონია სხვაზე ხარბი კაცი ვიყო, მაგრამ ერთი აზრი იქნებ სადმე რამე მუქთად ჩავიგდო-მეთქი ხელში. თანაც ეს საკუთარი მაროფათით თუ გავჩარბე, ხომ მით უკეთესი! რასაც გინდა იმას გავაკეთებ — კვრინჩხს, მაყვალს მოვკრეფ, სახეს ჩამოვიკაწრავ, ტანისამოსს ეკლებს ჩამოვახვევ, ჭინჭრით კანჭებს დავისუსხავ, ოღონდ ფულს ნუ გადამახდევინებთ. მუქთა იყოს და თუნდაც ბერდანკის ტყვია! ნეტარებისაგან სულ ელეთმელეთი მომდის, როცა მუჭა მოწეული მაყვლითა მაქვს სავსე. შავი წვენი უონავს თითებშუა და ტუჩ-ნიკაპიც მისი წვენისაგანა მაქვს შეღებილი. მახსოვს ჯერ კიდევ პატარა ბიჭობაში დავიწყე სოკოზე სიარული. ახლა კაცობაში შევედი, ის ოვსილა აღარა მაქვს, მაგრამ სოკოს მაინც ვერ ვანებებ თავს. იმიტომ რომ მუქთაა. ჩემს ძმაკაცებს სულ ფეხები დააწყდებათ ხოლმე, როცა ჩემთან ერთად მოდიან, მე კი დავდივარ აღმა-დაღმა იმ იმედით, რომ აი, სადაცაა ნე-შომპალაში ჩამალულ კიდევ ერთ სოკოს წავაწყდები სადმე. მერე თვალწინ დამიდგება სოკოს კერძი, სურნელი ცხვირში შემიღიტინებს და ლამის ნერწყვა დამახრჩოს. ხოლო რაც მოგრჩება, აიღე და გაყიდე, მე შენ გეტყვი, მუშტარს ვერ იშოვი!

აი ასეა ჩემი საქმე. სხვასაცა აქვს თავისი ხუმტური, დღეს ჰობის რომ ეძახიან, რაშიც უამრავ დროს ფლანგავენ. ისე კი, კაცი რომ დაუფიქრდეს, ბოლოს და ბოლოს მუქთად არაფერი მოდის. ჩემი ცოლი სულ იმას გაიძახის, არც ისე იაფია ეგ შენი ერთი მუჭა სოკო და მაყვალით, დახეული შარვალ-ხალათი და სამრეცხაოს ხარჯები უფრო ძვირი გვიჯდებაო, მაგრამ ცოლებმა რა იციან!

დადგება გაზაფხული და ხარბი თვალთ გავსცქერი სანაპიროს გასწვრივ აღმართულ კორნუოლის დაკბილულ კლდეებს. ერთი სული მაქვს, იქ როდის ავალ. ჩქარა კლდეებში თოლიები დაიბუღებენ, შავად დაწინწკლულ მოლურჯო კვერცხებს დადებენ... მე რომ მკითხოთ, თოლიის კვერცხზე გემრიელი ამქვეყნად სხვა არაფერია. ქათმის კვერცხი კი, ალია-ბალია, ქათმის კვერცხია.

ასე და ამგვარად, ჩემი ცოლის ლოცვა-კურთხევითა და რაც მთავარია,

ნებართვით, ერთ მშვენიერ დღეს ავიღე მაგარი კალათა, ძველი სატუცავები ამოვიცივი და კორნუოლის კლდეებისაკენ გავსწიე.

აქაური ბილიკები საკუთარი ხუთი თითივით ვიცი, ისე რომ, სულ ცოტა ხანში უკვე ციცაბო კლდეზე მივფოფხავდი. ასეთ რამეებში ფრთხილი და წინდახედული კაცი ვარ, კარგად მომეხსენება, რომ დარიან ამინდში, როცა კლდე მშრალია, ადამიანს ხიფათი არ ელის. თოლიები ისრებივით დაჰქროდნენ ზეცაში. ხან გვერდით ჩამიქროლებდნენ შხუილით, ხან ჰაერში შეჩერდებოდნენ ლივლივით. დროდადრო ქვასავით დაეშვებოდნენ, მერე კი შურდულივით ისევ ცაში აიჭრებოდნენ.

თვალს ვერ ვაცილებდი ფრიალო კლდეს. თითქოს ნამის ჭიად ვიქეცი, ციხე-კოშკის ტენიან ლოდებში დადებულ ბინისაკენ რომ მიცოცავს გულდაგულ...

მწვერვალზე ავედი, ფეხზე წამოვდექი და ირგვლივ მიმოვიხედე. კლდის თავი დაგდებულ მოედანივით იყო. თვალს აქეთ-იქით ვაციცებდი, რომ იმ ნაინანატრ, დაწინწკლულ კვერცხებისათვის მომეკრა თვალი. კოვზი ნაცარში ჩამივარდა... არადა, რა იმედით მოვდიოდი! ჩემი ვარაუდით, სულ ცოტა, ოცი-ოცდაათი ცალი მაინც უნდა მომეგროვებინა. აქეთ-იქით ბობლიალის მერე სამად-სამი ცალი კი შემრჩა ხელში. ამ სამი კვერცხით შინ დაბრუნება არ გინდა?! საუზმეზე ორი მეგობარი დავპატიყე. ისე რომ სულ ექვსნი ვიქნებით. თანაც ცოლს შევპირდი, ისეთ *piece de resistance*¹ მოგართმევ, სულ თითებს ჩაიკვნეტ-მეთქი. ის იყო იმ ფრიალოდან ჩამოცოცება დავაპირე, რომ უცებ თვალი მოვკარი, ასე ოცდაათიოდე მეტრით მალლა, მთავარ მწვერვალს უამრავი თოლია დასტრიალებდა. ნამდვილად აქ დაბრძანდება ერთი ჩემი მეგობარი, ყოველთვის კვერცხით სავსე კალათით რომ ბრუნდება. თანაც დუჟინს ოთხმოცდაათ პენსად ყიდის! აჰა, მუქთა და იორლა! კლდოვანი მწვერვალი ასასვლელად იოლი ჩანდა, იმ ციცაბოზე ძნელი მაინც არ იყო, მე რომ ამოვედი. კალათის ყურს კბილები ჩავავლე და კლდეს მივადექი. ათ წუთში მწვერვალზე გავჩნდი. კალათა თვალის დახამხამებაში გავავსე კვერცხებით. სიგარეტი გავაბოლე და წინ გაშლილ სივრცეს სიამოვნებით გადავაავლე თვალი. გულში თანაც ის მილიტინებდა, რას გაიხარებს ჩემი ცოლი, ამდენ კვერცხს რომ ნახავს-მეთქი. ნეტავი ზამთრამდე თუ შეინახება... სულ ცოტა სამი შილინგი მაინც ეღირება. ნაღდად ბედნიერი კაცი ვიყავი. კალათა ფრთხილად ავიღე და ჩასასვლელს დავუწყე ძებნა. უცებ ელდა მეცა, — რამ ამომიყვანა ამ დაკიდულ კლდეზე, რანაირად მოვახერხე აქ ამოფოფხება?! მე ახლა ერთი მეტრის სიგანის ქიმზე ვიდექი, ქვევით ხახადაღებული, საშინელი უფსკრული ჩანდა. აქ რამ ამომიყვანა?! ამ უფსკრულზე კაცი კი არა, ჩიტის ვერ გადმოფრინდება... ფრიალო კლდის ძირი უზარმაზარი ლოდებით იყო ჩახერგილი, ზღვის ტალღები ზედ ზათქითა და ღრიალით ეხეთქებოდნენ. საცალფეხო ბილიკი ქიმს იქით უფრო ვიწროვდებოდა და მტკაველიან ფიცარივით გადებულებოდა ნაპრალზე ხიდად. აქეთ-იქით კი თვალჩაუწვდენელ უფსკრულს დაელო პირი. კაცი რომ შეტორტმანებულებოდა, ვერ წაეპოტინებოდა...

შიშმა ერთიანად ამიტანა, პირი გამიშრა და გულსაც წამომაზიდა. ეს რა

¹ ძალიან გემრიელი, ნუგბარი კერძი (ფრანგ.).

დღეში ჩავვარდი... კვერცხების ძებნით გატაცებულმა მთვარეულივით ისეთ-ნაირად გამოვიარე ეს ბეწვის ხიდი, რომ ფეხქვეშ მიწა ვერც ვიგრძენი. ახლა კი საქმე ვერ იყო კარგად. შიშმა ისე დამრია ხელი, რომ ვაუკაცობამ მიღალატა. ამ საბედისწერო ბილიკის ფართო ადგილასაც ველარ ვემგრებოდნენ. თავს გოჯა-გოჯა მივცოცდი კლდის პირთან და ძირს ჩავიხედე. ფეხქვეშ კლდის ფართოდ დაელო ხახა, ორივე მხარეს სალი კლდე ჩაჰყვებოდა. ბეწვის ხიდი ხუთი მეტრის სიგრძისა თუ იქნებოდა. აქეთ რომ მოვდიოდი, რატომ მაშინ არ გავუწიე ამას ანგარიში? უკან გაბრუნება არ გინდა? მაგრამ მეტი რა გზა მქონდა? აზრზე მოსასვლელად და ძალ-ღონის მოსაკრებად მეორე სიგარეტს მოვუკიდე. ახლა ისღა დამრჩენია, იქითა მხარეს აგერ იმ წერტილს გავუშტერო თვალი და ისე გადავირბინო ეს ვიწრო ხიდი... ვითომ იქ თოლიის ბუდე შევიგულე. თვალის დახამხამებაში ყველაფერი მორჩება. შიშისაგან თმა ისევ ყალყზე მედგა რომ დავიფიცე — ასეთ რამეს მეორედ აღარ ჩავიდენ-მეთქი. მეორე ის წარმოვიდგინე, რას გაიხარებდა ჩემი ცოლი ამდენი კვერცხის დანახვაზე, რამდენს ვიციინებდით ამ ჩემს ფათერაკებზე...

წელი ძლივს ავითრიე, სიგარეტი გადავაგდე, გაღმა თვალი ერთ წერტილს გავუშტერე და ბეწვის ხიდზე გავიქეცი. ქვემოთ ზღვის ტალღები ისევ თავგამეტებით ეხეთქებოდნენ ჩამორეცხილ კლდოვან ნაპირს, თოლიები ცის ლაქვარდში დაჰქროდნენ. ერთ წერტილს თვალშიშტერებული გავრბოდი... ორიოდ წამიც და სამშვიდობოს გავალ. უცებ ცხვირწინ თოლიამ ჩამიქროლა, ჩემდა უნებურად თვალი მისკენ გამექცა, შევქანდი და...

გონს რომ მოვედი, ზღვის პირას ვიჯექი. ველარ გავარკვიე, რა ხანმა გაიარა, არც ის ვიცი, გონება დავკარგე თუ ძილქუში დამაწვა... ან იქნებ სულაც ზღვის ნაპირი შეიცვალა? რაც არ ვიცი, არ ვიცი. კალათაც იქვე გვერდით მედგა. ყურში მკლავი გავუყარე და სახლის გზას დავადექი. თვალწინ სულ ჩემი ცოლი მედგა. მაგიდაზე ლურჯი სუფრა გაუშლია, გარშემო სტუმრები შემოსხდომიან და მე მელიან. თან მასლაათობენ, ედებიან ამ მთისას, იმ მთისას...

სახლს მივუახლოვდი, კალათა ზურგს უკან ამოვიფარე და კარი შევალე. ოთახში ძეხორციელი არ დამხვდა, არც სტუმარი, არც მასპინძელი და არც გაწყობილი მაგიდა. მეორე სართულზე ავედი. ცოლი ლოგინზე წამოწოლილიყო და გულამოსკვნილი ქვითინებდა. რა მოხდა-მეთქი, ქალო? მას ცრემლები ისე აღრჩობდა, რომ პასუხის გაცემაც კი ვერ მოახერხა, კედლისაკენ გადაბრუნდა და ზურგი შემაქცია. მხარზე ფრთხილად მოვკიდე ხელი. მან რაღაც წამოიკივლა, ფეთიანივით წამოხტა, კიბეზე კისრისტეხით დაეშვა და სახლიდან გავარდა. ახლალა შევამჩნიე რომ უკვე შებინდებულიყო. ცოლს უკან გავედევნე, მაგრამ მის გზა-კვალს ველარ მივაგენი. ისევ შინ დავბრუნდი და დაღლილ-დაქანცული, თავგზააბნეული რბილ ტახტზე მივწექი.

ჩქარა ჩამეძინა, მაგრამ ის აღარ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა, ერთი თუ ათი დღე. ან საიდან უნდა მცოდნოდა. ოღონდ როცა გამომეღვიძა, მკაფიოდ გავიგონე, ჩვენს სახლთან ისევ ძველებურად მორაკრავებდა პატარა რუ. სასტუმრო ოთახიდან გარკვევით მომესმა რამოდენიმე ადამიანის ხმა და ბუხარში გაღვივებული მუგუზლების ტკაცატკუცი. მართალი გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, ამ შუა მაისში რამ დაანთებინათ-მეთქი ბუხარი. უფრო კარგად მივაყურადე, ჩემი დის ხმა ვიცანი, იგი რაღაცას ეუბნებოდა სტუმრებს და

თან ყავას ასხამდა. ჩემი ცოლიც იქა ბრძანდებოდა, მერე კიდევ რომი კაცის ხმა შემომესმა, ერთი ჩვენი მეზობელი უნდა ყოფილიყო, მერე/კი ჩვენი ოჯახის მეგობარი. ისინი საღამოობით ხშირად შემოგვივლიდნენ ხოლმე. ცოლი აღარა ტიროდა, რადიოში სევდიან მელოდიას გადმოსცემდნენ წყნარად, უხმაუროდ გავაღე კარი და სასტუმრო ოთახში შევედი. მეზობელი ჩემს სავარძელში მოკალათებულიყო. ზედაც არავინ შემომხედა, არც მომესალმნენ და არც ყავაზე მიმიპატიუეს. დინჯად განაგრძეს საუბარი, რადიო კი უკრავდა.

ჩემს ლამაზ ცოლს საქსოვიდან თავი არც აუღია. განა ისეთი რა დავაშავე, რომ ძალადაც არ ჩამაგდეს?! ცოლს მივუახლოვდი და თოლიის კვერცხებით საესე კალათა მუხლებზე დავუდგი. მან ქსოვას თავი დაანება, წყნარად ამომხედა და უცებ წამოიკივლა:

— მომაშორე! ახლავე წაილე აქედან!

იგი წივილ-კივილით გავარდა ოთახიდან. ჩემი და ფეხდაფეხ მიჰყვა. მეგობარმა მეზობელს გადაულაპარაკა:

— საცოდავი ქალი, ვერაფრით ვერ დაუმშვიდდა ნერვები. აი, უკვე მეორედ ელანდება თავისი ქმარი, ვითომ დაბრუნდა და კვერცხებით საესე კალათა მოუტანა... სადმე წასვლა და კარგი მკურნალობა სჭირდება.

მე ისევ ჩემს ოთახში დაებრუნდი. მაშ ისე გამოდის, მოვმკვდარვარ! მერედა, როდისღა გაგველვიძება ჩვენ, სამუდამოდ მიძინებულებს?

ურანს ბრილკარტერი

მჭრელს საფინსი



გერმანულიდან

თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა

არგონავტები

ტრაგედია ოთხ მოქმედებად

მოქმედი პირნი

აიეტი — კოლხეთის მეფე
მედეა — მისი ქალიშვილი
აბსირტუსი — აიეტის ვაჟი
გორა — მედეას ძიძა
პერიტა — ძიძიშვილი, მედეას ტოლ-ამხანაგი
იაზონი
მილო — იაზონის მეგობარი
მედეას მოახლე გოგონები
არგონავტები
კოლხები

პირველი მოქმედება

კოლხეთი. უდაბური ტყით დაფარული მთიანი გარეშო. სიღრმეში ნახევრადჩამოქცეული კოშკიდან სინათლე ბეუტავს. ცოტა მოშორებით ზღვა მოჩანს. უკუნი ღამეა.

აბსირტუსი (სცენის სიღრმეში):

ჩემკენ იჩქარე მამაჩემო, იქით გავსწიოთ,
სინათლის სხივი გზას როგორმე გაგვაგნებინებს!
მე გაგიკვალავ კლდე-ღრეებში უვალ ადგილებს!
(ხმალშემართული აბსირტუსი სცენაზე შემოდის,
ხმალს მარჯვედ იქნევს და ბუჩქნარს ჩეხავს).
გზა დამიცალეთ უნიათო ვიგინდარებო!

ეს ჩემი ხმალი არ მიმტყუნებს, იცოდე, მამავ!
(გამოჩნდება აიეტი. მეფეს თავზე მუზარადი
ახურავს და შავი მოსასხამი აცვია).



აბსირტუსი: სწორი ნაბიჯი გადავდგით, რომ აქ მოვეჭურჭეულნი
აგერ იმ კოშკში უნდა ჰყავდეთ გამომწყვდებულნი
სინათლის სხივი მის საკანში ხომ არ კიაფობს?
ალბათ იგონებს ჯადო სიტყვებს გაუთავებლივ,
ყოველდღიურად სასმელების მზადებაშია,
ღამღამობით კი დაწანწალებს, დაბორიალებს,
ირგვლივ არავის ეყურება მისი გოდება.

(ამ სიტყვების გაგონებაზე აიეტი შეცბება).

ღიახ, მოთქვამსო, ასე მითხრა იმ მწყემსმა ბიჭმა,
და თან სიბრაზით დააყოლა: მეფის ასული

იმ კოშკიდან გულსაკლავად იმზირებაო!

რას ფიქრობ, ნეტავ, რა გზას უნდა დავადგეთ ახლა?
(ჩაფიქრებული აიეტი ბოლთასა სცემს).

ხმას რად არ იღებ? მითხარ ერთი, რა გემართება?
დაღვრემილობა, მაგ სახეზე რომ გაწერია,
გადამთიელთა ხრიკებია. მაგ გულში, მამავ,
შიშმა ხომ არ დაისადგურა?

აიეტი: რა სთქვი. ჭაბუკო?

აბსირტუსი: რაგვარად გითხრა, შემოსეულთ დახვედრა გემართებს!

რაკი არავის გეშინია, იღონე რამე!

ჩვენ რა, ხელები არ გვაბია? ძალა არ გვერჩის?

ხმალი და ფარი, ანდა შუბი არ გვეშოვება?

სულ ერთი მუჭა უცხოელნი რას დაგვაკლებენ,
ათჯერ მეტიც რომ ყოფილიყვნენ, გავუმკლავდებით!

აბა გაბედონ, უკუვაგდოთ, მოვიგერიოთ,

მერე კუდიტ ქვა ვასროლინოთ, საზღვრამდე ვდიოთ,

თავიანთ შავბნელ ქვეყანაში განვდევენოთ ისევ,

სადაც არც მთები, არც ჭალები, არც მინდვრებია.

მთვარე არ ნათობს, მზე არ ბრწყინავს ცის კამარაზე.

ყოველ ცისმარ დღეს ღობე-ყორეს რომ ედებთან,

მოცლილობის ეამს სასეირნოდ და გასართობად

ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ზღვა აურჩევიათ.

სულ ერთიანად დავატყვევებ, არვის დავინდობ,

აბჯრის ხმარება უქმად როდი ვისწავლებია,

ტყუილად როდი მოგიცია ელვარე ხმალი,

მელერი ჩაფხუტი, შუბნაჯახი, დაშნა და ჩელთი.

ოღონდ გვიბრძანე, იარაღში ჩავსხდებით წამსვე,

ღმერთებმაც მოგვცენ მხნეობა და გამბედაობა!

მედეას რაც სურს, ის აკეთოს, ჩვენ კი მომხდურ მტრის

მახვილს მახვილი შევაგებოთ დაუყოვნებლივ!

აიეტი: შე ჭიაყელავ!

აბსირტუსი: მაინც ხომ შენი შვილი მქვია!



- როცა ფრიქსუსი წუთისოფელს გამოასალმე...
- ანიმტი: ხმა ჩაიკმინდე!
- აბსირტუსი: ყველაფერი გასაგებია,
რატომ მოადგნენ უცხოელნი კოლხეთის მიწას,
რათა აქედან გაიტაცონ ოქროს საწმისი
და მისი მოკვლა გვაზღვევინონ, შური იძიონ.
- ანიმტი: იყუჩე, ბალო!
- აბსირტუსი: რატომ შეკრთი, რამ შეგაშინა?
მცველები სწრაფად დააყენე გამოქვაბულში,
რათა დაიცვან საგანძური — ოქროს საწმისი.
- ანიმტი (მოსასხამს გადაიწევეს და ხმაღზე ხელს იტაცებს):
შემომაკვდები, რაებს როშავ, შე უგუნურო?
- აბსირტუსი: რა გემართება?
- ანიმტი: ხმა გაკმინდე და ბუჩქებს შეხე!
- აბსირტუსი: განა რა ხდება?
- ანიმტი: ასე მგონია, ბუჩქნარმა რომ გაიშრიალა,
შიგ ვიღაცა ზის და ყურს გვიგდებს გაფაციცებით.
- აბსირტუსი (ბუჩქნარს გარს შემოუვლის და ხეს ხელს შემოჰკრავს):
ეპეი, ვინ ხარ! ჭაჭანება არ ისმის არვის!
(აიეტი კლდის ქიმისკენ გაქანდება).
- აბსირტუსი (უკან ბრუნდება):
არავინ არ ჩანს, მამაჩემო, არავინ ხმაურობს!
- ანიმტი (უცბად მივარდება, ხელს წაავლებს და დააჯანჯლარებს):
შენ თუ ნამდვილად სიცოცხლე არ მოგბეზრებია,
კრინტს ნულარ დასძრავ!
- აბსირტუსი: ვითომ რაო, რას მემართლები?
- ანიმტი: რაც მე გითხარი, ჩაიმარხე მაგ გულში მარად,
დამალობანას თამაში ხომ არა გგონია!
როგორც ამ მიწის, ამ მიდამოს ერთადერთ მფლობელს,
ამ სიჩუმეში მე არავინ შემეფეთება.
- აბსირტუსი: კოშკიდან სხივი რომ ციმციმებს, გულარხეინად
იქა ზის შენი ქალიშვილი და ლექსებსა თხზავს.
- ანიმტი: აბა შესძახე, გადმოგვხედოს!
- აბსირტუსი: ახლავე, მამავ! (კოშკს მიადგება).
გარეთ გამოდი, დაგვენახვე, ჭამის ყარიბო,
მარტოეული, ძილგამკრთალი რომ ზიხარ კოშკში,
შენი ღვიძლი ძმა აბსირტუსი გეხმიანება!
(ცოტა ხანს შეყოვნდება). ჩამიჩუმი არ ისმის, მამავ!
- ანიმტი: ერთიც შესძახე!
- აბსირტუსი (კარზე დააბრაბუნებს):
ეპეი, მეფე გელოდება, გვეჩვენე!
- მედეას ხმა (კოშკიდან): ვაი!
- აბსირტუსი: მამა!
- ანიმტი: რა მოხდა?
- აბსირტუსი (უკან გამობრუნდება): ხმა გაიგონე?



ვაიო, ასე შემომესმა, მგონი, ის იყო!

ანიეტი: აბა, მაშ სხვა ვინ იქნებოდა! ყური დამიგდევ
 მე დავუძახებ, ის კი ალბათ ჩემ ხმას შეიცნობს!
 (კოშკისკენ გააბიჯებს). მედეა!

მედეა (კოშკიდან): ვინ მეძახის?

ანიეტი: მამა და შენი მზრძანებელი
 ახლავე ჩვენკენ გამოსწიე!

მედეა: ჩემგან რა გინდა?

ანიეტი: ახლავე მეთქი, რომ გუუბნები!

მედეა: არა სჯობს, თავი დამანებო?

ანიეტი: უფრო მეტად ნუ გამაცოფებ!
 ამ წუთს აქ გაჩნდი!

მედეა: კარგი, წამოვალ!
 (იიეტი მოსასხამს გაისწორებს და კლდის ქიმთან დადგება).

აბსირტუსი: რა გულსაკლავად ლაპარაკობს ჩემი დაიკო,
 რა დაემართა? მებრალეობა საწყალობელი,
 შენც სიბრაზისგან სიტყვას არ სძრავ, დადუმებულხარ:
 უმწეო გოგო!
 (იიეტს ხელს შეახებს).
 წაგთვლიმა, თუ რა გემართება?

ანიეტი: (უცებ ფეხზე წამოიჭრება):
 წყეულიმც იყავთ, უგუნურო ჩემო ქალ-ვაჟო!
 მტერმა კი არა, თქვენ სიშმაგემ მომიღო ბოლო!

აბსირტუსი: გაჩუმდი და ყური მიუგდე! მომეყურა, თუ
 კარმა მართლა გაიჭრიალა? არა, ის მოდის,
 მოაბიჯებს, გვიახლოვდება!
 (მედეას არშიაზე ოქროსფრადშემოვლებული შვინდისფერი
 კაბა აცვია, შავი პირბადე კოჭებს უფარავს, შუბლზე
 ოქროსავე საბნევი უბრჭყვიალებს, კოშკიდან გამოდის და ხელში ჩი-
 რალდანი უჭირავს).

მედეა: რას მიბრძანებ, ჩემო ბატონო?

აბსირტუსი: ნუთუ ნამდვილად ჩემი დაა?
 რარიგ შეცვლილა, გაცრეცილა, ფერი წასვლია!

ანიეტი (აბსირტუსს მიმართავს): ახლა მაინც ჩაიგდე ენა!
 (მერე მედეას მიუბრუნდება):
 ახლოს მოიწი, უფრო ახლოს, ოღონდაც მანამ
 ეგ ჩირალდანი მოაშორე აქაურობას,
 რადგან თვალეები დამიბნელა, ველარას ვხედავ!

მედეა (ჩირალდანს მიწაზე დგამს):
 სინათლე გაქრა და უკუნი გამეფდა ირგვლივ!

ანიეტი: ახლა გამოტყდი, მიპასუხე, ვინ მოგცა ნება,
 რომ მამისეულ სასახლიდან გაქცეულიყავ,
 ამ უკაცრიელ გარემოში დაგედო ბინა,
 არად ჩაგეგდო, უარგეყო მამის ჩიჩინი
 და ხელალებით აპყოლოდი შენს ნება-სურვილს?



მედეა: მეკითხები თუ?

ანიბტი: გეკითხები!

მედეა: მაშ, ნება მომეც,
რაკი სათქმელი დამიგროვდა, ვილაპარაკო!

ანიბტი: თქვი, რაც გენებოს!

მედეა: ჯერ მომისმინე, რახან გინდა, სიმართლე გითხრა,
მერე, თუ ძალგიძს, გამიბრაზდი!

ო, რომ შემეძლოს დამუნჯება,

სამუდამოდ დავდუმდებოდი!

მეზიზღება შენი სასახლე,

შენ რომ გიყურებ, სულ ერთიანად მაცახცახებს.

ის უცხოელი როცა მოჰკალი

და კეთილ სტუმარს ღვთივ ბოძებული

განძი წაართვი,

შენი სასახლე სიბოროტის ალმა მოიცვა,

იწვის, იწვის და ველარავის ვერ ჩაუქრია,

რაც წყაროები გაგაჩნია,

უამრავი მდინარე, თუ ზღვა,

ყველაფერი ილონე, მაგრამ

ეგ ხანძარი აქამომდე არ ჩაგიქრია.

უგუნურად მოპოვებული სიმდიდრე სიკვდილის მომასწავებელია,

მისი ისარი დაბურულ ტყისკენ მიექანება,

აი, ეს მოსდევს სიხარბეს და გაუმადრობას.

მან შენი შვილიც არ დაინდო,

შენი საკუთარი სისხლი და ხორცი,

ტყეში გულარხეინად რომ ნადირობდა

და ხეების ძირში მარწყვს ეძებდა.

ბოროტო სულო, ეგ რა ჩაიდინე?

შენც ხანძარში ხარ გახვეული

და ხანძრის ალი სასახლის სვეტებს მოსდებია,

რომელიც ლაწალუწით ინგრევა

და მალე ჩვენც შიგ ჩაგვიტანს.

ანიბტი: საიდან იცი, უბედურების მაუწყებელო?

მედეა: იმ საშინელ წამს,

როცა ის ცოდვა-ბრალი დატრიალდა,

უცებ თვალთ ამეხილა

და ენით აუწერელი ის საზარელი

შურისმაძიებელი სული დავლანდე:

ობობისდარი,

გულშემზარავი, შემადრწუნებელი,

მობობლავდა ზარდამცემად,

მბრწყინავ ქსელში გაბმული,

ისე იოლად იზრდებოდა, ორმაგდებოდა,

ათასმაგდებოდა და საზღვრებს იფართოებდა.

შენ რომ გგონია, თავისუფალი ვარო, ტყუევლები,



ტყვეობაში ხარ,
 ძებორციელს კი არა, თვით ჯმერთს არ ძალუძს,
 მოგეხმაროს, რათა ამ დავიდარაბიდან დაიძვრინო თავი.
 ვაი შენ, ვაი ჩვენი ბრალი!

ანიმტი: სიზმარში ნანახს ჩემზე სინამდვილედ ასალებ?

შენ შეიძლება, შიშისგან გული გისკდება,
 მე რაღას მერჩი, შე უგუნურო!

მედეა: შენა გგონია, არ ვეცადე? მაგრამ ამაოდ.

ათასნაირად დავაკვირდი
 ღამეულ ცაზე მიმობნეულ
 გაკაშკაშებულ ვარსკვლავებს
 და ათასჯერვე
 შიშისაგან თვალთ დამიბნელდა.
 წიგნივით გადაშლილ უკუნ ცაზე,
 ათას ადგილას, აღმასისებური ასოებით გამოყვანილი
 სიკვდილი და შურისძიება
 ამოვიკითხე.

ო, ნულარ მკითხავ, ვარსკვლავთ კრებულს, ცაზე გაბნეულს,
 იღუმალეზას და ბუნებას მიჩუმათებულს,
 ნურც ღვთის ტაძარში გაგონილ უფლის ნაუბარს:
 მდინარეებში ცთომილთ სრბოლას დააკვირდიო,
 საიდანაცო განსაცდელი აირეკლება,
 ის ჩადენილი, რაიც უკვე განიცადეო,
 და ღმერთის სიტყვა, დამარხული მარადის გულში,
 ორაკულისგან მალე უკან დაგიბრუნდება,
 ბევრად მართალი, ვინემ შენი ჯადო-ქმნილება,
 რომელიც იყო, ამჟამადაც არის, ცხადია,
 და მომავალშიც რომ იქნება აუცილებლად.

აბსირტუსი: ხომ ხედავ, მამა ხმას არ იღებს, გატრუნულია,

მითხარ, უგუნოდ რად იქცევი, ძვირფასო დაო,
 სად გაჭრა შენი სიხალისე, გამბედაობა,
 ასე მგონია, როს გიყურებ, დაბერდი-მეთქი.

მედეა: წლები გადის და წლოვანება მხრებზე გვაწვება,
 ვინც ღროს გაუსწრებს, ის მიაღწევს საწადელ მიზანს;

აბსირტუსი: შენ კარგად იცი, რაც მოგვიხდა ამ მოკლე ღროში,
 იმ უცხოელზე მოგახსენებ,

მედეა: უცხოელზეო?

ანიმტი: კმარა, შეჩერდით!

ხომ აგიკრძალე მასლაათი, ენაჭარტალავ!
 ჩვენ კი, მედეავ, საზრიანად მოვისაუბროთ,
 გუშინდელი დღე ჩავაბაროთ წარსულს მთლიანად,
 ამიერიდან დღევანდელზე ვილონოთ მხოლოდ.
 შორი ქვეყნიდან რომ გვესტუმრნენ უცხოელებ,
 ფრიქსუსის სისხლის ასალებად, შენ კარგად იცი.



მოკლულის განძი მოითხოვეს — ღვთის ბაირადი,
უზენაესის ბოძებული — ოქროს საწმისი.

მედეა: (ხმამალლა წამოიძახებს):

ვაიმე ჩვენს თავს! რად მომიტხოვბ, რაც უკვე
(კოშკისკენ წასვლას დააპირებს).

ანიმტი: (ცდილობს შეაჩეროს):

დარჩი, მედეა, არ წახვიდე, შე უგუნურო!

მედეა: სამაგიეროს გადახდისთვის შურისმგებელნი

გვესტუმრნენ უკვე, გვიანაა აწ ყველაფერი!

ანიმტი: რად გამირბიხარ, დახმარება მჭირდება შენი,
გსურს, მამაშენის დანთხეული სისხლი იხილო?
ჩემო მედეავ, ყველა წმინდანს გაფიცებ ერთად,
მიტხარი რამე! რჩევა მომეც! გადამარჩინე!
მტრების გულისად ნუ დამტოვებ ბედის ამარა!
არგონავტები შეირჩიეს სახელად, რადგან
ხომალდი არგო დააქანებთ ზღვაზე მალიად.
ვინც საბერძნეთში გულადი და ფხიანი იყო,
ყველანი ერთად შეკრებილან, რათა მამაშენს
სამაგიერო მიუზღონ და ჯავრი იყარონ.

ამიტომ გთხოვე დახმარება, ჩემო გოგონი!

მედეა: ჩემსას ვეცდები, თუმცა შენს თავს შენც დაეხმარე:

გამოიტანე, დაუბრუნე ნაძარცვ-ნაგლეჯი
და შერიგება ამჯობინე შულლსა და მტრობას!

ანიმტი: ძვირფასი განძი ხომ მაშინვე გავინაწილეთ;

ვინ გეგულება, მოპოვებულს უკან აძლევდეს?
რადგან იოლი გზით ნაშოვნნი და შეძენილი,
უკან იოლად არასოდეს არ გაიცემა.

აბა, ვის უნდა დავუბრუნო ოქროს საწმისი,
პერონტოს განძი, ანდა დროშა უზენაესის?

ო, არასოდეს! არასოდეს, რაკი არ ვიცი,
ჩემი და სხვისი მერე უკვე რით გავარჩიო?

რაც მედიდურად და დიდგულად მოიქცევიან,
მით ნაადრევად გაითხრიან თავიანთ საფლავს.

რადგანაც ღმერთი გვმფარველობს და გვიცავს ყოველთვის,
იქნებ სხვა რჩევა უფრო სჯობდეს, ჩემო გოგონი.

მედეა: რჩევა რომ მოგცე, რჩევის თავი ხომ უნდა მქონდეს?

ანიმტი: მაშ, ეგრე იყოს, გაუზრდელო, არ გეხვეწები!

გსურს და იხილე მამის თავი გაგორებული!

სასახლისაკენ გავეშუროთ ჩემო ვაჟკაცო,

რათა ეს თავი მომხდურთა ხმლით არ მოიკვეთოს.

აჩქარდი-მეთქი, ერთადერთო, ჩემო იმედო!

მედეა: შეჩერდი, მამავ! -

ანიმტი: გსურს, დამეხმარო?

მედეა: ჯერ მომისმინე!

უნდა ვეცადო, უზენაესს თხოვნა შევკადრო,



და მერე ვნახოთ, რას გვიბრძანებს, რით გვანუგეშებს,
 თუ დამეთანხმა, მაშინ მხარში ამოგიდგები,
 შეგეშველები სასიკვდილო ისრის ჭედვაში,
 მოგეხმარები მომხდური მტრის დამარცხებაში,
 რომ ამ ბუჩქნარში მიაყოლო ერთიმეორეს,
 რადგან ვერასდროს მიხვდებიან, თუ ამ ადგილას
 მოულოდნელად მებრძოლები შეეყრებოდნენ.

- ასე მოხდება! შენ შესთხოვე, მე ყურს დავუგდებ!
- ანიმტი: ოი, მედეავ, სათაყვანო ჩემო ასულო!
- მედეა: ჯერ მოიცადე, წინასწარ ნუ აღფრთოვანდები,
 აუჩქარებლად დაველოდოთ, რა გველის ბოლოს.
 მე ყველაფრისთვის მზად გახლავარ, ოღონდ აღმითქვი,
 როცა საწადელს მიაღწევ და შენი ქვეყანა
 ამოისუნთქავს თავისუფლად, არ დაივიწყო
 დანაპირები, ნურც შენ და ნურც სხვა ნუ ეცდება
 ჩემს დაბრუნებას ნურასოდეს ველურ მიწაზე.
- ანიმტი: მაგას რად ამბობ?
- მედეა: აღმითქვი-მეთქი!
- ანიმტი: მასე იყოს!
- მედეა: კეთილი და პატიოსანი. რაკი ეგრეა,
 შემოაბიჯე ქალიშვილთან და გამოგყვები!
- ანიმტი: შინისაკენ?
- მედეა: არა, აქვე მოვილაპარაკოთ.
- ანიმტი (აბსირტუსს შიმართავს): შევიდეთ, ბიჭო!
 (ორივენი კოშკში შედიან).
- მედეა: აი, მიაბიჯებენ ორივენი თვალდავსებულნი!
 ერთი ვიღაც უგუნური არსება ადამიანად მეჩვენება;
 ტაღლებს ხან გაჰყვება, ხან გამოჰყვება,
 ხან ჩაყურყუმელავდება, ხან ამოყურყუმელავდება
 და მწვანე ლაქას შეამჩნევს თუ არა,
 დამყაყებულნი ჭაობისა და შლამისგან,
 დამპალი, გამწვანებული რაღაც-რუღაცებისგან
 რაღაცას აკოწიწებს და გაჰყვირის:
 ქვეყანა! თან შიგ ჭყუმბალაობს,
 გამოსვლას აპირებს, მაგრამ თანდათანობით იძირება
 და სადღაც იკარგება!
 ოი, საბრალო კაცო! ოი, საბრალო მამავ!
 თვალწინ მიდგებიან მოლუშული, სევდის აღმძვრელი,
 ცუდის მომასწავებელი საზარელი სახეები,
 ისეთნაირად შეფუთულები, რომ
 ჭირს მათი იერის გამოცნობა!
 ან მეჩვენეთ და ან მთლიანად გაუჩინარდით
 და დამანებეთ უშფოთველობა, საოცნებო სიმშვიდე!
 ოი, საბრალო კაცო! ოი, საბრალო მამავ!
 მაგრამ ძალიან მინდა

და ის ნდომა მკარნახობს,
 რათა როგორმე გადავარჩინო, დაღუპვისგან ვიხსნა,
 ან მასთან ერთად მეც ჩავიძირო!
 ჯადოქრობავ, დედაჩემმა რომ შემასწავლა ეგ ხელფეხებზე
 შენ ახალისებ ცხოვრების მდინარებას,
 თესლს ცხოვრებისას მალულად
 რომ მიმოაბნევ ჯოჯოხეთის ნაპრალებში,
 როგორც მსურს, ისე შემეწიე!
 მაშ, შევეუდგეთ საქმეს!
 (კოშკის შესასვლელთან მდგომ მოახლე გოგოს მიმართავს);
 ჰეი, მანდ რომელი ხარ, აბა მარდად
 გამოქვაბულის საკურთხეველი მომიმზადე!
 სულელები უნდა გამოვიხმო,
 საზარელი ღამის შავბნელი სულელები,
 რჩევის, დახმარების, ძლიერებისა და ძალაუფლების მაუწყებელნი.
 (მედუა კოშკში შედის. ცოტა ხნის შემდეგ სცენაზე შემოიჭრება იაზონი).



იაზონი: ვილაცის ხმები შემომესმა, აქ ვინმე არის?
 მილო (სცენის სიღრმიდან ისმის ხმა): რომელი ხარ!
 იაზონი: ჩემკენ გამოსწი!
 მილო (ხმაზე იცნობს): იაზონ!
 იაზონი: აქეთ, მილო, აქეთკენ-მეთქი!
 მილო: (სულშეგუბებული შემოვარდება):
 იცი, რას გეტყვი, მეგობარო, ალბათ გერჩივნა,
 რომ ჩემს მაგივრად მეგზურად სხვა ამოგერჩია!
 თავში იმდენი აზრი მოგდის, საოცარია,
 დაპროწიალებ მაგ ფეხებით, კი არ დადიხარ!
 ამდენი აღარ შემიძლია, როგორ მოვიქცე,
 ფეხები კიდევ გაუძლებდა, რაც არის, არის,
 ამ ოხერ თავს კი აღარ ძალუძს მეტის ატანა.
 შენ ღმერთმა ხელი მოგიმართოს, და მე კი ყელში
 ამომივიდა! სხვა მოძებნე, რომ გეუბნები!
 (იქვე ჩამოჯდება).
 იაზონი: მილო, სინათლეს რომ ვეძებდით, მივაგნეთ კიდევ!
 მილო: შუქი, გიყვარდეს, კარგად ვჩანვართ, ისე გვანათებს,
 ვინმეს თავდასხმა რომ უნდოდეს, გაუადვილებს.
 იაზონი: ხომ არაფრისა გეშინია? გამოტყდი, მილო!
 მილო (წამოდგება):
 გეშინიაო? იცი, რას გეტყვი, ჩემო კარგო,
 როცა რაიმეს თქმას აპირებ, სანამ იტყოდე,
 აწონ-დაწონე ერთხელ კიდევ, მერე ამოთქვი!
 (იაზონი ბოდიშის ნიშნად მილოს ხელს გაუწვდის)
 ჩვენ რომ გავრბივართ, ეგ სიტყვებიც თან მოგვყვებიან,
 ეგ არაფერი, აქ რას ეძებ, რა დაგკარგვია?
 იაზონი: რახან კითხულობ, გიპასუხებ ასეთნაირად:

ვეძებ მეგობრებს, თანაზიართ, უკლებლივ ყველას,
 ვინც ჩემი ბედის ვარსკვლავს ენდო, გვერდით დამიდგა
 და იაზონის საქმეები თვისად იწამა, ერქონენში
 სანამ მიწაზე ფეხი დადგა, გაწამდა ხალხი ნიბში
 უსაქმელობით, უსმელობით, უსაქმურობით,
 ამ ქვეყანაში მოსახლეთა უსულგულობით,
 გზის გამგნებელი წინამძღოლი არა ჩანს კაცი,
 გლახკაცისთვისაც არ მომიკრავს ჯერ თვალი არსად
 ბელღებში ახლავ მარცვლეულს რომ იმარაგებდეს,
 ანდა საქონელს აძოვებდეს მთაში და ველად.
 მე რა, გულ-ხელი დავიკრიფო და არხეინად
 თვალი ვადევნო მეგობრების ტანჯვა-წვალებას?
 ღმერთმანი, მართლა უნდა ჰყავდეთ ბელადად ვინმე,
 საჭმელ-სასმელიც ექნებათ და ჩემეულ სისხლით
 სულ ერთიანად შევუცვლი მათ, რადგან...

გილო: რა გულკეთილი და მოწყალე ხარ!
 რაკი მეგობრის კეთილ რჩევას ყურად არ იღებ
 და ამ მხარეში სამუდამო ყოფნას აპირებ!

იაზონი: რომ გავეშურო სამშობლოსკენ, რა დამრჩენია?
 მამა მე არ მყავს, ბიძაჩემი მართავს ქვეყანას,
 მოშურნე მეფე. თვითმპყრობელი, გვირგვინოსანი,
 ტახტის მემკვიდრედ და მოცილედ რაკი მე მსახავს,
 აქ დიდხანს მაინც ვერ დავრჩები, აყრა მომიწევს,
 თვით არ მიბრძანა ბიძაჩემმა თვალთმაქცმა, ფლიდმა,
 კარგი იქნება, იმ შორეულ ნახევარკუნძულს
 თუ მიადგები, რომელიც ჩვენგან ძალიან შორს
 მდებარეობსო და ღმერთების ძვირფასი განძი
 ინახებაო. როგორც ამბობენ, ღმერთების შვილს,
 სახელად ფრიქსუსს ის განძი იქ ჩაუტანია.
 ამ ველურებმა აქ დაღვარეს ფრიქსუსის სისხლი,
 მერე გაძარცვეს და მე მიტომ გამოვემგზავრე,
 რომ მათ საძაგელ ჩვეულებას გავექცე უკან?
 ნაძრახ სიცოცხლეს არ ჯობია სასახელო
 სიკვდილი მუდამ? მის აუგის მთქმელს მხოლოდ ჩემთან
 ექნება საქმე! დანარჩენთ მე ავიყოლიებ;
 სამწუხაროა, ეგ სურვილი რომ გაგჩენია!

გილო: დიახ, მე მაინც წასვლის მომხრე ვიქნები მუდამ,
 კი მომწონს შენი საქციელი, ნამოქმედარი,
 რითაც აღმანთე, შეგიყვარე, მომაჯადოვე.

იაზონი: კეთილო მილო!

გილო: არა, ეგრე ნუ მეუბნები,
 დროულ მამაკა! უფრო მეტი სიბრძნე აქვს მუდამ.
 ღვთის მიტოვეაუღ ქვეყანაში რომ გამოგვიძებს,
 სადაც არ უნდა ყოფილიყო, სხვაგან არ ჯობდა?
 ვთქვათ, რომელიმე მამაკაცი საფრთხეში მოხვდა,



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

მაშინვე ხმალი უნდა იძრო და გულადობა
გამოიჩინო. თუმც ამ ნესტიან ქვეყანაში
ხმალსა და რაინდს ერთიანად ედება ეანგი.
შორიდან ისმის ზღვის ტალღების მძლავრი ხმაური
და ნაძვის ტოტებს ატორტმანებს მძვინვარე ქარი,
ქვეყანას ნისლი დასწოლია, მზე შიგ ვერ ატანს,
ზუზუნნი გააქვთ უზარმაზარ გამოქვაბულებს,
ადამიანის ჭაჭანება არ არის ირგვლივ.
არც ნაკვალევი და არც სადმე დადგმული ქოხი,
მიშტერებიხარ სუყველაფერს გულშემოყრილი,
შეგეშინდება უსათუოდ საკუთარ თავის.
ჩემს ბავშვობაში შიშატანილს ბევრჯერ მსმენია,
როცა ჰყვებოდნენ შიშზე — დიდი თვალები აქვსო,
ახლაღა მივხვდი, მოჩვენებებს რომ ვუმზერ თვალით,
გამხმარი ხეც კი გოლიათი მგონია მხოლოდ,
საოცარია, შუქიც კაცად რომ მელანდება.
ერთხელაც ტყეში დიდი დათვი შემომეყარა,
ვეებერთელა, ჩემს დღეში რომ არსად მინახავს,
და როცა ჩემკენ მძიმე-მძიმედ გადმოაბიჯა,
კაცი შინაურ ძალს თავზე რომ ხელს გადაუსვამს,
ისეთნაირად მომესურვა, მივფერებოდი,
ერთი ციციქნა და მოცუცქნული ჩანდა იმ ტევრში.
ყურს არ მივდებდი?

ნაზონი (ამ დროის განმავლობაში დაეინებით კოშკს მიშტერებოდა):
გისმენდი, მაგრამ კოშკში შესვლა მწადია ახლავ!

მილო: სად გინდა შესვლა?

ნაზონი: კოშკში-მეთქი, ვერ გაიგონე?!

მილო: შენ რა, ჰკუიდან შეიშალე? (მხარზე ხელს დაადებს):
მაშ, მომისმინე!

ნაზონი (აფორიაქებული გვერდით გადახტება და ხმალს იძრობს):
ასე ისურვა ჩემმა გულმა და მარჯვენაში
ვიდრემდის ხმალი დასაცავად მარჯვედ მიჭირავს,
ჩემს ფლიდ მეგობრებს და მტრებს ამით გავუსწორდები.
ადამიანის ნაფეხური შევნიშნე მგონი,

მიტომ მივიწევ კოშკისაკენ ამოწვდილი ხმლით,
რომ ჩვენი ხალხი ავამხედრო, გამოვაფხიზლო,
ავიყოლიო, სათავეში ჩავუდგე მერე,
ტყის ბილიკები გადავუჭრა შემოსეულებს,
რადგან შიმშილი და დღუშმანი სახიფათოა,
ვიდრე ყოველ წუთს მტრისგან მახე მოსალოდნელი.
ასეთნაირად გადავწყვიტე, არ მეკამათო!
შენ მეომრები გამიმხნევე, მიდექ-მოდექი,
მე ხიფათისგან დახსნის გეგმას შეგატყობინებ!

მილო: აბა, შენ იცი!

ნაზონი: გადავწყვიტე, დიდი ხანია!



ნეტავ ვის ძალუქს დიდხანს გაძლოს ამ უდაბნოში,
ადამიანებს მოწყვეტილმა, განმარტოებით?
ველურებივით ჭამა-სმა ხომ არ არის მართო?
შენ კარგად მიცნობ, იმედია. ამიტომ გირჩევ,
სჯობს პაექრობა შევწყვიტოთ და საქმეს მივხედოთ!

მილო: საიდან მოხვდი ამ ადგილას?

იაზონი: აგერ, იქ ამჩნევ.

ქვით ნაგებ კედელს პირი როგორ დაუფჩენია?
ზღვა თავის ტალღებს ნაპრაღამდე რომ მოაგორებს,
იქამდე ალბათ თავისუფლად გავცურავ ახლა.

მილო: მეც მომისმინე!

იაზონი: კარგად იყავი!

მილო: ნება დამრთე!

იაზონი: გემშვიდობები! (ფრიალო კლდიდან ზღვაში გადაეშვება).

მილო: რა გაბედულად მისცურავს და მიაპობს ტალღებს,
რალაცნაირად მეკუმშება გულის ძარღვები!
რა ყმაწვილია, რა ჯომარდი, მხნე და გულადი!
სანამ უკანვე გამოცურავს, დაველოდები:
თუ ცუდი რამე შეემთხვა და არვის დავინდობთ.
(იქვე მდგომ ხეს მიეყუდება.
კოშკში სარდაფის მსგავსი ჩაბნელებული ოთახი ჩანს.
მარცხნივ — სიღრმეში მალალ კვარცხლბეკზე რომელიღაც
ღმერთის ქანდაკებაა აღმართული, მარჯვნივ — კლდეში
ჩამოსაჯდომია გამოკვეთილი.

მოახლე გოგონებს ხელში ჩირაღდნები უჭირავთ,
მომცრო საკურთხეველს გარს უვლიან და რიგრიგობით
შესაწირავს აწყობენ).

ერთ-ერთი მოახლე (კართან დგას და ლაპარაკობს):

კმარა, მედეა! ნუღარ ნაღვლობი საკმარისია!
(ჩირაღდნებიანად გადიან.
ამ ღროს მარცხენა მხრიდან ხმალშემართული
იაზონი შემოვარდება).

იაზონი: აჰა, მეც აქ ვარ, ბნელ სარდაფში შემოვდგი ფეხი,
როგორც ეტყობა, უფრო მეტი ეტევა ხალხი;
თუ ეს ასეა, მე ჩემს მიზანს მაინც მივალწევ.
ასი ყური მაქვს გამოსხმული და ასი თვალი,
ერთმაც რომ ხელი შემიშალოს, რაც კი მწადია,
მკერდში მახვილი არ ასცდება და აღსასრული.
(ხმალს თავის გარშემო იქნევს).

ამ შენობიდან გასასვლელი საიდან არის?
ვეებერთელა კლდიდან რაღა გამოუჭრიათ?
ქანდაკებისთვის კვარცხლბეკია ამოყვანილი.
ამ ქვეყანაში დიად ღმერთებს თაყვანს რომ სცემენ,
არაფრად უღირთ და აბუჩად იგდებენ კანონს?
კაცი რომ კარგად დააკვირდეს, საიდან მკრთალი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაფეხურები? ჩანს, მოდიან! სადღა მიდიან?
გემუდარები, დამიფარე, ფარულთ ღმერთო!
(ქანდაკების უკან დაიმალება).

მედეა (მარჯვენაში შავი კვერთხი უჭირავს,
ბოლო მარცხენათი ჩირაღდანს უკავია):
რა დახუთული პაერია, სულთქმა არ არის!
უშნოდ ხრჩოლავს ჩირაღდნის ალი,
იწვის, მაგრამ არ ანათებს. (ჩირაღდანს ღებს).
გულს ისეთი ბაგაბუგი გააქვს,
ლამის მკერდიდან ამომივარდეს!
ხან უღონოდ, ხან კი ძლიერად!
ფრთხილად, მედეა!
ღმერთო, როგორ წაუჯა მამაჩემს საქმე?
უცხოელები გაიმარჯვებენ და კოლხები დამარცხდებიან?
ო, არასოდეს! ო, არასოდეს!
მაშ, შევუდგეთ საქმეს!
მომაბყარით ყური ღმერთებო
და რასაც გკითხავთ, მიბასუბეთ!
(პაერში კვერთხს იქნევს).
თქვენ მოგმართავთ ღამის აჩრდილნო,
ქარიშხალსაც რომ არ ეპოვებით,
დარსა თუ ავდარში ცის კაბადონზე დახეტილობთ,
ჯოჯობეთის შემზარავო ავსულნო
განაჩენის გამოტანაში დამეხმაროთ,
საქმე დააჩქაროთ,
უგზო-უკვლოდ დაკარგულ მკვდრებს რომ აგნებთ,
დაცემულებს ახუგეშებთ,
ყველას გულში რომ იხედებით
და ნებისყოფას წარმართავთ,
აწმყოს ფურცლებს რომ ითვლით,
ზრუნვით ეკიდებით წარსულის თავთავს
და ქვრეტთ მომავალში აღმოსაცენებელ თესლს,
თქვენ მოგმართავთ!
გამაგებინეთ, ოღონდ სიმართლე გამაგებინეთ,
რამე გვემუქრება, თუ ბედი გაგვიღიმებს!
ძალაუფლება, რომელიც გვეპყრა,
საქმე, რასაც ვემსახურებოდით,
სიტყვას რომ ვეთაყვანებოდით,
დღეიდან რაღა გვეშველება,
ამიტომ გიხმობთ, მხოლოდ ამიტომ.
გამომეცხადეთ! გამომეცხადეთ!
(პაუზა).
რა მოხდა? ყველაფერი რად დაღუმებულა?!
რატომ არ ჩანხართ?
შემომწყურით, თუ გადმოდგით ნაბიჯი.



ნაბიჯი დამნაშავეისა,
 წმინდაო ადგილო?
 შიში მიპყრობს, კანკალმა ამიტანა!
 (ხმას აუწევს).
 ყოვლადძლიერნო, შეისმინეთ ჩემი ძაბილი,
 ყური ათხოვეთ მედეას ხმას!
 თქვენი მეგობარი გიხმობთ.
 გემუდარებით, გვეედრებით:
 გამომეცხადეთ! გამომეცხადეთ!
 (ქანდაკების უკნიდან უცებ იაზონი გადმოხტება).

ნედეა (უკან დაიხვეს): უი!

იაზონი: წყეულო ჯადოქარო, შენა ყოფილხარ,
 ვისი მოსპობაც გულით გინდა, გამოგეცხადა.
 (გაშიშვლებული ხმლით გადმოხტომისას იგი
 მედეას მკლავში დაჭრის).

ნედეა (დაჭრილ მარჯვენას მარცხენა ხელს შეაშველებს):
 ვაი ჩემს თავს!
 (კლდის ქიმზე დაეშვეება, მძიმედ სუნთქავს
 და კვნესის).

იაზონი: გარბიხარ კიდევ? ჩემი მარჯვენა
 მაინც მოგწვდება!
 (სიბნელეში აქეთ-იქით იყურება).
 სად ჩაიყლაპა?
 (ჩირბლდანს აიღებს და ცდილობს გაანათოს).
 იქით წავიდა! მაინც ვერსად ვერ გამექცევი!
 (უკან შემობრუნდება).
 საძაგელი!

ნედეა (კვნესის): ვაი!

იაზონი: კვნესი? ცახცახებ?!
 მე ამ მახვილით გამოვიცნობ შენს შავბნელ ზრახვებს!
 (ჩირალდანს მიაშუქებს).
 ახლა დავრწმუნდი, რომ ნამდვილი ჯადოქარი ხარ,
 ეგ წყევლა-კრულვა შენს ბაგეთგან წარმოითქმოდა?
 ამო ქმნილება, მშვენიერი და მიმზიდველი,
 ვისი სინაზეც არ მზიბლავს და არ მაჯადოებს,
 ჩემს ფერხთით ასე რომ გართხმულხარ, ნუთუ შენა ხარ?
 თეთრი მკლავიდან სისხლი მოწვეთს შეუჩერებლივ,
 შეუწყალებელ ხმალს მიუძღვის ამაში ბრალი!
 რად ჩაიღინე, რატომ ჰქენი, ნაზო არსებავ,
 ნუთუ ოდნავაც გონებაში არ გაგივლია,
 ამ უკუნში რომ უნებლიედ შემომკვდომოდი?
 გულსატკენია ჭეშმარიტად, გასაოცარი,
 რა დედამ გშობა ეგ ცხრარჯული ადამიანი?!
 ასეთ მომზიბლავს გაჯავრება და სიძულვილი,
 ზნეკეთილობა და სიხვე გშვენის კიდევაც.

ვინ აღგაშფოთა, ეგ პირსახე ვარდს რომ მიგიგავს,
 მაგ ბაგეთაგან მხოლოდ თაფლი უნდა გდიოდეს,
 შენ კი უწყალოდ მიმოაბნევ საზარელ სიტყვებს
 და წყევლა-კრულვის დააყენე კორიანტელი?
 თუ შენ ბუნების კეთილ ძალას დააკვირდები,
 ამგობინებდი, რა თქმა უნდა, ღმობიერებას,
 რაიც გულ-მკერდზე ნატიფად აქვს ამოკვეთილი;
 ბუნების გარდა, სხვანაირად ვინ გამოხატა?
 გასწი, გამშორდი, მახლას, შენი მომხიბლაობა,
 ხელს მიშლის რაკი, მზაკვრობისთვის რომ შეგიძავო.
 რა მძიმედ სუნთქავ, შეგაწუხა ნაჭრილობევმა?
 ხომ თვითვე ხედავ, რაც მოიმკე ნამოქმედართ.
 სისხლი გდის? აბა შემახედე!
 (მაჯაზე ხელს წაავლებს).

რა გაკანკალებს.
 ძალუმად გიცემს პულსი, გითრთის მთელი სხეული.
 იქნებ არც ისე ვერავი ხარ, ერთი შეხედვით
 რომ მეჩვენება და ველურობა შენი ხალხის
 თვისებას მოწმობს. ეგებ რიდი და მოკრძალება
 სჭარბობდეს შენში, მაშ, თვალი თვალში გამიყარე
 რამენაირად, რომ ვეცადო მაგ ნათელ შუბლზე
 ბნელი ზრახვები ამოვიცნო, ამოვიკითხო.
 დიახ, შენ სდუმხარ, ჩაიგუბე მაგ პირში წყალი;
 თითოეული წარმოთქმული გულანჩხლი სიტყვა
 შეჩვენებად და ჯოჯოხეთად მეჩვენა მხოლოდ.
 რაც ყურს ჩამესმა, სხვისი ბაგით იყო ნათქვამი,
 უცბოს წყევლა კი სულ იოლი ასატანია.
 შენ ოხრავ, მაგრამ გირჩევნია, ილაპარაკო,
 ქარს გაატანო ჩახვეული გულისბუხარი,
 თორემ ვერასდროს ახლოს ვეღარ გაგეკარები.
 (იაზონი მედეასკენ გადაიხრება. შორიდან მეომრების
 ხმა და იარაღის ელარუნი ისმის).
 ყური მიაპყარ! ყაყანი გესმის?
 (იაზონი განზე გადგება).

ახლოვდებიან!
 (მედეა წამოდგება).
 შენი თვისტომნი მოაბიჯებენ.
 უმჯობესია, გავეცალო აქაურობას.
 შენიანების გამოჩენა ალბათ გახარებს,
 მაგრამ მგონია, მარტოეულს მალე გიხილავ!
 სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს, მაინც ვეცდები,
 როგორმე შენი ნაუბარი მოვისმინო და...
 რაკილა უკვე მოგვიახლოვდნენ... არ გეგონოს,
 საშიშროებას და იარაღს რომ გავურბოდე,
 მამაციც უნდა განერიდოს ხანდახან ხროვას!

მაშ, დროებით! კარგად იყავი
(იმავე მხარეს გაეშურება, საიდანაც შემოვიდა.
სცენაზე აბსირტუსი და მისი შეიარაღებული მეომრები შემოდინ
ყოველი მხრიდან).



აბსირტუსი: უკან გაბრუნდი!

იაზონი: ხმალში მიწვევ!

აბსირტუსი: იშიშვლე ხმალი!

იაზონი: მკერდში უნდა გცე, მკლავში კი არა!

აბსირტუსი: შეიპყარით!

იაზონი (ირგვლივ თვალს მიმოავლებს):

მოდით, დამეცით, არავისი არ მეშინია!

აბსირტუსი: მაშ, შევერკინოთ!

(თვალის დახამხამებაში იაზონს მიუხტება).

მედეა (უცებ წინ გადაეღობება).

აბსირტუსი (უკან დაიხევს): რას მერჩი დაო, რატომ მაჩერებ?

იაზონი: ჩემზე ზრუნვისთვის უნდა გითხრა დიდი მადლობა.

მე დახმარება არ მჭირდება, მზრუნველობა კი,
იცოცხლე, ჩემგან მართლა ითხოვს მადლიერებას,
(მედეას ხელზე ეამბორება).

დაე, ეს კოცნა საწინდარი იყოს იმისა,
რომ კვლავ შევხვდებით! აბა, განი!
(იბრძვის).

აბსირტუსი: არსად გაუშვათ!

(იაზონი ბრძოლა-ბრძოლით ჯარისკაცებს დაუძვრება).

აბა, მიპყევით, ყოველ მხრიდან შეპყარით გზები!

(შეიარაღებულ მეომრებთან ერთად იაზონს დაედევნება).

მედეა (თავჩარგული ნელ-ნელა წამოდგება, წელში გასწორდება,
თვალს ერთ წერტილს მიაპყრობს და უცებ წამოიძახებს):

ო, ღმერთო ჩემო!

(მოახლე გოგონები გარს შემოეხვევიან.
ფარდა ეშვება).

მეორე მოქმედება

იგივე დარბაზი, რომელიც წინა მოქმედების ბოლოს იყო. დღეა.
გორა. პერიტა. მოახლე გოგონები.

ბორა: ახლა მედეას, დამიჯერე, ნურათერს ეტყვი.
ხედავ, რა უყო ერთი ღამის ამბავმა უცებ,
რა არეულად ლაპარაკობს, როდესაც ბრაზობს,
შეგიმჩნევია? თან გიბრძანა, არ დაენახვო.

პერიტა: როგორ მოვიქცე, ვის მივმართო დასახმარებლად?
ქმარი შეიპყრეს, სახლ-კარი მთლად გადამიბუგეს,
რაცკი გამაჩნდა, გაიტაცეს უცხოელებმა,

მაშ, ვის შეეჩივლო გაჭირვება, ყურად ვინ იღებს?

ბორა: მე ჩემი გითხარ, შენ ვით გსურდეს, ისე მოიქეც კარგი იქნება, მოვისმინოს, მაგრამ ყოველთვის კაცნი სიმართლეს ვერ აგნებენ და ვერ იცავენ.



პერიტა: ო, მე ბედკრული!

ბორა: ეგ წუწუნი რამეს გიშველის?!

აწონ-დაწონე. დაფიქრდი და წვრილად მოუთხრე.

ნეტავ, მედეა, ბინაში თუ ისვენებს ახლა?

(უცებ სუნთქვაშეკრული მოახლე გოგონა შემოვარდება).

მოახლე ბობონა: ზარალს ზარალი მოსდევს!

ბორა (კარისკენ შებრუნდება): იმედია, მშვიდობა სუფევს!

ახალს რას გვეტყვი?

მოახლე ბობონა: ჩვენი დედოფლის სათაყვანო ცხენი...

ბორა: ვეფხვივით მერანი რომ იყო?

მოახლე ბობონა: ჰო, გაქცეულა!

ბორა: ერიპა!

მოახლე ბობონა: წუხანდელ ღამეს, ყველაფერი რომ აირია

და შიშით ღია დაგვრჩენია თავლის კარები,

ისე უჩუმრად გაპარულა, რომ აღარავის

შეუმჩნევია. ახლა მე რაღა მეშველება!

ბორა: ეგა თქვი, აბა!

მოახლე ბობონა: როგორ ავცდე დედოფლის რისხვას?

ნეტავ, იოლად შეელება?

ბორა: თუ აღჩუხე აქვს საქმე, მაშინ,

რასაც აღარა ეშველება, შეეგუება.

ჩემი რჩევაა, თვალეებში ნუ შეეჩხირები!

ფეხის ხმა გესმის? ის თანდათან გვიახლოვდება.

აბა, პერიტა, გადმოადგი ნაბიჯი ჩემკენ!

(მარჯვენა კარიდან მედეა შემოდის. ჩაფიქრებულია)

ბორა (ცოტა ხნის დუმილის შემდეგ): მედეა!

მოახლე ბობონა (მედეას ფერხთით ჩაცუცქდება):

ო, მაპატიე დედოფალს!

მედეა (თავს მაღლა აწევს): რა ამბავია?

მოახლე ბობონა: გთხოვ, ნუ გამწირავ, დედოფალს, მომაპყარ ყური!

შენი მერანი, საყვარელი ცხენი არსად ჩანს.

(ჩამოვარდება დუმილი. მედეას ყველანი თვალეებში შესცქერიან).

სიმართლეს გეტყვი, არ მიმიძღვის დანაშაული!

ამლამინდელი ღამის შიშმა გამოიწვია,

აღიაქოთმა, წიოკობამ, აურზაურმა.

შენ არას ამბობ? მიბრაზდები?

მედეა: ძალიან კარგი!

(მოახლე გოგონა წამოდგება).

ბორა (გვერდით გაიხმობს): რაო, რა თქვა?

მოახლე ბობონა (სიხარულით): ძალიან კარგიო.

ბორა: ეგრე ნათქვამი არ შექაშნიკა!



რა არხეინად გიპასუხა, რა უშფოთველად,
 თუმცა, პერიტავ, ჩვენი საქმე კეთდება მხოლოდ!
 მე მაინც ვიტყვი, ცოტა გული მეთანადრება,
 რადგან მერჩივნა, გამწყრალიყო, ამღვრეულად
 და როცა გულზე მოეშვებოდ-გადაუვლიდა,
 მერე გეთხოვა, სათხოვარი თუ გქონდა რამე.
 რაც არის, არის, მოდი, იქნებ ასე აჯობოს.
 იცი, მედეა, შენ გეახლა ძველი ნაცნობი.

მედეა: ვინ არის? მითხარ!

პირა: შენი ყრმობის თანაზიარი.
 მასზე გული ხომ მოიბრუნე...

მედეა: პერიტა, შენა?
 მიხარია და გულითადად მოგესალმები!
 (მეგობრულად მხარზე ხელს გადახვევს).
 რა უზრუნველად გავატარეთ ჩვენი ბავშვობა,
 დრო შეიცვალა, ქვეყანაზე ბევრი რამ მოხდა,
 და ბევრმა წყალმაც ჩაიარა ჩემო პერიტავ!
 სუყველაფერი მიატოვე, სახლიც, ნახირიც,
 და ისევ ჩემთან მოინდომე თავშესაფარი?
 კეთილი იყოს შენი მოსვლა, დღეიდან უკვე,
 მოახლეთ შორის შენ იქნები უახლოესი!

პერიტა: არც საქონელი, არც სახლ-კარი არ გამაჩნია,
 ჩემი მეუღლეც, რა ხანია, მტრებმა შეიპყრეს,
 ასე დამერღვა სიმშვიდე და ბედნიერება.


მედეა: ჯან-ღონით სავსე, მოხდენილი და ბრგე ვაჟკაცი
 ვით გაიმეტეს სასიკვდილოდ, ოი, საბრალოვ!
 ის შავ მიწაში განისვენებს, შენ კი ბეჩავო,
 მე მომადექ რომ შევივრდომო და გიპატრონო?
 ისეთნაირად ამიჩუყე პერიტავ გული,
 ყელთ მებჭინება ტირილი და ცრემლი მიშრება.
 (მედეა პერიტას მხარზე შუბლს მიაყრდნობს).

პერიტა: არა, მედეა, ჩემი ქმარი არვის მოუკლავს,
 ის მომხდურებმა დაატყვევეს და შენთან მოველ,
 რათა მამაშენს შემავედრო, დამიხსნას ქმარი,
 გესმის, რასაც გთხოვ?
 (გორას მიუბრუნდება):
 ხმას არ იღებს! რას ფიქრობს, ნეტავ?

პირა: მეც გამაოცა ამნაირად მაგის მოქცევამ.
 ეს რომ მედეას არ სჩვევია, რას მივაწეროთ?

პერიტა: რა ამბავია? არ ვერწმუნო ჩემს მოსაზრებას?
 უეცრად მხარზე შევიგრძენი ნაღდი სისველე,
 ნუთუ ეს შენი ცრემლებია, ქველო მედეავ?!
 (მედეას გამოწვდილ მაჯაზე კოცნის. მედეა უცებ
 წინ გაიჭრება, ნაკოცნ მარცხენა ხელზე მარჯვენას
 იტაცებს და პერიტას გამომცდელად შეაშტერდება.)

შემდეგ თვალმოუცილებლად სასწრაფოდ გაეცლება და თავის აღმზრდელს მიუახლოვდება).



ქართული
ლიბრარი

მედეა: გორა!

გორა: რას მიბრძანებთ, ქალბატონო?

მედეა: გადაეცი, აქედან ვაეთრიოს!

გორა: შენი ნებაა.

მედეა: სასწრაფოდ უბრძანე მეთქი.

(გორა პერიტას ხელით ანიშნებს, რომ იქაურობას გაეცალოს. პერიტა ხელების მოძრაობით ემუდარება, დავრჩებით. გორა კვლავ ანიშნებს, აქაურობას უჩუმრად მოსცილდით.)

პერიტას ორი მოახლე გოგონა გააცილებს).

მედეა (თითქოს არაფერი მომხდარაო):

ო, რარიგ ცხელა! სულისშემხუთველი ჰაერია!
(სარტყელს ორად გაწყვეტს და ისვრის).

გორა: ის წავიდა!

მედეა (ერთმანეთს დაეჯახებიან): წავიდა?

გორა: პერიტა წავიდა.

მედეა: გორა!

გორა: გისმენ, მბრძანებელო!

მედეა (გორას მხარდამხარ მიჰყვება და ხმააწეული ეკითხება):
წუხელ საღამოს შენც იქ იყავი?

გორა: სად?

(მედეას უცხოსავით შეაკერდება სახეზე).

იქა? რა თქმა უნდა!

მედეა (გახარებულ-გაბრწყინებული სახით):

როგორც ეტყობა, წუხელ ღმერთი გამოგვეცხადა!

გორა: რაო, ღმერთიო?

მედეა: მე მთელი ღამე ვოცნებობდი, ბევრი ვიფიქრე და ღრმად დავრწმუნდი, ზეციერი რომ მოგვევლინა. ერთხელ, მაღლიდან გადმომდგარი, განრისხებული, აცისკროვნებდა ზეცის ტატნობს, ხელთ ეპყრა ელვა, სახე ალისფრად აგზნებოდა, უკაშკაშებდა, და მე ვიგრძენი, სულიერი განადგურება, მაგრამ ვიწამე, რომ ამქვეყნად ჩვეულებრივი მოკვდავი ვინმე არ ვიყავი დაბადებული.

გორა: ეგ რანაირად?

მედეა: ბავშვობაში შენ არ მოძითხრე,

მზარავი ღმერთი — ჰაიმდარი მიცვალებულებს სიკვდილის მერე უფსკრულისკენ მიაქანებსო ასე მგონია, დაუკვირდი, ის იყო გორა,

სიკვდილის ღმერთი — ჰაიმდარი გვესტუმრა თვითონ.

ალბათ ნიშანში ამომიღო თავისი მსხვერპლი, ჩასატრებულმა მიმიზიდა მგზნებარე კოცნით, გარდუივალა, არ ამცდებდა ვიცი სიკვდილი.



ქვეყნის
საქმიანობა

- ქვესკნელისაკენ დავეშვები და სამუდამოდ
ბნელ-უკუნეთში დავივანებ და ჩავინთქმები.
წინასწარ ვატყობ, დამიჯერე, კეთილო გორა,
შიშმა და ძრწოლამ გამოფიტა გონება ჩემი,
დასამარებას ველოდები, მეტს აღარაფერს,
და ეგ დღეც უკვე შორს არ არის, კარს მომდგომია!
- ბორა: მითხარ, გონებას უნაყოფოდ რატომ ილაშვებ,
რაც ნათელია, ნეტავ ბნელად რად გეჩვენება?
დიდი რამე, თუ თავხედი და ვილაც დიდგულა
ჩვენს სამყოფელში შემოიჭრა.
- მედეა (უკან შემობრუნდება): რაო, რა თქვი!
- ბორა: წვეარამი ღამით ისარგებლა.
- მედეა: სიტყვას ნულარ სძრავ!
- ბორა: ამაოდ შიშობ.
- მედეა: დააჭირე ენაზე კბილი!
- ბორა: რახან მიბრძანებ, რა ჩარაა, უნდა გავჩუმდე,
ჩემი აღზრდილი ახლა უკვე ქალბატონი ხარ,
სინამდვილეში კი ისეა, როგორც მე ვამბობ.
- მედეა: შეხე, როგორი შტერი ხარ და ახირებული!
მაშ, უცხო ვინმე ამ ყორესე გადმოვიდოდა?
უბრალო მოკვდავს ეგ შეეძლო, რომ გაებედა?
ანდა მედეას უმიზეზოდ შეეყრებოდა?
თავიდან მომწყდი, უმადურო,
არ შემომაკვდე,
მაგ სულელური ნათქვამისათვის
შურს ნუ მაძიებინებ.
ვილაც უბრალო! მოკვდავი!
ვაი სირცხვილო! ვაი თავის მოჭრავ!
გამეცალე, შე გამყიდველო!
წადი-მეთქი, სანამ ჩემი რისხვა თავს დაგტყდომია!
- ბორა: წასვლით კი წავალ, მაგრამ იმას ვამბობ, რაც არის
და არა იმას, როგორც შენ გინდა. მაშ, წავედი.
- მედეა: გორა, შეჩერდი, არსაით არ გაადგა ფეხი,
შე ზნეკეთილო, კეთილ სიტყვას რა გამოცვდება?
ნუთუ ვერა გრძნობ, ასე როა, რატომ უარობ,
სიკვდილის ღმერთი — ჰაიმდარი გვესტუმრა წუხელ,
თუ სხვაფრივ ფიქრობ, ერთი სიტყვაც არ გამაგონო!
(გორას კისერზე შემოეხვევა და გულიანად აკოცებს.
ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდება).
ჩუმაღ!
- ბორა: ნაბიჯების ხმა ახლოვდება!
- მედეა: ვილაცები მოდიან! გავეცლები აქაურობას!
- ბორა: დარჩი! შეხედე! მამა და ძმა მოაბიჯებენ!
(უცებ სცენაზე აივტი და აბსირტუსი შემოვარდებიან).



ანიტი: ხედავ, ხელიდან გაგვსხლტომია, შენ გიღევს ბრალი!
(მედვას მიმართავს):
რად შეუშალე ხელი შენს ძმას, მაშინ, როდესაც
გადამთიელის მოსაკლავად აღმართა ხმალი?

აბსირტუსი: ნუ, მამაჩემო, ამისათვის ნუ გაამტყუნებ,
შიშით დამფრთხალმა შეიბრალა იმისი სული!
აბა დაფიქრდი, უცხოელი უკუნ ლამეში
მარტოეული შევარდნილი ქალთან ოთახში:
მედვასავით განალა არ იყოყმანებდა?
არავინ უწყის, შიშით ვინ რას მოიმოქმედებს.
ო, ეს ბერძნები....

მედვა: ბერძნებიო?

ანიტი: მაშ, ვინ გეგონა?

ის უცხო მოყმე ელადიდან არის მოსული,
ხომალდ არგოთი მოაღწიეს კოლხეთის ნაპირს,
ამიტომ ჰქვიათ ბერძენ მომხვედურთ არგონავტები.
სურთ, ველ-მინდვრებში ყველაფერი გააჩანაგონ
და გაიტაცონ ქვეყნის განძი, ჩვენი საუნჯე.

მედვა (გორას ხელს წაავლებს): გორა!

გორა: ისეა, როგორც მე შენ გეუბნებოდი.

აბსირტუსი: პერონტოსთან რომ თვალი ვკიდე, მართლაც არიან:
ყოყლოჩინები, ძალოვანნი და გულადები!
რადგან იკისრა, მოუსვა და ზურგი მაჩვენა,
კვალდაკვალ ხომ არ მივყვებოდი გაქცეულ უცხოს?
შევნიშნე კია, ხელში ხმალს რომ ატრიალებდა,
მაგრამ ჩვენთაგან ახლოს არვინ გაჰკარებია.
ნაკადს გამოჰყვა, მერე ისევ სწრაფად გადახტა,
ყრუდ შეუერთდა აქაფებულ ტალღების ხმაურს
და ბნელ ლამეში ჩაიყლაპა, გაუჩინარდა.

ანიტი: დიახ, ამჯერად კი გაგვიძვრა ხელიდან, მაგრამ
ამიერიდან ვეღარსაით ვერ გაგვექცევა!
ამ გულზვიადმა და ჯიუტმა უცხოელებმა
მოთათბირებაც მომინდომეს ნაუცბათევად.
ჯერ კი დავთანხმდი, რისხვა რომ არ გამომეწვია,
მაგრამ გულში ღრმად ჩავიბეჭდე ზიზლი და ბოღმა.
რაც ჩავიფიქრე, სუყველაფერს მივალწევ კიდეც,
მელოდეთ, როდის შევასრულებ მოცემულ სიტყვას,
მოგანანიებთ ხელყოფას და ჩადენილ ცოდვას,
ვიდრემდის დავა დაწყებულა, უნდა დაგასწროთ.
აბა, მედვა, შენებურად იმარჯვე ახლა!
გამოასწორე, თუ რაიმე გამოგეპარა,
შური იძიე, თუ აქამდე სირცხვილი ნახე.
ხომ ხედავ, შენც კი არ დაგინდეს და შეურაცხყვეს,
გაკადნიურდნენ და მოგეპყრნენ მოურიდებლად,
ის მართალია, რაც ფრიქსუსმა გადმოშვა წელან.



- რომ ის უცხო ყმა კოცნითაც კი გაგიმასპინძლდა?
- მედეა: გთხოვ, მამაჩემო, ნურას მკითხავ.
- ანიბი: ხომ მართალია?
- მედეა: ნუ მკითხავ მეთქი, ტყუილია თუ მართალია, ჯერქნებში ჯობს, ლალისფერმა ლოყებმა რომ გაგცენ პასუხი! რა უნდა მექნა, გიპასუხონ, მოვრიდებოდი? მომხდურთა ბრბო რომ ამოყლიტო, ეგა გწადია? ბრძანე, რა გსურს და, წამსვე მხარში ამოგიდგები!
- ანიბი: ყოჩაღ მედეა, მაგ სიტყვებით მასიამოვნე, ახლა დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ჩემი სისხლი ხარ. შეაგნებინე თავხედობა, მათ არ იფიქრონ, თითქოს წინასწარ არ იცოდნენ, ან შეეგუე გადამთიელის უტიფარ და უკადრის ქცევას!
- მედეა: რას ამბობ მამა, მე ვისგან რა უნდა მცოდნოდა?
- ანიბი: ვინც დაგინახა, მოვისმინა; ტყუილად ცხარობ! ვინც მოწმე გახდა, რომ ქალიშვილს აიეტისას ვილაც მომხდურმა ვით შეახო თავის ტუჩები.
- მედეა: ო, კმარა, მამა!
- ანიბი: ტყუილია?
- მედეა: ხომ ცოცხლად მმარხავ!
- ანიბი: არა, გულშიც არ გამივლია!
- მედეა: ნამდვილად არა?
- ანიბი: აქედან წასვლის ნება დავგვრთე!
- ანიბი: საით გინდათ, რომ გაეშუროთ?
- მედეა: საითაც გვირჩევს: შურისგებისთვის, მოსაკლავად, ან სასიკვდილოდ!
- ანიბი: სიტყვას იძლევი?
- მედეა: მე უკვე ვთქვი ჩემი სათქმელი! ახლა კი დავგვრთე წასვლის ნება!
- ანიბი: მაშ, მომისმინეთ!
- მედეა: ოღონდ, აქ არა! მე მეჩვენება დამცინავი ღმერთის იერი; ქვით ნაშენები ჩემი სახლის ფართო კედლებზე კბილებდაკრეჭილ, სასერიო სიფათებს ვხედავ. შორს ამ საძრახის ადგილიდან, რომელზეც ალბათ ფეხს არასოდეს დავაბიჯებ, რაც უნდა მოხდეს. ოღონდ დროულად ავიყაროთ აქედან, მამავ, მერე, რაც გსურდეს, ის გვიბრძანე, ის დაგვავალე...
- ანიბი: მაშ, გამიგონე!
- მედეა: დროა, დავიძრათ!
- ანიბი: მედეა!
- მედეა: დავიძრათ მეთქი, ნულარ ვაყოვნებთ!
- ანიბი: მედეა!
(მედეა აბსირტუსთან ერთად სცენიდან გავარდება).
ხეებით შემორაგული მოედანი. მარცხნივ, სიღრმეში

მეფის კარავი მოჩანს. კოლხი მეთაურის წინამძღოლობით
სცენაზე რვა არგონავტი შემოდის.

მეთაური: აქ მოიცადეთ, ასეთია მეფის ბრძანება:
თვითონაც მალე გამოჩნდება, საცაა მოვა.

პირველი არგონავტი:

შე გაუთლელო, ნაბრძანები შენი მეფისა
ისევ შენთვისვე შეინახე, ჩვენ რაში გვინდა?
რაკი გვჭირდება, ველოდებით შენს მეფეს, მაგრამ,
თუ არ გამოჩნდა, ჩვენ თვითონვე მივაგნებთ სადმე!

მეორე არგონავტი:

დაეხსენ ერთი, სხვა რა გითხრას საბრალო მონამ!
(კოლხი მეთაური გადის).

მესამე არგონავტი:

ჩვენს მიზანს უკვე მივალწიეთ, ამდენ ფათერაკს
რომ გადავურჩით, გადმოვლახეთ ზღვა და ხმელეთი,
ზღაპრული ქვეყნის პირქუშ მიწას დავადგით ფეხი,
სადაც, ამბობენ, მზე ანათებს ნამეტნავადო.
რასაც არავინ მოველოდით, აჰა, ასრულდა!
ან ზღვა რამდენი გადმოვსერეთ შეუცნობელი,
რამდენჯერ ხიფათს გადაგვირჩია მარჯვე მენავე,
ბევრგან გზა-კვალი გავიყვანეთ, უცხო ქვეყნებში
უცნობი ხალხი გავიცანით, რაც მთავარია,
სამშობლოსაკენ წასვლა აღარ გაგვიჭირდება.
კოლხეთში რომ ვართ, ჩვენი ნატვრა მიღწეულია!
ასეთ შორეთში გაგვიმეტა მოწყალე ღმერთმა;
ახლა კი ვშიშობ, დავგაბრუნებს უკან მშვიდობით?
არ დაივიწყოთ, მტრის მიწაზე რომ გვიდგას ფეხი,
არსაიდან ჩანს არც მრჩეველი, არც წინამძღოლი,
ეს იაზონიც სადღაც გაქრა, გაუჩინარდა.
ის, ვინც ამ საქმეს გაძლოლოდა უნდა ბოლომდე,
ვისაც ჩვენ ხელი გავუწოდეთ დახმარებისა,
მილოსთან ერთად წუხელ სადღაც გადაიკარგა
და კაციშვილმა მის ნაკვალევს ვერსად მიაგნო.
ეგების ტყეში დაიბნა და გზა ვერ გაიგნო,
ან ველურებმა მახეში ხომ არსად გააბეს,
იქნება რაზმი ჩაუსაფრდა, მზე დაუბნელეს,
კაცმა არ იცის, იმიტომ ვართ ასე დამფრთხალნი.
ამის გამო ვართ დაქსაქსულნი, თავაშვებულნი,
ყველა თავთავის მრჩეველია და წინამძღოლი,
მიტომ შეგყარეთ და მოგმართავთ, რამე ვილონოთ;
თქვენ ხართ რჩეულნი,
(ყველა თავჩაქინდრული დგას და კრინტს არავინ ძრავს).
დუმხართ, მაგრამ, რა გადავწყვიტოთ?!
ამ ქვეყნის მეფემ დიდის ამბით მოგვიპატიუა,
პირობა მოგვცა, მეგობრულად ვისაუბროთო,





თუ საშიშია, ბელადი რომ გაუჩინარდა,
რაც მოხდა, მოხდა, ყველაფერი ვვერდზე გადავდოთ.
და ვალიართ გაჭირვება და უძლურება?
ყველანი აქ ვართ, დავიშალოთ, თუ ვინმეს
რჩევა მოგვცეს საფუძვლიანი?

მეორე არბონაპტი:
უფროსი რომ ხარ,
შენ გეკუთვნის ამიტომ სიტყვა!

მესამე არბონაპტი:
უფროსობა რომ პირველობას არ ნიშნავს მუდამ?
მას შეეკითხეთ, ვისაც მკლავა და ძალა ერჩის!

პირველი არბონაპტი:
გვიბრძანე ბარემ, მოვეშადლოთ, ხმალი ვიშიშვლოთ,
ბოლო მოვუღოთ მეფეს და მის დაუნდობელ ხალხს,
გემზე ავზიდოთ საგანძური, ძვირფასეული,
მერე მოვუსვათ გამალებით სამშობლოსაკენ.

მესამე არბონაპტი:
მთელი ქვეყანა საჩვენებლად ხომ არ წაგველო?
მე, როგორც ვატყობ, შენი რჩევა არ გამოდგება,
რას ნიშნავს მოძმევ, ჭერ რომ არ ხარ დაღვინებული!
სხვას მივცეთ სიტყვა!

მეორე არბონაპტი:
შენ გვირჩიე, ჩვენ გამოგყვებით!

მესამე არბონაპტი:
ჩემი რჩევაა, სამშობლოსკენ ვიბრუნოთ პირი!
ბუზღუნებთ კიდევ? ეპ. გამოტყდით, როგორც გენებოთ,
თუკი რიგიან რამეს იტყვით, დაგყაბულდებით!
ყველანი დუმხართ, არვის გინდათ სიტყვის წარმოთქმა?
მაშ მომისმინეთ, ხელს ნუ მიშლით, ან დამარწმუნეთ!
აქეთკენ ლტოლვა არ ყოფილა ჩვენი მიზანი,
რით გაგვაკვირვა, გაგვაოცა კოლხეთის მიწამ?
ჩვენ იაზონის სიმამაცემ აგვიყოლია,
მან შეასრულა ბიძამისის ნება-სურვილი,
საძნელო საქმეს არ გაექცა, ხელი მოჰკიდა,
ჩვენც უანგართდ გავუწოდეთ მეგობრის ხელი.
და თუ იაზონს დაემართა უეცრად რამე,
აბა, ვის ძალუძს, შეცვალოს და გვიხელმძღვანელოს?
თავს ვილა იღებს, საოცარი ოქროს საწმისი
გაიტაცოს და გულის ხეთქვას გადაგვარჩინოს?
უზარმაზარი გველეშაპი კბილგესლიანი,
გამოქვაბულში რომ დარჩაობს იმ ოქროს საწმისს,
ირგელივ შხამს ანთხევს, მუდამ ფხიზლობს, ყურთამდე ჩაგწვდათ?
მაშ, ვინ გაბედავს, იმ ოქროს ვერძს ხელი შეახოს?
არავინ, არა? მომავალშიც, ადამის ძეთგან,
არ მეგულება კაციშვილი, ეგ რომ იყისროს!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

აჰა, აქ იყოს, დამითმია ფარი და შუბი,
მე კი მეფესთან მშვიდობიან მიზნით მივდივარ.

სამი დღე კიდევ გამოვთხოვოთ და თუ ამ დროში
იაზონი არსად გამოჩნდა, სამშობლოსაკენ
ავილოთ გეზი. ვინც მეთანხმება, ჩემებრ ფიქრობს,
უპრიანია, ჩემნაირად მოიქცეს ისიც.

ვინც დიდ საქმისთვის თავს გაწირავს — გმირი ის არის,
და უნაყოფოდ დროს ვინც ფლანგავს — ის რეგვენია!
(უმრავლესობა შუბს მიწაზე დააგდებს).

ახლა წავიდეთ სათათბიროთ კოლხთა მეფესთან,
ალბათ გულლიად თავის ზრახვებს გაგვიზიარებს!

ვირველი არგონავტი:

ჯერ შეჩერდით, ორი ბერძენი გვიახლოვდება!
ერთი მათგანი მილოა მგონი, მეორე კი —
(ხმამალლა წამოიძახებს) უეჭველად იაზონია!

ჯერ რამდენიმე შეჰყვირებს:

იაზონი!

მერე არეულდარეულად გაიძახიან:

იაზონი! იაზონი!

მილო (სცენის სიღრმიდან): ჩვენა ვართ, ჩვენა, არგონავტებო!
იაზონი ჩემს გვერდითაა!

ვირველი არგონავტი (მესამე არგონავტს მიმართავს):

ახლა რას იტყვი?

მესამე არგონავტი:

რაკი გამოჩნდა იაზონი, რჩევა მასზეა,
როცა არ ჩანდა, ჩემი აზრი მაშინ გაგანდეთ.
(შემოდინ მილო და იაზონი. მილოს იაზონის
მკლავზე ხელი აქვს წავლებული).

მილო: აქ არის იგი უვნებელი და შეუვალი!

შეავლეთ თვალი, იყიყინეთ, იმხიარულეთ!

(არგონავტები იაზონს გარს ეხვევიან და მეგობრულად
რიგრიგობით ხელს ართმევენ).

არეულდარეულად ყვირიან:

კეთილი იყოს ჩვენი ძმის და მეგობრის მოსვლა!

იაზონი: შიშობდით, არა? ისევ ერთად ვართ, მეგობრებო!
(ყველას ხელს ჩამოართმევს).

მილო (რამდენიმეს გადაეხვევა):

ჰა, თქვენს წინაა იაზონი ჯან-ღონით საესე!
გადარჩა, მაგრამ ბევრი საფრთხე გამოიარა!
ასე რომ არა, ვერასოდეს ვერ იხილავდით!
ბევრი სიმწარე გამოსცადა მან მარტოდმარტომ,
კოშკში იყო, თუ უღრან ტყეში, მარტოეული,
ყველგან სიკვდილი მოელოდა ველურებისგან,
მაგრამ გაუძლო, გაუმკლავდა, გადაიტანა!
აი, შებმა და შებრძოლებაც ამასა ჰქვია!



ნაზონი: სიმართლის თქმა ჯობს: გამოგიტყდებით, დალუპული ვიქნებოდით, რომ ქალიშვილი არ ყოფილიყო.

მილო: ის ქალიშვილი? ველურის შვილი?

ნაზონი: სწორედ იგი!

მილო: აქამდე რატომ არაფერი წამოგცდა ჩემთან! ლამაზი იყო?

ნაზონი: კო, ლამაზი და მიმზიდველი...
თუმცა ანჩხლი და ავზნე ჯადოქარი.
ჩემს არსებობას მას ვუმაღლო!

მილო: მარჯვე გოგონა ყოფილა!

ნაზონი: მოკლედ რომ მოვჭრა, როგორც იქნა, გამოვალწიე.
რაც მთავარია, სული მიდგას და თქვენთანა ვარ!
თქვენი საქმე როგორღა მიდის?

მესამე არბონავტი:
კოლხეთის მეფემ სათათბიროდ მიგვიპატიჟა.
სურს მოგვისმინოს, რაც გეწადია, აწონ-დაწონოს,
და მერე დინჯად გადაწყვიტოს.

ნაზონი: აქვე ხელდახელ?

მესამე არბონავტი:
აქვეა მისი სასუფეველი!

ნაზონი: ვფიქრობ, ურიგო არ იქნება მოთათბირება.
თუ მშვიდობიან გზას დაადგა, ძალიან კარგი,
თუ არა, მაშინ გადაწყვიტოს ხმალდახმალ შებამ.
(იქვე მდგომი არგონავტები შუბებს იღებენ).
თქვენ აქ გამაგრდით საიმედოდ, მაგ იარაღით
კოლხთა მიდამოს ვერ დავარბევთ და ვერ გავძარცვათ?
(დანარჩენებიც მიწაზე დაყრილ შუბებს დარცხვენით იღებენ).
რატომ დუმხართ და დარცხვენილნი ძირს რად ხრით თვალებს?
(მილოს მიმართავს):

რა ჩაიღინეს, შეხედე, რომ თვალს მარიღებენ!
თქვენ უბედურნო, შიშმა ხომ არ აგიყოლიათ?
ელადელებო, შუბი შიშით გიპყრიათ ხელში?
ნუთუ ასეა?

(კვლავ მილოს მიუბრუნდება):
მართალია, თქვე ბედკრულებო?
აბა მითხარით, ტყუილს გწამებთ, რა გემართებათ,
საბრალო ძმებო, რამ შეგაკრთოთ, აგრიდაგრიათ?
შიშს შეუპყრიხართ!

(ერთ-ერთს მიმართავს, რომელსაც სურს ლაპარაკი წამოიწყოს).
გთხოვ, იყუჩო, ასე ჯობია,
გუმანით ვხვდები, და შენ ნუღარ ილაპარაკებ!
ისე ნუ იზამ, თვით რომ შემრცხვეს საკუთარ თავის,
რადგან უცრემლოდ, ვალიარებ, გამიჭირდება,
გაწითლებული მამაკაცის სახის დანახვა!



თუ ძალა მეყო, გადავივიწყებ.
(შემოდის კოლხი მამაკაცი).

კოლხი: მეფე მოდის!

იაზონი: მაშ, მეგობრებო, მძლეთა მძლე და გულადნი ვეღურთა მეფემ არ იყნოსოს, რაც აქ მომხდარა!
(შემოდის მეფე თავისი ამალით).

ანიბტი: უცხოელთაგან ვინ ითავებს სიტყვის წარმოთქმას?

იაზონი (წინ წადგება): მე!

ანიბტი: მაშ, დაიწყე!

იაზონი: გულზვიადო ვეღურო, რაებს გვიბედავ?

ანიბტი: რას მოითხოვ?

იაზონი: ყურადღებას!

ანიბტი: ყურადღებას?

იაზონი: ჩემი ძალაუფლება...

ჩემს სახელს რომ თავი ვანებოთ...

ანიბტი: კარგი, მაშ ილაპარაკე!

იაზონი: მე იაზონი მქვია სახელად.

თესალიელთა მბრძანებელმა თვით პელიასმა,

ჩემმა ბიძამ და ჩვენმა მეფემ ამ მეომრების

სათავეში ჩამიყენა და გამომავზავნა,

რასაც გადმოგცემ, იმაზე რომ მოგეთათბირო:

ზღვა გადმოლახა და ფრიქსუსის ბედის ამბავმა

ჩამოაღწია ჩვენს ყურამდის, რომ ელადელმა

წარჩინებულმა აქა ჰპოვა შენს სამეფოში

ბოლო სავანე!

ანიბტი: მერე, მე ხომ არ განმიგმირავს?

იაზონი: რაც მე არ მითქვამს, წინდაწინვე რატომ იბრალებ

დანაშაულის გამოსყიდვას? ჯერ მომისმინე.

ფრიქსუსის ნავზე დატვირთული ავლადიდება,

რაც მთავარია, განძეული სწორუბოვარი,

იდუმალი სიკვდილის შემდეგ შენ ჩაგივარდა!

ფრიქსუსი ჩემი ახლობელი ნათესავია

და ამიტომაც ბიძაჩემის სახელით ვითხოვ,

დაგვიბრუნო ის განძეული, რაც ჩვენს გვარეულს

და თვითონ ფრიქსუსს ეკუთვნოდა შემკვიდრეობით.

ანიბტი: განძეულის არა ვიცი რა...

იაზონი: ჯერ დამაცადე, დავამთავრო, სიტყვას ნუ მტაცებ.

უნდა გამოვტყდე, რომ იმ ძვირფას საგანძურიდან

გამორჩეული მაინც იყო ოქროს საწმისი,

რომელიც ფრიქსუსს, ქალაქ დელფოში უცნობ ღმირთის

ქანდაკებას რომ ამშვენებდა საუკუნეთა

განმავლობაში, ჩამოუხსნია და ხომალდით

აქ მოგდგომია. განძეული იმ წინაპართა,

მიყრუებული ადგილები ვინც დაასახლა,

ქვეყანა შექმნა, აითვისა მთები, ველები,



და საფუძველი შეუმზადა კაცობრიობას.
 აი, ასეთი წინაპრები ყავდა ელადას.
 როგორც ამბობენ, მათგან მოდის ყველა სიქველე,
 თვითონ ელადის დიდება და კეთილდღეობა.
 უპირველესად ოქროს საწმისს მოვითხოვ შენგან,
 რაც ბერძნებისთვის საუნჯეა მარადიული,
 ველურათავის კი გამარჯვების სიმბოლოს ნაცვლად,
 იგი ყოველთვის დამარცხების საწინდარია.
 მითხარ ახლა, რა გადაწყვიტე?

ანიმტი: რაც არა მაქვს, რა გადავწყვიტო?

ნაზონი: რა არა გაქვს,
 ოქროს საწმისი?

ანიმტი: გეუბნები, არა მაქვს-მეთქი!

ნაზონი: მაშ, შენი სიტყვა საბოლოოა?

ანიმტი: დიახაც, რომ საბოლოოა!

ნაზონი: ძალიან კარგი!
 (შეტრიალდება და წასასვლელად მოემზადება).

ანიმტი: საით აპირებ?

ნაზონი: რა თქმა უნდა, ჩემიანებთან,
 იარაღს რომ მოკიდონ ხელი, რათა დავრწმუნდე,
 ძალაც ისე გაქვს შერყეული, როგორც უფლება?

ანიმტი: შენი მუჭარა ღიმილსა მგვრის!

ნაზონი: როდემდის გაგტანს?

ანიმტი: ვითომ მამაცო ცრუპენტელავ, არამზადების
 ამ ხროვით გინდა გაუმკლავდე კოლხეთის მეფეს?

ნაზონი: ალბათ ვეცდები. (წასვლას დააპირებს).

ანიმტი: შეჩერდი-მეთქი! ტყუილად ცხარობ.
 ხომ მართალია, რომ ღმერთების კეთილდღეობა
 მფლობელს ანიჭებს გამარჯვებას და შურისგებას,
 მაშ, როგორ ძალგიძს, აუმხედრდე იმ კაცს, რომელსაც
 ხელთ უპყრია...

ნაზონი: მაშასადამე, ხელთ გიპყრია, ხომ?

ანიმტი: ასეც რომ იყოს, მაშინ რას იტყვი?

ნაზონი: იყოს კი არა, ასე როა, უმალ მიგიხვდი!
 შე უგუნურო ბარბაროსო, ამაღ ყოყმანობ
 და იმიტომ ხარ ჩავარდნილი საგონებელში?
 ხომ არ გგონია გაიმარჯვებ, რაკი ხელთა გაქვს
 ღმერთების მიერ ნაბოძვარი, და მფლობელისგან
 საჩუქრად ხომ არ მიგიღია ეგ საგანძური.
 ვითარცა მიწა ხორბალს გვაძლევს და გვასაზრდოებს,
 ძლიერს ამძლავრებს, ავადმყოფს კი ავად ამყოფებს,
 ღმერთებიც ასე ირჩებიან: მხოლოდ ჭირსეულთ —
 კეთილს სიკეთეს მიუზღვავენ, ბოროტს — სიავეს.
 ჩემს მარჯვენაში ეგ-საწმისი მხოლოდ და მხოლოდ
 გამარჯვების საწინდარია, შენ კი იცოდე,

სულ დაგლუბავს და დაგანელებს. გამოტყდი ბარემ,
კეთილი სტუმრის ღანთხეულ სისხლს ხელს თუ შეახებ.

ანიმტი: ხმა გაიკმინდე!

იანონი: ბოლოს და ბოლოს გამოიტან დღის სინათლებზე?

გადაწყვიტე, ან პო, ან არა!

ანიმტი: მაშ, მომისმინე!

იანონი: თქვი, პო თუ არა!

ანიმტი: ფიცხი ყოფილხარ!

ტყუილუბრალოდ რატომ ვიდავოთ,
ჯობს ყველაფერი მოვაგვაროთ მშვიდობიანად
და თუ რამეა მოსახდენი, მერე გადავჭრათ!

იანონი: ვამაგებინე, აშხეურებ?

ანიმტი: ერთ რამეს გირჩევ, მოდი, იმას ანებე თავი!

უპირველესად ერთმანეთი გავიცნოთ კარგად.
მეგობარს გულით მიუძღვნიან, უცხოს კი — არას.
შემოდგი ფეხი, დაისვენე გამგზავრებამდე.

იანონი: ერთი წუთითაც არ გენდობი!

ანიმტი: რად არ მენდობი?

ნურას შიში გაქვს, ჩემი ენა ცუდად ხომ არ ქლერს?

ჩემი ქვეყნისთვის იყოს იგი მარადიული!

თასი თუ გიყვარს ღვინით სავსე, სმაში მოილხენა.

თუ ნადირობის ტრფიალი ხარ, ტევრი სავსეა.

იქნებ ქალწულთა გულში ჩაკვრა მოგეწადინოს?

კოლხეთშიაც ბლომად არიან.

(რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს მისკენ)

გიყვარს ქალები?

იანონი: თქვენი ქალები? რა თქმა უნდა...

ანიმტი: გიყვარს ქალები?

იანონი: ის კოშკი, აქვე ტყეში როა, გეცოდინება...

მაგრამ აჯობებს, კვლავ საქმეზე ვილაპარაკოთ!

ოქროს საწმისი ხომ ხელთა გაქვს?

ანიმტი (ერთ-ერთ კოლხს მიმართავს): ღვინო მოგვართვი

და მედეას ფიცხლავ შესძახე, აქ გამოცხადდეს!

იანონი: ერთხელ კიდევ მოგმართავ მეფევე, ოქროს საწმისს

არ დამიბრუნებ?

ანიმტი: რომ იყუჩო, ვგონებ, აჯობებს!

ჯერ ვიქვიფოთ, სხვაზე მერე ვილაპარაკოთ.

იანონი: გიცხადებ, შენი მორთმეული არა მინდა რა.

ანიმტი: აღათისამებრ საჭიროა, ასე მოიქცე.

უპურმარილოდ ჩვენს სახლიდან არვინ გასულა.

მიმოიხედე, აგერ მოდის, აქაურობა

ეგებ კიდევაც მოგეწონოს, გადამთიელო!

(შემოდის მედეა. თავზე საბურავი აქვს შემოხვეული.

ხელში თასი უჭირავს. მოახლე გოგონას ფიალები უჭავია).

ანიმტი: აი, სასმელიც, კეთილშობილო!





(მედეას გადაუჩურჩულებს):

უკვე მზადაა?

მედეა: ძალიან გთხოვ, ნუ მეკითხები!

ანიბტი: მიუახლოვდი მოწიწებით და შესთავაზე!

იაზონი: არა, არ დავლევ!

(მედეა შეცბება ნაცნობი ხმის გაგონებაზე, კარგად დააკვირდება, შეიცნობს იაზონს და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხვეს).

ანიბტი: (იაზონს მიმართავს): რატომ არ დალევ?

(მერე მედეასკენ იბრუნებს პირს):

შეაძლიე, მიუახლოვდი, ისე მოიქეცე,

როგორც გითხარი!

იაზონი: ამას რას ხედავს ჩემი თვალები? ეს ტანსაცმელი

მეცნობა რაღაც! არ გაადგა არსაით ფეხი!

შენმა სამოსმა გამახსენა კეთილი სახე,

რაიც პირველად... მომაწოდე ეგ თასი აბა,

როგორც გარეშეს, შემიძლია, რომ გამოგართვა!

(თასს გამოართმევს).

ამ თასით მე ვსვამ შენს სადღეგრძელოს!

მედეა: არ დალიო!

იაზონი: რატომ?

მედეა: იმიტომ, რომ მოწამლულია!

იაზონი: რანაირად?

ანიბტი: რა ჰქენ, მედეა!

იაზონი (თასს მოისვრის);

ეგ არის შენი მეგობრობა, დიდო მეფეო?

შურისძიება დაგტეხოდეს, შე ბარბაროსო!

(მედეას მიაშურებს):

შენ ის ავზნე და უღმობელი ასული არ ხარ,

გულღრმობაში გულჩვილობა რომ ჩააქსოვე?

აბა, თვალებში ჩამახედე!

(თავსაბურავს გადაუწევს).

ის არის, ისა!

ანიბტი: მედეა, სწრაფად გაეცალე აქაურობას!

იაზონი: მედეა გქვია? მითხარი რამე!

მედეა: ჩემგან რა გნებავს?

იაზონი: რით ავხსნა ჩემდა სასიკეთოდ შენი მოქცევა?

ორიოდეჯერ მოგკარ თვალი ამ ქვეყანაზე,

მაგრამ ორჯერვე შენ გიმაღლი ჩემს არსებობას!

როგორც ეტყობა, ღმერთმა კალთა გადმოგვაფარა,

ჩვენ მეგობრებად უნდა დავრჩეთ და არა მტრებად!

მომაპყარ მზერა და გთხოვ, განზე ნუ იყურები!

მოდო, ჩამხედე აუღმღვრეველ კეთილ თვალებში,

(იგი მარჯვენაში სწვდება და თავისკენ შეატრიალებს)

რომ შენს სახეზე მომავალი ამოვიკითხო!

(მედეა ბელს გამოსტაცებს).

რაზონი: ახლავ შეჩერდი!

მელეა (წელში გაიმართება):

გამბედაობა გაბედვინებს? ვაი ჩვენ!
(მელეა თვალს თვალში გაუყრის, შიშისგან
შეკრთება და გაიქცევა).



რაზონი: მელეა!

(მელეა გარბის. რაზონი დაედევნება).

აიეტი: უკან გაბრუნდი!

რაზონი: უკან შენ წადი, შე ბარბაროსო!

მელეაა!

(სანამ რაზონი კარავში შეჭრას აპირებს და აიეტი
მას იგერიებს, ამასობაში ფარდა ეშვება).

(გაგრძელება იქნება)



გერმანულიდან

თარგმნა ზურაბ ბ. აბაშიძემ

1

AlFieri: «E la Fama?»

Gozzi: «E la Fame?»

ალფიერი: რაა მოხვეჭა სახელისა?

გოცი: რა ვუყოთ მშიერთ?

გეორგ ბიუხნერის (1813-1837) სახელობის პრემია დასავლეთ გერმანიაში ყველაზე საპატიო ლიტერატურულ პრემიათაგანია.

გოეთეს შემდეგ გერმანულ დრამატურგიას გეორგ ბიუხნერმა შესძინა მსოფლიო რეზონანსი, რევოლუციური მასების მესიტყვემ, სიტყვაკაზმული მწერლობის ჯადოქარმა. სულ ოცდასამი წელი იცოცხლა გენიალურმა ჰაბუკმა — ბელეტრისტმა, პუბლიცისტმა, ფილოსოფოსმა, მედიცინის დოქტორმა. მისი მემკვიდრეობა ერთმა ტომმა დაიტია მთლიანად. ესაა ორი დრამა, კომედია, ნოველა, პოლიტიკური პამფლეტი, თარგმანები და პირადი მიმოწერა.

დრამა „დანტონის სიკვდილი“ ერთი ამოსუნთქვით, ხუთიოდ კვირაში დაწერა მშობლების სახლში პოლიციის დევნისაგან თავშეფარებულმა მწერალმა. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ წამოჭრილი ურთულესი სოციალურ-ეთიკური პრობლემები უნატიფესი მხატვრული ხერხებითაა აქ ხორცილებული.

დაუმთავრებელი დარჩა „უოცეკი“, დრამა „სადაც ავტორს სცენაზე გამოჰყავს აბსოლუტიზმის მიერ უზომოდ შევიწროებული, ადამიანურ უფლებათა წართმეული პლებეი. ნაწარმოების ბათოსი იმის მტკიცებაა, რომ დანაშაული სოციალურად დეტერმინირებულია. „რა აიძულებს ადამიანს, რომ იცრუოს, მოჰკლას, იჭურდოს?“...

კომედია „ლენა და ლეონსი“ გმირები ბიუხნერმა ჭუჭა სამთავროში დაასახლა (იმდროინდელი დაქუცმაცებული გერმანიის ციციქნა პროვინციის გროტესკულ-ბაროდიული ხატი). სხარტი და მოკლე, შექსპირული მანერით შემკული სცენები მაღიმალ ენაცვლებიან ერთმანეთს. ამქვეყნიურ საქმეთაგან რომანტიკული განდგომა უპირისპირდება ცრუ საზოგადოებრივ აქტიობას. ფეოდალურ-არისტოკრატიული მოცალეობის თანამდევნი მოწყენილობა „მეფის კარის ეტიკეტის უაზრობა, მარტივი, მაგრამ შთამბეჭდავი სასიყვარულო ინტრიგის ფონზე ფილიგრანული სინატიფით ნაძერწ სურათებში წარმოჩინდება.

ამჟამად ყველა გერმანულენოვან სახელმწიფოში, აგრეთვე დასავლეთის სხვა მრავალ ქვეყანაში აღინიშნება უაღრესად დიდი ინტერესი ბიუხნერის მხატვრული შემოქმედებისადმი. მისი დრამები და კომედია უდიდესი ტირაფებით ისტამბება, ითარგმნება, იღვმება სცენაზე. გეორგ ბიუხნერი ცოცხალი კლასიკოსია და მისი შემოქმედების თანამედროვე რეცეფცია თავის კვალს აჩნევს მსოფლიო ლიტერატურულ პროცესს.

მოქმედი პირნი



- პეტერი, პოპოს ქვეყნის მეფე
 - ლეონი, მეფისწული, ლენას დანიშნული ლენა, პიპის ქვეყნის მეფის ასული
 - ვალერიო
 - გუვერნანტი ქალი
 - გუვერნიორი
 - საზღოთუხუცესი
 - სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტი
 - კარის მოძღვარი
 - გუბერნატორი
 - მასწავლებელი
 - როზეტა
 - მსახურნი, სახელმწიფო მრჩეველნი
 - გლეხები და მისთ.

პირველი მოქმედება

ოი, მასხარავ, დიდებულო, სწორუპოვარო!
 კრელკრულ მოსასხამს ქვეყნად აბა რა დაედაროს!

პირველი სცენა

ბაღი

(ლეონი სკამლოგინზეა მისვენებული, იქვეა გუვერნიორი)

ლეონი: რა გნებავთ, ბატონო, ჩემგან? მეფისწულისთვის საკადრისი განსწავლა, განა? მაგრამ მე ისე ვარ საქმეში უელთამდე ჩაფლული, რომ ველარ ავუდივარ აბა მომხედეთ, — ჭერ არის და ამ ქვაზე სამას საშოცდაბუთჭერ უნდა დავაფურთხო. ხომ არ გიცდიათ? მოსინჯეთ ერთი, უებრო გართობა გამოდის. მერე — ამ ერთ მუკა სილას ხომ ხედავთ? (აიღებს სილას, მალლა აისერის და ხელის ზურგით დაიჭერს ისევე) ახლა ისევე გავანიავებ. რამდენი მარცვალი მექნება ამჭერად ხელზე? ლუწი თუ კენტი? რაო? გნებავთ ნაძლევი დავდოთ? წარმართი ბრძანდებით თუ ღვთის-მორწმუნე? მე საკუთარ თავს ვენაძლევები სულ მუდამ და ამასობაში მიდის მთელი დღე. დიდად დამავალებთ, ერთ ადამიანს თუ მაპოვნიებთ, ვინც არ დამწარდება და სანაძლეოს დამიღებს ხანდახან. კიდეც ისა მაქვს საფიქრალი, როგორ მოვაბერხო და ზემოდან დავიხედო საკუთარ თავზე. ნეტარ არიან საკუთარ თავზე დამხედავნი! აი, ესაა ერთ-ერთი ჩემი იდეალი. მაშინ ნაღდად მეშველებოდა. შემდეგ კი, — შემდეგ სხვა ათასი მისთანანი ფუქსავატი ვარ? საქმეებზე ხელაღებული...

- გუვერნიორი: ფრიად სამწუხაროა, თქვენო უმაღლესობავ.
- ლეონი: ხამი კვირაა, ღრუბლები სულ დახავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიფრინავენ, ამან შემყარა მელანქოლია.
- გუვერნიორი: დიდად საფუძვლიანი მელანქოლია გახლავთ.
- ლეონი: ადამიანო, სიტყვას რატომ არ მიბრუნებ? გადაუდებელი საქმეები გაქვთ, არა?

¹ უილიამ შექსპირი — „რას იტყვის ხალხი“. (თარგმანი მ. ქარჩავასი).

ვწუხვარ, ამდენ ხანს რომ დაგაყოვნეთ. (გუგერნიორი მდაბლად დაუტრავს თავს და გაშორდება). ბატონო ჩემო, თავის დაკვირის უამს, თქვენს უბნები მწიგნობრულ ფრჩხილებს დაემგვანა, მრგვალს და მშვენიერს, მოგილოცავთ.

ლემონსი: (მარტო, სკამლოგინზე გაინოტება) ზანტად ნისხდომია ფუტკარე უვადილს. მზის სხივები დედამიწაზე დათენთილი ათინათობენ. ამაზრზენს მოკვანდობაში დაისადგურა უველგან, უსაქმურობა დედა არის უოველგვარი მანკიერების. რას აღარ ხჩადის ადამიანი მოწყენილობის გადამკიდე! მოწყენის გამო უნივერსიტეტში სწავლობს ხალხი, ან ლოცულობს მოწყენის გამო: ადამიანს სიყვარულსა და ქორწინებას, გამრავლებას აიძულებს მოწყენილობა, დაბოლოს კაცი კვდება კიდევ მოწყენის გამო, უველაფერზე სასაცილო კი ისაა, რომ ამას უველაფერს მედიდური გამოშეტყველებით სჩადიან, რატომ? — თავადაც არ იციან და არც ღმერთმა უწყის, უოველი კაცი — ეს გმირები თუ გენიოსები, სულწაწყმედილნი, შტერები, გინდა წმინდანები, ოჯახის მამები, კრეშმარტი უსაქმურნე არიან მხოლოდ. მაშ რაღა მე ავიტკიო თავი ნეტავ შეშეძლოს, თავი მოვიდარბაისელო და იმ საცოდავ ტყინას ფრაკი ჩამოვაცვა, ხელში ქოლგა დავაჭერინო, რომ ზანონის კაცად, ქველად, თანაც ზნეკეთილად ვაქციო იგი მშურს ამ არხების, ახლა რომ გამეცალა, შურისაგან მზადა ვარ ჯოხით ვცემო. ნეტავ შეეძლოს ადამიანს სხვად უოფნა ერთხელ მაინც, თუნდ ერთი წუთით! (შემოდის შეზარხოშებული ვალერიო) როგორ დადის ეს კაცი. ნეტავ ვიცოდე, დედამიწის ზურგზე რამ შეიძლება მაიძულოს ფეხით გავლა.

ვალერიო: (ცხვირწინ აეტუხება მეფისწულს, თითს დაიდებს ცხვირზე და დააშტერდება). დიას!

ლემონსი: (იმავე ტონით) სწორია!

ვალერიო: გამიგეთ?

ლემონსი: სავსებით.

ვალერიო: მაშინ სხვა რამეზე ვისაუბროთ. (ბალახზე დაწეება) ამასობაში ბალახზე წამოვწვები, ცხვირს უვადილივით ამოვყოფ ბალახებში და რა განცხრომაში ვიქნები, როს ფუტკარები და კებლები მოპყვებიან ზედ ნანაობას, როგორც ვარდის ბურქზე.

ლემონსი: მაგრამ, ძვირფასო, ასე ნუ ქშინავთ, თორემ ფუტკარები და კებლები შემშლით დაინოცებიან, ამოდენა მტკერს რომ ისრუტავთ უვადილებიდან.

ვალერიო: ო, ბატონო ჩემო, რა განცდა მაქვს ბუნებისა. როგორ ბიბინებს ბალახის კაცი ინატრებს, ნეტავი ხარად მაქცია, ამ ბალახის მოძოვა რომ შეეძლოს, რათა შეშეძეს ისევ განვკაცდე და ხარს შევექცე, ამგვარი ბალახით გამძლარსო!

ლემონსი: უბედურო, გეტყობათ, თქვენც გაწუხებთ იდეალები.

ვალერიო: სავალალო: ნამდვილად! სამრეკლოდან ისე ვერ გადმოხტები, რომ კისერა არ მოიტეშო. ერთ კალათ აღუბალს კურკიანად თუ მიირთმევ, მუცლის გვრემა განადლებული გექნება. იცით ბატონო, მე შემიძლია კუთხეში მივჭდე და საღამოდან დილაამდე ვიმღერო: „აჰა, კედელზე დამჭდარა ბუზი, დამჭდარა ბუზი, დამჭდარა ბუზი!“ და ასე ჩემი ცხოვრების დასასრულამდე.

ლემონსი: ხმა ჩაიწყვიტე, შენი სიმღერა ადამიანს ჭკუიდან შეშლის.

ვალერიო: შეშლილიც ხომ კაცია. გიჟი გიჟი აბა ვის უნდა გამოცვალოს თავისი სიგიჟე ჩემს ჭკუაზე? ჰა, მე აღექსანდრე დიდი გახლავართ. თავს მიმკობს მზით დაფერილი ოქროს გვირგვინი, ხოლო ტანთ კი მუნდირი მშვენიის. კალიავ, ბატონო გენერალისიმუსო, მტერს მიუხიეთ თქვენი ღაშქარი მოიღეთ ფული, მეტურკლეთუბუცესო, უფალო ობობა — ჯვრიანავ! ჭრიჭინა — სეფექალო, ჩემო კარგო, რასა იქმს ჩემი ერთგული მეუღლე, კაკლისპოკა? ძვირფასო ბუზო — ესპანურავ, კარის ექიმო, ჯავრი მაქვს ერთი მეფისწულისა. ამ ჩინებული ფანტაზიების გული-სათვის წვნიანს მოგცემენ მშვენიერს, კარგ ხორცს, კარგ პურს, კარგ ლოგინს მოგართმევენ და თმებსაც უფასოდ მოგხოტრავენ — სადა და — საჯიუტეში. მე კი ჩემი საღი გონებით შევიძლებდი მხოლოდ აღუბლის დამწიფების დაჩქარებისათვის გემსახუროთ, რათა?...

ლემონსი: რომ აღუბლები სირცხვილისაგან გააწითლო შენი გამოხეული შარვლის შემხედ-

ვარე! მაგრამ, ჩემო კარგო, მითხარი შენი ხელობა, პროფესია, მოსაქმეობა, წოდება და ხელოვანება!

პალმერი: (ღარბაისლურად იტყვის) ბატონო ჩემო, დიდ მოღვაწეობას ვეწევი — მოცლილი დავდივარ. საოცრად ვარ გაწაფული უსაქმოებაში. კოლოსალურ ნაშრომებს ვაქვეყნებ მაქვს სიწარმაცისა. ჩემს ხელებს კოჭრების ნატამალიც არ [გაქვარებიან] დედაშიწას ჩემი შუბლიდან წვეთი ოფლიც არ მიპურებია, ჯერ ქალწული ვარ მუშაობაში. დიდ სახატელად რომ არ მიჩნდეს, გავირჩებოდი და უფრო წვრილად მოვახსენებდით ამ ღირსებათა შესახებ.

ლენა: (კომპიუტრი ენთუზიაზმის კილოზე) მოდი, უნდა გადაგეხვიო. ნუთუ იმ დღისნიერთაგანი ხარ. ვიეთნი შუბლნათელნი უწვალელებლად მიიკვლევენ ცხოვრების შარაგზას და ოფლი და მტვერი არ ეკარებათ და, მსგავსად უკვდავი ღმერთებისა, გაკრიალებული ფეხებით და გაფურჩქნული სხეულით ოლიმპოზე მიბრძანდებიან? მოდი, მოდი!

პალმერი: (მიღის და მიიმღერის). აბა, კედელზე დამჯდარა ბუზი, დამჯდარა ბუზი, დამჯდარა ბუზი! (ორივენი ხელგადახვეულნი გადიან).

მეორე სცენა

ოთახი

(პეტარ შეფეს ტანთ აცმევს ორი ფარეში)

პეტარი: (ჩაცმისას) კაცი უნდა ფიქრობდეს და მეც უნდა ვიფიქრო ჩემი ქვეშევრდომებისათვის, რადგან ისინი არ ფიქრობენ, ვერ ფიქრობენ. სუბსტანცია თავისთავად, ეს მე გახლავართ. (თითქმის მთლად შიშველი მიმოდის ოთახში) გაიგეთ? თავისთავად, ესე იგი თავისთავად, მიხვდი? ახლა წამოვა ჩემი ატრიბუტები, მოდი-ფიკაციები აფექტები და აქციდენციები: სადაა ჩემი პერანგი, ჩემი შარვალი? მოიცა, ფუჰ! აჰ, წინ სულ ღია დამრჩენია თავისუფალი ნება-სურვილი. სად შორალი და სად მანუეტები? კატეგორიები სამარცხვინოდ აირ-დაირია. ორი ღილი ზედმეტადაა შეკრული, სათუთუნე მარჯვენა ჯიბეში მიდევს. დაიმხხვრა ჩემი ფილოსოფიური სისტემა .ოი, რას მოასწავებს ეს ნასკვი ცხვირსახოცის კიდეზე? ბიჭო, რას ნიშნავს ეს კვანძი, რის გახსენებას ვაპირებდი?

პირველი ფარეში: როცა თქვენმა უდიდებულესობამ ამ კვანძის გამონახვეა ინება ცხვირსახოცში, თქვენ აპირებდით...

მეფე: რასა?

პირველი ფარეში: რალაციის გახსენებას.

მეფე: აბა, შენ რას ფიქრობ?

მეორე ფარეში: თქვენი უდიდებულესობა რალაციის გახსენებას აპირებდა, როცა ინება ამ კვანძის გამოსკვნა ცხვირსახოცში.

მეფე: (ბოლთას სცემს) ადამიანები თავჯახს მიბნევენ, შეტირვებას განვიცდი, ფრიადს. არ ვიცი, რა ვქნა. (შენიღის მსახური).

მსახური: თქვენო უდიდებულესობავ, სახელმწიფო საბჭო შეკრებილია.

პეტარი: (გაეხარდება) მო, მართლა, მართლა: ჩემი ხალხი მინდოდა გამეხსენებინა. წამობრძანდით, ბატონებო! სიმეტრიულად დაეწყვეთ. ძალიან ხომ არ ჩამოცხა? ამოიღეთ ცხვირსახოცები და სახე მოიწმინდეთ. საჯაროდ როცა გამოვდივარ, მუდამ ასე დარცხვენილი ვარ ხოლმე. (ყველა გადის).

მეფე პეტარი. სახელმწიფო საბჭო.

პეტარი: ძვირფასებო და ერთგულნო ჩემნო, მინდოდა თქვენთვის შეთქვა, შემეტყობინებინა, რომ ჩემი ვაჟიშვილი ან შეირთავს ცოლს ან არა... (ცხვირზე მიიდებს ხელს) ან მო და ან არა — ხომ გამიგეთ, არა? შესამე ვჯა არ არსებობს. ადამიანმა უნდა იფიქროს.

(მცირე ხანს დაფიქრებული გაჩერდება)

ახე ხმამაღლა რომ ვლაპარაკობ, მაშინ არც ვიცი, სინამდვილეში ვინაა მოქმედი, მე, თუ ვინმე სხვა; და ეს მაშინებს. (დიდი ხნის ფიქრის შემდეგ) რას ფიქრობთ ამაზე „ბატონო პრეზიდენტო“?

პრეზიდენტი: (ღიწი და საზეიმო ტონით) თქვენო უდიდებულესობავ იქნებ მართლაც ასეა, მაგრამ იქნებ არცაა ასე.

პაპი: (გულაჩუყებული) ო, ჩემო ბრძენო! მაშ რაზე ვსაუბრობდი? რაზეა საუბარი? პრეზიდენტო, რატომ ვერაფერს იხსომებ, ამ საზეიმო ~~საზეიმო~~ საზეიმო დახურულია (ცერემონიული ნაბიჯით გადის, მთელი სახელმწიფო საბჭო თან გაჰყვება)

მესამე სცენა

მდიდრულად მორთულ დარბაზს სანთლები ანათებენ.

(ლეონსი და რამოდენიმე მსახური).

ლეონსი: ყველა დარბაზი დახურულია? ანთებთ სანთლები! მომავორეთ დღის სინათლე! დავემწყურებო, კუნაპეტი, ღვთიური დავეი დადგით შანდლები მინის ზუფქვეშ ოლეანდრთა შორის, დაე შეოცნებე ქალის თვალისთვის იმზირებოდნენ ფოთოლთა წამწამებიდან. გადმოსწიეთ ვარდები აქეთ, რომ ღვინო, თასიდან გადმოდვრილი, ცვარნამივით ვაკურთხოთ კოკორს. მუსიკა! სადაა ვიოლინო? როზეტა სადღაა? ახლა კი გამეცადეთ, სუყველა გადით! (მსახური გადის, ლეონსი დივანზე გაიშორება) შემოდის კოხტად მორთული როზეტა, შორიდან მოისმის მუსიკა.

როზეტა: (შიუახლოვდება და მოფერებით ეტყვის) ლეონს!

ლეონსი: როზეტა!

როზეტა: ლეონს!

ლეონსი: როზეტა!

როზეტა: შენი ტუჩები მოდუნებულა. კოცნისაგან?

ლეონსი: მთქნარების გამო!

როზეტა: ოჰ!

ლეონსი: ახ, როზეტა, მე საშინელი სამუშაო მაქვს...

როზეტა: მაინც?

ლეონსი: უსაქმობა!

როზეტა: მერე სიყვარული?

ლეონსი: ეს ხომ საქმეა!

როზეტა: (წყენით) ლეონს!

ლეონსი: თუ საქმიანობა.

როზეტა: თუ მოცლილობა.

ლეონსი: შენ მართალი ხარ, როგორც ყოველთვის. ჭკვიანი გოგო ხარ, დიდად ვაფასებ შენს გამჭრიახობას.

როზეტა: მაშ მოწყენის გამო შემიყვარე?

ლეონსი: არა, მოწყენილი იმიტომ ვარ, რომ შენ მიყვარხარ. თუმცა ჩემი მოწყენილობაც შენსავით მიყვარს. თქვენ ერთნი ხართ: O, dolce far niente! მე შენს თვალეში მელანდებდა წყარო საოცარი და იდუმალი, შენთა ბაგეთა მოფერება თვლემასა მგვრის, ვით ტალღების ტლაშუნი. (ხელს მოხვევს ქალს) მოდი, ძვირფასო მოწყენილობავ, შენი კოცნა მთქნარებაა ვნებიანი, შენი ნაბიჯი კი — მაჯამა დაუნჯებული.

როზეტა: გიყვარვარ, ლეონს?

ლეონსი: ო, რატომაც არა?

როზეტა: სამარადეთამოდ?

ლეონსი: გრძელი სიტყვაა — სამარადეთამოდ! კიდევ რომ ხუთი ათასი წელი და შეიძლი თვე

¹ ჰოი, ტკბილო მოცალეობავ! (იტალ.)

მიყვარდე, კმარა? მარადისობასთან შედარებით ეს მართალია, ცოტაა, მაგრამ, ჩვენ მოვასწრებთ და ერთმანეთს მოვისიყვარულებთ.

როზეტა: ანდა დროის მსვლელობა თან წაიღებს სიყვარულს.

ლეონი: ან სიყვარული წაგვართმევს დროს. იცეკვე, როზეტა, იცეკვე, რომ დრო აშუავებს ტაქტს შენი კობტა ფეხებისა.

როზეტა: ნეტავ შემეძლოს, რომ დროს გავექცე ამ ფეხებით. (იცეკვებს და ტანს მღერის)



ო, მიდით, ჩემო დაღლილო ფეხნო,
იცეკვეთ ჭრელი ფეხსაცმელებით,
მე კი ჯობს ვიწვე ღრმად, ცივ მიწაში,
გულდაკრეფილი მქონდეს ხელები.

ო, დაწვნო ჩემნო, უნდა ღვიოდეთ,
მგზნებარ აღერსში განდევნოთ დარდი,
ისე კი აღბათ გიქობთ ჰყვოდეთ,
ვით ორი თეთრი, ქათქათა ვარდი.

ო, შესაბრალო ჩემო თვალებო,
ხანთლის აღებზე უნდა იბრწყინოთ,
თუმც ვირჩევნიათ ტკივილთა გამო
თქვენც სიბნელეში გამოიძინოთ.

ლეონი: (ფიქრებში წასული, თავისთვის) ჩანავლებული სიყვარული ახლად ჩასახულზე უფრო ღამაზია. მე რომელი ვარ, ნადიმობის ეამს დესერტად მორთმეული მზეთუნახავი მხეველები რომინებენ მოახლოებულ სიკვდილისაგან ფერდაკარგულნი. როგორ კრთება მათ დაწვებზე ვარდის ფერი, ნელიად ჰქრება შუქი მათ თვალებში, თანდათან ცხრება მღელვარება მათი სხეულის. მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო საყვარელო, მე მსურს შენს ცხედარს მივეფერო. (როზეტა ისევ მიუახლოვდება ვაჟს). რას იცრემლები, როზეტა? ეპიკურეს დიდი მიმდევარი უნდა იყო, ტირილი რომ შეძლო. მზეზე დადექი, რომ ეს ძვირფასი ცრემლები გამოკრისტალდნენ და ბრილიანტებად გამობრწყინდნენ. მშვენიერი ყელსაბაძი გამოვა შენთვის.

როზეტა: კარგი რამ ბრილიანტებია, თვალები მეწვის. ახ, ლეონს! (ვაჟის მოხვევას დააპირებს)

ლეონი: ფრთხილად, თავი! ჩვენი სიყვარული მანდ არის დამარხული. აბა ჩამხედე თვალებში, სულის ხარკეში. ხედავ, ამურს ორი თეთრი ვარდი უმკობს დაწვსა და ორი წითელი კი გულზე აქვს დადებული. თუ შემარხევ, ფრთები მოტყდება, ცოცხაა. თავი სწორად უნდა მეჭიროს, როგორც მეკუბოცს ბავშვის კუბო.

როზეტა: (ხუმრობით) შე სულელო!

ლეონი: როზეტა! (როზეტა დაეჯღანება) მადლობა ღმერთს! (თვალებზე ხელს აიფარებს)

როზეტა: (შეშინებული) ლეონს, მომხედე!

ლეონი: არაფრის გულისათვის!

როზეტა: ერთხელ შემხედე!

ლეონი: არც ერთხელ! თავად განსაჯე — სულ ცოტა და ისევ გაჩნდება ჩემი შენდამი სიყვარული. მე კი მოხარული ვარ, რომ იგი დავასამარე. მინდა კეთილი მოგონება შემოვიწინხო.

როზეტა: (დანადვლიანებული ნელი ნაბიჯით გამორდება. გასვლისას მღერის)

ვარ შესაბრალო ობოლი ერთი,
შიშით ვატარებ ჩემს ეულ დღეთა,
ო, მწუხარებავ, ნუთუ არ გინდა
წამომყევ სახლში, დასახლდი ჩემთან!

ლეონი: (მარტო) უცნაური რამაა სიყვარული. მთელი წელიწადი ძილფხიზლობ ლოგინში და ერთ მშვენიერ დილას გამოიღვიძებ, ერთ კიქა წყალს დაღევ, ტანთ ჩაიცვამ, შუბლზე ხელს გადაისვამ და გომს მოეგები, გონს მოეგები! ღმერთო, რამდენი

ქალია საჭირო, რომ სიყვარულის გამები მთელი სისხვსით შეასრულო ერთი ქალი
ნომ ძლივს იქნება ერთი ტონის სადარი რატომ ხდება, რომ სიყვე
მგზნებარე სიყვარულის ნათლის ხვეტს გარდატეხს და ციხარტუილად გარდაქ-
მნის? (სვამს) რომელ ყვავილშია ის ნექტარი, დღეს რომ დამართობს? ნუთუ
ამასაც ვერ მოვახერხებ? თითქოს ჰაერის ტუმბო შექაჩება. სუსხიანია გაიშვია-
თებული ჰაერი და ისე გავითოშე, ვითომ ზატაურის საცულის აზარა მერბინოს
ციგურებით. მოგეხსენებათ, ბატონო, რას წარმოადგენენ ქალიგულა და ნერონი?
მე კი ვიცი. მოდი, ერთი მონოლოგი გვითხარი, ლეონს, მე მოგიხსენ. ჩემი ცხოვ-
რება მთქნარებით მეღის, ვით თეთრი, დაუწერელი თაბახი და მე უნდა შევავსო
იგი, მაგრამ ჯერ ერთი ასოც ვერ გამოვიყვანე. ჩემი თავი დაცარიელებულ სა-
ცეკვლო დარბაზს მოგაგვს, ძირს ორიოდ მქნარი ყვავილი და დაქმუქნული ზო-
ნარია მიმოხნეული, კუთხეში ვილინოა გახზარული, უკანასკნელ მოცეკვავეებს
ნიღბები ჩამოუხსნიათ და უსიცოცხლო მწერით შეჭურებენ ერთმანეთს. დღეში
ოცდაოთხჯერ ვბრუნდები ხოლმე წაღმა-უკუღმა. შევისწავლე ჩემი თავი. წინასწარ
ვიცი, რაზე ვიფიქრებ და ვიოცნებებ თბუთმეტი წუთის, რვა დღის ან ნახევარი
წლის შემდეგ. რა დაგიშავე, ღმერთო, რომ სკოლის მოწაფესავით გაკვეთილებს
მამეორებინებ გაუთავებლად? ბრავო, ლეონს! ყოჩაღ! (ტაშს დაუკრავს).
დიდად მსიამოვნებს, ასე რომ შევეუძახებ ხოლმე თავს. აბა, ლეონს! ლეონს!

ვალერიო: (მაგიდის ქვეშეიდან გამოძვრება) თქვენო უმაღლესობავ, დიდებული მასხარა გა-
მოვა თქვენგან ასე თუ განაგრძობთ.

ლეონსი: დიან, მართალი ვითხრათ, მეც ასე მგონია.

ვალერიო: მოითმინეთ მოდით, ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს ამბავი. ოღონდ
ჯერ მწვადის ნაჭერს გვახლებით, სამზარეულოდან აწაპნილსა და თქვენი სუფ-
რიდან მოპარულ ღვინოს დავაყოლებ ცოტაოდენს ახლავე მოვრჩები.

ლეონსი: რას ახრამუნებსს ეს უშაწვილი იდილიურ გრძნობებს აღმიძრავს, უბრალოზე უბ-
რალო რამ მომესურვა — რომ ყველს შევექცე, ლუდი ვწრუპო და თამბაქო
მოვწიო. აქედან დამეკარგე! ნუ ღრუტუნებ, დინგს ნუ აცეცებ და მაგ ღრჯო-
ლებს ნუ აღრჭიალებ!

ვალერიო: ძვირფასო აღონის, ფეხები ხომ არ აგეწვიათ? ნუ გეშინიათ, მე არც შეეწოვე ვარ
და არც მასწავლებელი და არა მჭირდება წნელი წკებლისთვის.

ლეონსი: ვალში არავის დარჩები!

ვალერიო: ვისურვებდი, რომ ჩემი ბატონიც ასე იყო.

ლეონსი: მგონი, შეგეშინდა გაჯობვისა ახე შეგაწუნა ზრდილობამ?

ვალერიო: ღმერთმანი, ჯობს კაცი არც ჩაისახოს, ვიდრე კეთილი აღწრდა დაისახოს. გაგახა-
ცოდავებს სხვათა შეცოდება. რამდენი კვირა მალოდინა, ვიდრე დედაჩემი მო-
ლოგინდა! აბა ამ ქვეყანამ კარგი რა მიყო, მას შემდეგ, რაც დედაჩემმა მუც-
ლად მიღო?

ლეონსი: გიჯობს მგრძნობელობაზე ლაპარაკს თავი ანებო, თორემ მოგხვდება. სიტყვები გა-
მორჩეულად იხმარე, თორემ ბეჭები აგეწვება და შთაბეჭდილება წაგიხდება.

ვალერიო: როცა დედაჩემი კეთილი იმედის ყურეში დაცურავდა...

ლეონსი: და მამაშენის გემი რქის კონცხთან დაიმხხვრა...

ვალერიო: სწორედ მაშინ გახდა მამა ღამის დარაჯი. მაგრამ რქას იგი ყანწად ხმარობდა და
ბაგეებით ეწაფებოდა, კეთილშობილ უშაწვილთა მამები კი შუბლს იშკობდნენ.

ლეონსი: ადამიანო, შენ უღვთოდ ურცხვი ვინმე უოფალხარ და ამისათვის მინდა მოგდგე და
ერთი კარგად მიგბეგვო.

ვალერიო: მართლაც დარტყმით პასუხია, საფუძვლიანად დასაბუთებული.

ლეონსი: (გამოეკიდება) თუ შენა ხარ საფუძვლიანი დარტყმის ღირსი, ამიტომაც შენი პასუ-
ხის წილ დაგაძვალრბილებ.

ვალერიო: (გაეკცევა, ლეონსი ფეხს წამოსდებს რაღაცას და წაიქცევა) თქვენ კი ისეთი
საფუძველი ბრძანებულხართ, მტკაცებებს რომ საჭიროებს, რადგან საკუთარმა
ფეხებმა წაგაქციათ, რანიც, არსებითად, კვლავ გამაგრებას საჭიროებენ. ფრიად
უმართებულო კანჭებია დიდათ პრობლემატური ბარძაყისა.

(შემოდინან სახელმწიფო საბჭოს წევრები. ლეონსი იატაკზე დამქდარი დარჩება,
იქვეა ვალერიო)

პრეზიდენტი: გვაპატიეთ, თქვენო უმაღლესობავ...

ლომსი: საკუთარ თავს, საკუთარ თავს უნდა მივუტევო გულკეთილობა, ყურს რომ გივლებთ. დაბრძანდით, ბატონებო, ადგილები დაიკავეთ. ამით სახეებს დამიხედეთ „ადგილის“ ხსენებაზე. მიწაზე დაბრძანდით, ნუ გერიდებათ. ოდესმე აქ აქ უნდა დაიდოს ადგილი, თუმცა თქვენ ვერაფერს იხვირებთ, შესაფლავებენ და უნდა დადგინდეს.

პრეზიდენტი: (დაინოცხვებს და თითებს ატაკუნებს) რა გნებავთ, უქველავი უმადლოება...

ლომსი: თითების ტაკუნს თავი ანებეთ, თუ არ გინდათ, რომ კაცის მკვლელად მაქციოს!

პრეზიდენტი: (თითების ტაკუნს მოუმატებს) იქნებ ანებოთ, და ყურად იღოთ...

ლომსი: ო, ღმერთო, ჭიბეში ჩაიწყვეთ ეს ხელები, ანდა ზედ მაინც დააჭექით. სულ აებნა თავგზა ადამიანს, დამშვიდდით!

ვალერიო: ბავშვს ფიში არ უნდა შეაწყვეტინო, თორემ შეკავება დაემართება.

ლომსი: ვაჟაკო, მხნეობა მოიკრიბეთ, გაიხსენეთ თქვენი ოჯახი და სახელმწიფო. თორემ ვაითუ ხისხლი ჩაგექცეთ, მეტყველება რომ დაგიბრუნდებათ.

პრეზიდენტი: (ჭიბიდან ქალაქს ამოიღებს)

ლომსი: ნუთუ მართლა დაგიბრუნდათ კითხვის უნარი? აბა ერთი...

პრეზიდენტი: მისმა უდიდებულესობამ, ხელმწიფემ ინება თქვენი უმაღლესობისათვის გვეცნობებინა: ხვალ მოელიან პიპის ქვეყნის მეფის ასულის, უავგუსტოესი თქვენი საცოლდე-დანიშნულის ჩამობრძანებას.

ლომსი: თუ საცოლდე შელოდება, წადილს ავუსრულებ და ვალოდინებ. გუშინდამ მეზმანა — თვალები მქონდა იმოღენა, რომ ჩემი როზეტას საბალეტო ფეხსაცმელი ზედ წარბებად მოერგებოდა და ლოყებზე ფოსოების მაგივრად თითქოს სიცილის გამყინავი ორმოები აჩნდა. თქვენც თუ ხედავთ სიზმრებს, ბატონო პრეზიდენტო? წინასწარ განკვერეტის უნარიცა გაქვთ?

პრეზიდენტი: რა თქმა უნდა. ყოველთვის ღამე ვიგრძნობ ხოლმე, რომ მომდევნო დღეს მწვადი დაიწვის, ყვერული მოკვდება. ანდა მეფეს მუცლის გვრემა აუტყდება.

ვალერიო: თქვენ, მგონი, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდით და ბარემ ამოთქვით ყველაფერი.

პრეზიდენტი: ქორწინების დღეს უმაღლეს ნება-სურვილს განზრახული აქვს თვისი ნება-სურვილის უმაღლესი გამოხატულებანი თქვენს უმაღლესობას გადააბაროს.

ლომსი: გადაეცით იმ უმაღლეს ნება-სურვილს, რომ მე ყველაფერს მოვიმოქმედებ, გარდა იმისა, რასაც ვერ ვიზამ და, რაიც ეგზომ ბევრი როდი იქნება, რომ ორჯერ შეტი არ გამოვიდეს. ბატონებო, მომიტევეთ, რომ ვერ გაცილებთ ამ წუთში დაჯლომის დიდი სურვილი დამეუფლა, თუმცა მოწყალება ჩემეული იმდენად დიდია, რომ ფეხებით არ განიზომება. (ფეხებს გაჩაჩხავს) ბატონო პრეზიდენტო ზომა აიღეთ, შემდგომ ჩემდა მოსაგონებლად. ვალერიო, გააცილეთ ბატონები!

ვალერიო: გავაცილო თუ აქედან მოგაცილო? ეშვანი ხომ არ ჩამოვკიდო ბატონ პრეზიდენტს! დაოთხილი ვაცუნცულო?

ლომსი: ადამიანო, შენ თავიდან ბოლომდე სიტყვის უგვანი თამაში ხარ. ეტყობა არც დედა და არცა მამა არ გაგაჩნია, ხუთი ხმოვნის თანახმოვნებამ გაგაჩინა.

ვალერიო: თქვენ კი, მეფისწულო, წიგნი ხართ დაუწერელი, სადაც მხოლოდ მრავალწერტილია, ახლა მობრძანდით, ბატონებო! მინდა მოგახსენოთ, რა საშინელ ცნებებსა კქმნის სიტყვა „სვლა“. თუ კაცმა შემოსავალი მოინდომა, — უნდა იქურდოს. აღმასვლაზე ფიქრიც კი ჩვენთან თავს მოაკვლევინებს ადამიანს იმთავითვე. წიაღსვლა ბოლოს იმით თავდება, რომ მიწის წიაღ წავიდებენ; სიტყვის გადასვლა კვიან კაცს მაშინ ეგების, როცა სიტყვა აღარ მოსდევს, როგორც ახლა მე დამემართა და თქვენც მოგდით ხოლმე. თქვენ მოსავალი უკვე მოინაგრეთ და ახლა გათხოვთ მოძებნოთ გასავალი! (სახელმწიფო საბჭოს წევრები და ვალერიო ვიდრან)

ლომსი: (მარტოა) რაინდი არ იკადრებდა და ასე საძაგლად არ მოექცეოდა ამ საცოდავებს. თუმცა ზოგი ხისაძაგლე ხანდახან კიდევ გასიამოვნებს. მში დაქვორწინდე? ეს იგივეა, რომ დიდი ქა სვა და დააშრო. მოი, შენდი, ბებერო შენდი, ვინ მაჩუქა შენი ხაათი? (ვალერიო შემოდის) აბ, ვალერიო, გესმოდა, ჩემი?

ვალერიო: ესე იგი გაგამეფებენ. მხიარული საქმიანობა გამოვა. მოისურვებ და მთელი დღე ეტლით ისეირნებ, იმდენჯერ მოახდევინებ ხალხს ქუდებს, ვიდრე არ გაუსვდეთ.

ბათ. წესიერი ადამიანებისაგან რიგიან ქარისკაცებს გამოიყვან სულ ადვილად. შავფრაცოსნებს და თეთრუელსაბვევიანებს სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენებ. როცა მეფე გარდაიცვლება, გაკრიალებულ მელოტებს კუჭის ფერი გადაედებათ. წარის თოკები ნართივით დაწყდება ბევრი რეკვისაგან. განა თავსე საკცივი არ არის?

ლემონსი: ვალერიო! ვალერიო! საქმე სხვაგვარად უნდა წარვმართოთ. შენ რას გიჩვენებ? ვალერიო: ჰო, მეცნიერება, მეცნიერება! უნდა გავმეცნიერდეთ. A priori? თუ a posteriori?

ლემონსი: ამას ბატონი მამაჩემისაგან ვისწავლი; ხოლო a posterior-ით ყველაფერი ასე იწყება: იყო და არა იყო რა.

ვალერიო: მაშინ გმირებად გადავიქცეთი (ფეხის ბრახუნით ქარისკაცულ სიარულს მოჰყვება, თან საყვირს უკრავს და დოლს აბრახუნებს). ბაბ ,ბუბ, ბაბ, ბუბ!

ლემონსი: მაგრამ გმირობას რახისა და ტრაბანის ხუნი ახდის, მერე ციებცხელება და ლაზარეთი, თანაც რეკრუტებსა და ლეიტენანტებს ხაჭირობს. ჩანდაბას წაუღია შენი ალექსანდრესა და ნაპოლეონის რომანტიკა!

ვალერიო: მაშინ ,მოდი, გენიოსები გავხდეთ!

ლემონსი: პოეზიის ბუღბუღი გინდა მთელი დღე თავზე დაგვეფუდეს, შაინც, — ვიდრე კალამს მელანში ამოვავლებთ და ფუნჯს — საღებავში, — ხელიდან გვისხლტება ხოლმე უნაწესი და უტკბესი ტონი და ფერი.

ვალერიო: მოდი, მაშინ ადამიანთა საზოგადოების სასარგებლო წევრები გავხდეთ!

ლემონსი: უმალ ხელს ავიღებ ადამიანობაზე საერთოდ!

ვალერიო: მაშინ ეშმაკს მივებაროთ!

ლემონსი: ო, ეშმაკი ხომ კონტრასტის გულისათვისაა, ზეციერის არსებობა რომ მიგვანიშნოს. (წამოხტება)

შეი, ვალერიო, ახლა კი მივხვდი! გესმის სამხრეთის ქარის ქროლვა? გრძნობ, როგორ ღვივის და თან ლივლივებს მუქ-ლურჯი ეთერი? ნათლის სვეტი დასდგომია ოქროსვარაუიან, მზისფერ მიწას, მადლმოსილ ზღვას, მარმარილოს სვეტებიან და ქანდაკებებით შემკულ სასახლეებს. ჩასძინებია ფავნს, ჩრდილ-დაფენილ ბრინჯაოს ფიფურებსაც რული მომგვარა ტალღების ტლაშუნმა. ჰოდა, ეშმანებათ ვირგილიუსი, ძველი ჯადოქარი, ტარანტელა და ტამბურინი, შფოთიანი, უკუნი დამეები — გიტარები, ნიღბები, მაშხალები, ლაზარონი, ვალერიო, ლაზარონი! იტალიას გავემგზავროთ!

გერბი სცენა

ბაღი

მეფის ასული ლენა საპატარძლოდ მორთულ-მოკაზმული. გუვერნანტი ქალი

ლენა: ამასაც მოვესწარი. ადრე არაფერი მადარდებდა, დრო გავიდა და უცერად მომადგა კარზე ეს დღე. თავი სადღეღოფლო გვირგვინით შემიმკეს. ო, ეს წარები, წარები! (უკან გადაიხრება და თვალს დახუჭავს)

მომხედეთ! ნეტავ ბალახი იზრდებოდეს ჩემს სხეულზე და ფუტკრები დამფრენდნენ თავზე. ხედავ, უკვე ჩაცმული ვარ და როზმარინის რტო მაქვს თმაში ჩაწნული. ხომ იცი ძველებური სიმღერა:

აკვნის ჩვილივით ვიყო ნეტარმედ,
საყდრის ეზოში საფლავს მდებარე.

გუვერნანტი ქალი: საბრალო ბავშვო, რა ფერმკრთალი ხარ ამ ბრწყინვალე პატროსანი თვლების ფონზე!

ლენა: ო, ღმერთო, რად არ მომივლინე სიყვარულის მარტოდმარტო დავიარები და მომმადლე

1 ი. კანტის ტერმინოლოგიის კომპიურ-აბსურდული გამოყენება.

ერთი ძლიერი ხელი, რომ შემეშველოს და არ გამიშვას. ვიდრე მესუდრე გულზე არ დამიკრფის ორივე ხელს. რად ცდილობენ, რომ შეაკავშირონ რაი ხელი, რომელთ არც უძებნიათ ერთმანეთი. რა დააშავა ჩემმა საბრალო ხელმა? (ბეჭედს მოიძრობს თითიდან) ასპიტივით მჩხვლევს.



გუშვარნანტი ქაღი: ვაჟზე ამბობენ, ნამდვილი დონ კარლოსიაო.

ლენა: მაგრამ, კაცი...

გუშვარნანტი ქაღი: მერე?

ლენა: ვინც მე არ მიყვარს. (წამოდგება)

ხომ ხედავ, მრცხვენია. ხვალ განქარდება მთელი ჩემი ნელსაცხებელი და ჩაქრება ბრწყინვალეობა. ნუთუ წყარო ვარ, უმწეო და საცოდავი, რომელმაც სპეტაკ გულზე უნდა გამოიხატოს ყოველი, ვინც შიგ ჩაიხედავს? უვავილები სურვილისამებრ გაუფურჩქნიან თავიანთ ბუტყოს დილის მზეს და განარიდებენ ქარს — საღამო-უამს. მეფის ასული რითაა უვავილზე ნაკლები?

გუშვარნანტი ქაღი: ჩემო ანგელოხო, შენ კრავი ხარ სამსხვერპლო, ჭეშმარიტად!

ლენა: მართლაც, და აი აღმართა ქურუმმა დანა. ღმერთო, ღმერთო ჩემო, ნუთუ ტანჯვით უნდა დავიმკვიდროთ სასუფეველი? ჭეშმარიტია, რომ სამყარო ჭვარცმულ მაცხოვარს წარმოადგენს, მზე — გვირგვინს ეკლიანს, ხოლო ვარსკვლავები — ღურს-მნები და შუბები მის ტან-ფეხზე!

გუშვარნანტი ქაღი: შვილო, შვილო! თვალები მტკივა შენს დანახვაზე! ამ ყოფას ვეღარ გაუძლებ, მომიკვდები. მაგრამ, იქნებ... ვინ იცის? ერთი რამე მოვიფიქრე, ენახოთ! წამოდი! (თან წაიყვანს მეფის ასულს).

მეორე მოქმედება

როგორ აღდგრა ხმა იღუმალი,
ამღერდა, გულში რაც კი მებადა,
და წაიშალა კვალი ყოველი
წარსულ დღეების მოგონებათა.
ადალბერტ ფონ შამისო

პირველი სცენა

ტრიალი მინდორი, უკანა მხარეს მოჩანს ფუნდუკი.
შემოდინს ლეონსი და ვალერიო ბარგით.

ვალერიო: (აქოშინებული) სინდისს გეფიცებით, მეფისწულს, სამყარო გრანდიოზული სი-დიდის ნაგებობაა ნამდვილად.

ლეონსი: არა და არა! მე ხელების გაშლასაც კი ვერა ვბედავ, როგორც სარკიან, ვიწრო ოთახში, ვშიშობ, სადღაც მომიხვდება და მშვენიერი ხატები დაწაღუწით ჩამოცვივან, და მე შემოძარცული, შიშველი კედლის პირისპირ აღმოვჩნდები.

ვალერიო: დავილუპები!

ლეონსი: არც დამკარგავი მოგინაკლისებს და ვერც მოვწეღს შემმატებ რასმე!

ვალერიო: ამიერიდან ჩემი აჩრდილის ჩრდილს ამოვეფარები.

ლეონსი: მაშინ შენი სხეული მზეზე მთლიანად აქროლდება. ხედავ, მაღლა იმ ლამაზ ღრუბელს? შენზე ოთხჯერ მცირე მაინც იქნება და — ქედმაღლურად თვითკმაყოფილი გადმოსცქერის უხეშ მატერიალურ სუბსტანციას შენსას.

ვალერიო: რას დაგაკლებდათ ეს ღრუბელი, წვეთ-წვეთობით რომ თავზე დაგხშმოდათ. დიდებული მიხვედრათ ჩვენ კისრისტებით გავირბინეთ ათიოდ სამთავრო, ხუთიოდ დიდი სამერცოგო და ორიოდ სამეფო; ნახევარ დღეში, — და თურმე იმიტომ, რომ გამეფებას და მეფის ტურფა ასულზე დაე რწინებას ვიპირებენ. რაღა გაცოცხლებთ ამ პირობებში? არ მესმის, ბედს რატომ დამორჩილდით, რატომ დარიშხანი არ დალიეთ, სამრეკლოდან არ გადმოხტით, ან ტყვია არ იყარით შუბლში, ტყვია ნაღლია.

ლეონსი: იდელებს რაღა ვუყო, ვალერიო. გულით ვატარებ ერთი ასულის იდეალს და უნდა მოვძებნო. იგი უსაზღვროდ მშვენიერია და უსაშველოდ უპკუო. მისი სიტურ-
ფე უმწეოა და გულის ამაჩუყებელი. ახალდაბადებული ბავშვივით, ჩინებული
კონტრასტი არ არის? — არამქვეყნიური. — შტერი თვალები, ღვთაური და გუ-
ღუბრყვილო პირი, ცხვირისცხვირიანი ბერძნული პროფილი და ხულიერი სიდა-
რიელე გონებადაბული სხეულია.

ვალერიო: ეშმაკმა დალაზვროს! ისევ ხაზღვარს მოვადექით! ეს საბუნებისმეტყველო სახეა —
ცარიელი გარსებია, თუ ერთმანეთში ჩაწყობილი კოლოფები — უველაზე დიდი
გარსის ქვეშ კოლოფია და უველაზე პატარა ცარიელია. (ბარგი-ბარხანის მიწაზე
დააგდებს). ეს ფუთა საფლაფში ჩამიყვანს და ძეგლად გადამეფარება. ფილო-
სოფიური განწყობა მეუფლება, ჩემო პრინცო. რაა კაცის ცხოვრება! ტვირთ-
მძიმე მივაბიჭებ, ფეხებდახეთქილი, უინვასა და პაპანაქებაში, რომ საღამოუამს
სუფთა პერანგი ჩავიცვა, ხოლო როს დამისაღამოვდება, შუბლს ნაოკები დამიღა-
რავს, ლოყები ჩამიცვივდება, თვალის ჩინი წამერთმევა და პერანგის ნაცვლად
სუდარას ჩამაცმევინ. კარგი იყო კეუა მებმარა, კვერთხიდან ფუთა ჩამომეხსნა და
პირველსავე დუქანში ფულად შექცია, დავმთვრალიყავ და ჩრდილში დამეძინა
ვიდრე საღამომდე; ხომ გადავრჩებოდი კოფრებსა და ოფლის მოწურვას. ახლა კი
პრინცო, პრაქტიკულ საქმიანობაზე გადავიდეთ: სირცხვილის გულისათვის ადა-
მიანის სულის ხვეულებიც ტანსაბურველით უნდა შევმოსოთ. (ორივე გაეშურება
ფუნდუკისაკენ) ო, ფუთავ, ჩემო საფიცარო, რა ხანუკვარი ხურნელი მოგვდის,
ღვინის თაიგულისა და მწვადის ომშივარი. ჩემო შარვლო, ფესვი გაიდგი ამ მი-
წაში ვაზივით, ამწვანდი და აყვავდი, მოზრდილი მტევნები დაისხი, რომ დავ-
წუროთ და მაჭარი დავადულოთ. (გაღიან. შემოდინ მეფის ასული ლენა და გუ-
ვერნანტი ქალი).

გუვერნანტი ქალი: დღევანდელი დღე მოუჩადოებიათ თითქოს, მზე ჩახვლას აღარ აპირებს;
ჩვენი გამოქცევიდან კი უსასრულოდ დიდი დრო გამოხდა.

ლენა: არა, ჩემო კარგო, დამშვიდობებისას ბაღში დაკრეფილი ყვავილები ჭერაც არ დამჭ-
კნარა.

გუვერნანტი ქალი: დღევანდელი დღე მოუჩადოებიათ თითქოს, მზე ჩახვლას აღარ აპირებს;
ჩანს არც მეუდაბნოე და არც მწყემსი.

ლენა: უველაფერი სულ სხვაგვარად გვესახებოდა ჩვენი ბაღის გაღავანს მიღმა, როცა წიგნებს
ჩაკვირვებდით ოღენდრის და მირტების ჩრდილქვეშ.

გუვერნანტი ქალი: ოი, საზარელია ეს ქვეყანა. მოხეტიალე მეფისწულზე ფიქრიც არა
ღირს.

ლენა: არა, ქვეყანა მშვენიერია და ვრცელი, უსასრულოდ ვრცელი. ასე მინდა ვიარო და ვი-
არო, დღე და ღამე; გარინდულია უველაფერი, წითელ ყვავილებს მოუქარგავს
მდელო, ხოლო შორეული მთები ისე გაწოლილან დედამიწაზე, ვით მთვლემარე
ღრუბლები.

გუვერნანტი ქალი: ღმერთო ჩემო, რას იტყვის ხალხი? მაგრამ მაინც ხომ ქალური ქალას
საქციელია, განრინებას წმინდა ოტილიას განლტოლვის მაგვარი. თავშესაფარი. უნ-
და მოვძებნოთ, საღამოვდებამ ცენარეები კეცავენ თავიანთ ფრთისებრ ფოთლებს,
ძილისათვის ეშაადებიან, მზის სხივები კი ბაღასის ღეროებზე ქანაობენ დაქან-
ცული კრიკინებივით.

მეორე სცენა

ბეკობზე წამოხკუპულ ფუნდუკს ქვევით მდინარე ჩაუდის.
მიღმა ფართო ხეღია გადაშლილი. წინ ბაღია. ვალერიო, ლეონსი.

ვალერიო: ბატონიშვილო, განა უიღებულები სასმელი არ გამოვიდა, თქვენი შარვლიდან? ხომ
სრიალით გადადის ექლში თქვენი ჩექმები?

ლეონსი: შეხედე ამ ბებერ ხეებს, ეკალ-ბარდებს, ყვავილებს! ამას ყოველს თავს რაღაცა გარ-
დახდენია, იდუმალი, მშვენიერი ამბები. დააკვირდი კარიბჭესთან ვაზის თალარქვეშ
ჩამომსხდარი მოხუცების ნათელ სახეებს. სხედან ხელიხელჩაკიდულები და შეპ-

ურობილნი ფიქრით, რომ ქვეყანა ასე ახალგაზრდაა და თავად — ეგზომ დაბერებულნი. მე კი, ვალერიო, ისე ახალგაზრდა ვარ, რომ სამყარო საოცრად ხანდაზმული მეჩვენება. დროდადრო შიში დამეუფლება ხოლმე, თავი შემებრალება. მინდა კუთხეში მივიყურო და ცხარე ცრემლით ვიტირო.

ვალერიო: (ტიქას მიაწოდებს) გამომართვი ეს თასი, მუვინთაის თასი და ჩაუფიქრე მოჩუბჩუბე ღვინის მორევში. ნახე, როგორ დაძვარფატებენ ოქროსთქვიანი სილფიდები ბუტკოებს ვაზის უვავილისა, თან ციმბალებს აუღარუნებენ.

ლეონსი: (წამოხტება) მომყევი, ვალერიო, რაიმე საქმეს უნდა მივყოთ ხელი, ღრმა აზრებში დავინთქათ. გამოვიკვლიოთ, რატომ დგას სკამი სამ ფეხზე და არა ორზე. გავკვეთოთ ჭიანჭველები, დავითვალოთ შტვრიანები. ბატონიშვილის საკადრისი გახართობი უნდა მოვნახო. საბავშვო ეღარუნა უნდა ვაჩხაკუნო, ვიდრე ხელიდან გამივარდება, მერე თოვლის ფიფქების აკრეფას დავიწყებ, ან დავწვები და ხაბანს დავუწყებ წიწქნას. კვლავაც მომდევს შემართება, მაგრამ საქმეს რომ დამში მოვიყვან, ჯამს ვეღარ ვპოულობ ხოლმე. კერძს რომ შევექცე და ჯანდაბას მიაქვს ყველაფერი.

ვალერიო: Ergo bibamus! ბოთლი როდი ჰგავს მიჯნურს, არც იდეების მაგვარია, მშობიარე ქალივით მუცელი არ ეტკინება, არც დარდი იცის, არც ლალატი და პირველიდან ბოლო წვეთამდე ერთნაირია. ხაცობს მოაძრობ თუ არა, გაცოცხლდებიან შიგ მთვლემარე ზმანებანი და ფოფინით მოგეფრქვევიან.

ლეონსი: ღმერთო, ნახევარი ცხოვრება ვილოცებ შენზე, თუ მომმადლებ ბალახის ღეროს, მერანვიით რომ გამაქროლოს და მანამ მატაროს, ვიდრე თავად არ გავხდები ბალახში ჩასაწვენი.

გულის წამდები საღამოა. დაბლა სიჩუმე სუფევს, მალლა კი მაწანწალა ღრუბლები ხან ეფარვიან და ხანაც გაეცლებიან ხოლმე მზის სხივებს. უცნაური ფიგურები იკვართებიან; იმ აწოწილ თეთრ აჩრდილებს დააკვირდი, ფეხები რომ უნაათოდ გაწვრილებიან, ფრთები კი დამურისა გამოუსხამთ, თავბრუდამხვევი სისწრაფე! აქ კი, დაბლა, ფოთოლი არ იძვრის, ბალახის ღეროც არ ტოკავს. დედამიწა შეშინებული ბავშვივით გატრუნულა და მის აკვანზე აჩრდილები დააბოტებენ.

ვალერიო: თქვენი არ ვიცი და მე კი კარგ გუნებაზე ვარ. მზე ფუნდუკის აბრად მესახება, ზედ წერია: „ოქროცურვილი მზის სასტუმრო“. ეს დალოცვილი მიწა და წყალი მაგიდასა ჰგავს, ზედ თითქო ღვინოა დაღვრილი. ჩვენ კი ბანქოს ქაღალდებივით დავუწყვივართ უფალსა და მოწყენილობისაგან ეშმაკთან გაუმართავს თამაში, ბანქოს მეფე თქვენ ბრძანდებით. მე ჯარისკაცი ვარ ბანქოსშიერი, ქალი გვაკლია, ერთი ლამაზი ქალბატონი, თაფლაკვერის გულები რომ ჰქონდეს უელზე ასხმული, ხოლო გრძელი ცხვირი — სენტიმენტალურად ჩარგული ღიფრონ ტიტებში. (შემოდინან გუვერნანტი ქალი და მეფის ასული) ღმერთო, ეს არის! თუმცა, ტიტა კი არა, ბურნუთი უჭირავს, ხოლო ცხვირის ადგილას მგონი ხორთუმი გამოსვლია. (გუვერნანტი ქალს მიმართავს) ასე როგორ მიგეჩქარებათ, ძვირფასო, რომ ფეფები სულ გამოგიჩენიათ პატივცემულ წვივსაკრავებამდე?

გუვერნანტი ქალი: (გაწიწმამებული შეჩერდება) ხახა როგორ დაგიფჩენია, პატივცემულო, იმხელაზე, რომ მყრალი ყოა გამოგიფენია?

ვალერიო: იმისათვის, თავად პატივცემულო, რომ თქვენ ცხვირი არ მოგიხვდეთ ჰორიზონტის კიდეზე და სისხლი არ გამოგივიდეთ. ეს ცხვირი ლიბანის კოშკივითაა დამასკონ მხარეს აღმართული.

ლენა: (გუვერნანტი ქალს მიმართავს) ჩემო ძვირფასო, ესოდენ გრძელია გზა?

ლეონსი: (ფიჭვებს აყოლილი, თავისთვის იტყვის) ყველა გზა გრძელია, ნელიად დასწიყნიკებს სიკვდილის საათი ადამიანის არსებობას. სისხლის უოველი წვეთი დროს გვიზომავს, სხვა რაღა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არ ავი ციებ-ცხელება? დაღლილ ფეხებს უოველი გზა გაუგრძელდებათ...

ლენა: (შეშინებული და დაფიქრებული უსმენს) ხოლო დაღლილ თვალს უოველი შუქი ემაკვთრება, დაღლილ ბავეს უოველი ამოსუნთქვა ემძიმება. (გაიღიმებს) ხოლო უურს

! აბა დაელიოთ (ლათინური)

დადღის, უოველი სიტყვა მკვახედ მოხვდება. (გუვერნანტი ქალის კრთად შე-
დის შენობაში)

ლეონი: ვალერიო, ჩემო კარგო, ნეტავ მეც ჰამლეტით შემეძლოს, რომ ვთქვა „აბა ეს
ლექსები, შუბლთან ბატის ფრთების ფრიალი და ვარდენი აკრძალვულ ფეხ-
საცმელზე...“ მეტად მელანქოლიური გამომივიდა ნათქვამი მადლობა დმეროს,
მგონი ვახერხებ მელანქოლიის ძირს დანარცხებას) ჰაერს აქავე უღმრთაა ისე
ცივი და ისე ჩახჩახა, აღისფერი ცა ქუდად დამეხურა, უღმრთესი უფროსი უფროსი უფროსი
ხვარეილი. ო, რა ხმა იყო: „ესოდენ გრძელია გზა?“ დედაშიწაზე ათასგვარი
ხმის გამგონეს, კაცსა მგონია, ნათქვამი სულ სხვა საგანს ეხებაო, მაგრამ ის ხმა
მეცნაურა.

სივრცეში დაიდვარა ხმა იგი და, სულის სიღრმეში შემძრა და მომაქცია: „ესო-
დენ გრძელია გზა?“ (გაღის)

ვალერიო: არა, საგიჟეთისაკენ მიმავალი გზა არცთუ გრძელია. გასაკვლევად ადვილია. უველია
ბილიკი შემისწავლია, იქით მიმავალი უოველი შუკა, თუ შარაგზა. თვალნათლივ
წარმოვიდგინე ბატონიშვილი გაშლილ ხეივანში მიმავალი, ზამთრის სუსხიან დღეს,
იღლიაში ამოჩრილი ქუდიო, შემოძარცული ხეების ჩრდილს შეეფარება და
ცხვირსახოცის ქნევას მოჰყვება. შლეგია ნამდვილი!
(უკან გაჰყვება)

მესამე სცენა

ოთახი

(ლენა, გუვერნანტი ქალი)

გუვერნანტი ქალი: თავიდან მოიშორეთ იმ კაცზე ფიქრი!
ლენა: ხანდაწმული მომჩვენა ქერაკულულებიანი ქაბუკი, ლაწვებ-გაზაფხულიანი და გულწამ-
თრიანი. ცოდო! დამაშვრალი სხეული უველგან მკოებს თავის სავანეს, მაგრამ
რა ჰქნას სულმა მიუსაფარმა? საშინელმა აზრმა გამიედვა — მგონი, არიან ადა-
მიანები უბედურნი და უკურნებელნი, რომელთ სიცოცხლე მობეზრებიათ!
(წამოდგება)

ლენა: ბაღში მსურს ჩასვლა.
გუვერნანტი ქალი: მაგრამ...

ლენა: თუმცა, დედილო ხომ იცი, შუშაში ჩასასმელი ვარ. უვაილივით მეც მჭირდება ნამი
და ჰაერი ღამეული. გესმის საღამოს მელოდები? კრიკინები წანას უმდერიან
დღეს და ღამის იები კი რუღსა მგვრიან თავიანთი სურნელით. ოთახში ვეღარ
გავჩერდები. კედლები თითქო თავზე მენგრევა.

მეოთხე სცენა

ბაღი, ღამე და მთვარის შუკი. მეფის ასული ლენა
მოჩანს მოღზე მჭდომარე.

ვალერიო: (კარგა მოშორებით დგას) დიდებული რამაა ბუნება, მაგრამ უფრო დიდებული
იქნებოდა, სასტუმროში კოლოები რომ არ დაფუთფუთებდნენ, ოთახები სუფთავ-
დებოდეს და რკილს არ გაუდიოდეს კედლებში კრაჭაკრუკი. შინ ზვრინვა ისმის
და გარეთ კიდევ ბაყაუთ უიყინი, შინ შინაური კრიკინები კრიკინებენ, გარეთ
კი გარეული. ამ საამო მოღმა და მინდორმა ღამის გადამრიოს! (წამოწვება
მოღზე)

ლეონი: (შემოდის) ჰოი, ღამეო, ნელსურნელებით გაედენთილო, ვით სამოთხის კირველო
ღამევი (მეფის ასული შეამჩნევს და ჩუმად მიუახლოვდება)

ლენა: (თავისთვის ამბობს) კელა სიზმარში ვიკვიკებდა, ღამეს ღრმა ძილი დაეუფლა, ჩრდილი
დაეფინა ღაწვებზე და სუნთქვა გაუიშვიათდა. მთვარე მძინარე ბაღლივითაა, ბუნ-
ჩულა სახეზე ოქროს დაღალედაფენილი. ო, ძილი სიკვდილია მისი. მიცვალე-

ბულ ანგელოსივით მრუმე ბალიშზე მისვენებულს ვარსკვლავები სანთლებივით უნთია ირგვლივ. საბრალო ბაღლი მწუხარე, მკვდარი და მარტოდმარტო!



ლეონი: თეტრკაბიანო, ზეწამოდექი, მოდი, გააცილე მიცვალებული და სულთათანა უმღერე ამაღამ!

ლენა: ვინ შელაპარაკება?

ლეონი: სიზმარი!

ლენა: ღმერთმა გიკურთხოს სიზმარი!

ლეონი: ღმერთმა სიზმარი გიკურთხოს და ჩემი თავი სიზმრად მოგივლინოს.

ლენა: სიკვდილია სიზმართაგან ყველაზე უფრო კურთხეული.

ლეონი: მაშინ მოგესიკვდილისანგელოსები და მის ფრთებივით შენს თვალთა ზედა დაივანებენ ჩემი ბაგენი. (ქალს აკოცებს)

ო. ტურფა გვაშო, ისე გშვენიშ შავი ღამის სუღარა, რომ ბუნებას სიცოცხლეს შეაჭავრებ და სიკვდილს მოანატრებ!

ლენა: არა, გამიშვი (წამოიჭრება და მსწრაფლ გაეცლება)

ლეონი: შეტისმეტი მომივიდა ამ ერთმა წამმა ჩემი ცხოვრება მთლად დაიტია. ახლა თუნდ მოვკვდე! უკეთესს ვანა რას მიქადის უფალი აი, სამყარო ქაოსიდან გამოიკვეთა და სიტურფის შარავანდმოსილი, ფშვინავს, ფეთქავს და ჩემსკენ მოილტვის. დედამიწა მეწამული ოქროს თასია, შუქი ჩახჩახებს და კიდევ გადმოიფრქვევა, შუაგულში კი ვარსკვლავები მარგალიტებრ აირეკლებიან. ნეტარების იმ ერთმა წუთმა მირონის ჭურჭლად გადამაქცია, ჩაყვინთე, წმინდაო თასო! (მდინარეში ჩასახტომად გაემზადება)

ვალერიო: (შემოვარდება და ხელს ჩაავლებს) შესდექით, თქვენო უგანათლებულესობავ!

ლეონი: თავი დამანებე!

ვალერიო: თავს დაგანებებთ, თუ ინებებთ და წყალს მოეშვებით!

ლეონი: რეგვენო!

ვალერიო: თქვენო უმაღლესობავ, როგორ გეკადრებათ რომანტიკულად განწყობილი ლეიტენანტის საქციელი: ფანჯრიდან გინდათ ისროლოთ სასმისი, სატრფოს სადღეგრძელოდ ამ წუთს გამოცლილი.

ლეონი: მგონი, მართალი ხარ.

ვალერიო: ღამშვიდდით, რაკი ამაღამ მიწაში არ განისვენებთ, მიწაზე მაინც მოისვენეთ. ისე, აქაური სასტუმროს საწოლებზე დაწოლაც თავის მოკვლის მცდელობა იქნებოდა. თივის დოშაკზე მკვდარივით გაიშოტები და კოლოები დაგესევინა ცოცხლად.

ლეონი: კი, ბატონო. (ბალახზე წამოწვება) ადამიანო, რა მშვენიერი თვითმკვლელობა დამაშლევინე! ჩემს სიცოცხლეში ეგზომ დიდებულ წუთს ვეღარ ვიპოვი საამისოდ; ამინდიც რომ ხელსაყრელია! თუმც ახლა უკვე შეშეცვალა გუნება. ამ ყვითელ-ჩიბიანმა და ცისფერშარვლიანმა ვაუბატონმა გამიფუჭა ყველაფერი. ღმერთო, მომივლინე მდაბიო კაცის ჯანმრთელი ძილი.

ვალერიო: ამინს შე კი ამაღამ კაცის სიცოცხლის გადამრჩენის წმინდა სინილისი შეშინახავს და გამათბობს.

ლეონი: ძილი ნებისა, ვალერიო!

მ ე ს ა მ ე მ ო მ მ ე დ ე ბ ა

კირველი სენა

ლეონი, ვალერიო

ვალერიო: ცოლს ირთავთ? როდის აქეთ გადაგექცათ ქორწინება მარადიული კალენდრის შესაფერ ხაქმედ?

ლეონი: ნუთუ არ იცი, ვალერიო, კაცთა შორის უშვირესი ისე დიდია, ერთი სიცოცხლე

არც გეყოფა, ჭეროვანი სიყვარული რომ მიაგო! ზოგსა ჰგონია, ჩემი ყოველი საქციელი სხვაზე აღმატებულიაო, სიკეთიანი და წმინდა. ამგვარი უზარეული ქედმაღლობა ხალხს მოხწონს და რატომ მოვაკლო სიამოვნება?

ვალერიო: ნათქვამი ფრად ჰუმანური და ცხოველთმოყვარული გამოგივიდათ მაგრამ იცის კი ქალმა, თქვენ ვინ ბრძანდებით?

ლემონი: ისღა იცის, რომ მე ვუყვარვარ.

ვალერიო: თქვენს უმაღლესობას თუ მოეხსენება ქალის ვინაობა?

ლემონი: რეგვენო! აბა მიხაკს ან ცვარ-მარგალიტს ჰკითხე სახელი!

ვალერიო: ქალი თურმე რაღაცას წარმოადგენს! ისე კი აუგად ხსენება გამოგივიდა, პოლიციის მოხელის შესაფერი. მო, მაგრამ რა მოვახერხოთ? მამინისტრობას ხომ მომანიჭებთ, ბატონიშვილო, უკეთუ დღეს, მამათქვენის წინაშე იმ იგავიუწვდომელ, უსახელო ასულს ქორწინების საიდუმლოთი დაუკავშირდებით? მომეცით სიტყვა!

ლემონი: სიტყვას გაძლევ!

ვალერიო: ბოგანო ვალერიო მოწინებით უნდა წარსდგეს მისი მაღალაღმატებულების, უფალი მინისტრის, ვალერიო ფონ ვალერიენტალის წინაშე! „რა უნდა ამ ვაჟბატონს? მე მას არ ვიცნობ. მომშორდი, ცელქო!“ (გაიქცევა, ლემონი უკან გამოეკიდება)

გეორგ სცენა

ღია მოედანი პეტერ მეფის სასახლის წინ. გუბერნატორი. მასწავლებელი. საკვირაო ტანსაცმელში გამოწყობილ გლეხებს ნაძვის რტოები უჭირავთ ხელში.

გუბერნატორი: მოწყალო ბატონო მასწავლებელო, თქვენს ხალხს თავი როგორ უჭირავს?

მასწავლებელი: გაჭირვებაში თავი ისე უჭირავთ, რომ ერთმანეთს საქმე გაუჭირვეს. სასმელს ხარბად ეწაფებიან და სიცხეს აღარ ეპუებიან. ყოჩაღად იყავით, ხალხნო! ნაძვის რტოები ისე აღმართეთ, რომ ტყეს დაემგვანოთ, თქვენი ცხვირები მაშინ მარწყვის იერს მიიღებენ, სამკუთხა ქუდები ნადირის რქებს დაემგვანება, ხოლო ირმის ტყავისგან შეკერილი თქვენი შარვლები ტყის თავზე გადმომდგარ მთვარესავით გაანათებენ. თან კარგად დაიხსომეთ — უკანანი ხულ უნდა ცდილობდნენ წინას გადაასწრონ, რომ ყველას ეგონოს, თითქოს კვადრატის ხარისხში ხართ აყვანილი.

გუბერნატორი: ბატონო მასწავლებელო, თქვენ სიფხიზლეს უნდა ადევნოთ თვალი.

მასწავლებელი: ღიახაც მივადვენე და სიფხიზლისაგან ფეხზე ძლივს ვდგები!

გუბერნატორი: მისმინეთ, ხალხო! პროგრამაში წერია: „ყოველი ქვეშევრდომი ვალდებულია კობტა და სუფთა ტანსაცმლით შეიმოსოს და კარგა დანაყრებული „მაყოფილი იერით ქუჩის პირას დადგეს მწკრივში“. არ შეგვარცხვინოთ!

მასწავლებელი: მაგრად დადექით! როცა უგანათლებულები ნეფე-დედოფალი ჩამოვიდის, ნუ მოჰყვებით ყურის ფხანასა და ცხვირის მოხოცვას. სახეზე ჭეროვანი აღტაცება აღიბეჭდეთ, თორემ ბეჭებს აგიჭრებენ. შეიგნეთ, რაოდენ ზრუნვას იჩენენ თქვენთვის: სწორედ ისე დაგაყენეს, რომ ქარი სამზარეულოდან თქვენსკენ მოდიოდეს და თქვენც ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაიგებთ მწვადის ხუნს. დაიხსომეთ გაკვეთილი? ჰა? ვი!

გლეხები: ვი!

მასწავლებელი: ვატ!

გლეხები: ვატ!

მასწავლებელი: ვივატ!

გლეხები: ვივატ!

მასწავლებელი: ასე, ბატონო, ხომ ხედავთ, როგორ მოგვემატა ჰკუა-გონება. წარმოიდგინეთ, „ვივატ“ ლათინურია. ამ საღამოს ბალ-მეჭლისი უნდა გავმართოთ ჩინებული — შარვალგამოგლეჩილების, ჭუბადაფლეთილთა და ცემისაგან სახედალურჭებულების წეიში.

მესამე სცენა



დიდ დარბაზში თავი მოუყრიათ მორთულ-მოკაწმულ ქალებსა და მამაკაცებს. წინა/პლანზე სახლთუხუცესი და რამდენიმე მსახური.

ქრისტეშვილი
გინა/პლანზე

სახლთუხუცესი: სავალალო! ყველაფერი ოხრად რჩება — მწვადი შრება, მილოცვები ხუნდებია! განამებული საყულოები მელანქოლიური ღორის ყურებივით არიან დაუქვეტილი. გლახუკებს თმები და ფრჩხილები მოეზარდათ. ჭარბკაცებს კულულები ჩამოეშალათ. თორმეტ უბიწო ასულთაგან ერთიც არაა, მორიზონტალური მდგომარეობა რომ არ ერჩივნოს ვერტიკალურს.

პირველი მსახური: თეთრკაბიანი ასულები არაქათგამოცლილ ანგორის კურდღლებს დაემსგავსნენ და კარის პოეტი მათ გარშემო დაღრუტუნებს, ვით ნადვლიანი ზღვის ღორი. ბატონი ოფიცრები უწინდელივით გაშტრინკული ვეღარ დადიან, სეფექალები მარილის ფაცრებივით აყუდებულან და მათ ყელსაბამებზეც თითქოს მარილია გამოკრისტალებული.

მეორე მსახური: თავს დიდად არ იწუხებენ. ისე, აუგს ვერ იტყვი — თავის ადგილზე აქვთ ყველაფერი. გულახდილები თუ არ არიან, გულისპირი აქვთ სამაგიეროდ ახლიჩახსნილი.

სახლთუხუცესი: დიან, თურქეთის იმპერიის რუქასავით მოუჩანთ დარღანელი და მარმარილოს ზღვა. მომშორდით, აბეზრებო! ფანჯრისაკენ! მისი უდიდებულესობა მობრძანდება. (შემოდინ პეტერ მეფე და სახელმწიფო საბჭოს წევრები)

პეტარი: მაშასადამე პრინცესაც გაქრა. ნუთუ ჭერ კიდევ არ გამოჩნდა კვალი ჩვენი საყვარელი ტახტის მემკვიდრისა? ჩემი ბრძანება შეასრულეთ? საზღვრებს კარგად უთვალთვალდებთ?

სახლთუხუცესი: დიან, თქვენო უდიდებულესობავ ამ ფანჯრიდან ხელი იშლება და უმკაცრეს ზედამხედველობას შეგვაძლებინებს. (პირველ მსახურს მიმართავს) რა შეამჩნიე?

პირველი მსახური: იმპერიის ტერიტორია გადმოჭრა ძაღლმა, რომელიც პატრონს ეძებდა.

სახლთუხუცესი: (მეორეს მიმართავს) შენა?

მეორე მსახური: ჩრდილოეთის საზღვრის პირას ვილაცა დასეირნობს, მაგრამ უფლისწული კი არ არის, მას მაშინვე შევიცნობდი.

სახლთუხუცესი: შენა?

მესამე მსახური: მოშიტვეთ, მაგრამ — ვერაფერი!

სახლთუხუცესი: ვერაფერი შვილი ყოფილხარ. პოდა შენ?

მეოთხე მსახური: მეც არაფერი!

სახლთუხუცესი: შენ კიდევ უარესი.

პეტარი: სახელმწიფო საბჭოს წევრნო, განა მე არ გადავწყვიტე, რომ ჩემი სამეფო უდიდებულესობა დღევანდელ დღეს განარებული უნდა ყოფილიყო ქორწილით? განა მტკიცეზე უმტკიცესი არ იყო ჩემი გადაწყვეტილება?

პრეზიდენტი: დიან, თქვენო უდიდებულესობავ, ასე დაიწერა და შევიდა ოქმში.

პეტარი: ხომ მომეტრა თავი, გადაწყვეტილი თუ არ განვახორციელე?

პრეზიდენტი: თუკი ხაერთოდ დასაშვებია შელახვა თქვენი უდიდებულესობის ღირსებისა, მაშინ სწორედ იქნებ ამ შემთხვევამ შეგილახოთ იგი.

პეტარი: სიტყვა მოგვცით აკი მეფური! მეც ავდგები და საქმედ ვაქცევ ჩემს სურვილს — ვიმზიარულებ! (ხელებს მოიფშვნეტს) ოი, როგორ გავმზიარულდი!

პრეზიდენტი: ყოველი ჩვენგანი იზიარებს თქვენი უდიდებულესობის გრძნობებს, როგორც ჭერ არს და ქვეშევრდომებს რაც შეგვიძლია.

პეტარი: რა ვუყოთ ამდენ სიხარულს! კამერპერებს წითელ მუნღირებს ვუბოძებ, რამდენიმე კადეტს ლეიტენანტობას მივანიჭებ, ჩემს ქვეშევრდომებს ნებას დავრთავ... მაგრამ ქორწილი? განა განკარგულების მეორე ნაწილი არ გვეუბნება, რომ ქორწილი უნდა გადაგვებადა?

პრეზიდენტი: დიან, თქვენო უდიდებულესობავ!

პეტარი: პო, მაგრამ თუ უფლისწული არ მოვიდა და არც პრინცესა?



- პრეზიდენტი: დიან, თუ უფლისწული არ მოვიდა და არც პრინცესა, მაშინ...
- პეტიტი: მაშინ, მაშინ?
- პრეზიდენტი: მაშინ ისინი ველარ დაქორწინდებიან.
- პეტიტი: დაიცა, ეს დასკვნა ლოგიკურია? თუკი... მაშინ... სწორია! მაგრამ ჩემს სიტყვას ჩემი მეფური განკარგულება?
- პრეზიდენტი: თქვენმა უდიდებულესობამ ნუგეში გამოვს სხვათა უდიდებულესობასთან მეფური სიტყვა ისეთი რამაა, ისეთი რამ, ისეთი რამ, რაიც არაფერს წარმოადგენს.
- პეტიტი: (მსახურს მიმართავს). ვერაფერი შენიშნეთ?
- მსახური: ვერაფერი, თქვენო უდიდებულესობავ, სულ ვერაფერი.
- პეტიტი: მე კი გადავწყვიტე შემხიარულა საათი როცა ნეთორმეტედ დარეკავდა, უნდა და მეწყო მხიარულება და სრული თორმეტი საათი უნდა მელხინა... ახლა კი მელანქოლია მეუფლება.
- პრეზიდენტი: ქვეშევრდომთ, ყველას მოვუწოდებთ გაიზიარონ განცდები მისი უდიდებულესობისა!
- სახლთუხუცესი: იმ პირთ, რომელთაც ცხვირსახოცი თან არა აქვთ, ტირილი ეკრძალებათ, ზრდილობის გულისათვის.
- პირველი მსახური: მოიცათ! რაღაცას ვხედავ. წინაა გამოშვებული ცხვირით დაწარჩენი საზღვარს ჭერ არ გადმოსცდენია. აი, კაცი გამოჩნდა და კიდევ ორი პიროვნება სხვადასხვა სქესის.
- სახლთუხუცესი: საით მიეშურებიან?
- პირველი მსახური: ჩვენგან მოდიან, სასახლეს მოუახლოვდნენ. აი, ისინიც! (ვალერიო, ლეონი, გუვერხანტი ქალი და მეფის ასული შემოდიან ნილაბაფარებულნი)
- პეტიტი: ვინ ბრძანდებით?
- ვალერიო: ვიცი განა? (სათითაოდ ჩამოიხსნის რამდენიმე ნილაბს) ეს მე ვარ? თუ ესა ვარ? ანდა ესა. ჭეშმარიტად შიში მიბურობს, ასე მოხსნა-გახდაში სულ არ გავიფიქვანა და დავიშალო.
- პეტიტი: (შეცბუნებული) ბოლოს და ბოლოს გაგვაგებინეთ ვინა ხართ, რა ხართ!
- ვალერიო: ნება თქვენია! მაშინ, ბატონო ჩემო, ჩამოაფარეთ ამ სარკეებს და თქვენი პრიალა დილებიც მიჩქმალეთ და ნუ მიცქერით იმგვარი მზერით, თითქოს თქვენს თვალთა ანარეკლი ვიყო, თორემ მე თავად ველარ გავიგე, ჭეშმარიტად რას წარმოვადგენ.
- პეტიტი: ამ კაცმა თავგზა ამიბნია, სასო წარმევეთა!
- ვალერიო: მინდა დიდად პატივცემულ მაღალ საზოგადოებას ვაუწყო, რომ მსოფლიოში სახელგანთქმული ორი მოსამართი თოქინა ჩამოვიდა, ხოლო მესამე და ყველაზე საოცარი მე გახლავართ და, რომ არ ვიცოდე ჩემი ვინაობა, ნუ გაიოცებთ, რადგან თავად ისიც არ ვიცი, რას ვლაპარაკობ და არც ის ვუწყვი, რომ ეს არ ვიცი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასე მალაპარაკებენ და ნამდვილად კი ცოლინდრები და რუმბები ამბობენ ყოველს. (ენამოჩლექით იტყვის) აი, შეხედეთ, ბატონებო და ქალბატონებო — ორი პირი, ორთავე სქესის, მამათა და დედათა წარმომადგენელი, ბატონი და ქალბატონი, ხელოვნებისა და მექანიკის ნაწარმოებია ხუფთა, მუყაოს გარსი და საათის ზამბარა. ყოველ მათგანს ლალის პატარა, პაწაწინა ზამბარა დაჰყვება მარჯვენა ტერფზე, ნიკის ფრჩხილქვეშ. ოდნავ დაწოლა კმარა, — მექანიკში მაშინვე ჩაირთვება და მთელი ორმოცდაათი წელი იტრიალებს. იმდენად სრულქმნილი პირები არიან, სხვა ადამიანთაგან იქნებ ველარც გამოგვეჩიო, მუყაოს გარსი რომ არ გვეგულვოდეს კანის ადგილას. ეგებ ადამიანთა საზოგადოების ნაღვ წევრებად იქცნენ კიდევ. ენამ ტკბილგერმანულმა კეთილშობილთა ნიშატი დაამჩნია. ზნეკეთილნი არიან ფრიად — საათი დარეკავს და — ადგებიან, საათი დარეკავს და — სადილად დასხდებიან, საათი დარეკავს და — დასაძინებლად დაწვებიან. საკმლის მონელება ნორმალური აქვთ, რაც მიგვანიშნებს მათს უზადო პატიოსნებას. წესი და რიგი არ ეშლებათ, — ქალბატონმა ერთი სიტყვაც არ იცის შარვლის ცნების შესაბამისი, ვაებატონი კი არ იკადრებს კიბეზე ასვლისას მანდილოსნის უკან სიარულს, ხოლო ჩამოსვლისას კი — წინ გასწრებას. განსწავლულნიც არიან ფრიად — ქალი ახალ ოპერას გიმღერებს ნებისმიერს.

ვაჟი კიდევ მანუეტებს ხმარობს. შიაკციეთ უურადლება, ქალბატონებო და ბატონებო, ისინი ახლა საინტერესო სტადიაში იმყოფებიან — საცნაურ ხდება მექანიზმი სიყვარულისა, — ვაჟმა მანდილი ჩამოართვა ქალს რამდენიმეჯერ, ქალმა ზეცისკენ აღაპრო თვალნი. ორივენი ჩურჩულით იმეორებენ: ზღობა, სიყვარული, იმედის შეხმატკბილებულნი არიან და ერთი პატარა ქალბატონი: აშინ!

სიზღირისეჟა

პეტარი: (ცხვირზე მიიდებს ხელს) დაგვისურათხატა. დასურათხატება? თუ აღამიანს სურათხატოვნად ჩამოაბრჩობენ, ვანა მართლა ჩამოაბრჩობა არ გამოვა?

პრეზიდენტი: მომიტევეთ. თქვენო უდიდებულესობავ ასე ბევრად უკეთესია, რადგან იმ კაცს არაფერი ეტკინება და ჩამოაბრჩობით კი მაინც ჩამოაბრჩობენ.

პეტარი: ახლა კი მივხვდი. ქორწილი უნდა გადავიხადოთ, ხატოვანი, სურათოვანი. (ლენასი და ლეონსისაკენ გაიშვერს ხელს) აი — პრინცესა და ესეც მეფისწული. მე საქმედ ვაქცევ სურვილს ჩემსას — ვიმზიარულებ. აბა, ზარები დააგუგუნეთ! მოამზადეთ მილოცვები! ცოცხლად. ბატონო კარის მოძღვარო! (კარის მოძღვარი წინ წარსდგება, ჩაახველებს და ზედიზედ აპხვდავს ზეცას).

ვალერიო: შეუდექით საქმეს! სახის მანქვას მოეშვი, შეჩვენებულო, და შეუდექი დაიწერე! კარის მოძღვარი: (თავგზააბნეული) უკეთუ ჩვენ... ანდა, ანუ... მაგრამ...

ვალერიო: ვინაიდან და რადგანაც...

კარის მოძღვარი: იმიტომ...

ვალერიო: სამყარო ვიდრე შეიქმნებოდა...

კარის მოძღვარი: როს...

ვალერიო: ღმერთს დარდები მოეძალა...

პეტარი: მოკლედ მოსჭერი, ჩემო კარგო!

კარის მოძღვარი: (დაწოშმისდება). გნებავთ თუ არა, ლენას, თქვენო უმაღლესობავ, უფლისწული პოპოს ქვეუნიას, და ინებებთ თუ არა, თქვენო უმაღლესობავ, ქალბატონო ლენა, პიპის ქვეუნიას მეფის ასულს, თუ ინებებენ თქვენი უმაღლესობანი, პატრივისცემის, სიყვარულის კავშირით დაუკავშირდნენ ერთურთს, მაშინ ხმამაღლა და გარკვევით გვიბრძანეთ „დიახ“.

ლენა და ლეონსი: დიახ!

კარის მოძღვარი: თუ ასეა დამილოცნიხართ!

ვალერიო: ლაზათიანად მოჭრა და დაამთავრა. ასე შეუქმნია უფალს კაცი და ქალი და ამასთან სამოთხის ყველა ცხოველი. (ლეონსი ნილაბს მოიხსნის)

ყველანი: პრინცი!

პეტარი: პრინცი, ჩემი ვაჟიშვილი დავიღუპე, მომატყუებს! (მეფის ასულისკენ გაიწევს) რას მიქვია ამისთანები ვბრძანებ, გაუჭმდეს ყველაფერი!

გუვერნანტი ძალი: (ტოიუმგვალური ექსტრით ჩამოხსნის ნილაბს მეფის ასულს) მეფის ასული!

ლეონსი: ლენა?

ლენა: ლეონს?

ლეონსი: ო, ლენა, ვგონებ სამოთხეში ვიყავ გაპარული!

ლენა: მომატყუებს!

ლეონსი: მომატყუებს!

ლენა: რაა შემთხვევა!

ლეონსი: ჰოი, განგებაე!

ვალერიო: მოდი და ნუ გაგეცინება. თქვენი უმაღლესობანი მართლაც შემთხვევამ შეჭარა ერთად და იმედია, შემთხვევის მადლით შეიტკბობენ ერთმანეთს.

გუვერნანტი ძალი: რა ნახა ჩემმა ბებერმა თვალემა! პრინცი ყოფილა ის მოგზაური აწ დაშვილებით შემიძლია აღვესრულო.

პეტარი: შეიღებო, სულით ხორცამდე შემძრა სიხარულმა. ყველაზე ბედნიერი ვარ კაცთა შორის. ამასთან მინდა მმართველობის სადავეები საწეიმოდ გადმოვცე შენ, ჩემო ძეო. ხოლო თავად კი წყნარსა და უშფოთველ ფიქრს შევუდგები. შეიგლო ჩემო, ეს ობლები უნდა დამითმო. (სახელმწიფო საბჭოს წევრებზე მიანიშნებს). წამოაბრძანდით: ბატონებო, უნდა ვიფიქროთ, უშფოთველად უნდა ვიფიქროთ!

(გაფა და სახელმწიფო საბჭოს თან გაიყოლებს).


იმ კაცმა წელან თავგზა ამიხნია და უნდა დავშოშინდე.

ლემონი: (დამსწრეთ მიმართავს). ბატონებო! ჩემი მეუღლე და მე ვწუხვართ ურჩილ, რომ დღეს ამდენ ხანს გიმსახურეთ. დგახართ დამაშვრალნი და ჩვენ აღარ გრის გულისათვის აღარ ვაპირებთ განოცდას თქვენი გამძლეობისა. ახლა შენ წაბრჭანდით, მაგრამ არ დაივიწყოთ თქვენი სიტყვები, ქადაგებანი და ლექსები, რადგანაც, ხვალ ეს საამო დღესასწაული კვლავ თავიდან ეშხით უნდა დავაგრიოთ; ნანვამდის! (ლემონის, ლენასი, ვალერიოსა და გუგერნანტი ქალის გარდა ყველა გადის).

ლემონი: აი, ლენა, ხედავ, როგორ აგვევსო ჭიბეები თოჯინებითა და სათამაშოებით, ხუღ და იტენა. რა ვუყოთ? უღვაშები გავუკეთოთ და ხმლები შევაბათ? ანდა იქნებ ფრაკებში გამოვანყოთ და ინფუზორიების მაგვარი პოლიტიკა და დიპლომატია შეთავაგონოთ, ჩვენ კი მიკროსკოპით დავაკვირდეთ? იქნებ არღანი გირჩევნია, არღნის მანგებზე მოცანცალე, რძესავით თეთრი და კონტა ტყის თავგები? გინდა, თეატრი დავაარსოთ? (ლენა მიეხუტება ვაჟს და თავს გააქნევს) მე უკეთ ვიცი, რაც გეამება: დავამტკრევიოთ ყველა საათი, ავკრძალოთ ყველა კალენდარი და დროის აღრიცხვა ვაწარმოოთ მხოლოდ ვარდფურცლობისა და ნაყოფთა და ყვავილთა კვალად. ჩვენს პატარა სახელმწიფოს დიდი სარკეების რკალი მოვავლოთ, რომ ზამთარი გაქრეს და ზაფხულის მცხუნვარება კაპრიხა და ისკიას სადარი იყო, და მთელი წელიწადი დავინთქმებით იებსა და ვარდებში, ციტრუსებსა და დაფნებში.

ვალერიო: როცა მინისტრი გავხდები, დეკრეტს გამოვცემ: ვისაც ხელებზე კოყრები გაუჩნდება, ზედამხედველობა დაუწესონ, ვინც მუშაობით თავს შეიწუხებს, სისხლის სამართლის პასუხისგება დააკისრონ; ყველა, ვინც წვითა და დავით მოიპოვებს პურს არსობისას, შლეგად შერაცხონ, კაცთა მოდგმისათვის სახიფათოდ; ჩვენ კი ჩეროში დავივანებთ და ღმერთი მოგვივლენს მაკარონს, ნესვებს, ლელვს, მადლს ხიმღერისა, ტანის ხიმრთელს და მარგებელ რელიგიას!





ლ ა თ ი ნ უ რ ი დ ა ნ

თარგმნა მანანა ღარიბაშვილმა

ელეგია V

შუადღე დგებოდა უკვე, საოცრად ცხელოდა გარეთ,
მეც მომადუნა სიცხემ და მივაშურე საწოლს.
დარაბა დაეხშოთ ყველგან, ერთილა დაეგდოთ ღიად,
და როგორც უღრან ტყეში, ბინდ-ბუნდი იდგა აქაც.
ასეთი ბინდი დგას მაშინ, როცა მზე ღრუბლებში წვება,
ან გარიჟრაჟზე, დილით, როცა დღე ებრძვის ღამეს.
ამბობენ, ასეთი შუქი ქალწულებს იზიდავს მხოლოდ,
რადგან სიბნელეს თითქოს თავს აფარებენ მორცხვად.
კორინა მოვიდა ამ დროს, საკინძე შეხსნოდა მკერდზე,
შაღალ, თოვლისფერ ყელზე ჩამოეშალა თმები.
ღამაზ სეშირამისს ჰგავდა კაცთან სამიჯნუროდ მოსულს,
მამრთა მოყვარულ ლაისს, ავხორც ლაისსაც ჰგავდა.
ქალს თბელი ტუნიკა ეცვა და ძლიერს უფარავდა სხეულს,
მე დავუპირე გახდა, მან გაიბრძოლა ვითომ.
თან, ისე იბრძოდა, თითქოს მტრის ხელში ჩავარდნა სურსო,
თავს უღალატა თავად, მომაგებინა ბრძოლა.
დამნებდა, გაშიშვლდა ჩემ წინ, ვნახე და დამესხა თავბრუ,
მის უღამაზეს სხეულს წუნს ვერ დასდებდა კაცი.
რა ხელებს შევახე ხელი, რა მხრები ვიხილე თვალით,
რა საალერსო მკერდი, რა ნატიფი და სავსე.
ვიხილე მოქნილი ტანი, მუცელი მრგვალი და გლუვი,
თლილი ფერდები გრძელი და თეძოები მკვრივი.
ცალ-ცალკე რატომ ვთვალო? რაც ვნახე ღირსია ქების,
დიდხანს ვეკვროდი ვნებით მის უნატიფეს სხეულს.
ხომ ხვდებით რაც მოხდა მერე... დაღლილებს მოგვინდა ძილი,
ო, ასეთი დღე კიდევ თუ მელირსება ღმერთო!

ეპიგრაფი



ქართული
საქართველოს
საქართველოს

როდისმე გავბედავ განა სიძვის და მრუშობის დაცვას?
 ან ჩემს საკუთარ ცოდვებს ხელს დავაფარებ განა?
 უმალ თავს დავძრაჩავ ყველგან, ჩემს ცოდვებს გავამხელ უმალ,
 გამოვიტყდებით ვცოდავ, თუმცა ვაშავებ, ვიცი.
 შიშულს ცოდვა და მაინც ზოგჯერ საძულველს ვესწრაფი გულით,
 ჯობს მოიშორო დროზე, თუკი გამძიმებს ტვირთი.
 რა ვუყო, არ მყოფნის ძალა, ვერაფრით მოვთოკე თავი,
 ამჟური მახვევს თავბრუს, ისე ვით ქარი ხომალდს.
 გგონიათ ერთი მყავს სატრფო, რომელსაც დღემუდამ ვეტრფი?
 ათასი მომწონს ერთად, სუყველა მიბნევს თავგზას.
 თუ ვინმე თვალს დახრის მორცხვად კრძალვით და ჩიღობით სავსე,
 მეც აგენტები, რადგან მისი სიმორცხვე მხიბლავს.
 მეორე ურცხვობით მომწონს, უცადი არ არის ვხედავ,
 არ გამაწბილებს, ვატყობ, ეცოლინება საქმე.
 თუ ვინმე პირქუში შემხვდა, საბინელ დიაცთა დარი,
 ისიც კარგია, ვფიქრობ, გულში იმარხავს სურვილს.
 თუ არის აღზრდილი კარგად, ქცევით და მიმოხვრით მომწონს,
 დაუხვეწავი თავის უბრალოებით მხიბლავს.
 ის ვინც ვალიმაქვს წუნობს და ჩემი ლექსები ატკობს,
 მეც მისკენ მიწევს გული, და სხვებზე მეტად მიყვარს.
 ვინც ჩემზე იძახის აუგს, ვინც ლექსებს იწუნებს ჩემსას,
 სიამოვნებით ერთხელ გადავშხვართავდი მასაც.
 მოქნილად მოძრაობს? მომწონს, და თუკი მოუქნიელს შევხვდი,
 მამრის შეხებით მალე დაიხვეწება ისიც.
 თუ ქალი საამოდ მღერის, თავისი ნაზი ხმით მატკობს.
 მინდა მომღერლის ბაგეს კოცნა მოვწყვიტო უმალ.
 მოქნილი თითებით თუკი მწუხარე სიმებზე დაჰქრის,
 მინდა ჩადოქარ ხელებს ვესიყვარულო დიდხანს.
 ეს ქალი ლამაზად ცეკვავს, მკლავებსაც რიტმულად აქნევს,
 ტანის მსუბუქი რხევით ჩემ წინ მიმოდის ნაზად.
 რა დაღევს ტრფიალის მიზეზს? ჯობია გავჩუმდე დროზე,
 პიპოლატუსიც ჩემთან პრიაბუსობას ირჩევს.
 მე შენი სიმაღლე მომწონს, უძველეს გმირ ქალებს გავხარ,
 შენ შეგიძლია საწოლს მთელი სხეულით გასწვდე.
 მეორე ტანმომცრო გახლავთ მადელვებს ნატიფი ტანით,
 ორივე მიხელებს ნდომას, ესადაგება სურვილს.
 არ არის მორთული? მორთვა მას უფრო შეამკობს შემდგომ,
 ეს კი მოკაზმვით ავლენს თავის ღირსებებს სრულად.
 წაბლისფერთმიანიც მხიბლავს, ქერაზეც არ ვიტყვი უარს,
 და შავგერემანი ქალიც მაგზნებს, მიღვივებს ვნებას:
 მე მომწონს, როდესაც თმები თეთრ ყელზე ელავენ შავად,
 თავისი შავი თმებით თვალს იტაცებდა ლედა.
 ქერაა? ავრორაც ყველას ხიბლავდა ზაფრანის თმებით,
 ასობის ყოველი მითი მოფუსადავო ტრფობას.

ქალწულთა ასაკი მიყვარს, მალეღვებს შუახნის ქალიც,
ეს ლამაზია, იმას — ხელეწიფება საქმე.
ამრიგად, ამხელა რომში თუ ვინმე ლამაზმანს ვიცნობ,
ყველას სურვილით ვიწვი. ყველას თანაბრად ვეტრფი!



ელეგია II

უკეთუ მიბრძანებს ღმერთი მიჯნურის გარეშე ყოფნას,
ვეტყვი: „უზომოდ ტკბილი ბოროტებაა ქალი!“
თუ ცოტა დამიცხრა ვნება და სულში მინელდა ცეცხლი,
მყისვე ახალი ქალი სხვა აღტაცებით მავსებს.
ამური თავს მესხმის მყისვე და ისევ მიმაფრენს სადღაც,
როგორც მიაფრენს მხედარს გაშმაგებული ცხენი.
უეცრად ამტყდარი ქარიც ასევე იტაცებს ხომალდს,
მოპვლევს ანაზღად ნაპირს და მიაქანებს ზღვისკენ.
მეც აღმა-დაღმა ვფრენ ასე, ამურის ხელში ვარ მუდამ,
ძოწითმოსილი ღმერთი მიშენს და მიშენს ისრებს.
მესროლე! იარაღს ვიხსნი, ვშიშვლდები, გნებდები, ღმერთო!
აქ შენ მეუფებ ყველგან, შენი მარჯვენა მძლეობს.
შენს სურვილს ისრებიც გრძნობენ — შიგ გულში მესობა ყველა,
შემომეჩვივნენ ისე, როგორც საკუთარ ბუდეს.
არადა სხვაგვარად არც მსურს, მე იმას ვუწოდებ ბედკრულს,
ვინც ეულად წევს ღამით და უშფოთველად სძინავს.
სულელო, რა არის ძილი? თუ არა სიკვდილის ჩრდილი?
მარადიული ძილი ისედაც გველის ყველას.
ჩემს მაცდურ სატრფოსთან წოლა და მასთან აღერსი მინდა,
რომც გამაბრაზოს ხშირად, რომც მომატყუოს ზოგჯერ.
ხანდახან მეფეროს ნაზად, ხანდახან მეჩხუბოს კიდეც,
ხშირად მიმიღოს ტკბილად, ხშირად გამაგდოს გარეთ.
მარსი რომ არ არის სანდო, კუბიღონ, შენ გიძევს ბრალი,
შენი მიბაძვით იღებს ხმალს ქარქაშიდან იგი.
კუბიღონ, შენს ფრთებზე უფრო მჩატე და მსუბუქი ჩანხარ,
ზოგჯერ სიამით გვავესებ, ხან უმოწყალოდ გვტანჯავ.
შენცა და ვენუსმაც იქნებ ისმინოთ ვედრება ჩემი,
მინდა ჩემს გულში დარჩეთ და იბატონოთ მუდამ,
ქალებზეც გამეფდეთ მინდა, დაიბყროთ ქალების გულიც,
მაშინ ორივე სქესი გეთაყვანებათ ერთად!

ელეგია III

მოდი იწამე ღმერთი?! ღმერთს მეფიცებოდა სატრფო,
ფიცი გატება, მაგრამ ლამაზი არის მაინც!
მას ახლაც გრძელი აქვს თმები, უწინაც მაგსიგრძე ჰქონდა,
ფიცი გატება, მაგრამ ისევ გრძელი აქვს თმები.
თოვლივით თეთრ სახეს უწინ სიწითლე დაპკრავდა ოდნავ,
ძველი სიწითლე ისევ შვენიის თოვლისფერ სახეს.
ჩამოქნილ ფეხებსაც ისევ ძველი სილამაზე შერჩათ,

ალვას უგავდა ტანი, აშოლტილია კვლავაც.
 თვალეში უკრთოდა ცეცხლი, ნაპერწკლებს აკვესებს დღესაც,
 დავბრმავებულვარ ხშირად მისი თვალეების ცეცხლით.
 ფიციც რომ გატეხოს ქალმა ღმერთები არ სჯიან მაინც,
 მშვენიერებას იქნებ აქვს ღვთაებრივი ძალა?
 ჩემს თვალეებს ფიცავდა, მახსოვს, და მერე საკუთარ თვალეებს,
 მას უციმციმებს თვალი, მე კი თვალს მიწვავს ცრემლი.
 მალალო ღმერთებო, მარქვით, სატრფოს თუ არა სთხოვთ პასუხს,
 მე რაღატომ მსჯით მაშინ მისი ცოდვეების გამო?
 არ მიკვირს, ასევე გასურდათ კეფევსის ასულის დასჯაც,
 თუმც განგარისხათ ძალზე მისმა ამაყმა დედამ;
 არ კმარა? რომ ძლიერ ღმერთებს ტყუილზე გიფიცებთ ქალი?
 რომ თქვენც აბუჩად გიგდებთ და მეც დამცინის მწარედ?
 მე უნდა ვიტანჯო კიდევ და მისი ცოდვეები ვზიდო?
 ნუთუ მე უნდა გავხდე ამ მუხანათის მსხვერპლი?
 და თუკი ასეა, მაშინ არც ღმერთი ყოფილა ქვეყნად,
 ფუჭი სიტყვაა ალბათ და ბრმა რწმენაა ხალხის.
 იქნება არსებობს კიდევ და მხოლოდ ქალები უყვარს?
 და ამიტომაც აძლევს იმათ ყველაფრის ნებას.
 პირბასრი მახვილით გვებრძვის ვაჟკაცებს მრისხანე მარსი,
 და თვით პალადაც მახვილს კაცებს გვიღერებს მხოლოდ,
 კაცების შემუსვრა უნდა აპოლონს თავისი მშვილდით,
 იუპიტერსაც მეხი ჩვენთვის მზადა აქვს მუდამ!
 როდესმე ტუქსავენ განა ღმერთები მშვენიერ ქალებს?
 ნაზი ქალების წყენას ერიდებიან ძალზე.
 მაშ წმინდა საკმეველს ვილა დაუკმევს ტაძარში ღმერთებს?
 დღეს ვაჟკაცებო, ყველას მეტი მხნეობა გვმართებს!
 თვით იუპიტერიც ხშირად მეხს ატეხს კოშკებს და ტყეებს,
 მაგრამ მუხანათ ქალებს ის არ უმიზნებს ისარს.
 თუმც ბევრი ქალია ღირსი, სემელე დაიწვა მხოლოდ,
 სხვებს დაუჯერა ბრიყვმა და დაისაჯა მწარედ.
 საბრალო ქალისთვის მიჯნურს არ უნდა დაეგდო ყური
 და დედა შობდა მაშინ, მამის მაგივრად ბახუსს.
 ეჰ, თუმცა რად ვჩივი ამდენს? და ზეცას გინებით ვიკლებ?
 განა არა აქვთ ღმერთებს ჩვენებრ თვალი და გული?
 მე თვითონ რომ ვიყო ღმერთი, ლამაზებს მივცემდი ნებას,
 რომ მომღიმარი სახით ტყუილი ეთქვათ ჩემთვის.
 მე დავიფიცებდი თავად, რომ ქალი არასდროს ტყუის,
 არ ვგონებოდი ქალებს, ოღონდ პირქუში ღმერთი,
 ღმერთების წყალობა, კარგო, ნუ გაგათამამებს ძლიერ,
 და მეც დამინდო იქნებ, თვალზე შემაშრეს ცრემლი!



ელეგია X

გრეკინუს მახსოვს რომ მითხარ, ნამდვილად შენ მითხარ, მახსოვს,
 არ იქნებოო ორი ერთად გიყვარდეს ერთყამ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენს სიტყვებს ვერწმუნე, მაგრამ ვაი რომ მოვტყუვდი მწარედ,
ჩემდა სასირცხვოდ ორი ერთად, ერთყამად მიყვარს.
ორივე ნატიფი არის, ორივე ლამაზად იცვამს,
ვერ გამიგია დღემდე, ვინ უფრო მეტად მომწონს.
პირველი მეორეს ჩრდილავს? თუ სჯობნის მეორე პირველს?
არა, ეს უფრო მხიბლავს, არა, ის უფრო მხიბლავს.
გულს ორი ტრფობა გლეჯს, როგორც შემხვედრი ქარები ხომალდს,
მიპყრობს ორივე ტრფობა, გახლეჩილი ვარ ორად.
რატომ მიმრავლებ კვლავაც, ჩემო ერიცინავ, ვნებებს?
განა არ კმარა ჩემთვის, მითხარ, ერთ ქალზე დარდი?
ზღვას განა აკლია წყალი? ან უფსკრულს აკლია სიღრმე?
ხეებს — ფოთლები, ანდა ვარსკვლავიან ცას მნათნი?
და მაინც ასე სჯობს მგონი მიჯნურის გარეშე ყოფნას,
უსიყვარულოდ ყოფნას მტერს თუ ვუსურვებ მხოლოდ.
ვუსურვებ არ ჰყავდეს სატრფო, ეულად ეძინოს ღამით,
მსურს თავისუფლად იწვეს ქალის გარეშე, მარტო
და მე კი ვენუსმა დაე დამიფრთხოს უაზრო ძილი,
ჩემს გარდა ქალიც იყოს ჩემი საწოლის ტვირთი.
ლამაზმა გოგონამ დაე დამქანცოს უზომო ვნებით,
თუკი ვერ დამღლის ერთი, მაშინ ვიქნები ორთან.
ტანსრული არა ვარ, მაგრამ ვარ მკვრივი, ძალ-ლონით საესე,
წონა აკლია სხეულს და არ აკლია ძალა.
კიდურებს სიმტკიცეს მატებს და უფრო ძლიერს ხდის ვნება,
მე ამ საქმეში მარცხი არ განმიცდია ქალთან.
ვინ მოსთვლის რამდენი ღამე მომიკლავს სატრფოსთან ერთად,
მაგრამ შემეძლო დილით საქმის კეთება ისევ.
ბედნიერს ვუწოდებ, ვისაც ვენუსის ბრძოლები მოკლავს,
მეც ასეთ სიკვდილს ვნატრობ, დაე მისმინოს ღმერთმა.
მეომარს შეჰფერის ომში გმირულად იბრძოლოს მტერთან,
არ დაიხიოს უკან და ბრძოლის ველზე მოკვდეს.
ვაჭარს კი, რომელიც მუდამ განძსა და ქონებას იხვეჭს,
ერთხელაც შუა ზღვაში ჩაეძირება გემი.
და მე კი ერთი რამ მინდა — ვენუსის ბრძოლებში მოვკვდე,
ჩემს საყვარელთან ვიწვე, ტრფობაში გამძვრეს სული.
და ვიღაც ქვითინით იტყვის, როდესაც დამაყრის მიწას,
„როგორი კაცია იყავ — ისე კაცურად მოკვდი!“

ელეგია V

ჩამოწვა უკუნი ღამე, დაღლილმა ძილს მივეც თავი,
ძილში სიზმარი ვნახე, გამომეღვიძა შიშით.
მესიზმრა მზიანი ბორცვი და იქვე ქვამუხის ჭალა,
ხეთა ტოტებზე, ტყეში ბინა დაედოთ ჩიტებს.
ჭალასთან შევნიშნე მდელი ლამაზი, ხასხასა მოლით,
აბიბინებულ კორდზე მოჩუხჩუხებდა წყარო.
მინდოდა გავცლოდი სიცხეს და ტყეს შევაფარე თავი,



თუმცა ხეების ჩრდილშიც ვერ დავემალე სიცხეს.
 უეცრად დამიდგა თვალწინ ლამაზი, ქათქათა ძროხა,
 ნელა წიწკნიდა იგი ყვავილებიან ბალახს.
 ის იყო ისეთი თეთრი, როგორიც არ არის ალბათ,
 დილაადრიან ციდან ჩამობარდნილი თოვლი.
 ის იყო ისეთი თეთრი, როგორიც არც რძეა ალბათ,
 ჩხრიალ-ჩხრიალით როცა თხის ჭიქნებიდან მოსჩქეფს.
 მიჯნურიც თან ახლდა ძროხას, მის გვერდით ვიხილე ბულა,
 ისიც ძროხასთან ერთად მწვანე მდელოზე მიწვა.
 მიწვა და შეუდგა საქმეს: ჭრელ ბალახს ცოხნიდა ზანტად,
 დაღეჭილ საკვებს დიდხანს ატრიალებდა პირში.
 უეცრად მეჩვენა თითქოს მას ძილმა მოსტაცა თავი,
 მიწას შეეხო რქებით, თავი ჩაქიდა დაბლა.
 ჩხავილი მომესმა ამ დროს — გავხედე, მოფრინავს ყვავი,
 სწრაფად დაეშვა ქვევით, მწვანე მდელოზე დაჯდა.
 გულმკერდში ჩაასო სამჯერ თავისი ნისკარტი ძროხას,
 ამოაგლიჯა ბეწვი და გაფრიალდა ცაში.
 ცოტა ხანს შეყოვნდა ძროხა და მერე წამოდგა ზეზე,
 ჩამუქებოდა მკერდზე სისხლის პატარა ლაქა.
 წამოდგა და ნახა იქვე მახლობლად ხარები ძოვდნენ,
 (იქვე ხარების ჯოგი ძოვდა ნოყიერ ბალახს).
 იმათკენ გაქანდა ძროხა, ნახირს შეერია მყისვე,
 და იმ ნოყიერ ბალახს ხარბად დააცხრა ისიც.
 რას უნდა ნიშნავდეს ნეტა ეს ლამის სიზმარი ჩემი?
 სიზმართმისანო, ნეტა რას მეუბნება იგი?
 მივმართე სიზმრების მისანს, იმანაც ისმინა თხოვნა,
 აწონ-დაწონა გულში თითოეული სიტყვა.
 „ის სიცხე, რომელსაც გსურდა გასცლოდი ხეების ჩრდილში,
 არის ამურის ვნება, მას ვერ დაუსხლტი მაინც.
 თოვლივით ქათქათა ძროხა, იცოდე, სატრფოა შენი,
 ბულა ვინ არის; მიხვდი? თვითონ შენა ხარ ბულა.
 ყორანი რომელმაც გულში ნისკარტი ჩაასო ძროხას,
 მაჭანკალია, და სურს გზა აუბნიოს სატრფოს.
 ბულა ხომ დატოვა ძროხამ? ასევე დაგტოვებს ქალიც,
 და ცივ ლოგინში ლამით გაიყინები მარტო.
 ის სისხლის ლაქა კი ნიშნავს, რომ ხშირად გლალატობს სატრფო,
 და ორგულობის კვალი მას ამჩნევია მკერდზე.
 მომიგო მისანმა ასე, მე შევეკრთი, წამერთვა ძალა,
 ჩემ წინ ჩამოწვა ისევ უკიდევანო ღამე.“

ელეგია X

კერესის დღეობას ჩვენში ყოველ წელს ზეიმობს ხალხი,
 ქალს არ შეჰფერის ამ დროს თავის მიჯნურთან წოლა,
 ოქროსფერთმიანო ღმერთო, შემკულო თავთავთა წნულით,
 შენს დღეობაზე, გვითხარ, რატომ გვიკრძალავ ტრფობას?



ქართული
საბავშვო ჟურნალი

რას გვერჩი ღმერთქალო ნეტა? შენ გულუხვს გიწოდებს ხალხი,
და სხვა ღმერთებზე უფრო გულკეთილიც ხარ თითქოს.
უბირმა კაცებმა განა იცოდნენ რა იყო კალო?
და პურის ცხობაც განა შენ არ ასწავლე გლეხკაცს?
კაცს მუხა აძლევდა საკვებს, თან მისი მისანიც იყო,
მხოლოდ რკოს ჭამდნენ წინათ, ანდა ნამიან ბალახს.
პირველად, კერესის ნებით გაღვივდა მარცვალი ხნულში,
და მან პირველმა ნამგლით თმა მოაკვეცა ყანას.
პირველად უღელი ხარებს კერესმა დაადგა ქედზე.
ხარებს პირველად იმან მოახგნევირა მიწა.
მოწყალე ქალღმერთის ზეიშს რად ახლავს მიჯნურის ცრემლი?
მის დღეობაზე ქალი რად უნდა იწვეს მარტო?
გულქვაც რომ არ არის იგი! მას ხორბლის ყანები უყვარს,
როგორც ამბობენ, მისთვის არც ტრფიალია უცხო.
ამ ამბის მოწმეა კრეტა და ტყუილს არ იტყვის იგი,
დიდ იუპიტერს თურმე კრეტამ აწოვა ძუძუ.
თავისი გაზრდილით ახლაც ამაყობს ლამაზი კრეტა,
დღეს შვილობილი მისი ზეცის მეუფე გახლავთ.
თუ გნებავთ შვილობილს ვკითხვით — ტყუილი არ უყვარს კრეტას,
მე გავახსენებ კერესს ადრე ჩადენილ ცოდვას.
ქალღმერთმა იხილა ერთხელ იდეზე, დაბურულ ტყეში,
იასიუსი, იგი შუბს უშიზნებდა ნადირს.
შეხედა ჭაბუკს და უმაღ ალმური მოედო ქალღმერთს,
გული მიუწევს მისკენ, კდუმა ეწევა უკან.
ბოლოს კი დასძლია სირცხვილს, სიყვარულს მინებდა ბოლოს,
სულ დაივიწყა საქმე... ხნულში ნათესი გახმა.
ამოდ თოხნიდნენ იმ წელს საბრალო გლეხები ყანას,
და ნიადაგსაც ხნავდნენ, არ ასვენებდნენ გუთანს.
ამოდ თესავდნენ ხორბალს, მათ შრომას არ ჰქონდა ფასი,
ღმერთს შემწეობას თხოვდნენ, ღმერთს არ ეცალა მათთვის.
შორს იყო კერესი ამ დროს, ის იწვა უსიერ ტყეში,
და ჩამოშლოდა მხრებზე ხორბლის თავთავთა წნული.
მან სადაც დაადგა ფეხი — მხოლოდ იქ აყვავდა მიწა,
კრეტას დაუდგა მხოლოდ მოსავლიანი წელი.
თავთავმა ამოყო თავი იდეზე, ტყეების ტევრში,
და გარეული ღორიც ტყეში ძღებოდა პურით.
ხარობდა მინოსი, რადგან ქვეყანა ბაღნარად ექცა,
სურდა მიჯნურთან დიდხანს დარჩენილიყო ღმერთი.
ოქროსფერთმიანო, შენც ხომ გვაძა მიჯნურთან წოლა,
მაშ მე რად მაწვენ მარტო, რად მადვრევიანებ ცრემლებს.
რად გვაქვს სანადვლო ეხლა? შენ უკვე იპოვე შვილი,
მხოლოდ იუნო არის მასზე ძლიერი ქვეყნად.
დღეობას შეჭფერის ღვინო, სიმღერა, ლხინი და ტრფობა,
აი რას უნდა გვთხოვდე თავყვანისცემის ნიშნად!

ვალი ბოიკო

სიტყვა სიკვდილით დასჯის შემდეგ



ლიტერატურული ჩანაწერი მიკოლა სიმორენკოსი

უკრაინულიდან

თარგმნა რაულ ჩილაჩავამ

ავტორისაზან

ფაშისტი ურჯულების მიერ ციხეებსა და სიკვდილის ბანაკებში გამომწყვდეული ათობით მილიონი ადამიანისაგან ცოტა ეინმეს თუ გაუღიმა ბედმა. მილიონობით წამებულთა და დახვრეტილთაგან სასწაულით გადარჩნენ ერთეულები — ბედის უნებლიე რჩეულნი. ერთ-ერთი მათგანი მე ვარ. მე ცოცხალი დაერჩი მას შემდეგ, რაც 1943 წლის 28 ივნისს, ღამის პირველ საათზე კრავოვის გესტაპოს ციხის სარდაფში დამხვრიტეს. პოდა, მე ვიღებ სიტყვას სიკვდილით დასჯის შემდეგ.

ჯერ კიდევ პიტლერელთა საპყრობილეებში, სადაც განუწყვეტლივ მაწამებდნენ და სულს მბდიდნენ, საკუთარ თავს შევფიცე, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა გავძლო, გავძლო, რათა ადამიანებს ფაშიზმის შემზარავ დანაშაულობებზე მოვუთხო-მეთქი.

სამშობლოში დაბრუნებულმა წიგნის დაწერა გადაწყვიტე. იგი ტანჯვით იბადებოდა. ვეძებდი სამართებელივით ბასრ სიტყვებს და ვერ ვპოულობდი. მაშინ ნაკუნებად ვაქცივდი დაწერილს და თავიდან ეიწყებდი წერას. რამდენჯერ ყოფილა ასეც: ჩათვლემილს წაშვე განღვიძებია, მივეარდნილვარ საწერკალამს და მიწერია მთელი ღამე, დილით კი უხემსოდ წავსულვარ სამსახურში. სამსახურიდან დაბრუნებული კვლავ მაგიდასთან დაემჯდარვარ და მიმუშავია თავბრუდახვევამდე. ასე გრძელდებოდა მრავალი წელი. მე შეგნებულად ვაქციე ზურგი ყოველგვარ ცხოვრებისეულ სახარულსა და შევბას. ოჯახს არ მოეკიდებივარ. თავისუფალ დროს არ ვატარებ ისე, როგორც ატარებს მას მილიონობით ადამიანი. მე ვიჭეცი დაღუპულთა წინაშე ჩემი მძიმე მოვალობის მონად.

ამჟამად წიგნი მზადაა. იგი დაწერილია ჩემი გულიდან გამოწურული სისხლით. მასში არაა არც გამოგონილი მოვლენები, არც გამოგონილი სახელები. ბევრ მკითხველს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ის, რაზეც მე ვყვები, შეიძლება მოეჩვენოს ფანტასტიკურად, მოგონილად, მაგრამ ყველაფერი ეს იყო. წამებულთა ფერფლი არ მაძლევს მოსვენებას, წამებულთა ფერფლი მავალდებულებს ვწერო მხოლოდ სიმართლე.

ჩემი ნაღვლიანი თხრობის დაწყებამდე მინდა ვუღიბოთ მადლობა მოვახსენო პიტლერული ბანაკების ყოფილ ტყვეებს, წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებს — პავლე ანტონი. ძე ლოგანოვს, პეტრე ალექსის ძე გაიკოს, მიხაილ ივანეს ძე ჩერნიშოვს, ვალენტინ არქიპის ძე კოროლევიჩს, ივანე პეტრეს ძე ოლექსიენკოს, ნიხაილ სერგეის ძე იანკოვსკის, ივანე კირილეს ძე კრავჩუკს, პეტრე ივანეს ძე შევჩენკოს, ანატოლი თევდორეს ძე იაციუკს, ოლდი ივანეს ასულ რუდასს, ვალენტინა რომანის ასულ სუკალოს, ივანე დიმიტრის ძე ტერეშჩენკოს, დიმიტრი თევდორეს ძე ისკრას, მარია იარემას ასულ სერდიუკს, პეტრე ფედოსის ძე მალიოვანის, ბორის ანდრიას ძე ზბარჩევსკის, ალექსი ალექსანდრეს ძე მარტინენკოს, ივანე იოსების ძე სმიკს, ნიკოლოზ დიმიტრის ძე კოზუნიცას, ვლადიმერ ნიკიფორეს ძე კოზლოვს, მარია ნიკოლოზის ასულ კოროტუნს, სტეფანე ივანეს ძე ვოკეს, ანატოლი ალექსანდრეს ძე პედანს, ვასილ სავას ძე სატუციულს, ივანე სერაფიმის ძე პოდოლინის, ვასილ ტროფიმის ძე ბონდარს,

ანდრია ტიმოტეს ძე კლიმენკოს, ეგნატე ოსტაპის ძე კუზმენკოს, დამიან კუზმას ძე ლიშჩუკს, ივანე კირილეს ძე ანტონენკოს, ევგენი ივანეს ძე ბოლოტოვს, ივანე მაქსიმეს ძე მალიუტას, იგორ პეტრეს ძე მასლიენკოს, ნატალია იოსების ასულ რომანენკოს, ვალენტინ მსტიგინის ძე შრამკოვს, პავლე თევდორეს ძე გრებენიჭკს, ვალენტინა ტერენტის ასულ სტარიშჩუკს, ანა გაბრიელის ასულ ფორისს, მიხეილ ილკოს ძე დუბნიკს, პართენ ვასილენკოს ძე ტუტუნოვის. ისინი მაძლევდნენ სასარგებლო რჩევებს, მორალურად მამხნევებდნენ. ტრუბაშჩინსკისათ. უღრმეს მადლობას მოვახსენებ კოლეგტივებსა და ცალკეულ მოქალაქეებს, რომლებმაც ამ წიგნზე ათასობით საქებარი წერილი და გამოხმაურება გამომიგზავნეს.

ბოიბანი

1 -

Uამეტი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მე, თექვსმეტი წლის ყმაწვილი უკრაინულ დაბა სკვირის ქუჩაზე შემიპყრეს და გერმანიაში მიკრეს თავი. ამ ხნის მანძილზე ექვსჯერ გავიქეცი, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ეს ვაქცევა მარცხით დამთავრდა. მივიპარებოდი ხევ-ხუცებით, ტყისპირებით, ძლოკვივით მივხობავდი უცხო მიწაზე, მახსოვდა, რომ სულ მცირე გაუფრთხილებლობა შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დამჯდომოდა. ვძლევდი ეჭვებსა და შიშს, ჭიუტად მივიწევდი აღმოსავლეთისაკენ და... ისევ მტერს ვუვარდებოდი ხელთ.

ფაშისტური რაიხის ციხეებში მომქანცველი ერთფეროვნებით მეორდებოდა ერთი და იგივე. მიღებდნენ სურათებს, თითების ანაბეჭდებს, მიწყობდნენ დაკითხვებს, მაწამებდნენ. ამ ცამეტი თვის მანძილზე მოვიარე ლაიპციგის, ბერლინის, მაინის ფრანკფურტის, დრეზდენის, ბრესლაუს, გინდენბურგის, კროიციბურგისა და ბოიტენის ციხეები. დაკითხვებისა და წამების შემდეგ ყოველთვის მგზავნიდნენ სხვა ბანაკში „გამოსასწორებელ“ სამუშაოებზე.

აღმოსავლეთის ფრონტი ახალ-ახალ დივიზიებს მოითხოვდა. გერმანიაში ტარდებოდა ტოტალური მობილიზაცია, მრეწველობას კი მუშახელი სჭირდებოდა, ამიტომ ბანაკებიდან გაქცეულთ ციხეებში დიდხანს არ აჩერებდნენ. მათ იქ მხოლოდ „ამუშავებდნენ“, ცდილობდნენ სასტიკი ტანჯვა-წამების მეოხებით მათთვის გაქცევაზე ფიქრის სურვილიც კი გაეჭროთ.

მე მაინც ბედი მწყალობდა: ექვსჯერ გაქცევის შემდეგაც სახრჩობელა ამცდა და ყველაფრის ჭიბრზე ცოცხალი დავრჩი. უფრო მეტიც, მე არ ვაპირებდი ფარ-ხმლის დაყრას, ხელახლა გაქცევაზე ფიქრი დღე და ღამე მოსვენებას არ მაძლევდა. მწამდა: ადრე თუ გვიან ბედი გამილიმებდა, ყველა ხაფანგს გვერდს ავუვლიდი და დავბრუნდებოდი სამშობლოში, რომლის გახსენებაც კი ძალ-ღონესა და აღმაფრენას მმატებდა. ვადგენდი ვაქცევის ათასგვარ გეგმას, ზოგი სულ უბრალო იყო, ზოგიც — ფანტასტიკური, მე კი მათი ხორცშესხმა სავსებით შესაძლებლად მიმაჩნდა. ან შემთხვევითობა ან ჩემი შეცდომა რომ არა — პირველი, მესამე და უკანასკნელი გაქცევაც, ყოველ შემთხვევაში ერთერთი მაინც, უსათუოდ გამიმართლებდა.

მკითხველმა შეიძლება იკითხოს: როგორ მოხდა რომ ექვსჯერ გაიქცა და და ჩამოხრჩობას კი გადაარჩაო? საქმე ის გახლავთ, რომ ყოველ დაკითხვაზე მე

უცვლელად ვიმეორებდი ერთ ვერსიას: გერმანიაში სამუშაოდ მივყავდით და გზად ეშელონს ჩამოვრჩი-მეთქი.

გამომძიებლები, ცხადია, მეკითხებოდნენ: „ეს როგორ? ვინაა ეშელონს დაცვა არ ახლდა?“ — „დიახ, ახლდა, — ვპასუხობდი მეცხრე-მეათე მწიგნობარ-ვილმა საშინლად შემაწუხა და როცა რომელიღაც სარგურზე გუშაგს ჩასთვლი-მა, ვაგონიდან ჩამოვხტი და წყლის საძებნად გავიქეცი. სანამ დაღევას მო-ვასწრებდი, მატარებელი წავიდა, მე კი, დასჯის შიშით, ხელისუფალთათვის არ მიმიმართავს. აღმა-დაღმა ვეხეტებოდი, სანამ არ დამიჭირეს...“

მე მშველოდა ის, რომ პატარა, შეუხედავი და გამბდარი ვიყავი და მთლად ბიჭუნასავით გამოვიყურებოდი. თექვსმეტი წლისა თავს თოთხმეტი წლის მო-ზარდად ვასალებდი. ვამბობდი, ყველასგან მიტოვებული, ბავშვთა სახლიდან წამოყვანილი ობოლი ვარ-მეთქი, რადგან ვიცოდი, რომ გერმანელებს დიდებ-ზე უფრო ბავშვებისა სჯეროდათ. ჩანს, არც თუ ურიგოდ ვთამაშობდი ბეჩავი, უბედური და უპატრონო ბავშვის როლს, რომელსაც თავში მზოლოდ გაძლო-მაზე ფიქრი უტრიალებდა. დაკითხვებზე მტკიცედ ვიცავდი ამ ვერსიას და რო-გორაც არ უნდა ეცემათ, ჩვენებები არ მეშლებოდა. ეტყობა, სწორედ ამან გადამარჩინა. გვარს, ბუნებრივია, ყოველთვის გამოგონილს ვასახელებდი. ყვე-ლაფერს, რომ თავი დავანებოთ, „ობოლს“ ბედი მართლაც მწყალობდა. მი-ჭერდნენ გაქცევის ადგილიდან შორს, პოლიციას კი ურიცხვი ციხისა და ბა-ნაკის ხელმძღვანელობის მეშვეობით დაწვრილებითი გამომძიების დრო არ ჰქონ-და. ჰიტლერელები ორი-სამი კვირა მაყურყუტებდნენ, მერე კი უახლოეს საკონ-ცენტრაციო ბანაკში გადამაგზავნიდნენ.

მეექვსე გაქცევა მარცხით დამთავრდა სილეზიაში. დამიჭირეს ქალაქ ბო-იტენის მახლობლად და ციხეში მიკრეს თავი. ორი კვირის პატიმრობის შემ-დეგ ციხის ეზოში გამომიყვანეს. აქ უკვე ჩამწკრივებინათ ასობით რუსი ტყვე. დაიწყო გადათვლისა და მწკრივების გასწორების პროცედურა, თვალწინ კრთოდნენ მეთვალყურეთა რეზინის ხელჯობები, გაისმოდა მოთქმა-გოდება. ასე გაგრძელდა მთელი საათი. ბოლოს ციხის ხელმძღვანელობა გამოჩნდა და პროკურორის საერთო გადაწყვეტილება გამოაცხადა: ყველა ჩვენთაგანს, რო-გორც მესაბოტაჟეებს, რომლებმაც არ ისურვეს „დიდი გერმანიისთვის“ მუშა-ობა და მისადმი მტრობა გამოიჩინეს, გვაგზავნიან მალაროებში მძიმე გამოსას-წორებელ სამუშაოებზე ომის ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრებამდე. ომის „ძლევამოსილი გამარჯვებით“ დამთავრების მერე რა ბედი გველოდა, არ უთ-ქვამთ.

კოლონა გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით ქუჩაში გამოიყვანეს. ვაკ-ვირდები უცნობ ტყვეებს, რომლებთანაც მომავალში ერთი ბედი უნდა გავიყო. ყველანი უკიდურესად გაწამებული და ქანცგამოცლილი არიან, თითოეულს ტანსაცმლის ნაცვლად ჭუჭყიანი, დამბალი ძონძები ჰკიდია, ბევრ მათგანს ცემისგან სახე დაღურჯებია.

მაისის მიწურული იყო. მზე გულუხვად ანათებდა, ხეთა ნორჩი ფოთლე-ბისა და თბილი მიწის სურნელი იდგა. იწყებოდა დალოცვილი ზაფხული, რო-მელზეც ოცნებობდნენ ჰიტლერული ციხეებისა და საკონცენტრაციო ბანაკების გულშეჭირვებული ტყვეები. ჩვენ მივლასლასებდით ბოიტენის ქუჩებში, სიი-მოვნებით ვუშვერდით სახეს სითბოსა და სინათლის ნაკადს და შეუჩვევლობის-

გან თვალბმოჭუტულნი ხარბად ვისუნთქავდით მწვანე ფოთლების სურნელე-
ბას. სიხლნაკლოლობისა და ქანცგაცლილობისგან თავბრუ გვეხვეოდა.

იმაზე, თუ რა მოგველოდა, ფიქრიც არ გვინდოდა. ყველანი როგორღაც
გავმხიარულდით, ასეთია, ეტყობა, ადამიანის ბუნება — იგი ყველანაირი სიკვდილის
მოლოდინშია. თვით სიკვდილმისჯილიც კი არ კარგავს იმედს.

ჩვენ ბადრაგი მიგვაცილებდა უცხო ქალაქის ქუჩებში, მაგრამ სუფთა
ჰაერს მაინც ვსუნთქავდით, ვხედავდით მზეს, ამწვანებულ მიდამოს, ადამია-
ნებს, ეს კი ჩვენს მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის ცოტა როდია. ეს წუ-
თები გვანუგეშებდა და სიცოცხლის წყურვილი კვლავ იღვიძებდა ჩვენს გუ-
ლებში.

გულდასმით შევცქერი თვალბში გამვლელებს, დარწმუნებული, რომ
გერმანელთა შორის შეუმცდარად გამოვარჩევ პოლონელს. პოლონეთი ორ ნა-
ბიჯზეა. ასეთ სასაზღვრო ქალაქებში, ვფიქრობდი მე, მოსახლეობა ჩვეულებ-
რივ შერეულია, ჰოდა, ბოიტენშიც მრავლად უნდა იყვნენ პოლონელები, რო-
მელთა შორის მოიძებნება არაერთი, ვისაც სძულს პიტლერელები და დახმარე-
ბის ხელს გაუწვდის ფაშისტური ტყვეობიდან ლტოლვილს. რისკზე ტყუილად
როდი წავსულვარ. აკი პოლონეთამდე მივალწიე! კიდევ ერთი გაქცევა და თა-
ვისუფალი ვიქნები, პოლონელები მე არ გამცემენ. მოვძებნი პარტიზანულ
რაზმს და ფაშისტებს სამაგიეროს გადავუხდი ყველა ჩემი ტანჯვა-წამებისთვის.
ოღონდ ბედი გამილიმებდეს...

ბოიტენში ბევრი ქარხანა და მალარო იყო. მალლა ზეცაში ეკიდა საჰაერო-
გადამლობი აეროსტატები. მოედანზე შემნიღბავი ფარებიდან საზენიტო ქვე-
მეხთა გრძელი ლულები მოჩანდა. გამვლელთა სახეებზე მღელვარება და დაღ-
ლილობა აღბეჭდილიყო. მოკავშირეთა ავიაცია უამიდან-უამად ბოიტენსაც ბომ-
ბავდა.

ქალაქს ქუფრი იერი დაჰკრავდა. ყველგან, საითაც გაიხედავდი, მალაროთა
ტერიკონები, ურნალები, რუხი და წითელი აგურით ნაგები ვეება სამრეწვე-
ლო ნაგებობები, ანტრაციტის კოხტა გორაკები, უშველებელი ამწეები, მილები
და ესტაკადები მოჩანდა. ლიანდაგებზე წამდაუწუმ დაჰქროდნენ კვამლით მო-
ბურული ორთქლმავლები, პულმანები მალაროს ბუნკერებთან მიჰყავდათ, საიდა-
ნაც წამოსული ქვანახშირის შავი ნიაღვარი ვაგონებს ვაგონებზე ავსებდა. აქ
ყველაფერი პირქუშად გამოიყურებოდა: რუხთეთრად შელესილი სახლებიც,
ქვის ტლანქი ყორეებით შემოკავებული სტანდარტულად კვადრატული ტბორე-
ბიც, გერმანელ, მხედართმთავართა უსახური ძეგლებიც. პიტლერელებს ბოი-
ტენი ექცია სამხედრო-სამრეწველო ცენტრად, რომელიც მხოლოდ ომის სა-
ჭიროებებს ემსახურებოდა.

კვირა დღე იყო, მაგრამ ქუჩებში კაციშვილი არ ჰაჭანებდა. მხოლოდ ხან-
დისხან თუ ჩაივლიდა საბჭოთა, ინგლისელ და ფრანგ სამხედრო ტყვეთა კო-
ლონა. მაშინვე თვალში გეცემოდათ მათი გარეგნული განსხვავება. ინგლისელი
და ფრანგი ჯარისკაცები, განსაკუთრებით ოფიცრები, მაძღრები და გაპარ-
სულნი იყვნენ, ტანთ გულდასმით დაუთოებული შალის ფორმა ეცვათ. მათ
მხოლოდ ორი-სამი მეთვალყურე მიაცილებდა, ისიც სხვების დასანახავად.
ისინი მხნედ მიაბიჯებდნენ და მხიარულად იყურებოდნენ, თითქოს ტყვეები
კი არა, ამ გერმანული ქალაქის სტუმრები ყოფილიყვნენ.

სულ სხვა სანახაობას წარმოადგენდა გაძლიერებული ბადრაგით გარშე-

მორტყმული საბჭოთა ტყვეთა კოლონები. ჩვენც კი, რომლებიც ეს-ეს იყო ციხიდან გამოვედით, გვაძრწუნებდა მათი შესახედაობა: საშინლად დონემიხდილებს ჭრილობებით დასერილი, ცემისგან დალურჯებული სახეები ჭუჭყიანი ჩურებით ჰქონდათ შეხვეული, უმეტესობას კი სულაც არ ჰქონდა შეხვეული. უქამრო და უღილებო, დაძონძილი წითელარმიული გაღიფფევიანი გიმნასტურები ეცვათ, ფეხები ხის ფლოსტებში ჩაეყოთ და მკედრებს ჰგავდნენ. მიაბიჯებდნენ მოთენთილები, შიმშილისაგან დასიებულ ფეხებს ძლივს ადგამდნენ. თითოეულ მათგანს ზურგზე, როგორც ტანჯვის აღმნიშვნელი დამლა, უზარმაზარი ყვითელი ასოებით ეწერა „SU“, რაც ნიშნავდა „Sowetunion“. ბოიტენის ეს ძალად-მალაროელები ეს-ეს იყო ამოფოფებდნენ შავი, კატორღული მიწის-ქვეშეთიდან და მოჩვენებებით მიაბიჯებდნენ ქალაქის უკაცრიელ ქუჩებში.

პატარა მწვანე სკვერში, რომლის მახლობლადაც ჩვენს კოლონას მიერეკებოდნენ, ასე ხუთი წლის გოგონასთან ერთად ახალგაზრდა მომხიბლავი გერმანელი ქალი სეირნობდა. ქერა, ლურჯთვალეა, გემოვნებით და კარგად მორთული გოგონა, გეგონებოდათ, ბედნიერებას ასხივებსო. მას ეცვა ქათქათა ქვედატანი, ფუმფულაბურთულებიანი წინდები და პაწაწინა კობტა ფეხსაცმელები. მხრებზე ტალღებად დაყრილი ხუჭუჭა თმა და დიდი ცისფერი ბაფთები კიდევ უფრო მკვეთრად აჩენდნენ მის ღილილოსფერ თვალებს. ნაზი სახე, პატუა ცხვირი, პაწაწინა ფოსოები ლოყებზე, ცისფერი, ყველაფრის მიმართ ცნობისმოყვარე თვალები გამვლელთა კეთილისმსურველ ღიმილს იწვევდა. ტყვეები მონუსხულებივით შესცქეროდნენ ბედნიერ დედა-შვილს. არაერთს მწარე ტკივილით ახსენდებოდა საკუთარი ცოლ-შვილი...

— სად მიდიან ეს ბიძიები? — იკითხა გოგონამ.

— ესენი რუსი ბანდიტები არიან. ციხეში მიჰყავთ. იქ გამოამწყვდევენ, რომ ადამიანებს არაფერი ავნონ, — მიუგო ქალმა.

შემკრთალი გოგონა დედას ამოეფარა, ღილილოსფერი თვალები უკვე შიშნეულად და უნდობლად იმზირებოდნენ, თეთრ სახეს ჩრდილმა გადაურბინა. რომ სცოდნოდა, როგორი შეურაცხმყოფელი და მტკივნეული იყო ჩვენთვის ამ საზიზღარი ტყუილის მოსმენა! მე პირველად ვინანე, რომ გერმანული ვიცოდე, რატომღაც ერთი დედაბერი მომაგონდა, რომელიც ხშირად მოდიოდა მაინის ფრანკფურტში ბავშვთა ბანაკის მავთულხლართთან, მშიერ საბჭოთა ბავშვებს პურის ნატებს უჩვენებდა, და როგორც კი რომელიმე მათგანი ხელს გაუწვდიდა, სისინით: „რუსიშე შვაინე“, სახეში კეტს უთავაზებდა. ჩვენ მას კუდიანი შევარქვით და მავთულხლართს უკვე აღარ ვეკარებოდით. შეშლილი დედაბერი მერეც კარგა ხანს მოდიოდა ბანაკში. ეს იყო ერთი წლის წინათ.

— ლოს, ლოს, ფერფლიუხტე შვაინე!¹ — გაბრაზებით წამოიძახა ერთერთმა გამყოლმა და რეზინის მძიმე ჯოხით ტყვეები ააჩქარა. ერთი დარტყმა მეც მომხვდა, ყრუ ტკივილმა დამიარა მხარში, თვალები ცრემლებმა დამინისლა.

ამასობაში ღრიალითა და დოლების ბრაგუნით მომავალი პიტლერიუ-გენდელთა რაზმი გამოჩნდა. გამომწვევი შესახედაობის მამლაყინწები ყვითელ ფორმაში იყვნენ გამოწყობილი, ეცვათ მუხლებამდე მოკლე შარვლები და სახელოებზე სვასტიკებგამოყვანილი პერანგები, თავზე კი ფაშისტურ ემბლემი-

¹ ჩქარა, ჩქარა, წყველო ღორებო!

ანი პილოტურები ეხურათ, წელზე ყველას ხანჯალი ეკიდა, ქვედანაყოფების მეთაურები კი პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულნი. კოლონას ასე თქვითდა წლის მკვირცხლი, პეწენიკი ოფიცერი მოუძლოდა. როცა ჩვენს კოლონასა და პიტლერიუგენდელთა რაზმს შორის მანძილი შემცირდა, ოფიცერმა, რაღაც ბრძანება გასცა და მამლაყინწები ქუჩაში ყიყინით, ღრიანცელოვან ქვევით გაიფანტნენ. ჩვენი კოლონისკენ წამოვიდა ქვები, ქვანახშირის ნატეხები, ხრეშინორჩმა პიტლერელებმა ქარქაშებიდან ხანჯლები იძრეს და მათი ტრიალით შეტევაზე წამოვიდნენ. კოლონის მწყობრი დაირღვა. ქვების სეტყვისგან თავდაცვა შეუძლებელი იყო. ერთი ქვა გამყოლს მოხვდა. ამან ბადრაგის მეთაური აიძულა ვაკხანალია შეეწყვიტა. მან ოფიცერთან მიიღბინა და გულმოსულად რაღაც უთხრა. ოფიცერმა თავის მესაყვირეს უხმო. ჩაჰბერეს საყვირს და თავხედი მამლაყინწები სწრაფად ჩამწყრივდნენ.

— ყოჩაღ! ჰაილ ჰიტლერ! — ხრინწიანი ხმით შესძახა ოფიცერმა.

— ჰაილ! ჰაილ! ჰაილ! — ისტერიულად აყაყანდნენ პიტლერიუგენდელები.

— უჰ, ძაღლები! — შეიგინა მალალმა მხრებში მოხრილმა ტყვემ და სახეზე სისხლი შეიწმინდა.

— არა, ძვირფასო, სხვა სიტყვა უნდა გეთქვა, — უსაყვედურა გვერდით მდგომმა, — ძაღლი ადამიანის მეგობარია, ესენი კი...

— იმ გლაიშრიტ მარში! — გასცა ბრძანება ოფიცერმა. აბრაგუნდა დოლები, აღზნებული, საკუთარი თავით კმაყოფილი ჭაბუკები ამაყად გაუყვნენ ქუჩას. ჩვენც დაქანცული ნაბიჯებით განვაგრძეთ გზა. მე მომეჩვენა, რომ თითქოს მესმოდა ტყვეთა გამალებული გულისცემა.

ასე შეგვეგება ბოიტენი, უკანასკნელი გერმანული ქალაქი, რომლის შემოგარენში 1939 წელს გერმანიასა და პოლონეთს შორის სახელმწიფო საზღვარი გადიოდა.

ჩემს გვერდით მომავალმა ხანშიშესულმა მამაკაცმა, რომელთანაც რამდენიმე სიტყვით გადალაპარაკება უკვე მოვასწარი, იდაყვზე მომითათუნა ხელი და მითხრა:

— აი, ასე ამზადებენ მკვლელთა კადრებს. ჯერ მათ ასწავლიან უიარაღო ხალხისთვის ქვების დაშენას, მერე კი მათთვის კეფაში ტყვიების სროლას.

მე მაშინათვე გადავწყვიტე დავკვირვებოდი ამ ტყვეს და მასთან ერთ ბარაკში მოხვედრა მომეხერხებინა. ვინაშლო იგი დათანხმებულიყო ჩემთან ერთად გაქცევას.

მალე ჩვენს თვალწინ წითელი აგურით ნაგები მალალი კოშკი აღიმართა, რომელიც ტარით ძირს დაყუდებულ უზარმაზარ უროს მოგაგონებდათ. მალლა, უროზე მეტრიანი გოთური ასოებით ბრწყინავდა წარწერა: „გოგენცოლერნგრუბე“.

— რას ნიშნავს ეს? — ვკითხე მეზობელს.

— „გრუბე“ გერმანულად მალაროს ნიშნავს, გოგენცოლერნები კი ერთ-ერთი უმდიდრესი დინასტიაა, რომელიც წლების მანძილზე სათავეში ედგა გერმანიის ხელისუფლებას, ისევე, როგორც რომანოვები რუსეთისას. ოდესღაც გოგენცოლერნებს ეკუთვნოდათ თითქმის მთელი სილეზიის მალაროები.

¹ ნაბიჯით იარა

— თქვენ ეს საიდან იცით?

— თავის დროზე, ყმაწვილო, მე საკმაოდ ვიყავი დაინტერესებული ისტორიით.

ჩვენი საუბარი აქ შეწყდა. მივუახლოვდით მავთულქარაზე¹ — შემოკავებული მაღაროს მასიურ ალაყაფს. კარებმა გაიჭრიალა და ჩვენს მაღაროს ტერიტორიაზე აღმოვჩნდით. კოლონა კანტორის ხუთსართულიან შენობასთან გააჩერეს. პირდაპირ ჩემ წინ ათობით ბრძანებით, განკარგულებით, განცხადებითა და ინსტრუქციით აჭრელებული უზარმაზარი დაფა ეკიდა. მე მისგან სულ ორ ნაბიჯზე ვიდექი და თავისუფლად შემეძლო დაბეჭდილი ტექსტის წაკითხვა. ჩემი ყურადღება მიიპყრო სამგლოვიარო არშიაში ჩასმულმა ნეკროლოგმა, რომელსაც ახალგაზრდა გერმანელი ოფიცრის პორტრეტი ახლდა. „ობერ-ლეიტენანტი ზიგფრიდ ჰოპე“, — წავიკითხე მე. პორტრეტს ქვემოთ მოთავსებული იყო მოკლე ბიოგრაფია ამ ჰოპესი, რომელსაც „დიდი გერმანიისთვის“ უჩვეულო გმირობებით“ ესახელებინა თავი. იგი მონაწილეობდა თურმე ევროპის კამპანიაში, დაჯილდოებული ყოფილა ორდენებითა და მედლებით, აღმოსავლეთის ფრონტზე კი რკინის ჯვარი მიუღია. 1943 წლის მაისის მიწურულს „პარტიზანებთან უთანასწორო ბრძოლაში“ ჰოპე დაღუპულა. იქვე მე წავიკითხე სხვა საინტერესო დოკუმენტიც, რომელშიც ფაშისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია და „გოგენცოლერნგრუბეს“ ადმინისტრაცია თანაგრძნობას უცხადებდნენ თავიანთ ხელმძღვანელსა და მაღაროს მთავარ ინჟინერს პაულ ჰოპეს აღმოსავლეთის ფრონტზე მისი, როგორც ირკვეოდა, უკვე მეორე ვაჟის, ობერ-ლეიტენანტი ზიგფრიდ ჰოპეს დაღუპვის გამო. „მადლიერი სამშობლო, — ეწერა თანაგრძნობის ბარათში, — არ დაივიწყებს სახელოვან შვილთა გმირობას. ძვირფასო ჰოპე! გამაგრდით და იამაყეთ! თქვენმა შვილებმა თავი შესწირეს ფიურერსა და ფატერლანდს!“¹

ასეთი რამ მე არ მიკვირდა: გერმანიის ქარხნებში მუშაობისას არაერთგზის წამეკითხა მსგავსი ნეკროლოგები. ყოველდღიურად, დილის რვა საათზე, ადმინისტრაცია გერმანული პედანტურობით აკრავდა სულ ახალ-ახალ ნეკროლოგებს დაღუპულ „გმირებზე“ — საწარმოს ყოფილ მუშებსა და მოსამსახურეებზე. გერმანელებს ეს ნეკროლოგები ამწუხებდა, ჩვენ კი, პირიქით, გვახარებდა, ვხვდებოდით, რომ ჩვენი სამშობლო წარმატებით იბრძოდა პიტლერული ურდოების წინააღმდეგ.

ამასობაში კანტორიდან უფროსობა გამოვიდა — რამდენიმე გერმანელს წინ ტანმომცრო კოჭლი მოხუცი მოუძლოდა. იგი ეყრდნობოდა ხელჯოხს, რომლის სახელურის მაგივრობას რკინის ჩაქუჩი სწევდა. ასეთი ჩაქუჩებით რკინიგზელები ვაგონის ბორბლებს ამოწმებდნენ ხოლმე.

ქუდმოხდილი გერმანელები მოხუცს თვალებში შესცივინებდნენ, ის კი უხალისოდ და გულგრილად იყურებოდა და მისალმებებს ყურადღებას არ აქცევდა. ჩანდა, ეს მოხუცი აქ პატარა კაცი არ უნდა ყოფილიყო. მართალია, იგი მოხდენილ გარეგნობას ვერ დაიკვეხნიდა: გამხდარსა და მხრებში მოხრილს დამჭკნარი ლოყები ჩავარდნოდა, საფეთქლებზე ვენები გამობერვოდა, ღრმად ჩამსხდარი, ანთებული თვალები ზიზღითა და ბრაზით იყურებოდნენ. ჩაქუჩს დაყრდნობილი ბერიკაცი საგრძნობლად კოჭლოვდა. და მაინც, ხანდაზ-

¹ მაშული, სამშობლო.

მულობის მიუხედავად, მოხუცი ძალიან ჰგავდა ობერ-ლეიტენანტ ზიგფრიდ ჰოპეს. მე მაშინვე მივხვდი, რომ იგი დაღუპული ობერ-ლეიტენანტის მამა, მაღაროს ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მისი მთავარი ინჟინერი იყო. პიჯაკის საყულობე გერმანიის ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წინაშე და სამგლოვიარო სამკლაური ადასტურებდნენ ჩემს ვარაუდს.

— ახტუნგ!¹ — წამოიძახა უცებ ბადრაგის მეთაურმა და მოხუცთან მიიბრინა. — ბატონო უფროსო ინჟინერო! ასი რუსი ტყვე მოვიყვანეთ თქვენს განკარგულებაში!

უფროსმა ინჟინერმა ნაციისტური მისაღმების ნიშნად ხელი დაუდევრად გამართა და მოპატაკე მეთაურს ნელა ჩაუარა. მსუსხავი, ავი თვალებით გადახედა მან ჩვენს რიგებს და მზერა პირველ მწკრივში მდგარ ერთ-ერთ ტყვეზე შეაჩერა, მიუახლოვდა მას და მოულოდნელად რამდენჯერმე დაარტყა ჩაქუჩი. რატომ? ამაზე პასუხს ვერავინ გაგცემდათ. პაულ ჰოპეს ციებიანივით უთრთოდა გაძვალტყავებული ხელები, ჩავარდნილ ლოყებზე ვარდისფერმა წერტილებმა გამოაყარა, ბრაზისაგან სახე მოექცა.

— ამ ღორებს არ შეუძლიათ რიგში დგომა! ჩააგდეთ იგი კარცერში ულუკ-მაპუროდ და უწყლოდ. და საერთოდ, მიხედეთ მათ, როგორც საჭიროა, — ხროტინით უბრძანა მან თანმხლებ ოფიცერს, როგორც ჩანდა, დაცვის უფროსს და კოჭლი ფეხის თრევიტ განზე გავიდა. დაცვის უფროსი მის წინ მანეკენით გაიჭიმა.

— აბა, სწრაფად ხე-ტყის გადმოტვირთვაზე! — ბრძანა ჰოპემ. — საღამოს რვა საათამდე ვაგონები დაცალეთ, დილით კი ამ ღორებს მაღაროს პირველ ცვლაში უკარით თავი. შეუდგით საქმეს!

ჩვენ მაღაროს ეზოს კიდისკენ წაგვიყვანეს.

— ოჰ, შე კოჭლო ხოლერავ! — ჩაიბურღლუნა უკან ვილაცამ.

მეტსახელი „კოჭლი“ შერჩა კიდევაც ჰოპეს.

ჩიხში ფიჭვის სახარაჩოე მორებით დატვირთული ვაგონები იდგა. სიგნალი მისცეს და მუშაობაც გაჩაღდა. ქანცგაწყვეტილნი ვეზიდებოდით ხეებს და თუ ოდნავ სულის მოსათქმელად შევჩერდებოდით, მაშინვე გუშავთა მკაცრი შეძახილი გაისმოდა: „ლოს! ლოს!“ ბადრაგის მეთაური წარამარა დასცქეროდა საათს. დავალება მაინც ვერ შევასრულეთ და მხოლოდ ღამის თორმეტ საათზე მისავათებულნი წაგვრეკეს ბანაკში, რომელიც იქვე, მაღაროს ტერიტორიაზე მდებარეობდა. მე დავინახე ხუთი მეტრი სიმაღლის მავთულხლართის მჭიდრო ქსელი, თვალისმომჭრელი განათება, სათვალთვალო კოშკები და მაშინვე მივხვდი, რომ აქედან გაქცევა ადვილი არ იქნებოდა.

ჭიშკართან სათითაოდ გადაგვთვალეს და თან თითო რეზინის ჩაქუჩი გვითავაზეს. ბანაკი საოცრად პატარა, სულ ექვსი ბარაკისგან შემდგარი აღმოჩნდა. ჭიშკრიდან ორი განაპირა ბარაკი ძველმოსახლეებს ეკავათ, დანარჩენი კი ჯერჯერობით ცარიელი იყო. დახუთულ ბარაკში ობისა და დამპალი ჩალის სუნი იდგა. მე მოვახერხე სკამლოგინზე ადგილი კოლონაში გაცნობილი ჭარმაგი ტყვის გვერდით დამეკავებინა.

— აჰა, ტანჯვა-წამებით მოვახრჩვეთ კიდევ ერთი დღე, ამ ხვადაგებმა

¹ ყურადღება.

კი საჭმელი არც ამჯერად გვაღირსეს. ასეთ გაუხარელ ყოფას რა ვუთხრა, ძმაო, — უღონოდ ჩაილაპარაკა მან.

მე უფრო ახლოს მივეუჩოხდი მეზობელს.

— თქვენი სახელი, ძია?

— პეტრე მქვია, გვარად კი კრავჩუკი ვარ. თუმცა აქ გვცხადებენ კრავჩუკბელი არაა. უბრალოდ, ძია პეტრე დამიძახე.

— მომისმინეთ, ძია პეტრე, — ვეუბნები ჩურჩულით, — რა იქნება, რომ...

იგი მიხვდა, რისი თქმაც მინდოდა და ოდნავ გასაგონად მკითხა:

— რომ გავიქცეთ?

— ჰო, ხომ შეიძლება დრო მოვიხელოთ..

— ეჰ, საყვარელო, ჯერჯერობით ამაზე ფიქრიც შეგწყვიტე... — თქვა ჩემმა მეზობელმა და გაჩუმდა. რამდენიმე წამის მერე იგი ძილში მძიმედ ოხრავდა.

2

ჯოხის დარტყმისაგან სკამლოგინიდან დამდურულივით წამოვხტი. თითქოს ხანძარიყო, არის ერთი რიარია, ვერკშუტცპოლიცაები¹ ყაყანებენ და თან მარჯვედ იქნევენ ჯოხებს:

— აუფშტეენ, ფერფლიუხტე შვაინე!²

ბარაკში საშინელი ორომტრიალია. ნამძინარევ ტყვეებს შემოწმებაზე — აპელზე ერეკებიან. დილის ოთხი საათია, აღმოსავლეთი ოდნავ შეფაკლულა. სადგურიდან სამანევრო ორთქლმავლების საყვირის ხმა მოდის. გვესმის, როგორ იცლება ქვანახშირი მალაროს ბუნკერებიდან ვაგონებში. მალარო დღე და ღამე განუწყვეტლივ მუშაობს. იგი ახლა ჩვენ გველოდება. წუხანდელი მუშაობის მერე მთელი სხეული მითრთის და ხერხემალში მტეხავს. მუცელს ყრუ ტკივილი ჯრღნის — დღე-ღამეზე მეტია კუჭში ლუკმა არ ჩამსვლია. საკმაოდ ცივა. მოკაკვულნი ვდგავართ რიგში და მთქნარებით ველოდებით შემოწმების დასასრულს. ზოგიერთს თვალები დაუხუჭავს და ზეზეურად სძინავს. ვერც ვიფიქრებდი, რომ ეს მოჩვენებები სულ მალე ქვანახშირის ნგრევას შესძლებდნენ.

როგორც იქნა, თვლას მორჩნენ და საპირფარეოში წასვლის ნება დაგვრთეს. აქ გაუგონარი ჯგლეთაა, ერთადერთ ონკანთან კი ისეთი ზედახორა, ვერსაიდან მიუღდება კაცი. ისინი, ვინც წყლის შეშხეფება მოასწრო, სახეს ტუსალის ხალათის სახელოთი იმშრალევენ. პირსაწმენდი და საპონი აქ არაა. ისინი ჩვენ არც გვჭირდება, რადგან მხოლოდ „შვაინე“ ვართ და ტალახში უნდა ვეყაროთ, ვიკვებებოდეთ ნარეცხით და ვიღვწოდეთ „დიდი გერმანიისთვის“. ჩვენ მხოლოდ ერთადერთი — მორჩილად სიკვდილის უფლება გვაქვს.

ჩაპბერეს სასტვენს და კვლავ რიგში ჩავვაბწკვრივეს. ამოქმედდნენ ვერკშუტცთა ხელჯოხები, ისევ დაიწყო ერთი გაწამაწია. მოიტანეს საუზმე — მიწამხალას წვნიანი. ჩამოგვირივეს თუნუქის ჯამები და მათში თითო ჩამჩა

¹ ქარხნის დაცვა.

² აღექით, წყეულო ღორებო!

მწარე, მყრალი სითხე ჩაგვისხეს. აქვე, რიგში ვსვამთ ამ ნარეცხს, ვაბარებთ ჯამებს და ნაღვლიანად შევცქერით ცარიელ ქვაბებს. სითხე, რომელიც ეს-
ესაა შევხვრიბეთ, მხოლოდ ძლიერებს შიმშილს. ბადრაგის თანხლებით მივ-
დივართ ჭიშკარს მიღმა მდებარე საწყობში. ჩვენ აქ გვირიგებენ სპეციალურ ნორ-
მებს, მალაროელის ჩაფხუტს, კარბიდის ნათურებს, ნიჩბებს, წერაქვს, ბრეზენ-
ტის სპეცსამოსს, პოლცშუგებს¹ და გასახდელში მივყავართ. იქ ვტოვებთ ჩვენს
ტუსალურ ძონძებს და ვიცვამთ ბრეზენტის სპეცსამოსს. პოლცშუგებიცა და
სპეცსამოსიც ჩემთვის ერთობ დიდია. იძულებული ვარ თითქმის ნახევარ მეტ-
რზე ავიკარწახო შარვლის ტოტები და სახელოები. მალაროს ტერიტორიიდან
გაძრომა რომც მომეხერხებინა, სულ ერთია, ასეთი „უნიფორმით“ შორს ვერ
წავიდოდი.

გადაცმის შემდეგ მივყავართ სპეციალურ შენობაში, სადაც ნათურებს
კარბიდით ვმუხტავთ, იქიდან კი № 1 შესასვლელისკენ მივემართებით (მალა-
როს რამდენიმე შესასვლელი აქვს). ვაბიჯებთ მალაროსზედა შენობის თუჯის
კვადრატულ ფილებზე. ლიფტს მძიმე გრუხუნით ამოჰყავს მაღლა მესამე ცვლა
— შავი, მღუმარე აჩრდილები, რომლებსაც მარტო თვალებიღა მოუჩანთ.
გერმანელი შტაიგერები² ბრიგადებად გვანაწილებენ. ყველას სურს ხელში ჩაიგ-
დოს მოსული, ფიზიკურად ძლიერი მუშა. ისინი უბოდიშოდ გვიფათურებენ ხე-
ლებს ხელებზე, მხრებზე, სურთ „საქონლის“ ვარგისიანობაში დარწმუნდნენ.
ყოველივე ეს ძალიან ჰგავს იმ ტყვეთა ბაზარს, რომელზეც ოდესღაც, ბავშვო-
ბაში წამიკითხავს.

ჩვენს ჯგუფში მე ყველაზე პატარა ვარ და ამ აკარწახებულ სპეცსამოსსა
და უზარმაზარ ჩაფხუტში, რომელიც თავზე ქვაბივით გადმომხობია, ალბათ
ძალზე სასაცილოდ და ამავე დროს საცოდავად გამოვიყურები. გადის ათი,
თხუთმეტი წუთი. ჩემი ბარაკელი ამხანაგები უკვე ჩაეშვნენ ქვევით, მე კი ამ
გრუხუნში მარტოცა ვდგავარ და საოცარია, რომ არავინ მამჩნევს. ერთი გაფიქ-
რება ვიფიქრე: იქნებ აქ არც დამტოვონ, ჩემისთანა მუშისგან, აბა, რა ხეირი
უნდა ნახონ-მეთქი. ამასობაში ორი შტაიგერი მომიახლოვდა; ერთი ნამძინა-
რევი, უძრავი სახის ჩაკურატებული ბლენძი და მეორე წარბებშუა ლურჯანი-
არევი აყლაყუდა.

— ნაგელ, ჩაიბარე ეს განძი! — ეუბნება ჩაკურატებული აყლაყუდას და
უცებ ძლიერად მარტყამს მხარზე. მე ვეცემი და მალაროელის აღჭურვილობა
მივარდება: ხმაურით ეცემა ნიჩაბი და წერაქვი, ნათურა და ჩაფხუტი თუჯის
ფილებზე მიგორავს, ფეხებზე მძვრება ხის პოლცშუგები. ჩაკურატებული კმა-
ყოფილად ხარხარებს და აყლაყუდას მიმართავს: — აი, მუშა თუ გინდა! იგი
უსათუოდ გამოგიმუშავებთ ორმაგ ნორმას. ეს ხომ კლოუნია, ცირკში გასაგ-
ზავნი!

— საიდან გამოტყვრი ასეთი ნამცეცა? — ბრაზობს ნაგელი და გაღებული
ლოფტისკენ მიბიძგებს.

როგორც კი რკინის ზღურბლს გადავაბიჯე, გულმა რეჩხი მიყო. ნაგელი თან
შემომყვა. ზარი. აინთო სასიგნალო ნათურები. ლიფტის კარები დაიხურა და
ქვევით თავბრუდამხვევი სიჩქარით დავეშვით. შეუჩვევლობისაგან სუნთქვა

¹ ხისლანჩიანი ფეხსაცმელი.

² სამთო ინჟინერი.

მეკვრის, შიგნეული თითქოს ყელში მაწვება. თანაბარი ინტერვალებით ციმ-ციმებენ ელექტროშუქის ლაქები — ეს მაღაროს პორიზონტები¹. მე ოთხი მათგანი დავითვალე. მეხუთის დასაწყისში ლიფტი სვლას აწყობს. ნაგელი მუჭლუგუნს მთავაზობს და მე გადმოვდივარ თუჯის ფილებზე, რომლებზეც ადვილია ქვანახშირით დატვირთული რონოდების გადაადგილება². მაქვს კირით შეფეთებული აგურის უზარმაზარი გუმბათია. თვალს სჭრის კაბუჭება ელექტრო-შუქი. ისეთი ხმაურია, თითქოს საქვაბეში ვიყოთ. სველი, ციმციმა რეღსები რბილად გარბიან მიწისქვეშა დერეფნებში. ისინი ჩახერგილია ქვანახშირით და საბჭენებით დატვირთული რონოდებისა და ცარიელი შემადგენლობების უსასრულო ნაკადით. უკვე ახალი ცვლა მოვიდა და ქვანახშირი მალლა ააქვთ. მიბერავს კარბიდით გაკლენთილი ნესტიანი ცივი ჰაერი, ძვალ-რბილში მატანს საშინელი ორპირი ქარი. სიცივისაგან მთელი ტანით ვცახცახებ.

ნაგელს ონკანთან მივყავარ. იგი ხსნის თავის ნათურას, კარბიდზე წყალს ასხამს, ნათურას ხურავს და ანთებს მას.

— გახსენი შენიც! — მიყვირის ნაგელი ამ გრუხუნში. მე ბრძანებას ვასრულებ. იგი კარბიდზე წყალს მისხამს. წყლისა და კარბიდის შეერთებისას გაზი გამოიყოფა. სარქველს რომ დახურავ, გაზი პატრუქისკენ წამოვა და როცა მოუკიდებ, ნათურაში თეთრი ალი აციმციმდება.

— დახურე! — მიბრძანებს ნაგელი.

მე ვცდილობ წყეული სარქველის დახურვას, მაგრამ ამაოდ.

— ფერფლიუხტე შაიზე!³ — მძვინვარებს ნაგელი და სილას მაწნავს, მერე თვითონვე ხურავს ჩემი ნათურის სარქველს და უკიდებს მას. — ფერ-შტეენ?² — მეკითხება იგი და ბანჯგვლიან მუშტს მიჩვენებს, მერე კი საათის ციფერბლატს აჩერდება. — დონერვეტერ!³ მთელი ხუთი წუთით დაგვაგვიანდა! — ყვირის იგი. — მომყევი! ოღონდ ჩქარა!

ბორძიკით მივდეგ. რის ვაივაგლახით გადავედით შტრეკებზე, გადავხობდით რონოდებზე და ბოლოს, როგორც იქნა, გავედით მთავარ მაგისტრალზე. იგი უკვე გაჭედებულია რონოდებით და მე ვხვდები, რომ ჩვენ მართლა გვაგვიანდება.

— ბოთევ! შენი შტაიგერის პორტფელი თვითონვე უნდა ათრიო, — მძვინვარებს ნაგელი და ორფუთიან გირასავით მძიმე, უზარმაზარ ტყავის პორტფელს მაჩჩებს. ნეტავი რისთვის დაათრევს იგი ამხელა ტვირთს?

მე უკვე არ ძალმიძს პოლცშუგებით სირბილი. ფეხის ღრძობის ან მოტეხვის შიშით ვიხდი მათ და ილღიაში ვმალავ, მერე ვტაცებ ხელს წერაქვს, ნიჩაბს, პორტფელს, ნათურას და ნაგელს ვეწევი. იგი ისევ მუშტს მიჩვენებს და მიყვირის:

— ლოს, ლოს, ფერფლიუხტე შაიზე!

ქანებისა და ნახშირის წვეტიანი ნატეხები ფეხებში მესობა, გავრბივარ როგორც შუშის ნამსხვრევეებზე და ვცდილობ, ნაგელს არ ჩამოვრჩე. ასე გავიარეთ თითქმის კილომეტრი. კარბიდის ნათურის თეთრმა შუქმა სიბნელეს გამოსტაცა ქანების ნაცრისფერი ლოდები, გადამტყდარი საბჭენები. მე პირვე-

¹ წყეულო...

² არ გესმის?

³ აქ. დმერთმა დაგწყევლოს!

ლადა ვარ მაღაროში და ირგვლივ შიშნეულად ვიმზირები: ნამდვილი ჯოჯოხეთია, სხვა სახელს ვერ დაარქმევ. ცენტრალური მაგისტრალის ხმაური მიწყდა. ჩვენ ვუხვევთ შტრეკების შედარებით მივარდნილი, ცხელი და დახუთული, როგორც ჩანს, ვენტილაციის უქონელი განტოტებისკენ. პირველად უკვე შესდგომია მუშაობას. მაღაროს დამრეც ჭრილში საბურღი ნაჭურჭლები მდებარეობენ. ბრომზბერგის ფილებზე ჯალამბარი ჭრიალებს. ისმის შეძახილები, ბრძანების მკვეთრი სიტყვები, წყველა და გინება ყველა ენაზე. სინათლის ვიწრო ზოლი ხანდისხან გამოსტაცებს ხოლმე სიბნელეს მაღაროელთა შავ, ოფლიან სახეებს. ჩემდაუნებურად ვეკითხები საკუთარ თავს: „ვინ არიან ესენი? რუსები, ინგლისელები, ფრანგები, ბელგიელები?... აქ, მიწისქვეშეთში, წელში წყდებოდა სასტიკი ურჯულების მიერ ევროპის ყველა ქვეყნიდან მორეკილ ტყვეთა მთელი ინტერნაციონალი.

სადღაც შორს აფეთქებების ხმა ისმოდა. გერმანელი მენადმე ოსტატები სამუშაოს შესდგომოდნენ, მე კი ამ ჩემს პირველ ცვლაში მეჩვენებოდა, რომ შტრეკის გუმბათი ირყეოდა, ძირს იწევდა და კატასტროფა გარდაუვალი იყო. მაგრამ რატომღაც ამ გარდაუვალობის შეგნებისაგან შიშს კი არა, დაუოკებელ სიხარულს ვგრძნობდი.

როგორც იქნა შტრეკის სანგრევიც გამოჩნდა. ციციანთელებივით ბრწყინავდნენ მაღაროელთა ნათურები. როცა ჩვენ მივედით, მენადმე სამუშაოს უკვე ამთავრებდა. იგი ქანის ხვრელებში გრძელი ჯოხით დენთიან ვაზნებს დებდა და სველი თიხით გლისავდა მათ. ყანთარქილებიდან ფერადი საიზოლაციო ლენტით დაცული წვრილი მავთულის ძაფები მიიკლავებოდა. ოსტატი ერთხანს თითქოს ეფერებოდა მათ. მერე კი ერთბაშად წამოიძაროდა, მიმოიხედა და სანგრევს მავთულების ჭიმვა-ჭიმვით გაშორდა. ცალ მხარეზე დინამომანქანიანი ჩანთა ეკიდა, მეორეზე — ნალმებიანი ყუთი. მაღაროელებს ბრძანებისთვის არ დაუცდიათ, აკრიფეს თავიანთი ხელსაწყოები და სანგრევი სწრაფად დატოვეს. მეც მათ კვალდაკვალ გავვარდი გვერდითა შტრეკში. მუშებისგან განცალკევებით მდგარმა ოსტატმა სქელი ტუჩები ზიზღით მოკუმა და იკითხა:

— სანგრევიდან ყველა გამოვიდა?

ჩუმად უპასუხეს, ყველაო.

— ახტუნგ! — წამოიძახა მან და ამ წამოძახებას საშინელი ძალის აფეთქება მოჰყვა. სახეში დამარტყა ჰაერის ცხელმა ტალღამ. შტრეკი ნახშირის მტვრითა და ნამწვის სუნით აივსო.

— მე რვა ნალმი ავაფეთქე, ეს თითქმის ორმაგი ნორმაა. ერთ ცვლას ყელამდე ეყოფა, თუ არ ეყო, წერაქვებით იმუშაონ, — უთხრა ოსტატმა ნაგელს და წამით უდიერი მხერა მოგვაგლო. — ოღონდ თვალ-ყური მიადევნე, რომ შენმა კრეტინებმა მავთულები არ მოიპარონ.

ნაგელმა დაამშვიდა, შეგიძლია ამაში დარწმუნებული იყო.

წამით გამეფებულ სიჩუმეში ერთმა მაღაროელმა ამოთხვრით ინატრა:

— ნეტავი ის მანქანა და რაც შეიძლება მეტი ნალმი მომცა, რომ მთელი ეს მაღარო თავის ფრიცებიანად ჯანდაბაში გავიბტუმრო.

ნაგელმა, რა თქმა უნდა, ვერაფერი გაიგო.

— შეუდექით სამუშაოს! ჩქარა! — ბრძანა მან. — ყველანი საბჭუნების გადმოტვირთვაზე!

მე არ ვიცოდი, რა მეკეთებინა. უცებ შტაიგერი მომვარდა, ნიჩაბი ხელიდან გამომტაცა და მიწაზე დაანარცხა.

— ჩაიცვი პოლცშუგები, იდიოტო!

მე ჩავიცვი. ნაგელმა ზურგში მითაქა:

— ფორვერტს!¹

სირბილით მივსდევ მაღაროელებს. მათ უკვე მოუხსნიათ საბჯენებით სავსე ერთი რონოდა და ჩვენ ჯგუფურად მივაგორებთ მას სანგრევისაკენ. ჩემთან ერთი მაღალი, ათლეტური აღნაგობის ჭაბუკი მოვიდა, ნათურა ასწია და მეგობრულად გამიღიმა.

— რუსი ხარ? — მკითხა პოლონურად.

— დიახ.

— პოლონური გესმის?

— ცოტა...

— პოდა, ძალიან კარგი. მოკიდე ხელი საბჯენს ბოლოში, მე შუაში შევუდგები. შენ თითქოს მეხმარები, წალებით მე წავიღებ. ჩემთვის ეს გართობასავითაა. გამიგე?

მე რამდენიმე წამს უსიტყვოდ შევყურებდი პოლონელის ნათელ, მხიარულ თვალებს.

— აბა, მიდი! — ბრძანა მან.

ჩვენ ავწიეთ მოზრდილი მორი და პოლონელმა იგი მხარზე შეიგდო.

მე უკან დავდექი, მორის ბოლოში.

— ეგრე, ცეროდენავ. წავედით .ოლონდ ნუ იჩქარებ, ფეხქვეშ იყურე და ნაკლებად უგდე ყური ამ იდიოტ ნაგელს.

პირველი რეისის შემდეგ სანგრევთან სამი საბჯენი ეგდო და მეხარაჩონი როხროხა ნაგელის ხელმძღვანელობით კედლებს ამაგრებდნენ.

მე და პოლონელს უნდა მოგვეტანა არანაკლებ ოცი მორისა, ჩვენ აუჩქარებლად ვბრუნდებოდით მეორე მორის მოსატანად და ცნობისმოყვარედ ვაკვირდებოდით ერთმანეთს. პოლონელი ოცდახუთი წლისა იქნებოდა და გოლიათის შთაბეჭილებას ტოვებდა: მხარბეჭიანსა და კუნთმაგარს ხარის ქედი და გამობურცული მკერდი ჰქონდა. შევენოდა წრფელი, ალალი სახე და დაბალი, ბუბუნა ხმა. ნაცრისფერ თვალებში ამ შავი ჯოჯოხეთისთვის ეგზომ მოულოდნელი კეთილი ღიმილი ჩასდგომოდა. თვით აქ, მიწისქვეშეთშიც, მაღაროელთა ნათურების მქრქალ შუქზეც, შეუძლებელი იყო არ მოეხიბლეთ მის ვაჟკაცურ აღნაგობას, რომლის გვერდით მე საბრალო ქონდრისკაცად ვჩანდი.

— რა გქვია? — დაყვავებით მკითხა მან და წყლიანი მათარა გამომიწოდა.

— ვლადიმერი, — მივუგე მე, რადგან ჯერ კიდევ არ ვენდობოდი ამ ჭაბუკს.

— პოლონურად ვლადეკი იქნება. მე ასეც მოგმართავ, შენ კი სტასიკი დამიძახე. მაშ ასე, დროგი ტოვაეიშუ,² ჩვენ უკვე გავიცანით ერთმანეთი.

სტასიკმა თავისი ნიჩაბივით ფართო მარჯვენა გამომიწოდა, ხელი ფრთხილად ჩამომართვა და მკითხა:

¹ წინ

² ძეირფასო ამხანაგო (პოლ.)



- აქ საიდან მოგიყვანეს?
- ციხიდან.
- ეგ ვიცი, წარმოშობით სადაური ხარ?
- კიევის ახლოს ვცხოვრობდი.
- მაშასადამე, საბჭოელი ხარ?
- დიახ, საბჭოელი ვარ.
- რისთვის იჯექი?
- გერმანიიდან გაქცევისთვის.
- არ გაგიმართლა?
- სამწუხაროდ...

მან მხარზე ხელი დამადო და დამაიმედა: ნუ დარდობ, ჩემთან არ დაიკარგებიო.

— გმადლობთ, სტასიკ. მე ახლა ძალიან მიჭირს, ისე დავსუსტდი, ფეხზე ძლივს ვდგავარ. ეგ მითხარი, რამდენია აქაური ნორმა?

— ცვლაში დაახლოებით ცხრა რონოდა ერთ კაცზე. ჰოპე ცდილობს კიდევ მოუმატოს. ხელმძღვანელთა ნდობის მოპოვება სწადია იმ ხოლერას! მზადაა ჩვენ, უცხოელებს, სისხლის უკანასკნელი წვეთი გამოგვწოვოს. ჩვენი შტაიგერიც ნაბირალაა, ხისთავიანი ნაცისტი.

— ნაგელი?

— ჰო, ის.

მე დავფიქრდი. ამ ნორმას ნამდვილად ვერ გავუძლებდი. მის შეუსრულებლობას კი მოჰყვებოდა ცემა, შესაძლოა, კარცერიც. თითქოს ნალვლიან ფიქრებს მიმიზვდაო, სტასიკმა მითხრა:

— სულთ ნუ დაეცემი, მე დაგეხმარები.

მინდოდა მეთქვა მისთვის ყველაზე თბილი, ყველაზე კეთილი სიტყვა, მაგრამ ამ წუთში რატომღაც არ მომაგონდა.

როცა სანგრევში მეორე მორი მივიტანეთ, ნათურა ავწიე და სტასიკს შევხედე. ძვირად უჯდებოდა ბეჩავს ჩემდამი სიბრალული: შუბლზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და მძიმედ სუნთქავდა.

აქ, ექვსასი მეტრის სიღრმეზე, ამ ყრუ სივრცეში, აბანოსავით ცხელოდა და მე, მშიერი, ქანცწართმეული, ფეხს ძლივს ვადგამდი.

— შლიაკ ბი გო ტრაფივ!¹ — ხიხინებდა პოლონელი და შუბლს ხელებით იწმენდდა. — აი, ასეთი სამუშაო გვაქვს მე და შენ. ჰოპე კი იკვებნის, რომ ეს მაღარო გერმანიაში და, მაშასადამე, მთელ მსოფლიოში ყველაზე საუკეთესოდააო აღჭურვილი. აბა, მიმოიხედე, რა ხდება, აქ, პსია კრევ!² ვენტილაცია თითქმის ნულზეა, სამუშაოები ძირითადად კატორღულია და ხელით სრულდება, საბჭენებს სულის შებერვადა უნდა, ავარიას ავარია მოსდევს, ყოველ ცვლაში ხალხი იღუპება, ჰოპესთვის კი სულ ერთია: „აღეს ფიურ კრიგ, აღეს ფიურ ზიგ...“³ შავი ჭირი მაგათ, ამ ეშმაკის თუთიყუშებს, — ბრაზით გადააფურთხა სტასიკმა.

იგი მართალი იყო. როგორც მერე გავიგე, ამ მაღაროს ზოგიერთი უბანი

¹ ეშმაკმა დალაზვროს (პოლ.)

² ძალიშვილი (პოლ.)

³ „ყველაფერი ომისთვის, ყველაფერი გამარჯვებისთვის!“ — ნაცისტური ლოზუნგი ომის დროს.

საერთოდ არ ნიავდებოდა. იქ ჯოჯოხეთური სიცხე იდგა. საბადოს ადმინისტრაციას არ სურდა თანამედროვე ვენტილაციის მოსაწყობად ხელი დაეხარჯა. საერთოდ მთელი მაღაროს აღჭურვილობა უკვე მოძველებული იყო. იქ მუშაობას ჯოჯოხეთი სჯობდა.

ჩვენ საბჭენს საბჭენზე ვეზიდებოდით. როცა უკან ვბრუნდებოდით ხელცარიელნი, დალაპარაკების საშუალება გვქონდა. სტასიკი შეკითხებოდა ჩემს მშობლიურ მხარეზე, ომამდელ ცხოვრებაზე. და თუმცა ციხეებში სიფრთხილის ინსტინქტი გამომიმუშავდა, მას მაინც მოვუყევი ზოგიერთი რამ ჩემზე, ჩემს ოჯახზე. ამდენი ხნის ტყვეობის მანძილზე უცხოელთაგან ჩემი ბედით ასე გულწრფელად არვინ დაინტერესებულა. სტასიკი ყურადღებით მისმენდა, ბავშვურად იღიმებოდა და ისევ შეკითხებოდა. ვერც კი გავიგე, როგორ განვიმსჭვალე მისდამი სრული ნდობით და დაუფარავად ვუყვებოდი ბანაკებიდან გაქცევაზე.

— იცი, იდეა დამებადა, — მითხრა სტასიკმა. — მოდი, ერთმანეთს ენები ვასწავლოთ. შენ მე შემასწავლი რუსულს, მე შენ — პოლონურსა და გერმანულს.

— კი მაგრამ, როდის?

— მუშაობისას. დროც ჩქარა გაივლის.

შეთანხმების დასტურად ჩვენ მაგრად ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს.

სანამ საბჭენები გადავიტანეთ, მერე კი ბაქანზე მოტანილი რელსები გამოვტვირთეთ, მეხარაჩოეთ სამუშაო მოეთავებინათ და სხვა უბანზე გადასულიყვნენ. დავრჩით სამნი: სტასიკი, მე და ნაგელი.

— ოცდაათი ვაგონი და არც ერთით ნაკლები! — კატეგორიულად განაცხადა ნაგელმა და საათს დახედა. — შეუდექით მუშაობას, ისედაც ბევრი დრო გაფლანგეთ.

— კარგი, — მშვიდად მიუგო სტასიკმა. ჩვენ ვაგონების ტვირთვას შევუდექით. ცირკის ათლექტივით კუნთმაგარი, ტრუსებისამარა სტასიკი მარჯვედ ატრიალებდა უზარმაზარ რკინის ნიჩაბს. ვცდილობდი მივშველებოდი, მაგრამ დადლილობისა და უჭაერობისგან თავბრუ დამეხვა. სტასიკმა ეს ალბათ შენიშნა და მითხრა:

— დაჯექ, დაისვენე, შენს ნაცვლადაც მე ვიმუშავებ! — მან თავისი კეთილი ღიმილით შემომხედა და ლამაზი, საოცრად თეთრი კბილები გამოაჩინა.

ჩამოჯდომა მართლაც მჭირდებოდა: პოლცმუგები ნახშირით მქონდა სავსე. ნიჩბის დადებაც ვერ მოვასწარი, რომ ნაგელი უროსავით მუშტებით თავზე დამაცხრა. სტასიკი ჩვენს შორის დადგა და მშვიდად უთხრა:

— ხელი არ ახლო!

მის კეთილ ნაცრისფერ თვალებში მრისხანება გამოკრთა.

— აჰა, საბოტაჟს მიწყობთ, ხომ? — ისტერიულად აყვირდა ნაგელი.

— დამშვიდდი, სანამ თვითონ არ დამიმშვიდებიხარ, — განაგრძობდა სტასიკი.

გამძვინვარებული შტაიგერი სისინზე გადავიდა:

— შეურაცხყოფისათვის კარცერში ჩაჯდები! მე შენ გიჩვენებ! გერმანელის დამუქრებისათვის ციხეა! მე ახლაც მოვახსენებ ბატონ ჰობეს.

— ნუ გვაშინებ, ჩვენ ისედაც ციხეში ვართ. უმჯობესია დაფიქრდე, ჩემს

ნაცვლად ვინ იმუშავენ? გამოგიგზავნიან თუ მომაკვდავს, რომელიც მალა-როდან საკაცით გაგიხდება გამოსატანი. მიხვდი?

ნაგელი რატომღაც მაშინვე მოლბა, განზე გადგა და მოწვევა დაიწყო, რაც სასტიკად იყო აკრძალული. მდგომარეობა რომ არ გამწვავებულიყო, ნიჩაბი ავიღე და ტვირთვას შევუდექი. სტასიკის საქციელმა საოცრად განმაცვივრა. ის კი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, დამშვიდებული იყო, თვალის კი ჩამიკრა.

— ნუ შიშობ, ცეროდენავ! ნიჩაბზე რაც შეიძლება ცოტა დაყარე და არ იჩქარო. შორი გზიდან მოუარე და შინ მშვიდობით მიდიო, მგონი, ასე ამბობენ, არა, თქვენთან!

— ჰო, ჰო, — გავხალისდი მე.

ქვანახშირით დატვირთული რონოდა სანგრევიდან ბრომზბერგამდე ორასი მეტრი უნდა გვეგორებინა. იქ მას ფოლადის ბაგირს მიაბამდნენ და ცენტრალურ მაგისტრალამდე მიაგორებდნენ. რონოდა ზოგჯერ გზიდან გადადიოდა და მისი ხელახლა რელსებზე შეყენება გვიხდებოდა. ეს იყო კატორღული სამუშაო, რომელსაც მე, ღონიერი სტასიკი რომ არა, ვერაფრით გავუძლებდი.

ნაგელს, რა თქმა უნდა, ესმოდა, რომ სტასიკივით ფიზიკურად ძლიერი მუშა მალაროში ცოტა იყო, ამიტომ უთმენდა ქედუხრელ პოლონელს, თუმცა იგი ჭირივით ეჯავრებოდა.

ოთხსაათიანი მუშაობის შემდეგ ნაგელმა ფრიშტიკი — თხუთმეტწუთიანი შესვენება გამოაცხადა. იგი მოხერხებულად ჩამოჯდა თავის პორტფელთან, ამოიღო თერმოსი. შეხვეული სანოვაგე და ბუტერბროდების კეთებას შეუდგა.

სტასიკმა მხარზე ხელი დამკრა და მითხრა:

— წამოდი ჩემთან, პატარავ. ცოტა რამ მეცა მაქვს.

მშრალი ალაგი მოვძებნეთ და სტასიკის სპეცტანსაცმელზე ჩამოვსხედით. მან ჩანთიდან ბატონი, მარგარინი, ძეხვის ნაჭერი, ხაზვი და მარილი ამოიღო. თერმოსშიც ორ ჭიქამდე ცხელი ჩაი აღმოჩნდა. ყველაფერი ეს სტასიკმა ორად გაჰყო.

— ჭამე, ვლადეკ. ნუ მორცხვობ. ხვალისთვის შევეცდები მეტი მოვიტანო. შენ უნდა მოლონიერდე, გამოკეთდე, თორემ ასე დიდხანს ვერ გაძლებ.

— გმადლობთ... მითხარი, თქვენ, პოლონელებს გაძლევენ ასეთ ულუფას? მან გაოცებით შემომხედა.

— კი, მეტი საზრუნავი არა აქვთ! ჩვენ თვითონ ვმოულობთ..

— რა გზით?

— ძალიან უბრალოდ. ცვლის შემდეგ ასე ექვსი საათი მძინავს, მერე ქალაქში სამუშაოდ გავდივარ. მე ცოტას წავიხელოსნებ, ქალაქში უკვე მყავს გერმანელები, სასურსათო ბარათებით მიხდიან, ერთი სიტყვით შიმშილით არ მოვკვდებით. ხვალვე გიშოვნის ტყავის ფეხსაცმელებსა და ტრუსებს. ისე უფრო ადვილად იმუშავენ. ყველაფერს, რასაც მოგიტან, გასახდელში დატოვებ, თორემ ვერკშუტცები წაგართმევენ. ეს დაიმახსოვრე. სურსათით კი ჩვენ უზრუნველყოფილი ვიქნებით...

— რითი გცე სამაგიერო პატივი, სტასიკ?

— სისულელეს თავი გაანებე. ჩვენ თუ ერთმანეთს არ დავეხმარეთ, ეს წყეული შვაბები შეგვჭამენ.

მე ბედს მადლობა შევწირე, რომ ასეთ ადამიანს შემახვედრა. ცვლის ბოლომდე ქვანახშირით დავტვირთეთ ოცდაშვიდი რიზოდა და „არც ერთით მეტი“, როგორც სტასიკმა თქვა. ამითაც კმაყოფილი წაგელი დუშდა. მალე მეორე ცვლაც გამოჩნდა და ჩვენ მათკენ გავეშვირეთ. მალე გაგვისწრო. მალლა პირველ რიგში გერმანელები აპყავდათ, შემდეგ ინგლისელები, რუსების გარდა. ჩვენი ბანაკის ტყვეები იკრიბებოდნენ ეგრეთ წოდებულ „მოსაცდელ დარბაზში“ და მალლა სულ ბოლოს ამოდიოდნენ. მალაროსზედა შენობაში კარაბინებით შეიარაღებული ვერკშუტცები გველოდნენ და საშხაპეში მივყავდით. იქიდან, ტუსადის ძონძებში გახვეულთ, ბანაკში მიგვერეკებოდნენ. დღეში ათჯერ მაინც გვითვლიდნენ და მე სულ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ აქედან, გაქცევა შეუძლებელი იყო. იმედის ნაპერწკალი მაინც ბუუტავდა. გადავწყვიტე, უახლოეს დღეებში გულახდილად მოვლაპარაკებოდი სტასიკს გაქცევის თაობაზე.

მორიგ ცვლაში სტასიკი ვეება ტომრით მოვიდა, მასში ტყავის ფეხსაცმელი, ტრუსები, ცხვირსახოცი, ჯაყვა და ნაგელის თერმოსზე არანაკლები თერმოსი იდო. ყველაფერი ეს ჩემთვის იყო განკუთვნილი. რაც მთავარია, სტასიკმა ორ კილოგრამამდე სურსათიც მოიტანა. ეს გაუგონარი სიმდიდრე იყო. მხოლოდ მას, ვისაც საკონცენტრაციო ბანაკებში უშიშშილია, შეეძლო პოლონელის საქციელის ჭეშმარიტი შეფასება. მისი სიკეთით გულაჩუყებულს ცრემლები მომერია. ის კი ალაღად იღიმებოდა.

— აბა, რაა განსაკუთრებული ამაში... მე მოვალე ვარ ასე მოვიქცე, სხვაგვარად აქ სულს დაღევ. — ახლა კი მივხვდი, სანამ სტასიკი გვერდით მყავდა, არც შიმშილი შემუქრებოდა და არც ნაგელის მუშტი.

ასეც მოხდა. ნაგელს მერე ჩემთვის თითიც არ დაუკარებია. ის და მისთანანი მხოლოდ უხეშ ფიზიკურ ძალას აფასებდნენ. სტასიკს კი იგი საკმაოდ გააჩნდა. გარდა ამისა, პოლონელი თავზებელაღებული ბიჭი იყო და ნაგელს მისი ეშინოდა; მიწის ქვეშ, სადაც ყოველ წამს საფრთხეა მოსალოდნელი, ადვილად შეიძლება კაცმა ცოდვაში ჩადგას ფეხი. ნაგელს ეს მშვენივრად ესმოდა.

მე უკვე აღარ მაშინებდა არც შიმშილი და არც მძიმე შრომა. კეთილ პოლონელს იმდენი სანოვაგე მოჰქონდა, რომ ორთავეს გვყოფნიდა. მის გვერდით თავი არც განწირულად, არც მარტოსულად არ მიგრძენია. ერთადერთი, რისიც მეშინოდა, რაც გამუდმებით მალელვებდა, განშორება იყო.

3

გადიოდნენ ბანაკის სტანდარტით მკაცრად განსაზღვრული დღეები, წყლის ორი წვეთივით რომ ჰგვანდნენ ერთმანეთს: ადგომა, შემოწმება, ერთი ულუფა სალაფავი, მწყობრი, მალაროს გასახდელი, კვლავ შემოწმება, ქანცგამომცლელი სამუშაო ცვლა, მერე კი — შხაპი, ბანაკი, ძილი.

სტასიკი, როგორც ყოველთვის, მზრუნველობას არ მაკლებდა: მოჰქონდა პური, მარგარინი, ყველი, ზოგჯერ კარაქის ნაჭერიც. ჯოჯობეთური სამუშაოს მიუხედავად მე თანდათან შესამჩნევად გამოვკეთდი და ჩემს საბანაკო ულუფას სულ უფრო ხშირად ძია პეტრეს ვუთმობდი. საცოდავი საბოლოოდ მოტყდა, ჯანმრთელობაც გაუუარესდა. მისი შტაიგერი პირწავარდნილი ფაშის-

ტი აღმოჩნდა, ერთი იმ უგულო და ხისტავიან ფანატიკოსთაგანი, რომლებიც აშკარად აღმერთებდნენ თავიანთ ფიქრებს. დღე არ გავიდოდა, რომ ამ წყლის-ფერთვალა პირქუშ აყლაყუდას ტყვეები არ ეცემა; იგი განსაკუთრებით რუსებს აწვალებდა. ძია პეტრეს არაერთხელ უჩვენებია ჩემთვის და დღეობებზე-ლი ზურგი და მკერდი. სხეულს დამქლასავით აჩნდა მავთულს და მათგანის ნაკვალევი, რომელსაც შტაიგერი არ იშორებდა.

ერთხელ, გვიან საღამოთი ფიცრულ საწოლებზე მწოლარენი ერთმანეთს გამძვესაუბრეთ.

— არ გძინავს, ისევ შენსას ფიქრობ? — მკითხა ძია პეტრემ.

— თქვენ საიდან იცით, მე რას ვფიქრობ?

— ალბათ იმას, რასაც ყველა ტყვე ფიქრობს. გინდა გაიქცე. მეც გავრისკავდი, მაგრამ ხომ ხედავ!.. გგონია, მეშინია? არა, სიკვდილი მე არ მაშინებს. ძალა არ მყოფნის, ჯანი მღალატობს. შენ რომც დაგიჭირონ, გაუძლებ, ახალ-გაზრდა ხარ, ჯან-ლონით სავსე. მე კი ცალი ფეხი სამარეში მიდგას...

მან ღრმად ამოიოხრა.

დიდხანს ვერ დავიძინე. ბანაკის ხშირ მავთულხლართებში გონებით ვეძებდი გასაძრომ ღრიჭოს და ვერ ვპოულობდი. ორი კვირა გავიდა მას შემდეგ რაც ციხიდან გაგვრეკეს და ამ ხნის მანძილზე ვერც ერთმა ტყვემ გაქცევა ვერ მოახერხა, თუმცა ამაზე უმრავლესობა ოცნებობდა.

მალაროში უწინდებურად დღე და ღამე არ წყდებოდა დაძაბული მუშაობა. ომი ნთქავდა არა მარტო ადამიანებს, არამედ მილიონობით ტონა ქვანახშირსაც. ჩვენი მეთვალყურეების საუბრებიდან ვიცოდით, რომ ჰიტლერმა 1943 წლის დამდეგს გერმანულ მალაროელთაგან ქვანახშირის მოპოვების მკვეთრად გადიდება მოითხოვა, ამიტომაც ბატონი პოპე თავის ხელქვეითებთან ერთად ისედაც მაღალი ნორმების ნებისმიერ ფასად გადაჭარბებას ცდილობდა. ამ მიზნით „გოტენცოლერნგრუბეს“ მალაროში დამატებითი მუშახელი — კიდევ ხუთასი საბჭოთა სამხედრო ტყვე გამოგზავნეს. მათი მოსვლის პირველ დღეებში ქვანახშირის მოპოვება მკვეთრად გაიზარდა, მერე კი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: ავარიებს მწყობრიდან გამოჰყავდა მთელი უბნები. არავინ იცოდა, ვინ აწყობდა მიწისქვეშა ლიანდაგებზე რკინის ნაჭრებსა და ქვებს: რელსებს აცდენილი რონოდების მთელი პარტიები ეჯახებოდნენ საბჭუნებს, ინგრეოდა ჭერი. ვილაც მოუხელთებელი ხსნიდა ხრახნებს და ერთმანეთს აცილებდა რელსებს, აფუჭებდა ისრებს, ჭრიდა რეზინის შლანგებს, გლეჯდა ჰაერგამტარებს. ხშირად ზიანდებოდა ელექტროგაყვანილობა, მწყობრიდან გამოდიოდა სიგნალიზაცია, ფუჭდებოდა მექანიზმები. ერთ დღეს მეექვსე ჰორიზონტზე მთელი ცვლის განმავლობაში არც ერთი რონოდა ქვანახშირი არ გამოუნგრევიათ. გესტაპოს გადაცმული აგენტები მალაროს ყველა კუნჭულში დაძვრებოდნენ, ვილაცას იჭერდნენ და მიათრევდნენ, მაგრამ ავარიები მაინც არ წყდებოდა.

ექვი არავის ეპარებოდა, რომ ეს მცირე და დიდი ავარიები საბჭოთა სამხედრო ტყვეების ნახელავი იყო, მაგრამ, როგორც იტყვიან, თუ არ დაიჭერ, ჭურდი არ არის. ამასთანავე, როგორღაც გესტაპომ ცხელ კვალზე დააკავა ორი ფრანგი, რომლებიც მთავარ მაგისტრალზე — კვერშლანგზე — ავარიას ამზადებდნენ. ჩემთვის და სტასიკისთვის ეს მოულოდნელი სიახლე იყო: აქამდე ვიცოდით, რომ დივერსიებსა და საბოტაჟს მხოლოდ საბჭოთა ტყვეები ბედავდნენ უცხოელთა უმრავლესობის ერთადერთი მიზანი გადარჩენა იყო.

მათ შორის ერთი ისეთებიც, რომლებსაც ომის პირობებში მალარო არც თუ ურიგო თავშესაფრად მიაჩნდათ. მაგრამ იყვნენ ნაღდი ბიჭებიც, მამაცნი, თავგანწირულნი.

სტასიკი ზეიმობდა, იგი თვით ნაგელისაგანაც არ ფარავდა თავის სიხარულს. იქნებ იმიტომაც, რომ ჩვენ სამნი მივარდნილ სანჯარეებში სხვებისაგან მოწყვეტილად ვმუშაობდით, ჩვენს შორის თანდათანობით უკანასკნელთა ბუღი ურთიერთობანი დამყარდა. როგორადაც არ მალავდა ბანაკისა და მალაროს ხელმძღვანელობა სიმართლეს ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ჩვენ მაინც გავიგეთ სტალინგრადთან ფაშისტური არმიის განადგურება. გებელსმა წითელი არმიის საბოლოოდ დამარცხების ათჯერ გამოცხადების მერე ფირფიტა უცებ გადააბრუნა და სიტყვა ჩამოაგდო საიდუმლო იარაღზე, რომელიც მკვეთრად შეცვლიდა ომის მთელ მსვლელობას ფიურერის სასარგებლოდ. მაგრამ სანამ ეს „საიდუმლო იარაღი“ სადღაც რაიხის მიწისქვეშა სამაღლებში იჭედებოდა, გერმანიის სამხედრო მრეწველობა უზარმაზარი რაოდენობით მოითხოვდა სილეზიის ქვანახშირს და მისი მოპოვების შენელება მალაროების ხელმძღვანელებს სასტიკად აცოფებდა.

ჩემთვის და სტასიკისთვის ნაგელი დიდხანს იყო ერთადერთი კაცი „იქიდან“, ფრონტის მიღმა ბაზიდან. რამდენადაც მასში აღბეჭდილიყო ფაშისტის ტიპური თვისებები, ჩვენ საშუალება გვქონდა, სტასიკის თქმისა არ იყოს, „შეგვესწავლა ეს მწერი“.

ნაგელმა, ცხადია, იცოდა ფრონტის ამბები. კამათისას სტასიკი ეშმაკურად დასტყუებდა ხოლმე სიახლეებს. არიელი შტაიგერი პოლონელთან კამათში მხოლოდ იმიტომ ებმებოდა, რომ დარწმუნებული იყო, სტასიკი მალაროში სამუშაოდ ნებაყოფლობითააო მოსული. ასე რომ არ ყოფილიყო, კაცს ქალაქში თავისუფლად სიარულის ნება ჰქონდა დართული და ხომ უნდა გაქცეულიყო.

მაგრამ მე უკეთ ვიცნობდი სტასიკს. სტანისლავ ბუოზოვსკი წარმოშობით ჩესტოხოვიდან იყო. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ პოლონეთის არმიაში გაწვეული სტასიკი მოხვდა ცხენოსანთა ბრიგადაში, სადაც ახოვან და ფიზიკურად ძლიერ ჭაბუკებს არჩევდნენ. სამხედრო ვარჯიშებზე მან შესანიშნავი მხედრის რეპუტაცია მოიხვეჭა და მოთმინებით გაიარა ის ანტისაბჭოთა მომზადება, რომელსაც ბურჟუაზიული პოლონეთის ყველა ჯარისკაცი და ოფიცერი გადიოდა.

როცა 1939 წლის 1 სექტემბერს ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალები მოულოდნელად დაესხნენ პოლონეთს, ბრიგადა, რომელშიც ბუოზოვსკი მსახურობდა, გუდერიანის ტანკებთან პირველი შეტაკებისთანავე გაცამტვერდა. სტასიკმა რაღაც სასწაულით ჩააღწია ვარშავაში და ბრძოლა განაგრძო როგორც ქვეითმა ჯარისკაცმა. მაგრამ ბურჟუაზიული პოლონეთის მთავრობა რუმინეთში გაიქცა, ვარშავა გერმანელებმა ჩაიგდეს ხელთ და სტასიკი იატაკქვეშა პარტიულ ორგანიზაციაში შევიდა. სულ მალე ორგანიზაციას გესტაპომ მიაგნო და მისი წევრები ჩამოახრჩო. სტასიკმა თავს ქალაქიდან გაქცევით უშველა და ჩესტოხოვში დაბრუნდა. ერთ-ერთი ალყის დროს იგი შეიპყრეს და გერმანიაში იძულებით სამუშაოზე გაგზავნეს. მალე მან სხვისი საბუთები იშოვა, ბანაკიდან გაიქცა და პოლონეთში შეაღწია მშობლიურ ჩესტოხოვში გაიგო, რომ დედამისი ფაშისტებს დაეხვრიტათ. ერთ წელიწადამდე დაპყრო მან ოკუპირებულ პოლონეთში, მაგრამ თვით ჩემთვისაც, თითქოს ყვე-

ლაფერში რომ მენდობოდა, არაფერი მოუყოლია თავისი ცხოვრების ამ პერიოდზე. 1943 წლის დამდეგს სტასიკი კვლავ შეიპყრეს და ბოიტენში ჩამოიყვანეს. ასე აღმოჩნდა იგი „გოგენცოლერნგრუბეს“ მალაროში და მე, რა თქმა უნდა, არ მჯეროდა, რომ სტასიკი თავის მოუსვენარ ბედს შეუტყვევდა.

ქუფრი, მამლაყინწი და თავის თავზე სულელურად შეყვარებული ნაგელი სტასიკის სრულიად საწინააღმდეგო პიროვნება იყო. მის გოგრაში ჩაეჭვდათ, რომ იგი „უმაღლესი“ რასის წარმომადგენელია და ამიტომ ჩვენ ისე გვეპყრობოდა, როგორც არასრულფასოვანთ. სტასიკი ამით ზოგჯერ ერთობოდა და აშკარად დასცინოდა ნაგელს.

— თქვენ, ბატონო ნაგელ, — ქვეშევშობდა სტასიკი, — ჭკვიანი კაცი ხართ. სხვათა შორის, მე ეს მაშინვე შევნიშნე, როგორც კი პირველად დაგინახეთ. ჰოდა, ახლაც, როცა ბუტერბროდს შეეჭყვევით, თქვენი შუბლი გონების დაძაბულ მუშაობაზე მეტყველებს.

ნაგელმა თავხედური იერი მიიღო და ძეხვის გულდასმით ღეჭვით მიუგო:

— შენ იცი, მე ვინა ვარ? მე ვარ გერმანიის ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელი და არა თქვენი ტოლი ვინმე, ვისაც მარტო ნიჩბების ქნევა შეგიძლიათ თქვენ არასრულფასოვანი რასა ხართ.

— მაშ, ეს რითღა ავხსნათ, ბატონო ნაგელ, — გულუბრყვილოდ ეკითხებოდა სტასიკი და ეშმაკურად ჩასცქეროდა თვალებში შტაიგერს, — რომ არასრულფასოვანებმა, თქვენ, სრულფასოვანთ, კუდით ქვა გასროლინეს?

გაოცებისაგან ნაგელს ყბები გაუქვავდა და თვალები გადმოკარკლა:

— ეს როგორ გავიგოთ?

— სულ უბრალოდ: კუდით ქვა გასროლინეს და ტირილის საშუალებაც არ მოგცეს. თუნდაც სტალინგრადი ავიღოთ.

ნაგელმა ბრაზით ამოიხვნეშა:

— დოქტორმა გებელსმა ამას წინათ თქვა...

სტასიკმა გადაიხარხარა და ხელი ხელს შემოჰკრა:

— აბა, აბა, მოგვიყევით გებელსის მორიგი იგავ-არაკი.

ნაგელმა ისე დაამთავრა თავისი სიტყვა, რომ სტასიკის რეპლიკისთვის არც კი მიუჭყვევია ყურადღება:

— მან თქვა, აღმოსავლეთში ფიურერმა მიუდგომელი კედელი აღმართა, რომელსაც ბოლშევიკთა ურდოები შეასკდებიანო.

— რაკი გებელსმა თქვა, ბოლშევიკებს ჰენდეჰოხის გარდა არაფერი დარჩენიათ, — არ ცხრებოდა სტასიკი.

— ფიურერმა თქვა, ამ ზაფხულს რუსეთს ბოლო მოეღებათ.

— ფიურერზე სიტყვის გაგრძელებაც ზედმეტია. ის ხომ დიდი, დიდი, აბა, როგორ გითხრა... — სტასიკი ვერ პოულობს საჭირო სიტყვას და თავში თითს იკაკუნებს. — ეგ მითხარით, ბატონო ნაგელ, რატომ თქვენც არ წახვალთ იმ მიუდგომელი კედლის კიდევ უფრო გასამაგრებლად?

— მე? მე, რა თქმა უნდა, ხალისით წავიდოდი. მაგრამ ბატონი ჰობე ამბობს, გამარჯვება იჭედება არა მარტო ფრონტზე, არამედ ზურგშიც და თითოეული ტონა ქვანახშირი მტრისთვის დარტყმააო.

— თქვენ ჭკვიანი კაცი ხართ, ნაგელ, და უნდა იცოდეთ, რომ ეს „ჰობე დიდი ხნის წინათ უნდა დაემწყვდიათ საგიჟეში. მიკვირს, როგორღაა იგი აქ დღემდე?

— ტყუილად ფიქრობ ასე. შენ ჰოპეს არ იცნობ: იგი ნიჭიერი ინჟინერი და დიდი ორგანიზატორია.

— სწორი ხარ, ნიჭი მართლაც გასაოცარი აქვს, მაგრამ ჯალათისა.

ნაგელს თითქოს არ ესმისო მისი სიტყვები, თავისას აგრძელებს.

— ბატონო ჰოპე კრებებზე საჭირო აზრებს გამოთქვამს.

— იმავეს, რასაც დოქტორი გებელსი?

ნაგელმა თერმოსიდან ყავა მოხვრიბა და მისი აზრით ჰოპეს სასარგებლოდ უმთავრესი არგუმენტი მოიყვანა:

— ნუ დაგავიწყდება, რომ მისმა ორმა ვაჟმა აღმოსავლეთის ფრონტზე ფიურერისთვის თავი დასდო, იქაა მისი შესამე ვაჟიც, რომელიც შესძლებს ძმების სიკვდილისთვის შური იძიოს.

— ისე არ მოხდეს, რომ განცხადებათა დაფაზე კიდევ ერთი ნეკროლოგი ვიხილოთ... — მრავალმნიშვნელოვნად თქვა სტასიკმა და გაჩუმდა.

საუბარი აქ შეწყდა და ჩვენ ისევ შევუდექით სამუშაოს. უნდა შევნიშნო, რომ პოლონელმა გულთმისანივით მოახვედრა მიზანს. რამდენიმე დღეში განცხადებების დაფაზე მართლაც გაჩნდა ნეკროლოგი ობერინჟინერ ჰოპეს ვაჟის პორტრეტითურთ. ისიც ოფიცერი იყო და დაიღუპა აღმოსავლეთის ფრონტზე.

ამის შემდეგ სტასიკი ნაგელთან დისკუსიაში არ ჩაბმულა, არ უნდოდა საკუთარი ბედი სასწორზე შეეგდო. საქმე ისაა, რომ ჩვენი შტაიგერი დღითი დღე უფრო ღიზიანდებოდა, და ცოფმორეულს დაუფიქრებლად შეეძლო გესტაპოში დავებეზღებინეთ. დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ნაგელი ფსიქიკურად მთლად კარგად ვერ იყო. მისი მძვინვარება ზოგჯერ ცოფში გადადიოდა და უცებ ჩლუნგი გულგრილობით იცვლებოდა. ასეთ წუთებში იგი ვერაფერს ამჩნევდა, მელანქოლიურად მისჩერებოდა ერთ წერტილს და რაღაცაზე დაძაბულად ფიქრობდა. ალბათ აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელთა უდიდესი დანაკლისი და შიში, რომ შეეძლოთ თვითონაც გაეგზავნათ იქით, აწუხებდა ნაგელს, გამოჰყავდა იგი წონასწორობიდან.

ცვლის დამთავრების მერე მე და სტასიკი არ ვჩქარობდით, სულ ერთია, ზევით სულ ბოლოს უნდა ავსულიყავით. წინ ორი კილომეტრი გზა გვედო და სასაუბრო დრო გვქონდა.

— რას წიწმატობ, რატომ აბამ ნაგელთან ასეთ საუბრებს? — დავიწყე მე.

სტასიკმა მხოლოდ ხელი ჩაიჭნია:

— მალე ქუსლებზე ქონს წავისვამ და ჩემს კვალსაც ვერავინ ნახავს. ერთი სიტყვით, მიმიფურთხებია ამ დარტყმული ნაგელისთვის.

მე ელდანაკრავივით შევდექი და სტასიკს ხელი ვტაცე:

— გაქცევა ჩაიფიქრე?

— აბა, აქ რისთვის ვიჯდე? ეყოთ, რაც ვიმუშავე. ეგერ მთელ პოლონეთს ცეცხლი უკიდია. ჩემი ადგილიც იქაა.

— კი მაგრამ მე, მე მარტოს მტოვებ?

იგი ჩაფიქრდა.

— რა გიყო, ერთი, თქვი, როგორ მოვახერხო ბანაკიდან შენი გაყვანა? ფულს დაგიტოვებ, უცხოელებისგან სურსათს იყიდი, როგორმე გაიტან თავს.

— ეექ, ვანა მარტო ფულზეა საქმე?

— აბა რაზეა?

— მეც მინდა გაქცევა და შენ ამაში უნდა დამეხმარო.
სტასიკი შეჩერდა, ნათურა ასწია და ცნობისმოყვარეობით შემომხედა:

— მაპატიე, ვლადიკ. ამაზე რატომღაც არ მიფიქრია... მაშ, წამოხვიდოდი ჩემთან?

— თუნდაც ახლავე!

— კარგი, მე მოვიფიქრებ. ისე, კაცმა რომ თქვას, შენს სწორედ საჩემო ბიჭი ხარ, უკვე გაქვს გაქცევის გამოცდილება.

ამ წუთიდან სტასიკის დახმარებით გაქცევაზე ფიქრი მასულდგმულედა. დამშვიდობებისას მან ჩურჩულით მითხრა:

— ჩათვალე, რომ შევთანხმდით. ოღონდ კრინტი არავისთან დასძრა. იგი ჰოლონელებთან ერთად მალლა ავიდა, მე კი კიდევ დიდხანს ველოდი ჩემს ჯერს.

როცა მალლა ავედით, გაგვაოცა ვერკშუტცების სიმრავლემ. ისინი ჩვეულებრივზე სამგზის მეტნი იყვნენ. ყველა რალაციით შეჭირვებული, შეშფოთებული, გამძვინვარებული ჩანდა. ისინი მაშინათვე შეუდგნენ ჩვენს დათვლასა და სამუშაო ნომრების შემოწმებას. ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ მალაროში რალაც მოხდა, სხვანაირად ბანაკში ასეთი გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით არ გაგვრეკავდნენ და არც ვერკშუტცებს ექნებოდათ მომარჯვებული კარაბინები.

ჭიშკართან კოლონას დახვდა ხმელ-ხმელი, მხედრულად გამოწყებილი როგორც ყოველთვის, რალაციით უკმაყოფილო ბანაკის ფიურერი ფასტი. მისთვის ტყვეებს მეტსახელად „ცხენი“ შეერქმიათ, ეტყობა, გრძელი კისრის გამო. ფასტმა ბადრაგის უფროსს განკარგულება მისცა, მან კი კოლონა მოაბრუნა შენობის წინ, რომელშიც მოთავსებული იყო საყარაულო, კანცელარია და ბანაკის ფიურერის კაბინეტი.

ბრძანებაზე „სმენა“ ჩვენ გავისუსეთ. ველოდით უფროსების გამოჩენას და არ ვიცოდით, რა გვეფიქრა. აჰა, აივანზე ისევ გამოჩნდა ფასტი. მის უკან ფუსფუსებდა პატარა, მრგვალილიპიანი თარჯიმანი — ქვეშქვეშა, საზიზღარი და არამზადა. იგი თეთრგვარდიელი ემიგრანტი იყო, ერთი იმ ნაძირალათაგანი, ვინც ლალატითა და გარეწრობით შოულობდა ლუკმაპურს გერმანიაში.

პისტოლეტის ბოლჩაზე ხელჩამოდებულმა „ცხენმა“ ტყვეებს ჩამოგვიარა, მოულოდნელად შეჩერდა და ჯერ მშვიდად, მერე კი ყვირილში გადასული ხმით შემოგვიკურთხა. ლიპიან თარჯიმანს თავი მაამებლურად დაეხარა და უსმენდა. მის მრგვალ სახეს წინდახედული ღიმილი დასთამაშებდა.

ფასტმა მუქარით გაიქნია ტყავის მათრახი და გაჩუმდა. თარჯიმანი მყის შეიცვალა. რამდენიმე წამის წინ აივანზე, როგორც სცენაზე, იდგა საზიზღარი ფარისეველი, რომელიც მზად იყო უფროსის წინ მუცლით ეხონა. ახლა კი მან კბილები მტაცებელივით დაკრიჭა. თვალები გადმოქაჩა და უწმაწური შეგინების მერე დაიწყო:

— ბატონმა ბანაკის ფიურერმა მშვენივრად იცის, რომ თქვენ ყველანი პირწავარდნილი ბოროტმოქმედები ხართ. მალაროში თქვენი მუშაობა განუწყვეტელი დანაშაულებრივი საბოტაჟია. ბატონმა ბანაკის ფიურერმა იცის, რომ ამ ცხვრების ფარაში უქნარების გარდა არიან ისეთი არამზადებიც, რომლებიც გაქცევაზე ფიქრობენ, დღეს ერთი ასეთი ნაძირალა დაიჭირეს. ვაჟბატონმა მუ-

შათბა არ ისურვა, გაქცევა გადაწყვიტა. ახლა იგი მიიღებს გავეეთოდს, რის მე-
რეც დაკარგავს გაქცევის ხალისს.

თარჯიმანი მკვირცხლად შემობრუნდა, „ცხენს“ თავი დაუკრა და გერმა-
ნულად ჰკითხა:



— შეიძლება დავიწყოთ?

ფასტმა თავი დაუქნია.

ხანდაზმული ღიპიანი შუცმანი¹ კანცელარიაში გავარდა და იქიდან მუ-
ხის დიდი სკამ-ლოგინი გამოათრია. რეზინის ხელჯოხიანი ორი პოლიცაი სკამ-
ლოგინის აქეთ-იქით დადგა. მათ კარგად იცოდნენ საკუთარი მოვალეობა და
ახლა უროსმცემლებს მოგაგონებდნენ, რომლებსაც მძიმე სამუშაო ელოდათ.

თარჯიმანი აიფოფრა, თავი ქედმალლურად ასწია, თითქოს უხილავ მტერს
ემუქრებოდა და დაიძახა:

— ტყვე ნომერი 1723 მიიღებს ორმოცდაათ როზგს... მოიყვანეთ!

მე ციებიანივით გამაჟრიალა. ეს ხომ ძია პეტროს ნომერი იყო.

ღიპიანი შუცმანი ფასტის წინ გაიჭიმა:

— ნომერ 1723-ს სიარული არ შეუძლია!

ფასტი ზიზლით შეიჭმუნა:

— მაშინ მოიტანეთ...

სკამლოგინთან მდგარი შუცმანები მწყობრი ნაბიჯით გაემართნენ ბარაკის
კარისკენ, საიდანაც მალე გონდაკარგული კაცი გამოიტანეს. ეს იყო პეტრო
კრავჩუკი. იგი სკამლოგინზე პირქვე დააწვინეს, ერთ-ერთმა შუცმანმა ტყვის
თავი მუხლებშუა მოიქცია, მეორემ კი ფეხები მარჯვედ დაუმაგრა სკამლო-
გინზე. „ცხენმა“ ნიშანი მისცა და ხელჯოხებმა წივილით გააპეს ჰაერი. შემზარავ
სიჩუმეში ისმოდა ყრუ დარტყმა და წყნარი გაბმული კვნესა.

გულზე ხელებდაკრეფილი ფასტი ფხიზლად ადევნებდა თვალს ეგზეკუ-
ციას და დარტყმებს ითვლიდა:

— აინ, ცვაი... ნოინ... ცენ...

გარინდულ მწყრივებში ასობით ტყვეს სუნთქვა შეკვროდა, ისმოდა მხო-
ლოდ გამწივანი, მოზომილი დარტყმები.

როცა სათვალავი ოცს გადასცდა, კრავჩუკი გაჩუმდა, იქნებ მოკვდა კი-
დეც. თვით ფიზიკურად ძლიერი ადამიანიც ვერ აიტანდა ასეთ წამებას, ძია
პეტროს კი ავადმყოფი იყო, თანაც ამ „საჩვენებელ“ ეგზეკუციამდე ფასტს
უკვე ეწამებინა იგი.

— ფიუნფციგ, გენუგ!² — როგორც იქნა გამოაცხადა ფასტმა და შუცმა-
ნებმა მძიმე ხვნეშით მოიწმინდეს გაოფლილი სახეები, დალილავებული მკვდა-
რი სხეული სკამ-ლოგინზე ეგდო...

„ცხენმა“ გალიფეს ჯიბიდან პორტსიგარი და სანთებელა ამოიღო, აუჩქა-
რებლად მოუკიდა სიგარეტს. ერთ-ორჯერ რომ მოქაჩა, შეირხა და თარჯიმანს
მხიარულად უთხრა:

— გამოუცხადე ამ ღორებს, რომ ჩემი ფირმა გარანტიით მუშაობს. რათა
ამ არამზადამ მეტჯერ არასდროს გაივლოს გულში გაქცევაზე ფიქრი, დაარტყით
კიდევ ორმოცდაათჯერ!

¹ მეთვალყურე, ზედამხედველი.

² ორმოცდაათი, ეყოფა!

მწკრივები შეტოვდა. ტყვეები გაფითრდნენ. მე ვხედავდი მკვრად მოკუმულ, სისხლგამშრალ ბაგეებს, გაფართოებულ თვალებს, აკანკალებულ ყბებს, ჩამოწვა ავისმომასწავლებელი სიჩუმე, რომელიც მალაროს ფეთქების წინ ავსებს ზოლმე. უძრავად გაქვავებულ ამ ადამიანებს იმდენი ვადაც კი არ ჰქონდა და ბანაკებში, რომ უკვე ვერავითარი წამებით ვერ გააოცებდნენ, ისინი მე აშკარად დავიჭირე ის წამი, როცა ახლოა სასოწარკვეთის ზღვარი, მის მიღმა კი ბრმა სტიქიაა, ჯანყია.

შესაძლოა, „ცხენმაც“ და მისმა შუცმანებმაც იგრძნეს ამ ზღვის სიბნელოვე, რადგან ბრძანების დაულოდებლად მოიმარჯვეს კარაბინები, ბანაკის ფიურერმა კი, რომელიც მღელვარებით შესცქეროდა ტყვეთა სახეებს, გაფაციცებით დააძრო ბოლჩიდან პისტოლეტი. იგი შეშინდა. ტყვეთა ავისმომასწავებელ მღუმარებაში ფასტმა მოუთოკავი ძალა იგრძნო და ცალი თვალი თავისი კონტორის კარებისკენაც კი გააპარა, თითქოს მანძილს ზომავსო იმ შემთხვევისთვის, თუკი თავის დახსნა გაქცევით მოუწევდა.

შეშინდა თარჯიმანიც, სადღა იყო მისი კონტაპრუწობა. მან ფასტს გადახედა და თქვა:

— ბატონი ბანაკის ფიურერი წუხს, რომ ბოროტმოქმედმა ვერ გაუძლო დამსახურებულ სასჯელს. მან აქაც გააცურა ხელმძღვანელობა — დროზე ადრე ჩააბარა სული უფალს. — გახუმრებაც კი სცადა თარჯიმანმა. — დაე, ეს შემთხვევა ყველა თქვენთაგანისთვის გაკვეთილად დარჩეს...

საღამოთი ცნობილი გახდა პეტრო კრავჩუკის უიღბლო გაქცევის წვრილმანები. მეორე ცვლის დამთავრების მერე იგი გერმანელების ჯგუფთან ერთად მალლა ამოსულიყო. ეს მეტად რისკიანი ნაბიჯი იყო, რადგან ტყვეებს მკაცრად ეკრძალებოდათ გერმანელ მალაროელებთან ერთად მალლა ამოსვლა. მესამე პორიზონტის მორიგეს, სადაც კრავჩუკი მუშაობდა, ამის შესახებ მაშინათვე დაერეკა დაცვის უფროსისთვის, მას კი განგაში აეტეხა. მალაროს ტერიტორიისთვის შუცმანებს ალყა შემოერტყათ; გასასვლელში დაიწყეს საშვების მკაცრად შემოწმება.

კრავჩუკმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ მას შეიპყრობდნენ, ან საკონტროლო-გასაშვებ პუნქტში, ან საშხაპეში. ამიტომაც მალლა ამოსვლისთანავე გაძვრა ჩაბნელებულ გალერეაში, საიდანაც ქვანახშირის ბუნკერებისკენ ეზიდებოდნენ. ამ ბუნკერებთან სამანევრო ორთქმავალი უზარმაზარ რკინის პულმანებს აყენებდა და ტყვეს ქვანახშირის ნაკადთან ერთად ვაგონში შელწევდა რომ შესძლებოდა, არა მარტო მალაროს, არამედ ქალაქის დატოვების უთუო შანსიც ექნებოდა.

გაქცევის სირთულე ის გახლდათ, რომ ბუნკერამდე შეუძინებლად გალწევა თითქმის შეუძლებელი იყო. მალაროსზედა შენობაში მუდმივად იყვნენ გერმანელები. გალერეაში, საითკენაც კრავჩუკი მიიკვლევდა გზას, ოსტატი მორიგეობდა. საჭირო იყო მისი მოკვლა და გვამის გადამაღვა. ლტოლვილს ეს რომც მოეხერხებინა, წინ ურთულესი დაბრკოლება ელოდა: ბუნკერები რკინიგზის გასწვრივ, ვაგონიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე იყო განლაგებული. ამ სიმაღლიდან ვაგონის ფსკერზე ჩახტომა და ჩაჩოქილად ლოქინი, თუ როდის დაატყდებოდა თავს ანტრაციტის მრავალტონიანი ნიაღვარი, თვითმკვლელობას უდრიდა. კრავჩუკმა მაინც ეს გზა აირჩია, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: გალერეაში პირისპირ გადაეყარა ოსტატს. ისინი შეიბნენ.

გერმანელს ხელთ ჰქონდა მძიმე ქანჩგასაღები, ტყვე კი შიშველო ხელების ამა-
რა იყო. უთანასწორო ორთაბრძოლაში ქანჩგასაღებით დარეტიანებული ტყვე
ნომერი 1723 ჩაიკეცა...

ერქინეული

ლამით დიდხანს ვერ დავიძინე. ჩემს გვერდით ფიცრულს დაწვრილ პრო-
მელზეც ჩვეულებრივ ძია პეტროს ეძინა, არავინ იწვა. დავხუჭავდი თვალებს
და ნაცნობი ჩურჩული ჩამესმოდა: „...მე სიკვდილის არ მეშინია. ძალა არა
მაქვს, ჯანმრთელობა შემერყა“. რად დამიძალა მან გასაქცევად რომ ემზადე-
ბოდა? იქნებ არასაიმედო მეგზურად მივაჩნდი? ან იქნებ არ სურდა ფათერაკს
გადავყროდი? იქნებ ეს სასოწარკვეთის გამოვლინება იყო?

პეტრო კრავჩუკის მარცხმა და მოწამებრივმა სიკვდილმა, მაღაროს აღმა-
ნისტრაციის მიერ კონტროლის, მეთვალყურეობისა და შემოწმების ახლად შე-
მოღებულმა სიმკაცრეებმა გაართულეს იმ გეგმის განხორციელება, რომელსაც
მე და სტასიკი იმ დროს გულით დავატარებდით. ამასთანავე მე უფრო და უფ-
რო მიმტკიცდებოდა რწმენა, რომ კრავჩუკის მიერ განცდილი მარცხისა და ჩვენ-
თვის ჩატარებული „გაკვეთილის“ მერე „ცხენი“ გაქცევის უფრო თავგანწი-
რულ ცდაზე ვერც იფიქრებდა.

გაქცევის სხვადასხვა ვარიანტის მოფიქრებისა და წვრილმანთა აწონ-და-
წონვისას დავრწმუნდი, რომ ოპერაციის წარმატება მთლიანად სტასიკზე იქნე-
ბოდა დამოკიდებული, რომ მისთვის გაცილებით უკეთესი იყო მარტო, უჩემოდ
გაქცევა. რალა გაეწყობოდა, მე იმთავითვე განვეწყვე საამისოდ. მე არ უნდა
დავწოლოდი სტასიკს ტვირთად და არ გამერთულებინა მისთვის ჩანაფიქრის
განხორციელება. როგორადაც ძნელი არ უნდა ყოფილიყო ასეთ ერთგულ
ამხანაგთან განშორება, სჯობდა ტყვეობაში ერთ-ერთი ჩვენთაგანი დარჩენი-
ლიყო, ვიდრე ორთავენი.

გავიდა კიდევ ერთი დღე. ჩვენ ისევ შევხვდით მეხუთე პორიზონტზე,
„მოსაცდელ დარბაზში“, სტასიკმა ცერად შეხედა მოქუფრულ ნაგელს, ხელი
შეთქმულივით ჩამომართვა და ჩურჩულით მითხრა:

— საქმეზე ცვლის დამთავრების მერე, მანამდე მოითმინე..

უხმოდ მივედი სანგრევის შესასვლელთან, სადაც აფეთქების შედეგად
ქვანახშირში არეული ქანების ვეება ლოდები ახორხილიყო. ცვლის პირველ ნა-
ხევარში არც ერთს სიტყვა არ დაგვცდენია, მხოლოდ შესვენებისას სტასიკმა
ყველის ნაჭერი გამომიწოდა და ოთხად-ოთხი სიტყვა მითხრა:

— ჭამე, პატარავ, ძალა მოიკრიბე.

როგორც იქნა, ცვლა დამთავრდა და ნაგელმა ჭრილისკენ გასწია. ჩვენ მარ-
ტონი დავრჩით და შეგვეძლო თავისუფლად გველაპარაკა. სტასიკს მაინც არ
სჯეროდა შტრეკის სიჩუმისა და უკაცურობისა. ჯერ კიდევ სულ ახლახან
საკუთარი ბედისადმი გულგრილი, თავზეხელაღებული ჩემი მეგობარი ფრთხი-
ლი და წინდახედული გახდა.

მან მანიშნა და მეც მივეყვი წყლით დატბორილი ქვედა შტრეკისკენ, სა-
დაც ჩამონაშალით ამოყორილი მაღაროს მკვდარი ლაბირინთები იწყებოდა. სტა-
სიკმა ნათურის შუქით მშრალი ადგილი მოძებნა და ჩვენ ქანის რბილ ჩამონა-
შალზე ჩამოვსხედით.

— მოდი, ვლადიკ, ჩვენს მდგომარეობაზე ვიმსჯელოთ. შენ იცი, რომ კრავ-
ჩუკის უიღბლო გაქცევის მერე მაღაროში რეჟიმი საბჭოელთათვის კიდევ უფ-

რომ მკაცრი გახდა. ამიტომაც, სანამ გაქცევას გავბედავდეთ, ვითარება კარგად უნდა შევისწავლოთ.

სტასიკი მომიყვა, რომ ყოველი ცვლის დაწყებამდე რამდენიმე წუთს იგი განცხადებებისა და ბრძანებების სტენდთან ატარებდა. იმ უდროს, როდესაც ყოველთვის ირეოდნენ გერმანელი მაღაროელები, ბრბოში კი სხვებთან ერთად ამბავს გაიგებდით. გერმანელთათვის ყველაზე არასასიამოვნო სიახლე დასვენების დღის აკრძალვა იყო. ეს ბრძანება ძველ ტრადიციას არღვევდა: აქამდე თავიანთ დასვენების დღეს პატიოსანი გერმანელები ოჯახსა და ეკლესიაში ატარებდნენ, მაგრამ ამჟამად მაღარო გეგმებს ქრონიკულად ვერ ასრულებდა, ფრონტი კი მრეწველობის ყველა რეზერვის მობილიზაციას მოითხოვდა, კერძოდ, ქვანახშირს.

— გერმანელები ამბობენ, — ჰყვებოდა სტასიკი, — წუხელ ღამით ბატონი ჰოპე თვით ჰიტლერის გამოძახებით ბერლინს გაემგზავრაო. როგორ ფიქრობ, რისთვის დასჭირდა იმ გადარეულს ეს ბებერი საფრთხობელა ჰოპე? მე მგონია, ახალი ბალაგანისთვის, ფოტორეპორტიორები, რა თქმა უნდა, მზად იქნებიან, ფიურერი კი გადაეხვევა ამ ბებერ ბრიყვს და დაახეთქებს ახალ სიცრუეს, რომ იგი თითქოს ასწორებს ფრონტის ხაზს და წინასწარი მომზადებული პოზიციებისკენ ახევიანებს თავის ჯარებს, რათა შემდგომ უსათუოდ დაამარცხოს რუსები.

სტასიკმა ირგვლივ მიმოიხედა, უფრო ახლოს მომიჩოჩდა და აღგზნებულად ალაპარაკდა:

— ჯანდაბას ჰოპე! გაქცევის გეგმა მოვიფიქრე და მინდა გაგანდო. ქალაქს გადავაქოთებ და შენთვის ნორმალურ სამოსს ვიშოვი. საჭიროა კოსტუმი, ტუფლები, პალსტუხი, წინდები და ქუდიც კი. მე მათ თანდათან გადავიტან ვასახდელში და ჩემს უჯრაში შევიანახავ. მერე შენთვის ისეთ 'აუსვაისს'¹ გავახერხებ, ადგილობრივ პოლონელებს რომ აქვთ. შენ იცი, რომ ყველა საბჭოთა ტყვე თავგადასოტრილია, პოლონელებს კი კოჩრის ტარების ნება ეძლევიო. ამდენად, არსებობს საშიშროება, რომ საშხაპედან შენ ჩვენს გასახდელში ვერ გადმოხვალ. მანძილი ერთი ბეწვია, სულ რაღაც ოციოდე ნაბიჯი, მაგრამ სწორედ აქ შეიძლება შენიშნონ ვერკშუტცებმა შენი გადაკრეჭილი თმა. მე ესეც გავითვალისწინე: პარიკს მოგიტან.

— საიდან? — გავიოცე მე.

— ეიყიდი ადგილობრივ თეატრში ფულზე, სიგარეტზე ან კარაქზე. გერმანელი მსახიობები ახლა არც ისე ტკბილად ცხოვრობენ. სასურსათო ბარათზე სულსაც მოგყიდიან. ჯერჯერობით კი შენი თავი გავზომოთ.

სტასიკმა ჯიბიდან ზონარი ამოიღო და თავი მონდომებით გამიზომა.

— მერე შენ თვითონაც დარწმუნდები, რომ ამ უბრალო მასკარადს ჩვენ საუკეთესოდ ჩავატარებთ. არც ერთ გერმანელს აზრად არ მოუვა, თუ ტყვეებს ასეთი ეშმაკობის ჩადენა შეუძლიათ. ისინი დარწმუნებული არიან. საბჭოელებს მხოლოდ ისღა ძალუძთ, რომ მავთულხლართებს და მაღაროს გაღერვის საკონვეიერო ლენტს დაეტაკონო.

სტასიკის გეგმა ერთობ ფანტასტიკური მეჩვენა, იყო მასში რაღაც ბუტაფერული და ამის შესახებ გულახდილად ვუთხარი მეგობარს.

¹ საბუთი, საშვი.

— ხშირად რისკი წარმატების საწინდარია, — დამამშვიდა სტასიკმა. —
რა თქმა უნდა, წარმატების გარანტიას ვერ მოგცემ. შეიძლება მოხდეს გაუთ-
ვალისწინებელი რამ და ყველაფერი საპნის ბუშტივით გასკდეს. გაქცევა ყო-
ველთვის მოულოდნელ დაბრკოლებებთან და რისკთანაა დაკავშირებული.

— მე მზადა ვარ ნებისმიერი რისკისთვის.

ბიბლიოციტა

იგი წამით ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— ვაითუ კრავჩუკის მიერ გაქცევის მცდელობის შემდეგ ხელმძღვანე-
ლობამ მაღაროდან გამოსვლის წესი შეცვალოს. იმავე პოპეს შეუძლია შტაი-
გურები დაავალდებულოს მათდამი დაქვემდებარებულ ტყვეებთან ერთად მალ-
ლა ამოვიდნენ და ისინი პირდაპირ ბადრაგს ჩააბარონ.

— შეეჭვება, ასე რომ მოხდეს. მაშინ შტაიგურებმა ყოველ ცვლაში დამა-
ტებით ერთი ან ორი საათი უნდა დახარჯონ. დრო კი გერმანელებს ოქროდ
უღირთ. ეს საუკუნეობით დამკვიდრებული ტრადიციაა, ტრადიციის დარღვე-
ვა კი არც ისე ადვილია, საამისოდ არც განსაკუთრებული მიზეზი არსებობს.

— მაგრამ აკი დაარღვიეს დასვენების დღის ტრადიცია, — რიხიანად შე-
ნიშნა სტასიკმა.

— სწორი ხარ, მაგრამ ეს თვით პიტლერის ბრძანებით მოხდა, რათა ქვა-
ნახშირის მოპოვება გაედიდებინათ.

— მართალია! — დამეთანხმა სტასიკი და მაშინათვე გამხიარულდა. —
დადგენილ წესრიგს ადმინისტრაცია არ შეცვლის ერთი, თანაც წარუმატებელი
გაქცევის გამო. მომავალ კვირას ჩვენ მეორე ცვლაში ვიმუშავებთ, ღამე კი
ზედგამოჭრილია გასაქცევად.

საუბარი აქ შევწყვიტეთ და ჭრილისკენ გავემართეთ.

4

ტყვეთა შორის ვილაცამ ხმა გაავრცელა, კრავჩუკი ცოცხალიაო. ამ ამბავ-
მა ბარაკის მთელი მოსახლეობა გამოაცოცხლა. გაჩაღდა ცხარე აზრთა გაც-
ვლა-გამოცვლა. უნდა ითქვას, რომ მაღაროს ადმინისტრაცია და თვით ფას-
ტიც თავიანთი ტყვე აგენტების მეშვეობით, რომლებიც პურის ნატეხისა თუ
ერთი ულუფა სალაფავისთვის სულსაც გაყიდდნენ, სასოწარკვეთამდე მისული
ადამიანების ოდნავ მაინც დასამშვიდებლად მუდმივად ავრცელებდნენ ცრუ
ხმებს. მათ ესმოდათ, რომ უიმედო, სასოწარკვეთილ ადამიანს შეუძლია ნების-
მიერი განუსჯელი საქციელი ჩაიდინოს. ასეთი კაცი აღარც მუშად ვარგა, პო-
პე და მისი ლაქიები კი ნემსისყუნწში ძვრებოდნენ, რათა ქვანახშირის მოპო-
ვება გაედიდებინათ.

ბარაკის მცხოვრებთა უმრავლესობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს კრავ-
ჩუკის დასჯით აფორიაქებულ ტყვეთა დასამშვიდებლად დარბეული მორიგი
ჭორი იყო.

სინამდვილეში კრავჩუკის ასავალ-დასავალი არც ერთმა ჩვენთაგანმა არ
იცოდა. წამების მერე იგი საყარაულო შენობის გვერდით მიწისქვეშა ბუნკერში
წაათრიეს.

ამ ბარაკებში დამწყვდეულ ასობით ადამიანთაგან ალბათ მარტო მე ვი-
ცოდი ზოგიერთი რამ ტყვე ნომერ 1723-ის შესახებ. მართალია, კრავჩუკი
უბალისოდ და ძუნწად ჰყვებოდა თავის თავზე, მაგრამ მე მაინც გავიგე, რომ

იგი ომამდე ეიტომირში მასწავლებლობდა, რომ ამ ქალაქში ცხოვრობდა მისი მეუღლე და ორი შვილი. არმიაში იგი ქვეითი ოცეულის მეთაური ყოფილა და სადღაც კოროსტიშევის მიდამოებში ტყვედ ჩავარდნილა, თუმცა თვედევის ჯარის ბოლო ვაზნამდე არ დაუთმია.

ჩემთვის გამოცანად რჩებდა მისი მოულოდნელი გადაწყვეტილება. აკი თვითონ ამბობდა, აქედან გაქცევა უიმედო საქმეაო. გამოდის, რომ სასოწარკვეთის უამს იგი შეგნებულად დაადგა თვითმკვლელობის გზას?..

დღეს ბანაკში შედარებით სიმშვიდე სუფევდა: მორიგეობდა ბებერი და ზარმაცი პფარცი. ლიპიანსა და თვალეშეშუპებულს ასთმა სჭირდა. პფარცი სხვა შუცმანებზე ურიგოდ როდი ხმარობდა ხელჯოხს, ოღონდ თავისი კოლეგებისგან განსხვავებით, ძალზე იშვიათად და უხალისოდ მიმართავდა მას. ჩვენ პფარცს ასთმიანი შევარქვით. ბანაკის მეთვალყურეთა შორის იგი ყველაზე ნაკლებსაშიშად ითვლებოდა. ამქვეყნად ყველაფრისადმი გულგრილი ასთმიანი მძიმედ და აუჩქარებლად დალასლასებდა ბანაკში და თუ ახლო-მახლო „ცხენი“ არ ეგულებოდა, სადმე მყუდრო კუთხეში ჯდომა ერჩივნა.

ძილის დრომდე ტყვეებს ლოგინზე წოლა ეკრძალებოდათ. ვერკშუტცები, ზელმძღვანელთათვის ერთგულება რომ დაემტკიცებინათ, წამითაც არ გვასვენებდნენ — იყო გაუთავებელი მწყობრში დგომა, შემოწმებები, გვარბენინებდნენ საბრჯენი ხე-ტყის გადმოსატვირთავად, ბანაკის ტერიტორიის დასასუფთავებლად და მხოლოდ მწუხრის აპელის მერე ვწვებოდით დასაძინებლად. დილის ოთხ საათზე გაისმოდა ბრძანება „აუფშტენ!“¹, იწყებოდა ახალი დღე — მშიერი, შფოთიანი, უსასრულო.

დღეს ასთმიანი მორიგეობდა. ტყვეებმა თითოეულ ბარაკთან მოთვალთვალენი დააყენეს, თვითონ კი სკამლოგინებზე მშვიდად ისვენებდნენ, თუკი ამას დასვენება ეთქმოდა! გადამხმარი თივა სავსე იყო რწყილებით, რომლებიც ტყვეებს სიცოცხლეს უმწარებდნენ. საწყლები გაგიჟებით იფხანდნენ მთელ სხეულს და სისხლის გამოდენამდე იკაწრავდნენ კანს.

ასთმიანის მორიგეობისას უფრო თავისუფლად გრძნობდნენ თავს ჩვენი „ბედნიერების მაძიებლებიც“. თუმცა ბანაკის ტერიტორიაზე უკვე კარგა ხნის ამოკორტნილი და შეჭმული იყო ბალახის უკანასკნელი ლერიც. ისინი მაინც არ კარგავდნენ რაიმე საკბილოს შოვნის იმედს. დახოხავდნენ მავთულხლართების გასწვრივ, სინჯავდნენ მიწის ყოველ მტკაველს, პოულობდნენ რაღაც ფესვებს, რომლებსაც კონსერვის უანგიან ქილებში აგროვებდნენ, რათა მერე ბანაკის სალაფავისთვის დაემატებინათ.

ისინი მცირე არტელებად შრომობდნენ და ქმნიდნენ სრული დაცემისა და გადაგვარების შემზარავ სურათს. „ბედნიერების მაძიებელთა“ მცდელობა უმრავლესობას წყლის ნაყვად მიაჩნდა და ამიტომაც კუნთების მოშეებასა და უქმად წოლას ამჯობინებდა. ზოგიერთ ტყვეს პერანგი გაეძრო და პარაზიტებზე ნადირობდა. მათ შეეძლოთ საათობით უსიტყვოდ მსხდარიყვნენ — წარსულზე ყველაფერი მოყოლილი იყო დიდი ხნის წინათ, მომავალი კი არავინ უწყობდა.

მე დილიდანვე უსაქმოდ ვეხეტებოდი ბანაკში და „ბედნიერების მაძიებელთა“ შრომას ვაკვირდებოდი. მონაცრისფრო-მოლურჯო ცაზე ზანტად მო-

¹ აღუქით!

ცურავდნენ მოთეთრო ღრუბლები. ამ წყეულ უცხო მიწაზე ყველაფერი — ბანაკის ტერიტორიაც, ბარაკის მახლობლად მდგარი გუბეც, თვით ბარაკებიც, სარკმლებიც, რუბეროიდის სახურავებიც, მავთულხლართის ბოძებიც, ასფალტიც, — გულისშემძვრელად სევდისფერი, მოსაწყენი და ურთქვინი იყო.

ბარაკში დავბრუნდი. ვუსმენდი ნალვლიან სიმღერას სტრუტოვების შეტევაზე, რომელიც თავის მწირ მიწაში გავლებულ ხნულებს ცრემლებით რწყავდა. სევდა გამიორკეცდა. ვილაცამ მომღერალს მუჭლუგუნი ჰკრა და გააჩუმა. უსაქმობისაგან ჩემი დამპალი ძონძების დაბებკვა გადავწყვიტე. პერანგი იმდენად გაცვეთილი იყო, თავისით ირღვეოდა, შარვალსაც წელზე ძლივს ვიმაგრებდი. ერთ-ერთ ტყვეს ნემსსა და ძაფზე გადავუცვალე კონსერვის ცარიელი ქილა და პერანგის კემსვას შევეუდექი.

ამ საქმიანობით გართულს თავზე ასთმიანი წამომადგა, რომელსაც, ეტყობა, სიჩუმეში ჯდომა მობეზრებოდა და ბარაკში შემოხედვა გადაეწყვიტა. იგი ერთხანს ზღურბლიდან აკვირდებოდა ჩემს წვალებას, მერე კი თქვა:

— გუტ... მე ვაფასებ ტყვეებს, რომლებიც ზრუნავენ საკუთარ გარეგნობაზე და არ ჩაჩანაკდებიან.

— ჩვენ ყველანი ვცდილობთ, მივხედოთ საკუთარ თავს, ბატონო უფროსო, — მივუგე მე.

ასთმიანს პასუხი მოეწონა, განსაკუთრებით კი „ბატონო უფროსო“.

— შენ გერმანულად ლაპარაკიც შეგიძლია? — წარბშეკრულად მკითხა მან.

— ცოტა, ბატონო უფროსო, ვსწავლობ...

— ეს მეტად მოსაწონია. ახლა შენ ჩემთან წამოხვალ და ლაგერფიურერის კაბინეტს მიალაგებ. ხომ იცი, რომ ნებისმიერ ვინმეს მე იქ არ წავიყვან.

— გმადლობთ, ასეთი პატივისთვის, ბატონო უფროსო, — მოჩვენებითი სიხარულით წამოვიძახე.

ტყვეები შურის თვალით შემომცქეროდნენ: ლაგერფიურერის კაბინეტის მილაგების პატივი დიდ წარმატებად ითვლებოდა. ეს უსათუოდ გულისხმობდა დამატებით სალაფავს და ერთ ულუფა პურსაც კი. ფაშისტებში როგორღაც უცნაურად იყო შერწყმული მათი „ეთიკის“ წინააღმდეგობრივი ნორმები: გაუგონარი სისასტიკე, უმცირესი დანაშაულისთვის ტყვის მოკვლა და ზოგჯერ „შეწყალება“ — უფროსთათვის წვრილმანი სამსახურისთვის ზედმეტი პურის ნატეხი ან ულუფა სალაფავი. თუმცა ესეც ნაწილი იყო მოფიქრებული სატუსალო სისტემისა; პურის ნამცეცისა და მათლაფა სალაფავისათვის მლიქვნელები და არამზადა დამსმენები მზად იყვნენ ნებისმიერ სისაძაგლეზე წასულიყვნენ, უსირცხვილოდ გაეყიდათ თავიანთი ძმა — ტყვე.

— კომ მიტ! — უნიათოდ ბრძანა ასთმიანმა და ბანაკის ტერიტორიაზე კუსავით გაბობლდა. მე უკან მივყევი.

ასთმიანმა საწყობში მიმიყვანა, მომცა ჯაგრისები, ჭინჭები, ერთი შეკვრა სოდა, საპონი და იატაკის ჯოხი.

— აბა, შენ იცი, მონდომებით იმუშავე, — ფშვენით მარიგებდა იგი. — არ დაგავიწყდეს, რომ თვით ლაგერფიურერისთვის შრომობ.

¹ გამომყევი.

— მესმის, ბატონო ვერკშუტცმანო, რამხელა პასუხისმგებლობა მკისრება, შევეცდები!

ამ საუბრის მერე მან მორიდებით დააკაკუნა კარებზე და ჩვენ „ცხენის“ კაბინეტში შევედით. მე კარტუზი მოვიხადე და ხაზგასმული მოკვდილობით მოვიხარე წელში. ეტყობა, საკუთარი მორჩილებითა და უმწეო გამოხედვით ლაგერფიურერზე საჭირო შთაბეჭდილება მოვახდინე.

— ჰერ ლაგერფიურერ! — მორიდებით ალაპარაკდა პფარცი. — ეს კლანე რუსე! მეტად კობტა და დამჯერეა. ტანისამოსს იკემსავს და საკუთარ გარეგნობაზე ზრუნავს. იგი ძლიერ გახარებულია, რომ თქვენი კაბინეტის მილაგება მიანდეს.

„ცხენს“ შევხედე. იგი დივანზე იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. დივანის მახლობლად მრგვალ მაგიდაზე ნამწვებით სავსე საფერფლე იდო. მე თვალწინ შედგა ძია პეტროს გუშინდელი დასჯის სურათი. რომ სცოდნოდა ამ ჯალათს რა ბალღამიც ტრიალებდა ჩემს გულში!

— მოდი აქ, — მითხრა ლაგერფიურერმა და საფერფლე გამომიწოდა, — ნამწვები შეგიძლია წაიღო, ოღონდ ისე იმუშავე, რომ აქაურობა ბრწყინავდეს.

მე მადლობა მოვახსენე და თუმცა არ ვეწეოდი, ნამწვები ქალაქში გავახვიე და ჯიბეში შევიხაზე. მერე წყლით სავსე სათლი მოვიტანე, პოლცშუგები დერეფანში გავიძრე, შარვლის ტოტები ავიკარწახე, სახელოები ავიკაპიწე და რაც შეიძლება თავდადებით მუშაობას შევუდექი.

მალე „ცხენი“ წავიდა და კაბინეტში ასთმიანი დატოვა. იგი მხოლოდ მაშინ დაბრუნდა, როცა დალაგებას უკვე ვამთავრებდი „ცხენმა“ კაბინეტი გულმოდგინედ დაათვალიერა, მაგიდისა და დივანის ქვეშაც შეიხედა და, ეტყობა, კმაყოფილი დარჩა. ასთმიანი მან სადღაც გაგზავნა, თვითონ კი საწერ მაგიდას მიუჯდა და ფერადი ქურნალების დათვალიერება დაიწყო.

მე ჯერ ისევ კარებს ვრეცხავდი, როცა შევამჩნიე, ბანაკის ჭიშკარს კაბინაზე წითელჯვრიანი პიკაპი რომ მოადგა. „ალბათ ძია პეტრეს წასაყვანად მოვიდნენ, — გამიელვა თავში. — ვინ იცის, იქნებ მართლა ცოცხალია და სავადმყოფოში მიტყავთ...“ კაბინის კარი გაიღო და იქიდან მრგვალი, ღიპიანი მამაკაცი გადმობობლდა, რომელსაც ღია ფერის კოსტუმი ეცვა და პიჯაკის საყელოზე ფაშისტური ნიშანი ეკეთა. მან მელოტი თავი მოიშიშვლა და ქუდის მარაოსავით ქნევას მოჰყვა. გუშაგმა ყოველი შემთხვევისთვის ჩაიხედა მის მოწმობაში, დაუდევრად აუწია ხელი და შიგნით შეუშვა. წამიც და ღიპიანი კაბინეტში იყო. მან თავისი მრგვალი წვრილი თვალები მოავლო პიტლერის პორტრეტს. ხელი წინ გაიშვირა და ნაციისტური მისალმება წამოიძახა.

— ჰაილჰიტლერ! — შეაგება ფასტმა და ნავის ნიჩაბივით გრძელი ხელი აუქნია.

ღიპიანი წარუდგა: ფიშერი გახლავართ, დოქტორ ბარშკეს სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების წარმომადგენელი.

მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. მასპინძელმა ღიპიანს დაჯდომა შესთავაზა და თან ვიზიტის მიზეზი ჰკითხა.

ამ კითხვამ მეც დამაინტერესა და კარები თუმცა უკვე გარეცხილი მქონდა, სუფთა ჩვრით წმენდა გავაგრძელე. მათი შემდგომი საუბრიდან მივხვდი,

¹ პატარა რუსი.

რომ ღიპიანი გვამისთვის მოსულიყო. თურმე ფირმასა და ბარშკეს სამედიცინო დაწესებულებას სპეციალური ხელშეკრულება ჰქონიათ დადებული რომლის თანახმად ფირმას დაწესებულება „ნედლეულით“ უნდა მოემარაგებინა.

მაშასადამე, ძია პეტროს ცემისთვის ველარ გაეძლო. ტყუილი მისწამდა. მისი მამა ^{ტყუილი მისწამდა} შემეკუმშა.

— რას უშვებით იმ გვამებს? — სხვათა შორის დაინტერესდა ლაგერფიურერი, ოქროს პორტსიგარი გახსნა და ფიშერს მიაწოდა.

სტუმარმა სიგარეტი აიღო, მოუკიდა და საქმიანად აუხსნა:

— გვამებისაგან ვაკეთებთ ჩონჩხებს და ანატომიურ თეატრებსა და სამედიცინო სასწავლებლებს ვამარაგებთ, ვაკეთებთ კიდევ ზოგ რამეს... მაგრამ ამის გამხელა არ შეიძლება.

ფასტმა მხოლოდ ახლა შენიშნა ჩემი იქ ყოფნა და ყვირილით გამაგდო კაბინეტიდან. მე ჩემი ჭინჭები მოვკრიფე, კარი ფრთხილად მოვიხურე და ასთმიანის საძებნად გავსწიე.

5

ფონ ჰოპე ბერლინიდან გამძვინვარებული ბრუნდებოდა. მალაროში ეს მის ჩამოსვლამდე ერთი დღით ადრე გაიგეს. რადიომ და გაზეთებმა გამოაცხადეს ის დიდი პატივი, რომელიც თვით ფიურერმა მიაგო „მოკრძალებულ გმირს“, „მტკიცე ნაციონალ-სოციალისტს“, „ჭეშმარიტ არიელს, რომელმაც გამარჯვების საკურთხეველზე სამი ვაჟიშვილის სიცოცხლე მიიტანა“. ფიურერმა ალერსიანად მიიღო საპატიო „გროსფატერი“ და მკერდზე საკუთარი ხელით მიაბნია რკინის ჯვარი „სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ (სამი ჯვარი მიიღეს მისმა დაღუპულმა ვაჟებმა).

გაგრძელება შემდეგ ნომერში



თარგმნა დურმიშხან პრიპოლაშვილმა

უელამების მაუწყებელი პირველი ბინდბუნდი მგლისფრად ეფინებოდა გარემოს. მკრთალი შუქი თანდათან უფრო მკრთალდებოდა და მალე მთლად გაქრებოდა კიდევ.

ზღურბლზე მდგომი ლეონიდასი მალალი, მკვრივი სხეულით კარის ამჟღავნებს მიყრდნობოდა და ირგვლივ ჩამოწოლილ მყუდროებას უსმენდა.

მისი თბილი, ალერსიანი მზერა ხარბად იჭერდა ირგვლივ მონარნარე ფერებს, რომელშიც მშვიდად გარინდულ, ლალად ტანაყრილ ხეთა ჩამუჭებული სიმწვანე სჭარბობდა. მერე მზერა შორეულ მთაზე გადაიტანა და კარგა ხანს აკვირდებოდა უკვე სიბნელეშეპარული კლდის მოწითალო-მოიისფრო ქიმებს.

ყოველთვის, ჯერ კიდევ სკოლის წლებიდანვე, უყვარდა ეს მთა, რომელიც პირქუში სიმკაცრით მშობლიური კუნძულის მკვიდრთ აგონებდა. და შემდეგაც, უცხოეთში ცხოვრების დროსაც, სწავლობდა თუ მუშაობდა, ყოველთვის, მძიმე წუთებში, როცა სევდა-ნაღველი და სასოწარკვეთა მოეძალებოდა, ეს მთა დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ, როგორც ვაჟკაცობისა და სიმტკიცის სახეა, დაუდგებოდა და გაუიოლებდა გულის ვარაშს.

იგი ახლაც, ამ წუთშიც, უქარვებდა შემოწოლილ ნაღველს, დღეს მთელი დღე რაღაც უცნაური სიმძიმე აწვა გულზე. ადამიანები დილიდანვე ნელა, განუწყვეტლივ იქნევდნენ ზარის ენაზე გამობმულ თოკებს და სიკვდილის მაუწყებელი ეს საოცრად დაბალი და ნელი, თუმცა რიტმული გუგუნის ნერვებს უშლიდა და ნაღველით ავსებდა ლეონიდასს.

ზარები ვინმე ჩვეულებრივი მოკვდავის კი არა, თვით ღმერთის სიკვდილს იუწყებოდნენ, ღმერთისა, რომელიც ოდესღაც ამავე ადამიანებმა, — თუმცა, ეგეც კია, არა მაინცა და მაინც სწორედ ამ ადამიანებმა, (მაშინ ესენი იქ არ ყოფილან), არამედ სხვებმა, მსგავსთა ამათთა, ჯვარს აცვეს და მსხვილი სამკუთხა ლურსმნებით მიაჭედეს ძელს.

ისინი არხეინად შესცქეროდნენ, როგორ მოწვეთავდა სისხლი ჯვარცმული ღმერთისა, როგორ ეცვარებოდა ცივი ოფლით სხეული, ხედავდნენ ტანჯვით მოქცეულ სახეს წამებულისას და უხაროდათ.

ისინი შემზარავი ხმებით გაპყვიროდნენ რაღაცას, ღრიალებდნენ, უსტვენდნენ და ამაზრზენად ხარხარებდნენ. და, როცა მან, სასოწარკვეთილმა, წარმოთქვა „წყალი“, მათ აღიღეს ღრუბელი, ძმარში გაეღინთეს და ტუჩებზე მიაღდეს.

არადა, უცნაური ის იქნებოდა, ეს რომ არ მომხდარიყო. ამ ჯვარცმულმა ხომ მათ ჯერაც გაუგონარი, გამაოგნებელი სიტყვები უთხრა, რაც მათ არც

სმენოდათ და არც სურდათ ესმინათ: გიყვარდეთო ერთმანეთი, გებრალეობდეთო ავადმყოფი და უპოვარი, არ აწყენინოთო ერთმანეთს...

ეს მათ არ მოეწონათ. ასეთი რამ უცხო იყო მათთვის და მათი ცხოვრების ყაიდას არ ესადაგებოდა. პოდა, ახლა, მათ მიერ ჯვარზე მიღებული წამებას რომ უცქეროდნენ, ზეიმობდნენ და დასცინოდნენ მას. ბოლოს და ბოლოს, ზომ მოისვენეს მისგან, ამიერიდან მაინც ხომ იცხოვრებენ მათთვის ჩვეული პატარა ადამიანური ცხოვრებით.

ისინი ახლა აქ არიან და თავიანთი შვილთაშვილების პირით დასტირიან დაკარგულ ღმერთს; მთელ დღეს გაისმის ზარების წყნარი გუგუნი. მაგრამ უცებ რომ მოხდეს სასწაული და ღმერთი მათთან დაბრუნდეს, ისინი მას ხელახლა გააკრავენ ჯვარზე: როგორც მაშინ, არც ახლა შეისმენენ მის შეგონებებს და სიცილს დააყრიან.

გაივლის დრო, მოვლენ კვლავ მათი შვილიშვილები და შვილთაშვილები, მოვლენ და ცხარე ცრემლით დაიტირებენ წამებულ ღმერთს, მთელი დღე აგუგუნებენ ზარებს, როგორც დღეს.

ყველაფერი ეს რომ არ მომხდარიყო, ისინი ადამიანებიც აღარ იქნებოდნენ და ჯვარცმული, ალბათ, არც არასოდეს იქცეოდა მათ ღმერთად.

* * *

მთა მთლიანად შთანთქა ღამისეულმა სიბნელემ.

მწარე ფიქრებში ჩაფლულმა ლეონიდასმა ტუჩი ჩაიკვნიტა, შორგთს მზე-რა მოსწყვიტა, ხელები ზურგს უკან შემოიწყო და ფილებით მოკირწყლულ ეზოში ბოლთის ცემას მოჰყვა.

ანაზღად იგი ხშირვარჯიანი, ყვავილოვანი ფორთოხლის ხესთან შეჩერდა და ხარბად შეისუნთქა მისი სურნელი. ფორთოხლის ყვავილები მხიარულად მომღიმარე ბავშვებს მიამგვანა და ამან გაამხიარულა.

ხეს მწვანე ფოთოლი შეაწყვიტა, თითებით მოსრისა და დაყნოსა. მას ყოველთვის უყვარდა მოწყვეტილი ფოთლის ეს სურნელი.

ჭიშკარში ვიღაც შემოვიდა, ფილაქანს გამოჰყვა, ეზო გადმოჰკრა და სახლს მოუახლოვდა. ფეხი არ შეუყენებია, ისე გამოხედა ლეონიდასს.

ეს იყო ტანდაბალი კაცი, რომელიც მოახლოებისთანავე აღერსიანად მიესალმა ლეონიდასს, მან კი, ამაყმა, უცხო ადამიანის გამოჩენით გაღიზიანებულმა ისე, რომ ბოლთის ცემა არ შეუწყვეტია, ცივად დაუბრუნა სალამი.

— ბათინკები მოგიტანეთ, — მორიდებით წარმოთქვა ჩია ტანის კაცმა.

— აა, როგორც იქნა!

— მაგრამ მე ხომ სწორედ დღეისთვის შეგპირდით.

ლეონიდასმა ხელში შეატრიალ-შემოატრიალა ბათინკები და შეათვალიერა. რბილი ტყავისაგან შეკერილი ბათინკები მსუბუქიც კი ეჩვენა და ეამა.


— კარგია, — თქვა მან, — ერთი წუთით, ფეხზე მოვისინჯავ!

ოთახში შევიდა, ჩაიცვა, თითები ამოძრავა, გაიარ-გამოიარა, მერე გაიხადა, ეზოში გამოვიდა.

— ძალიან კარგია, მოხერხებული, ჩემი მარჯვენა ფეხის ნაკლიც გაგითვისალისწინებია, მე რომ გითხარი. უხეში ტყავისაგან შეკერილი ბათინკა ამ აღ-

გილზე ყოველთვის მიჭერს და ვერც მიხმარია. შენ კი — ყოჩაღ! თვითონ შეკერე თუ რომელიმე შევირღმა? — მისი ხმა როგორღაც დამცინავად აქლერდა.

— ხელიც არავის მიუკარებია. თავად მინდოდა თქვენთვის სამსახური გამეწია.



ლეონიდასმა ფული გაუწოდა.

— გმადლობთ.

— მეც გმადლობთ, — მიუგო ოსტატმა, მაგრამ არ წასულა.

ლეონიდასს უნდოდა ეკითხა, კიდევ რა გნებაესო, მაგრამ თავი შეიკავა, ხელები კვლავ ზურგზე შემოიწყო, თითები ჩახლართა და გაიარ-გამოიარა. პატარა კაცუნები მას საერთოდ აღიზიანებდნენ; ახლაც დაეჭიმა ნერვები.

„ბათინკები დიახაც, კარგია შესანიშნავი! სხვა საქმე ჩვენ აღარა გვაქვს რა. ახლა კი მოუსვი, თავს ნუ მახეზრებ. წადი, აგრემც ღმერთი შეგეწევა“.

გაიფიქრა, თქმით კი არაფერი უთქვამს. რამდენიმე წრე კიდევ შემოუარა და ერთბაშად შეჩერდა კაცუნას წინაშე.

— აბა, კიდევ რა? — მკვეთრი, დამცინავი ხმით ჩაეკითხა.

კაცუნამ მეგობრულად შეპლიმა. მან რატომღაც გაიფიქრა, რომ ბატონს მისი ცხოვრების ავ-კარგი აინტერესებდა.

— ეჰ, მადლობა ღმერთს, ჯანმრთელად ვართ, საქმეც კარგად მიდის. პურის ფულს ვშოულობთ.

„არა პურითა ერთითა ცხოვნდების კაცი“, — უნდოდა ეპასუხა ლეონიდასს, მაგრამ კვლავ თავი შეიკავა.

— მაშ, რაკი პურის ფულს შოულობ, ყველაფერი რიგზე ყოფილა. სხვა რაღა გინდა?

მის ხმაში კვლავ გაისმა დაცინვა.

ასეთი იყო ბავშვობიდან, უხეში, მკაცრი, დამცინავი. მერე წლობით ჩაულრმავდა წიგნებს, თითქოს გამოიფიტასავით კიდევ სულიერად, მეცნიერების მაღალ სამსხვერპლოს ზვარაკად მიუტანა თავისი თავი.

— არა, მე შეტი არც არა მინდა რა. — უთხრა კაცუნამ, ძლივს შეთამამებულმა, — უნდა ითქვას, კარგად ვცხოვრობთ. ცუდადო, რომ თქვა, სულ ერთია, ეს არაფერს გიშველის, შეიძლება ბედიც გათვალო. მე მინდოდა მხოლოდ მეკითხა... — მას ენა დაება და წუთით დადუმდა, მერე განაგრძო, — პირველად, ფეხის ზომის ასაღებად რომ მოვედი, მაშინაც მინდოდა მეკითხა, მაგრამ მომერიდა...

„ამჯერად სიბნელე მატებს სითამამეს“, — გაიფიქრა ლეონიდასმა.

— რა გინდა? — ხმა უფრო გაუმკაცრდა, წარბი წარბს გადაება, — რისი კითხვა გინდოდა? იქნებ დღევანდელი დღე ბადებს შენში რელიგიურ მღელვარებას? რელიგიურ, ზნეობრივ, სოციალურ შფოთვისა და გამაოგნებელ კითხვებს?..

რა დამცინავად ეღერდა მისი ყოველი სიტყვა, მისი ხმა თითქოს ამბობდა: „ჰმ, უყურე ამათ, ახლა პატარა კაცუნებსაც გაუჩნდათ სული, ამათაც აღელვებთ თავიანთი რადიკეები“.

— აბა, ჰე, გისმენ...

— მე მხოლოდ იმის კითხვა მინდოდა, მიცანით თუ არა, გაბსოვართ თუ არა...

აჰა, უნდა ახსოვდეს კიდევ! ის მას უნდა ახსოვდეს! წარმოგედგენიათ, რა აზრები მოსდით თავში პატარა კაცუნებს.

მან ფორთოხლის ხისაკენ გაიწოდა ხელი, რამდენიმე ფოთოლი შეაწყვიტა, თითებში მოსრისა და დაყნოსა.

— რა თქმა უნდა, არა, რამდენი წელია აქ აღარ გინდა, რომ მახსოვდე.

— მე კი, ბატონო ლეონიდას, მეგონა, რომ გახსოვდით.. მეგონა, პირველივე დღეს მიცანით.

— უყურე შენა! — უხეშად შეაწყვეტინა, — შენ გგონია, სადაც ვიყავი, ევროპის დედაქალაქებსა და უნივერსიტეტებში, მეტი საქმე არა მქონდა რა, ამ კუნძულის მეჩუქმეებსა და დურგლებს ვიხსენებდი? თუმცა მოიცა, ვინა ხარ მაინც ბოლოს და ბოლოს?

მცირე ღუმლის შემდეგ კაცუნამ მიუგო:

— იუდა ვარ მე... იუდა ისკარიოტელი.

ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მის წინაშე ვიღაც შეშლილი იდგა, მზად იყო გაეგდო კიდევ, მაგრამ გადაიფიქრა. ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა, მერე უეცრად მიუახლოვდა და კაცუნას წინ შეჩერდა, მკაცრად შეათვალიერა და შეეცადა სიბნელში კარგად გაერჩია მისი სახის ნაკვთები, უნდოდა დარწმუნებულიყო, თვალი ხომ არ მატყუებდა. წარა-უკმო სიარული უკვე აღარ შეეძლო.

— იუდა? — ჩაიხითხითა მან, — რომელი იუდა, ძვირფასო?

— ქრისტოდულოს მასწავლებლის იუდა ისკარიოტელი, — ხმადაბლა წარმოთქვა კაცუნამ.

„ქრისტოდულოს მასწავლებლის იუდა ისკარიოტელი“, — თავისთვის გაიმეორა გონებაში ლეონიდასმა.

აღარ იცოდა, რას ჩაბლაუჭებოდა.

— ბოლოს და ბოლოს რას ნიშნავს ეგ შენი ნათქვამი?

— იმას, რაც ვთქვი, — განგრძო მეჩუქმემ, — იუდა ისკარიოტელი, წითური, ხუჭუჭთმიანი, ცისფერთვალება და ცხვირმიტყაპნული, მხოლოდ წვერიდა რომ აკლდა, ჩახუჭუჭებული ქლალი წვერი. ასე არ ამბობდა მაშინ მასწავლებელი? — წარმოთქვა კაცუნამ წყნარად, ხაზგასმით, ძალზე ნალვლიანად.

ბოლთის ცემით გართული ლეონიდასი ადგილზე გაქვავდა.

წამის უმაღლეს ერომანეთზე მიყოლებით მოეძალა მოგონებანი, ფუტკრის ნაყარივით დაესია და მისი მეხსიერების შემხმარ ტოტზე აიხუნნძლა ხე შეინძრა, შეტოკდა, გაცოცხლდა და განათდა. მას ახლა ყველაფერი ახსოვდა.

აი, მასწავლებელი ქრისტოდულოსი, პატარა, ლოყებლაყდაყა, ჩატროყებული, ტაფაზე შებრაწული, ნასუქი ინდაურივით გაბერილი, თამბაქოსაგან შეყვითლებული ფუმფულაულვაშებიანი. ცხვირზე მჭიდროდ მორგებული სათვალის მინებში მშვიდი, თვინიერი თვალები მოუჩანს.

აღდგომა აბლოვდებოდა, სკოლები იხურებოდა, ბოლო გაკვეთილი იყო და სამეცადინოდ ვისა სცხელოდა, მაგრამ მერხებზე მობუზული ბიჭები მაინც უსმენდნენ მასწავლებელს, რომელიც მათ იესო ქრისტეს წამების ამბებს უყვებოდა.

მოხუც ქრისტოდულოსს საერთოდ უყვარდა ბავშვების დამოძღვრა, ძველი

ბერძნებისა და მართლმადიდებელ წამებულებზე სხვადასხვა ამბების მოყო-
ლა. ამასთან მის მონათხრობში ყველაფერი ზღაპრად იქცეოდა ხოლმე.

ლაპარაკისას თავდავიწყებამდე მიდიოდა, აღარ ახსოვდა აღარც დრო,
აღარც ვაკვეთილი, აღარც მოწაფე, საკუთარი თავიც კი ავიწყდებოდა, ტრატო-
რიც თვითონ იყო და მსმენელიც.

ლაპარაკობდა ნელა, სიტყვების შერჩევით, სახე ელმობრუნებდა, ხელებს
აქეთ-იქით იქნევდა. შუბლი უნაოჭდებოდა, თვალები უფართოვდებოდა, ხა-
ნაც ეხუჭებოდა და ლოყები ებერებოდა. თითქოს მისი სახის ყოველი ნაკვთი
ცეკვავდა და ლაპარაკობდა. თხრობაში ანეკდოტებისა და ანდაზების ჩართვა
უყვარდა, ისე რომ, ბოლოს და ბოლოს, ველარ მიუხვდებოდი, რაზე ლაპარა-
კობდა.

ანაზღად დადუმდებოდა, ერთხანს თავის ფუმფულა წვერებს ეფერებო-
და და კეთილად იღიმებოდა.

— ამრიგად, ბავშვებო, ჩვენ ვლაპარაკობდით... ჰო, აბა რაზე ვლაპარა-
კობდით? აი, ხომ დაგიჭირეთ, ოინბაზებო. თქვენ არასოდეს არ მისმენთ,
უურებზე ისხლეტავთ თქვენი მასწავლებლის მშვენიერ სიტყვებს. სხვა დროს
უთუოდ დაგსჯით ამისათვის. — თან ულვაშებში ეღიმება, რადგან იცის, რომ
თავადაც იმ გამოჭერილ ოინბაზებში ურევია, რომლებიც არ უსმენენ „მას-
წავლებლის მშვენიერ სიტყვებს“.

ჰოდა, იმ დღეს, ბოლო ვაკვეთილზე, სააღდგომო არდადეგების წინ, მო-
ხუცი მასწავლებელი ქრისტოდულოსი ჯვარცმული ქრისტეს ამბებს ყვებოდა.

— ბავშვებო, — ამბობდა იგი წყნარად, მღელვარედ, — ხვალ ბზობის
კვირაა, კურთხევის დღე, დღე, როცა ხალხი ბზის მწვანე ტოტებით შეეგება
ჩვენს ღმერთს. შემდეგ დღეს კი, დიდ ორშაბათს, იწყება საშინელება, წამება
და სიკვდილი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, დიადი ღმერთისა ჩვენისა.

ყოველი ფრაზა ალერსიანია, წყნარი, როგორც მოგონება, როგორც საკ-
მეველის კეთილსურნელოვანი გუნდრუკი. იგი აღამაღლებს დროს და განანა-
თლებს წყვდიადს. ხმა მღელვარე აქვს, მთელი სახე უღიმის, ხელის ყოველი
მოძრაობა აზრს გამოხატავს.

ადამი და ევა, სამოთხე, ხე ცნობადისა, აკრძალული ხილი, სამოთხიდან გაძ-
ვეება... ძველს, ათასჯერ მონათხრობს, ზანტად, ნაღვლიანად დამაჯერებლად
პყვება პატარა, მრგვალი კაცუნა.

— მან თქვა სიტყვა ჭეშმარიტი, რამეთუ თავად იყო ჭეშმარიტება. მაგრამ
ადამიანებმა არ დაუჯერეს. მან ბევრი სასწაული მოახდინა, განკურნა კეთრო-
ვანნი, ცოფიანნი, დამბლადაცემულნი. მკვდრები აღადგინა! მაგრამ ადამიანებმა
არ ირწმუნეს მისი.

— მან პირველმა, ყველაზე უწინ წარმოთქვა სიტყვები, რომელთაც ეყ-
რდნობა ცა და დედამიწა და რომლებიც არ წარმოუთქვამს და არც აზრად მოს-
ვლია რომელიმე ბრძენს, რომელიმე ნახევრად ღვთაებრივ პოეტს ბერძენთაგან
თუ არაბერძენთაგან: „გიყვარდეს მტერი შენი“.

— მაგრამ ადამიანმა, ამ ჭუჭყიანმა არსებამ, შეიპყრო იგი, გვემა, ეკლის
გვირგვინი ჩამოაცვა თავზე და ბოლოს ლურსმნებით მიაჭედა ჯვარზე.

მასწავლებელი გაჩუმდა, მღელვარებისა, მძულვარებისა და გზნებისაგან
მთლად კანკალებდა ხელი აღმართა, პირჯვარი გარდაისახა: „ცოდვილი ვარ,

უფალო: შეუხდებოდა მოხუც მასწავლებელ ქრისტოდულოსს, ვითარცა ერთსა ვინ-
მე ყაჩაღს, რაჟამს იგი მოვალს მეუფებასა შენსა შინა“.

ძველი, გაქეპილი, გრძელი სერთუკი ტომარასავით ეკიდა, მწუხარება აღ-
ბეჭდილიყო მის ფუმფულაულვაშებიან სახეზე.

ერთბაშად წელში გაიმართა, ეილეთის ჯიბიდან მარტყნა-ხელისკა ორი
თითი ამოიძრო და ერთიანად აბობოქრდა:

— მერედა, ვინ? — იჭექა მან, — ვინ გასცა? — და ცივი ხმით იკივლა,
— მისმა შვილმა, მისმა სულიერმა შვილმა, მისმა მოწაფემ!

მასწავლებელი მთლად აღგზნებულიყო. სათვალის მინებში გაფართოე-
ბული, ოდნავ დაელმებული თვალები მოუჩანდა. სახის კუნთები უთრთოდა,
ნახევრად დაღებულ პირის კუთხეებში კი ქაფი მორეოდა. ხელები და თავი
მძვინვარებისა და აღშფოთებისაგან უცახცახებდა, უხმოდ მოსთქვამდა მისი გა-
ცოფებული სული.

ერთხანს ასე ქანაობდა კათედრაზე, ყოყმანშემდგარი, დამუნჯებული, შემ-
ზარავი ხილვებით ერთიანად ჩანთქმული. ერთბაშად იგი ადგილს მოსწყდა,
თითქოს კათედრიდან დაგორდაო, მერხებს შორის გასასვლელისაკენ დაიძრა,
თან უხეში ეესტებით ხელის კვრით იშორებდა მოწაფეებს.

— ურწმუნონო, ეშმაკეულნო, იუდებო! — გაჰკიოდა ანგარიშმიუცემლად
და მსხვილი, მოკლე ხელების ქნევით მიიკვლევდა გზას.

უცებ კვლავ გაჩერდა, თითქოს აღარ იცის, სად იმყოფებაო, ან რა უნდა
მოიმოქმედოსო, თვალები ერთნაირად ჩაესისხლა, ტუჩები ოდნავ უთრთოდა.
მღუმარედ მისჩერებოდნენ შეშინებული მოწაფეები. ახლა მათ თავზარს სცემ-
დათ თავიანთი უწყინარი მეზღაპრე, რომელიც ერთბაშად გაცოფებულ მხეცად
ქცეულიყო.

მოულოდნელად მასწავლებელმა უკან დაიწია ორი ნაბიჯით და დაიყვირა:

— წითური თავი, ცისფერი, მზაკვრული თვალები, ბრტყელი ცხვირი,
წვერი — აბურძგნული, დაუვარცხენილ, წითური, ვითარცა ალი ჯოჯობეთისა,
სული — ბინძური! იუდა ისკარიოტელია მისი სახელი, ჯოჯობეთის მოციქუ-
ლისა, წყევლა-კრულვა ღის სულს!

იგი გაჩუმდა, ცერებზე შემდგარს საჩვენებელი თითი აეწია, სათვალე
ცხვირის წვერზე ჩამოსცოცებოდა და დაკვირვებით, ეინიანად ათვალიერებდა
თავის მოწაფე ბიჭუნებს.

მისი მძვინვარე, ცივი, მძიმე მზერა, შეშლილის მზერა, ნელა ინაცვლებ-
და ბავშვიდან ბავშვზე: სათვალის მინები დამიზნებულ თოფის ლულებს წა-
აგავდა. ეს მზერა ჩხრეკდა, სწონიდა თითოეულ მათგანს.

ლეონიდასს ახლაც კარგად ახსოვს ეს უაზრო მზერა მკვლელისა, ახსოვს,
როგორ გაიელვეს ჩვენებებით გაბრუებულის ბინძურად ჩასისხლულმა თვა-
ლებმა და აწონეს იგი, მუხლები მას მერეც კარგა ხანს უკანკალებდა, როცა იმ
მზერამ სხვაზე გადაინაცვლა.

ანაზღად მასწავლებელმა შეშლილივით გაიცინა, თითით, თვალებით, წარ-
ბებით, მთელი თავისი სხეულით ერთ მოწაფეს მიაცივდა და ხმამაღლა, ის-
ტერიულად იკივლა:

— აი, იუდა! წყეული იუდა ისკარიოტელი!

მერე ერთი ნახტომით გაჩნდა მასთან, სტაცა ხელი იაფფასიან, გამოხუ-
ნებული პიჯაკის საყელოში და რისხვით შეანჯღრია:

— იუდავ! — შესძახა მან, — იუდა ისკარიოტელო, შენა ხარ გამცემი შენი ღვთაებრივი მასწავლებლისა.

მთლად გაფითრებული ბიჭუნა კანკალებს. ცისფერი თვალები უფრო თოვდება, სხეული ეკრთის, დამტვრეული ფრთებივით ჩამოყრილ მკლავებს მალლა სწევს, რომ სახეზე აიფაროს, ამით თავიც დაიცვას და არც კვლავ იფიქროს დაინახოს.

„ხომ არ მძინავს? სიზმარში ხომ არ ვარ? მასწავლებელი, რომელსაც ვუყვარვარ, უეცრად მოჩვენებად ქცეულა, მალე ურჩხულად გადაიქცევა, დააღებს უზარმაზარ ხახას და გადამსანსლავს“.

მისი ბავშვური გონება ამაოდ ცდილობს, გაერკვეს, რა ხდება მის თავს და ლამისაა ჭკუიდან შეიშალოს. და უცებ სულისშემძვრელი კვილი აღმოჩნდება: „ააა“.. და ადამიანი კი არა, ჩვარიდა ქანაობს მასწავლებლის ხელში.

ყველა ბავშვს შიშით უცახცახებს, მღელვარებისაგან ეკუმშება გული. მასწავლებელი კი თანდათან დამშვიდდა, ბიჭუნა გულში ჩაიხუტა, ლოყაზე ხელი მოუთათუნა, წყალი აბკურა.. მაგრამ, დამშვიდების მიუხედავად, მისი მზერა, შეშლილის ჩლუნგი მზერა, კვლავ ბიჭუნას გაფითრებულ, გამხდარ სახეს მისციებია.

ოფლითა და წყლით ასორსლილი ხუჭუჭა, წითური თმა სინათლეზე უბზინავს ბიჭუნას, ქარვისფერი სახე გაშეშებულია; თვალები მიუღულავს, მერე თანდათანობით ახელს ცისფერ თვალებს, რომლებშიც უზომო შიშს დაუსადგურებია, და გაუბედავად აცეცებს მზერას, თითქოს უნდა დარწმუნდეს, ნამდვილად დამთავრდა კომმარული სიზმარი თუ არა.

მასწავლებელი, რომელიც უკვე გონს მოეგო, ისევ თავზე ადგას ყმაწვილს, თვალები, შუბლი, უღვაშები — ყველაფერი კეთილად უღიმის.

— ვასილაკის, საბრალო ბიჭუნა, — ალერსით ეუბნება იგი, — მე ვიხუმრე, — და ბავშვს შუბლზე ჰკოცნის, — შენ კი, საბრალო ბიჭუნა, მართლა შეგეშინდა! ვითომ არ იცნობდე შენს მასწავლებელს, მოხუც ქრისტოდულოსს, როგორ უყვარს ასეთი ოხუნჯობანი...

— ხომ გახსოვს, ვასილაკის, ალექსანდრე დიდსა და მდინარე გრანიკზე გამართულ ბრძოლებზე რომ გიყვებოდით, როგორ დავებოდით მერხებზე და როგორ იცინოდით და ყვიროდით, როგორ ვხარხარებდით ყველანი, ხა-ხა-ხა... თქვენც როგორ დამდევდით უკან, კინალამ სულ არ დავლენეთ მერხები.

— შენ ხომ იცი, ვასილაკის, რა კეთილია შენი ბებერი მასწავლებელი, რა კეთილი! და მას მშობელ მამასავით უყვარხართ ყველანი, შენ კი — გამორჩეულად. შენ ხომ ერთი საბრალო ობოლი ბიჭი ხარ, გაკლია მამის სიყვარული და მზრუნველობა, მაგრამ ყველაზე საუკეთესო მოსწავლე ხარ კლასში, საუკეთესო, პირველი! — მზიარულად გაპყვირის იგი და იცინის.

— ჩვენი ვასილაკისი პირველი მოწაფეა კლასში, უკეთესთა შორის საუკეთესო! და ვინც არ დამეთანხმება, ახლავე გავაპანდურებ გარეთ. ხა-ხა-ხა!

თავისი სიტყვებით გულაჩუყებული, იგი დაიხარა და კვლავ ეამბორა ბიჭუნას შუბლზე.

ბიჭი გაყინულ მზერას არ აცილებს მასწავლებლის პირს, გარეგნულად მშვიდია და აუმღვრველი უსმენს და ესმის ყოველი სიტყვა, გრძნობს მამობრივ ამბორსაც, მაგრამ ერთი ნაკვთიც არ უკრთის ფერმკრთალ სახეზე, ღიმილის მსგავსიც კი არაფერი უტოკებს გაქვავებულ სახეს.

ოთხი წლისა დათბლდა. დედამ მოახლეობა დაიწყო. სხვის პურს ჭამდა, სხვისას იცვამდა. არავითარი ალერსი, არავითარი ბავშვური სიხარული, არაფერი ამის მსგავსი არ ახსოვს.

ათასში ერთხელ მხოლოდ დაღლილ-დაქანცული დედა თუ დაადებს თავზე დამსკდარ გაუხეშებულ ხელს, გადაუსვამს წითურ თავზე ^{ქაღალდის} ჩაიკრავს გულში. „ჩემო ობოლო“, — ეტყვის დარდიანად. ^{ობოლო უმანდნენ} მას შინ და გარეთ. იშვიათად თუ უხსენებდნენ საკუთარ სახელს.

ახლა პირველად ეფერება მასწავლებელი და მამასავით უკოცნის შუბლს. მას სკამი ჩამოაქვს კათედრიდან და იმ სკამზე სვამს ბიჭუნას. მოხუცი მასწავლებელი ქრისტოდულოსი ისევ კარგ ადამიანად ქცეულა. ვასილაკისი ცისფერი თვალებით მისჩერებია მას და ეს თვალები თითქოს მუდარით გამოითხოვენ კიდევ უფრო მეტ სიკეთესა და სიყვარულს. მათში ჯერაც ილანდება წელანდელი შიში, მაგრამ გაცილებით ძლიერია სხვისგან ალერსის მიღების წყურვილი.

— ვასილაკის, ერთი წუთით მე მომეჩვენა, მხოლოდ წუთიერად გამიელვა თავში, — ამბობს სიცილით მასწავლებელი, — ხუჭუჭა წითური თმა, ცისფერი თვალები, ბრტყელი ცხვირი... მხოლოდ წვერი... მხოლოდ უღალი წვერი... ხა-ხა-ხა! მე ვიხუმრე, საბრალო ბიჭიკო. არა, არა ვასილაკისი იუდა არ არის. ვასილაკისი კარგი ბიჭია, პატიოსანი, საიმედო, როცა გაიზრდება, მოხუცი ქრისტოდულოსივით მასწავლებელი გახდება, წერა-კითხვასა და საღვთო საქმეებს ასწავლის ბავშვებს.

გავიდა რამდენიმე დღე. დრო თითქოს გაჩერდა და აღარ იძრებოდა. როგორც დღეს, განთიადიდან გაბმით გუგუნებდნენ ხარები და თითქოს მთელი პაერი და ადამიანთა სულები გათანგულიყო ღმერთის სიკვდილის მაღწყებელი მწუხარე ცნობით. ველს გადაღმა მთის ფერდობზე შეფენილ ქოხმახებსა და მთელ ქალაქში წიგნმომარჯვებულა ბიჭუნები თუ გოგონები ერთსა და იმავეს იზებირებდნენ:

„სიკვდილათა სიკვდილი დასთრგუნე, შენ, ქრისტე...“

ადამიანები უხსენდნენ და ნაღველი ეძალებოდათ. ისინი დაღლილიყვნენ და გამოფიტულიყვნენ მრავალღლიანი მარხვის გამო. ისინი ძალზე განიცდიდნენ თავიანთი ღმერთის წამებასა და სიკვდილს, მაგრამ იმასაც გრძნობდნენ, რომ მათი სულები უდიდესი სიხარულის მოლოდინის განცდას შეეპყრო. მათ ხომ კარგად უწყიან, რომ ხვალ, შუალამისას, მათი ღმერთი მკვდრეთით აღდგება და თავიანთი დიდი სიხარულის გამოსახატავად მათ შეუძლიათ ჭამონ და სვან, რამდენიც სურთ და რამდენიც ძალუძთ.

ბალები აყვავებული ფორთოხლის, მანდარინისა და ლიმონის გამაბრუნებელ სურნელს აფრქვევდნენ.

ქალიშვილები ყვავილებს კრეფდნენ, ზოგს ვალათებში აწყობდნენ, ზოგიერთს კი წვეწვს აცლიდნენ და ლარნაკში ასხამდნენ, რათა შემდეგ ძვირფასი იესოს სხეულისათვის ეპყურებინათ. წელზე ბრტყელქამარშემოტყმული, ყურში ყვავილებგაჩრილი, ყელზე ლამაზ ბაღდადმოხვეული, უღვაშებჩაგრეტილი ვიდაც კეთილშობილნი, წმინდა სამების ეკლესიის სამრევლოს მართლმადიდებელი ქრისტიანები, ფილაქანზე მძიმე ფეხსაცმელების ბრახაბრუნითა

და ყვირილით მიუყვებოდნენ ვიწრო ქუჩებს. წინ სახედარი მიდიოდა, რომელზეც უკულმა შეესვათ რაღაც ტილოს ნაჭრებისაგან შეკერილი, ნამჯით გატენილი და უგემოვნოდ მოხატული იუდა.

სახეაგზნებული ქრისტიანები უხეშად იგინებოდნენ, იწყევლებოდნენ, ჰაერში სცლიდნენ პისტოლეტებს.

— გამცემო... გამყიდველო... ძალღმვილო! ფუი შენა, იუდა ისკარიოტელო, შე ჯოჯობეთის მოციქულო!

და აფურთხებდნენ საღებავებით უხეიროდ აჭრელებული ტილოს ნაჭრებისაგან ნაცოდვილარ, ნამჯით გამოტენილ საფრთხობელას, რომელსაც იუდა ისკარიოტელს უძახდნენ.

ისინი ხმაურით მიუყვებოდნენ ქალაქის ქუჩებს, ვიწრო შესახვევებს, მოედნებს. სახლების კარ-ფანჯრებში მდგარი დედაკაცები და ქალიშვილები გაცოფებამდე მისული ისტერიული შეძახილებით ეხმაურებოდნენ მათ:

— იუდა ისკარიოტელო... შორს ჩვენგან, წყეულო გამცემო, საუკუნო ტანჯვისთვის განწირულო!

კეთილშობილთა ამ კრებულს კუდივით მისდევდა ბიჭუნების ჯგუფი; სტვენა და უთავბოლო შეძახილები: „სიკვდილი იუდას! იუდა — ჯოჯობეთში!“ ხმები მყივანა, ჩახრინწულია, რაღაც თუნუქის ნაჭრებზე ყურისწამლები ბრახაბრუხი გაუდით გრძელ, მსხვილ კეტებს. გრიგალი მოიგრაგნება.

ქუჩის კუთხე. შეშინებული ბიჭი მოშორებით გაჩერებულა. მისი ცისფერი თვალები სრულ დაბნეულობას გამოხატავენ. წითური ხუჭუჭა თმა მზის სხივებზე ცეცხლის ალივით ბზინვარებს.

ბიჭების გუნდში მიმავალი ლეონიდასი ანგარიშმიუცემლად მისჩერებია ქუჩის კუთხეში აბუზულ პატარა ვასილაკის და უეცრად აღმოხდება ყვირილი, ღრიალი...

(მას ახსენდება ის ყვირილი და ღრიალი, ახსენდება და გული სირცხვილისაგან ეფლითება).

— აი, იუდა ისკარიოტელი, ნამდვილი იუდა. ასე გვითხრა ქრისტოდულოს მასწავლებელმა, თვითონ მასწავლებელმა გვითხრა ეს!

ის ყვირის, ბლავის საკუთარი და სხვისი ყვირილითა და ღრიანცელით აღტკინებული და მამლაყინწასავით ხტუნაობს.

— აი, იუდა ისკარიოტელი, წითური ხუჭუჭათმიანი, ცისფერი თვალებით, მიჭყლეთილი ცხვირით.

დამიზნებული ბარჯების ოთხი კაპი სწრაფად უახლოვდება და ებლაუჭება ბიჭუნას სუსტ სხეულს.

შეშინებული ბიჭი სხმარტალებს და ამაოდ ცდილობს დაუსხლტეს ამ აგზნებულ, გაცოფებულ მამაკაცთა ოფლიან, გრძელულვაშა სიფათებს. მთელი სხეულით აცახცახებულს უზომო ძრწოლა ჩაბუდებია ცისფერ ბავშვურ თვალებში. მერე ჰაერს ჰკვეთს მისი დაღებული პირიდან აღმომხდარი წვრილი, ჩახრინწული, შეძრწუნებული ხმა:

— არა... აარრ... აა... არა...

სიფათები გამაყრუებლად ხარხარებენ. ორკაპა ბარჯები მაღლა იტაცებენ მის სხეულს, ვირის კუკუზოზე აგდებენ, ზურგშეჭყევივით სვამენ მეორე, ბზით გატენილი იუდას წინ. მერე ისევ პისტოლეტების ჰაერში სროლა, ველური

შეძახილები, ფურთხება და ლანძღვა-გინება. მსხვილი ხელკეტები ისევ ხაზავენ ჰაერში წრეებს იუდეებისათვის მწარე დარტყმების მისაყენებლად.

— იუდეებო... ისკარიოტელნო... გამყიდველებო.. ფუი, წყეულიმც იყავით!..

ისევ მოედანი, ისევ ფილაქნიანი ვიწრო ქუჩები, კარ-ფანჯრებში გამომდგარი დედაკაცები და ქალიშვილები.

— ეს ვილაა?

— კიდევ ერთი იუდა, პატარა...

— შენც წყეული იყავი. წყეულიმც იყავით ორივენი!

და ყველანი, კაცები და ბავშვები, დედაკაცები და ქალიშვილები, ფანატიკური ისტერიით სახეშეშლილნი, პირზე დუქმომდგარნი, თვალეზარეულნი გაპყვირიან:

— სიკვდილი იუდეებს!

ბიჭი ცახცახებს. შილიფად ჩაცმული, საცოდავად მობუზულა ვირის ზურგზე და ერთიანად თრთის ორ ჯალათს შუა მოქცეული: ქრისტიანებს მაგრად ჩაუვლიათ ხელი და მზად არიან ცემით მიასიკვდილონ, თუკი იგი გაქცევას შეეცდება.

მზე მწვავედ აჭერდა. ყველას ოფლით გახვითქოდა სახე. მათი სხეულებიდან ავარდნილი მძიმე სუნით გაქლენთილიყო ჰაერი, ფილაქნიდან ავარდნილ მტვრის ბუღში ზიმზიმებდა მთელი კვარტალი, მტვერს დაეფარა ფანატიკოსთა ბრბოც, მტვერს გაემურა მათი ოფლიანი სახეები, გაზინზლული კისრები, დუქმორეული ტუჩები.

რიყეფენილი ქუჩა გალიეს, კიბე აიარეს და წმინდა სამების ეკლესიას მიადგნენ. სახრჩობელა მზადაა, ოდნავ ირხევა ყულფიანი თოკი, იქვე შეშაფიჩხია დახვავებული.

ძველი ადათისა და რწმენის კარნახით, საეკლესიო მრევლის ყოველი ოჯახის დიასახლისს მოუხდია თავისი ვალი და მოუტანია რამდენიმე შიშალი ანტიქრისტეს დასაწვავად, რათა იხილოს ღმერთმა, რომ აქ, მიწაზე, ადამიანები მისი შვილის მხარეზე არიან და შურს იძიებენ მისი წმინდა სისხლისათვის; რათა შვება იგრძნონ ძვირფას მიცვალებულთა სულეებმა იქ, სამოთხეში; რათა ყოვლადმოწყალე ღმერთმა ხელი გამოუწოდოს და წყალობა გამოუგზავნოს აქაურ უუფლებოთ და უპოვართ, აჩუქოს მათ ჯანმრთელობა.

სახედრის ზურგიდან საფრთხობელა იუდას ხსნიან, თავს ყულფში აყოფინებენ, ბლოკზე გადაკიდებულ თოკის ბოლოს ქაჩავენ და აი, ის უკვე ჰაერშია ჩამოკონწიალებული.

მას პისტოლეტებს ესვრიან, კეტებს ურტყამენ. ტილო იხევა, სკდება და იქიდან ისე მოცვივა ბზე, თითქოს მართლაც ნამდვილი იუდას შიგნეულლობააო.

ადამიანები იცინიან, ყვირიან, იწყევლებიან, რისხვა კიდევ უფრო ზვირთდება. ვილაც წარჩინებულთაგანი მობრიალე ჩირალდნით უახლოვდება და საფრთხობელას ფეხებზე ცეცხლს უკიდებს. ცეცხლი თანდათან ჩაღდება და მალე მთელი ფიტული ცეცხლის ალში ეხვევა. მართლმადიდებელი ქრისტიანები თავაწყვეტილი ღრიანცელით დახტიან ამ უზარმაზარი ჩირალდნის გარშემო და ეკლესიის თეთრად მოქათქათე კედელზე ირეკლება მათი მოხტუნავე ჩრდილები.

ერთი წარჩინებულთაგანი ბიჭს უახლოვდება.

— ეს შიშნაქამი ტიპი კიდევ აქ არის?

— ოჰო, ესეც აქ არ ყოფილა?!

მრავალთაგან ერთი ხმა ამბობს:

— ახლავე მოუსვას ჯანდაბაში...

ვასილაკის ვირიდან აგდებენ და მიწაზე მოფართხალებს კიდევ რამდენჯერმე უთავაზებენ.

— დაიკარგე აქედან, შე პატარა იუდავ, შენა!



დადგა წმინდა აღდგომა. ადამიანები ახალ, სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოეწყვნენ, ერთმანეთს დაუკრეს წითლად შეღებილი კვერცხები, მიერთვეს ცხვრის მწვადიც და მოხარულიც, მხიარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს: „ქრისტე აღსდგა!“ — სიცილით ამბობდა ერთი. „ქეშმარიტად!“ — ხალისიანად უბასუხებდა მეორეც; და ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ ერთმანეთს.

ხვალიდან კი, ღვთის წყალობით, კვლავ გათენდება ჩვეულებრივი სადაგი დღე და ისინი თავიანთ ყოველდღიურ ადამიანურ საზრუნავს დაუბრუნდებიან.

დამთავრდა არდადეგები, გაიხსნა სკოლები, მაგრამ ობოლი ვასილაკისი კლასში აღარ გამოჩენილა. რა უნდა იუდას კეთილ ქრისტიანთა შორის...

ახლა წყნარი სიო დაქროდა; ზარები დადუმდნენ, შეწყვიტეს მოთქმა-გოდება.

ნალველს გაეთანგა ზღვისპირა წყნარი საღამო და ადამიანთა გულები.

უსიამოვნო მოგონებანი წისქვილის ქვებივით მძიმედ დასწოლოდნენ ლეონიდასს. საღამოს სიგრილისაგან წელში სტეხდა და მღელვარებისაგან უთრთოდა ყელზე ადამის ვაშლი. „ვინ იცის, — ეს ერთი აკვიატებული აზრი უბურღავდა გონებას, — ეს შესანიშნავი მოწაფე, პატარა ვასილაკისი, რა კაცი შეიძლებოდა დამდგარიყო, ვინ იცის..“

— მაპატიე, ვასილის, — მოგუდული, ჩავარდნილი ხმით წარმოთქვა მან, — მახსოვს... მე შენ დიდ უბედურებას შეგამთხვიე, მაპატიე...

სიბნელე სულ უფრო მუქდებოდა ორი მამაკაცის გარშემო, ისინი გვერდი-გვერდ იდგნენ შეწუხებულნი და იგონებდნენ ძველ წყენას, რომლისაგანაც გული მწარედ ეკუმშებოდათ.

და ეს აახლოებდა მათ.

— მახსოვს, ვასილის, — წაიჩურჩულა მან, — და არასოდეს აღარ დამავიწყდები...





ფრანგულიდან

თარგმნა რუსუდან ხუციშვილმა

ბავშვი გაფითრებული იწვა პატარა, ქათქათა საწოლში და სიცხისაგან გაფართოებული თვალებით შესცქეროდა საწოლის ფეხთან ჩამომდგარ დედას, რომელიც პატარა არსების გამხდარ სახეს, ავადმყოფობის გართულებით შეშფოთებული, თვალს არ აცილებდა. იქვე იყო მამაც — პატიოსანი მუშაკაცი, რომელსაც ჩაწითლებულ თვალებში ჩამალული ცრემლები ქუთუთოებს უწვავდა.

დღე კი თენდებოდა ნათელი, წყნარი, ივნისის მშვენიერი დილა შემოდინდა ილუმენიების ქუჩის ვიწრო ოთახში, სადაც სულს ლაფავდა პატარა ფრანსუა, ყაყ და მადლენ ლეგრანების პირში.

ის იყო შვიდი წლის ქერა, ვარდისფერი ლოყებით, ჩიტუნასავით ცოცხალი და მზიარული ბიჭი. საბრალო... მას შემდეგ ჯერ სამ კვირასაც არ გაეგლო... ერთ საღამოს ბავშვს სიცხე მისცა, საერთო სკოლიდან წამოიყვანეს დამძიმებული თავით და გახურებული ხელებით. მას აქეთ ამ პატარა საწოლს მიეჭაჭვა. ზოგჯერ, ბოდვების დროს, გადახედავდა ხოლმე დედის მიერ იატაკზე მზრუნველად დაწყობილ პაწია, გაპრიალებულ ფეხსაცმელებს და წამოიყვირებდა:

— გადაყარეთ ფრანსუას ფეხსაცმელები! სულ ერთია, იგი მათ ველარ ჩაიცმევს! პატარა ფრანსუა ველარასოდეს წავა სკოლაში... ველარასოდეს!.. ველარასოდეს!..

მაშინ მამა ცაბცახით ყვიროდა — „გაჩუმდი!“ დედა კი გარბოდა, რომ თავი ბალიშში ჩაერგო, რათა ფრანსუას მისი ქვითინი არ გაეგონა.

იმ ღამეს ბავშვს არ აბოდებდა, მაგრამ ორი დღის შემდეგ ექიმი შეაშფოთა მისმა უცნაურმა უხალისობამ, რომელიც ჰგავდა სრულ გულგრილობას ყველაფრის მიმართ. თითქოს შვიდი წლის ასაკში ავადმყოფს უკვე განეცადა ამქვეყნიური ჭირ-ვარამი. იგი დაღლილი, მდუმარე და მოწყენილი ჩანდა. არაფერს არ ეკარებოდა. ღიმილის კვალი გამჭრალიყო მის საბრალო თხელ ბაგეზე. ბავშვი ჯიუტად უარობდა სამკურნალო ნაყენზე, წვენსა და ბულოონზე... და საერთოდ უარს აცხადებდა ყველაფერზე...

— ხომ არაფერი გინდა, ფრანსუა?

— არა, არაფერი არ მინდა!

— როგორმე მდგომარეობიდან უნდა გამოვიყვანოთ, — თქვა ექიმმა, — მისი გულგრილობა ძლიერ მაშინებს!.. თქვენ მშობლები ხართ, კარგად იცნობთ საკუთარ შვილს!.. ეძებეთ ის, რაც ამ პატარა სხეულს გამოაცოცხლებს!..

ექიმი წავიდა.

„ეძებეთ!..“ დიან, მშობლები მართლაც კარგად იცნობდნენ ფრანსუას. საბრალო ხალხი! მათ იცოდნენ, როგორ ართობდა პატარას კვირა დღით ქალაქ-

გარეთ გასეირნება, მოწხული ღობეების დარღვევა და როგორ უყვარდა კუნელის ტოტებით, მამის მხრებზე შემოსკუპულს, პარიზში დაბრუნება...

ეაგ ლეგრანმა ფრანსუას უყიდა სურათები, ოქროსფერი კაფუტები, ჩინური სათამაშო ჩრდილები.* ამ უკანასკნელს ჰკრიდა, აწყობდა — ბუმ-ბუმს საწოლთან, აცეკვებდა პატარას არეული თვალების წინ და, თვითონ ტირილით გულამომჯდარი, მის გაცივნებას ცდილობდა...

— ხედავ? ეს არის გენერალი!.. გახსოვს, ერთხელ რომ ვნახეთ ბულონის ტყეში გენერალი? ამ ნაყენს თუ დაღევ, ნამდვილ გენერალს გიყიდი, მაუდის მოსასხამიანს და ოქროს სამხრევებიანს... არ გინდა?

— არა! — პასუხობდა ბავშვი.

— გინდა სათამაშო დამბაჩა, ბურთულები, თოფი?

— არა! — პასუხობდა პატარას ხმა გადაჭრით და თითქმის შკაცრად...

მშობლები უიმედოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. ყველაფერზე, რასაც კი სთავაზობდნენ და ჰპირდებოდნენ — ჯამბაზეებზე, საჭაერო ბუმბუმზე, პატარა პასუხობდა:

— არა!.. არა!.. არა!..

— ბოლოს და ბოლოს რა გინდა, ჩემო ფრანსუა? — ჰკითხა დედამ, — აბა ვნახოთ, არსებობს რაიმე, რაც შენ გინდა და არ შეგისრულეთ? მითხარი, მე მითხარი, შვილო! მე — შენს დედიკოს!

ბავშვი რაღაც უცნაურად წამოიშარათა საწოლზე და მხურვალე, მავედრებელი და ამავე დროს მბრძანებლური კილოთი წარმოთქვა:

— მე მინდა ბუმ-ბუმი!..

ბუმ-ბუმი?!

საბრალო მადლენმა ქმარს დაბნეული მხერა ესროლა.

— ეს რა თქვა პატარა? ნუთუ ისევ ბოდავს? ნუთუ კვლავ საშინელება მეორდება?

დედამ არ იცოდა, რას ნიშნავდა „ბუმ-ბუმ“, და ძლიერ აშინებდა ეს აკვიატებული სიტყვები, რომელსაც ბავშვი ავადმყოფური სიჯიუტით იმეორებდა:

— დიახ, „ბუმ-ბუმი“! მე მინდა „ბუმ-ბუმი“!

მადლენმა ნერვიულად აიღო ქმრის ხელი და შეშლილივით ჩაიჩურჩულა:

— რას ნიშნავს ეს, ჯაკ? ნუთუ უკვე განწირულია?

მამას კი მშრომელი კაცის ნაჯაფ, შკაცრ სახეზე ეხატებოდა თითქმის ბედნიერი და ამავე დროს გაოცებული ღიმილი. „ბუმ-ბუმი“... ეაქს კარგად ახსოვდა აღდგომის ის ორშაბათი დილა, ფრანსუა რომ ცირკში წაიყვანა, თითქოს ახლაც ჩაესმოდა ყურში ბავშვის მხიარული კისკისი, როცა ოქროსფერად მორთული მშვენიერი კლოუნი, შავი კოსტუმით, ზურგზე დიდი მოყვითალო, ათასფერად მოელვარე პეპლით, ნახტომებს აკეთებდა არენაზე, სარმას უღებდა ცხენოსანს ან ქვიშაზე დგებოდა თავდაყირა, უმოძრაოდ გაშეშებული, ანდა ჰაღს ესროდა რბილ ფეტრის ქუდებს, რომელთაც, უკან დაშვებისას, მარჯვედ იჭერდა თავით, სადაც ისინი რიგრიგობით ლაგდებოდნენ პირამიდად. ყოველ ოინზე, როგორც მშვენიერი მინამღერი, კლოუნი გამოსცემდა ერთსა და იმავე წამოძახილს, იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვას, რომელსაც ზოგჯერ ორკეს-

* ერთგვარი სათამაშოა.

ტრის გუგუნიც აჭყვებოდა: „ბუმ-ბუმი“ ყოველთვის, როცა გაისმოდა ეს შეძახილი, ცირკში გრიალებდა „ბრაუო“ და პატარა ფრანსუა გულთანაირ კისკისებდა.

აი, სწორედ ამ ბუმ-ბუმის ნახვა სურდა ბიჭუნას. ^{ქიზელ კლარეტის} მოყვანას ითხოვდა, საბრალო ბავშვი ძლიერ განიცდიდა, რომ თავის პატარა თეთრ საწოლზე მიჯაჭვული ველარასოდეს შეძლებდა საყვარელი „ბუმ-ბუმის“ ნახვას.

სალამოს ეს ლეგრანმა ბავშვს მოუტანა ოქროსფერხალებიანი მოძრავი კლოუნი, რომელიც ძალიან ძვირი, მექანიკოსის ოთხი დღის ხელფასი დაუჯდა. მაგრამ ის მისცემდა ოცი დღის, ოცდაათი დღის, თუნდაც მთელი წლის ნაშრომს. ოღონდ კი ღიმილი მოეგვარა ავადმყოფის გაფითრებული ბაგეებისათვის... ბავშვმა ერთხანს უყურა თეთრ მაუღზე მოელვარე სათამაშოს, შემდეგ ნალვლი ანად თქვა:

— არა, ეს ნამდვილი „ბუმ-ბუმი“ არ არის!.. მე „ბუმ-ბუმის“ ნახვა მინდა! ეხ! ესაქ რომ შესძლებოდა, გაახვევდა ბავშვს საბანში, წაიყვანდა ცირკში, უჩვენებდა ანთებული ჭალის ქვეშ მოცეკვავე კლოუნს და ეტყოდა: „უყურე!“

იგი სხვაგვარად მოიქცა. წავიდა ცირკში და გაიგო კლოუნის ბინის მისამართი. მღელვარებისაგან დარცხვენილმა და ფეხათრეულმა მძიმედ ათვალა მონმარტზე მსახიობის ბინისკენ მიმავალი კიბის საფეხურები.

ესაქის მხრივ იქ მისვლა დიდი გამბედაობა იყო, მაგრამ, როგორც ამბობენ, „საბოლოოდ კომენდიანტები კარგად იმღერებენ, თუ იტყვიან მონოლოგებს დიდ ბატონებთან სალონებში...“ მიიღებდნენ კი მას, გაუგებდნენ? ვაითუ კლოუნს უარი ეთქვა ფრანსუასთან წასვლაზე... არა, ესაქ ლეგრანი, რადაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა მიიღონ იქ, „ბუმ-ბუმთან.“

მაგრამ ეს აღარ იყო „ბუმ-ბუმი“! ეს იყო ბატონი მორენო, არტისტის ბინაში წიგნები, გრაფიურები, ნატიფი ხელოვნების ნიმუშები ქმნიდნენ დეკორაციას, რომელიც ამ მომხიბლავი კაცის მიერ იყო შერჩეული. მან სტუმარი თავის სამუშაო ოთახში მიიღო, ოთახი ექიმის კაბინეტს უფრო წააგავდა. ესაქი უყურებდა და უკვირდა, რომ ველარ ცნობდა კლოუნს. შეცბუნებული ფეტრის ქუდს აწვალებდა ხელში. მასპინძელი კი ელოდა, როდის დაიწყებდა სტუმარი სათქმელს. მამამ მოიბოდიშა და დაბნეული აბუტბუტდა:

— საოცარია... მაპატიეთ... ბოდიშს ვიხდი... — მან თითქოს წასვლა დააპირა, მაგრამ უეცრად ფრანსუა წარმოუდგა თვალწინ, — რომ იცოდეთ, რა საყვარელი ბავშვია, ბატონო! და თან როგორი ჭკვიანი! სკოლაში მუდამ პირველი იყო, მხოლოდ ანგარიში უჭირდა. მეოცნებეა ჩემი პატარა, დიახ, თქვენ თვითონ ნახავთ, როგორი მეოცნებეა... მაგრამ როგორ დაგიმტკიცოთ... აი, ფაქტი...

ესაქი ახლა ლულულულებდა, ენა ებმოდა, ბოლოს ძალა მოიკრიბა და თქვა:

— ფაქტი ის არის, რომ მას თქვენი ნახვა სურს, თქვენ მისთვის ამომავალი ვარსკვლავი ხართ, ის მხოლოდ თქვენზე ფიქრობს...

მამა ლაპარაკს მორჩა. მის გადაფითრებულ შუბლს ოფლის მსხვილი წვეთები ასხდა. იგი ვერ ბედავდა შეეხედა კლოუნისთვის, რომელიც სტუმარს თვალს არ აცილებდა.

რას იტყოდა ახლა „ბუმ-ბუმი?“ რომ გაეგდო? გიჟად რომ ჩაეთვალა?

— სად ცხოვრობთ? — ჰკითხა „ბუმ-ბუმმა“.

— ოო! აქვე ახლოს! იღუმენიების ქუჩაზე!

— წავიდეთ! — თქვა მსახიობმა. — მაშ თქვენს ბიჭუნას „ბუმ-ბუმის“ ნახვა სურს? ძალიან კარგი, ის ნახავს მას!..



კლოუნის წინ კარი გაიღო და უკე ლეგრანმა სიხარულით შეჰყურებდა თავის ვაჟს:

— გაიხარე, ფრანსუა, გაიხარე, ჩემო ბიჭუნა! აი, „ბუმ-ბუმი“ მოვიდა!

ბავშვს სახეზე სიხარულის სხივი დააჩნდა, დედის მკლავზე დაყრდნობილმა წამოიწია და თავი მისკენ მომავალი კაცებისკენ მიაბრუნა: ვიღაცას ეძებდა მამის გვერდით! ვინ იყო ეს სერთუკიანი უცნობი კაცი, ასე თბილად რომ უღიმოდა? როცა უთხრეს, ეს „ბუმ-ბუმი“აო, იგი მოწყენით დაეშვა საწოლზე... მისი აღგზნებული, დიდი ცისფერი თვალები სადღაც პატარა ოთახის კედლის მიღმა იმზირებოდნენ და ეძებდნენ, დაუსრულებლად ეძებდნენ მსხვილ ბრჭყვიალა ხალებს და „ბუმ-ბუმის“ პეპელას.

— არა, — უპასუხა ბავშვმა სასოწარკვეთილი ხმით, — ეს არაა „ბუმ-ბუმი“!

კლოუნი ფრანსუას საწოლთან იდგა და ავადმყოფის სახეს ღრმა მზერიტა და დაუსრულებელი სიმშვიდით ჩასცქეროდა. მან თავი გადააქნია, შეხედა აღელვებულ მამას, ღონემიხდილ დედას და ღიმილით თქვა:

— ბიჭი მართალია, მე არა ვარ „ბუმ-ბუმი“...

...და იგი წავიდა...

— მე მას ველარ ვნახავ! მეტად ველარ ვნახავ „ბუმ-ბუმს“! — გულდაწყვეტილი იმეორებდა ბავშვი.

ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რაც კლოუნი გაუჩინარდა, რომ უეცრად კარი გაიღო და მოულოდნელად გამოჩნდა „ბუმ-ბუმი“, ნამდვილი „ბუმ-ბუმი“, ცირკის „ბუმ-ბუმი“ შავი ხალებით მორთულ ფრაკში გამოწყობილი, თავზე ყვითელი ფუნჯით, მკერდსა და ზურგზე დიდი ოქროსფერი პეპელით, შეპუდრული, კეთილი სახით.

ბავშვი წამოჯდა საწოლზე, სიცოცხლის და სიხარულის სხივი ჩაუდგა მომღიმარე, ბედნიერ თვალებში. გამხდარი ხელებით ტაში შემოჰკრა და ალტაცებით შეჰყვირა: „ბუმ-ბუმი“! „ბრავო“, ეს ის არის, ამჯერად ეს ნამდვილად ის არის! აი, „ბუმ-ბუმი“. გაუმარჯოს „ბუმ-ბუმს“!... გამარჯობა, „ბუმ-ბუმს“!.. — მისი ხმა თოფის გავარდნასავით სჭექდა ოთახში.

იმ დღეს ავადმყოფის სანახავად მოსულმა ექიმმა შენიშნა პატარა ფრანსუას სასთუმალთან ჩამომჯდარი ფერმკრთალი კლოუნი, რომელიც დაუსრულებლად აცინებდა პატარას, თან ნაყენიან ფინჯანში შაქრის ნატებს უგდებდა და ეუბნებოდა:

— აბა შენ იცი, თუ ამას არ დაღევე, „ბუმ-ბუმი“ მეტად აღარ მოვა!..

და ბავშვიც სვამდა

— ხომ გემრიელია?

— ძალიან... გმადლობთ, „ბუმ-ბუმ“!

— ექიმო, ნუ იეჭვიანებთ, მაგრამ ასე მგონია, რომ მისთვის ჩემი გრიპასები უფრო სასარგებლოა, ვიდრე თქვენ მიერ გამოწერილი წამლები!

დედა და მამა ტიროდნენ, მაგრამ ამჯერად ეს სიხარულის ცრემლები იყო.

...და სანამ პატარა ფრანსუა ფეხზე დადგებოდა, მონმარტზე, ილუმენიების

ქუჩაზე, მუშის სახლის წინ ყოველდღე ჩერდებოდა ეტლი. იქიდან ვიდრე და-
და პალტოში გახვეული საყვლოაწეული კაცი, მხიარული შეპუდრული სახით,
რომელსაც შიგნით კლოუნის ფორმა ეცვა.

— რით გადავიჩადოთ, ბატონო? — ჰკითხა ბოლოს ეაკ ლეგრანმა სახელ-
განთქმულ კლოუნს, როცა ბავშვმა პირველი ნაბიჯები გადადგა, — ბოლოს და
ბოლოს მე დიდად დავალებული ვარ თქვენგან!

— ხელის ჩამორთმევით, — თქვა მსახიობმა და მშობლებს ორივე ხელი
მხრუვალედ გაუწოდა, მერე აკოცა ბავშვს ავარდისფერებულ ლოყაზე...

— ჰოო... — გააგრძელა შემდეგ სიცილით, — აი, მიიღეთ ჩემი სავიზიტო
ბარათი:

„ბუმ-ბუმი“

ექიმი — აკრობატი

პატარა ფრანსუას პირადი ექიმი.

□



თარგმნა მისხვილ გაროფვილვა

მიდიოდა კევევი, ძლივს ინაცვლებდა ფეხს ფხვიერ თოვლში, უკან ირბი კვალი რჩებოდა, შეუბრალებელი მოწმე იმისა, თუ როგორ ამძიმებდა მის მუხლებს წლების სიმძიმე. ოცი წლის წინათ, როცა კევევი ტაიგაში ხეტიალობდა, ნაფეხურების მწკრივი ლარივით იყო გაპყურებდა მოხუცი ნაკვალევს და ძალაუნებურად თავის შეშაზე იწყებდა ფიქრს. შუა ტაიგაში, ერთ მოფარებულ ადგილას რომ ჰქონდა გადანახული. ამ შეშის არსებობას და მის ადგილსამყოფელს კევევი არავის უმხელდა, საკუთარი ცოლისთვისაც კი არ გადაუკრავს სიტყვა. დიდი ხნის წინათ დაკუწული არყის ხის მორები უკვე კარგად იქნებოდა გამომშრალი. ხმელი არყის შეშას ხომ შეშა არ სჯობია!

კევევი კუნძზე ჩამოჯდა და სული მოითქვა.

რა ლამაზია ტაიგა, ასეთი შეჩხერიც კი, როგორც აქ, ტაიგის საზღვარზეა. ხეებიც ჩრდილოეთის ხალხებს ჰგვანან — ჩადგმულები, ფესვმაგარნი მიწას გულისგულში ჩაჰკვდომიან. აბა, სცადე და მოგლიჯე აი, ის ტირიფი! მთელი კორომის გადათხრა მოგიწევს. ძალაყინითაც რომ ამტვრიო მარადიული ყინულის საფარი, ვერაფერს გახდები.

კევევი წამოდგა და გზა განაგრძო; მიდიოდა ფრთხილად, მოზომილი ნაბიჯებით, იცოდა — შეიძლება ფეხი დასხლტომოდა და თოვლში ჩაჩხრეკილიყო. მან ღრმად ჩაისუნთქა და იგრძნო, როგორ დაურბინა ფილტვებში სასიამოვნო ტკვილმა. სუფთა ჰაერი ფილტვებში დაგროვილ თამბაქოს დანალექებს შლის და ნაოჭებს ასწორებს, ფიქრობდა მოხუცი.

ანაზღად კევევს უცხო სუნი ეცა, არაჩვეულებრივი, უცნაური სუნი. იგი შეყოვნდა და სმენად იქცა.

ასე გაფაციცდებოდა ხოლმე ტაიგის ტევრში, როცა რამეს იგუमानებდა. მის არსებაში სახლობდა ვიღაც „მეორე“, იდუმალი, ყოველთვის შემართული და მშვილდის ლამბივით დაჭიმული.

ჯერ კიდევ მაშინ, დიდი ხნის წინათ, როცა კევევი დიდი ხნით მიდიოდა ტაიგაში სანადიროდ, ეს გონებაგამჭრიახი ორეული ერთვულად ემსახურებოდა მასა და ბეწვეულის საუკეთესო მომპოვებლის სახელი დაუგდო. ახლა კი, როცა კევევმა ბოლის სუნი იყნოსა, გაიგონა ადამიანების ხმა და კოცონსაც მოჰკრა თვალი, მიხვდა, რაც ხდებოდა, და ჭლონოდ ჩაიკეცა შეშის ნაყართან.

მოცვივდა ხალხი, აიტაცეს მოხუცი და ცეცხლთან მიიყვანეს. კევევი უძალიანდებოდა, ცდილობდა დასხლტომოდა მათ, მაგრამ ისინი უფრო ღონივრები აღმოჩნდნენ.

— პაპავ, შენ რა, სულ გაგიედი? — ყვიროდა მოხუცის ჰირვეულობით

განცვიფრებული მალალ-მალალი ჭაბუკი, თავზე ძაღლის ბეწვის ქუდი რომ ეხურა, — უუუ, რა გადარეულია!

— გადარეული შენ ხარ, — მიახალა მოხუცმა, — გადარეული და შეუგნებელი! რატომ დაძინავით შეშა? მოსკოვში გიჩივლებთ, ქალაქის მთავრობაში.

— გვიჩივლე, გვიჩივლე, — მიეფერა აყლაყუდა მოხუცს და იქვე, თოვლ-ჭრელზე დასვა, — გააგებინე მოსკოველებს, როგორი ძუნწი ხარ!

კევევმა თვალი ჰკიდა კოცონს და მალალი, მოცისფრო ალი დაინახა. გუზ-გუზებდა კოცონი, ზედ გაჭვარტლული ვედრო შემოედგათ. ვედროში ხარჩო თუხთუხებდა... „უკეთურები“.

— რატომ მატკინეთ გული! — წამოიძახა მოხუცმა და თვალებში ცრემლი მოერია, — რატომ დაწვით ჩემი შეშა? ხის მეტი რა არის ირგვლივ?, მიდით და ჰერით, რამდენიც გინდათ...

მალალი იქვე ჩამოჯდა.

— გვაპატიე, მოხუცო, — მიმართა კევევს აღელვებულმა, — რა ვიცოდით, თუ შენი შეშა იყო. ხვალ დილითვე დაგიჩეხავთ... დაიქანცნენ ბიჭები. ყინული ჩაგვიტყდა და დავზრით. გულნაკლულს არ დაგტოვებთ, ნუ ჯავრობ.

კევევმა იგრძნო, რომ ამ აყლაყუდა ჭაბუკს ვერ გაეგო ყველაზე მთავარი — როგორი შეშა დაუწვეს, რომელ ცეცხლზე ხარშავდნენ ხარჩოს ჭვარტლიანი ვედროთი.

— ეს შეშა უბრალო არ გეგონოთ, — ამოისლუკუნა კევევმა.

— ვიცი, — დაეთანხმა მალალი ჭაბუკი და თითო ბეწვის ქუდი კეფაზე მოიგდო, — ასეთ შეშას იოლად ვერ იშოვი! იქნებ ფული გინდა?

— ამბობ შენც რაღა, შენი ფულებით გაჩაღებულ ცეცხლზე უნდა დამწვა? — წამოიკვნესა მოხუცმა.

— არაფერი მესმის, — თქვა ჭაბუკმა და დამნაშავესავეით გაიღიმა.

— რა ვერ გაიგე, — შეუბრუნა სიტყვა კევევმა. — რაზე უნდა დამწვან, როცა მოვკვდები? დალუბეს ჩემი დასამარხი შეშა!

ის ოცნებობდა: ცეცხლი ძლიერი იქნებოდა, ალი — მალალი და უფერო, ნიშანი იმის, მან კაცურად განვლო სიცოცხლის დღენი.

— გვაპატიე, პაპავ, რომ გვცოდნოდა... ეს როგორ დაგვემართა? იგნატ!

დაძახილზე პატარა, მკვირცხლმა ბიჭუნამ მოიბრინა. მას ხელში ჭვარტლიანი ვედრო იჭირა. კევევმა უშეცდომოდ გამოიცნო, რა იყო შიგ. მას ძეხვით შეკაზმული შვრიის ფაფის სუნი ეცა.

— ვინ დაგროთოთ ნება, დაწვით შეშაო?

— თქვენ, ამხანაგო პეტროვ, — სხაპასხუპით უპასუხა ბიჭმა.

პეტროვმა თავი ჩაჰკიდა.

— მართალია, მე გავეცი განკარგულება. დამნაშავე ვარ. შეგიძლიათ დამსაჯოთ.

— აბა როგორ უნდა დაგსაჯო?

მოხუცი თანდათან დამშვიდდა, მართალია, დაწვეს წმინდა შეშა, მაგრამ ეს თავგასულობით როდი მოსვლიათ, ასე იყო საჭირო და იმიტომ, ან კი საიდან უნდა სცოდნოდათ ამ „უხებს მათი ძველისძველი ადათ-წესები? —

— ხვალ აუცილებლად დაგიჭრით შეშას, — დაამედა პეტროვმა მოხუცი, — ნუ გაგვიჯავრდები. ახლა კი მოდი, ერთად ვივანშმოთ.

კევევს დიდი ალუშინის კოვზი მიაწოდეს. როცა ტაიგაში სუფრასთან მი-

გოწვევენ, უარის თქმა არ შეიძლება — ცოდვად ჩაგეთვლება. სხვებთან ერთად იგი მაღიანად მიირთმევდა შეჭამანდს საერთო ჯამიდან.

კოცონი თანდათან ნელდებოდა. ჩანავლული მუგუზლებიდან ქარი ფერფლს ხვეტდა და გარშემო მსხდომთ აყრიდა.

— მე ვიცი, როგორ მარხავდნენ მიცვალებულს ძველად ჩუქჩები, ქსკი-მოსები და კორიაკები. ასეთი რამ კი პირველად მესმის, — შენიშნა პეტროვმა.

— მე კერეების ძველი ტომის შთამომავალი ვარ, — დაიწყო მოყოლა კევევმა, — დიდი ხანია, რაც ჩვენ ჩუქჩებსა და კორიაკებს შევერიეთ. ერთმანეთისგან ენითა და ზოგიერთი ადათ-წესებით გვანსხვავებენ. მათ მიცვალებულს დამარხვის თავიანთი წესი აქვთ. ახლა ვინლა უყურებს ძველ ადათებს. მიცვალებულს ყუთში დებენ და ისე მარხავენ. ადრე კი სხვაგვარად იყო. გააჩაღებდნენ ხოლმე ტყე-ტუნდრაში ცეცხლს და სწვავდნენ ცხედარს. განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა ეს, როცა უამიანობა ან შიმშილი მუსრავდა ხალხს.

კევევი გატაცებით ყვებოდა, მაგრამ მსმენელთა თვალებიდან ცნობისმოყვარეობის ნაცვლად შიში და ძრწოლა გამოსჰვიოდა.

— ლამაზად იყო ყველაფერი, — ფიქრიანად დაამთავრა თხრობა კევევმა და პეტროვის მიერ გამოწვდილ სიგარეტს მისწვდა.

— აქ გაათევთ ღამეს? — ჰკითხა პეტროვს.

— სხვა რა გზა გვაქვს? — მხიარულად მიუგო გეოლოგმა, — ჩვენს კარავში გეპატიყებით.

გეოლოგიური პარტიის ხელმძღვანელის კარავი სხვებისგან მოშორებით, ცეცხლთან ახლოს იდგა.

კევევი არ შემძვრალა საძილე ტომარაში. იგი ზევიდან წამოწვა და ყალიონი გამართა. ფიქრები მოეძალნენ მოხუცს. სულის კუნჭულში ცდილობდა გაემტყუნებინა ბიჭები, მაგრამ ამაოდ. ის ახლა სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, ხვდებოდა, რომ პეტროვის ჯგუფი ერთ-ერთი იმათგანი უნდა ყოფილიყო, რომელთაც მთელი ტყე-ტუნდრის გაყოლებით, ახლად აღმოჩენილ საბადოებამდე საავტომობილო გზა უნდა გაეყვანათ. მათზე ხშირად გადმოსცემდა ხოლმე რადიო.

მოხუცი დილაუთენია ადგა. ბანაკს ეძინა. ნიავი ნაცეცხლურს წამოუჭროლებდა ხოლმე და ირგვლივ ფერფლის კორიანტელს აყენებდა. ცეცხლი ჩამქრალი დახვდა, ჩაიდანა და ვედრო — გაციებული.

კევევი წამით შეყოყმანდა, მერე ცული აიღო, საყადლიდან მოზრდილი ნაჭერი გამოაძრო და ჩეხვას შეუდგა.

როცა ცეცხლი გალუვდა და შეშამ ტკაცატკუცი დაიწყო, მაძიებლებმა მაშინდა გამოყვეს თავი კარებიდან.

კარვიდან გამოსულმა პეტროვმა კევევი დაინახა, რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა.

ამასობაში მოხუცმა ჩაიდანა ცეცხლზე შემოდგა და თოვლი გააღლო. საუზმედ ფაფის მოხარშვა გადაეწყვიტა.

— ადექით, აშენდა ქვეყანა, — დაუცაცხანა ბიჭებს პეტროვმა. მაძიებლები თვალებისფშვნეტით გამოლაგდნენ კარებიდან. ხედავდნენ აგუზგუზებულ ცეცხლს და სიხარულს ვერ ფარავდნენ. ამოიღლიაგებდა კევევი შეშას, მიჰქონდა კოცონთან და უკეთებდა, აღუებდა ცეცხლს და რალაცნაირი სასოწარკვეთილი ხმით გაიძახოდა:

„გალუვდი, ცეცხლო, გალუვდი, მოგვიხარშე ფაფა, აგვიდღულე ჩაი!“

ნასაუზმევს მაძიებლებმა შეშის ჭრა დაიწყეს. კევევი ეხმარებოდა მათ, ეზიდებოდა დამორილ ხეებს და საყადელზე აწყობდა მწყობრიდან.

ყინვა მალე გამოაშრობს, გაზაფხულზე აბედლივით იქნება.

— შენ რა, გაზაფხულზე ხომ არ აპირებ სიკვდილს? — ეკითხება.

— რატომ გაზაფხულზე? — საქმიანად მიუგო კევევი. — კარგი მაქვს, გვყოფნის მე და ჩემს ბებერს. შეშას კი მაინც მოვიმარაგებ.

ნასადილევს მაძიებლებმა ბანაკი მოშალეს, მოხუცს ტკბილად გამოემშვიდობნენ და ყველგანმავალზე დაბარგდნენ. კევევი დიდხანს გასცქეროდა მანქანის ნაკვალევს. მან გადაიფიქრა სოფელში დაბრუნება და თავისი სანადირო ქოხის მოსანახულებლად გასწია.

ქოხი ისე იყო შეყუჩული ხეებში, რომ პოვნას პატრონის გარდა ძნელად თუ ვინმე შესძლებდა. კერები თოვლს ჩაეჩუმქრა და მოხუცს გვარიანი მუშაობა დასჭირდა, შესასვლელის გასასუფთავებლად.

როცა ყველაფერი მოაწესრიგა, ძველი მახეები და ხაფანგები შეამოწმა, გრძელბეწვიანი ნადირისთვის რომ ჰქონდა დაგებული.

მესამე დღეს კევევმა საკმაოდ მხნედ იგრძნო თავი და გადაწყვიტა ტაიგაში კიდევ ერთი სანადირო სეზონი გაეტარებინა. კვირის ბოლოს ყველგანმავლის თუხთუხი შემოესმა, მიაყურა და იქით გაეშურა, საიდანაც ხმაური შემოესმა. ნაბანაკართან, ცეცხლი ენთო და ხალხი ირეოდა. იწვოდა მისი წმინდა შეშა.

— გამარჯობა, პაპავ, — მიესალმა კევევს ახალგაზრდა, ოქროსფერწვერებიანი კაცი. მან ხელჯაგიდან დიდი ხელისგული გამოაჩინა და მოხუცს გაუწოდა.

— შენი შეშაა?

— ჩემია, — თავი დაუქნია კევევმა, მაგრამ აღარ დაუწყო ახსნა, რისთვის სჭირდებოდა ეს შეშა.

— ნუ გაჯავრდები, გადაგიხდით, — უთხრა წვეროსანმა.

დილით მოხუცმა ისევ შეავსო ნაკლული საყადელი. საღამოს, როცა მუშაობა დაამთავრა, კვლავ გაიგონა ყველგანმავლის ნაცნობი ხმა.

ახალგაზრდა გოგონამ, მოხუცის გასაკვირად ჯგუფის ხელმძღვანელი რომ აღმოჩნდა, ტაში შემოკრა მხიარულად და თანამგზავრებს გასძახა:

— შეხედეთ, კეთილმა თოვლისპაპამ შეშა მოგვიშხადა, აბა ჰე, მოვხარშოთ ფაფა, ავადულოთ ჩაი და ვივახშმოთ!

კევევი ჩუმად ეზიდებოდა შეშას, ცეცხლს უკეთებდა, ჩაის სვამდა და კეთილად იღიმებოდა, როცა მადლობას უხდიდნენ.

ამჯერად უკვე ორი დღე დასჭირდა შეშის მარაგის აღსადგენად.

მეორე დღეს კიდევ მოვიდა ორი ჯგუფი. კევევმა მათაც დაუნთო ცეცხლი და გაათბო გათოშილი ხალხი.

ამასობაში კი ტაიგის დიდი კომპლექსური ექსპედიციის მონაწილეებს შორის ხმა გავარდა საოცარ მოხუცზე, რომელიც ტყეში შეშას ამზადებდა, გამვლელ-გამომვლელს უშურველად სთავაზობდა და ათბობდა შემცივნულ მგზავრებს.

ამ ხმებს ყური მოჰქრა პეტროვმაც და გადაწყვიტა მოენახულებინა მოხუცი.

— გამარჯობა, კევევ, — მიესალმა პეტროვი მოხუცს, როგორც კი ყველგანმავლის კარები მიხურა.

— გაგიმარჯოს, პეტროვ, — მოხუცი ცოტა გამხდარიყო, მაგრამ მხნედ და ჯანიანად გამოიყურებოდა.



ქართული
საბჭოთაო

- შეშის საქმე როგორ გაქვს?
- საყადელი ყოველთვის სავსეა.
- მართალია, რომ შენს ნაკურთხ შეშას ჩემს ხალხს ახმარ?
- დაე გათბნენ, — წყნარად თქვა კვევემა, — მე მიხარია...
- მაგრამ შენ ხომ გჭირდება!
- განა ეს არის მთავარი?
- მთავარია თუ არა, წესრიგი ყველგან საჭიროა, ცეცხლისმცველად იმუშავებ ჩვენთან!

— კარგი, — დაეთანხმა მოხუცი.
და ცხოვრობს ტყისა და ტუნდრის საზღვარზე მოხუცი კერეკი კვევევი. მისი შეშის საყადელი ყოველთვის სავსეა და ყოველმა მგზავრმა — გეოლოგი იქნება ეს, მონადირე თუ უბრალო გამვლელი — იცის, რომ კორიაკის ტუნდრის ამ ვრცელ კვადრატში ყოველთვის დახვდებათ შეშა და ცეცხლი, კოცონი სიცოცხლისა.

□



თარგმანი კ. კ. ხუციშვილი

რომანტიზმის რაობის შესახებ*

სალხური მეთყველება რომანტიზმში გულისხმობს რაღაც ძალზე ამაღლებულს, თუმცა განყენებულს, პოეტურს, მაგრამ ბუნდოვანს და გაურკვეველს. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ეს რაღაც ცხოვრებისაგან შორს დგას და ჭეშმარიტებას მოწყვეტილია... განზე მდგომ, დაბნეულ, მოუქნელ და არაპრაქტიკოს ადამიანს ჩვეულებრივ რომანტიკოსს ვუწოდებთ.

საიდან გაჩნდა ასეთი გაგება? — ამის საფუძველი ძალზე ღრმაა. რუსეთში, სადაც განსაკუთრებით დამკვიდრდა მსგავსი აზრი, ასეთი გაგების საფუძველი უნდა ვეძიოთ ჩვენი ინტელიგენციის ბუნებაში, იმ მტანჯველ, მიხვეულ-მოხვეულ გზაში, რომლითაც წელში გადაიწყდარი ინტელიგენცია მიდიოდა. ეს მთელი წიგნის თემაა.

რომანტიზმის ასეთი გაგების მიზეზი მტკიცედ დადგენილ კრიტიკულ ტრადიციებში ძევს, რომლებმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელს ევროპასა და ამ მხრივ ევროპის ნაკვალევზე მიყოლილ ჩვენს ქვეყანაშიც.

თუ რომანტიზმის ყველაზე გავრცელებული განსაზღვრისათვის Larossé მოკლე ფრანგულ ლექსიკონს გადავშლით, რომელიც შეკუმშული და მიგნებული განმარტებებით ხასიათდება, შემდეგს ამოვიკითხავთ: „რომანტიზმი ეწოდება მოძღვრებას იმ მწერალთა, რომლებმაც მე-19 საუკუნის დასაწყისში უგულვებელყვეს კლასიკოსების მიერ დადგენილი კომპოზიციისა და სტილის წესები. რომანტიზმი თაყვანს სცემდა ქრისტიანულ რელიგიას, შუა საუკუნეების მშობლიურ წარსულს, უცხოელ ლიტერატორებთან ნაცნობობას. ის უმთავრესად ხასიათდება ლირიზმის აღორძინებით. გრძნობისა და წარმოსახვის სიჭარბით გონებასა და ინდივიდუალიზმზე“. ამ განსაზღვრებას თან სდევს რომანტიზმის ფრანგ წინამორბედთა და წარმომადგენელთა ჩამოთვლა.

ეს შეკუმშული განსაზღვრა შეიცავს იმ წარმოსახვების, დაკვირვებებისა და დასკვნების გამოწერას, რომელიც გაკეთებული იყო მე-19 საუკუნეში კრიტიკისა და მუშაანურ შეცნიერებათა მიერ. თუ წარმოვიდგენთ, რომ სულ არ ვიცნობთ რომანტიზმს და მოვისურვებთ მის შესახებ რაიმეს გაგებას ლექსიკონიდან, ვფიქრობ, შემოთ მოყვანილი განსაზღვრა ოდნავ თუ გაგვიღვიძებდა ინტერესს. უპირველეს ყოვლისა, ეს ერთ-ერთია სხვა მრავალ ლიტერატურულ მიმდინარეობიდან, ე. ი. წარმომადგენს ლიტერატურის ისტორიის საგანს, ამას გარდა, შვიდი ნიშანი, რომლებითაც ეს მიმდინარეობა ხასიათდება, სულაც არ აინტერესებს ყველას ერთნაირად. ამ ნიშანთა უმრავლესობა სინამდვილეში ძალზე ცოტას თუ აინტერესებს. უფრო სპეციალისტებს. საბოლოოდ თითოეული იმ შვიდი ნიშნიდან იმდენად ბუნდოვანი, მრავალმნიშვნელოვანი და ვრცელია, რომ ყველაფერი მთლიანად წარმოგვიდგება ბუნდოვნად, განყენებულად და ცხოვრებისაგან დაშორებულად.

ამრიგად, რომანტიზმის შესახებ შეცნიერულ დასკვნებს კვლავ მივყავართ ამ ობივატურულ გაგებაში და გვაშორებს მას.

და მაინც რომანტიზმის ცნება არასოდეს სცილდება ჩვენს ენას. კვლავ და კვლავ გვახსენებს თავს. რომანტიზმს ვეპყრობით ირონიისა და პატივისცემის ნარევი გრძნობით, რადგანაც იგი ჩვენში აწვევს წარმოდგენას რაღაც ამაღლებულზე, რაღაცნაირ ურთიერთობაზე ცხოვრე-

* წაკითხულია დიდ დრამატულ თეატრში 1919 წლის 9 ოქტომბერს

ბისადმი, რომელიც აღემატება ჩვენს უოველდღიურ ურთიერთობას და ამიტომაც ხდლესას-
წაულოა.

სხვათა შორის, ვფიქრობ, საზოგადოების დიდი ნაწილი ჩვენთან იმითამ მოდის, რომ შეა-
ლამაზოს უოველდღიური ცხოვრება, დაეხწროს რაღაც ზეიმს, ჩვენ კარგად ვხედავთ ამ
საზეიმო განწყობილებას წარმტაცი ღრამის წარმოდგენით, რომანტიკული გა-
გებით.

საზოგადოებას, გარდა ცალკეულ შემსრულებელთა თამაშისა, იტაცებს ბრწყინვალე სა-
მოსელის სილამაზე, ენების ხიმრავლე, ამაღლებული ტონი, ფაბულის თავშესაქცეობა, —
საერთოდ ყველაფერი უჩვეულო და განსხვავებული უოველდღიური ცხოვრებისაგან. მაგრამ
ამ საზოგადოებაში გვხვდებიან ადამიანები, რომელთაც აძრწუნებთ რომანტიკული თეატრი,
რომელთაც იგი აძულდებს, ღრმად ჩაფიქრდნენ და თავიანთდა შეუმჩნეველად განიმსჭვალონ
ახლებური შინაარსით.

დაე ასეც იყოს, ე. ი. დაე საზოგადოება მხოლოდ ნაწილს ამჩნევდეს, ვერ ხედავდეს მთა-
ვარს და მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს იპყრობდეს მთავარი. ჩვენზეა დამოკიდებული ასეთ
ადამიანთა რიცხვის ზრდა და ჩვენ მივალწევთ ამას, თუ ღრმად ჩავწვდებით ამოცანას, რომე-
ლიც თვითონვე დავუსახეთ საკუთარ თავს. სარწმუნო საშუალებას იმიხატვის, რომ არ შევ-
ჩერდეთ შაბლონზე, არ გამოგვივიდეს ის, რასაც შტამის ეძახიან, რაც განსაკუთრებით ადვილია
საკოსტიუმო, ეგრეთ წოდებულ არარეალურ როლებში. — წარმოადგენს რომანტიზმის საბო-
ლოდ მიზნების, წყაროებისა და ისტორიაში მისი ადგილის შეცნობა.

არ მსურს მეტისმეტად გადავლავლო თქვენი უურადლება დაუსაბუთებელი ლაპარაკით. სა-
კუთარი გამოცდილებით ვიცი, როდენ უსიამოვნოა ასეთი ლაპარაკი არტისტიკისათვის, მაგრამ
მიუხედავად ამისა, ნება მიბოძეთ ცოტა ხანს კიდევ შევუოვნდე რომანტიზმის რაობაზე. ამას
შეგნებულად ვაკეთებ, რათა სიფრთხილის ყველა ზომა დავიცვა და არ მოვწყდე მიწას, რაშიც
რომანტიკოსებს ყველაზე მეტად საყვედურობდნენ. ამ საქმეში დაგვეხმარება ფილოლოგიური
მეცნიერება, რომლის პოზიციაც რომანტიზმის ხაკიობში რადიკალურად ცვალებადი გახდა გა-
სული საუკუნის დასასრულიდან.

რატომ არ აისახა ეს ცვლილება ყველასათვის ხელმისაწვდომ სახელმძღვანელოებში. თუნ-
დაც ენციკლოპედიურ ლექსიკონებში? სულაც არა იმითამ, რომ ეს გამოცემები კონსერვატი-
ულია (გონივრულად კონსერვატიული). მთავარი მიზეზი ისაა, რომ ამ შემთხვევაში საქმე
გვაქვს პარტიების ბრძოლასთან, მათ შორის პოლიტიკური პარტიების ბრძოლასთან, რომელიც
ევროპას საუკუნის განმავლობაში ფლეთდა და ისეთ საშიშ მდგომარეობამდე მიიყვანა, ახლა
რომ იმყოფება.

მხოლოდ ამ ბრძოლით შეიძლება აიხსნას, ერთი შეხედვით სრულიად გაუგებარი მდგომარე-
ობა: რომანტიკოსთა კმნილებანი ხომ უძველესი დამწერლობის ფრაგმენტები არაა, რომელ-
თა აღდგენაც თანდათან ხდება და რომელთა დაწერის თარიღი ჩვენთვის უცნობია. ეს ის წიგ-
ნებია, ათეულჯერ რომ გამოცემულა და ახლაც გამოდის, მაგრამ მაინც მკვლევარებმა უცებ
ვერ ამოიკითხეს მათში ის, რაც შავით თეთრზეა დაბეჭდილი: განზრახ აურიეს სხვადასხვა
მწერალთა განვითარების ეტაპები, განზრახ დაამახინჯეს დაწერილის აზრი. ეს ძალზე ნიჭიერ
ადამიანთა გაკეთებულია და ამის შემდგომ განაოცარი აღარაა, რომ მათ მიერ დადებული
მახინჯი დადი რომანტიზმს აქამდე აჩნია. ზემოთ მოუვანილი მშრალი სალექსიკონო განმარტება,
ისევე როგორც სხვა, ურიცხვი სახკოლო სახელმძღვანელო, დღემდე სარგებლობს არაკეთილ-
სინდისიერი და პოლემიკური თვალსაზრისის მქონე მტრების მიერ ევროპის საზოგადოებრივ
აზროვნებაში ოდესღაც მოპოვებული გამარჯვებით იმ მთავარზე, რითაც ცოცხლობს და
უოვლისშემძლეობს რომანტიზმი. მაგრამ იუკვე ჩვენს ღროში:

„ღრო ვადის, ცრუ ყერადები
სცვივა ტილოდან ვით ქერცილი ძველი,
ნიჭის კმნილება მზიურ ნათების
ბრწყინვალეებს, როგორც პირველად მწველი“¹

ევროპის ლიტერატურულ განვითარების მსვლელობა, რომელიც წინ უძლოდა რომან-
ტიზმს, ვიწრო გაგებით ზოგადად ასე გამოიხატება: მე-18 საუკუნის შუა ხანებში ცივილიზე-

1. ა. ს. პუშკინის „აღორძინება“. თარგმნა ე. ვაფროინდაშვილმა.

ბული სამყაროს ყველა ქვეყანას გადაუარა გონებაზე იმედგაცრუებისა და გონების გრძობის უპირატესობის მინიჭების ტალღამ. აწროვნება ბატონობდა გრძობაზე ამ მიმდინარეობაში, რომელსაც კლასიციზმი ეწოდება (ვიწრო მნიშვნელობით) და როგორც კი მას ძალა დაკარგა, გადაიწარდა ცრუ კლასიციზმში; რეაქცია მის წინააღმდეგ გრძობისა და მნიშვნელოვანი იყო მე-18 საუკუნის დასაწყისისათვის სენტიმენტალიზმმა ადგილი დაუთმო რომანტიზმს (ვიწრო მნიშვნელობით) — უფრო ღრმა მიმდინარეობას, რომელიც მომწადებული იყო დიდი ფრანგული რევოლუციის მიერ. ზღვრულადანელი როლი გერმანულ რომანტიზმს ეკუთვნოდა. მისი უახლოესი ფუძემდებელი იყო ფრანგული რევოლუციის თანადროული ქარიშხლისა და შეტევის პერიოდი. გოეთესა და შილერის, ამ მშფოთვარე გენიოსების პერიოდი. გოეთესა და შილერის თანამედროვენი და მათი უახლოესი მემკვიდრენი იყვნენ პირველი, ეგრეთ წოდებული იენელი, რომანტიკოსები: ძმები შლეგელები, შლაიერმახერი, ტიცი, ნოვალისი, შელინგი და მათი თანამოაზრენი.

სწორედ ესაა ის წრე, რომელშიც თავმოყრილია რომანტიკოსთა მსოფლმხედველობა. ზედ მე-18, მე-19 საუკუნეების მაჯნაზე, ხუთი წლის განმავლობაში, 1786 წლიდან 1801 წლამდე, პირითადად გამოიკვეთა ის უდიდესი მიმდინარეობა, რომელიც თავიდან საექვოდ მიჩნეული და მეორე პლანზე იყო გადაწეული ჯერ რომანტიზმის მოღალატე უახლოესი თაობის მიერ — ყველაზე აშკარად გერმანიის უდიდესი პოეტის ჰაინრიხ ჰაინეს მიერ. შემდეგ — საზოგადოებრივი მიმართულების კრიტიკით, რომლის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენელია ჩვენში ძალზედ პოპულარული გეორგ ბრანდესი.

ამ მიმდინარეობას სხვაგვარად მიუდგა უახლოესი, უფრო პირუთვნელი და მამიებელი მეცნიერება, მისი წარმომადგენლები. ჩვენში თითქმის უცნობი ჰაიმი, დილტეი, ვალცელი და ჩვენი მეცნიერი—ფირშუნსკი. განსაკუთრებით ძვირფასია ის, რომ ამ მეცნიერებმა მოახერხეს ობიექტურად დაედასტურებინათ ის შინაგანი გამოცდილება, რომელიც ახალი ევროპის არისტოკრატიულ სამყაროში დაგრძობდა, ამჟამად შეიძლება გადაჭრით ვამტკიცოთ, რომ ყველა ის ნიშანი, რომლებსაც რომანტიზმს პოპულარიზატორები და ფილოლოგები მიაწერდნენ, მოკლებულია ფილოსოფიურ თვალთახედვას და ან არასწორია, ან შედეგპირული. თუ გავიხსენებთ რომანტიზმის ჩვეულებრივ განსაზღვრას და მეცნიერთა დასკვნებს შევადარებთ, დაინახავთ შემდეგს:

1. ქეშმარიტი რომანტიზმი სულაც არ არის მხოლოდ ლიტერატურული მიმდინარეობა. იგი ისწრაფოდა და ერთი წამით გახდა კიდევ გრძობებულობის ახალი ფორმა, სიცოცხლის განცდის ახალი საშუალება. ლიტერატურული ნოვატორობა მხოლოდ მომხდარი ღრმა გარდატეხის შედეგია, რომელიც გაახალგაზრდავდა, ახლებურად შეხედა სამყაროს, მასთან კავშირით აღელდა, შეძრწუნდა, განიშსკვალა თრთოლვით, შიშით, იდუმალი მგზნებარებით, შორეთის გრძობით და სამყაროს სულთან სიახლოვემ აღტაცებაში მოიყვანა.

2. აქედან უშუალოდ გამომდინარეობს ის, რომ ნამდვილი რომანტიზმი არ ნიშნავდა ცხოვრებისაგან ზურგის შექცევას. პირიქით, ის ხარბად ისწრაფოდა ცხოვრებისაკენ, მის წინაშე რომ გადაიშალა ახალი და ღრმა გრძობის სახით, რომელიც ისევე ნათელი იყო, როგორც დანარჩენი ხუთი გრძობა, მაგრამ სიტყვებით ვერ ბოვდა გამოხატვა. ეს გრძობა უშუალო მემკვიდრეობა იყო იმ ბობოქარი გენიოსებისა, რომლებმაც საკუთარ სულში განურჩევლად, შეუფასებლად დაიმკვიდრეს თითქოსდა საბერველით გაბერილი მთელი ცხოვრება. ესაა გოეთეს „ფაუსტის“ პირველი ნაწილის ძირითადი იდეა, ფაუსტი პლანეტის სულის ქვრეტისას „თითქოსდა თვრება მაჭრით, გრძობს იმდენ შემართებას, რომ შეუძლია ალაღებდზე ეკვეთოს სამყაროს, იტვირთოს ყველა ამქვეყნიური მწუხარებაც და ბედნიერებაც, შეებრძოლოს ქარიშხალს და არ შეუშინდეს გემების შეჯახებით გამოწვეულ ლაწალუწს.“

თუ ბობოქარ გენიოსებს, — თუნდაც „ფაუსტის“ ამ ნაწილში. — ვამჩნევთ გონების სრულ უარყოფას და გრძობისადმი უპირატესობის მინიჭებას, მათმა მემკვიდრეებმა—რომანტიკოსებმა არც გონება უარყვეს. მათ მხოლოდ განასხვავეს გონება აწროვნებისაგან და აღიარეს, რომ გონებაშიც ჩანერგილია შეტაფიზიკური მოთხოვნილება, მისწრაფების ძალა. ამრიგად, რომანტიკოსთა ეს ნიშანაც — „გრძობისა და წარმოსახვის გონებაზე გაბატონება“ — არასწორი ჩანს. გრძობა მბრძანებლობს განსჯაზე და არა გონებაზე.

3. რომანტიზმის ორი მთავარი ახლადმოჩენილი თვისებიდან, რომელიც ამჟამად, როგორც ჩანს, სხვა არაფერია, თუ არა ახალი საშუალება — იცხოვრონ ვაითმაგებული ძალით.

1 გოეთეს „ფაუსტი“, I-ნაწ. I სცენა („ღამე“).

გაშოდის. რომ რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის უველს დანარჩენი ნიშან-თვისება მთლიანად წარმოებულა, ე. ი. მეორეხარისხოვანია, ოღონდ შესაძლოა მათი რიცხვი უსასრულოდ გამრავლდეს. სწრაფვა შუა საუკუნეებისაკენ, მშობლიური წარსულისკენ, უცხოეთის ლიტერატურისადმი ისევე დამახასიათებელია რომანტიზმისათვის, როგორც სწრაფვა უველა სხვა ეპოქისადმი, ადამიანის მოღვაწეობის უველა სფეროსადმი, სადაც მხოლოდ ნათლად გამოჩნდა სწრაფვა ხამყაროსთან ახალი კავშირის დამყარებისაკენ. რომანტიზმი ჩამოყალიბდა როგორც მსოფლიო სწრაფვა და, ბუნებრივია, გავრცელდა მთელ ხამყაროში.

რაც შეეხება „ქრისტიანულ რელიგიას“, მისკენ შემობრუნება მოხდება არა აღნიშნულ ხუთწლეულში, არამედ მოგვიანებით; იგი გამოწვეული იყო ახალი მიხტიკური გრძნობის ფილოსოფიური შეცნობით და არა პოლიტიკური რეაქციით, რომლის ერთგულებასაც მტრები საუვედურობდნენ რომანტიკოსებს, კათოლიციზმი მართლაც იქცა სამარედ რომანტიზმის ზოგიერთი წარმომადგენლისათვის. მათ ცხოვრებაში ტრაგედია მოხდა: ახალი ცხოვრების აშენების მიზნით მათ მხატვრულ შემოქმედებასთან კავშირის გაწყვეტა მოინდომეს და ძველი ცკლესიის უფსკრულში კი ჩაცვივდნენ. მთელი ტრაგედია ეს არ გახლდათ, ეს მხოლოდ მისი ხილული, მკაფიოდ დასანახი მხარეა. ნამდვილი ტრაგედია უფრო გამოუთქმელი და უფრო საშინელი იყო, მაგრამ ეს ცალკეული ადამიანების ტრაგედია იყო, რომელიც მაშინ მოხდა, როცა რომანტიზმს დასაბამი დაედო. დღეს უკვე მეტისმეტად კარგად არის გასაგები, რომ უველა მიმდინარეობა სხვა გზაზე იდგა. რომანტიზმის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ნოვალისი, წერდა: „ძველი სამღვდელოება კუბოში წევს, რომი მეორედ იქცა ნანგრევებად, ბოლოს და ბოლოს ნუთუ დრო არ არის, პროტესტანტიზმიც აღიგავოს მიწის პირიდან და ადგილი დაეთმოს ახალ ეკლესიას, რომელიც აღარ გაქცამტვერდება?“¹

აუცილებლად უნდა დავიხსოვოთ სახელდობრ ეს ხუთწლეული შემოქმედებითი აღწევების ეს ეპოქა. ტრაგედია მოგვიანებით გათამაშდა; დადგა შემოქმედების დაცემის დრო. დაიწყო ახალ გრძნობათა ოკეანის გამერჩება დასახული ამოცანები გამარტივდა და გაიოლდა. რომანტიზმის მტრები მრისხანედ დაეხსნენ თავს მის ეპიგონებს, რომლებსაც უკვე არც სურდათ, არც შეეძლოთ და არც ცდილობდნენ თავდაცვა. ეს ბოლო გარემოება უველაზე მნიშვნელოვანია: თუ ისინი მოიხურვებდნენ, შეძლებდნენ კიდევ რომანტიზმის დაცვას, რადგან თვითონ მისი საძირკვლის ჩამურღვლებზე ნიჭიერები იყვნენ. ისტორია გუფლუბვია ასეთი მაგალითებით: ეპიგონები ხშირად უფრო ნიჭიერები არიან, ვიდრე ფუძემდებლები. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ უველანაირი ტალანტი თავიდან ცეცხლითა და რკინით უნდა გამოიცადოს.

საქმე მაინც გაკეთდა: რომანტიზმმა მიიღო ნათლობა. სახელდობრ, სწორედ იენის წრე გვაძლევს უფლებას, რომანტიზმში, ვიწრო მნიშვნელობით, ვიგულისხმოთ იმ მოძრაობის ერთ-ერთი ეტაპი, რომელიც აღმოცენებულა და აღმოცენდება კაცობრიობის არსებობის უველა ეპოქაში. ახლა უკვე უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ მსოფლიო რომანტიზმზე, როგორც ცხოვრებისა და ხელოვნების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალაზე ევროპის მასშტაბით და და მის ფარგლებს გარეთაც, ყოველ დროში, დაწყებული პირველყოფილობიდან.

რომანტიზმი, თუ ავიღებთ ამ სიტყვას თავისი წმინდა სახით, შეექვსე გრძნობის პირობითი აღნიშვნაა: იგი სხვა არა არის რა, თუ არა საშუალება, მოახდინოს ადამიანის, როგორც კულტურული არსების, ორგანიზება, ააწყოს იგი სტიქიასთან ახლებური კავშირის საფუძველზე.

ადამიანი მარადიულად დაკავშირებულია ბუნებასთან, მის უველა სტიქიასთან. ის ებრძვის მას და თან უყვარს, სიყვარულითაც უყურებს და მტრობითაც. ეს არის რომანტიკული კავშირი სტიქიასთან.

ნიშანდობლივია, რომ სახელწოდება „რომანტიზმი“ სწორედ მაშინ იქნა წარმოთქმული, როცა სტიქია პირველად ახალ ისტორიაში ახლებურად გამოჩნდა სახალხო ამბოხების სახით. ახალმა სტიქიამ საშინელი ძალით დაჭროლა საფრანგეთის რევოლუციაში. აავსო ევროპა ძრწოლითა და უკეთურობით. ეს იყო თითქოსდა მეხუთე სტიქია. მასზე კულტურის პასუხი შეექვსე გრძნობა გახლდათ. რომანტიკული შეცნობა უნდა გამხდარიყო ტალღებზე მოქანავე კუნძული, რომელზედაც კულტურა ერთდროულად სტიქიის ერთგულიც იქნებოდა და მისი მღელვარე ტალღებისაგანაც დაცული. ნიშანდობლივი ის გახლავთ, რომ ეს ტალღები თვითონ არასოდეს დასხმიან თავს კულტურის კუნძულს. ისინი ხელყოფდნენ და ხელყოფენ მხოლოდ მოლაღატე-

¹ ნოვალისის სტატიადან „ქრისტიანობა ანუ ევროპა“ (1799). ბლოკს ეს ციტატა მოაქვს ვ. უირმუნსკის წიგნიდან „გერმანული რომანტიზმი და თანამედროვე მიხტიკა“. 1914. გვ. 128.

ებს. მისი საყრდენის გამოკმას და დანგრევას მხოლოდ მტრები ცდილობდნენ, მხოლოდ ისინი, ვისაც სურდა, რომ სტიქიას დაენგრია ეს კულტურა.

სხვათა შორის რომანტიკოსებმა წამოაყენეს ჩვენი ურთიერთობის უცნაურად მღვდელია დო- ლუნგი — „გადავარჩინოთ ბუნება“, დოლუნგი, რომელიც ახლოზელია ერთი ჩვენი თავგამოდ- ბული რომანტიკოსის — ვლადიმერ ხოლოვიოვიხათვის. ეს დოლუნგი ჩვენი ხელის უფრო განსაგები გახდება, ვინაიდან ვიცით, როგორი იყო რომანტიზმის ქრისტიანული მინიარსი და საბოლოო მიზნები.

ოქვენ იცით, რომ სწრაფვათა შესუსტება, სულიერი და მატერიალური სიძლიერის შემცი- რება ჩვენი ერთ-ერთი იმ მწარე ხვედრთაგანია, რომელთაც ადამის მოდგმა ვერ ახცილდება. კლდეზღობს სტიქიური მოძრაობაც; გადაჯვარებას იწყებს რევოლუციური მოძრაობა; სტიქია თითქოსდა კვლავ ოთხია და არა ხუთი; ჩვენ თითქმის უკვე აღარაფერი გვეშუქრება. ტალ- დები დამშვიდდა და აღარ გვათამაშებს მწვანე ქაფიან ქორორზე, რომელშიც შეიძლება და ხული შეგვგუბებოდა, თუმცადა მისი სიმაღლიდან შეიძლება შორი სივრცისთვის მოგვევ- ლო თვალი.

კლებულობს კულტურის სწრაფვაც. გუშინ ჩვენი ცხოვრება მკაფიო იყო რაღაც ახლით, შეექვსე გრძნობით, დღეს კი ისევ ხუთი გრძნობის ტყვეობაში ვართ. ჩვენი შემოქმედებითი სულიც იტანება, უძლურდება, კნინდება.

მაგრამ კლება კვლავ შეიცვლება მატებით. დიდ ფრანგულ რევოლუციას კვლდაკვალ მიბ- კვებიან 1830, 1848, 1870, 1917 წლები. ევროპაში საპასუხოდ კვლავ გაიღვიძებს ეს ახალი, თითქოსდა შეექვსე გრძნობა, ურომლისოდაც ტალღის მწვანე ქორიდან ვერაფერს დავინახავთ, ვინაიდან გავიგულებით მშობლიურ მომწვანო წყალში. ის დაგვატრიალებს და ჩავვითრევს „იქ, სადაც არ გვინდა“, — ფსკერზე.

ჩვენ ვეცემით, რაღაც გვაკლდება, ვიცვლებით იმიტომ, რომ ბავშვები ვართ და არ ვიცით იმ ცეცხლის გამოყენება, რომელიც ანთია თვითნებულ ჩვენთაგანში, არ შეგვიძლია გამოვიყე- ნოთ ეს ცეცხლი, ცეცხლი კი არსებობს, ოღონდ არ შეგვიძლია შევინარჩუნოთ იგი, ზოგჯერ ისიც არ ვიცით, როგორ ვიპოვოთ ეს ცეცხლი საკუთარ თავში. ადამიანმა-ბავშვმა არ იცის საკუთარი სადარაჟო ცეცხლის გაფრთხილება; ბავშვმა-ბრბომ არ იცის შენახვა, დაცვა ჭვარტ- ლისა და ჭუჭყისაგან იმ კოცონისა, რომელშიაც სურს ჩაბუგოს მხოლოდ ის, რაც კაცობრიო- ბის დიდ გზაზე სვლას აფერხებს.

ოდესმე ისწავლის ადამიანი ამას, ისწავლის ბრბოც. ამას როდია, რომ ევროპა აი, უკვე ასი წელია არ გამოდის ამ საშინელი სკოლიდან. ამას როდია, რომ ამჟამად თვითნებული ჩვენთაგანი იღებს ისტორიის შემადრწუნებელ გაკვეთილებს.

რომანტიზმსაც სურდა ქცეულიყო ასეთ სკოლად, ეს ახლაც სურს. მას უფრო მეტი რამ ავალია, ვიდრე თავისი ცალკეული წარმომადგენლების დაცემა და ღალატი.

ამრიგად რომანტიზმი ქერქერობით გაუმადლარი მისწრაფებაა — იცხოვროს გათ- მაგებულად ცხოვრებით, მისწრაფებაა — შექმნას ახეთი ცხოვრება. რომანტიზმი არის სული, რომელიც ამოხჩქეფს ყველანაირი გაყინული ფორმიდან და ბოლოს და ბოლოს აფეთქებს მას. რომანტიზმია პირველყოფილი ადამიანის ცნობისმოყვარეობის პირველ გამოვლინებაში, ხასი- ხარულად წამოძახილში პირველად გამოგონილი იარაღის გამო. რომანტიზმია აღმოსავლურ კულ- ტურებში და მისტერიებში. რომანტიზმია ქრისტიანობაშიც, რომელმაც გაარღვია, დაანგრია რომის ციხე-სიმაგრეების ბურჭები. ის არის უძველეს ბრძენ ფილოსოფოსთა მოძღვრებებ- ში — გილოზისტებისა და პლატონის მოძღვრებაში, იგია შუა საუკუნეთა მისწრაფებაშიც, შუა- რყოს უმეცრებით მოცული ფორმები იმავე ქრისტიანობისა, რომელსაც ოდესღაც თვითონვე ქმნიდა; ის სუფევს დიად აღმოჩენათა სულშიც, რომელმაც მოამზადა რენესანსი; ის გვხვდება შექსპირისა და სერვანტესის შემოქმედებაშიც, ყოველგვარი მოძრაობის წინააღმდეგ რომ ილაშქრებს, როცა ეს მოძღვრება ჰკარგავს სიცოცხლისუნარიანობას და მკვდარ ინერციად იქ- ცევა; რომანტიზმი არის აჭანყება მატერიალიზმისა და პოზიტივიზმის წინააღმდეგ, გარეგნუ- ლად როგორი მძაფრი ფორმებისაც უნდა იყოს ისინი; ის არის მუდმივი სწრაფვა, კადამიანთა ისტორიას რომ მსჭვალავს, რადგან ერთადერთი ხსნა კულტურისათვის ეს გახლდათ ყოფნა იმავე დაუდევარ მოძრაობაში, როგორშიც იმყოფება სტიქია.

სწორედ რომანტიზმია ის კულტურა, რომელიც იმყოფება სტიქიასთან შეუწლებელ ბრძოლაში; ამ ბრძოლაში ის უმტკიცებს საკუთარ მტერს: „მძულხარ იმიტომ, რომ ძალიან

მიუვარხარ, გებრძვი იმითომ, რომ მენატრები იხვევი, როგორც შენ გენატრები, მსურს გადაგარ-
ჩინო და მაშინ, უხაყვარლესო, ჩემი იქნები“.



კიდევ უფრო დავუახლოვდებით რომანტიზმს, თუ განვსაზღვრავთ იმ მემკვიდრეობას, რომელიც მის საწინააღმდეგოდ ითვლება, ესე იგი კლასიციზმს. კლასიციზმი უფროსად არ უპირისპირდება რომანტიზმს, ის მხოლოდ აუცილებელი მდგომარეობაა სიმშვიდისა, სტიქიის დაუფლების დროებითი უარყოფა, ხანმოკლე და ნათელი შეხვედრა სწრაფისა და ბრძოლის გზაზე, რომელიც ამის გამო არ წყდება. ხომ არ შეიძლება ასევე ბრძოლის შეწყვეტა ვუწოდოთ წუთს, როცა გაწამებული მებრძოლები ოფლს იწმენდენ და ასვენებენ ხბეულს, თან ამზადებენ კუნთებს ახალი მებრძოლებისათვის.

არა უოველგვარ სიმშვიდეს, არამედ მხოლოდ გამორჩეულ სიმშვიდეს შეიძლება ვუწოდოთ კლასიციზმი. მაგალითად, ამ სახელით არ იწოდება აღმოსავლეთის მონარქიისა ან ბიზანტიის სახელმწიფოებრივ ფორმათა გაქვავებულობა იმითომ, რომ ახეთი გარეგანი გაქვავებულობის უკან გამოუდგებიან მძვინვარებს შებლა-შემოხლა და ინტრიგები, წარმოებს უველაზე ველური, უველაზე გაწაფული და დასრულებული, წმინდა რომანტიკული თავგადასვლებით სავსე ბრძოლები.

კლასიციზმის ცნებას სიამოვნებით ვუკავშირებთ ძველი საბერძნეთის V საუკუნისა და საფრანგეთის XVII საუკუნის, ანუ დიდი ტრაგიკოსებისა და ფრანგული კლასიკური თეატრის ეპოქას. მაგრამ ამასთანავე ვიცით, რომ უხკილეს ტრაგედიებში მეტისმეტად ბევრია სტიქიური ხაწყისი, რომ ვერძიდე თითქმის უკვე მთლიანად გამსჭვალულია იმ წუხილითა და უგუნურებით, რომლებიც თანდაყოლილია რომანტიზმისათვის, რომ მოლიერის „დონ-ჟუანში“ უფრო ბევრი რამაა რომანტიკული, ვიდრე თვით ზოგიერთი ფრანგი რომანტიკოსის ნაწარმოებებში.

ამ მწერალთა მთელ შემოქმედებაშიც კი კლასიციზმი მხოლოდ ხანმოკლე გაულვებაა, მსგავსი იმ წუთისა, როცა ჩამავალი მზის სხივები უეტრად გაანათებს მშვიდი შუქით მუხებისა და ფიჭვების კენწეროებს, მომდევნო წუთში კი ღამე ისადგურებს და მთელი ღამე ქარიშხალი მძვინვარებს.

ახე გაუჩინარდა საბერძნეთ-სპარსეთის ომების უფსკრულში კლასიკური ტრაგედიების საუკუნე. უკანასკნელი ანტიკური ტრაგიკოსი უკვე წინასწარმეტყველებს საღრმთო უგუნურებაში, მსგავსად წინასწარმეტყველ სიბილასი. ფრანგული კლასიკური ტრაგედიების საუკუნე დასრულდა მთელი ერის საშინელი სულიერი გადატაცებით. უმაღლესი წებრივის იდეებისადმი უხსოვარი დროიდან ზიზღისა და საღი აზრისადმი თავდასარი მიდრეკილებას გამო ფრანგები თვითკმაყოფილებით აღიარებდნენ საკუთარ გადატაცებას, მაგრამ მას მთელ ბუნებას აწერდნენ. ახე იყო იმ დრომდე, ხანამ მათ წინაშე რევოლუციის უფსკრული არ გადაიშალა, რომელმაც ისინი ძალით იმავე რომანტიკული გზით გაიტყა.

ამრიგად, კლასიციზმი მხოლოდ დიადი წამია სიმშვიდისა, რომელმაც საკუთარი თავს აბოგა. თუ სიმშვიდე დიდხანს გაგრძელდა, კლასიციზმი თანდათან აწყუბს გადაგვარებას, ფხვედო-კლასიციზმად იქცევა და იღუპება იმ სტიქიათა დაწოლას გამო, რომლებიც რომანტიზმთან კავშირში მოქმედებენ.

თუ ახლა თეატრს მივმართავთ, დავინახავთ, რომ XIX საუკუნის რომანტიკოსები უველაზე მეტად ამ დარგისაკენ ისწრაფოდნენ და უველაზე მეტ წარუმატებლობასაც ამ გზაზე განიცდიდნენ. უპირველეს უოვლისა, თეატრისაკენ მათ ატაცებდათ ხელოვნების სხვადასხვა დარგების გაერთიანების შესაძლებლობა, რაზეც მუდამ ოცნებობდნენ; სხვათა შორის პოეტის შეერთება მუსიკასთან, ანუ მუსიკალური დრამა, იგივე რომანტიზმის კმნილებაა — გლუჟის გავლით ვაგნერისაკენ.

მაგრამ თეატრში უოველთვის ძნელი იყო ძველ ტრადიციებზე გამარჯვება იმითომ, რომ ავტორებს, მსახიობებს, მაყურებლებს ერთნაირი მიდრეკილება აქვთ კონსერვატიზმისაკენ, წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული ადათ-წებებისაკენ, რასაც თვით თეატრის აღნაგობა — მისი სტენა და დეკორაციები განაპირობებენ. ამიტომაც თეატრში ბევრად უფრო მტკიცედ და სწრაფად დამკვიდრდა ნატურალიზმი, რომელიც მუდამ უჩიოდა რომანტიზმს, თუმცა მისგან უმდგომ ბევრით გახდა დავალებული.

რეალიზმს სტენაზე აქვს მიდრეკილება, გადააწარდოს ნატურალიზმში იმ საბაბით, რომ კემმარტი რე-ლიზმი მდგომარეობს არა ბუნების უბრალო წამბამვედობაში, არამედ, ბუნების გარდაქმნაში; ესე იგი კემმარტი რეალიზმი — ეს რომანტიზმის მემკვიდრეა, მისი იდეა-ლი სუაღია.

აქამომდე თეატრისათვის სრულიად უცნობია სიმბოლიზმის სტიქია, რომელიც რომანტიზმთან სხვა მიმდინარეობათაგან უველაზე ღრმადაა დაკავშირებული.

უველაფერმა ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ ნამდვილი რომანტიკული ტრადიციები ევროპულ თეატრში აქამდე არ არსებობს. რომანტიკული თეატრი აღმოცენდება ხანაჲ, ხან აქ და უთმობს თავის ადგილს სხვას, ვინაიდან ვერ ასწრებს საკუთარი გამოცდილების დაგროვებას. ამიტომ მსახიობებს, რომლებმაც რომანტიკულ თეატრს შეხწირეს თავი, ბევრ რამეში საქმის თავიდან დაწყება უხდებათ. მაგრამ მაინც აუცილებელია ადრინდელი გაფანტული გამოცდილების შეგროება, რაც იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო საგანი იმ სტუდიაში, რომლის დაარსებასაც ვფიქრობთ.

უველაფერ იშისაგან, რაც მსურდა რომანტიზმის არსის შესახებ შეთქვა, მგონია, თეატრისათვის თავისთავად გამომდინარეობს შემდეგი პრაქტიკული დასკვნები: რომანტიკული თეატრი ემსახურება ცხოვრების იმ გაათმაგებულ გრძნობას, რომელიც ხაერთოდ რომანტიზმს ახახიათებს. ბუნებრივია, აქ საჭიროა უფრო მეტად გამომსახველი, მეტის მომცველი და მახისათვის მეტად შეტყველი უესტები. ხაეირთა ისწავლო ჩაწვდომა მთელ ეპოქაში, რადგან უოველგვარ რომანტიკულ ნაწარმოებში მოქცეულია საკაცობრიო გრძნობა, როგორც მთელი კაცობრიობის ურთიერთთავდებობის გრძნობა. ასე, მაგალითად, მშვენიერი და ძალზე მართებულია დონ კარლოსისა და მარკიზ პოზას თანამეგობრობის გამომსახველი ჭკუფი, რომლებიც ქოთქოს ერთი გრაციოზული უესტით დებენ დიად ფიცს, იბრძოლონ მთელი კაცობრიობისათვის.

აქ საჭიროა განსაკუთრებული წაკითხვა, განსაკუთრებულად ამადლებული კტონი, თუშცა იგი რეალიზმს არ უნდა დასცილდეს, რამეთუ კეშმარიტი რეალიზმი დიადი რეალიზმია, დიადი სტილის რეალიზმია და იგი თვით რომანტიზმის გულისგულია; ამიტომ ეს ამადლებული წაკითხვა არ უნდა გადაიქცეს ცივ და უსულს დეკლამაციად, რომელიც ასე იოლად ეუფლებათ ფრანგული სკოლის მსახიობებს, რომლებიც ეროვნული თვისებების გამო უველაზე უფრო მეტად დაშორებულნი არიან რომანტიზმისაგან.

და ბოლოს, საჭიროა ისწავლო ლექსების უზადო და მუსიკალური კითხვა, რადგან ლექსის მუსიკით რომანტიკოსები გამოხატავენ კულტურის მარმონიას. ლექსი რომანტიზმის დროშაა და საჭიროა ეს დროშა შტაცედ და მაღლა გვეჭიროს.





„დაო დე ძინის“ ქართული თარგმანი

თანამედროვე დასავლელი მოაზროვნეები ხშირად ლაპარაკობენ იმაზე, რომ ადამიანი დაკარგა სული, რომ სულიერ პლანში იგი გადატაკდა, რომ მსოფლიოს ტექნიკაციის შედეგად ადამიანი კარგავს პირწმინდად ადამიანურ სუბსტანციას, რაც კაცობრიული არსებობის კრიზისს მოახწავებს.

ასეთ სიტუაციაში მოაზროვნე ადამიანების უურადღების ცენტრში უკვეა ე. წ. „დერძის ხანა“, რომელიც თავის თავში აერთიანებს დაახლოებით 2000 წლის წინათ ევროპაში, ინდოეთსა და ჩინეთში მიმდინარე სულიერ პროცესებს. ამ ეპოქის ხამივე კულტურაში სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ადამიანი მთლიანობაში იაზრებს თავის უოფიერებას, თავის თავსა და თავის საზღვრებს. ერთი ფილოსოფოსის თქმით, ადამიანი იწყებს იმის გაგებას, რომ მსოფლიო საშინელია, ბოლო თავად იგი უძლურია. იგი სვამს რადიკალურ კითხვებს, უფსკრულის პირას მდგომი ხსნისა და განთავისუფლებისაკენ ისწრაფვის... ცნობიერებამ მოინდომა ცნობიერების შეცნობა, აზროვნება მიმართულ იქნა აზროვნებაზე. ამ პერიოდში დადგინდა ძირითადი კატეგორიები, რომლებითაც ჩვენ დღემდე ვხელმძღვანელობთ. ამავე პერიოდში შეიქმნა საწყისები მსოფლიო რელიგიებისა. ამ დროს მოხდა გადაწყვეტი გარღვევა უნივერსალურისაკენ; ეს არის მობრუნების მომენტი მსოფლიო ისტორიისა.

ჩინეთში ეს არის ხანა ლაო-ძისა და კონფუციუსისა, ინდოეთში უპანიშადებისა და ბუდასი. ირანში ეს ზარატუსტრას კეთილსა და ბორატს შორის ბრძოლის მსოფლიო მორალის ხანაა, პალესტინაში — ებრაელი წინასწარმეტყველებისა, და ბოლოს, საბერძნეთში ეს არის ხანა პერაკლიტესი და პლატონისა, ორფიკებისა და ტრაგიკოსებისა. ეს „დერძული ეპოქა“ განსაგანსაზღვრავს მსოფლიო ისტორიის მთელ სტრუქტურას.

ცნება „დერძის ეპოქა“ გვხვდება სხვა მოაზროვნეებთანაც (უელსი, პანს ფრეიერი, ალფრედ ვებერი).

„მას შემდეგ, რაც ევროპა გაეცნო ლაო-ძის თხზულებას (XVII-XVIII) უმაღლეს აღიარა ერთ-ერთ დიდ წიგნად მსოფლიოს ფილოსოფიურ და რელიგიურ წიგნებს შორის, იგი უველია კულტურულ ენაზე ითარგმნა, დღეს კი გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე მისი ათობით თარგმანი და გამოცემა არსებობს. არ გამოჩენილა ევროპაში ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მოაზროვნე ან მწერალი, მისი უურადღების არეში „დაო დე ძინი“ და მისი ნახევრად ლეგენდარული შემოქმედის რომ არ მოქცეულიყოს. ერთ-ერთი ლეგ ტოლსტოი გახლდათ. მან დიდი დრო და ენერჯია შეაღია ლაო-ძის მოძღვრების რუსეთში გავრცელებას და „დაო დე ძინის“ რუსულად თარგმანს საქმეს.

ოცდასამი საუკუნეა, რაც იკვლიდენ და სწავლობენ ამ წიგნს. ჩინეთში არსებობს ბიბლიოთეკა, სადაც მხოლოდ „დაო დე ძინისადმი“ მიძღვნილი ათასობით ტომია დაცული. ეს იმაზე სიტყვებებს, თუ რა დიდი წვლილი შეძლება შეიტანოს მან უოველი ერის აზროვნებასა და კულტურაში. მისი აზრის სიღრმე და რელიგიური სულის სიწმინდე, მისი ეთიკური მაქსიმები და აფორიზმები მარადიულის თანამდევია კულტურული კაცობრიობისა. სწორედ ამ შეგნებით იყო ნაკარნახევი მისი ქართულ ენაზე თარგმნის აუცილებლობა“.

„დაო დე ძინია“ ის ძირი და საფუძველი, რაზეც აღმოცენდა დაოსური რელიგია და ფალოსოფია, რაც აგერ 25 საუკუნეა ცოცხლობს ჩინეთში“.

„აღბათ არ მოიძებნება რომელიმე აღიარებული რელიგია, — აცხადებს დუგლასი, — რომელიც ასეთ პატარა საძირკედს ეფუძნებოდეს, როგორც „დაო დე ძინია“. ფართოდ გავრცელებული დაოსურა ლიტერატურაა, სადაც თავს იყრის მთელი თანამედროვე დაოსიში, პირველხანად ჩაისახა გადმოცემიერებულ პირამიდის მსგავს ციკქნა წიგნში“.

„... კატროვა: „დაო დე ძინი“ წარმოადგენს საუკეთესო ძეგლს ქველჩინურ ფილო-

სოფიური აზრისა და აზროვნების სიღრმით იმხახურებს აღიარებას არა მხოლოდ ჩინურ, არამედ მსოფლიო ფილოსოფიაშიც."

რ. ვილკელში: „მთლიანად წიგნი შეიძლება ჩაითვალოს მისტიკისა და მეტაფიზიკის ნიმუშად, ხოლო ლაო ძი ერთ-ერთ უდიდეს მისტიკოსად კაცობრიობის ისტორიაში“

რემიუზა (ფრანგი ფილოსოფოსი): „ლაო ძი არ ჩამოუვარდება მისტიკისა და მეტაფიზიკის თუნდაც სტილის სირთულით... მისი ამალღებული თვალსაზრისები უმეტეს შემთხვევებში და ფრიად მნიშვნელოვან მსგავსებას იმ მოძღვრებებთან, რომლებიც ცოტა მოგვიანებით ჩამოაყალიბეს პითაგორას და პლატონის სკოლებმა“.

მეგელი: „ჩინელებს მყავდათ ადამიანები, რომლებიც შეპყრობილნი იყვნენ საგანთა არსის შინაგანი წვდომით, ასეთია სექტა ლაო... მეგელი აქ, როგორც მართებულად დასძენს ლ. ალიმონაკი, უთუოდ „ლაო დე ძინს“ და მის ნახევრად მითიურ ავტორს გულისხმობს.

დ. კონისი: „ლაო ძის მიერ განვითარებული მეტაფიზიკური სისტემა წარმოადგენს მოძღვრებას ერთიან უმალღეს არსებაზე, მსგავსად ბერძნული ფილოსოფიისა... მაგრამ ლაო ძის უპირატესობა ის არის, რომ მან ერთმა შექმნა მოძღვრება, რა წერტილამდეც ბერძნები მხოლოდ ერთიანი ძალითა და ისტორიული განვითარებით მივიდნენ“.

ვერმან მესე: „რაც შეეხება ლაო ძის, უკვე მრავალი წელია ჩემთვის ის ყველაზე ბრძნული და სიხარულის მომნიჭებელი წიგნია. სიტყვა „ლაო“ ჩემთვის საერთოდ სიბრძნის განსახიფრებაა“.

„ლაო დე ძინში“ ცნება დაო იძენს მკვეთრად გამოხატულ ონტოლოგიურ შინაარსს, სამყაროს არსის, სამყაროს პირველმიზეზის მნიშვნელობით... დაო გვეცხადება როგორც უპიროვნო, უსახო დასაბამი, ბუნებამდელი არსი, წარმონშობი უოფიერებისა. სამყაროს ეს მარადიული და უცვალდებელი პირველსაწყისი, უღიადესი და უოვლისდამტევი დასაბამი მხოლოდ თვითშობრობის საკუთარ კანონებს ემორჩილება. ჯუან-ძის თქმით, დაო „ძირი და დასაბამია თავისივე თავისა“. ეს არის აბსოლუტური დასაბამი, უოვლის პირველმიზეზი, უოფიერების ძირი. დაო გვაა, რაზეც მიეძინება მთელი ორგანული და არაორგანული სამყარო იგი ბუნების საყოველთაო ობიექტური კანონზომიერებაა. ის არის ყველაფერი და არაფერი, რაობა და არა-რაობა. მისი შედარება არაფერთან არ შეიძლება. დაო სიტყვით არ გამოითქმის. იგი დაფარულია, განუსაზღვრელი და განუმარტავი. მასზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ უარყოფის აღმნიშვნელი ეპითეტებით: არარსებული, არაცხადიერი, დაუსაზღვრავი და ა. შ. ისევე, როგორც ამას აკეთებს დიონისე არეოპაგელი. ამავე დროს, დაო ფარული მდგომარეობიდან გადადის ცხადიერ არსებობაში, არარსებობიდან არსებობაში, არყოფნიდან უოფიერებაში, და მაშასადამე განისაზღვრება აპოფატეკურად, ასევე კატაფატეკურად. ამ აზრით, მას ბევრი აქვს საერთო გვიანანტიკურ მისტიკასთან, ამოდ არ აღიარებდა ვლადიმერ სოლოვიოვი ლაო-ძის „უვითელი რასის უდიდეს და, შესაძლოა, ერთადერთ უბრძნეს ფილოსოფოსად“. არქ. ზრისანფის აზრით, „სამყარო არის დაოს გამოვლენა მის ხილვად უოფიერებაში, მაგრამ კემშარიტი არსებობა ხილვადი უოფიერების უარყოფაში მდგომარეობს. ლაო-ძი აღიარებს ასკეტიზმს, რაკი ასკეტიზმია გვა მარადიულ დაოსთან შეერთებისა. გონებადაუნჯებელი ადამიანი თავისუფლდება უოფიერების ზელმწიფებისაგან და შეერწყმის დაოს.

„ლაო დე ძინის“ 54-ე თავში ლაო ძი კითხულობს: „ხოლო ვით შევიცნო რანაირია სამყარო? მხოლოდ და მხოლოდ დაოს წყალობით. შეიცან დაო და შეიცნობ სამყაროს“. მაგრამ როგორ უნდა შევიცნოთ დაო? საქმე იმაშია, რომ დაო ჩვენი არსების სიღრმეშია დავანებული ისევე, როგორც ყველგან და ყველა არსში, და მხოლოდ ჩვენში დავანებული დაოს შეცნობა შეგვიძლია ჩვენ. აქ ლაპარაკია სუბიექტისა და ობიექტის იგივეობაზე ანუ მიკროკოსმისა და მაკროკოსმის ურთიერთკავშირსა და იგივეობაზე. წიგნში „რა არის სიცოცხლე ფიზიკოსის თვალსაზრისით“ ერვინ შრამოდინგერი შენიშნავს: დასავლურ მისტიკაში არსებული შეხედულება სუბიექტისა და ობიექტის იგივეობისა არახალია. როგორც ვიცო, მისი ყველაზე აღრული ხსენება მისი წელს მაინც ითვლის, მეტს თუ არა. უძველესი დიადი უპანიშადებიდან დაწყებული, წარმოდგენას იმაზე, რომ „ატმანი“ უდრის „ბრამმანს“ (ე. ი. რომ პიროვნული ინდივიდუალური ხული — უოვლისმომცველი მარადიული ხულის ბადალია), ინდურ ფილოსოფიაში არამცთუ შერეხელობად არ მიიჩნევდნენ, არამედ, ყველა აზრთა შორის უდიადესი აზრი უდრმესი განკვერტის კონტენსეციად ითვლებოდა“.

ეს აზრი პლატონამდე იყო ცნობილი როგორც ინდოეთში ასევე ჩინეთში: „შეიცან დაო და შეიცნობ სამყაროს“... და რაკი დაო, — განმარტავს მთარგმნელი, — ჩვენშივე, ჩასახლებული და მისი წვდომა ჩვენშივეა საძიებელი და არა გარესამყაროში, ამიტომ უნდა შევიცნოთ პირველ

რიგში ჩვენზე საკუთარი შინაგანი სამყარო, ჩვენსავე ხულიერ არსში უნდა დავეფუფლოთ დაოს. (გვ. 100). რომენ როლანი ამის თაობაზე გვეუბნება: „შინაგანი ფსიქიკური არსების კანონები, აუცილებლობის გამო, რეალური გარე სამყაროს კანონების იდენტურია და თუკი თქვენ ისწავლით პირველის წაკითხვას, სრული ხაფუშველი გექნებათ მოელოდეთ, რომ მასში დადასტურებას (ან წინათგრძობას) ნახავთ იმისას, რაც წაიკითხეთ ან რაღაც წინაგანსწავლით მეორეში. როცა მე ვკითხულობ დაო ძის ღრმა აზრს — „ბორბალი რცხვით“ ხელქუჩის ხედვისგან შედგება, მაგრამ იგი მორგვის გულში მოქცეული სიცარიელის მეშვეობით ტრიალებსო“, მე ვფიქრობ ასტრონომიული მეცნიერების მიერ ამჟამად მიკვლეულ იმ უახლეს ბიპოტეზებზე, რომელთა მიხედვით აურაცხელი გალაქტიკების კერებს კოსმოსური სიცარიელის უფსკრულები წარმოშობენ.. როგორ გგონიათ, მოუვიდოდა დაო ძის ასეთი აზრი, გულში რომ იდუმალად არ შქონოდა აღბეჭდილი უნივერსალური კოსმოსური სუბსტანციის ფორმები და მისი უცნაური კანონები? ბიპოტეზაა, — იტყვიოთ თქვენ — არც მეტი, არც ნაკლები, ვიდრე უველაზე საიმედო და ნაყოფიერი მეცნიერული ბიპოტეზები. მას ლოგიკურადაც დაეჭვება, რადგანაც სამყაროს კანონების მკაცრ ეკონომიას ეპასუხება და მათ ბუნებრივ მარმონიას ესადაგება“.

და მართლაც, ურთიერთშეგვებითობის მოვლენების აღმოჩენამ, — გვეუბნება რობერტ ოპენჰეიმერი, — რაც სხვადასხვა მეცნიერული ექსპერიმენტების მონაცემთა სინთეზირების საშუალებას გვაძლევს, — იმ აზრამდე მიგვიყვანა, რომ არსებობს ანალოგია მეცნიერულ ტრადიციასა და აღმოსავლური ფილოსოფიის დიად ტრადიციას, კერძოდ, დაო-ძისა და ბუდას მოძღვრებას შორის.

ვნახოთ, ეს დიად მნიშვნელოვანი შეგონება ღერო ალიმონაკის თარგმანში: „ოცდაათი მანა ერთ მორგვე ბრუნავს. მაგრამ ბორბლის არსს მორგვეში მოქცეული სიცარიელე შქმის... ჭურჭელს თიხისგან ამზადებენ, მაგრამ ჭურჭლის არსს მასში მოქცეული სიცარიელე შქმის... ჭეშმარიტად, ვინცა შეიცნო უოფიერი, ვითარცა სავსება და ხილვადი, მანვე შეიცნო არყოფნა, ვითარცა სიცარიელე და უხილვადი“.

რატომ არის ხაზგასმული „სიცარიელე“? იმიტომ, რომ დაო სიცარიელეში იშვა და თავად არის სიცარიელე. სიცარიელეა კოსმოსური მარადიული წრებრუნვის ადგილსამყოფელი...

„დაო ცარიელია. ცარიელია, მაგრამ ამოვლინებისას ამოუღვეელია“... რ. რონის ანალოგიას რომ გავუვდეთ, ეს პირდაპირ მეტაგალაქტიკის სურათია, სადაც აურაცხო გალაქტიკები სინათლის სხივის სისწრაფით შორდებიან ერთმანეთს.

აი, ასეთი ღრმა აზრია გაცხადებული „დაო დე ძინის“ XI ლექსში.

„დაო დე ძინში“ ცნება დე ორი ძირითადი მნიშვნელობით ვლინდება. ფართო მნიშვნელობით იგი აღნიშნავს დაოს ძირითად თვისებებს, ხოლო ვიწრო მნიშვნელობით ადამიანის სათნოების განმსაზღვრელი ცნებაა, ეთიკური და ზნეობრივი კატეგორიაა. დაო, როგორც აბსოლუტური არყოფნა, ცხადდება და შეიმეცნება გამოვლინების ანუ დეს მეშვეობით. დაო შობს უოველივეს, მაგრამ უოველი დეს მეშვეობით ვლინდება, ვითარცა სახე. დე უმაღლესი სათნოება და დაოს წვდომის სახიერი ფორმაა. თავიანთ ქმედებაში დაო და დე მუდმივ და განუყოფელ კავშირში არიან. ამავე ღროს, დე არის დაოს შედეგი.

ღერი ალიმონაკი დეს უსადაგებს ბრაჰმანთა მოძღვრების „სიტყვას“ ანუ „ვაკს“. მას მოაქვს მიუღერის აზრი იმის შესახებ, რომ ვედების შედგენამდე ცნება ბრაჰმანს „სიტყვის“ მნიშვნელობა შქონდა. იგი ერთმანეთთან აკავშირებს ბრაჰმან-ატმანს და „დაო-დე“ წვეილეულებს იმის საფუძველზე, რომ მათ შორის ანალოგიური მიმართებებია. დე ინდივიდში გამოვლენილი დაოა. ხოლო დაო — სათნოებისა და ზნეობრივი სრულქმნის დასაბამია ისევე, როგორც ატმანია ბრაჰმანის კერძო გამოვლინება. ბერძნულ სამყაროსთან, კერძოდ, ალექსანდრიულ მისტიკასთან მიმართებაში იგი ფილონის ლოგოსთან ანალოგებს დეს ცნებას. „ლოგოსი ღმერთის გაცხადებული სახეა, უხილავი და დაფარული ღმერთის სახიერი გამოვლინებაა, რაც ასხეულებს უოველ არსს და აწესრიგებს სამყაროს ნივთიერ ქმედებას. ასევეა დეც. იგი კონკრეტული ასახვაა უხილავი და დაფარული დაოსი, მისი ნივთიერი გამოვლინებაა, რაც „ხორც-ქმნის უოველ არსს“... თუკი ლოგოსს გავიაზრებთ როგორც ქრისტეს, მაშინ ქრისტეს იდეა შეიძლება დავინახოთ დაო-ძის დეს ცნებაში, იმ დეს ცნებაში, რაც განასრულებს და განაცხადებს დასაბამიერ დაოს შინაგან ძვრებას და კანონებს“. (გვ. 168)

დაოიზმსა და ქრისტიანობას შორის პარალელების ძიება არაფერს უცნაურს არ შეიცავს. ტოლსტოის აზრით, „დაო-ძის მოძღვრების ძირი იგივეა რაც უველა დიდი, ჭეშმარიტი რელიგიური მოძღვრებისა“ (248). მეტიც, მისივე თქმით, „დაო-ძის მოძღვრების არსი იგივეა, რაც

ქრისტიანული მოძღვრების არსი" (250). ჰერმან მესე აღნიშნავს, როგორ იყო გატაცებული მამამისი ლაო-ძით, რომელსაც ხშირად ადარებდა ქრისტეს.

ღერი აღიშონაკს მოაქვს უაღრესად ხაინტერესო პარალელები სახარებიდან და „დაო დე ძინიდან“, მაგალითად:

მათე: ხოლო რომელმან აღიშალა თავი თვისი, და მდაბლდეს. და რომელმან დაიშაბლოს თავი თვისი, იგი აშალდეს (28,12).

ლაო-ძი: კაცნი დიადობენ, ოდეს მდაბლდებიან. და მდაბლდებიან ოდეს დიადობენ (42).

ლუკა: ჰრქვა მას იესო: შელთა ხვრელი უჩნს და ფრინველთა ცისათა ხყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქვს სადა თავი მიიდრიკოს (9,58). ლაო-ძი: უველა ხარობს, საზეიმოდ წვეულან თითქოს... მე ერთი ვარ მშვიდად და უჩინრად... ო. დამაშვრალო უაღაგოვი სად არს აღაგი განსასვენები! მე ვსრბი სოფლიურ სივრცეში უსასთუმლო და უნავსაყუდლო (20,38).

შესაძლოა, ვცდებოდეთ, მაგრამ მეჩვენება, რომ ბოლო მაგალითში ისევ, როგორც ზოგიერთ სხვაშიც, ანალოგია უფრო ზედაპირულია, ვიდრე არსებითი, ვინაიდან „სოფლიურ სივრცეში“, ე. ი. კოსმიურ სივრცეში სრბოლა „უსასთუმლოდ და უნავსაყუდლოდ“ კონტექსტის მიხედვით დაოსისათვის მიზნისმიერი საქმეა (გვ. 278), მაშინ როცა იესოს სიტყვებში ღრამატიზში გამოსჭვავის. მე ვფიქრობ, აქ ერთგვარი სიფრთხილეა საჭირო, განსაკუთრებით: იმ პარალელებში, სადაც ორი შესადარებელი რელიგიის არსია გადმოცემული.

„წიგნი ზვისა და ხათნობისა“, იგივე „დაო დე ძინი“, სრულიად განსაკუთრებული ძეგლია ძველჩინური ლიტერატურისა, იგი რიტმულად ორგანიზებული აფორისტული პროზაა. რაც საუკუნეთა მანძილზე თავისი მხატვრული ღირსებებით უბადლო ობზულებად ითვლება (რიტინი) თავისი დახვეწილი სტრუქტურისა და უაღრესად რაფინირებული ფორმის გამო იგი ახალ და ორიგინალურ მოვლენად არის მიჩნეული ძველჩინურ ფილოსოფიაში. „დაო დე ძინისათვის“ დამახასიათებელია სინტაქსური პარალელები, აზრობრივი ვარიაციები, სტრუქტურულ ერთეულთა მონაცვლეობა. ტექსტი აღბეჭდილია ლაკონიზმით და აზრის რიტმული მსვლელობით. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ეს არის უაღრესად ნატიფი ნაწარმოები, რომელიც უღრმესი აზრი უნატიფეს ფორმასთან არის შერწყმული.

ჩვეულებრივ, „დაო დე ძინს“ სინოლოგები თარგმნიან. თვითონ ჩინეთში ამ ენას, ე. ი. ძველჩინურს ჩინელებიც ისევე სწავლობენ როგორც არაჩინელები.* მაგრამ მარტო ძველჩინურის თუნდაც ღრმა შესწავლა ვერ შევლის საქმეს. ასეთი ტექსტი შეიძლება თარგმნოს მხოლოდ ძველჩინურ რელიგიასა და ფილოსოფიაში განსწავლულმა კაცმა. მაგალითად, რუსულად „დაო დე ძინი“ თარგმნა მოსკოვის მკვიდრმა, ჩინური ფილოსოფიის ცნობილმა მკვლევარმა იან ზინ შუნმა. ეს თარგმანი, როგორც თვითონ ზინ შუნი გვაუწყებს, გამოირჩევა უველა გვროპული თარგმანისაგან იმით, რომ თარგმანისას გათვალისწინებულია ფუძემდებლური იდეები, რითაც განსჭვალულია ტექსტი, მაგრამ როგორც მოსკოველმა სპეციალისტებმა განაცხადეს, ეს თარგმანი მოკლებულია მალალ პოეტურ-მხატვრულ ღირსებებს. რაც შეეხება „ფუძემდებლურ იდეებს“, ისინი გადმოცემულია ტერმინებით, ცნებებითა და დებულებებით, რომლებიც ურთიერთისაგან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან. ასე რომ ე. წ. „ზუსტი“ თარგმანი აქ გამორიცხებულია.

ღერი აღიშონაკი თავის კომენტარებში ერთ შეტად ხაინტერესო ამბავს გვაშცნობს. სინოლოგ ე. ხ. სპირინს თავის წიგნში განუბილავს „დაო დე ძინის“ თარგმნის მეთოდური პრინციპები, სადაც აღუნიშნავს: არსებობს აზრი, რომ ამ სპეციფიკური ტექსტის საწვდომად აუცილებელია განთავისუფლდეთ დისკუსიურ-ინტელექტუალური განხილვისაგან და გავწაფოთ ჩვენი ინტუიცია რელიგიურ-მისტიკური თვალსაზრისით; რომ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ტექსტთან ინტუიციაური შერწყმა, ვიდრე მისი პედანტური ჩბრეკა. „დაო დე ძინი“ ისეთი სტილური ბუნებისაა, რომ მას ვერ შეიმეცნებ განხილვის მეშვეობით. იგი აღაგზნებს გონებას და პოეტური ხილვების მეშვეობით იპყრობს მას. ასე რომ, ამ წიგნის თარგმნა უძნელესი და ურთულესი საქმეა.

ღერი აღიშონაკს ხელთ ჰქონდა „დაო დე ძინის“ რუსული თარგმანები. იგი აღნიშნავს: პირველი ტექსტი, რაც საფუძვლად დაედო ჩემს თარგმანს, გახლავთ იან ზინ შუნის რუსული თარგმანი. „დაო დე ძინის“ მეორე ტექსტი, რითაც ვხელმძღვანელობდი, ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორის, კონისის რუსული თარგმანია, რომელიც 1884 წელს გამოქვეყნდა. თარგმანის რედაქტორი ტოლსტოი იყო. როგორც მთარგმნელი გვაუწყებს ცალკე გამოცემის წინასიტყვა-

* მაგალითად, ჩინური კლასიკური პროზა ახალ ჩინურზე ითარგმნება.

ობაში, ტოლსტოის დიდი ინტერესი გამოუჩენია ამ თარგმანისადმი და უთქვამს: „რუსეთს რომ საუკეთესო თარგმანი ჰქონდეს, მე მზადა ვარ დაგეხმაროთ თქვენი თარგმანის სიზუსტის დადგენაში“. თურმე ტოლსტოი ოთხ თვეს ადარებდა კონისის რუსულ თარგმანს გერმანულს, ფრანგულ და ინგლისურ თარგმანებს. აღნიშნული თარგმანი ცალკე წიგნად გამოცემულა.

ღერი ალიმონაკმა გამოიყენა აგრეთვე ვ. სუხორუკოვისა და მ. ლ. ტრეტიაკოვის დე ძინის“ არასრული თარგმანები, რომლებიც სხვადასხვა კრებულებში დაიბეჭდა უკანასკნელ ხანებში. მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დახმარება გაუწევია ორ გერმანულ გამოცემას, რომელთაგან ერთი გამოქვეყნდა მიუნხენში 1921 წ., ხოლო მეორე შტუტგარტში 1961 წ. მთარგმნელს ხელთ ჰქონდა ამ თარგმანთა ბეჭადული ტექსტები.

როგორც უკვე აღინიშნა, ტექსტის პირველადი შინაარსის გაგება საქმას საფუძველი არ არის იმისათვის, რომ თარგმანი რამდენადმე მაინც სრულყოფილი იყოს. საჭირო იყო ამ ურთულესი ტექსტის რელიგიურ-ფილოსოფიურ ქრილში გააზრება და აქ მთარგმნელმა შეხასუური გულმოდგინება გამოიჩინა. ლაო-ძის მოძღვრებას რომ გავცნობოდი, — წერს ღერი ალიმონაკი შენიშვნებში — იმისათვის, რომ გამეცნობიერებინა მისი არსი, აუცილებლობამ მოითხოვა შემესწავლა არა მხოლოდ „დაო დე ძინზე“ არსებული ლიტერატურა, არამედ თითქმის ყველა ის წიგნი (რუსულ ენაზე არსებული), სადაც გამოკვლეულია ჩინური ფილოსოფია, რელიგია, მითოლოგია, ლიტერატურა და ხელოვნება. გამეცნო ყველა ის წიგნი, რომელიც ასეთ თუ ისე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდებოდა ლაო-ძის მოძღვრებას, რათა წარმოეჩინა აზროვნებისა და კულტურის ის ბუნება, სამყაროს აღქმის ის თავისებურება, რაზეც იშვია და აღმოცენდა „დაო დე ძინი“. ამის გარეშე გაძნელებოდა იმ მოვლენების ახსნა-გააზრება, რაც უაღრესად ორიგინალური და პარადოქსული სახით ვლინდება ლაო-ძის თხზულებებში.

ჩემს ამოცანას წარმოადგენდა ლაო-ძის მოძღვრების ძირითადი არსის გადმოცემა. თუმცა, აუცილებლობამ მოითხოვა წარმოგვეჩინა მისი კავშირი სხვა მონათესავე სფეროებთან — კონფუციზმთან, ინდურ ფილოსოფიასა და რელიგიებთან, ბერძნულ სამყაროსთან, ქრისტიანულ მოძღვრებასთან... ჩემი აზრით, — დასძენს იგი — ამ სახით უფრო სრულყოფილად შეიძლება ამ წიგნის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეფასება და შეცნობა.

უნდა ითქვას, „რომ ეს ამოცანა ღერი ალიმონაკმა შესანიშნავად დასძლია. დიდი შრომაა გაწეული. ზოგჯერ დასანანიც კია შენიშვნების პეტეიტით აწყობილ ანაბეჭდებში ილრილობდეს ესეისტური შთაგონებით აღბეჭდილი ისეთი წერილები, როგორიცაა მაგალითად, ტოლსტოის „დაო დე ძინთან“ დამოკიდებულებების მაჩვენებელი მოზრდილი მონაკვეთი, რომელიც ჩემი აზრით, ერთ ნარკვევად ღირს.

შესავალში ღერი ალიმონაკს მოაქვს ჯუან ძის წიგნიდან „უმაღლესი სიხარული“ ლაო ძისა და კონფუციის საუბარი, სადაც ამ უკანასკნელს ასეთი სიტყვებით მიმართავს ლაო-ძი:

„ცასა და მიწას შუა მოქცეული კაცის სიცოცხლე ქარაფზე თეთრი ცხენის უმაღლეს ნახტომს ჰგავს: წამით გაიეღვა და გაუჩინარდა. ქვეყნად ყოველივე უეცრად, უმაღლესად იბადება. ყოველივე ჩუმად და შეუმჩნეველად უჩინარდება ამა ქვეყნიდან. უმცირესი ცვალებადობა და — სიცოცხლე იწყება. კიდევ უმცირესი ცვალებადობა და — დგება უამი სიკვდილისა. ასე რად სწუხან ცოცხალნი ამას? კაცთა მოდგმა რად მწუხარებს ამაზე? გარდაცვალება ხომ ჩვენი ბუნებითი ხაფარის გადახსნას ნიშნავს, ბუნებისაგან ნაბოძები ნიჟარის დაშლსვრევას, სასიცოცხლო ძალთა ცვალებადობასა და დაქუცმაცებას. ხულიერი დასაბამი მიდის, სხეულიც მას მისდევს — აი ქემშარიტად დიდი გარდაცვალება ყოფიერიდან არყოფნაში... დაბადებისა და სიკვდილის ეს მონაცვლეობა ყველაშ იცის, მაგრამ ამას არად აგდებს ის, ვინც ახლოა დაოს წვდომასთან... მახვილ მჭერას მნიშვნელობა არა აქვს დაოს სახილველად. ამიტომ სჯობს დავიდუმოთ მაგე, ვიდრე ვიდაოთ. დაოს ვერ მოვისმენთ. სჯობს დავიხშოთ ყურნი, ვიდრე ვაყურადოთ. სწორედ ამას ეწოდება უდიდესი სიბრძნე“.

ბრწყინვალედ თარგმნილი ეს ნაწყვეტი იმისათვის მოვიტანე, რომ შეჩვენებინა როგორი შთაწვდომით თარგმნის ჩინური ფილოსოფიის ამა თუ იმ ტექსტს ღერი ალიმონაკი. ასეთი შთაწვდომა საერთოდ იშვიათი მოვლენაა. პაიდეგერის აზრით, „ორი ერთმანეთისაგან დაშორებული ენა ერთმანეთისაგან შეუვალ მხოლდშეგრძნებას წარმოშობს, ისინი ერთმანეთისათვის იმდენად არიან შეუღწევადნი, რამდენადაც ერთი ენიდან მეორეზე უთარგმნელია თვით უფლის „პირველადი“. „ყოფისმიერი“ ელემენტები. თარგმნისათვის მისაწვდომია ის, რაც ზოგადმნიშვნელოვანია, ის, რაც, „საქაროობის დიქტატურას“ ექვემდებარება, ე. ი. ენაში გა-

მონათული რაციონალური შინაარსი. ხოლო რაციონალური, — ის, რაც ყველასათვის მისაწვდომია, — არანამდვილი“ და „არაპირველადია“. კემშარიტი პოეტის სხვა ენაზე გადათარგმნა შეუძლებელია, რადგან თარგმნისას იკარგება „ყოფისმიერი წინარესაფუძველი“, მ. ი. ის, რაც ყველაზე უფრო ღირებულია პოეტურ ქმნილებაში“.

მაგრამ არ შეიძლება განვიხილოთ კულტურები და ენები როგორც აბსოლუტურად დაბ-შული მონადები. სხვადასხვა კულტურებისათვის არსებობს საერთო ღირებულებანი, რომელთა გაცნობიერება არამცთუ მოთხოვნილებაა, აუცილებლობაა იქცა, კულტურათა ურთიერთგავლენის ფონზე იკვეთება ნებისმიერი კულტურის სიცოცხლისუნარიანობა, ვინაიდან მხოლოდ ამ ფონზე შეიძლება მოიაზროს ამა თუ იმ კულტურამ თავისი თავი, ღირებულება მიანიჭოს საკუთარ წარსულს და განვითარებისა და წინსვლის ახალი იმპულსით დაიმუხტოს. ეს თარგმანიც უთუოდ ამ მიზნებს ემსახურება.

ძველჩინური კულტურა, — აღნიშნავს პერმან ჰესე, — ძველამოსილად შემოვიდა არა მარტო დასავლეთის მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში, არამედ მოაზროვნე ახალგაზრდობის გულშიც... უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში (ეს იწერება 1926 წელს) დოხტოვესკის გარდა არაფერს ისე ძლიერი გავლენა არ მოუხდენია ომით აფორიაქებულ მოსწავლე ახალგაზრდობაზე, როგორც ლაო-ძის ამ მოძრაობის მნიშვნელობის რეულიად არ აუფასურებს ის, რომ იგი უმცირესობას შეეხო. ეს ის უმცირესობაა, რომელზეც გაანგარიშებულია ეს წიგნი, — ყველაზე ნიჭიერი, შეგნებული, პასუხისმგებლობისათვის მწად მყოფი უმცირესობა.

ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, იმ საგუშაგოს, რომელიც ჩინეთის შორეულ საზღვარზე იდგა, იქ, საიდანაც გასული მგზავრი დასავლეთის უზილავ ქვეყანაში უჩინარდებოდა, მოადგა „დაო ძენი“ ანუ დაო კაცი, რომელიც საგუშაგოს უფროსმა იისფერი ღრუბლის მოაბლოებით შეიცნო. ეს იყო ლაო-ძი. საგუშაგოს უფროსი მიმხვდარა, რომ ბრძენი სამუდამოდ ტოვებდა ჩინეთს და უთხოვია მისთვის: შენი მოძღვრება მაინც დაგვიტოვეო. ლაო-ძის დუშილით შეუსრულებია თხოვნა და დაუწერია 5000 სიტყვისაგან შემდგარი „დაო დე ძინი“, შემდეგ სამუდამოდ განშორებია ჩინეთს. თქმულების მიხედვით სწორედ იმ წელს დაბადებულია ბუდა.

ლაო-ძიმ აღასრულა ის, რითაც სწვებს მოძღვრავდა: „კაცი, რაჟამს საქმეს განასრულებს, სიმარტოვეში უნდა უკუდგეს. კაცი, საქმეს რომ აღასრულებს, სოფლიურ უსასრულობას უნდა შეერთოს“...

ეს შეგონება ღირს აღიმონაკმა წაუშძღვარა თავისი თარგმანის შესავალ წერილს. მან უაღრესად დიდი და მნიშვნელოვანი საქმე გაახრულა, ნაგაბ ლაო-ძის შეგონების საპირისპიროდ მე მას ვუსურვებ ჩვენს შორის დარჩეს და მისთვის ჩვეული ენერგიით, ნიჭითა და-გულ-მოდგინებით აღასრულოს თავისი სხვა ჩანაფიქრიც.





„შეშლილობის“ აკოლოგია

(პერმან ჰესეს რომანის „ტრამალის მგლის“ გამო)

როცა მწერალი ერთ არცთუ ისე მოწოდებულ ნაწარმოებში სამჯერ და ოთხჯერ გამცნობს, რომ მისი ნაღვაწი და ნააშაგარი „გიუისა“ და „შეშლილობისთვისაა“ განკუთვნილი, მაშინ შენც, მკითხველი, აღბეჭდვით უნებლიეთ ჩაუფიქრებდი, თუ რა მნიშვნელობით ხმარობს იგი ამ სიტყვებს და გაქვს თუ არა საფუძველი შენს თავზე მიიღო ისინი. ახეთი აზრები გებადება, კერძოდ, პერმან ჰესეს რომანის „ტრამალის მგლის“ კითხვისას, სადაც აღწერილია ერთი უცნაური და ახირებული კაცის—მარი მალერის, მეტსახელად ტრამალის მგლის — ამბავი. ეს რომანი გასულ წელს „საუნჯის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა და მკითხველს აღბათ ახსოვს, რომ ის მალერის „ჩანაწერებიდან“ და ამ „ჩანაწერების“ მოკლე წინათქმიდან შედგება. წინათქმიდან ვგებულობთ, რომ გამომცემელი თურმე პირადად იცნობდა „ჩანაწერების“ ავტორს, რომ ეს ავტორი ერთ დროს დეიდაშისის მღვდური უოფილა და მას შემდეგ, რაც მოულოდნელად და დაუმშვიდობებლად მიუტოვებია ქალაქი, თავის ოთახში გამომცემლის სახელზე ხელნაწერი დაუტოვებია, როგორც მოგესურვოს, ისე გამოიუენეთო. ამას განუწრაზავს ხელნაწერის გამოქვეყნება და აი, ახლა სთავაზობს კიდევ მას მკითხველს. სწორედ ეს „ჩანაწერები“ შეადგენს, როგორც ვიცით, საკუთრივ რომანის შინაარსს.

„მარი მალერის ჩანაწერებს“, წამძღვარებული აქვს შენიშვნა — „მხოლოდ შეშლილთათვის“. შემდგომ, კითხვის პროცესში, თანდათანობით შევიტყობთ, რომ მალერის „ჩანაწერები“ თურმე მის თავგადასავალს მოგვითხრობს — თუ როგორ ჩაუვარდა მას ხელში „ტრამალის მგელზე“, რომელშიც მისი სულიერი მდგომარეობაა აღწერილი და რომელიც, სხვათა შორის, აგრეთვე „მხოლოდ შეშლილთათვისაა“ განკუთვნილი, თუ როგორ მოხვდა მალერის „მაგიურ თეატრში“. სადაც მხოლოდ „შეშლილები“ დაიშვებიან, რამეთუ აქაც შესვლის საფასური — გონებაა; შევიტყობთ იმასაც, რომ თავად „ჩანაწერების“ ავტორი და, მაშასადამე, მისი გმირიც „შეშლილთა“ რიცხვს განეკუთვნებიან.

ბუნებრივია, რომ ერთი და იგივე გარემოების მრავალგზის ხაზგასმა წარმოშობს კითხვას „შეშლილთა“ ვინაობისა და მათი დანიშნულების შესახებ. მაგრამ ვიდრე ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებოდე, მინდა ერთი რამ ამთავრებ ვთქვა ცხადად და გარკვევით — „შეშლილის“ ცნება ჰესესთან არავითარ შემთხვევაში არ აღნიშნავს გმირის ცნობიერებაში მომხდარ პათოლოგიურ ცვლილებებს, იგი არ გულისხმობს არც ფსიქიკურ სნეულებას, არამედ მეტაფორული და ასე გასიჩქეთ, ტიპოლოგიური მნიშვნელობითაა ნაბმარი.

ჩვეულებრივი სიტყვახმარებიდან გამომდინარე „შეშლილი“ არის გიჟი, არანორმალური, ბკუასუსტი და გონსაკლი ადამიანი. მას უპირისპირდება გონიერი, ჰკვიანი, საზრიანი და სადად მოაწროვნე კაცის ტიპი, რომელიც საზოგადოების უმრავლესობას შეადგენს და ამიტომ ნორმად უნდა იქნეს მიჩნეული, მაშინ როდესაც „შეშლილი“ გამოჩაქლისი და ნორმიდან გადახვევაა. ამრიგად, „გონიერი“ და „შეშლილი“ ადამიანის ორი საწინააღმდეგო და ერთმანეთი სადში დაპირისპირებული გამოვლინებაა.

„გონიერი“-თქო, რომ ვამბობ, ცხადია, ვგულისხმობ იმ მნიშვნელობას, რომელიც გონების ცნებამ თანამედროვე სიტყვახმარებაში მიიღო — ანუ ბკუას, ინტელექტსა და ცნობიერებას. შესაბამისად „გონიერს“ ჰკვიანსა და მოსაზრებულ კაცს უწოდებენ, რომელიც თავის ცხოვრებაში გონებითა და ინტელექტით ხელმძღვანელობს. ადრე სხვანაირად იყო, ადრე გონება გულსაც გულისხმობდა და შემშარიტების სიყვარულით შეცნობის უნარსაც, როგორც ეს მათეს საბარებაში ნათქვამი — „შეიყუარო... უოვლითა გონებითა შენითაო.“ სულხან-საბა განგვიმარტავს, რომ „გონება არს სიტყვიერი, მხედველობითი, საცნაურისა და უკვდავისა სულისა გონება არს ზედვა უბორცო და დაუშრომელი, მომვლელი უოვლისა.“

„შეიყვარო გონებითაო“ ვერსად გაიგონებ დღეს. არცა უკვდავ სულთან დაკავშირებს ვინ-
 შე „გონებას“, არამედ უპირატესად — მოკვდავ ხორცთან, ვინაიდან გონება კვლავ გაუტოლ-
 და და სვებედნიერი, უდარდელი ცხოვრების მოპოვების ხარადად იქცა. ამიტომაც „გონიერი“
 ისაა, ვინაც მეთ ხეირსა და გამორჩენას ნახავს, ვინაც უფრო იეშმაკებს, თვითონ სარგებელს
 მოკვებს. სხვას კი პირში ჩაღვამოვლებულს გაუშვებს. „გონიერი“ ისაა, ვინაც უფრო უფლებსა და
 ნაცადს არჩევს უჩვეულოს, ვინაც რისკსა და ალაღბედზე მოქმედებას ისევ გაცვალებული გზით
 სიარულს ამჯობინებს. ხოლო ის თითო-ოროლა ადამიანი, ვინც არად დაგიდევს პირად კე-
 თილდღეობას და, განუხორციელებლის განხორციელების ოცნებით შეპურობილი, არც ხიფათს
 ერიდება და არც ხალხის უბაში ჩავარდნის ეშინია, ვინც ზნეობრივ უდრეკელობასა და სულის
 სიწმინდეს მატერიალურ გამორჩენაზე მაღლა აყენებს, „ნორმალური“ და „გონიერი“ უმრავ-
 ლესობის მიერ, საუკეთესო შემთხვევაში, კვლავ აცდენილ დონ კიხობებად და გადიდგულებულ
 იდეალისტებად შეირაცხებიან და ამიტომ არც იმსახურებენ სერიოზულ დამოკიდებულებას.

მაგრამ თუ რეალური სინამდვილე „შეშლილებს“ მაინცდამაინც არ წყალობს, ხშირად
 აბუჩადაც იგდებს და მათთან ურთიერთობას სათაკელოდ მიიჩნევს, მით უფრო გამორჩეული
 ყურადღებითა და პატივით სარგებლობენ ისინი მხატვრულ შემოქმედებასა და ხელოვნებაში.
 ზერედედაც რომ გადავადლოთ თვალი მსოფლიო ლიტერატურას, დავინახავთ, უმეტეს ნაწა-
 რმოებთა გმირები გარკვეულად უგუნური, კვლავან შეშლილი და არანორმალური ადამია-
 ნებია. ისინი უმრავლეს შემთხვევაში ისე იქცევიან, როგორც არასდროს არ მოიქცეოდა არც
 ერთი კვლავანყოფილი კაცი, ისინი ერთიშეორის მიულოებით ჩაღვამოვლებულს და მაინც
 მკითხველთა საყოველთაო თანაგრძობობთა და სიყვარულით სარგებლობენ.

ხომ უვლახთვისაა ცნობილი, თუ რაოდენ უპირატესობას ანიჭებს ხალხური ზღაპარი
 უსაქმურსა და ნაცარქვექიას. ერთი შეხედვით, უგუნურსა და უტკუო გმირს — უფროსთაგან სი-
 სულელით გამორჩეული უმცროსი ძმა და ივანუშკა დურანოკი ზღაპარში უოველთვის გამა-
 რჯებულნი გამოდიან. ხოლო უოველივე ეს იმიტომ ხდება ასე, რომ ზღაპრის ლოგიკა განს-
 ხვავდება უოველდღეური სამომხმარებლო ლოგიკისაგან და სულ სხვა ღირებულებებზეა ორი-
 ენტირებული. ვიდრე ჩვენ ამას რეალურ ცხოვრებაში ვართ ჩვეული.

ძმებს გრიშებს აქვთ ერთი ზღაპარი — „ბედნიერი მანსი“. ამ ზღაპარში მოთხრობილია იმ-
 ის შესახებ, თუ როგორ დაუდგა მანსი ერთ მდიდარ კაცს მოჯამაგირედ, თუ როგორ ეშაბური
 მას შვიდი წელი, შემდეგ გასამრჯელოდ ოქროს დიდი ზოდი მიიღო და შინისკენ გამოეშურა,
 სადაც დიდი ხნის უნახავი დედა ელოდებოდა. გზად მანსი ოქროს გაცვლის ცხენში, მერე ამ
 ცხენს — ძროხაში, ძროხას — ბურვაკში, ბურვაკს — ბატში, ბატს — სალესავ ქვებში, ხოლო
 ეს ქვები მანსს, ვიდრე მშობლიურ სოფელში ჩაღწევდეს, ქაში ჩაუცვივდება. მაგრამ ბიჭუნა
 ერთი წუთითაც არ გაიკარებს დარდს გულთან და ლაღად დაასრულებს თავის მოგზაურობას.
 ზღაპარი ასე თავდება: „მხიარულად განაგრძო მანსმა თავისი გზა, რამეთუ თავისუფალი იყო
 უოველგვარი ტვირთისაგან, ხტუნვა-ხტუნვით იარა ხოფლამდე, სადაც დედა ელოდებოდა“.

უოფითი ლოგიკისა და გონიერების თვალსაზრისით მანსი სულელია, რადგან შვიდი წლის
 ნამაგარი წყალში გადაყარა და შინ ხელცარიელი დაბრუნდა. მაგრამ ეს გარემოება, როგორც
 ვხედავთ, სულაც არ უშლის ხელს ბედნიერი იყოს, ვინაიდან მატერიალური ღირებულებანი
 არაფერია იმ სიხარულთან შედარებით, რომელიც მრავალი წლის შემდეგ შინ დაბრუნებასა
 და დედის ნახვასთანაა დაკავშირებული. ამრიგად, მანსის „უგუნურობა“ მხოლოდ მშრალი პრა-
 კტიციზმისა და ანგარების პოზიციიდანაა უგუნურობა, თორემ უმაღლესი აზრით იგი ნამდვილი
 სიბრძნე და გონიერებაა, იგი გადაჭრით უარყოფს იმ ნორმას, რომლის მიხედვითაც ქონების
 დაგროვება და მატერიალური კეთილდღეობა კაცური არსებობის უმთავრეს მიზნადაა მიჩნეუ-
 ლი და უოფით მერკანტილიზმს უფრო ამაღლებულსა და ქემშარტად ადამიანურ ღირებულე-
 ბებს უპირისპირებს.

მსგავსი ვითარებაა მხატვრულ ლიტერატურაშიც. საკმარისია გავიხსენოთ პარციფალი, შმა-
 გი ორლანდო, დონ კიხოტი, სიმპლიციუსიმუსი, ვერთერი, მისტერ პიკვიკი, სტუდენტი ანსელ-
 მი, თავადი მიშკინი და სხვანი, რათა დავრწმუნდეთ, თუ რამდენად განსხვავდებიან ისინი მათ
 ირგვლივ მოქმედი დანარჩენი პერსონაჟებისაგან. ეს გმირები შესაძლოა ერთნაირად „შეშლი-
 ლნი“ არ იყვნენ, შესაძლოა ზოგიერთი მათგანი ნაკლებად იყოს თავისი ფანტაზიებით შეპუ-
 რობილი და ამიტომ არც ქარის წისკვილებთან საბრძოლველად მიიწევდეს, მაგრამ უოველი
 ამ გმირთაგანი თავისი საქციელით აშკარად უპირისპირდება დამკვიდრებულ „ნორმას“ და
 ამიტომ, გარკვეული თვალსაზრისით, „შეშლილი“ და არანორმალურია. თუმცა ასეთ „უცნაურ“
 პერსონაჟებზე საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრა-
 ძებლავ.

ჩვენში გამოითქვა თვალსაზრისი, თითქოს სიგიჟე და შეშლილობა ლიტერატურული მოტივი ყოფილიყო, რომელიც გმირის საზოგადოებიდან გამოცალკევებას გამოხატავს. სიგიჟე, ამ თვალსაზრისის თანახმად, ერთგვარი საშუალებაა, რომლის მეოხებითაც მისთვის შეუღებელ გარემოში მოხვედრილი გმირი მძაფრი სოციალური კონფლიქტებიდან თავის დაღწევას თუ არა, ამ კონფლიქტისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვას განუხერხებს: „ადამიანი, რომელიც თავს უცხოად, უხერხულად, შედმეტად გრძნობს საზოგადოებაში, იშველიებს სიგიჟეს, შეშლილობას, რომელიც იქცევა გარემომცველი სინამდვილის მიუღებლობის, უარყოფის ფორმად.“

გამოდის, რომ თითქოს ანორმალურობა, განსხვავებულობა და გამორჩეულობა ნებისმიერი ლიტერატურული გმირის თვისება კი არაა, არამედ მხოლოდ ზოგიერთისა — უპირატესად ისეთი გმირისა, რომელიც მოწოდებულია გამოხატოს პროტესტი არსებული საზოგადოების, მისი მორალისა და ზნე-ჩვეულებებისადმი. მაგრამ ეს მთლად ასე არ არის, ვინაიდან ნორმისა და წესის დარღვევა ერთი განსაზღვრული ტიპის პერსონაჟის პრივილეგია კი არაა, არამედ ნებისმიერი მთავარი გმირის თვისებაა. უფრო მეტიც, ამ თვისების გარეშე, შეიძლება ითქვას, ამბის განვითარებას საურდენი გამოეცლებოდა და ვერც ეპიკური სიუჟეტი შედგებოდა.

საქმე ისაა, რომ ამბავი (და შესაბამისად — სიუჟეტი!) მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როდესაც ხდება ნორმიდან გადახვევა, ერთხელ და სამუდამოდ დაგენილი და უმრავლესობის მიერ აღიარებული ქცევის წესის დარღვევა. ერთი საბჭოთა მეცნიერის განმარტებით, „ამბავი ყოველთვის გარკვეული აკრძალვის დარღვევაა, ფაქტია, რომელიც მოხდა. თუმცა არ უნდა მომხდარიყო“. ყოველი აკრძალვა ნორმიდან გამომდინარეობს, ვინაიდან ნორმითაა განსაზღვრული, თუ რა შეიძლება და რა არ შეიძლება. ნორმითაა დადგენილი აგრეთვე ეპიკური სამყაროს ორ ურთიერთგამომრიცხავ ნაწილად დაყოფა, რომელთა შორის ერთი შეხედვით გადაულახავი ზღვარია. ამ ზღვარის ცალ მხარეს ცოცხალი ადამიანები, ან, ვთქვათ, საზოგადოების დაბალი ფენების წარმომადგენლები იმყოფებიან, ხოლო მის მიღმა — მკვდართა საუფლოა, ან კიდევ არისტოკრატიული სალონებია. ცოცხლებს აკრძალული აქვთ მკვდართა საუფლოში ჩასვლა, ისევე როგორც ღარიბებს არ მიეცვლებათ მდიდართა სასახლეებსა და ციხე-კოშტებში. პერსონაჟთა უმრავლესობა ემორჩილება „ნორმით“ დაწესებულ შეზღუდვებს და ერიდება აკრძალული ზღვრის გადალახვას. ეს პერსონაჟები „ნორმას“ განასახიერებენ. მაგრამ იმისთვის, რომ ამბავი მოხდეს და ბიძგი მიეცეს სიუჟეტის განვითარებას, ამ „მორჩილი“ და „დამჭერი“ პერსონაჟების გვერდით ისეთი გმირებიც უნდა იყვნენ, რომლებიც არ შეეგუებიან აკრძალვას და საზღვრის დარღვევას შეეცდებიან. ენოსიც, ვერგილიუსიცა და დანტიც არად დაგიდევინ აკრძალვას და მკვდართა სამეფოს ესტუმრებიან. ასევე უგულვებელყოფენ სოციალურ შეზღუდვებსა და საზღვრებს ეილ ბლასი და ეიულიენ სორელი.

ადვილად წარმოსადგენია ისეთი სიტუაციაც, როცა აკრძალვა მხოლოდ ერთ მიმართულებაზე კი არ ვრცელდება, არამედ ორივეზე — როცა საზღვრის გადაკვეთა არც იქით და არც აქეთ არაა ნებადართული. ამგვარ სიტუაციაზეა დამყარებული, კერძოდ, მეტწილად დრამატურგიაში გავრცელებული გადაბტერებული ოქახების მოტივი. ასეთ ნაწარმოებში ყველა პერსონაჟი, როგორც წესი, იცავს მისთვის მიჩენილ საზღვრებს და მხოლოდ შეუვარებული წყვილი — შექსპირის რომეო და ჯულიეტა, ან კლაისტის აგნესი და ოტოკარი — არ ეგუება და არ ცნობს აკრძალულ ზღვარს.

მაშასადამე, მხატვრულ ნაწარმოებში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ორი სახის პერსონაჟები — „ნორმალურები“, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ, და „ანორმალურები“, ანუ „შეშლილები“. პირველნი „უძრავ“ პერსონაჟთა რიგს განეკუთვნებიან და არსებული წეს-წყობილების, ადამ-წესების, წინაპართაგან ნამემკვიდრევი ზნე-ჩვეულებებისა და ქცევის ნორმების დაცვასა და განმტკიცებას ემსახურებიან, ამიტომაც ისინი დიდი რიდით ეკიდებიან კანონს და ჩვეული ყოფის ნებისმიერ ცვლილებას ეჭვის თვალთ უყურებენ.

მათ უპირისპირდებიან „მოძრავი“ გმირები, რომლებიც რევოლუციურსა და მემამოხე საწყისს განასახიერებენ და არსებული ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებისაკენ ისწრაფვიან. ხოლო რაკილა ამ გმირთა საქმიანობა არ ეთანხმება უმრავლესობის აზრსა და ნებას და არსებული „ნორმისა“ და კანონის წინააღმდეგაა მიმართული, ეს უმრავლესობა მათ „შეშლილებად“ და „შერეკილებად“ ნათლავს და ამით მათდამი თავის მტრულსა და დამამცირებელ დამოკიდებულებას გამოხატავს.

საგულთხეობა, რომ პერსონაჟთა ასეთი ტიპოლოგიური დაყოფა მინიშნებულია მერმან ჰესეს ერთ-ერთ მსჯელობაშიც, ხადაც ადამიანის განკაცებაზეა დაპარაკი: „ამ გზაზე თევზიდან,

ფრინველიდან და მაიმუნიდან ვიდრე ჩვენი დროის მეომარ ცხოველამდე, წერდა მესე ჯერ კიდევ 1918 წელს. — ამ გრძელ გზაზე, რომლის დასასრულსაც ვიმედოვნებთ ადამიანებად და ღმერთებად ვიქცეთ, შეუძლებელია, რომ „ნორმალურს“ ვხედავთ და ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წაეწიოს კაცობრიობა. ნორმალურები მუდამ კონსერვატორები იყვნენ და იქ ვერცნათ და რჩენა, სადაც ნაკლები ხიფათი ელოდათ. ნორმალურ ხვლიკს არასოდეს მოუვიდოდა აზრად გაფრენა ეცადა. ნორმალური მაიმუნი არასოდეს გაიფიქრებდა, ხე მიეტოვებინა და წელში გამართულს გაევიღო დედაშიწაზე. ის, ვინც პირველმა გააკეთა ეს, პირველმა იოცნება და შეეცადა ფრთები შეესხა თავისი ოცნებისთვის, ის მაიმუნებს შორის პოეტი და ნოვატორი, შერეკილი და ახირებული ვინმე გახლდათ და არა ნორმალური. ნორმალურები, ასე მგონია, იმისთვის იყვნენ გაჩენილნი, რათა რომელიღაცა რასის, სახეობისა და ცხოვრების წესის ერთხელ ნაპოვნი ფორმა შეენარჩუნებინათ, დაეცვათ და განემტკიცებინათ ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ ცხოვრებას საკმარისი მარაგი ჰქონოდა და საურდენი არ შემოცლოდა. შერეკილები კი იმისთვის გაჩინა ღმერთმა, რომ იხტუნონ და ისეთ რამეებზე იოცნებონ, რაზეც ჯერაც არავის უოცნებია, რათა, ვინ იცის, ერთ მშვენიერ დღეს თევზი ხმელეთზე გამოვიდეს, ხოლო ჩვეულებრივი მაიმუნი ადამიანის მსგავს მაიმუნად იქცეს.”

ვინც ოდნავ მაინცაა ჩაბედული მესეს შემოქმედებაში, მისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ძირითადი პრობლემა, რომელსაც მწერალი თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში უტრიალებდა, განკაცებისა და პიროვნების თანდათანობითი სრულქმნის პრობლემა იყო. ხოლო ვინაიდან მესეს შეხედულებები ადამიანის შინაგანი ცხოვრებისა და სულიერი განვითარების თაობაზე „სიღრმის ფსიქოლოგიის“ აშკარა ზეგავლენით ჩამოყალიბდა, არაა გასაკვირი, რომ ფსიქოანალიზმა აღნიშნული პრობლემის მხატვრულ გადაწყვეტასაც მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია.

ადამიანის სულიერი განვითარება მესეს ზოგად ხაზებში ასე წარმოედგინა: უოველი ადამიანი ფიზიკური ზრდა-განვითარების პარალელურად შინაგანი მომწიფების გარკვეულ ზრდასაც განივლის, რომლის საბოლოო მიზანიც სულიერი სრულქმნა და განკაცებაა. განკაცების ეს პროცესი ძირითადად ორი მონაკვეთისაგან შედგება — გარეთ და შიგნით მიმართულისაგან. ხოლო ამ ორივე მონაკვეთს წინ უძღვის ბავშვობა, როცა ინდივიდსა და მის გარემოს შორის ჯერ კიდევ სრული თანხმობა და პარმონია სუფევს.

განკაცების პირველ მონაკვეთზე, უშუალოდ ბავშვობის უმანკო და პასუხისმგებლობას მოკლებულ ხანის შემდეგ, ადამიანის ძირითადი ამოცანაა სოციალობის მიერ შემუშავებული ეთიკური, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა მოთხოვნების გათვალისწინება და გარე სამყაროსთან შეგუება. ეს რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობენ ოჯახი, სკოლა, მეგობარ-ნათესავები, საზოგადოებრივი აზრი და სხვა სოციალური ინსტიტუტები, როგორც წესი, პიროვნების, მისი „მე“-ს მეტ-ნაკლები გამოყვეთითა და „პერსონას“ — ამ ერთგვარი სოციალური ნიღბის — ჩამოყალიბებით სრულდება. „პერსონა“ ადამიანის სოციალურ გარემოსთან ურთიერთობის პროცესში აღმოცენდება და ერთგვარი კომპრომისის შედეგია ინდივიდუუმსა და საზოგადოებას შორის იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს ეს ინდივიდუუმი.

ადამიანის „მე“ და მისი „პერსონა“ არ ვახლავთ ერთი და იგივე, „პერსონა“ „მე“-ს გარსია მხოლოდ, მისი ერთი ნაწილია, და, კერძოდ, ის ნაწილი, რომელიც გარე სამყაროსკენაა შემობრუნებული. ეს ნიღაბი, რომელიც ღრთა განმავლობაში ისე შეეზრდება ხოლმე ინდივიდუუმს, რომ ძნელი გამოსარჩევი ხდება, თუ სად თავდება ნიღაბი და სად იწყება პიროვნება, მეტად მოსახერხებელი რამაა გარე სამყაროსთან ურთიერთობისას, რის გამოც ადამიანი ხშირად სრულიად აიგივებს თავს მასთან. ეს კი მეტად სახიფათოა მისთვის, რადგან სავსებით შესაძლებელია, რომ ვახვევებულ საფარს მიღმა პიროვნებას სული შეეხუთოს და იქ თანდათანობით ჩამოჰკენეს და დაილიოს.

ყველა ჩვენთაგანისთვის ცნობილია შემთხვევები, როცა ადამიანი თავის თავს თანამდებობასთან ან წოდებასთან აიგივებს, როცა იგი ან დირექტორია, ან პროფესორი, გენერალი, გამგე, თავმჯდომარე, ან კიდევ სხვა რაღაც „ნაჩაღნიკი“. ასეთ ადამიანში ინდივიდუალობა დაღეული და დაჩაივებულია; სულ ტყუილად შევეცდებით მის გარეგან საფარსა და „ნიღაბს“ მიღმა პიროვნების ძებნას, ვინაიდან ვერაფერს აღმოვაჩინებთ იქ, გარდა დაგუბებული ბოლმისა, წვრილმანი პატავმოყვარეობისა და ორიოდ ინფანტილური გრძნობისა. ამიტომაა, რომ ასე ებღაუჭებიან სავარძელსა და მუნდირს, რადგან იციან, რომ ამათ გარეშე არარაობანი არიან.

საკუთარი თავის „პერსონასთან“ გაიგივება მეტად საზიანოა პიროვნებისთვის და ორმხრივ

ხაფათს უქადის მას — თუ კაცი „ნიღაბს“ მხოლოდ საზოგადოების მიერ მოწონებული ნიშან-თვისებებისაგან შეიქმნის, მაშინ მას ბრბო შთანთქავს და იგი სულ მალე „ქოგურ ადამიანად“ გადაიქცევა, ხოლო თუ მისი „პერსონა“ მისივე საკუთარი ოცნება-სურვილთა მიხედვით წარმოიქმნება, მაშინ მას ქედმაღლობა და ამპარტავნობა ემუქრება, რაც მეტად გააძვირებს მის ურთიერთობას გარე სამყაროსთან. ესეც რომ არა, „ნიღაბთან“ თავის გარეგანებასთან შეთანხმებულად დიდ დაბრკოლებას შეუქმნის პიროვნების შემდგომ წრდასა და განვითარებას, ქმნის „ნიღაბი“ ფარავს ადამიანის ნამდვილ სახეს და ყურადღება არსიდან ამ არსის გარეგნულ გამოვლენაზე გადააქვს.

განკაცების პირველი მონაკვეთი, როგორც ვთქვით, „მე“-ს საბოლოო ჩამოყალიბებით და „ნიღაბის“ შექმნით სრულდება ერთიცა და მეორეც ცნობიერი ფსიქიკის კატეგორიებია და ადამიანს საკუთარი ინდივიდუალობის მთლიანობის რწმენას განუშტკიცებენ. მაგრამ ადამიანი არ ამოიწურება მხოლოდ ცნობიერი ფსიქიკით, არამედ ცნობიერებიდან განდევნილ შინა-არსსაც და პიროვნულსა და კოლექტიურ არაცნობიერსაც მოიცავს. ასე რომ, პიროვნების ქე-შმარიტი მთლიანობა ფსიქიკის ცნობიერ და არაცნობიერ შინაარსთა ერთობლიობაშია. მხოლოდ ასეთ მთლიანობას ძალუძს ჩვენი უშინაგანესი, უკანახკენელი და შეუღარებელი ერთადერთობის წარმოჩენა.

იმისთვის, რომ ხორცი შეასხას ამ ერთადერთობას, რომ განკაცდეს, ადამიანმა პირველ რიგში უნდა გადალახოს ის ზღუდე, რომელიც თვითონვე შეიქმნა „ნიღაბის“ სახით, და თვალი უნდა გაუხსნოს თავისსავე შინაგან ხატს, მან უარი უნდა თქვას ქოგური ცხოვრებით მონიჭებულ უპირატესობებზე და განკერძოების გზას დაადგეს, რადგან მხოლოდ ამ გზაზე მიიღწევა პიროვნების ის სისავსე და განუშეორებლობა, რომელსაც არაფერი აღარა აქვს საერთო ბრბოსა და მახის თარგზე გამოტრიალ პიროვნულობასთან.

შესეხ, რა თქმა უნდა, ისევე, როგორც მის მასწავლებელს კ. გ. იუნგს, მშვენივრად ჰქონდა შეგნებული სოციალური ფაქტორის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში, რამეთუ საზოგადოება ჩვენი არსებობის ჰაერით აუცილებელ პირობად მიაჩნდა. მაგრამ, იუნგის ერთი გამონათქვამისა არ იყოს, ის იმაშიც იყო დარწმუნებული, რომ ისევე, როგორც სასაცილო იქნებოდა გვემტკიცებინა, ადამიანის ცხოვრების მიზანი სუნთქვა-თქო, ასევე აბსურდული იქნებოდა დაგვეჩემებინა, რომ ინდივიდუუში სოციალობისთვისაა გაჩენილი. ამის საწინააღმდეგოდ მას მიაჩნდა, რომ ადამიანის დანიშნულება საკუთარი ერთადერთობის მაქსიმალური გამოვლენა და განხორციელებაა. სწორედ ამ ამოცანას უსახავს ადამიანს განკაცების მეორე მონაკვეთი.

როდესაც მესე ადამიანზე ლაპარაკობს, იგი ყოველთვის განკაცების ამაღლებულ მიზანს — ზეკაცა და „მეფურ ადამიანს“ გულისხმობს, რამეთუ პიროვნების კოსმოსურ არსსა და მნიშვნელობას განჭვრეტს და მთელი სამყაროს საზომით უდგება მას. ეს გარკვევითაა ნათქვამი რომანშიც: „აქ იმ ადამიანებზე როდია ლაპარაკი, სკოლას, ეროვნულ ეკონომიკასა და სტატისტიკას რომ ჰყავს მხედველობაში, ანდა მილიონობით რომ დალაშლაშებენ ქუჩებში — შათი ფასი ხომ იგივეა, რაც ზღვის ქვიშის და ტალღის შხეფებისა. მილიონობით მეტი იქნებიან ისინი თუ ნაკლები, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ეს ადამიანები მხოლოდ მასალას შეადგენენ და მეტს არაფერს. არა, აქ საუბარია ადამიანზე, ამ სიტყვის ზენარი გაგებით, განკაცების ხანგრძლივი გზის გავლა რომ დაუსახავს მიზნად; დიახ, ჩვენ მხედველობაში გვყავს მეფური ადამიანები, უკვდავნი.“

შეიძლება კაცმა იკითხოს, რა კავშირია ადამიანის მესესეულ კონცეფციას, მისი ოცნების „მეფურ ადამიანსა“ და „გიუსა“ და „შეშლილს“ შორის? სწორედ რომ პირდაპირი კავშირია. საქმე ისაა, რომ „ნორმალურს“ საზოგადოება ისეთ კაცს უწოდებს, რომელსაც ცნობიერება საკუთარი ინდივიდუალობის ცენტრად დაუსახავს და არავითარი ეჭვი არ ეპარება თავისი პიროვნების ერთიანობაში. ასეთი კაცი „თავის „მე“-ზე ისე ლაპარაკობს, გეგონება, მკვრივი ფორმისა და მკაფიო მოხაზულობის მქონე მარტივი მოვლენა ყოფილიყოს“. თითქოს ეს „მე“ ადამიანის სხეულის დარად შეკრული და განუყოფელი მთლიანობაა.

სინამდვილეში კი ეს მთლიანობა მოჩვენებითია, პიროვნების გარეგნული საფარის, მისი „ნიღაბის“ მიერ შექმნილი ილუზია და სიცრუეა, რამეთუ ცნობიერების მიღმა უსაზღვრო და მრავალსახოვანი სამყაროა, რომელსაც ისეთივე წვლილი მიუძღვის ადამიანში, როგორც მის „მე“-სა და ცნობიერებას. მაგრამ საქმარისია კაცმა ეტყვეშ დააყენოს თავისი პიროვნების მთლიანობა და ვარაუდი გამოთქვას, რომ იგი მხოლოდ ის კი არაა, რადაც მისი გარემოცვა აღიქვამს, არამედ რადაც სხვაც, რომ ბრბომ მაშინვე სიგიჟე და შეშლილობა უკრუინოს და საზოგადოებიდან მისი განდევნა მოითხოვოს.

„როგორც ჩანს, — ვკითხულობთ რომანში, — ადამიანის თანდაყოლილი და სრულიად ქვეშევსეული მოთხოვნილება უოფილა საკუთარი თავი მთლიანობაში აღიქვას. მანვე რა ვუ-
 ყოთ, თუ მას ეს რწმენა ხშირად უცრუვდება! იგი კვლავ აღსდგება ხოლმე მკვლავითი და გა-
 ნაგრძობის სიცოცხლეს. აი, მსაჯულს, მკვლელის პირდაპირ რომ ზის და თვალბში შესცქერის.
 უფროდ დაუდგება ხოლმე წამი, როცა მკვლელის სიტყვები ყურში საკუთარს მისდევს, იმ
 წუთში ხედავს, თუ როგორ აირეკლება დამნაშავეს ყველა მიზანსწრაფვას თვისებებს, მისაძ-
 ლებლობა მის საკუთარ სულში. მაგრამ მსაჯული იმავ წამს ერთ მთლიანობად შეიცვრება, კვლავ
 მსაჯულად იქცევა, კვლავ აიფარებს თავისი მოჩვენებითი „მეს“ ნიღაბს, აღასრულებს თავის
 ვალს და მკვლელს სიკვდილის განაჩენს გამოუტანს. ხანდახან მალაღნიჭიერ და სათუთი გრძნო-
 ბებით დაჭილდოვებულ ადამიანთა სულში გაიკიაფებს საკუთარი მრავალსირობის გრძნობა, ისი-
 ნი, გენიოსთა მსგავსად, გაარღვევენ პიროვნების მოჩვენებითი მთლიანობის ზღუდეს, შეიგრძნო-
 ბენ თავიანთ დანაწევრებულობას და საკუთარ თავს მრავალ „მე“-სგან აკინძულ კრიალოსნად
 წარმოიდგენენ. აი, მაშინ საკმარისია ამის თაობაზე ერთი სიტყვაც კი დასცდეთ, რომ ეს
 ადამიანები უმრავლესობამ ოთხ კედელს შუა გამოყეტოს, საშველად მოუხმოს მეცნიერებას,
 დაუდგინოს შიზოფრენია და კაცობრიობას თავიდან ააცილოს საფრთხე ამ უბედურთა ბა-
 გეთაგან ქვეშარბების მოსშენისა.“

ერთ-ერთი ასეთი „მალაღნიჭიერი და სათუთი გრძნობებით დაჭილდოვებული“ ადამიანია
 „ტრამაღის მგლის“ გმირი ჭარი შალერი. მას არ აკმაყოფილებს „ნიღბის“ მიერ შემოთავაზებუ-
 ლი ერთგანზომილებიანი პიროვნულობა და საკუთარი სულის იმ უოვლისმომცველი მთლიანო-
 ბისკენ ისწრაფის, რომელსაც რომანში „უკვდავნი“ განასახიერებენ. მაგრამ შალერი განკაცე-
 ბის გზის დასაწყისშია მხოლოდ. იგი ჭერ კიდევ საკმარისად არ „შეშლილა“, საბოლოოდ ვერ
 შეღვევია თავის „მე“-ს. სწორედ ამ „მე“-სგან თანდათანობით გამონთავისუფლებისა და სა-
 კუთარი სულის მრავალსაზოვნების აღიარების ამბავს მოგვითხრობს მისი „ჩანაწერები“.

ჭარი შალერის პრობლემა ისაა, რომ იგი მრავალი წლის განმავლობაში ერთიანად უფუ-
 ლებელყოფდა საკუთარი ბუნების გრძნობად მხარეს, ჩქმალავდა და გულმოდგინედ უარავდა
 უოველივე ბნელსა და ველურს თავის თავში, თავს იტყუებდა, რაჟი სიკეთისა და სიწმინდის სა-
 მსახურში ვდგავარ, ამიტომ ჩემშიაც არაფერი ავი და მოულოდინიერებელი არ უნდა იყოსო.
 იგი ძალას არ იშურებდა, რათა ცოდნა დაეგრძობინა, დაეწინაურებინა თავისი გონი, მოსწყდომოდა
 დედამიწას და ღვთაებრივს ზიარებოდა, მაგრამ ერთხელაც ვერ გამოინახა დრო, ისეთი უბრა-
 ლო რამ შეესწავლა. როგორც გუფიანი სიცოცხლი და დროს ტარებდა ამიტომ, რომ მას შეტად
 განვითარებულნი მქონდა ხულიერი საწყისი, ხოლო ცხოვრებისეულ წერილმანებში ერთობ გაუ-
 წაფავი და უსუსური იყო. იგი ზედმიწევნით კარგად ერკვეოდა აღმოსავლურ მითოლოგიასა და
 შუა საუკუნეების კულტურაში, მის ყურს არ გამოეპარებოდა არც ერთი წვრილმანი ანა თუ
 ინ მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებაში. მაგრამ ის სრულიად უმწეო იყო, როცა მრავალი-
 თად, ქათინაური უნდა ეთქვა მომხიბლავი ქალისათვის. სხვა სიტყვებით რის ვთქვათ, შალერიც,
 სხვა ათასობით უგერგილო და უნიათო ადამიანისა არ იყო, თავს „ნიღბთან“ აიგვებდა. ამ
 განსხვავებით მხოლოდ, რომ თუ იმ ადამიანთა „ნიღბი“ გარე სამყაროს მოთხოვნიდა მარჯვე
 იყო გამოჭრილი, ტრამაღის მგელს იგი თავისივე ოცნებისა და ამადლებული სწრაფვა-სურვი-
 ლის მიხედვით შეექმნა.

შალერის ამოცანაა, ამრიგად, გაარღვიოს საკუთარი პიროვნების მოჩვენებითი მთლიანობის
 ზღუდე და თაღისივე შიდა სამყაროს მრავალსაზიერება ცნოს. მან თავის უფლებებში უნდა
 აღადგინოს საკუთარი ბუნების ის ნაწილი, რომელსაც წლების განმავლობაში ასე მოწოდებით
 ჩქმალავდა და თრგუნავდა, რათა ამ გზაზე, ვინ იცის, ერთხელაც პიროვნების იმ ქვეშარბიტ
 მთლიანობას მიადწიოს, რომელიც განკაცების იდეალური მიზანია.

თუ ახლა უოველივე აქ თქმულს დავაკავშირებთ ამბასა და სიუჟეტის შექმნის იმ კანონ-
 ზომიერებასთან, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, დავინახავთ, რომ მესეს რომანში „ნორმალუ-
 რად“ ისეთი ადამიანია მიჩნეული, რომელიც თავს საკუთარ „მე“-სთან აიგივებს და ეჭვი არ
 ეპარება ამ „მე“-ს მთლიანობასა და განუყოფელობაში. შეხებაშისად აკრძალვის ზღვარიც, ორ
 საპირისპირო ნაწილად რომ უოფს ეპიკურ სამყაროს, ცნობიერებაზე ვადის, რომელიც „მე“-ს
 თავის ერთადერთ საყრდენად დაუხანავს. საზოგადოების მიერ შერისხული და ცნობიერებიდან
 განდევნილი ყველა ის შინაარსი, რომელიც ამა თუ იმ მიწეზით ადამიანთა თანაარსებობისა-
 თვის საზიანოდაა მიჩნეული, ამ ზღვარს მიღმა და, მაშასადამე, აკრძალვის სფეროშია მო-
 ქცეული. „ნორმალურები“ ცნობენ ამ აკრძალვას და ამიტომ ერიდებიან ცნობიერების ზღვა-
 რის გადალახვას. უფრო მეტიც, ისინი გახალციარი სიჯიუტით უარყოფენ უოველივე ნიშანს,

რაც კი ამ ზღვარს იქიდან მოედინება და ისე იქცევინ, თითქოს არაცნობიერ საშუარო ხულაც არ არსებობდეს, ხოლო თითო-ორი შეოცნებესა და განკაცების ხურვილი შეპრობილ ადამიანს, ვინც არად დაგიდევს აკრძალვას და ცნობიერების საზღვარს იქით შეღწევას ლამობს, „შეშლილს“ უწოდებენ და თავს არიდებენ მათთან ურთიერთობას.

ჩერ კიდევ 1917 წელს მესე წერდა: „შეოცნებე კაცს ბიურგერული და მშრომელი კლასებიდან შეშლილს ადარებენ ხოლმე, რადგან სჯერათ თავისი გუმიანისა და იციან, რომ თვითონ უმაღლა გავიდებიან, როგორც კი ხელოვანის, ფილოსოფოსისა და მორწმუნე კაცის დარად შეეცდებიან თვალი გაუსწორონ თავის შიდა საშუაროს უძირო წილს. ამ წილს გინდა სული დაუძახე, გინდა არაცნობიერი. ან კიდევ სხვა რამ სახელი. გინდა ასე თქვი, გინდ ისე, იქ იღებს დასაბამს უოველი ჩვენი გულის წადილი. ბიურგერს კი საკუთარ თავსა და სულის შორის უარაული-ცნობიერება, მორალი და უშიშროების ინსტანცია დაუქნებია და არაფრისა არა სწამს, რაც სულის იმ წილიდან მომდინარეობს. ვიდრე იმ შუალედურ ინსტანციას არ გაივლის და იქ სათანადო ბეჭდით არ იქნება დადასტურებული“.

ბიურგერისა და საზოგადოების „ნორმალური“ უმრავლესობისგან განსხვავებით, მარი მალერის ეჭვი სულის საშუაროსადმი კი არაა მიმართული, არამედ უოველგვარი სასაზღვრო საგუშაგოებსა და საკონტროლო პუნქტებისადმი. მან იცის, რომ შინაგანი ხურლქმნისა და განკაცების გზა აკრძალული ზღვარის გადაღაბვით იწყება; რამეთუ ის ჰეშმარიტი პიროვნება, რომელთანაც მივეუაროთ განკაცებას, ინდივიდუუმის ცნობიერ და არაცნობიერ შინაარსთა ერთობლიობას გულისხმობს. ამიტომაც, რომ ის ასე გულადად გადააბიჭებს ამ ზღვარს და მერე სულ უფრო ღრმად მიიწევს საკუთარი სულის იღუმალ საშუაროში.

ამრიგად, თუ მკითხველი აღნიშნული კუთხით ხელაბლა გადაავლებს თვალს რომანს, ის იმისი მოწმე გახდება. თუ როგორ ივსება ლიტერატურაში ძველთაგანვე ცნობილი უნივერსალური მოდელი სპეციფიკური პესესეული. ფსიქოლოგიური და ანთროპოლოგიური შინაარსით, ის დაინახავს, რომ ეპიკური მოქმედების არე მხოლოდ ერთი გმირის სულითა და ცნობიერებითაა შემოსაზღვრული. ხოლო დანარჩენი მოქმედი პირები ცალ-ცალკე არსებანი და სუვერენული პერსონაჟები კი არ არიან, როგორც ჩვენ ამას ტრადიციული პროზიდან ვართ ჩვეულებრივ, არამედ ამ ერთადერთი გმირის განშტოებანი და მისი სულის ცალკეულ მხარეთა თავისებური ანარქიები — ჰერმინე მალერის „ანიმას“ განასაბიერებს. საქსაფონზე დაშვრელი პაბლო — მისი არსების „ბნელ მხარეს“, რომელსაც პიროვნება ეთიკური, ესთეტიკური თუ სხვა რამ მოსაზრებით უარყოფს ხოლმე. ხოლო მოცარტი და გოეთე ადამიანის ფსიქიკის იმ მთლიანობაზე მიანიშნებენ. რასაც საბოლოო ჯამში ესწრაფვის მალერი.

ახლებურად წარმოუდგება მკითხველს რომანის დასკვნითი ნაწილიც, სადაც მალერის კარნავალური თავგადასავალია აღწერილი. ახლა მისთვის ნათელი გახდება, რომ „მაგიური თეატრი“ სწორედ იმ საშუაროს წარმოაჩენს, რომელიც აკრძალულ ზღვარს მიღმაა და რომელშიც სხვაგვარად ვერ შეაღწევა. თუ ცოტა მაინც არ გაგიფიქროს და მცირე ხნით მაინც არ შეელიერ შენს საკუთარ „შე“-ს (აკი პაბლოც მანამდე არ შეუშვებს მარის თავის თეატრში, ვიდრე ის არ გაიხდის თავის ღრმად პატოვცემულ პიროვნებას და იქვე გასაბდელში არ ჩააბარებს). ხოლო რაკი საზღვარს გადააბიჭებს, მკითხველი იმასაც მიხვდება, რომ მხიარული ნადირობაც ავტომობილებზე, პიროვნების აგების გაცვეთილებიც და მოცარტის ნაწნავზე ჩაფრენილი გახეირნებაც კოსმოსურ სივრცეში მალერის შიგნით მიმდინარე პროცესებზე მიანიშნებენ და პიროვნების შინაგანი წრდის მაუწყებელნი არიან. მართალია, ამასობაში მკითხველი შეიძლება თვითონაც შეიშალოს ოდნავ ჰეშლიდან და მალერივით თავი კვერნად ან ტურად წარმოიდგინოს, მაგრამ ამის ნუ შეეშინდება, ვინაიდან სულ მალე აღიდგენს სულიერ წონასწორობას და ისევ თავის უცილობლად უნიკალურ, ერთიანსა და განუყოფელ „შე“-ს დაუბრუნდება.





თარგმანა ბრიგოლ რუსაიამ

ეპიკოლეგი ესენინის ცხოვრებიდან

ლენინგრაძელი ლიტერატურათმცოდნე ისააკ ევენტოვი ავტორია საბჭოთა მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი არაერთი წიგნისა, რომელთა შორის აღსანიშნავია: „მარიაკოვსკი სატირიკოსი“ „დემიან ბედნი“, „ბორის ლავრენიევი“, „სატირა გორკის შემოქმედებაში“ და სხვა.

ესენინის ცხოვრებისადმი მიძღვნილ წინამდებარე გამოკვლევაში მეცნიერს შოაქვს ლიტერატურის ისტორიაში ნაკლებად ცნობილი ფაქტები, მოგონებანი, ციტატები, ამონაწერები პირადი ბარათებიდან, რომლებიც ღრმად გვახედებს დიდი საბჭოთა პოეტის რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე პირად ცხოვრებაში, ისვენებს იმ ეპოქის თანამედროვეთ — მწერლებს, პოეტებს, ჟურნალისტებს, მხატვრებს, ანალიზებს პოეტის შემოქმედებით თავისებურებებს, იკვლევს მიზეზებსა და იმპულსებს, რომლებმაც განსაზღვრეს ესენინის ცხოვრების ტრაგიკული დასასრული.

შთაკვანისლი.

სტატიის დაწერისას გამოყენებულია შემდეგი წყაროები: 1918-1926 წლების საგაზეთო ქრონიკები, ლიტერატურული არქივების დოკუმენტები, აგრეთვე ესენინის ნაცნობ-მეგობართა: ვ. როჟდესტვენსკის, ა. ჩავინის, ა. მარიენბოფის, ი. სადოფიევის, ვ. ივანოვის, ვ. ერლიხის, ნ. კრანდიევსკაია-ტოლსტაიას მოგონებანი, გამოყენებულია აგრეთვე ესენინის წერილები.

1. ლიტერატურის „უაპასხანის კერიოდო“

1918 წლის მარტში საბჭოთა რუსეთის მთავრობა პეტროგრადიდან მოსკოვს გადადიოდა. სპეციალური სამგზავრო შემადგენლობით ახალ დედაქალაქში მიემგზავრებოდნენ საბჭოთა-რიატთა თანამშრომლები და მათ შორის — ესენინის მეუღლე ზინაიდა რაიზი, რომელიც სასურსათო სახალხო კომისარიატის სამდივნოში მუშაობდა. რამდენიმე დღის შემდეგ ესენინიც გაემგზავრა.

მოსკოვი მათ ნამქერებით, მარხილთა კავენის ქრიალით, მალაზიების ჩაბნელებული ვიტრინებით, ოდესღაც შეღებილი ხახლების აწედილი საპარადო კარებით შეეგება. საბჭურსათ-კომისარიატის თანამშრომლები ტვერსკაიას ქუჩაზე, პატარა, ნესტიან და ხმაურიან სასტუმროში დაბინავდნენ. ნახევრადმშვივრები სურსათის მცირე უღუფას იღებდნენ, მაგრამ მხნეობითა და მღელვარე მოლოდინით იყვნენ აღსავსე. ბრესტის წავმა ბოლო მოუღო გერმანიასთან ომს, მშვიდობიანი შესვენება დაიწყო, დადგა დიად რევოლუციურ გარდაქმნათა უამი. ესენინი რამდენიმე დღით ჩავიდა მშობლიურ სოფელში, ბოლო დაბრუნებისთანავე მოდიანად ჩაეფლო ლიტერატურულ და საგამომცემლო საქმიანობაში.

1918 წლის 29 მაისს ესენინებს ტატიანა შეეძინათ, ხოლო 1920 წლის მარტში — ვაჟი კონსტანტინე, მაგრამ პოეტი კარგა ზანია უკვე შინ აღარ ცხოვრობდა ცოლს იგი მეორე შვილის შექმნამდე გაეუარა.

მოსკოვში ესენინი დაუახლოვდა პროლეტარულ პოეტთა ჯგუფს და, შინიდან წასული, დასახლდა პროლეტარულტელთა შენობაში (ფაბრიკანტ მოროზოვის ყოფილი სახლი) იქვე ლიტერატურულ სტუდიაშიც მოღვაწეობდა. იგი პოეტ მიხეილ გერასიმოვიან ერთად მოეწყო ნათელ, მაგრამ ნაქაზი სტილით კედლებმოხატულ ოთახში, რომელიც წინათ აბაზანა ყოფილიყო. ოთახს სახელდახელო ღუმელით ათბობდნენ. კოლექტიურად სადილობდნენ არბატის სასადილოში. იქვე მსჭვდობდნენ საორგანიზაციო და შემოქმედებითი საქმეებს. საქმეები კი ესენინს თავხაყრელი პქონდა. 1918 წელს მან დასაბეჭდად მოამზადა სამი პოეტური კრებული: „ცისფერადი“, „ფერისცვალება“ და „სოფლის ვაზნი“, დაწერა თეორიული ტრაქტატი „მარიას გასაღებები“. სხვა პოეტებთან ერთად ქმნიდა „კანტატასა“ და კინოსცენარს „მხმობელ დაფიონებს“. „კანტატა“ შეასრულა ორკესტრმა და გუნდმა წითელ მოედანზე 1918 წლის 7 ნოემბერს, ეს ღონისძიება მიეძღვნა ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობისათვის დაცემულთა ხსოვნის მემორიალური დაფის გახსნას. ამ ღონისძიებას ესწრებოდა ვ. ი. ლენინი.

პოეტი მსმენელთა წინაშე ბევრჯერ გამოსულა ლექსების კითხვით: ყოფილი გერმანული კლუბის შენობაში. სოფიის ქუჩაზე (ა. ბელისთან, პ. ორუშინთან და სხვებთან ერთად), როსდესტვენსკის ბულვარის კლუბში („ველები და გარეუბნების პოეზიის საღამო“). განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო საღამო — „რუსეთი კეკა-კუხილსა და ქარიშხალში“. რომელიც გაიმართა მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში 1920 წლის დეკემბერს. შეხავალი სიტყვა წარმოთქვა განათლების კომისარმა ლუნაჩარსკიმ. გარდა ესენინისა გამოვიდნენ ვალერი ბრიუსოვი, ანდრეი ბელი, ადელინა ადალისი, რიურიკ ივნევი, ბორის პასტერნაკი, ილია ერენბურგი. თანამედროვე პოეტთა ლექსებს კითხულობდა მსახიობი აღისა კონენი.

მოსკოვის ლიტერატურული ცხოვრება იმ წლებში დუღდა და გადმოდუღდა. მძაფრ პოლემიკაში. კამათში. ნოვატორობისა და აღმოჩენათა გზების ძიებისას იბადებოდა ახალი, საბჭოური ლიტერატურა. რომლის ყველაზე უფრო რადიკალური უბანი პოეზია იყო. იგი იბადებოდა მიმშილში. ნგრევაში. გაჭირვებასა და სამოქალაქო ომის ეთიარებაში. არ იყო ქალაქი, არ მუშაობდა სტამბები. კანტიკუნტად გამოდიოდა რამდენიმე ჟურნალი. ლექსები რბექდებოდა რბილგარეკანიან თხელ ბროშურებად. ნაცრისფერ, ხანდახან სახვევ ქალაქზეც. მყირე ტირაჟებით. ბევრი ნაწარმოები მკითხველამდე ზეპირი გზით — ლიტერატურულ საღამოებზე ავტორისეული კითხვის მეშვეობით აღწევდა.

ლექსების მოსმენა ყოველ საღამოს შეიძლებოდა: ლიტერატურული ცხოვრების ცენტრებად გადაიქცნენ პატარა კლუბები, სასადილოები, კაფეები. პატარა სარდაფები ხალხმრავალ ქუჩებზე. სადაც შეიძლებოდა ჩაის (ნატურალური თუ სტაფილოს, შაქრიანი ან სახარინიანი უავის [სუროგატი] დაღვევა. შერისს ზაკაპურის ან კარტოფილის ღვეზლის შიტანება. ან ერთი თეფში ხახვიანი მთავე კომბოსტოთი დანაყრება. საშაგიეროდ ნახავდი ცნობილ პოეტს, მოისმენდი ჭერ კიდევ დაუბეჭდავ ლექსებს. იქვე იმართებოდა დისკუსიები, ლიტერატურული „ჩემპიონატები“. ცხადდებოდა ესთეტიკური მანიფესტები, ცხარე პოლემიკაში ერთმანეთს ეჩიბრებოდნენ მტრულ დაჭგუფებათა და მიმდინარეობათა წარმომადგენლები. ეწყობოდა „ლიტერატურული სასამართლოები“, იკითხებოდა საბრალდებო აქტები, წარმოებდა მოწმეთა დაკითხვა, მხარეთა კამათი, ექსპერიმენტები. განაჩენის გამოტანა, და ა. შ. („ფუტურისტების გასამართლება“, „ეპიგონების გასამართლება“, „ძველი ლიტერატურის გასამართლება“). იფურჩქნებოდა საგანმანათლებლო, საგამომცემლო და წიგნით ვაქრობის საქმიანობის კოოპერატიული ფორმები. ესენინი თავდავიწყებით ჩაება ამ ქარიშხლიან, აურზაურთან წარმტაც ცხოვრებაში.

„საოცარი დრო იყო, — წერს რ. ივნევი. — სიცოცხე ქუჩაში. სიცოცხე დაწესებულებებში. სიცოცხე თითქმის ყველა სახლში. და იმავე დროს ახეთი მზურვალეება მეგობრული ხაუბრებისა და სრული ურთიერთგაგებისა“. რიურიკ ივნევს ესენინი ახსოვს ყოველთვის გაღიმებული. მხარული. კინკებიით სავსე თვალებით, ხალისიანი, კმუნვის ნასახის გარეშე. უბრალო, უსაზღვროდ გულწრფელი, კეთილისმოსურნე.

ესენინს მაშინ ტუავის რუხი ქურთუკი ეცვა, უელზე შემოხვეული პქონდა გრძელი, თითქმის იატაკამდე დაშვებული ფერადი კაშნე. ბუნებრიობა. სიკეთე გამოსჭვითოდა პოეტის ყოველ უესტში. საქმეში იყო ფიცხი. გატაცებული, უფვარდა კოლექტიური მუშაობა.

მისი პირველი საორგანიზაციო ინიციატივა „მწერალთა კომუნისი“ შექმნა იყო. მეგობრები და თავისი თავი გაუიხულ სახლებში ცხოვრებისაგან გადაარჩინა. („მთელი ზამთარი ხუთგრადადუხიან უინვაში გავატარეთ. ერთი ნაფოტი შეშაც არა გვექონდა.“) პოეტმა მოსკოვის საბჭოში ხუთოთახიანი ბინის ორდერი რის ვაი-ვაგლახით მოიპოვა. ეს ბინა კოშიცკის შე-

სახვევში (ტვერსკაიას ქუჩის ახლოს) მდებარეობდა, სახლში. სადაც მოქმედებდა ორთქლის გათბობა და სასწაულებრივ გადარჩა. 1919 წლის დასაწყისში ესენინის გარდა ამ ბინაში ჩასახლდა რამდენიმე მწერალი და ჟურნალისტი. ხოლო სტუმრობდნენ შრავალნი, რომლებიც საუბრობდნენ, კამათობდნენ და თბებოდნენ კიდევ.

ერთ-ერთი სამწერლო დაწესებულება, რომელშიც ესენინი მონაწილეობდა, იყო „მხატვრულ მესიტყვეთა მოსკოვის შრომითი არტელი“. ამ არტელის ორგანიზატორები იყვნენ აგრეთვე ა. ბელი, ს. კლიჩკოვი და პ. ორეშინი. „არტელი საგამომცემლო საქმიანობას ეწეოდა. მას ჰქონდა დიდი გეგმები, რომელთა ხორცშესხმა — საწარმოო სიძნელებების გამო — მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა გამოცემლობის მარკით გამოვიდა ესენინის ხუთი წიგნი და კოლექტიური კრებული — „გრიგალთა მხედრონი“.

მოსკოვის საბჭოს ნებართვით, რომელმაც მოიწონა კოლპერატორული წამოწყებანი, ესენინმა და მისმა მეგობრებმა ბოლშაია ნიკიტსკაიას ქუჩაზე, კონსერვატორიის გვერდით, გახსნეს „მხატვრულ მესიტყვეთა წიგნის ფარდული“, სადაც გამოცდილი წიგნით მოვაქრენი მუშაობდნენ. აქ ყოველდღე შეხვედებოდათ ესენინს — დაბლთან, სტელაჟებთან, ხან კიდევ დიდ შრავალ მაგიდასთან, ხანაც სავარძლებიან ზედა ოთახში, რომელსაც „ლიტერატურის კაბინეტი“ ერქვა, არსებითად კი ლიტერატურულ სალონად ითვლებოდა. სადაც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს მწერლები და წიგნის მოყვარულები.

ახალ გამოცემათა გვერდით ფარდულში ბუკინისტური წიგნებიც იყიდებოდა — სწორედ ისინი იქცევდა პოეტის ურადლებას ხშირად შენიშნავდით იშვიათი წიგნების. დალის ლექსიკონისა ან რუსული პოეზიის ძველი გამოცემის კითხვაში გართულს ერთხელ აქ ცნობილი მოსკოველი ფილოლოგი მოვიდა და პოეტმა მას გაუმართა ცხარე დავა „იგორის ლაშქრობის“ თაობაზე — იმ დღეს სწორედ ამ ძველის ძველი გამოცემა იყიდებოდა ფარდულში.

ესენინს შეხვედებოდათ აგრეთვე „პოეტების უავახანაში“, რომელიც ტვერსკაიას ქუჩის № 18-ში მდებარეობდა და ეჭირა ყოფილი უავახანის „დომინოს“ სათავსო. ტვერსკაიას ქუჩის უავახანა სრულიად რუსეთის პოეტთა კავშირის კლუბად ითვლებოდა და აქ ყოველდღე კითხულობდნენ ლექსებს. აფიშა, მონაწილე პოეტთა გვარებს რომ აცხადებდა (მათ შორის ესენინი ფიგურირებდა), იუწყებოდა: „ესტრადა-სასადილო ღია ყოველდღე 12-დან 7 საათამდე, უკრავს ორკესტრი, იყიდება სადილები“.

ასეთი იყო 1919 წლის გაზაფხულის აფიშა. მოგვიანებით „ესტრადა“ ხალამობითაც ფუნქციონირებდა; ვახშმად იძლეოდნენ „ღვეწელს“ (ერთი კოვში მოცვის ხილფაფა და კარტოფილის ხაქაპური) და რკოს უავახ. დარბაზის კედლებზე — მხატვრობა, მაგიდაზე, მიწებქვეშ — ლექსების ფრაგმენტები, ნახატები და პოეტთა პორტრეტები იყო მოთავსებული; სამწარეულოს გვერდით პოეტთა კავშირის გამგეობის ოთახი მდებარეობდა. კლუბი, დუქანი, შეხვედრისა და კამათის ადგილი — ასეთი იყო მოსკოვში ეს პოპულარული დაწესებულება. რომელიც ნათელი მოწმე იყო იმისა, რასაც სერგეი გოროდეცკიმ თავის მოგონებებში რუსული ლიტერატურის „უავახანის პერიოდი“ უწოდა.

2. „მოსკოვის მუხაბანდების წილი“

„პოეტთა კაფეში“ დაიბადა იმაჟინიზმი — ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელმაც ესენინის ცხოვრებაში არასასურველი როლი ითამაშა. იმაჟინისტები გამოეყვნენ პოეტთა კლუბს და თავიანთი კაფე — „პეგასის ბაგა“ გახსნეს. აი, თანამედროვეთა მიერ დატოვებული აღწერა ამ უავახანისა:

„სარკეში გაორმაგებული შუქი, სათავსის სიციწროვის გამო ღამის ერთმანეთზე ახოსოღავებული მაგიდები. რუმინული ორკესტრი. ესტრადა. მხატვარ იაკულოვის მიერ მოხატული კედლები და იმაჟინისტთა გალექსილი ლოზუნგები. ერთ-ერთი კედლიდან თვალში გეცემოდათ ოქროსფერი თმის ღერები და მემარცხენე მიმართულების მხატვრის მიერ შესრულებული ესენინის არაბუნებრივად დამაბინძურებელი სახე წარწერით: „იფურთხე, ქარო, ბლუქა ფოთლებით.“

ამ დაწესებულების ხაზგასმით დეკადენტური გარემო პასუხობდა მის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას. აქ ტარდებოდა დისპუტები და პოეზიის საღამოები, მაგრამ „ბაგის“ რეპუტაცია იქმნებოდა, ძირითადად, ლიტერატურული სკანდალების მიხედვით. იგივე თანამედროვე აღწერს „ჩვეულებრივ ხმაურს უავახანაში, ლოთურ წამოძახილებსა და შენიშვნებს მაგიდადან“ პოეტთა და ორატორთა გამოსვლისას (ეს ხმაური ესენინის გამოსვლისას ჩვეულებრივ წყდებოდა ხოლმე). ბოქმური ატმოსფერო, სკანდალებსა და პიკანტურ შეჯახებებზე დასწრების შესაძლებლობა აქ იზიდავდა სრულიად შემთხვევით პუბლიკას — არა მარტო მუხიანურ-

ობივაციონალიზმის, ანტიმემორიალური, აგრესიული, ნეპრე-ბურჟუაზიული წრიდანაც. დიმიტრი ფურმანოვიცმა, რომელმაც მოინახულა „მეგასის ბაგა“ ქარიდან მოსკოვში დაბრუნებისას (1921 წელს), მას „ბურჟუაზიული წვილიკობის ბაგა“ უწოდა.

იმპერინისტები მცირერიცხოვანი და არაგავლენიანი ჯგუფს წარმოადგენდა, რომელშიც შედიოდნენ ანატოლი მარინოვი, ვადიმ შერშენევიჩი, ალექსანდრ კუსნიცოვი და სხვები.

არც თავიანთი ესთეტიკური იდეებით, პრეტენციოზულ დეკლარაციებში, ანტი-ბურჟუაზიულ-რებდნენ, არც ლექსებით მათ არ შეეძლოთ პუბლიკის ყურადღების მიპყრობა. ამის მიღწევას ისინი ექსტრავეგანტურა ჩაცმულობით ცდილობდნენ: დახვირნობდნენ შავ, ლაქის ცილინდრებსა და სმოკინგებში, ხელჯობიანები, ვითარცა ინგლისელი დენდები (უნდა გავიხსენოთ, რომ მანამდე, მათზე რამდენიმე წლით ადრე, მსგავსი მიზნის მისაღწევად. — ქუჩებში დაიარებოდნენ უკათოვლოებისა და სახეშეფერადებული ფუტურისტები). მათ სახელი გაითქვამს საჯარო გამოსვლებზე გამომწვევი მოქცევით, რაც ხაუცხოო მახალას აძლევდა შემთხვევითა ქრანციებს.

ესენინი ამ წრეში ჩაითრია მარინოვიცმა, რომელსაც ჯერ კიდევ 1914 წლადან იცნობდა, ესე იგი რამდენიმე წლით ადრე ჯგუფის შექმნამდე. როცა „მწერალთა კომუნა“ დაიშალა, ესენინი უსახლკაროდ დარჩა და მარინოვიცმა იგი თავისთან — კორშის თეატრის მახლობლად, ბოგოსლავსკის შესახვევში მიიწვია საცხოვრებლად. მარინოვიცს კომუნალურ ბინაში შესამე სართულზე ეჭირა ოთახი და ესენინიც მასთან გადაბარგდა. ცხოვრობდნენ სიცხვეში, სინდისის სვეტი ნულის ქვემოთაც ეშვებოდა; ქუჩიდან მოსულების ქურქზე თოვლი არ დებოდა; ნანდასან „ბურჟუაზიის“ ათობდნენ, სვამდნენ სახარინიან ჩაის; ოთახი წიგნებით იყო ვატენილი, ძლივს პოულობდნენ სამუშაო კუთხეს. თავს აბურებდნენ დაუპატიებელი სტუმრები — ბოლოს და ბოლოს იძულებულნი გახდნენ ბინის კარებზე განცხადება გაეკრათ: „პოეტები — ესენინი და მარინოვიც მუშაობენ, სთხოვენ სტუმრებს, არ შეაწუხოთ“.

მათი პირველი საუბრები ხელმოწერებში სახის როლს შეეხებოდა. მარინოვიცმა ქადაგებდა „არარსებული“ სახის კულტს, როგორც პოეზიის ერთადერთ არსს. სახის მახვილიგონივრულობაში, განსხვავებულობასა და ორიგინალურობაში — შინაარსისა და ავტორისეული აზრის დამოუკიდებლად ჩამოყალიბებაში ზედავდა იგი ხელმოწერების მნიშვნელობასა და დედაარსს. თავისი შემოქმედებითი ბუნების შესაბამისად ესენინს ყოველთვის იწიდავდა ნათელი სიტუაციის ფერწერა. ესენინმა თავიდანვე საქმის მხოლოდ ეს მხარე შენიშნა და იმპერინისტები ჩათვალა თავის თანამებრძოლებად ხელმოწერებში. „სახის ძალის ცხოვრებაში გატარების მომწიფებულმა მოთხოვნილებამ, — აღიარებდა იგი, — ჩავგავიწყობ ჩვენ იმპერინისტთა მანიფესტის გამოქვეყნების აუცილებლობა“. შერშენევიჩის მიერ დაწერილ და მომავალი ჯგუფის წევრების — მათ შორის ესენინის, ხელმოწერილ დეკლარაციაში ნათქვამია: „ხელმოწერების ერთადერთი ქანონი, ერთადერთი და უბრალო შეთოდი არის ცხოვრების გამოვლინება სახისა და სახეთა რიტმიკის შესწევებით“.

ესენინს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია იმისათვის, რომ დეკლარაციაში უპატივცემოდ იყო დაპირადი შინაარსის შესახებ ხელმოწერებში. არადა ჯგუფის წევრები სწორედ ამაზე აგებდნენ მთელ თავიანთ ესთეტიკურ პროგრამას. ისინი მოითხოვდნენ სახის გაწმენდას იდეებისგან, ხელმოწერების დამოუკიდებლობას „ყოფისგან“ (ე. ი. სინამდვილისგან). ამ პროგრამის ძირითადი პუნქტი შერშენევიჩმა გამოხატა ფორმულით: „სახე, როგორც თვითმიზანი“. „ხიტყვა — წერდა ის, — მოითხოვს იდეისგან გათავისუფლებას. სახის მიერ აზრის შთანქმედი — აი, პოეტური სიტყვის განვითარების გზა“.

ეს უღერდა გამომწვევად, მაგრამ არა აბლებურად: იმპერინისტთა ბევრი წინაპორბედი — რევოლუციამდელი ხანის დეკადენტები — „თავისუფლებდნენ პოეზიას იდეური აზრისაგან, უსპობდნენ სიცოცხლეს და დახატკნობად იმეტებდნენ“.

ესენინი მალე დარწმუნდა იმპერინისტური პროგრამის უპრინციურობასა და უნადავობაში. ამ პროგრამის ძირითად დებულებათა კრიტიკას მან უძღვნა სპეციალური სტატია „ყოფა და ხელმოწერა“. რომელიც 1921 წლის გაზაფხულზე დაწერა.

იმპერინისტს არ შეეძლო ესენინის პოეზიაში რეალისტური საწყისის ჩაკვლა, მაგრამ აღიარებდა, რომელსაც გარშემო ავრცელებდნენ ჯგუფის წევრები, და ბოკემურმა უზნეობამ პოეტზე ცუდი გავლენა იქონია. თუკი პოეტი საკმაოდ ხწრაფად გაეკრვა მათ იდეურ არასრულფასოვნებაში, იმპერინისტთა შემოქმედებით უნაყოფობაში, ცხოვრებაში მათთან კავშირის გაწყვეტა არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა. იგი ჩაითრია ჯგუფის ყოველდღიურმა ცხოვრებამ, ჩაიკარგა „მეგასის ბაგაში“, მონაწილეობდა „მეგობრულ“ ღრეობებში. თუმცა ადრე არ სვამდა სპირტიან სასმელებს და მთვრალი ხალხიც არ უყვარდა.



ყველაფერმა ამან დამღუპველი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე. ესენინის ლირიკაში გაჩნდა უწმაწური, დუქნის თავაშვებული მოტივები. მისი ლექსების გმირი მანანალის, თავქარიანის, სკანდალისტის სახით გამოდგოდა.

ასე წარმოიშვა ციკლი დამახასიათებელი სახელწოდებით „დუქნის მოსკოვი“. ამ ციკლის ლექსები გამოირჩევა საგანგებოდ გამიზნული ვულგარული ფრაზოლოგიათა („ქოვტლმა ძალღმა იცის“, „ავუროლდები ბოლოკით და ხაზვით“, „თუ ადრე სიფათშაქსი ჩაქვს მდინე“). გულამოსკვნილი ინტონაციები, ლოთური სიყოჩაღის ერთფეროვანი მოტივები, რომელიც უსასოო ხევდას ენაცვლებოდა — ყველაფერმა ამან გავლენა იქონია ესენინის პოეზიის მხატვრულ დონეზე.

დაიკარგა ფერთა ის ცისარტყელა, რითაც ადრეული ლექსები გამოირჩეოდა — მათ ნაცვლად მოვიდა ღამის ქალაქის ნაღვლიანი პეიზაჟები, რომელსაც მიუხაფარი, შიტოვებული კაცის თვალები უშვებდა: უსწორმასწორო შესახვევები, კლაკნილი ქუჩები, დუქნების ნისლში მბჟუტავი ფარნები... გულწრფელობამ, ესენინის ლირიკული ლექსების ღრმა ემოციურობამ ადგილი დაუთმო გაშიშვლებულ ვნებებს, ბოშური რომანსის ნაღვლიან მღერადობას.

პოეტმა არაერთხელ სცადა თავი დაედგინა პოეტური დუქნების მყრალი ატმოსფეროსთვის. ამაში კი ხელს უშლიდა მოუწესრიგებელი საყოფაცხოვრებო მდგომარეობა, რბილი ხასიათი, ყველაზე უფრო კი — დაუპატიჟებელი მეგობრების მოსაბეზრებელი აკვიატება. ესენინმა სცადა საცხოვრებლის გამოცვლა, მაგრამ სადაც კი ჩასახლდა, ყველგან შიაგნეს ხმაურიანი და მემფერალეთა კომპანიის წევრებმა.

ეს ყველაფერი სულს უწამლავდა, უშლიდა მუშაობას. „ბანაკურ ცხოვრებას ვეწევი, — ჩიოდა იგი ერთ წერილში, — თავშესაფრისა და სიმყუდროვის გარეშე, რადგანაც ხშირად მოდიან და არ მასვენებენ ათასნაირი უსაქმურები. თურმე ნუ იტყვიოთ და, ჩემთან დაღევა სიამოვნებთ! არ ვიცი, როგორ დავეხსნა ამ უთავბოლოებას, ხაკუთარი თავი მეცოდება“.

ყველაზე საიმედო საშუალება აკვიატებული თანამგზავრებისაგან თავდასაღწევად მოსკოვიდან სადმე შორს გადაიკარგა იყო — დროებით მაინც. და ესენინმა მიმართა ამ ხერხს, როცა დრამატულ პოემა „პუგაჩოვზე“ მუშაობდა. შეისწავლა ყველა დოკუმენტური და წიგნური წყარო პუგაჩოვისდროინდელი ამბებისა, რაც კი იყო დედაქალაქში ხელმისაწვდომი, და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო უირგიზეთისა და ვოლგისპირეთის მონახულება — ადგილებისა, საიდანაც დაძრა თავისი არმიები პუგაჩოვმა. ამასთანავე პოეტმა გადაწყვიტა მონახულებინა შუა აზიის სხვა რაიონები, რომლებიც დიდი ხანია იზიდავდა.

1821 წლის აპრილში პოეტი მოსკოვიდან ხამარას ჩავიდა, იქიდან კი — ტაშკენტს, სადაც მისის პირველი ნახევარი გაატარა. შემდეგ იგი სამარყანდს გაემგზავრა, ეწვია ბუხარასაც და ტაშკენტს დაბრუნდა. მგზავრობდა თავის მეგობართან, გზათა ხანკომისარიატის პასუხისმგებელ მუშაკთან, რომელსაც სამსახურებრივი ვაგონი ემსახურებოდა.

ამ პატარა, ლურჯ, მეფისდროინდელ ღია ტამბურიან სალონ-ვაგონში, რომლითაც მინისტრები და დიდგვაროვნები მგზავრობდნენ ხოლმე, პოეტი მუშაობდა და მუშაობდა მთელი ორი თვის მანძილზე. საგზაო პირობებისა და ახალ შთაბეჭდილებათა სიმრავლის მიუხედავად, მოგზაურობა შემოქმედებითი თვალსაზრისით ნაყოფიერი აღმოჩნდა. უკან დაბრუნებისას ესენინი უკვე ამთავრებდა მუშაობას პოემაზე, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გზაში დაიწერა.

მოსკოვში ჩამოსვლისას პოეტმა „პუგაჩოვი“ წაიკითხა ბეჭდვითი კითხვის სახლში, თეატრში — რსფსრ 1 (სადაც პოემის დადგმას მარიენმოფი აპირებდა), „ლიტერატურული სახლის“ კლუბში, ხოლო პოემის ნაწყვეტები ხალხმრავალ მოედნებსა და კერძო სახლებში, პოემა იყო ერთ-ერთი საყვარელი პირმშო პოეტისა და მის საუკეთესო ქმნილებათა შორის გამორჩეული ადგილი უკავია.

ამ პოემიდან პოეტს ყველაზე უფრო ხლობუშას (პუგაჩოვის თანამებრძოლი) მონოლოგისა და ბოლო სცენის კითხვა უყვარდა. მისი გმირების სიტყვები, როცა მათ თვითონ პოეტი კითხულობდა, საოცრად გულწრფელად ეღერდნენ. მ. გორკი, რომელმაც ეს ნაწყვეტები მოისმინა ერთ-ერთ შეხვედრაზე (ამის შესახებ ქვემოთ მოგიხსნებოდა), წერდა: „ვერ დაშეჭერებიან, რომ ეს პატარა კაცი განცდის ასეთ უზარმაზარ ძალას, ასეთ სრულყოფილ გამომსახველობას ფლობდა“.

სახალხო ბელადზე შექმნილმა დრამატულმა პოემამ ესენინს განუმტკიცა ადგილი საბჭოთა ეპოქის პირველი წლების რევოლუციური ხელოვნების რიგებში — იმ რიგებში, საიდანაც არ შეეძლოთ მისი გამოყვანა მოანარქისტო და მოდერადენტო ლიტერატურული ბიძგების „ბაგებს“.

3. უცხო ქალაქები

1921 წლის ზაფხულში განათლების კომისიის მოწვევით საზღვარგარეთიდან გასტროლებზე მოსკოვს ჩამოვიდა სახელგანთქმული მოცეკვავე აისედორა დუნკანი. დუნკანის მოწვევა დაემთხვა მოცეკვავის სურვილს, ჩამოსულიყო საბჭოთა რუსეთში და დაბმარბოდა მას თავისი ახალგაზრდა ხელოვნების განვითარებაში. ამისათვის მსახიობს განსაკუთრებული პირობები და არა მარტო გაემართა კონცერტები, არამედ მოსკოვში დაეარსებინა სპეციალური სადაც ახალი მეთოდით ისწავლიდნენ ცეკვას ბავშვები.

აისედორა დუნკანი ცეკვის ჯადოქარი იყო. იგი მიისწრაფოდა მკვდარი ტრადიციებისაგან, ბუტაფორული პირობითობებისაგან, დადგენილი ილეთებისაგან გაეთავისუფლებინა ბალეტი. თავის შემოქმედებაში იგი ეყრდნობოდა ანტიკური ცეკვის დავიწყებულ გამოცდილებას. ოღონდ ათანამედროვებდა ძველ სტილს და ახალ აზრსაც სძენდა მას. ნიკოლოზ ნიკიტინის გადმოცემით, — „ეს იყო უდიდესი მსახიობი, რომელიც არღვევდა, თავისი აზრით, ფრანგული ბალეტის ყალბ კანონებს. და, ეტყობა, იგი დიდი პიროვნებაც იყო... ჩამოსულიყო ბოლშევიკურ „მოსკოვში“, რომ უანგაროდ მიედგნა თავისი ტალანტი — ეს სულ სხვაა, ვიდრე უცხოელ მსახიობთა თანამედროვე გასტროლები. იმდროინდელ რუსეთში ჩამოსვლა ყოველმხრივ რჩეულად მიიჩნეოდა. მას შეეძლო სრულ სიმშვიდესა და კმაყოფილებაში ეცხოვრა საზღვარგარეთ, მაგრამ მსახიობი ამბობდა, რომ ასე ცხოვრება არ შეუძლია, რომ მხოლოდ რუსეთში შეიძლება იყოს ოქროთი მოუსყიდავი ხელოვნების საშობლო“.

მოსკოვური გასტროლებისათვის დუნკანმა მოამზადა სპეციალური ცეკვა „ინტერნაციონალი“, რომელსაც არაჩვეულებრივი ექსპრესიულობით ასრულებდა. მის გამოსვლებს დიდი წარმატება ახლდა თან. პრენისტენსკის ბულვარის № 20-ში, ყოფილ მებატონეთა სახლში, გაიხსნა სტუდია, სადაც ის ბავშვებს ცეკვებს ასწავლიდა. დუნკანმა აღსაზრდელებთან ერთად მოამზადა დიდი პროგრამა, რომლითაც სტუდია მოსკოველებს წარუდგა და აპირებდა საზღვარგარეთ გასტროლების გამართვას. მსახიობი იმავე სახლში ცხოვრობდა.

დუნკანის მოწვევა საბჭოთა რუსეთში ვ. ი. ლენინმაც მოიწონა. 1921 წლის 7 ნოემბერს დიდ თეატრში გაიმართა მსახიობის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა მისი საბალეტო სკოლის ას ორმოცდაათი მოსწავლე. შესრულდა ცეკვები ჩაიკოვსკის მუსიკის თანხლებით (№ 6 სიმფონია „სლავური მარში“ და „ინტერნაციონალი“). კონცერტს ვ. ი. ლენინიც ესწრებოდა. ნ. პოდვოისკის ცნობით, „აისედორა დუნკანი ბელადს ძლიერ მოეწონა“, განსაკუთრებული ენთუზიაზმით შეხვდა მაყურებელი „ინტერნაციონალს“. აღტაცების ქარიშხალი, დარბაზში რომ ჰქუხდა, დააკა დუნკანის, რომელმაც გამოაცხადა, მოცეკვავე მზად არის გაიმეოროს ცეკვის დამამთავრებელი ნაწილი, თუკი მაყურებელი სიმღერით აწყვებს ორკესტრს. ყველანი წამოდგნენ და დარბაზის სვეტებქვეშ გაიხსნა პროლეტარული მიმნის სიტყვები. „ინტერნაციონალს“ ვ. ი. ლენინიც მღეროდა.

ესენინი დუნკანს 1921 წლის შემოდგომაზე გაეცნო. ის აღაფრთოვანა მოცეკვავის არაჩვეულებრივმა ხელოვნებამ, მგზნებარე ტემპერამენტმა, პიროვნულმა მომხიბვლელობამ. პოეტისადმი ძლიერმა გრძობამ დუნკანიც მოიცვა. ს. გოროდეცკის დაკვირვებით, „ეს იყო ღრმა, ორმხრივი სიყვარული“. „რა თქმა უნდა, — წერს იგი, — ესენინი იმდენად იყო შეყვარებული დუნკანზე, რამდენადაც მის დიდებაზე, მაგრამ შეყვარებული იყო არანაკლებ, ვიდრე საერთოდ შეეძლო შეყვარება“.

მოსკოვში მყოფი დუნკანი ინტერვიუებს აძლევდა უცხოელ კორესპონდენტებს. მას ხიზოვდნენ შთაბეჭდილებათა გაზიარებას ნახევრადმშვიერ მოსკოვზე, საბჭოთა რუსეთის ხელოვნებაზე. ის მიუგებდა: „გაჭირვების მიუხედავად, რუსეთის ინტელიგენცია ენთუზიაზმით განაგრძობს ცხოვრების გარდაქმნის უმძიმეს მისიას. ჩემი დიდი მეგობარი სტანისლავსკი, სამხატვრო თეატრის მეთაური, თავისი ოჯახის წევრებთან ერთად, მადიანად შეიქცევა ცირცვის ფაფას, მაგრამ ეს ხელს არ უშლის დიად სახეთა შექმნაში“.

რაც შეეხება შიმშილს, დუნკანმა ადრევე განაცხადა, რომ შიმშილისა სრულებით არ ეშინოდა, რადგანაც გაიზარდა მუსიკის ღარიბი მასწავლებლის ოჯახში, სადაც ცეკვა და სიმღერა ხშირად ცვლიდა საკვებს...

მაგრამ მოსკოვს დარჩენა მსახიობს არ შეეძლო; დადებული კონტრაქტების შესაბამისად ის 1922 წლის მაისში უნდა გამგზავრებულიყო დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ესენინი დაქორწინდა დუნკანზე და გადაწყვიტა მასთან ერთად წასულიყო, რომ გასტროლების დამთავრებისთანავე ერთად დაბრუნებულიყვნენ მოსკოვში.

მოგზაურობაში პოეტს ბქონდა შემოქმედებით-პროპაგანდისტული მიზანიც. თავის მეგობრებს ის ეუბნებოდა: „მე დასავლეთში მივდივარ იმისათვის, რომ მათ ვაჩვენო, როგორია რუსი პოეტი“. ლუნაჩარსკისადმი გაგზავნილ განცხადებაში, სადაც პოეტი ითხოვდა საზღვარგარეთულ პასპორტს, მიუთითებდა, რომ აპირებდა ბერლინში მოეგვარებინა რუს პოეტთა წიგნების გამოცემის საქმე. ნიუ-იორკში შეხვედრისთვის მან მოამზადა სიტყვა, სადაც აპირებდა ეთქვა, რომ „რუსეთის სულს და ამერიკის სულს შეუძლიათ გაუგონ ერთმანეთს, ისინი ჩამოვიდნენ, რათა მოუთხრონ დიად რუსულ იდეებზე და აზრუნონ ორი დიდი ქვეყნის დასაახლოებლად“.

1922 წლის 10 მაისს დილას ესენინი და ლუნჯანი, რომლებსაც აცილებდნენ საბალეტო სტუდიის მოსწავლეები, მოსკოვის საგარეუბნო აეროდრომიდან ხმოლენსკისა და პოლოცკის გავლით კენიგსბერგში გაფრინდნენ (ეს იყო თითქმის პირველი საბჭოთა საერთაშორისო ავიორიისი). კენიგსბერგიდან მეორე დღეზე ჩავიდნენ ბერლინს და ქალაქის მთავარ ქუჩაზე ფეშენებელურ სასტუმრო „ადლონში“ გაჩერდნენ. იქ მათ ურნალისტთა მთელი პოლკი დახვდა. ესენინმა გაზეთ „წინაღღეს“ მისცა ინტერვიუ. აი, მისი ტექსტი: „მე მიყვარს რუსეთი. ის აღიარებს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას. მხოლოდ საზღვარგარეთ მივხვდი სავსებით ნათლად, თუ რა დიდია რუსული რევოლუციის დამსახურება, რომელმაც მხოლოდ იხსნა უიმედო მეშჩანობისაგან“.

მოსკოვიდან გამგზავრებამდე პოეტს აწუხებდა ერთი საკითხი, როგორ მოქცეულიყო თეთრ ემიგრანტებთან შეხვედრისას, კერძოდ, შერეუკოვსკისთან და გიბაუხთან. რომელთაც პირადად იცნობდა ჯერ კიდევ რევოლუციამდელი მეტროგრადიდან. „მე ხელს არ ჩამოვართმევ შერეუკოვსკის, — ამბობდა იგი, — არათუ ხელს არ ჩამოვართმევ, შემიძლია უფრო მკვეთრი შესტიც ვავაკეთო“.

ეს შეხვედრა არ შედგა, მაგრამ თავისი დამოკიდებულება თეთრი ემიგრაციისადმი ესენინმა საკმაოდ სიცხადით გამოხატა. „სადაც არ უნდა ვყოფილიყავ, — ყვებოდა იგი, — რა შავ კომპანიაშიც (იყო ასეთი შემთხვევებიც) არ უნდა მოვხვედრილიყავ, მზად ვიყავი ყველასათვის ხმა ჩამეკმენდინებინა... საბჭოთა ქვეყნის გინების ნებას არავის ვაძლევდი და მათაც ირწმუნეს ეს. საკმაოდ დიდხანს ვიარე მათ შორის ბოლშევიკად“. ბოლო ფრაზაში პოეტი გულისხმობდა, ეტყობა, შერეუკოვსკის სტატიას ფრანგულ გაზეთ „ექლერში“. სადაც ესენინი „ბოლშევიკად“ იხსენიებოდა. უშუალო შეჭახებანი თეთრ ემიგრანტებთან უმთავრესად პოეტს ბქონდა ბერლინში ჩასვლის პირველ დღეებში.

1922 წლის მაისს — ბერლინის ხელოვნებათა სახლის ლიტერატურულ საღამოზე, როცა დარბაზში შემოვიდნენ ესენინი და ლუნჯანი, ვილაცამ პროვოკაციულად წამოიძახა: „ინტერნაციონალი!“ დარბაზში მყოფმა თეთრემიგრანტებმა სტვენა დაიწყეს, ატყდა ერთი აღიპკოთი, ვილაცა გარდერობისკენ გაიქცა, ხოლო ესენინი სკამზე აბტა, დაიწყო ლექსების კითხვა და იმდერა „ინტერნაციონალიც“. ამ ინციდენტს უკვალოდ არ ჩაუვლია, ერთ-ერთმა თეთრგვარდიელმა ეს ამბავი აცნობა საფრანგეთის საელჩოს, რომელიც შეეცადა დაებრკოლებინა ლუნჯანისა და ესენინის ჩასვლა პარიზში. პოეტი იძულებული გახდა წერილით მიემართა საგარეო საქმეთა სახკომის მოადგილე ამხ. ლიტვინოვისთვის, წერილში ითხოვდა: „...თუ შეგიძლიათ, მოახერხეთ ისე, რომ გერმანიიდან გავაღწიოთ და მოვხვდეთ შააგაში...“

ესენინისათვის ბერლინური შეხვედრებიდან ყველაზე სამახსოვრო მ. გორკისთან შეხვედრა იყო. ეს იყო 1922 წლის 17 მაისს პანსიონატში, სადაც გორკი იმყოფებოდა ალექსეი ტოლსტოის ოჯახთან ერთად. გორკი ბერლინში ვ. ი. ლენინის დაუინებული თხოვნით სამკურნალოდ იყო ჩასული; ხოლო მწერლები ერთმანეთს ბერლინში შეხვედნენ და თავისთან მიიწვიეს ესენინი და ლუნჯანი.

პატარა სასტუმრო ოთახში ტოლსტოის ცოლმა სუფრა გაშალა. ჯერ ლუნჯანმა იცეკვა, მერე ესენინმა წაიკითხა ნაწყვეტები „პუგაჩოვიდან“ და „სიმდერა ძალღზე“. კითხვამ გორკი ააღელვა. იგი წერდა: „ლექსებმა ისე ამაღელვა, რომ ყელში რაღაცამ წამიჭირა. ქვიითინი მომინდა. მახსოვს, პოეტს ვერაფერი საქებარი სიტყვა ვერ ვუთხარი, ჩემი აზრით — იგი ამას არც საჭიროებდა“. გორკის წინაშე იდგა არა პატარა ბიჭი, ექვსი წლის წინ რომ ნახა, არამედ ნიჭიერი მხატვარი, „თავისებურად ტალანტიანი და დასრულებული რუსი პოეტი“.

გორკის თვალში ეცა კონტრასტი პოეტსა და მის მეგობარს შორის. ცოლიც და ქმარიც ურთიერთშეუვარებულები, ნიჭიერი ადამიანები იყვნენ, მაგრამ მაინც ბევრი რამ განახსტავებდათ: თუნდაც ასაკი (ლუნჯანი 17 წლით უფროსი იყო ესენინზე), ან ენობრივი ბარიერი (ლუნ-

კანი სამ ევროპულ ენას ფლობდა, რუსულად კი რამდენიმე ფრაზის წარმოთქმა შეეძლო, ხოლო ესენინმა მარტო რუსული იცოდა). აგრეთვე, ნატურათა მკვლერი სხვადასხვაგვარად გორკის შთაბეჭდილებით, ეს სახელგანთქმული ქალი, ასაკითა და დიდებით რომელიღაც დაშინებული, „ბიჭუნასავით პატარა, განსაცვიფრებელი რიაზანელი პოეტის გვერდით მოჩანდა სრულყოფილ განსახიერებად იმისა, რაც ესენინს სრულიად არ სჭირდებოდა“.

ესენინს რაღაცნაირი აგზნებულობა და დაბნეულობა ემჩნეოდა, კრისტინასთან შეხვედრისას, რომ საზღვარგარეთ, დიდი მსახიობის საზოგადოებაში იგი მოექცა ბურჟუაზიული ბოჰემის ატმოსფეროში — ფეშენებელურ, დიდკაცურად მფლანგველ გარემოში, რომელიც მისთვის შინაგანად სრულიად უცხო იყო.

მალე მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით გორკის დაკვირვებანი, როცა ისინი ეწვივნენ ბერლინის „ლუნაპარკს“. გორკიმ ცხადად დაინახა, რომ პოეტისათვის მიუღებელი იყო ბურჟუაზიული ფსევდოკულტურა, რომელიც ვაჭრობაში იყო გათქვეფილი.

გორკი წერს: „სიჩქარე, რომლითაც ესენინი ათვალთვრებდა განართობებს, ასეთ აზრს მიმტაცებდა: ყველაფერს უფურცხ იმისათვის, რათა ჩქარა ისევ დაივიწყოს, როდესაც პოეტი გაჩერდა მრგვალი კიოსკის წინ, რომელშიც ტრიალებდა და გუგუნებდა რაღაცა ტრელი, ის უცებ მომიბრუნდა და ისევ აჩქარებით მკითხა: — როგორ ფიქრობთ, ჩემი ლექსები საჭიროა? და საერთოდ, ხელოვნება, ესე იგი, პოეზია — საჭიროა? — კითხვა თავის დროზე იყო დასმული. — ლუნაპარკი უშიღეროდაც მშვენივრად ცხოვრობს“.

გორკი დაასკვნის, რომ ესენინი მგავდა კაცს, რომელიც აქ იყო მოსული „მოვალეობის მოსახდელად, ამ „ზრდილობისათვის“. ისე როგორც ურწმუნოები დადიან ცელესიაში, მოვა და მოუთმენლად ელოდება მალე დაშთავრდება თუ არა საცელესიო მსახურება... სხვისი ღმერთისადმი“.

ეს დაკვირვებანი შორსმჭვრეტელური გამოდგა: მთელი შემდეგი მოგზაურობა პოეტისა მიდიოდა. ერთის მხრივ, ბურჟუაზიული საშუაროს და მისი კულტურით უკმაყოფილებისა და, მეორეს მხრივ, — აისედორა დუნკანთან ურთიერთობაში მოახლოებული კრიზისის ნიშნის ქვეშ. პირველზე ცოცხლად შეტყუვლებენ ესენინის წერილები და მისივე ნარკვევები, რომელიც სამშობლოში დაბრუნებისთანავე გამოქვეყნდა; ხოლო მეორე — ადრე თუ გვიან მაინც გამოვლინდებოდა.

ბერლინში ესენინმა დადო ხელშეკრულება „ლექსებისა და პოემების კრებული“ გამოცემის შესახებ და მოამზადა ეს კრებული დასაბეჭდად, დაწერა და გამოაქვეყნა ავტობიოგრაფიული მასალა „სერგეი ესენინი“. გაზეთებში რამდენიმე მისი ლექსი გამოქვეყნდა. იგი ზრუნავდა თავისი მეგობრების წიგნების გამოცემაზეც.

ივნისის მიწურულს ესენინი და დუნკანი გაემგზავრნენ სამოგზაუროდ გერმანიაში. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებს პოეტი წერილებად უგზავნიდა მოსკოველ მეგობრებს.

ივლისის დასაწყისში დიუსელდორფში მყოფი პოეტი წერდა: „რა უნდა მოგითხოვოთ მეშ. ჩანობის ამ უხაშინელეს სამეფოზე, რომელიც ახლოსაა იდიოტიზმთან... ადამიანს ჭერ აქ ვერ შევხვდი და არც ვიცი, არის თუ არა საერთოდ, დიდ მოღვაწე ბატონი დოლარი, ხოლო ხელოვნებას არც შეაფურთხებ — ყველაზე მაღალია მიუზიკლი“.

4 ივლისს ესენინი და დუნკანი გერმანიიდან ბელგიაში ჩავიდნენ. ხუთი დღის შემდეგ ოსტენდში მყოფი ესენინი ერთ წერილში აღნიშნავდა: „იქ, მოსკოვში გვეჩვენებოდა, რომ ევროპა იყო პოეზიაში ჩვენი იდეების გავრცელების უფართოესი ბაზარი, აქედან კი თვალნათლივ ვხედავ: ღმერთო ჩემო! ამ მხრივ რა მდიდარია და ბრწყინვალე რუსეთი. მეჩვენება, ჩვენისთანა ქვეყანა არსადაა და არც შეიძლება იყოს“.

ესენინი არ უარყოფდა ბურჟუაზიული ცივილიზაციის მიღწევებს. „გარეგანი შთაბეჭდილებების მიხედვით, — შენიშნავდა იგი, — ჩვენი გაპარტახების მერე, აქაურობა მოწყობილია და კობტად გამოიყურება, მაგრამ სულიერ ცხოვრებაში — ერთიანი სასაფლაოა. ყველა ეს ადამიანი, რომელიც ხვლიკზე უფრო ჩქარა მოძრაობს, ადამიანი კი არა, ხამარის ჭიაა, შათი სახლები კუბოებია, მატერიკი — აკლდამა“.

ივლისის ბოლოს მოხერხდა დუნკანისა და ესენინისათვ. საფრანგეთის საშვის შოვნა. პარიზის შემდეგ ისინი იტალიაში გაემგზავრნენ, იყვნენ ვენეციაში, რომში, ნეაპოლში, ფლორენციაში და აგვისტოს პირველ რიცხვებში უკვე პარიზში ჩამოვიდნენ. ახლა აქ ერთი თვე იცხოვრეს. აქედან კი მათი გზა ოკეანის გავლით სხვა კონტინენტისკენ მიემართებოდა.

4. „ცრემლების კუნძული“



ესენინი დაბეჭდილობდა გიგანტურ სამგზავრო ზომადზე, რომლის რესტორანს „მეტი ფართობი ჰქონდა, ვიდრე დიდ თეატრს“, სადაც უზარმაზარი დარბაზები განკუთვნილი იყო ცეკვებისათვის, ბანქოს თამაშისთვის, გასართობებისთვის, სადაც ერთ კაბინეტში ეყოლია სააბაჯანო და რამდენიმე საცხოვრებელი ოთახი. მაგრამ ამ ფუფუნებას არ დაუბრმავებია იგი. რა თქმა უნდა, ფიქრობდა იგი, ჩვენს ქვეყანაში ბევრია გაუვალი გზა, გლეხურ ქოხებში სივიწროვება, მაგრამ ამ ჩამორჩენილობის დასაძლევად ჩვენ დავგეგმეთ მთელი ჩვენი ცხოვრების გარდაქმნა“.

„იმ დღიდან, — წერდა პოეტი ერთ-ერთ საზღვარგარეთულ ნარკვევში. — უფრო მეტად შემოიყვარდა კომუნისტური აღმშენებლობა. დაე კომუნისტებთან ახლოს არ ვიყო, როგორც რომანტიკოსი, ჩემს პოემებში (იგულისხმება რევოლუციის შემდეგ დაწერილი „მითოლოგიური“ პოემები) მე ახლოს ვარ მათთან გონებით და მგონია, რომ ვიქნები ახლოს — ჩემს შემოქმედებაშიც. ასეთი ფიქრებით მივემგზავრებოდა კოლუმბის ქვეყანაში“.

1922 წლის 2 ოქტომბერს „პარიზი“ შიადგა ნიუ-იორკის ნავთსაყუდელს, მაგრამ ამერიკული ხელისუფლების წარმომადგენლებმა უფლება არ მისცეს ესენინსა და დუნკანს გადასულიყვნენ ნაპირზე. ისინი გაამგზავრეს კუნძულ ელის-აილენდზე იმ ცნობათა გამოკვლევისთვის, რომლის მიხედვითაც, როგორც ვაჭრები იტყობინებოდნენ, ისინი თითქოს ამერიკაში აპირებდნენ კომუნისტური პროპაგანდის გაჩაღებას. დუნკანმა ენერგიულად გააპროტესტა და მოაგონა ჩინოვნიკებს, რომ ის მკვიდრი ამერიკელი იყო, ხოლო ესენინი — მისი ქმარი. ესენინმაც გააპროტესტა, ჩინოვნიკებმა მაინც დაითანხმეს ცოლ-ქმარი გამგზავრებულიყვნენ „ცრემლების კუნძულზე“ (ასე ითარგმნება ელის-აილენდი).

„პატარა ზომადზე რომ ვსხდებოდით, პოლიციელთა და ეურნალისტთა თანხლებით. — წერდა პოეტი იმავე ნარკვევში, — ჩვენ შევხედეთ თავისუფლების ქანდაკებას და სიცილი წაგვსკდა. „უბედურო შინაბერავი — შენ აქ სასერიოდ დაგაყენეს“, — ვთქვი მე. ეურნალისტებმა გვკითხეს, ახე ხმამაღლა რა გაცილებთო. ჩემმა თანამგზავრმა უთარგმნა და მათაც გაეცინათ.“

კუნძულზე მათ რამდენიმე შეკითხვა მისცეს, ჩამოართვეს სიტყვიერი პირობა, რომ „არავის ავნებდნენ“ და „არავითარ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ“, რის შემდეგაც ნება მისცეს ამერიკის მიწაზე გადასულიყვნენ.

ამ ქვეყანაში მათ ოთხი თვე დაჰყვეს. იყვნენ ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, ბოსტონში, ფილადელფიაში და სხვა ქალაქებში, სადაც დუნკანი კონცერტებით გამოდიოდა. ხოლო ესენინმა მონახულა განთქმული ნიუ-იორკის ბირჟა, (რომელმაც მასზე შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა), ათვალეირებდა ღირსშესანიშნაობებს სხვა ქალაქებში, გამოვიდა ერთ ლიტერატურულ საღამოზე (საღამო რუს ობოლთა სახარგებლოდ ნიუ-იორკის ლესინგტონ-თეატრში) და მთელი ამ ხნის მანძილზე სამშობლოზე დარდობდა. მარიენ-ოფისადმი ვაგზავნილ წერილში (1922 წლის 12 ნოემბერი) ის წერდა:

„როგორ მიხარია, რომ არა ხარ აქ... ამ გულისამრევე ნიუ-იორკში. ისე ცუდად იქნებოდი, თავს ჩამოიხრჩობდი... ყველაზე კარგი, რაც კი რამ მინახავს, მაინც მოსკოვია... ადრე ვბრაზობდი ჩვენს რუსულ ვაჭირებზე, რომ აი, „საზღვარგარეთ“ — კარგი რამეა... ახლა კი ღმერთს ვუხვეწები, სულით არ დავცე და ჩემი ხელოვნების სიყვარული არ გამოქრეს“. შემდეგ განაგრძობდა: „თავში სულ მოსკოვი მიტრიალებს, მრცხვენია კიდევ, რომ ჩეხოვისგებურად გამომღის“.

ოკეანისგალმა სამყაროზე პოეტმა ძუნწად, მაგრამ შინაარსიანად მოგვითხრო ორ ნარკვევში, რომელსაც უწოდა „რკინის მირგოროდი“. ამ ნარკვევებში, რომელიც 1923 წელს დაიბეჭდა „იზვესტიაში“, ნაჩვენები იყო, რომ ეს უმდიდრესი ქვეყანა წარმოდგენდა მხოფლიო ჭურღმულს, რომელიც არც ახე დაშორებოდა გოგოლის მირგოროდს. „ამერიკელთა ხასიათი გოგოლის დაუვიწყარ ივან ივანოვიჩისა და ივან ნიკიფოროვიჩის წნე-ხასიათს მოგვაგონებს. როგორც უკანასკნელთათვის არ ახსებობდა პოლტავაზე უკეთესი ქალაქი, ისე პირველებისთვის არ იპოვება უფრო უკეთესი და კულტურული ქვეყანა, ვიდრე ამერიკა“.

სხვათა შორის, ამ ქვეყანაში, პოეტის სიტყვებით, „უოველგვარი რთული საკითხისკენ მისწრაფება შთანთქა დოლარის ბატონობამ“, სადაც მეუფებს ბიზნესის კულტი, სადაც აქამდე გადაუჭრელია პრობლემა, არის თუ არა წნეობრივი ედგარ პოსტვის ძეგლის დადგმა“.

არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ესენინმა მთლიანად უგულბებლად ტექნიკის, უფრო კულტურის ის მიღწევები, რომელსაც ზედავდა ამ ქვეყანაში, უფრო მეტიც, ის შესაძლებლად მიიჩნევდა ზოგიერთი რამის გადმოღებასაც. „საზღვარგარეთ უფროს შემდეგ, წერდა იგი ავტობიოგრაფიაში, — ჩემს ქვეყანას და მოვლენებს სხვანაირად ვუყურებდი. ჩვენი ძლიერ განუღებელი მომთაბარეობა აღარ მომწონს. მე მომწონს ცივილიზაციაში მსგავსი ძლიერ არ მიუვარს ამერიკა, ამერიკა სიმყრალეა; სადაც იღუპება არა მარტო ტექნიკური, არამედ, საერთოდ, კაცობრიობის საუკეთესო მისწრაფებანი...“

1928 წლის 4 თებერვალს ხარისხი ხომალდ „ჯორჯ ვაშინგტონით“ ესენინმა და დუნკანმა კურსი ევროპისკენ აიღეს. ერთი კვირის თავზე ისინი საფრანგეთის ნავსადგურში, შერბურში ჩავიდნენ. კიდევ ნახევარ წელიწადს იუვენ ცოლი და ქმარი საფრანგეთსა და გერმანიაში და 3 აგვისტოს მოსკოვს დაბრუნდნენ.

მოგზაურობისას ესენინი იშვიათად წერდა, ცოტას მუშაობდა. მომთაბარე ცხოვრება და გარშემომყოფნი უძლიერებდნენ ბოქემურ განწყობილებებს, რომელიც ადრეულ ლექსებში იჩენდა ხოლმე თავს. უცხოეთში დაწერილმა ცალკეულმა ლირიკულმა ეტიუდებმა შეავსეს ციკლი „დუქნის მოსკოვი“.

5. დაბრუნება

სამშობლოში დაბრუნება პოეტისათვის დღესასწაული იყო. მხახიობი ა. მიკლაშევსკაია, რომელიც იმ დღეებში ესენინს შეხვდა, წერს: „ის ბედნიერი იყო, რომ რუსეთში დაბრუნდა. ბავშვივით ყველაფერი უხაროდა. ხელით ეხებოდა სახლებს, ხეებს... ირწმუნებოდა, რომ ცაც და მთვარეც სხვანაირი იყო, ვიდრე იქ. იმათთან. ჰყვებოდა, თუ როგორ უმძიმდა საზღვარგარეთ ყოფნა“.

დიდი წარმატებით ჩაიარა უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ პირველმა საჯარო გამოსვლამ — საღამომ პოლიტექნიკურ მუზეუმში 1928 წლის 21 აგვისტოს. შენობას ვერ მიუახლოვდებოდით, ისე მჭიდროდ შემოერთყათ ალყა საღამოზე დასწრების მსურველებს; ცხენოსანი მილიცია ძლიერ იცავდა წესრიგს. შესასვლელთან მიახლოება იმათაც უჭირდათ, ვისაც საშვიანი ბილეთი ჰქონდა. ესტრადაზე გამოსულ პოეტს ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. ის დღეაღდა. მოგზაურობაზე საკმაოდ დაულაგებლად ილაპარაკა. მაგრამ ლექსების კითხვამ სრული ტრიუმფით ჩაიარა. იგი ხმამაღლა, დაქერბული ტონით, მკვეთრი ექსტიკულაციით, ზემთაგონებული ოსტატობით კითხულობდა. „ხალხი ბორგავდა, — მოგვითხრობს ამ საღამოს მონაწილე პოეტი რიურიკ ივნევი. — აღტაცებისა და მოწონებისაგან. ესენინი სულ გარდაიქმნა. ხალხი მოხიბლული და დამორჩილებული იყო... საღამო გვიან დამთავრდა, ხალხი არ დაიშალა და ახალ-ახალი ლექსების კითხვას მოითხოვდა. ის კითხულობდა, სანამ ხმა არ ჩაებრინდა“.

ესენინი გარდაიქმნა არა მხოლოდ ამ საღამოს. ყველა, ვინც კი მას იცნობდა, აღნიშნავდა პოეტის გასაოცარ ფერისცვალებას. პოეტი თითქოსდა რაღაცისგან გაიწმინდა, გათავისუფლდა, რაღაცას მიაგნო. დასავლეთში მოგზაურობამ საშუალება მისცა, თავისი ქვეყანა დაენახა შორიდან, ხოლო ის, სხვა სამყარო — ახლოდან. სულიერად რა წმინდა, დიდი მიზნებით აღსავსე აღმოჩნდა მისი სამშობლო ყველაზე უფრო განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებთან შედარებით! პოეტმა მთელი სისრულით შეიგრძნო, რომ სწორედ ამ სამყაროდან მოდიოდა მოწამლული ცხოვრების მიაწმები, რომელიც თან ახლდა იმაჟინისტთა წრეგადასულ ცხოვრებას... 1928 წლის დეკემბერში პოეტმა დაბეჭდა ლექსი, სადაც განაცხადა:

გული არასდროს ყალბი არა მაქვს,
ამპარტაენობას ამიტომ ვწყველი
და შემოდლო ვითხრა თამამად:
ხულიგნობაზე ავიღე ხელი.
ლოთიფოთობას ხარკს აღარ ვუხდი,
აღარ ვიქნები აწ თავისნება,
გული დაითროს სხვაგვარი ლუდით
ძარღვებში სისხლის გასაფხიზლებლად.

ბოქემასთან განშორების აუცილებლობა ესენინის მიერ ცნობიერდება არა მარტო როგორც სულიერი მოთხოვნილება და ზნეობრივი მოვალეობა, არამედ პოეტი-მოქალაქის სახელის დამკვიდრების აუცილებლობა:

მსურს მოქალაქე
და მომღერალი
ვიყო ამ დღეთა,
რომ ყველას, როგორც მაგალითი
და სივისკასე,
ვეგულვო ნამდვილ, არა გერ
დიად შტატებში სესერეკასი.



სამშობლოში დაბრუნებისთანავე ესენინმა კავშირი გაწვიტა იმპინისტებთან, რომ და-
კმტოცებინა ჭგუფიდან წასვლა, 1924 წლის აგვისტოს „პრავდაში“ გამოაქვეყნა წერილი ჭგუ-
ფის დაწლის შესახებ. ამხანაგებთან შეხვედრისას ის ამბობდა: „შე არც გლენური პოეტი ვარ
და არც იმპინისტი, არამედ — უბრალოდ — პოეტი“. ხოლო ნიკოლოზ ასევეთან საუბრისას
აღნიშნავდა, რომ, ყოველგვარი ჭგუფის გარეშე დარჩენილი, განსაკუთრებულ სიმპათიებს გა-
ნიცდიდა მიაკოვსკისა და ხლებნიკოვის მიმართ: მას მოსწონდა არა მარტო მათი პოეზია, არა-
მედ მათი ბრძოლა, მათი ცდები და საშუალებანი თვითღამკვიდრების საქმეში“.

ბუნებრივი დასასრული მიიღო აისედორა დუნკანთან დამოკიდებულების დრამატულმა
ისტორიამ. ამ ისტორიაში არ იყვნენ დამნაშავენი, მაგრამ როგორც ერთის, ისე მეორისთვის
ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. დუნკანი ძლიერ განიცდიდა ესენინთან განშორებას, პოეტს ეცო-
დებოდა იგი და ბოლო შეხვედრისას მოსკოვში შებიბრდა კიდევ, დაგიბრუნდებოდა, მაგრამ ეს
მის ძალებს აღემატებოდა. პოეტი არ დაბრუნებულა, და დუნკანმა, რომელიც მცირე ხნით
ეწვია ამიერკავკასიასა და ყირიმს, დატოვა ჩვენი ქვეყანა.

ეს კონფლიქტითა და განცდებით აღსავსე ისტორია სამართლიანად და ზუსტად შეაფასა
მოქანდაკე ს. კონენკოვმა, რომელიც არაერთხელ უოფინა ესენინისა და დუნკანის ბინაში
პრეჩისტენსკის ბუღვარზე. ლიტერატურათმცოდნე ი. პროკუშევთან საუბრისას მოქანდაკე აღ-
ნიშნავდა: „დუნკანი ნათელი, არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. მან ბევრ რამ მისცა ესენინს,
მაგრამ პოეტიზგან უფრო მეტი ზნეობრივი და სულიერი ძალა წაიღო“.

ესენინმა დატოვა კეთილმოწყობილი ბინა პრეჩისტენსკის ქუჩაზე და დაბრუნდა მარიენ-
პოფის ოთახში, ბოგოსლოვსკის შესახვევში. მაგრამ მალე გაწვიტა კავშირი მარიენპოფთანაც
და სხვაგან გადავიდა.

დაიწყო პოეტის ცხოვრების ახალი პერიოდი — არნახული შემოქმედებითი აქტივობისა
და დიდ პოეტურ აღმადრენა-გამარჯვებათა პერიოდი.

8. რეკონსტრუქციის ძალაში

1924 წელს პოეტი ორჯერ ჩამოვიდა ლენინგრადში: აპრილ-მაისში მან აქ სამ-ნახევარი
კვირა გაატარა, ივნის-ივლისში — თითქმის თვე-ნახევარი. ცხოვრობდა ერთ თავის მეგობარ-
თან ძველებურ ორსართულიან შენობაში, ყორესის ხანაპიროსა და გაგარინის ქუჩის კუთხე-
ში. თითქმის ყოველდღე დასერილობდა ნევის ხანაპიროზე და ხაზაფხული ბაღში, მარსის ვე-
ლისა და გრიბოედოვის არხის ჩათვლით ნევის პროსპექტზე. დადიოდა გარეუბანშიც — სექს-
რორეცკაზე, პეტერბოფში, საბავშვო სოფელში (ასე ეწოდებოდა მეფის სოფელს — „ცარსკოე
სედოს“).

ლენინგრადელები დიდი ინტერესით შეხვდნენ პოეტს, რომლის მხატვრულმა ტალანტმაც
პირველად გაიბრწყინა მათ წინაშე. მისმა გამოსვლებმა აპრილში სტრემიანნაის ქუჩაზე მდებარე
აგიტატუდიის დარბაზში და ნევის პროსპექტზე მდებარე ქალაქის სათათბაროს ყოველ
შენობაში უამრავი მაყურებელი მიიწიდა და დიდი წარმატებით ჩაიარა. „მახსოვს, როგორ
გუგუნებდა მსმენელი ესენინის ლექსებისა და ავტორის ტემპერამენტის კითხვისაგან —
წერს მსახიობი სოფია ვიშესლავეცევა. — სადამოს დასასრულს ესენინი ხელში აიყვანეს და
ასე ხელი-ხელ, ნევის პროსპექტის გავლით, მიიყვანეს სასტუმრო „ევროპეისკაიაში“...“

ლენინის ქალაქის წინაშე ესენინი თავს დავალებულად გრძნობდა. ამ ქალაქში პირველად
აღიარეს იგი პოეტად, აქ შეხვდა ცარიზმის დამხობასა და დიდი ოქტომბრის სოციალისტურ
რევოლუციას. მაგრამ სხვათა შორის, ჭერჭერობით არცერთი მოვლენა, რომელიც ამ ქალაქ-
თან იყო დაკავშირებული, ესენინს არ აესახა თავის პოეზიაში. ახლა კი პოეტის შემეცნებაში
თითქოსდა გადაჯვარდინდა ორი ეპოქა, რომელთაგანაც თითოეული თავისებურად ირყვალავ-
და ქალაქის ისტორიულ ბედს: პეტრეს ეპოქა და რევოლუციის ეპოქა. ასე მიეცა დასაბამი

ჩანაფიქრს — „სიმღერებს დიდ ლაშქრობაზე“ — ისტორიულ-რევოლუციურ პოემას, რომელიც დაიწერა 1924 წლის ზეფხულს ლენინგრადში.

პოემა თავისი სიმღერა-მოთხრობა დაიწყო იმ უამიდან, როცა „ნიღებსა და წებოვან ქაობებს შორის“ აღმშენებელთა სისხლზე წამოიშალა ქალაქი-გიგანტი, შემდეგ გადავყავართ „თოვლიან ოქტომბერში“, რევოლუციით სახელმძღვანელო პეტრეს ქალაქში შემდეგ კი ხალხის რევოლუციურ მონაპოვართა დაცვის ეპოპეა ვითარდება: აქვია დონი, ციმბირი, უკრაინული სტეპი, დიდი ქალაქის მისადგომები — სადაც იშვიათ რევოლუცია. ამ ბრძოლის სათავეშია ტყავის ქურთუკიანი კომუნარები, „რომელთაც ლატაკი ხალხისთვის სიცოცხლე და სიკვდილი ერთნაირად უხარიათ, რომელთაც არ სურთ თავისუფალი პეტროგრადის დათმობა“. პოემა გამსჭვალულია სასიმღერო, ზღაპრული მოტივებით. რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული პოემის ხალხურ, ისტორიულ შინაარსთან.

არ გაუვლია ორ თვესაც კი „სიმღერების“ დაწერიდან და დაიბადა „პოემა 88-ზე“ — პოემა შლისტერბურგის პატივსაცემზე, რევოლუციის მებრძოლებზე. ეს პოემა ახლოს იდგა წინა პოემასთან პოეტური ენის ლაკონიზმითა და ისტორიული შინაარსის სიმკაცრით.

რევოლუციის თემა მჭიდროდ დამკვიდრდა ესენინის შემოქმედებაში. აისახა ეს თემა ლექსებშიც („მოგონება“ — ოქტომბრის დღეების პიტერზე, „ჩემი გზა“ — იმაზე, თუ „ცარიემის ნაცვლად უზარმაზარი ქალის ვით მოვიდა მუშათა ლაშქარი“) და შემდეგშიც არაერთხელ ასულა პოეტი რევოლუციური ეპოსის მწვერვალზე. ერთი ასეთი მწვერვალთაგანია ესენინის შემოქმედებაში დიდი მნიშვნელობისა და მასშტაბის პოემა „ანა სნეგინა“.

ესენინის იმ ნაწარმოებთა საფუძველად, რომელიც ოქტომბრის რევოლუციასა და სამოქალაქო ომს ეხებოდა, იდო ისტორიულად ცნობილ რევოლუციურ მოვლენათა პოეტური გააზრება. ხოლო „ანა სნეგინას“ საფუძველად დაედო ის ცოცხალი შთაბეჭდილებები, რომლის მოწმეც თავად იყო პოეტი 1917 წელს სოფელში. ამან განაპირობა პოემის არამარტო შინაგანი სინათლე, არამედ გამოსახვის დამატყვევებელი ძალა, ხასიათების სიწრფელე და გულში ჩამწვდომი ლირიზმი.

„ანა სნეგინას“ სოფელი — ესაა რეალური, ისტორიულად უტყუარი, მძაფრი სოციალური წინააღმდეგობებით სავსე, რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში მდუღარე სოფელი. რომელიც ადვილად განსხვავდება კოლორიტულად დახატული, მაგრამ მაინც რამდენადმე გაპოეტურებული სოფლისაგან, როგორსაც ვხვდებოდით ესენინის ოქტომბრამდელ ლექსებში. პოეტის ისტორიული აზროვნების დონე წლების გავლასთან ერთად ძალზე გაიზარდა და მისცა მას საშუალება შეექმნა რევოლუციური გარდატეხისდროინდელი სოფლის ცხოვრების დამატყვევებელი სურათი.

„ანა სნეგინა“ — ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ესენინის ტალანტისა და სულიერი დაგუჟაუბებისა.

7. „მგონია, რომ ამეხილა თვალი...“

პოეტის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოგზაურობას ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. სიცოცხლის ბოლო ორ წელიწადს სამჯერ იყო იქ და ყოველთვის ახალი შთაბეჭდილებებითა და არაჩვეულებრივი სიხარულით აღსავსე იძირებოდა შემოქმედებით შრომაში.

პირველი მოგზაურობა თითქმის ნახევარ წელიწადს გაგრძელდა. ესენინი წამოვიდა მოსკოვიდან 1924 წლის სექტემბრის დასაწყისში, 1925 წლის თებერვლის გავლამდის ეწვია ბაქოს, თბილისს, ბათუმს. პირველ ორ ქალაქში იგი რამდენჯერმე ჩავიდა. ის ბევრს ბეჭდავდა ამიერკავკასიის გაზეთებში („ზარია ეოსტოკა“, „ბაქინსკი რაბოჩი“), გამოსცა ლექსების ორი კრებული (ბაქოში — „საბჭოთა რუსეთისათვის“, თბილისში — „საბჭოთა ქვეყნისათვის“) და, საერთოდ, მუშაობდა არაჩვეულებრივად ნაყოფიერად.

ბათუმიდან მოსკოვს გაგზავნილ წერილებში პოეტი იუწყებოდა: „ვმუშაობ და ვწერ სატანისებრ ძლიერად, გაზაფხულამდე შეიძლება არც ჩამოვიდე. მინდა წავიდე სოხუმს, ერევანს, ტრაპიზონსა და თეირანს. შემდეგ კი კვლავ ბაქოს“... მეორე წერილში წერდა: „ერთი რამე ცოცხლობს ჩემს არსებაში. მგონია, რომ ამეხილა თვალი, არ მინდა მე ეს სულელური და ხმაურიანი დიდება. არ მინდა სტრიქონ-სტრიქონიანი წარმატება. მე გავიგე რა არის პოეზია... მალე მასალებით აგავსებთ. ასე მსუბუქად და ბევრს სიცოცხლეში ძალზე იშვიათად წერენ ხოლმე. ეს იმიტომ, რომ მარტო ვარ და კონცენტრირებული. ამბობენ, რომ ცოცხალი გავლამაზე. შეიძლება იმიტომ, რომ რაღაც ვიხილე და დავმშვიდდი“.

შემოქმედებითი აღმადგენის ეს მდგომარეობა არ შეიძლება გეოგრაფიულ, ანდა სამხრეთ-ქალაქების საყოფაცხოვრებო პირობებს მივაწეროთ, თუმცა პირობები მართლა შესანიშნავი ჰქონდა პოეტს. ესენინი იმავე წერილში მიუთითებდა, რომ მუშაობისას არაჩვეულებრივი გახლება წარმოიშვა ორი წლის იძულებითი სიჩუმის შედეგად („მე რომ თითქმის არაფერი მიწერია უცხოეთში ორი წლით უფროსი გამო“) და რომ ეს დაკავშირებულია უზარმაზარ შინაგან ნათელმოსილებასთან („მგონია, რომ თვალი ამებოდა“, „რადღაც ვინილენ და დავშვიდდი“). ხოლო ეს, როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, გამოწვეული იყო წარსულთან კავშირის გაწყვეტით, თავისი მოვალეობის, ვითარცა მხატვრისა და მოქალაქისა, ღრმა შეგნებით.

სიზუსტისათვის უნდა დავძინოთ, რომ „ბოლდინოს შემოდგომა“ ესენინის შემოქმედებაში მოიცავს არა მხოლოდ ამ ნახევარ წელიწადს, იგი დაწყებული იყო რამდენიმე ადრე და გაგრძელდა რამდენიმე თვის შემდეგაც — დაახლოებით 1925 წლის შუახნებამდე.

ამიერკავკასიაში უფროსი პირველ პერიოდში ესენინმა დაწერა ლექსები: „სტანსები“, „ბრიუსოვის ხსოვნას“, „წერილი ქალისადმი“, „მიწის კაპიტანი“, „წარმავალი რუსეთი“, „უთავ-შესაფრო რუსეთი“, „უფავილები“, „მოგონებანი“, „ჩემი გზა“, „ბალადა 26-ზე“ და სხვ. გარდა ამისა, დაწყებული ჰქონდა მუშაობა ციკლზე „სპარსული მოტივები“.

შეორე და მესამე მოგზაურობა შედგა 1925 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში. მარტის მიწურულიდან მაისის მიწურულამდე იგი ცხოვრობდა ბაქოსა და მარდაკიანში (ბაქოს გარეუბანში), ინტენსიურად თანამშრომლობდა „ბაკინსკი რაბოჩის“ რედაქციასთან, დაწერა ლექსები — „ცისკარი უძახის სხვას“, „წერილი დისადმი“, „შვიდობით, ბაქო!“, იქვე გაატარა მან ივლისის ბოლო დღეები და მთელი აგვისტო, დაწერა ოთხი ახალი ლექსი და პამფლეტი „ლორნეტისანი მანდილოსანი“.

სამხრეთში უფროსი უმეტესი დრო მიჰქონდა შეხვედრებს მკითხველებთან, ახალგაზრდა ლიტერატორებთან, ადგილობრივ საწარმოთა მუშებთან, პარტიულ მუშაკებთან და ეურნალისტებთან. ესენინი თბილისში მონაწილეობდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ დღესასწაულში და პირველმაისობაზე ბაქოში. ის ეწვია ბაქოს ნავთობის სარეწებს, გაეცნო მუშათა უფაცხოვრებას და შრომას, წაიკითხა ლექსები შავი ქალაქის კლუბში, გამოვიდა თბილისში საბჭოთა მუშაკების კლუბში და ბაქოს სტუდენტთა კლუბში, მონაწილეობა მიიღო ბაქოელი მწერლებისა და ეურნალისტების მიერ ორგანიზებულ ლიტერატურულ დისკუსიაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პოეტის შეხვედრები სერგი შირონის ძე კიროვთან.

„1925 წლის პირველი მაისის ზეიმობის შემდეგ, იგონებს „ბაკინსკი რაბოჩის“ რედაქტორი ჩაგინი, — როცა მივედი ბალახინის რაიონში, სადაც საფუძველი ჩავუყარეთ სტენკა რაზინის სახელობის დასახლებას, — პოეტს ისე შემოეგებნენ, როგორც ძველ ნაცნობს, პარტიულ ხელმძღვანელებთან ერთად დადიოდა იგი მდელიოზე, სადაც მუშები თავიანთი ოჯახის წევრებიანად მოსულიყვნენ, და უკითხავდა საკუთარ ლექსებს, უმღეროდა ხალხურ სიმღერებს. მალე მარდაკიანში გავემგზავრეთ. აგარაკზე“.

კიროვის თანდასწრებით ესენინი საოცარი უშუალოებით კითხულობდა ლექსებს „სპარსული მოტივებიდან“. კიროვი გაცვირვებული იყო პოეტის ნიჭიერებითა და წარმოსახვის უნარით, პოეტი ჩაახსნეს უზარმაზარ ბალიან აგარაკზე, სადაც შადრევნები, წყლის აუზი და ათასნაირი აღმოსავლური მორთულობანი იყო. ილუზიას აძლიერებდა ძველი აღმოსავლური პოეზია, რომელსაც დღედაღამ ეცნობოდა პოეტი. აქ დაიწერა თხუთმეტი ლექსი (პოეტის მიერ ჩაფიქრებული ოცი ლექსიდან), რომელმაც შეადგინა დასახლებული ციკლი.

„სპარსული მოტივები“ შეიძლება მივაკუთვნოთ ესენინის ლირიკის შედეგებს. მათში გაერთიანდა პოეტის ლირიკის ბევრი თვისება — ბუნების გამოსახვის ფაქიზი ოსტატობა, სიუჟეტის სინათლე და უბრალოება, სხვადასხვანაირ (არაიშვიათად-დრამატულ) განწყობილებათა გადმოცემის სინატიფე, ციკლის ძირითადი თემა სიყვარული, რომელიც სულს ამალღებს, ეს თემა ხორცშესხმულია აღმოსავლური კოლორიტის განსაკუთრებული თავისებურებით, ლექსიკით, სახეთა აგებით.

ბუნება და ადამიანები აქ ჩანან აღმოსავლური ეგზოტიკის შარავანდში, რომელიც ტრადიციულ შტამებსაა მოკლებული: თეირანის ლურჯი ფერები, გზისპირა ჩაიხანა, ქუჩის ზარაფი, „ზაფრანისფერ მხარის შუქი დაისური“, ხორასნის ბაღები და კედლები — ყველაფერი ეს, თითქოს სინამდვილეში ენახოს, პოეტის მიერ შექმნილია ცოცხალი, უშუალო შთაბეჭდილების ძალოვანებით. ციკლის განსაკუთრებულობა ისიცაა, რომ ეგზოტიკური ფერები მოცე-

მუღია ქაუშირსა და კონტრაქტში, ჩრდილოეთ რუსეთის ბუნების სადა, მაგრამ მიმზიდველ სილამაზესთან. აქ შვიდროდ ერწყმის ერთმანეთს აღმოსავლური და რუსული პოეზიის მოტივები, ხოლო ულამაზესი სპარსელი ქალის გვერდით იღანდება პოეტის საყვარელი ჩრდილოელი ასულის სახე. ლირიკული თემის გადაწყვეტას პოეტი პოულობს ახლომდებლისა და შორეულის ცოცხალ კონტრასტში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში გატარებული დღეებით სუნთქავს უკიდურესად — „საქართველოს პოეტებს“, „სტანსები“, „კავკასიაში“ და „მშვიდობით, ბაქო!“ რაც შეეხება „ბალადას შმ-ზე“, პოეტს იგი ბაქოში ჩამოსვლაშდე ჰქონდა ჩაფიქრებული. მაგრამ მხოლოდ აქ ჩაწვდა ლეგენდარულ კომისართა გმირობის ნიუანსებს.

ჩაგინს, რომელმაც იცოდა პოეტის ჩანაფიქრი, იგი დაჰყავდა იმ ადგილებში. სადაც ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ: ა. ჯაფარიძე, ს. შაუშიანი და მათი თანამებრძოლები; მან მოამარაგა პოეტი კომისართა საქმიანობის ამსახველი დოკუმენტური და მემუარული მასალებით. ესენინი ერთ ღამეს ჩაიკეტა ჩაგინის კაბინეტში და დილით უკვე მზად ჰქონდა პოემა, რომელიც იმდღევე გამოქვეყნდა რესპუბლიკურ გაზეთში.

ბაქოში, კომუნარების მოედანზე აღმართულია განთქმული ბაქოელი ბოლშევიკების გრანიტში გამოკვეთილი ძეგლი. ამ ძეგლის წინ იდგა ესენინი და აწერბაიჯანის დედაქალაქის მცხოვრებლებს უკითხავდა „ბალადას ოცდაექვს კომისარზე“. ათასობით ადამიანი ისმენდა ბალადას და მხურვალე ოვაციებით აჭილდობდა პოეტს.

8. აღმართები და უზსპრულიანი

ესენინის მოღვაწეობის ბოლო წლები ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დიად ცვლილებათა წლები იყო. ნების მეოხებით, ქვეყანამ თავი დაადნია ნგრევის მდგომარეობას. ლიკვიდირებულ იქნა შიმშილი, აღდგა მრეწველობა, სოფლის ეკონომიკა განვითარდა, სოფლად ჯერ კიდევ ბატონობდა წვრილსაქონლური მეურნეობა, მაგრამ უკვე ისახებოდა ახალი ეკონომიკური ურთიერთობანი, ბოლო ედებოდა საუკუნოვან ჩამორჩენილობას, გაჩნდა სამანქანო ტექნიკა.

პოეტმა ეს ცვლილებანი სიხარულით, მაგრამ თავისებურად მიიღო — ურუ ტკივილის გრძნობით, ისეთი განცდით, როგორც ეგუებიან გარდაუვალს, ხამართლიანს. სწორს, მაგრამ მაინც სულის დაშკოდველს.

ესენინი რევოლუციის ერთ-ერთი პოეტთაგანია. მან უმღერა რევოლუციურ სიახლეს და აღიარა ისტორიული საქმის დიდი სიძარბლე, რომელიც ხალხის მასებმა მოახდინეს ჩვენს ქვეყანაში. სოფლისადმი მიძღვნილი ლექსები. რომელიც ცხოვრების ბოლო წლებში შეიქმნა, ლაპარაკობენ იმაზე, რომ პოეტს ხურდა დაენახა „სოფლის სხვა ცხოვრება“. „უბოლოო ველთა ნაღველს“ — თავის ურმობისდროინდელ პეიზაჟს რომ იგონებდა, — პოეტი წერდა:

ველის რუსეთო, გეყოფა, კმარა,
მიწაზე კავით ნუ დაჩანჩალებ,
ხედავ, შენს ტანჯვას ვერ უსწორებენ
არყის ხეები ნაღვლიან თვალებს.
მე რა მომელის, არ კიცო... ახალ
ხანასაც იქნებ ამოდ ვუსცი,
და მაინც მიხდა, ძლიერი ვნახო
ერთ დროს ღარიბი რუსეთი, სუსტი...
ახლა მოტორის ყეფას რომ ვისმენ,
მირტყამს ელვა და ქარიშხლის ფრთები.
მე აღარა მაქვს სურვილი, — ისევ
ვისმინო მღერა საზიდრის თვლებს,¹

მაგრამ „ორმოცის“ ავტორმა მაინც ვერ შეძლო მოწყვეტოდა იმ იდეალებს, რომლითაც დაკავშირებული იყო ძველ, პატრიარქალურ სოფელთან. მაინც ვერ შეძლო მთლიან, მტკიცე

¹ ო. შალამბერიძის თარგმანი.

მხოლოდმხედველობასთან მისვლა. და ეს, თუ არ ჩავთვლით მისი ცხოვრების უფრო მეორე-
რისხივან გარემოებას, იყო პოეტის დრამა.

„უცვლელა“ არ ძალუძს თავის თავში წაშლის ძველი ყოფის ფურცლები. სიიუსოვმა ეს
შეძლო, -- წერდა ესენინი გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე. ეს მშაფქვენი მშაფქვენი. იყო
რა ბოლომდე გულწრფელი, იგი აღიარებდა:



ახალი ღრვის არა ვარ კაცი!
ერთ-ერთი ფეხით წარსულში დავრჩი,
ხოლო მეორით ვეცემი, რადგან
ვედილობ დაწევას ფოლადის ლაშქრის...²

პოეტის სიკვდილის მიწეზე არ ყოფილა იდეური შერყეობა. უფრო მეტიც: შერყეობის
გამო სულიერ კატასტროფამდე არ მისულა პოეტი. ესენინი თავად ამბობდა, რომ „გაურბოდა
გადავარდნას ციკაბოდან“ — ისწრაფვოდა ხალხთან ხიბლოვისკენ. იგი ხედავდა, რომ რევო-
ლუციამ არნახული გზები გაუხსნა ცხოვრების განახლებას — არახდროს წინათ სოფელი ასე
ჩქარა არ წასულა წინ. ესენინი ხიხარულით ეგებებოდა ყოველივე ახალს, უცნობს, ახალგაზრ-
დულს, რაც სოფლად აღმოცენდა ბოლო წლებში, მაგრამ თავის ადგილს იქ ვერ პოულობდა:

საცოცხლე კი დედს,
ფუსფუსებს, მიდის თაობა ძველი,
ახალი — ირგვლივ.
არავენ არის, რომ მივცე ხელი,
დი უსალმობა თვალების მიკვირს...³

და როცა პოეტი ქაბუკ თანახოფლედებს მოწოდებით მიმართავდა: „გაფურჩქნდით,
ურმანო! გამრთელდით ჭანით! გაქვთ სხვა ცხოვრება და სხვა მანგები!“ — ამით აღიარებდა
ცხოვრებაში მიმდინარე რევოლუციურ გარდაქმნათა დიად სიშართლეს, მაგრამ არ უარყოფდა
თავისი ხასიათის წინააღმდეგობრიობას.

საბჭოთა სინამდვილის თანდათანობითი განვითარება, ინდუსტრიალიზაციის წარმატებანი,
საუკუნოვანი ჩამორჩენილობის ნელ-ნელა დაძლევის დიადი პროცესი — ყველაფერ ამას,
რამაც ნათელი ასახვა ჰქონდა საბჭოთა დიქტატურის ქმნილებებში, რომელიც ოციანი წლე-
ბის შუა და ბოლო წლებში შეიქმნა (შემდეგ პერიოდზე რომ არაფერი ვთქვათ). შეეძლო კე-
თილიზმყოფელი გავლენა მოეხდინა ესენინზე, დახმარებოდა მას გადაეღება სკეპტიკური
განწყობილება, შინაგანი ტკივილის შეგრძნება, გაუბედაობა, და თავი ჩავთვალა რევოლუცი-
ის აღმშენებლობით საქმეთა აქტიურ მონაწილედ.

სავალალოდ, პოეტის ცხოვრების რეალური გარემოებანი, რომელიც შეექმნა 1926 წლის
შუა ხანებში, ნაკლებად უწყობდნენ ხელს მისი ხულიერი სამყაროს ასეთ ბუნებრივ და კანონ-
ზომიერ ევოლუციას. დიქტატურული მოდერნიზაციის ნაყოფიერი პერიოდის ნაცვლად, ხასი-
ხარული, გასხივოსნებული დღეების ნაცვლად დადგა ხულიერი კრიზისის ხანმოკლე ეამი. მისი
შემოქმედება კვლავ შეფერადდა უიმედო დრამატულობის. პესიმიზმის ტონებით, კვლავ ბოშე-
მის მყრალი, მოწამლული ჭკუფის გავლენაში მოექცა — და ეს ვითარება ასახა დუდლუნა
„შავი კაცი“ სახეში: ეს ბოროტი და პირქუში ლანდი მარად აგონებს და უშტკიცებს პოეტს,
რომ ის — „შეშთვრალე და არამზადაა“, „ჩხუბისთავი პოეტია“, რომელიც ქმნის „უბადრუკ
მოდლილ ღირიკას“ (პოემა „შავი კაცი“). სწორედ ასეთ სახელს უქმნიდნენ ესენინს ვაიმე-
გობრები, რომლებმაც კვლავ ჩაითრიეს იგი თავიანთი ცხოვრების ფერხულში.

ამჯერად ამ წუშპედან ამოსვლა მან ვერ შეძლო: სასოწარკვეთილებამ საბედისწერო დასას-
რულამდე მიიყვანა იგი.

² ვ. ლაფერამვილის თარგმანი.
³ მ. პატარინის თარგმანი.

მ. ტვირთი ხატიალისა

უსახლკარობა და ხეტიალი მოუცილებელი ჰირი იყო პოეტისათვის თავისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში, მაგრამ განსაკუთრებით აუტანელი შეიქმნა ეს მომენტი არსებობის უკანასკნელ თვეებში.



მას შემდეგ, რაც დატოვა მარიენჰოფი და წავიდა მისგან, ესენინი უბინაოდ დარჩენილს ათევედა ხან „ქეგანის ბაგაში“, ხან მეგობრებთან. მერე გადავიდა გალინა ბენისლავსკაიასთან — ახალგაზრდა ეურნალისტთან, რომელიც გაზეთ „ბედნოტაში“ თანამშრომლობდა.

ეურნალისტი ცდილობდა დახმარებოდა პოეტს, როგორმე მოეგვარებინა მისი ლიტერატურულ-საგამომცემლო საქმეები. მეგობრულ განწყობილებას რომ გრძნობდა, პოეტი ანდობდა მას ბედნაწერებს, ფულს, მოლაპარაკებას გამომცემლობასთან და ა. შ.

ბენისლავსკაიას ეკავა კომუნალური ბინის პატარა ოთახი, რომელიც მდებარეობდა ბრიუსოვის შესახვევში. „პრავდის“ რედაქციის შენობის მეშვიდე სართულზე, ოთახი მუყდრო იყო, სარკმლიდან იშლებოდა შესანიშნავი ხედი ნესკუჩნის ბაღისა და ვორობიოვის მთებისა, მაგრამ ვიწრო გამოდგა შიგ მოსახლეთათვის. უველაზე ადრე — 1924 წლის შემოდგომაზე — აქ ჩასახლდა (ღიასაბლისის ვარდა) პოეტის და კატია, რომელიც სოფლიდან მოსკოვს ჩამოვიდა სახწავლებლად. მალე აქ ესენინი ჩახახლდა, მერე მისი უმცროსი და შურა გამოჩნდა. 1925 წლის მარტში აქვე ცხოვრობდა რამდენიმე დღეს სოფლიდან შვილების სანახავად ჩამოსული პოეტის დედა.

1925 წლის ზაფხულში ესენინი სოფელში ჩავიდა და მას შემდეგ ამ ოთახში არ დაბრუნებულა, გადასახლდა პოეტ ვ. ნახედკინთან, რომელიც ნიკიტსკიე ვაროტახთან ცხოვრობდა.

„ხერგის. — წერს ალექსანდრა ესენინა, — უოველთვის აწუხებდა უბინაობა, თავისი კუთხის უქონლობა, რომელიც არ ღირსებოდა სიცოცხლის ბოლომდე.“

ბოლო ქორწინებასაც არ მოუტანია სიკეთე მისთვის.

1925 წლის მარტში ბენისლავსკაიასთან პოეტმა გაიცნო სოფიო ანდრიას ასული ტოლსტაია, ეს ქალიშვილი არაჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ, რომელსაც ბევრი რამ ჰქონდა თავისი დიდი პაპისგან შენარჩუნებული. „ამ ქალიშვილის შესახებაობაში, — წერს ი. ლებედინსკი, — სახის სიმრგვალება და პატარა, ძალზე ტოლსტოურ გამჭოლ-ჰკვიანურ მწერაში, შენელებულ მანერებში იგრძნობოდა ლევ ნიკოლოზის ძის სისხლი. მის სიტყვაძუნწ საუბარში შეიცნობოდა ჰკუა, განათლება, ბოლო, როცა ხერგის შეაცქერდებოდა, ნაცრისფერი თვალებიდან ნაწი მწრუნველობა ირგვლებოდა. ძნელი არაა მიხვედრა, რომ ხერგისადმი მის ჰემშარიტ სიუვარულს საფუძვლად ედო მწედ, მეგობრად, საურდენად ვახლომის კუთილშობილური ზრახვა“.

ამასთან დაკავშირებით ნ. ნიკიტინი დასძენს, „რომ სოფიო იყო ფართო თვალსაწიერის, სერიოზული, დაკვირვებული, ხანდახან წინააღმდეგობრივი ბუნებისა, შეეძლო ეხუმრა, ტოლსტოური სიზუსტით და უცდომლად ერკვეოდა ადამიანებში.“

1925 წლის ივნისში ესენინი დაქორწინდა ხოფიოზე და შახთან გადასახლდა ოსტოჟენკაზე (ტროიცკის შესახვევი) დიდ, მაგრამ საკმაოდ ბნელ ოთახში, რომელშიც უამრავი პორტრეტი, საბუზეუმო რელიკვია და ძველებური ავეჯი იყო. აქაც ვერ გამოვა ბედნიერება პოეტმა. არც აქ იყვნენ დამნაშავენი — ასე აეწყო ცხოვრება გულმოკლული პოეტი თავის თბილისელ მეგობარს სწერდა „უველაფერი, რისი იმედიც მქონდა, რაზეც ვოცნებობდი, ძირს მიექანება. ჩანს, მოსკოვში დადინება არ მიწერია. ოქაბური ცხოვრება არ გამოდის, უნდა გავიქცე, საით? კავკასიაში“.

პოეტის ამგვარი მოუწყობლობა, მოხეტიალე ცხოვრება ხელს აძლევდა იმათ, ვისაც ესენინი წონასწორობიდან გამოჰყავდა და ვინც აწუხებდა აბეზარი ჩაცვიებით.

„სტუმრები, სტუმრები, სტუმრები, ნეტავ ვინმე მომეშორებდეს მათ“, — წერდა ესენინი თბილისიდან. ბათუმიდან გამოგზავნილ წერილში იუწყებოდა, რომ მისი თანხმობით ბინის პატრონი გარედან გასაღებით კეტავდა მის ოთახს და შიგ არავის უშვებდა, — „საშინლად მიშლიან ხელს მუშაობაში“.

პოეტი უველანაირად ცდილობდა თავი დაეღწია სტუმრებისაგან. ერთხელ თბილისში ნიკოლოზ ტიხონოვს შეხვდა, ესენინმა უთხრა: „მოდო მოვეურცხლოთ ჩემი მეურვეებისაგან“

ხალხე შორსი" და მათ „მოკურცხლეს“. რამდენიმე საათს დუქანში ისხდნენ მარტონი და ერთ-მანეთს ლექსებს უკითხავდნენ.

კავკასიაში მყოფი პოეტი იცნებობდა, რომ მოსკოვს დაბრუნებული, სხვაგვარი ცხოვრებას შეუდგებოდა: „ვიქნები ჩუმი და კორექტული. ყველა საგონებელში [უნდა] მტკიცდეს, სულაც არ მომწონს, რახაც ჩემზე ფიქრობენ. გაწაფხულზე, დაბრუნებისას [უნდა] მოვუშევრებ... ყველაფერი ეს სიკაბუკესთან გამოთხოვება იყო. ამიერიდან ასე არ იქნება“.

მაგრამ მოსკოვში ბევრი რამ განმეორდა, მას ისეთი მეგობრები ავტორდიალებოდნენ ბოლშე, რომელთა შესახებ მიკლაშევსკაია წერს: „ისინი უჩიჩინებდნენ პოეტს, რომ მისი ლირიკა არავის უნდა. შესანიშნავი პოემა „ანა სნეგინა“ მათში ირონიას იწვევდა: „სულ ცოტა — და პუშკინი ხარო!“ მათ იცოდნენ, რომ ესენინს აღიზიანებდა ფიქრი იმაზე, რომ მისი ლექსები არავის სჭირდებოდა, და „მეგობრები“ ერთმანეთს ეჭიბრებოდნენ პოეტის გულის ტკენაში. იგივე „მეგობრები“ ითრევდნენ პოეტს ლეგენდარულ ხანდალებში... ფსიქელი ესენინი მათ არ სჭირდებოდათ. როგორც ფაქტები ადასტურებენ, სწორედ „მეგობრები“ აწყობდნენ ბშირად ამგვარ ხანდალებს.

ესენინთან უკანასკნელი შეხვედრისას მაიაკოვსკიმ უურადღება მიაქცია „ესენინის ორ ბნელ (ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში — ვ. მ.) თანამგზავს“, რომელთაც არცის სუნი ასდიოდათ. ესენინის ცუდი განწყობილება, თავის თავისადმი უკმაყოფილება მაიაკოვსკიმ ახსნა სწორედ „გჭრემომყოფთა უგულა და უგერგილა და მოკიდებულებით“.

1925 წლის შემოდგომაზე ყველაფერი ამას დაემატა პოეტის ავადმყოფობა. მას ნერვები აშკარად აშლილი ჰქონდა და ექიმებმა ურჩიეს მკურნალობის ორთვიანი კურსი გაეწყო.

26 ნოემბერს ესენინი დაწვა ფსიქონევროლოგიურ კლინიკაში, რომელიც ბოლშაია პიროგოვსკაიას ქუჩაზე (ბოლენინოვის შესახვევი) მდებარეობდა მას გამოუყვეს ცალკე პალატა მეორე სართულზე. პალატა ფართო და ნათელი იყო. მაგრამ ესენინს აღიზიანებდა კლინიკაში არსებული წესი: ღამით შუქს არ აქრობდნენ და პალატის კარს ღიას ტოვებდნენ.

პოეტი ბუზღუნებდა იმაზე, მაგრამ არა მარტო მკურნალობდა, არამედ მუშაობდა კიდევ კლინიკაში დაწერა ლექსები: „ჩემო გაყინული ნეკერჩხალო“... „ნუღარ მიყურებ შე საყვედურიო...“ „აღარ გიყვარვარ, აღარ მიცოდებ“... „შეიძლება გვიანაა, ანდა ძლიერ ადრე...“, „ვინა ვარ? რა ვარ? მეოცნებე ვარ“. ყველა ლექსი, გარდა პირველისა, შევიდა ციკლში „ლექსნი, რომელნიც...“ — ამ ციკლის ჩართვა ესენინმა გადაწყვიტა თავისი ლექსების კრებულში რომელსაც ხახელგამი აშაადებდა გამოსაცემად. კლინიკიდან იგი თვალს ადევნებდა კრებულის გამოცემის საქმეს.

10. უკანასკნელი დღეები

მკურნალობის დროს ესენინმა ჩაიფიქრა მომავალი მუშაობის ფართო გეგმა. მან გადაწყვიტა ვრცელი მოთხოვნის ან რომანის დაწერა. ფიქრში ირეოდა ახალი ლექსები. საჭირო იყო თხზულებათა კრებულის მზადების დამთავრება, და ბოლოს — რაც ძალზე იტაცებდა პოეტს — დაეწყო გამოცემა ახალი, ორკვირიანი პერიოდულობის ჟურნალისა, რაზეც უკვე შეთანხმებული იყო ლენინგრადის სახელგამთან. ესენინი იქნებოდა ამ ჟურნალის რედაქტორი.

ამ გეგმებიდან გემომდინარე უპირველესი პირობა იმაში მდგომარეობდა, რომ პოეტს უნდა დაეტოვებინა მოსკოვი, მკვეთრად შეეცვალა გარემო, გაქცეოდა ზედმეტ, ხელისშემშლელ ადამიანებს.

საით წასულიყო? ხანდახან ფიქრობდა თავის სოფელში წასვლას — იქ უკვე ახალი სახლი აეშენებინათ, შეიძლება წუნარად, თავის ნებაზე ემუშავა. მაგრამ მაშინ ჟურნალის გამოცემაზე უნდა ეთქვა უარი. ამიტომ გადაწყვიტა: გამგზავრებულიყო ლენინგრადს, დაეჭირავებინა ბინა და მასში ჩასახლებულიყო ჟურნალისტ გიორგი უსტინოვთან ერთად (რომელსაც 1918 წლიდან იცნობდა), რომლის მეუღლე ღიასახლისობას გაუწევდა ორივეს; მერე ლენინგრადში გადმოვიდოდნენ ნასედკინი კატასთან და შურასთან ერთად (გადაწყვეტილი იყო, რომ ნასედკინი ირთავდა კატას). დაიწყებდა გამოსვლას ჟურნალი, ყველანი ერთად იმუშავებდნენ.

თავისმა გადაწყვეტილებამ ისე, გაუტაცა პოეტს, რომ მკურნალობის დაშორებამდე განა-
ზრახა კლინიკის დატოვება, 7 დეკემბერს ლენინგრადში უღებეშა ვ. ერლიხს: „დაუტოვებელივ
მონახე ორი-სამი ოთახი. 20-ში გადმოვდივარ ლენინგრადში საცხოვრებლად.“

21 დეკემბერს ესენინი, ვითომდა საქმეებზე, გავიდა კლინიკის შენობიდან (შავი-მწვანით
მან აღრიც უშვებდნენ) და არ დაბრუნებულა. ორი დღის შემდეგ სახელგანთქმულ თავის
რედაქტორს უთხრა: „მივემგზავრები ლენინგრადს, საბოლოოდ მივდივარ. აქ ძალზე მომწუნი-
და. მიშლიან ხელს. გავეუარე სონიას.. სოფია ანდრიას ასულს“. სთხოვა რედაქტორს გაეგ-
ზავნა მისთვის თბზულებათა ტომების კორექტურები, შეჰპირდა ნაწარმოებთა დაწერის თარი-
ღების დაზუსტებას და ხუთასსტრიქონიანი ახალი პოემის დროზე დაბთავრებას. და კვლავ: „აქ
ხელს მიშლიან, დაწერ ოთხიოდე სტრიქონს, ვილაცა მოვა... ლენინგრადს ხუელ, საბოლოოდ
მივემგზავრები... თარიღებს დავსვამ. თუ „თბზულებებია“, უნდა კარგად გაკეთდეს. მე ყველა
ლექსი მაზსოვს. მხოლოდ მარტო უნდა დავრჩე. მე გავიხხენებ“.

ესენინს ძალზე უყვარდა შვილები — ტანია და კოსტია. ისინი იზრდებოდნენ დედასთან.
ზინაიდა რაიხთან, რომელიც 1922 წელს ცოლად გაჰყვა ვსევოლოდ მიეერპოლდს და ორი
წლის მერე ქმრის ხელმძღვანელობით მოქმედი თეატრის მსახიობი გახდა. მიეერპოლდი თბი-
ლად და ზრუნვით ეპურობოდა ბავშვებს. ბავშვები კი მას უბრალოდ „მიეერს“ ეძახდნენ.
ესენინი მეგობრობდა გამოჩენილ რეჟისორთან და ამერიკიდან დაბრუნების მერე ზშირად და-
დიოდა ბავშვებთან, რაკი ვარაუდობდა, რომ დიდი ხნით მიემგზავრებოდა მოსკოვიდან, კლი-
ნიკიდან გამოსული პოეტი გამოსაშვდილობებლად ბავშვებთან წავიდა. მიხვლისას ბავშვები
თამაშით იუვნენ გართულნი (ტანია შვიდი წლისა იყო, კოსტია ხუთის), დაუძახა გოგონას და
გამოესაუბრა. გოგონას ერთადერთი ფრაზა დამახსოვრდა: „იცო რა ფარ მე შენი?“ — აქოცა
ორივეს და სადგურისაკენ გაეშურა.

ლენინგრადში პოეტი 1924 წლის 24 დეკემბერს ჩამოვიდა. თავს სუხტად 'გრძნობდა, რად-
გან კლინიკაში ბოლომდე ვერ იმკურნალა. ერლიხი შინ არ დაბვდა და რაკი ბინა ჯერ კიდევ არ
იყო დაქირავებული, სასტუმროში გაჩერება გადაწყვიტა. აირჩია, „ანგლეტერი“, იმითომ რომ
იქ უსტინოვები ცხოვრობდნენ. მეორე ხართულზე დაიკავა № 5 ოთახი, რომლის სარკმლები
ისააკის მოედანს გადაჰყურებდა.

მაგრამ აქაც არ მოახვენეს. კვლავ ისეთ ატმოსფეროში აღმოჩნდა, რომელსაც აგრერივად
გაურბოდა. აი, მისი ცხოვრების ერთ-ერთი უკანასკნელი დღის ეპიზოდი:

პოეტი თავის ოთახშია, შემოდინან სამნი. შემდეგ მოდის კლიუევი (ის მაშინ ლენინგრად-
ში ცხოვრობდა). საუბრობენ ესენინის ახლა ლექსებზე. ორი-სამი დღის წინათ კლიუევს გა-
მოუთქვამს აზრი, რომ ესენინის ლირიკა წარმოადგენს ბანოვანთთვის განკუთვნილ ლექსებს.
„იქნებ უშჯობესია. — მსჯელობს იგი, — პოეტი დროზე მოკვდეს...“ დგება მძიმე პაუზა. შე-
მოცვივდება უოფილ იმაუინისტთა ხმაურიანი კამპანია, ისინი აზარტათ. ერთმანეთს არ აცლიან,
ამტკიცებენ, რომ ესენინი გამოიფიცა, რომ იგი თბზავს იაფფასიან ლექსებს, „წარმავალი რუ-
სეთის...“ მსგავსთ.

ავადმყოფობისაგან დასუსტებულმა, ნერვებმოშლილმა პოეტმა ვერ გაუძლო დებარესიას
მორიგ შენობებზე: 27 დეკემბერს საღამოს ჩაკეტა ნომერში, გვიან ღამითაც არ დაწოდილა
დასაძინებლად, დილის სამიდან ხუთ საათამდე მონაცვეთში კი თავი ჩამოიბრჩო.

ცნობამ ესენინის დაღუპვის შესახებ ათახებსა და მილიონებს დასწყვიტა გული ცნობა
მყის გავრცელდა მთელი ქვეყანაში. გაზეთებში დაიბეჭდა პოეტის შავჩარჩოიანი პორტრეტე-
ბი, მისი სისხლით დაწერილი გამოსათხოვარი ლექსი („მშვიდობით ჩემო მეგობარო...“) ნეკ-
როლოგები, მემუარები, ლექსები.

სასტუმროდან ესენინის ნეშტი ჯერ მორგში წაახვენეს, მეორე დღეს — ფონტანკის სა-
ნაპიროზე, სრულიად რუსეთის მწერალთა კავშირის შენობაში. იქ ლენინგრადელები რამდენ-
იმე ხაათის განმავლობაში ეთხოვებოდნენ პოეტს. ცხრა საათზე სამგლოვიარო პროცესია ფონ-
ტანკიდან ნევის პროსპექტის გავლით დაიძრა ოქტომბრის სადგურისაკენ. კუბო შეიტანეს სა-
განგებო ვაგონში. პოეტს — კავშირის ლენინგრადის განყოფილების თავმჯდომარემ ილია ხადო-
ფიევმა გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა. კუბოსთან წაიკითხეს ესენინის ლექსები მაღე
მატარებელი მოსკოვისკენ დაიძრა.

28 დეკემბერს უაზრავმა მოსკოველმა მოიყარა თავი სადგურთან, კლანჩევსკის მოედან-
ზე, მაღალი, უვითელი კუბო ვაგონიდან გამოასვენეს ეს. ივანოვმა, ი. ბაბელმა, პ. ორეშინმა,

3. შეიერპოლდმა, ვ. ნახედკინმა და სხვებმა კუბოს თან მოჰყვა ცოცხალი უვადილების თაიგუ-
ლები და შავი, თეთრი, წითელი ლენტები. რამდენიმე ათასი კაცი საგან შემდგარი პროცესია
მიაცილებდა კატაფალკს ნიკიტსკის ბულვარზე მდებარე ბეჭდვითი სიტყვის სახლის შენობისკენ.
კუბოს დგამენ სახლის მთავარ დარბაზში. იქვე, ზღუდესთან თეთრი ტილოა შედგენილი:
„აქ ახვენია დიდი რუსი ეროვნული პოეტის სერგეი ესენინის ნეშტი“. მთელი დღე, სა-
ლამო, ღამე — თითქმის დილაამდე არ შემწყდარა ხალხის ნაკადის მოსვლა და გამოთხოვება
პოეტთან. კუბოსთან მდგარი მსახიობები ვ. კარალოვი და მ. კნიპერ-ჩეხოვა კითხულობდნენ
პოეტის ლექსებს. უკრავდა ხამგლოვიარო მუსიკა, ისმოდა ქვითინი.

31 დეკემბერი დაკრძალვის დღე იყო. ხამგლოვიარო კორტევი ნიკიტსკის ბულვარიდან
ვნების მოედნისკენ გაემართა, სადაც პუშკინის ძეგლი იდგა. ნეშტი სამჭერ შემოატარეს ძეგლს
— ეს სიმბოლურად აღნიშნავდა ესენინის პოეზიის განუწყვეტელ კავშირს პუშკინის დიდ ტრა-
დიციებთან. შემდეგ შეჩერდნენ ტვერის ბულვარზე, გერცენის სახლთან — ხანმოკლე შიტინ-
გი, პოეტ ვლადიმერ კირილოვის სიტყვა, კიდევ ერთხელ გაჩერდნენ კამერულ თეატრთან და
გენი ვაგანკოვის სასაფლაოსკენ აიღეს.

ურიცხვი ხალხი მიჰყვებოდა პოეტის ცხედარს. ეს ჭეშმარიტი სახალხო სვლა იყო. პეტერ-
ბურგში ნეკრასოვის დაკრძალვის შემდეგ — თითქმის ნახევარი საუკუნე იყო გასული — რუ-
სეთს მსგავსი ხალხმრავალი გამოთხოვება არ მოსწრებია.

ვაგანკოვის სასაფლაოს ახალგაქრილი ხაფლავი ნაძვის ტოტების, თაიგულებისა და უვა-
ვილების მთამ დაფარა. დეკემბრის ცივ ჰაერში, სამარესთან, კიდევ დიდხანს ისმოდა ესენინის
უკვდავი სტრიქონები...





თარგმანი მადონა სპინიშვილი

პრუბელი

მხილ ალექსანდრეს ძე ვრუბელის რთული ხელოვნება აღსავსეა განუ- მცორებელი თავისებურებებით, გრძნობების ვნებანი პათეტიკით, ხაზების ღრმა ემოციურობით. ფანტაზიის დაუშრეტელი ძალით, კოლორიტის ხილამაზითა და სიმდიდრით. მხატვარი ხელოვნებაში ყველაზე მეტად „აღტაცების ტაღდას“ აფასებდა — ნე- ნელობით, შემოქმედებით დამოკიდებულებას გამოსახულებისადმი. ებატა, ვრუბელისათვის ნიშ- ნავდა გარდაქმნა ნატურა, გაეკეთებინა ჩანაფიქრით თამაში, მონუმენტური კომპოზიციები, შე- ცქმნა მცარე ზომის აკვარელები და სურათები. ხელოვანი არასოდეს კარგავდა ნატურასთან შე- მოქმედებითი მიდგომის უნარს, შეეძლო ამოეღო იქიდან ფერებისა და ფორმების განსაცვიფრე- ბელი სიმდიდრე, გამოეკვლინა მათი „სიფაქიზე, მშვენიერება, მრავალფეროვნება და მარმონია“.

ყველაფერი, რასაც კი მისი ფუნჯი ეხებოდა, უჩვეულოდ დიდი და პოეტური ხდებოდა. სუ- ლის ამაღლება ყოველდღიური წვრილმანებიდან დიად სახეებადღე, — აი, რას თვლიდა ვრუბე- ლი ხელოვნების მიზნად და სწორედ ამ უდიდეს მიზანს ემსახურებოდა იგი სიცოცხლის ბოლო- მდე. მხატვარმა შემჩანურ „ყოველდღიურობას“ დაუპირისპირა უსაზღვრო, მოუსვენარი და ვნებანი ფანტაზიის მთელი ძალა.

ვრუბელი მძაფრად შეიგრძნობდა თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების შეზღუდუ- ლობას და არ სურდა შერიგებოდა მას. იგი არ გაქცევია ცხოვრების საკირბოროტო საკითხებს და წარსულში არ უქექია ისინი. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრის შემოქმედებაში ვერ ვხე- დავთ უშუალო გამოძახილს იმ დროის მოვლენებზე, ის ქარიშხლიანი დღეები მაინც აირეკლა ვრუბელის მიერ შექმნილი განგაშის, ამბოხებისა და ბრძოლის სულისკვეთებით მოცულ სახეთა გაძლიერებულ დრამატიზმში.

როგორც ამ ეპოქის ყველა საუკეთესო პიროვნებას, ვრუბელსაც ზარავდა ეს „საშინელი სამ- უარო“ და „არჩვეულებრივ გარდაქმნათა“ წინათგრძნობით იწვოდა. მთელ მის შემოქმედებას ბოლომდე გახდევს „შუდმივ მემამობეთა“ ხატება — დემონი, ფაუსტი და ქამლეტი. ხელოვანი ახალგაზრდობიდანვე რომანტიკული სულისკვეთებით მიისწრაფოდა დიადისა და მშვენიერისაკენ, ამიტომ ეს სახეები თავიდანვე იზიდავდა მხატვარს. მას მბრძანებლურად იმორჩილებდა კულ- ტურას აყვავების ეპოქები. შექსპირი, ვოლტე, ბეთჰოვენი, პუშკინი, ლერმონტოვი, გლინკა, რიმ- სკი-კორსაკოვი მხატვრისათვის ყოველთვის სულიერი სიმდიდრის წყარო იყო. ვრუბელი სახვითი ხელოვნების შესანიშნავ მაგალითებზე სწავლობდა კომპოზიციის კანონებსა და კოლორიტს, რა- საც უკვალოდ არ ჩაუვლია. 1880 წელს იგი დას ხწერდა: „ვგრძნობ, ძალი მოვიკრიბე, ე- ი მრავალი პლატონური შევისისხლბორცე. მანია, რომ უცნალოდ ვიტყვი რაიმე ახალს, თავს არ მანებებს“. ახლის ძიება მკვეთრად გამოვლინდა „დემონზე“ მუშაობის დროს.

დემონის სახე ვრუბელის შემოქმედების მთავარი თემა გახდა. იგი შიდაგონებულად იყო დერ- მონტოვის პოეზიით, რომელიც მხატვარს ახალგაზრდობიდანვე ხიბლავდა. როგორც ლერმონტო- ვის, ისე ვრუბელის დემონიც („დემონი (მუდომარე)“, 1890) ახალგაზრდა და ლამაზია. სევდა ჩაბუდებია ფართოდ გახედილ თვალებში. იგი ძლიერძლივობით იმორჩილებს მძლავრ სხეულს. რო- გორც ჩანს, დემონი არ გაიხსნას გადაბუდობილ ხელებს და ვერ მოახერხებს მტანჯველი სევდის დაძლევას. წინააღმდეგობა ტიტანურ ძალასა და თავდაოკებას შორის მხატვრის ხანიათის ანარქე- ლია, რომელიც ბშირად განაცდიდა შინაგან ბრძოლას, ვერ ბედავდა რა შეხამებლობებს, ხორცი შეესხა თავისი ოცნებებისათვის დიდ ხელოვნებაზე.

ახლის ძიება, რომლისკენაც ასე დაუოკებლად მიისწრაფოდა ვრუბელი, მის მიერ შექმნილ-
სიმბოლურ-ფანტასტიკურ ხასიათში აიხაზა. იმ დროის რუსულ მხატვრობაში არავის დაუსახავს
მიზნად მსგავსი ამოცანა. ახალი სიტყვა თქვა ხელოვანმა თამაში ცდით დაზღერა სურათი
ჩვეული ჩარჩოდან გარდაქმნა მონუმენტურ ნაწარმოებად.

მონუმენტურობაზე მიუთითებს სურათში ყველა და ყველაფერი, უპირატესოდ კი დემონის
ფიგურა, რომელიც თითქოსდა ქვისაგანაა გამოთლილი. გარემოსკული უმეტესად უფროსი
უვავილებით. მონუმენტურობაზე ლაპარაკობს თვით ფერწერა: განზოგადება და გაფართოება ფე-
რადი ლაქის, ძალის აღწევება და ფერთა ელერადობა, მიხწრაფება მიუახლოვდეს მოზაიკის
ფითხით შესრულებული ფართო, დანაწევრებული მონასმებით. მონუმენტური დეკორატიული გა-
დაწყვეტის ძიებამ განაპირობა სივრცის თვითმყოფადი გააზრება, რომელიც აღიქმება როგორც
ფართო-დეკორატიული ფონი, ძლიერი პორტლიეფის მსგავსად გამოძერწილი ფიგურა ჩაძი-
რულია სამყაროს თვალუწვდენელი სივრცის მოღურჯო-ისფერ ბინდში.

ვრუბელის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურება იმაშია, რომ იგი ახალი გზებისა და მო-
ნუმენტური ხელოვნების ძიების, კოლორიტის დეკორატიულობის სიმდიდრისა და გაზრდილი ემო-
ციურობის დროსაც ინარჩუნებს მოცულობის გრძნობას.

ხელოვანის პირველმა ცდამ, ეპოვა სიახლე დაზღური სურათის სიუჟეტურ გადაწყვეტაში, ნა-
ყოფი გამოიღო. ვრუბელს არ მქონდა საშუალება აეხსრულებინა ოცნება — ეხატა ფრესკები. აპი-
ტომ დიდ ხელოვნებაზე წყურვილს დეკორატიულ პანოებზე მუშაობით იკმაყოფილებდა. ვრუ-
ბელმა შექმნა ვეებერთელა, მრავალმეტრიანი პანოების მთელი რიგი: „პრინციესა გრეზა“, „მი-
ქულა ხელიანი ნოყიჩი“ და ხუთი პანო „ფაუსტის“ სიუჟეტებზე, დაწერილი ა. ვ. მოროზოვის
გოთური კაბინეტისათვის. ეს პანოები ბრწყინვალე მაგალითია ვრუბელისეულ ამოცანათა მონუ-
მენტურ-დეკორატიული სტილით გადაწყვეტაში. მხატვარმა შეძლო არ შეზღუდულიყო კომპოზი-
ციითა კოლორიტის წმინდა დეკორატიული სილამაზით და ფაუსტის სიუჟეტებზე დახატა ფსიქო-
ლოგიურად ძლიერი და მეტყველი სახეები. განსაკუთრებით კარგი გამოუვიდა მას ინაღლელებე-
ლი და ნაწი სახე მარგარიტასი — მთავარი და ყველაზე უფრო ლამაზად შექმნილი ნაწილი
ტრიბუნისა.

უფრო ხშირად თავისი სურათების შინაარსს ვრუბელი იღებდა არა თავისი ცხოვრებიდან,
არამედ ლიტერატურულ და ხელოვნების ნაწარმოებებიდან. მაგალითად, მისი სურათები „ესპანე-
თი“ და „მკითხავი“ შთაგონებული იყო ე. ბიზეს ოპერით, „კარმენი“. ამ ოპერას ვრუბელი „შუ-
სიკის ეპოქად“ თვლიდა. მხატვარს იტაცებდა დრამატიზმის ძალა, შინაგანი სისუფთავე და სილა-
მაზე თავისუფლების მოყვარე და ამაყი გმირი ქალისა, მისი ტრადიციული ბედი.

სურათში „ესპანეთი“ ვრუბელი შორსაა თემის უანრობრივი გააზრებისაგან. მისი შინაარსი
ფართოა. მხატვარი დაწვრილებით არ გვაყვება, რაც მოხდა ესპანეთის ერთ-ერთ დუქანში. მისი
მიზანია — შექმნას ესპანეთის ნათელი, პოეტური სახე, ქარიზმულიანი ვნებებითა და ცეცხლოვანი
რომანტიკით. ამ რომანტიკული სახის ხორცშესხმაა ამაყი, ლამაზი გოგონა ანთებული შავი თვა-
ლებით, თამაში, დამოუკიდებელი გრძნობებითა და ქცევით. სურათი გვიპყრობს არა მარტო
გრძნობების გამომსახველობის სიძლიერით, რომელიც გმირების სახეებში მოსჩანს, არამედ კო-
ლორიტის ემოციურობითაც, ალუბლისფერი და მქრქალი ოქროსფერი ტონების დაძაბულ ნათე-
ბით, მათი ლივლივითა და მონახმის დაუცბრომელი რიტმით.

უფრო მძაფრია დრამატიულობის თვალსაზრისით „მკითხავი“ (1895). სურათი გვაოცებს თა-
ვისი მიზანდასახულობით, ხალიჩაზე მოკალათებული გოგონას ფიგურის დრამატიზმისა და ფარ-
თოდ გაბედილი თვალების გამომსახველობის სიძლიერით. ეს თვალეები შეშფოთებით და იდუ-
მალებით ანათებენ მკრთალ სახეზე, მბრძანებლურად გიმორჩილებენ. გოგონა შეცბუნებულია
თავისი მომავალი ბედის ტრადიციული საიდუმლოს შეცნობით, მხატვარი გადმოგვცემს გრძნეულას
ვანცდას, მაგრამ მთავარი აქ ადამიანური გრძნობების სიწმინდე და სიძლიერა. სურათში ყვე-
ლაფერი მეტყველია — თვალეები, უმწეროდ დაშვებული ხელებიცა და ხალიჩაზე გაშლილი კარ-
ტიც, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა „საბედისწერო“ ყვავის ტუზი. ოსტატმა
წედმიწევნით გვაგრძნობინა ფერების დეკორატიული სილამაზე, მისი სიმდიდრე და პარმონია.
ეს ტილო მხატვრის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნამუშევარია.

ვრუბელი შემოქმედებითი ძალების უდიდესი დაძაბვით მუშაობდა. სიუჟეტები და სახეები
ერთიმეორის მიყოლებით იბადებოდა. მისი ფანტაზია ამოუწურავი იყო. ყველაფერი, რასაც
ვრუბელი ქმნიდა, მოცული იყო დიდი შინაგანი მღელვარებითა და მწველი დრამატიზმით.
დრამატულია ვრუბელის პორტრეტული ფერწერაც. როგორც მისი ხელოვნება, ისე მისი პორ-
ტრეტები მძაფრად ფსიქოლოგიური და ღმრა შინაარსით აღსავსეა.

ერთი ცაა, ვრუბელის ხელოვნება არ შემოიფარგლება მხოლოდ ღრამატული პათოსით. იგი დას სწერდა „...ახლა აბრამცევში ვარ და ისევ... მესმის ის ინტიმური, ეროვნული ნოტი... რომელიც ასე მინდა დავიჭიროო ტილოსა და ორნამენტში. ეს მთლიანად ადამიანის მუსიკაა...“ ეროვნული ნოტის ძიებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რიმსკი-კორსაკოვთან დახლოვებას. ვრუბელი ტორისადმი გაგზავნილ წერილში ვრუბელი წერდა: „თქვენი კეთილი გავლენის შედეგად ვაღაწევი ვრუბელის განხაკუთრებით ვემსახურო რუსულ ზღაპრულ სამყაროს“.

როგორც რიმსკი-კორსაკოვს, ისე ვრუბელსაც იზიდავდა პუშკინის პოეტური სახეები. პუშკინის პოეზიითა და რიმსკი-კორსაკოვის მუსიკითა შთაგონებული ერთ-ერთი ამადელევებელი, ლირიკულ-პოეტურად მომზიბველი ტილო „დედოფალი-გედი“. იგი შეიქმნა მაშინ, როცა მხატვარი დეკორაციებს ხატავდა რიმსკი-კორსაკოვის ოპერისათვის „ზღაპარი მეფე სალთანზე“, რომელიც მამონტოვის თეატრის სცენაზე იღმებოდა. დედოფალი-გედის როლს ასრულებდა ვრუბელის მეუღლე — ნიკიერი მომღერალი ნადეჟა ივანეს ასული ზაბელა.

მაგრამ ვრუბელისათვის ამ სურათშიც უცნოა ილუსტრირება. მის მიერ შექმნილი დედოფალი-გედი ღრმად ორიგინალურია. იგი შორსაა რიმსკი-კორსაკოვის ოპერის იმ ხაზისაგან, რომელიც შექმნა ზაბელა-ვრუბელმა. მხატვარმა დედოფალი-გედის სახეს გამოუცნობი მღელვარების ბეჭედი დაასვა. იდუმალებისა და შიშის გრძნობითა მოცული სურათში უვლა და უვლა-ფერი — თვით დედოფალი ფერმკრთალი სახითა და დიდი სევდიანი თვალებით, მის ირგვლივ მთელი პეიზაჟი. ნაზი ფიგურა ეული გვეჩვენება ტუვისფერი ღრუბლებით ჩაშავებულ ზღვის ფონზე. დაისის ვარდისფერი ათინათი სრიალებს თეთრი ფრთების, შეროვანი მანდილისა და ძვირფასი ქვების ზედაპირზე. ამადელევებლად ანათებს დაისის სხივებში შორეული ნაპირი... ეს სურათი ერთ-ერთი უვლაზე უფრო წრფელი ტილოა ვრუბელისა, სადაც ასე ორგანულადაა შერწყმული ნატიფი ლირიკა, გამოუცნობი მღელვარება, ზღაპრული ფანტასტიკა და ჭეშმარიტი სინამდვილე.

შიშისა და იდუმალების გრძნობა კიდევ უფრო სრულადაა გამოხატული სურათში „გედი“ (1901). ვრუბელს უუვარს ჩამოწოლილი მწუხრის წარმოსახვა. ასეა ამ სურათშიც — შემაშფოთებული მღელვარების გრძნობა ჩნდება ალისფრად მოკაშკაშე დაისში, რომელიც ინთქმება შორეულ, ჩამუქებულ, სიშავმდე მისულ ბარდ-ლელქაშში. მათ შორის ჩაიშალა ზღაპრული გედი-ფრინველი ადამიანური სევდით აღსავსე თვალებით, უილაქოდ გაშლილი თოვლივით ქათქათა ფრთებით. აქ გამოუცნობი იდუმალების ბეჭედი უფრო მყვეთრადაა გამოხატული, ვიდრე დედოფალ-გედში, რაც უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ არა მარტო პოეტურ მეტაფორაზე, არამედ სიმბოლურ სახეებზე.

ეს სურათი ვრუბელის ერთ-ერთი უვლაზე სიმბოლური ტილოა.

მხატვრის მისწრაფება, გადმოეცა „მონოლითური ადამიანის მუსიკა“, მოესმინა „ინტიმური, ნაციონალური ნოტი“, უვლაზე სრული სახით გაიხსნა სურათში „პანი“ (1899) — ხელოვანის უვლაზე მარმონიულ ნაწარმოებში. აქ უვლაფერი რუსული ბუნების ღრმა ცოდნით, გულში-ჩამწვდომი ლირიკით, მოკრძალებული, უბრალო, ბუნებრივი სილამაზითაა აღსავსე. პანის გარეგნობა ნაკარნახევია ანატოდ ფრანსის მოთხრობით „წმინდა სატირა“, მაგრამ დაცილდა რა ლიტერატურულ სახეს ვრუბელმა, შექმნა რუსულ მითოლოგიასთან მიახლოებული ორიგინალური ნაწარმოები. ხატება რუსი პანისა, ბებერი და ნოქიანი პირისახით, გაშვირვალე ცისფერი, კეთილი თვალებით, ორგანულად ერწყმის ჩრდილოეთის რუსულ პეიზაჟს. და გვეჩვენება, თითქოს დროისაგან გათეთრებული პანი ისეთივე ჰადარა და ბრძენია, როგორც თვით ბუნება, რომელსაც პანი ასულიერებს. მხოლოდ ბუნებას ამ შებინდების უამს, პატარ-პატარა ბუჩქნარს, დაბუჩავებული არყნარის დაბრცილ ღეროებს, მიღეულ მთვარეს შორეული ტუის თავზე — შეეძლო ეშვა მხატვრის წარმოდგენაში ეს ფანტასტიკური არსება. როგორც რუსულ ხალხურ პოეზიაში, ისე აქაც რეალური და გამოგონილი მჭიდროდ ერწყმის ერთმანეთს. ვრუბელმა კოლორიტის მეშვეობით არაჩვეულებრივ მარმონიას მიაღწია. სურათი ერთიანი შენადნობია მუქი მწვანე და ცივი-ვერცხლისფერი ტონებისა. ძვირფასი ქვებით მოციმციმე პანის თვალების სიცისფრე გამოძახილს კოულობს იისა და ბუჩქებში მოლივლივე მდინარის სიღურჯესთან. ვრუბელი უკვე აღარ ანაწევრებს ფორმებს ცალკეულ პლასტიკურ დეტალებად და წვრილ-წვრილ წახნაგებად, არამედ მწყობრად მომრგვალებული ხაზებისა და მშვიდი ზედაპირების წყალობით განზოგადობამდე მიდის.

თუ სურათში „პანი“ ნათელი ლირიკა და მარმონია უღერს, სულ ხზვაა თავისი აგებულების გამომსახველობითა და ემოციურობით სურათი „ღამე“ (1900). ვრუბელმა კიდევ ერთხელ დატვირთა თავისი ნაწარმოები ვნებიანი მღელვარებითა და შფოთით. პოეტური მღელვარების გრძნობას მხატვრის ხელში ბუნებაზე დაკვირვება იწვევდა, რომელსაც დასრულებულ სახეს აძლევდა ზაფხულის მწუხრი, წარმოსახვის დაუოკებელმა ძალამ გარდაქმნა რეალური დაკვირვება რალაც

ზღაპრულში, ფანტასტიკურში. ფანტასტიკურ-ზღაპრულად ანათებენ დაიხის სხივებში ნარჩავის მეწყამული ყვავილები. ისინი თითქოსდა შიგნიდან აშუქებენ. ტემპერამენტული მანასმით შესრულებული შეხამება ალისფრად მოკაშკაშე ყვავილებისა მოიხსენიება ალისფრად ცახთან სურათს რაღაც ამაფორიაქებულ, იდუმალ ელფერს აძლევს. შეშფოთებას იწვევს გარემო პირობები. იგი გადაეცემა მოწალაზე ცხენებს, რომლებიც თითქოს ჩაქაჩილია და შიშის გაურყვეველ ჩურჩულს უხმენენ. ხშირ ბალანებს მიაჩნდება კაცი, რომელიც ამაღლებს ზღაპრულ მეველეს ემსგავსება. მისი პირისაზე და შიშველი ზურგი, გოლიათი ცხენის ფაფარი და გავა მუქ ბრინჯაოსფრად აღიქმება.

ბუნებისადმი მხურვალე სიყვარული, უნარი — ჩაწვდეს მის გულისგულს და აღმოაჩინოს შიგ რაიმე ამაღლებული, არანაკლები ძალით გამომჟღავნდა სურათში „იასამანი“ (1900). ვრუბელმა დახატა ჩინებული პატარა ეტიუდი „იასამანი“ და შემდეგ დიდხანს და შეუპოვრად მუშაობდა დიდ კომპოზიციებზე. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, სურდა „ხელში ჩაეგდო ხაგანი მთელი ხახავსით“. და მართლაც, მან შექმნა ტილო — შემთავონებული პოემა. დახატული გატაცებითა და ამაღლებული სტილით. მასში გამოცემულია ამაღლებული გრძნობები, რომელსაც იწვევს იასამანის სურნელოვანი ყვავილები მთვარიან ღამეში. გრძნობების ცნებიან პათეტიკას რაღაც გამოუცნობი შეერწყმის: გახაგები ხდება, თუ რატომ წარმოხაზა მხატვარმა მარტოდმარტო მდგომი, მოწყვნილი ასული იასამნის ბუჩქთან. ამ ნაწარმოებში იგრძნობა მხატვრის მისწრაფება, გამოსახოს ბუნდოვანი, გამოუცნობი გრძნობები და მახასიათებელი, რაც პოეტ-სიმბოლისტებთან სიახლოვეზე მიუთითებს.

სურათი მონუმენტურ-დეკორატიულ სტილშია გადაწყვეტილი. იასამნის გაბარჯული ბუჩქი მთელ ტილოს ფარავს. ფუმფულა, ხვედროვანი, გაფურჩქნული მტევნები ერთ მონოლოთიურ მთლიანობას ქმნიან. მიზნად ხახავს რა დეკორატიულ ერთიანობას, ვრუბელი არ ხატავს ცალკეულ ყვავილებსა თუ ღრმა სივრცეებს. მაგრამ ინარჩუნებს მის შეგრძნებას, რასაც გარკვეულად უწყობს ხელს ფოთლების ზედაპირზე მოლიცლიცე მთვარის შუქი. სურათის კოლორიტი განსაკუთრებით გამოირჩევა დილისფერი და მწვანე გამების სიმდიდრით, შეუმჩნეველი გადასვლებით ნაწი, გამჭვირვალე ტონებიდან მსუყვე ფერამდე. ნიუანსების მრავალფეროვნება მიღწეულია ფითხით დაწერილი სქელი პასტოზური მონასმით, რომელსაც შემოდან ფუნჯი აქვს გადახმული. სურათი შესრულებულია a la prima-ს ტექნიკით, რუხი, ალაგ-ალაგ განათებული გრუნტით, რაც ხაერთოდაა დამახასიათებელი ვრუბელიხატვის.

ბუნების ღრმა, უჩვეულო შეგრძნებებით, ვირტუოზული ოსტატობით „იასამანი“ განეკუთვნება მხატვრის შემთავონებულ ნაწარმოებთა რიცხვს.

მღელვარებისა და მოუსვენრობის გრძნობა სულ უფრო და უფრო ეუფლება შემოქმედის სულს. მას ისევ არ ახვენებს ფიქრი დემონზე. იმ დემონზე, რომელზეც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ოცნებობდა. და აი, ბოლოს და ბოლოს, დიდი ხნის დაძაბული ძიების შემდეგ ვრუბელმა შექმნა „დამორჩილებული დემონი“ (1902). ეს უკვე ის ახალგაზრდა, ძლიერი, ღამაში, 1898 წლის დემონი აღარაა. მისი ოდესღაც მძლავრი სხეული დაუძლურებული და მოტეხილია. ბუნება ირგვლივ მკაცრი, პირქუში და უკაცრიელია. მის თვალეში უკვე აღარც სევდაა და აღარც ხალხზე წუხილი. თავზე შემოდებული ხელები დაღმეკილ სახეხთან და ანთებულ თვალეხთან ერთად კომპოზიციის ფსიქოლოგიურ კვანძს ქმნიან.

იყო დრო, როდესაც ამ ტილოზე დემონის თვალეში ცრემლები ბრწყინავდა და ხელები უხაცოცხლოდ ბქონდი ჩამოყრილი. მაგრამ მხატვარს ამჯერად სხვა იდეა ამოძრავებდა — ეჩვენებინა არა მხოლოდ მარტოსული და ძლიერი პიროვნების დაღუპვის ტრაგედია, არამედ ბოლომდე გაუტეხელი სულის სიძლიერე. გრძნობების შინაგანი ბრძოლა და წინააღმდეგობა. ამ ტილოთი ვრუბელი თავისებურად გამოეხმაურა თავის თანამედროვე ქარიშხლიან ეპოქას. სურათი უკვე «Мир искусства»-ს გამოფენაზე იყო გაგზავნილი, მხატვარი კი დაუოკებელი გზებით განაგრძობდა მასზე მუშაობას. თანამედროვენი აღნიშნავენ, რომ დემონი თავიდან კლასიკური სილამაზისა იყო. რეალური პროპორციების დამახინჯება შედეგი იყო ექსპრესიის მძაფრი ძიებისა, რაც გამოიწვია შემოქმედის ნერვიული სისტემის მდგომარეობის გაუარესებამ.

სიცოცხლის ბოლო რამდენიმე წელი ვრუბელმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაატარა. მაგრამ მაშინაც, დროებითი, მოკლევადიანი გამოშვებების დროსაც, სახლში დაბრუნებული მუშაობას არ წყვეტდა. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ვრუბელს მუშაობის შესაძლებლობა არ ბქონდა, რადგანაც მთლიანად დაკარგა მხედველობა.

როგორც ყველა უდიდესი ოსტატი, ვრუბელიც მხატვრის ხაქმიანობას გმირობად მიიჩნევდა. შემოქმედება მისი სტიქია იყო და მასში მთელი თავისი სული ჩააქსოვა.





ედნა ო' ბრაინერის წიგნი

თავისი შემოქმედებითი გზა ედნა ო' ბრაინერმა ბავშვობაზე მონათხრობით დაიწყო. და ახლა, როცა ის საქვეყნოდ ცნობილი მწერალი გახდა, მონათხრობების ახალ კრებულში „ღაბრუნება“ (ლონდონის გამომცემლობა „უაინდენფელდ ენდ ნიკოლსონი“) კვლავ მიუბრუნდა ბავშვობის სამყაროს.

„ტაიმსის“ ლიტერატურულ დამატებაში რეცენზენტი გვატყობინებს, რომ ზემოხსენებულ კრებულში ცხრა მონათხრობია, ამთგან ნაწილი იბეჭდებოდა უურნალ „ნიუიორკერში“. ეს მონათხრობები სიუჟეტურად ერთმანეთს არ უკავშირდება, მხოლოდ ერთი პერსონაჟი აერთიანებთ მათ — ფერმერის ქალიშვილი, მიყრუებული, შივარდნილ ადგილას გაზრდილი პატარა გოგონა. ამ ადგილებში, თვითონ ედნა ო' ბრაინერის სიტყვით, „არაფერი არ ხდება ზნათესვისა და მოსაყლის ადების გარდა... ქალები არ იკეთებენ კოსმეტიკას და კრემით სავსე ქალები ადგილობრივ აფთიაქში უხარგებლოდ აწყვიან“.

რეცენზენტი ედნა ო' ბრაინერის კოლორიტულ ენას ქების სიტყვებს უძღვნის. მწერლის უველა მონათხრობის ლაიტმოტივია წახვლა, დამშვიდობება, ბავშვმა იცის, რომ ადრე თუ გვიან დადგება დრო, როცა ის გაეთიშება, გაექცევა გარემომცველ საზოგადოებას, „სადაც არავის არაფერი არ უყვარს“, თუმცადა, აგრძელებს რეცენზენტი, ეს ბავშვი გრძნობს, რომ ადრე თუ გვიან უნდა დაუბრუნდეს თავის პირველ სამყვიდრებელს, რადგან ბავშვობისეულ სამყაროს ვერასდროს ვერ დათმობს სამუდამოდ. ედნა ო' ბრაინერის ეს უველაზე უფრო არაბავშვური წიგნი სწორედ ბავშვობაზეა დაწერილი.

„შეხვედრა „რამასთან“

ახეთი სახელწოდება აქვს ცნობილი ამერიკელი მწერალი ფანტასტიკის არტურ კლარკის ახალ წიგნს. ეს მწერალი ჩვენში დასაბუთებული პოპულარობით სარგებლობს. მისი წინა წიგნის „2001 წელი“ ეკრანიზაციამ (კინორეჟისორ სტენლი კუარიკი) მსოფლიოში გაუთქვა მწერალს სახელი. როგორც კრიტიკა აღნიშნავს, ა. კლარკი თავის შემოქმედებაში მეცნიერულ თეორიას ეურდნობა.

კლარკის ახალ წიგნში მოქმედება 2130 წელს მიმდინარეობს.

წიგნის გამოსვლისთანავე ამერიკულმა უურნალმა „პაბლიშერზ უიკლიმ“ ინტერვიუ ჩამოართვა მწერალს. მწერალმა განაცხადა, რომ „შეხვედრა „რამასთან“ მის მიერ ჩაფიქრებული ტრილოგიის პირველი წიგნია. მეორე წიგნის სახელწოდება იქნება — „სამოთხის შადრევნები“, მესამე — „მიწიერი იმპერია“. ბოლო წიგნზე კლარკი უკვე ოცი წელია მუშაობს. მწერალმა უველა საქმე გვერდზე გადადო და ტრილოგიის გასრულებას უთმობს მთელ თავის დროს. ა. კლარკი ამაუობს იმით, რომ ფანტასტიკის უანრში მუშაობს. უველაზე თანამედროვე ლიტერატურულ უანრად ა. კლარკი სწორედ ფანტასტიკას მიიჩნევს. „დღეს ძნელია ზუსტი განსაზღვრა მოუძებნო ფანტასტიკის უანრს, — თქვა მან, — მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მისი უმთავრესი კალაპოტი ფაქტებს დაშორდა“.

„პალესტინური კოეზია“

ათენში გამოიცა წიგნი „პალესტინური კოეზია“. ამ წიგნში შესულია ცნობილი პალესტინელი პოეტების მამმუდ დერვიშის, ხამიბ კასემის და ტაუფიკ აზ-ზაიდის ლექსები. პწკარედული თარგმანი ბერძნულ ენაზე შეასრულეს პალესტინელმა სტუდენტებმა.

წიგნმა უართო გამომხაურება მკოვა ხაბერძნეთის პროგრესული ინტელიგენციის წრებში.

განხილვა



ანა მანიანის გარდაცვალებიდან ცხრა წლის თავზე კვლავ განახლდა ინტერესი მისი შემოქმედებისადმი, რომის ტელევიზიამ შექმნა ტელეფილმი, რომელიც ეძღვნება მსახიობ ქალს, მსახიობები, რეჟისორები, ჟურნალისტები, საზოგადო მოღვაწეები და ფილიპო, რენატო გუტუზო, ანტონელო ტრომბადორი ამ ფილმში კიდევ ერთხელ იხსენებენ ანა მანიანის. თანმიმდევრობით გამოიცა ორი წიგნი დიდი მსახიობის შესახებ.

ორივე წიგნი და ტელეფილმიც გვახსენებს ანა მანიანის — შემოქმედსა და პიროვნებას. თვალწინ გვიდგას შემოქმედის გაჭირვებული ბავშვობის წლები, მისი პირველი ნაბიჯები ჭერ კიდევ ომამდელ კინემატოგრაფში. მერე ომის შემდგომი მოღვაწეობა, მნიშვნელოვანი, უცარი წარმატებები, ნეორეალიზმი — რობერტო როსელინის ფილმი „რომი ღია ქალაქია“, სადაც მანიანი უბრალო რომაელი ქალის, პინას როლს ასრულებს. ეს ფილმი ომის შემდგომ დასავლურ კინემატოგრაფიაში ერთ-ერთი უველაზე ძლიერია.

ვინც თვალს გადაავლებს ანა მანიანის შემოქმედებით ვხვას, ერთხელ კიდევ ირწმუნებს ამ ბრწყინვალე შემოქმედის სიდიადეს.

ირვინგ სტოუნის რომანი ჩარლზ დარვინზე

ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილია ამერიკელმა მწერალმა ირვინგ სტოუნმა ბიოგრაფიული პროზის უნარში ბოლო დროს ახალი რომანი შექმნა ჩარლზ დარვინზე. ეს წიგნი გამოცა ლონდონის გამომცემლობა „კესლმა“.

„ტაიმსის“ რეცენზენტი აღნიშნავს, რომ სტოუნმა ბრწყინვალედ წარმოაჩინა დიდი ადამიანის სახე და ეპოქაც დიდებულად აგვიწერა.

ვან გოგზე და ჭკ ლონდონზე დაწერილ გახმაურებულ წიგნებს ახალი ნაწარმოები შეემატა.



«САУНДЖЕ»
 ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
 На грузинском языке

1985 № 2
 СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
 ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ
 ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



საქართველოს
განმანათლებლო
სისტემის განვითარების
სააგენტო

მხატვრის ნეულის ნ. ი. ზაგელა ვრუბელის კორტაჟი



მიხეილ მამუკელაშვილი, მამის სურვილი — გვერდი